მორის შალიკაშვილი

კრიმინოლოგია

(სახელმძღვანელო)

მესამე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა

თბილისი 2017

უაკ (UDC) 343.9
შ - 196

„ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნილ ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლებელია ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენის ქვეყნის საქმეს“.

„ივერია“, 1881 წლის მაისი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2017
© მორის შალიკაშვილი

ISBN 978-9941-25-312-6

Moris Shalikashvili

KRIMINOLOGIE
Ein Lehrbuch
3. überarbeitete und erweiterte Auflage

Tbilisi 2017

Vorwort zur 3. Auflage

Die vorliegende 3. Auflage des Lehrbuches zur Kriminologie gibt in kompakter und zugleich umfassender Form einen Überblick über die kriminologische Problematik. Das Buch enthält eine Darstellung des kriminologischen Grundwissens für die Ausbildung an den Universitäten. Die Auswahl der Themen stellt eine Einführung in die Kriminologie dar. Sie orientiert sich an den Curricula des Bachelor-Studienganges und den Erfordernissen der strafrechtlichen Praxis.
Die 3. Auflage besteht aus 21 Kapiteln, in den die wesentlichsten Grundlagen der Kriminologie zusammengefasst sind. Des Weiteren enthält diese aktualisierte Auflage Begriffsbestimmungen, Theoriebildung und einige gezielt ausgesuchte Problemfelder (z.B.: Internet-Kriminalität, Terrorismus). Dabei ist der Text praxisorientiert und hat viele Beispiele aus dem echten Leben.

Unser besonderer Dank für die engagierte Hilfe und fruchtbare Diskussion zur 3. Auflage gilt Prof. Dr. Frank Neubacher (Direktor des Instituts für Kriminologie der Universität zu Köln), Prof. Dr. Ketevan Mchedlishvili-Hädrich, Tsotne Tsertsvadze, Nana Barbakadze, David Chikhladze, Demetre Egnatashvili, Dimitri Gegenava, Davit Bestavashvili, Mariam Shermazanashvili und Temo Shengelaia.

Herzlicher Dank gilt dem Deutschen Akademischen Austauschdienst e. V. **(**DAAD**)** für das gewährte Stipendium, das das Zustandekommen der vorliegenden 3. Auflage ermöglichte.

Das Buch richtet sich an Studierende und Wissenschaftler aus juristischen, pädagogischen, sozialen, psychologischen und polizeilichen Berufen sowie an alle weiteren interessierten Leserinnen und Leser.

Prof. Dr. Moris Shalikashvili
Doktor der Rechtswissenschaft (Dr. jur.) der Universität Hamburg (Deutschland)
Assoziierter Professor der Staatlichen Iv. Javachishvili Universität Tbilissi (Georgien)

მესამე გამოცემის წინასიტყვაობა

ბოლო წლებში კრიმინოლოგიის საგნის სწავლებამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ უნივერსიტეტებში. კრიმინოლოგია, როგორც არჩევითი საგანი, ისწავლება თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელში. კრიმინოლოგიური ცოდნა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს დანაშაულებრივი ქმედების სრულყოფილად გაგებასა და გაანალიზებას. სისხლის სამართალისაგან განსხვავებით კრიმინოლოგია უფრო ფართოდ იხილავს დამნაშავის პიროვნებასთან, დანაშაულთან, დაზარალებულთან, დამნაშავის რესოციალიზაციასა და დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

კრიმინოლოგიის წიგნის მეორე გამოცემა შეივსო და გადამუშავდა. წიგნს დაემატა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი (მაგ. ინტერნეტდანაშაული, ტერორიზმი, ქალაქის არქიტექტურული მოწყობა და დანაშაული). გარდა ამისა, გაანალიზებულ იქნა ბოლო წლების კრიმინალური სტატისტიკა.

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურს (DAAD) სამეცნიერო სტიპენდიისათვის და კიოლნის (გერმანია) უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს პროფესორს ფრანკ ნოიბახერს საინტერესო საუბრებისა და გვერდში დგომისთვის.

ასევე, დიდი მადლობა პროფესორ ქეთევან მჭედლიშვილ-ჰედრიხს, ნანა ბარბაქაძეს, ცოტნე ცერცვაძეს, დავით ჩიხლაძეს, დემეტრე ეგნატაშვილს, დიმიტრი გეგენავას, მარიამ შერმაზანაშვილს, დავით ბესტავაშვილს და თემო შენგელაიას დახმარებისათვის.

ვფიქრობთ, მოცემულ სახელმძღვანელოში განხილული და გაანალიზებული საკითხები საინტერესო იქნება სტუდენტების, სამეცნიერო წრეების, პრაქტიკოსი იურისტების, ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკებისათვის.

მორის შალიკაშვილი

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის
კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი,
ასოცირებული პროფესორი
თბილისი 2017

შინაარსი

თავი პირველი
კრიმინოლოგიის საგანი 1
1.1. პირველი კრიმინოლოგები 1
1.2. კრიმინოლოგია და სხვა მეცნიერებები 3
1.3. კრიმინოლოგიის კვლევის დარგები 3
1.4. კრიმინოლოგია და კრიმინალური პოლიტიკა 4
1.5. კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების ძირითადი საფუძვლები 5
1.6. კრიმინალური პოლიტიკის განხორციელება 10
1.7. შედარებითი კრიმინოლოგია 15

თავი მეორე
კრიმინოლოგიური კვლევა 16
2.1. კრიმინოლოგიის კვლევის მეთოდები 16
2.1.1. გამოკითხვა 17
2.1.2. დაკვირვება 19
2.1.3. ექსპერიმენტი 20
2.1.4. შინაარსის ანალიზი (კონტენტ-ანალიზი) 20
2.2. კრიმინალური სტატისტიკა 21
2.3. ლატენტური დანაშაული 27
2.3.1. ლატენტური დანაშაულის ცნება 27
2.3.2. ლატენტური დანაშაულის კვლევის მეთოდები 28

თავი მესამე
დანაშაულის ახსნა-განმარტების თეორიები 31
3.1. კრიმინოლოგიური თეორიები და მათი მნიშვნელობა 31
3.2. ბიოლოგიური თეორიები 32
3.2.1. ჩეზარე ლომბროზო 32
3.2.2. გამოკვლევები ტყუპების შესახებ 33
3.3. ფსიქოლოგიური თეორიები 34
3.3.1. ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორია 34
3.3.2. „განტევების ვაცის“ თეორია 35
3.3.3. აიზენკის კრიმინალური „თეორია“ (დანაშაული, როგორც წარუმატებელი განპირობებულობა) 37
3.4. სოციოლოგიური თეორიები 39

3.4.1. ანომიის თეორია 39
3.4.2. დაძაბულობის ზოგადი თეორია 44
3.4.3. ეტიკეტირების თეორია – **Labeling Approach** 44
3.4.4. სუბკულტურის თეორიები 47
3.4.4.1. სუბკულტურის ცნება **47**
3.4.4.2. ქოენის სუბკულტურის თეორია **49**
3.4.4.3. მილერის სუბკულტურის თეორია **51**
3.4.5. **Broken Windows** თეორია 52
3.4.6. დიფერენცირებული კავშირის თეორია 54
3.4.7. აკერსის და ბურგესის „სოციალური სწავლების“ თეორია 57
3.4.8. სოციალური კონტროლის თეორიები 58
3.4.8.1. ჰირშის კონტროლის (კავშირის) თეორია **58**
3.4.8.2. ნიეს კონტროლის თეორია **64**
3.4.9. ეკოლოგიური ანუ სოციალური დეზორგანიზაციის თეორია (ჩიკაგოს სკოლა) 66
3.4.10. რამდენიმე ფაქტორთა შეხედულება 68
3.4.11. კულტურის კონფლიქტის თეორია 70
3.4.12. ღირებულებები და დანაშაული 71
3.4.12.1. „Homo Sowjeticus“ **72**
3.4.12.2. „Homo Sowjeticus“-ი დღეს **73**
3.4.12.3. დასკვნა **74**

თავი მეოთხე
ორგანიზებული დანაშაული 75
4.1. ორგანიზებული დანაშაულის ცნება 75
4.2. ორგანიზებული დანაშაულის ისტორია (სიცილიური მაფია) 77
4.3. ორგანიზებული დანაშაული და კრიმინალური ქსელი 78
4.4. კრიმინალური ორგანიზაციების გამიჯვნა 81
4.5. კრიმინალური ორგანიზაცია „კანონიერი ქურდების“ წარმოშობა და განვითარება 82
4.6. „ქურდის ინსტიტუტი“ ძველ ქართულ წყაროებში 83
4.7. „კანონიერი ქურდების“ ცნების წარმოშობა 85
4.7.2. „კანონიერი ქურდების“ ნორმები 88
4.7.3. „კანონიერი ქურდების“ ორგანოები 88
4.7.3.1. „სხოდკა“ ანუ „სიეზდი“ **88**
4.7.3.2. „ობშიაკა“ **89**

4.7.4. ყარაჩოღელები და „კანონიერი ქურდები“ 90
4.8. „კანონიერი ქურდების“ წარმოშობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები 93
4.8.1. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია და სამოქალაქო ომი 94
4.8.2. მდიდარ გლეხთა გაკულაკება 95
4.8.3. 1937 წლის ტერორი საბჭოთა კავშირში 95
4.8.4. საბჭოთა რეჟიმის ბიუროკრატიული აპარატი და კორუფცია.....95
4.8.5. საბჭოთა ტერორის შედეგები.....96
4.8.6. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები და კრიმინალური ორგანიზაციის განვითარება 96
4.8.7. გაერთიანება „კანონიერი ქურდების“ ევოლუცია 99
4.9. ორგანიზებული დანაშაული: მითი თუ რეალობა?! 101

თავი მეხუთე
ფულის გათეთრება 108
5.1. ფულის გათეთრების ცნება 108
5.1.1. ფულის გათეთრების სისხლისსამართლებრივი ცნება 108
5.1.2. ფულის გათეთრების კრიმინოლოგიური განმარტება 109
5.1.3. ფულის გათეთრების საერთაშორისო განმარტება.....109
5.2. ფულის გათეთრების საკანონმდებლო რეგულირება..... 110
5.3. ფულის გათეთრების სამსაფეხურიანი სისტემა 111
5.3.1. განთავსება **(Placement)** 111
5.3.2. განაწილება **(Layering)** 112
5.3.3. ლეგალიზაცია **(Integration)**.....113
5.4. ფულის გათეთრების გამოვლენის ფორმები..... 114
5.4.1. ნაღდი ფულის გადარიცხვები 114
5.4.2. მოჩვენებითი ფირმები და ანგარიშები 114
5.4.3. ადვოკატების, ნოტარიუსების და სხვა „დარაჯების“ საქმიანობა..... 115
5.4.4. ფულის გათეთრება პოლიტიკოსების მიერ 116
5.4.5. ოფშერული ზონის ფირმები და ბანკები 116
5.5 ფულის გათეთრება „ქართულად“..... 117

თავი მეექვსე
დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ 118
6.1. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კრიმინოლოგიური შეფასება 120
6.1.1. სტატისტიკური მონაცემები 120
6.1.2. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შეფასება 120
6.2. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კრიმინოლოგიური შეფასება 123
6.2.1. სტატისტიკური მონაცემები 123
6.2.2. ჯანმრთელობის წინააღმდეგო მიმართული დანაშაულის შეფასება 124

თავი მეშვიდე
ეკონომიკური დანაშაული 126
7.1. თეთრსაყელოიანთა დანაშაული 126
7.2. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული 127
7.3. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სტატისტიკა 128
7.3.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა 128
7.3.2. შსს-ს სტატისტიკური მონაცემების ანალიზი 129
7.3.3. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები და მისი ანალიზი 130
7.4. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები 132

თავი მერვე
არასრულწლოვანთა დანაშაული 134
8.1. არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა 134
8.2. გარდატეხის პერიოდი მოზარდში 134
8.3. არასრულწლოვანთა სასჯელის სახეები 136
8.4. არასრულწლოვანთა სასჯელების ანალიზი 137
8.4.1. ჯარიმა 137
8.4.2. თავისუფლების აღკვეთა 138
8.4.3. შინაპატიმრობა 140
8.4.4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 141

8.5. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება და თავისებურება 141
8.6. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკა 142
8.7. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკის ანალიზი.. 144
8.8. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია 145
8.8.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური
განმარტება 145
8.8.2. არასრული ოჯახი - **Broken home** 146
8.8.3. სასწავლო დაწესებულება 147
8.8.4. თავისუფალი დრო და მეგობართა წრე 148
8.8.5. ქუჩის ბიჭები 150

თავი მეცხრე
ქალთა დანაშაული 152
9.1. ქალთა დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები..... 152
9.2. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი..... 153
9.3. ქალთა დანაშაულის განმარტების თეორიები 154
9.3.1. ბიოლოგიურ-ანთროპოლოგიური თეორიები 154
9.3.1.1. ლომბროზო და ფერერო (ფერი) **154**
9.3.1.2. სუსტობის თეორია **154**
9.3.1.3. სტაბილურობის თეორია **154**
9.3.2. სოციოლოგიური თეორიები 154
9.3.2.1. კავალერობის თეორია **154**
9.3.2.2. ორმაგი ზეწოლის თეორია **155**
9.3.2.3. ემანციპაციის თეორია **156**
9.3.2.3. მოდიფიცირებული ემანციპაციის თეორია **156**

თავი მეათე
ოჯახური ძალადობა 157
10.1. ოჯახური ძალადობის საკანონმდებლო რეგულირება 157
10.1.1. სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირება 157
10.1.2. სისხლისსამართლებრივი რეგულირება 158
10.1.3. ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულირება 158
10.1.3.1. შემაკავებელი ორდერი **158**
10.1.3.2. დამცავი ორდერი **159**
10.1.3.3. თავშესაფარი **160**
10.2. ოჯახური ძალადობის ტიპები და სახეები 160

10.3. ოჯახური ძალადობის სტატისტიკური მონაცემები 162
10.4. ოჯახური ძალადობის კვლევა 163
10.5. ოჯახური ძალადობის კრიმინოლოგია 164

თავი მეთერთმეტე
ნარკომანია და ნარკოტიკული დანაშაული 166
11.1. ნარკოტიკული ნივთიერებების სახეები 166
11.1.1. მარიხუანა, კანაფის პროდუქტები 166
11.1.2. ჰეროინი 167
11.1.3. კოკაინი 168
11.1.4. სუბუტექსი 168
11.2. ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება 169
11.2.1. ფსიქიკური დამოკიდებულება 169
11.2.2. ფიზიკური დამოკიდებულება 170
11.3. ნარკომანობის ახსნა-განმარტების თეორიები 170
11.3.1. ფსიქოანალიტიკური თეორია 170
11.3.2. ბიოლოგიურ-მედიცინური თეორია 170
11.3.3. სოციალიზაციის თეორია 170
11.3.4. სწავლების ფსიქოლოგიური თეორია 171
11.3.5. ეტიკეტირების თეორია 171
11.3.6. საზოგადოებრივი კრიზისის „თეორია“ 171
11.4. მსუბუქიდან ძლიერ ნარკოტიკზე გადასვლა 171
11.5. ნარკოტიკული დანაშაულობის საკანონმდებლო რეგულირება 172
11.6. ნარკოტიკული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები 174
11.6.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები 174
11.6.2. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები 175
11.6.3.სტატისტიკური მონაცემების ანალიზი 175
11.7. ახალი ნარკოპოლიტიკა 176

თავი მეთორმეტე
დანაშაულის პრევენცია 181
12.1. დანაშაულის პრევენციის ცნება 181
12.2. დანაშაულის პრევენციის სახეები 182
12.2.1. პირველი დონის პრევენცია 182
12.2.2. მეორე დონის პრევენცია 183

12.2.3. მესამე დონის პრევენცია 184
12.3. სისხლის სამართლის და სასჯელის პრევენციის სახეები 185
12.3.1. გენერალური/ზოგადი პრევენცია 186
12.3.1.1. პოზიტიური გენერალური პრევენცია 186
12.3.1.2. ნეგატიური გენერალური პრევენცია 186
12.3.2. სპეციალური პრევენცია 187
12.3.2.1. პოზიტიური სპეციალური პრევენცია 187
12.3.2.2. ნეგატიური სპეციალური პრევენცია 187
12.4. სასჯელისადმი დამოკიდებულება 187

თავი მეცამეტე
ვიქტიმოლოგია 190
13.1. ვიქტიმოლიგიის ცნება 191
13.2. დანაშაულის მსხვერპლის ცნება 192
13.3. პიროვნების ვიქტიმირების პროცესის სახეები 193
13.3.1. პიროვნების პირველადი (ძირითადი) ვიქტიმირება 193
13.3.2. პიროვნების მეორეული (არაძირითადი) ვიქტიმირება 193
13.3.3. პიროვნების მესამეული ვიქტიმირება 193
13.4. მსხვერპლის ტიპოლოგიები 194
13.5. ვიქტიმოლოგიის თეორიები 195
13.5.1. „ცხოვრების წესის“ თეორია 195
13.5.2. ყოველდღიური აქტიურობის თეორია 195
13.5.3. „კულტურული“ ვიქტიმიზაციის თეორია 196
13.5.4. „ნასწავლი“ დაუხმარებლობის (დასწავლილი უმწეობის) თეორია 196
13.6. მსხვერპლის მიერ დანაშაულის შეტყობინება 197

თავი მეთოთხმეტე
დანაშაული 200
14.1. დანაშაულის ცნება 200
14.1.1. დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ცნება 201
14.1.2. დანაშაულის სოციოლოგიური ცნება 201
14.1.3. დანაშაულის სისხლისსამართლებრივ-სოციოლოგიური განმარტება 202
14.1.4. დანაშაულის კრიმინოლოგიური განმარტება 202
14.2. დანაშაულის განმარტების ცვალებადობა 203
14.3. დანაშაულის ტიპოლოგია პინატელის მიხედვით 204

14.4. დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებელი 204
14.5. დანაშაულის პროგნოზი..... 205
14.6. დანაშაულისა და მართლმსაჯულების ეკონომიკური ანა-
ლიზი..... 207

თავი მეთხუთმეტე
დამნაშავე..... 211
15.1. სერიული დამნაშავის პიროვნული და სოციალური პრო-
ფილი 212
15.1.1. პიროვნული პროფილი.....212
15.1.1.1. ინტელიგენტობა 212
15.1.1.2. იმპულსურობა.....213
15.1.2. სოციალური პროფილი 213
15.1.2.1. ოჯახი.....214
15.1.2.2. სკოლა 215
15.1.2.3. თანატოლებთან ურთიერთობა.....216
15.1.2.4. თავისუფალი დროის გატარება.....216
15.1.2.5. ალკოჰოლი და ნარკოტიკული ნივთიერებები 217
15.1.2.6. სამსახური და ეკონომიური მდგომარეობა 218
15.2. დამნაშავე პირის ტიპოლოგია 218

თავი მეთექვსმეტე
მასმედიის საშუალებები და დანაშაული 223
16.1. მასმედიის კრიმინოლოგიური მნიშვნელობა 223
16.2. ტელევიზია და აგრესია 225
16.2.1. სატელევიზიო აგრესიის თეორიული საფუძველი.....226
16.2.2. სატელევიზიო ძალადობასთან დაკავშირებული
კვლევები.....228
16.2.3. ძალადობის შემცველი კომპიუტერული თამაშები და მათი
ზეგავლენა 228

თავი მეჩვიდმეტე
ძალადობის კრიმინოლოგიური ასპექტები 231
17.1. აგრესიის ცნება 232
17.2. ძალადობის ცნება 233
17.3. ძალადობის ფორმები..... 233
17.3.1. ფიზიკური ძალადობა..... 233

17.3.2. ფსიქოლოგიური ძალადობა 234
17.3.3. სტრუქტურული ძალადობა 236
17.4. ძალადობის ახსნა-განმარტება კრიმინოლოგიური თეორიებით 237
17.4.1. აგრესია, როგორც დაბადებითი ინსტინქტი 237
17.4.2. ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია 237
17.4.3. სოციალურ-სტრუქტურული თეორიები 238
17.4.4. ანომიის თეორია 238
17.4.5. დასწავლის სოციალური თეორია 239
17.4.6. ფსიქოანალიტიკური თეორია 240
17.4.7. რენე ჟირარის მიმეტური თეორია 240
17.5. ძალადობის პრევენცია - „პირველი ქვის სროლის“ პრინციპი 241

თავი მეთვრამეტე
ქალაქის არქიტექტურული მოწყობა და დანაშაული 243
18.1. კვლევები ქალაქის არქიტექტურული მოწყობისა და დანაშაულის შესახებ 244
18.1.1. არჩერის და გერტნერის კვლევა 244
18.1.2. ჩიკაგოს სკოლის კვლევები 244
18.1.3. ოსკარ ნიუმანის კვლევა 245
18.1.4. კვლევა „სტალინური“ და „ტოტალიტარული“ არქიტექტურის შესახებ 245
18.2. აგრესია-ფრუსტრაცია 246
18.3. მაღალსართულიანი სახლები და სოციალური კონტროლი 246
18.4. საცხოვრებელი გარემო და დანაშაული 247
18.5. დანაშაულის თავიდან აცილება და ქალაქის დაგეგმარება 248

თავი მეცხრამეტე
ინტერნეტდანაშაული 250
19.1. **Cyber Crime** –კიბერდანაშაული, ინტერნეტდანაშაული 250
19.2. ყველაზე გავრცელებული უკანონო ქმედებები 251
19.2.1. ფიშინგი 251
19.2.2. ჰაკინგი/ჰაკერები 252
19.2.3. ტროიას ცხენი 252
19.3. ინტერნეტ (კიბერ-) ბულინგი/მობინგი 253
19.4. ინტერნეტდამოკიდებულება 254

19.5. კიბერდანაშაული საქართველოში და მასთან დაკავშირებული
რეგულაციები 255
19.6. კიბერდანაშაულის პრევენცია 257

თავი მეოცე
ტერორიზმი 260
20.1. ტერორიზმის ფორმები 260
20.2. ისლამური (რელიგიური) ტერორიზმი 261
20.3. ინტერნეტი, როგორც ტერორიზმის პროპაგანდის იარაღი.... 264
20.4. ტერორიზმის გამომწვევი მიზეზები 265
20.4.1. ტერორიზმის ახსნა-განმარტება კულტურის კონფლიქტის
თეორიით 266
20.4.2. ტერორიზმის ახსნა-განმარტება დეპრივაციის თე-
ორიით 266
20.4.3. ტერორიზმის ახსნა-განმარტება საზოგადოებრივი ფაქტო-
რებით 267
20.5. ტერორიზმის პრევენცია 267

თავი ოცდამეერთე
კაზუსის ამოხსნის მეთოდი კრიმინოლოგიაში 269
21.1. კაზუსის ამოხსნის სქემა 269
21.2. პირველი კაზუსი: ყაჩაღობა 271
21.3. მეორე კაზუსი: მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში 278

ბიბლიოგრაფია 284

თავი პირველი

კრიმინოლოგიის საგანი

კრიმინოლოგია არის ადამიანთა გამოცდილების სისტემურ ერთიანობაზე დამყარებული მეცნიერება დანაშაულის, დამნაშავის, ნეგატიური სოციალური გამოხატულებებისა და დანაშაულებრივი ქმედების კონტროლის შესახებ.[1] კრიმინოლოგიური კვლევა დაფუძნებულია სისტემატიურად შეგროვილ გამოცდილებაზე. კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება, შეიძლება სამ ცნებაში გამოიხატოს: **დანაშაული, დამნაშავე და დანაშაულის კონტროლი.** ამ სამ სფეროში იგულისხმება აგრეთვე დანაშაულის მსხვერპლი და ჩადენილი დანაშაულის პროფილაქტიკა, ასევე დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებების შემუშავებაში ხელის შეწყობა.

კრიმინოლოგია ეყრდნობა სისხლის სამართლის ნორმებს,[2] ამ ნორმების გამოყენებიდან დამდგარ შედეგებს და ახდენს მათ ანალიზს.

თუ სისხლის სამართალი ნორმებზე ორიენტირებული მეცნიერებაა, კრიმინოლოგია, პირველ რიგში, ემპირიული, არანორმატიული[3] მეცნირებაა, რომელიც, როგორც აღინიშნა, ადამიანთა გამოცდილებაზეა დამყარებული.[4]

“criminoligie“ ლათინური სიტყვაა. იგი არის “crimen“-დან წარმოშობილი და ნიშნავს მოძღვრებას დანაშაულზე. ეს სიტყვა 1879 წელს პირველად გამოიყენა ფრანგმა ანთროპოლოგმა ტოპინარდიმ. ექვსი წლის შემდეგ იტალიელმა იურისტმა გაროფალომ სიტყვა კრიმინოლოგია გამოიყენა როგორც ცნება და სათაურად თავისი წიგნისა “criminoligie“.[5]

1.1. პირველი კრიმინოლოგები

პირველი კრიმინოლოგიური, გამოცდილებაზე დამყარებული აზროვნება, შუა საუკუნეებში ჩნდება. იმ დროს, როდესაც სასჯელი „ღმერთის განაჩენს“ წარმოადგენდა, გაჩნდა პირველი მცდელობა გამოცდილებაზე დამყარებული მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში გამოყენებულიყო.[6] ამ მხრივ აღსანიშნავია 1302 წლის შემთხვევა ბოლონიაში (იტალია), როდესაც ადგილი ჰქონდა მოსამართლის მიერ სხეულის გაკვეთას. ეს იყო პირველი, ადამიანის ანატომიაზე დამყარებული კვლევა პირის სიკვდილის დადგენის მიზნით.[7]

კრიმინოლოგიის თეორიულ საფუძველს ძალიან დიდი ხნის შემდეგ ჩაეყარა საფუძველი. კრიმინოლოგიაში თეორიული იმპულსების პირველ წარმომადგენლებად ითვლებიან:[8]

1. იტალიელი მათემატიკოსი და ეკონომისტი ჩეზარე ბეკარია (1738-1794), რომელიც 1764 წელს გამოქვეყნებული ნაშრომით –“Dei delitti e dele pene“ – „დანაშაულთა და სასჯელის შესახებ“ - მაშინდელ სისხლის სამართლის და

---

[1]Kaiser, G., 1996. S. 1.
[2]სურგულაძე, ლ., 1997. გვ. 6.
[3]მჯედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2014. გვ. 10.
[4]Schwind, H-D., 2008. S. 7.
[5]Kaiser, G., 1996. S. 1.
[6]Meier, B.-D., 2007. S. 13.
[7]Kaiser, G., 1996. S. 110.
[8]Meier, B.-D., 2007. S. 13.

სასჯელაღსრულების პოლიტიკას აკრიტიკებს და დანაშაულის პრევენციაზე დამყარებული ახალ სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებას ითხოვს;[9]

2. უტილიტარისტული[10] მიმართულების ერთ-ერთი დამფუძნებელი ინგლისელი იერემია ბენთამი (1748-1832). ბენთამის აზრით, სამართლის უპირატესი ფუნქცია სოციალური მშვიდობის დაცვაა. მისი თქმით, სასჯელი, რომელიც ბოროტებას წარმოადგენს, მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, თუ მისი მეშვეობით ხდება იმაზე მეტი სიკეთის დაცვა, რასაც თავად სასჯელი ხელყოფს;[11]

3. ინგლისელები: სამუელ რომილი (1757-1818), რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქურდობისა და მათხოვრობისათვის სიკვდილით დასჯის გაუქმებაში და ჯონ ჰოვარდი (1726-1833), რომელიც ციხის რეფორმის მომხრედ გამოდიოდა;

4. გერმანელი მეცნიერი იოჰან ანზელმ ფოიერბახი (1775-1833), რომელიც სიკვდილის დასჯის მოწინააღმდეგე იყო, დიდი როლი შეასრულა წამების გაუქმების საქმეში და 1813 წელს ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე სისხლის სამართლის კოდექსს ჩაუყარა საფუძველი.

ზემოაღნიშნული რეფორმები მეცნიერებაში ცნობილია „კლასიკური სკოლის“ სახელით. „კლასიკური სკოლის“ მიმდევართათვის დამახასიათებელი იყო, რომ ისინი ადამიანს, როგორც რაციონალურ, ინტელექტუალურ და საკუთარ საქციელზე პასუხისმგებელ არსებად მიიჩნევდნენ.[12] მათი აზრით, ადამიანი მაშინ ჩადიოდა დანაშაულს, როდესაც დანაშაულებრივი ქმედებიდან მიღებულ პოტენციურ სარგებელს, უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეეძლო მისთვის, ვიდრე, დანაშაულის გახსნის შემთხვევაში, მას სასჯელის სახით შეიძლება დაკისრებოდა.[13]

ემპირიული კრიმინოლოგიური კვლევის „პიონერი“ იყო იტალიელი ექიმი ჩეზარე ლომბროზო. ლომბროზომ, როგორც ექიმმა, მონაწილეობა მიიღო 1859-1865 წლების იტალიის განმათავისუფლებელ ომში. 1867 წელს 32 წლის ასაკში გახდა პავიას (იტალიის) უნივერსიტეტის სულით ავადმყოფთა კლინიკის პროფესორი. 1876 წელს ტურინის უნივერსიტეტის სასამართლო მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი.[14]

ლომბროზომ 1876 წელს გამოსცა ნაშრომი “L’uomo delinquente“ – „დაბადებით დამნაშავე“ - და გამოთქვა შეხედულება, რომ დამნაშავეების იდენტიფიკაცია შესაძლებელი იყო სხეულის გარეგანი ნიშნებით. ლომბროზოს ამის თქმის საფუძველს აძლევდა იტალიის დამოუკიდებლობის ომის დროს და მოგვიანებით ციხის პირობებში 4 000 ადამიანის სხეულზე ჩატარებული (დაკვირვება) კვლევები და ძველი მეცნიერების (Giovani Batista della Porta - 1545-1615, Josef Gall - 1758-1828) ნაშრომები, რომლებიც მან მეცნიერულად დაამუშავა და გაანალიზა.[15]

---

[9]ჩეზარე ბეკარიას შესახებ იხ. ღლონტი, გ. (რედ.), 2008. გვ. 368-369.

[10]უტილიტარიზმი (ლათ. utilis – გამოყენებადი) არის ეთიკის და სოციალფილოსოფიის თეორია, რომელიც ქმედების შეფასებას ახდენს იმის მიხედვით, თუ რა „ზომით“ შეძლო ამ ქმედებამ ბედნიერების მოტანა, რომელიც ადამიანთა დიდი ნაწილისათვის საასარგებლო იქნება. Meyers Grosses Universal Lexikon: in 15 Bd. Band 14. Zürich u.a. 1985. S. 612.

[11]ღლონტი, გ. (რედ.), 2008. გვ. 370.

[12]Meier, B.-D., 2007. S. 14.

[13]იქვე.

[14]Schwind, H-D., 2008. S. 91.

[15]იგივე, გვ. 93.

1.2. კრიმინოლოგია და სხვა მეცნიერებები

კრიმინოლოგიის მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანია სისხლის სამართალთან ერთად სხვა ისეთ მეცნიერებებთან ურთიერთობა, რომლებიც კრიმინოლოგიას ეხმარებიან ადამიანთა გამოცდილების მოპოვებასა და მიღებული ინფორმაციის ანალიზში. ეს მეცნიერებებია:

სოციოლოგია: სოციოლოგია არის მეცნიერება, რომელიც ცდილობს საზოგადოების ან მისი ცალკეული ნაწილების სტრუქტურის, ფუნქციონირების და განვითარების პირობების აღწერას და გაანალიზებას. კრიმინალსოციოლოგია არის სოციოლოგიის ნაწილი, რომელიც დანაშაულს, როგორც საზოგადოების თანაცხოვრების მასობრივ გამოვლინებას ისე აფასებს და ცდილობს დანაშაულის საზოგადოებრივი მიზეზები შეისწავლოს.[16]

ფსიქოლოგია: ფსიქოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადამიანის გონებრივ და სულიერ ფუნქციონირებას. კრიმინალური ფსიქოლოგია არის ფსიქოლოგიის მეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის დამნაშავის სულიერ (ფსიქიკურ) მდგომარეობას, მის პიროვნებას და ჩადენილ დანაშაულთან მის ფსიქიკურ დამოკიდებულებას.[17]

ფსიქიატრია: ფსიქიატრია არის მეცნიერება სულიერი (ფსიქიკური) დაავადებების და მათი მკურნალობის შესახებ. კრიმინალფსიქიატრია არის ფსიქიატრიის ნაწილი, რომელიც სწავლობს ადამიანის ფსიქიკურ დაავადებას, როგორც დანაშაულის გამომწვევ ფაქტორს.[18]

ნეირობიოლოგია: ნეირომეცნიერება ცდილობს ნერვიული სისტემის შესწავლით განსაზღვროს, განმარტოს აგრესიული, ძალადობრივი ქცევა.

კრიმინალისტიკა: კრიმინოლოგია და კრიმინალისტიკა ხშირად ერევათ ადამიანებს ერთმანეთში. ყველაზე ცნობილი კრიმინალისტი „იყო“ შერლოკ ჰომსი. მართალია, ორივე მეცნიერება დანაშაულს სწავლობს, მაგრამ ამ ორ მეცნიერებას შორის მაინც დიდი განსხვავებაა. თუ კრიმინალისტიკა კონკრეტული დანაშაულის გახსნით არის დაკავებული, კრიმინოლოგია სწავლობს ამ დანაშაულის ან პირის დამნაშავედ გახდომის გამომწვევ მიზეზებს.[19]

კრიმინალისტიკის დანიშნულება არის ჩადენილი დანაშაულის გახსნა, ე.ი. დანაშაულის ჩამდენი პირის დადგენა.[20]

1.3. კრიმინოლოგიის კვლევის დარგები

კრიმინოლოგიის კვლევის დარგებია:

1. კრიმინალური სტატისტიკა
2. დაფარული (ლატენტური) დანაშაული
3. კრიმინალური ეტიმოლოგია
   - კრიმინალური ბიოლოგია: დამნაშავეობა მემკვიდრეობით გადაეცემა ადამიანს.

---

[16]იგივე, გვ. 8.
[17]Egg, R., 1993. S. 162.
[18]იქვე.
[19]Schwind, H-D., 2008. S. 10.
[20]იქვე.

- კრიმინალური სოციოლოგია: დამნაშავეობა საზოგადოებრივი პირობებიდან წარმოიქმნება.
- კრიმინალური ფსიქოლოგია: დამნაშავეობა თითოეული პირის ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარეობს.

4. ვიქტიმოლოგია: მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ.
5. პენოლოგია: მეცნიერება სასჯელის შესახებ ანუ სასჯელაღსრულების სახეების და მათი აღსრულების შესახებ.[21]
6. ინსტიტუციური კვლევა (სასამართლო, პროკურატურა, პოლიცია).
7. კრიმინალპრევენცია: მეცნიერება სასჯელის მიზნის შესახებ.

1.4. კრიმინოლოგია და კრიმინალური პოლიტიკა

კრიმინალურ პოლიტიკად შეიძლება მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო სტრუქტურების დანაშაულთან ბრძოლის მოვალეობა, რაც გულისხმობს არა მხოლოდ რეპრესიული ქმედებების, არამედ სისხლისსამართლებრივი სასჯელის გარდა, სხვა პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას.[22]

ლიტერატურაში გამოიყენება კრიმინალური და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა უფრო ვიწრო სფეროა კრიმინალური პოლიტიკის, როცა კრიმინალური პოლიტიკა, როგორც ცნება აერთიანებს ყველა იმ პოლიტიკურ სფეროს, რომელიც დანაშაულს ებრძვის (სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, საპოლიციო, საპროკურორო, პენიტენციური პოლიტიკა).

კრიმინალური პოლიტიკა შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად: რაციონალური, ემოციური და პოპულისტური.[23]

ქვეყნის რაციონალური კრიმინალური პოლიტიკა სახეზეა, თუ იგი საზოგადოების სოციალურ და ეთიკურ ნორმებს აკმაყოფილებს და მეცნიერულ (მათ შორის კრიმინოლოგიური) კვლევებზეა ორიენტირებული.

ქვეყნის ემოციური კრიმინალური პოლიტიკა გულისხმობს ქვეყნის საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოს წარმომადგენლების და მეცნიერების მიერ კრიმინალური პრობლემების ემოციურად გადაწყვეტას.[24] ემოციურად უნდა იქნეს მიჩნეული არა მხოლოდ ლობისტების მიერ ზეწოლის ნებისმიერი ფორმის განხორციელება, არამედ კოლექტიური გრძნობების ზეგავლენით მიღებული გადაწყვეტილებაც.[25]

ქვეყნის პოპულისტურ კრიმინალურ პოლიტიკაში იგულისხმება კრიმინალ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მასმედიის და საზოგადოებრივი გამოკითხვის ზეგავლენა. გერმანიაში ჩატარებულმა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენეს, რომ პოლიტიკა და საკანონმდებლო ორგანოები მასმედიის გავლენის ქვეშ ხშირად ექცევიან.[26] პოლიტიკოსები და დეპუტატები სწრაფად და „ეფექტურად“ რეაგირებენ

---

[21]პენოლოგიის შესახებ ვრცლად იხ.: ბახტაძე, უ., 2016. გვ.90.
[22]Schwind, H-D., 2008. S. 14.
[23]იქვე.
[24]ემოციურ პოლიტიკად არის მიჩნეული გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მიერ 2016 წელს ლტოლვილთა მიმართ განხორციელებული პოლიტიკა. Schwind, H-D., 2016. S. 749.
[25]Schüler-Springorum, H., 1991. S. 186-189.
[26]Pfeiffer, C./Wetzels, P., 2006. S. 1095-1127.

მასმედიის მიერ არასწორად ინტერპრეტირებულ და გადმოცემულ ინფორმაციაზე ქვეყნის კრიმინალური სიტუაციის შესახებ, რაც არასასურველი კრიმინალური პოლიტიკის წარმართვას უწყობს ხელს.[27] პოლიტიკოსების ამგვარი საქციელი აიხსნება სახელმწიფო ძალის დემონსტრირებით, რომლის მიზანია სწრაფი და მკაცრი რეაგირება მოსახლეობის ერთი ნაწილის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.[28]

მეცნიერული გაგებით, კრიმინალური პოლიტიკა დამოკიდებულია მეცნიერული მეთოდებით, სისტემატიურად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზზე, რომლის გათვალისწინებითაც ხდება ქვეყნის კრიმინალური სტრატეგიის, ტაქტიკის, სასჯელის სახეების და ზომების დაგეგმა და განხორციელება.[29] პრაქტიკული თვალსაზრისით, კრიმინალური პოლიტიკა მხოლოდ სახელმწიფო საქმიანობას გულისხმობს, რომელიც ქვეყნის ძირითადი პრინციპებიდან და სტრატეგიიდან გამომდინარეობს და სამართლის ნორმის საშუალებით, ძირითადად, იურისტების მიერ ხორციელდება და დანაშაულის კონტროლს ისახავს მიზნად.[30]

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ კრიმინალური პოლიტიკა ან დამნაშავეობასთან ბრძოლის პოლიტიკა არის „ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს მისი ეკონომიკური, სოციალური და იდეოლოგიური [საზოგადოებრივი ღირებულებების ჩამოყალიბების] პოლიტიკის ეფექტურ ფუნქციონირებას.“[31]

კრიმინოლოგია, როგორც მეცნიერება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. კრიმინოლოგიური კვლევები და მათი ანალიზი ძირითადი საფუძველია ქვეყნის კრიმინალური პოლიტიკის განსაზღვრაში. კრიმინოლოგიური ცოდნით გაჯერებული კრიმინალური პოლიტიკა ზედმიწევნით უწყობს ხელს სახელმწიფო კრიმინალური პოლიტიკით საზოგადოების კმაყოფილებას.

1.5. კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების ძირითადი საფუძვლები

კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს მნიშვნელოვანია იმ პრიორიტეტებისა და ასპექტების გამოყოფა, რომლის დაცვასაც სახელმწიფო ყოველთვის ეცდება. კონკრეტულ საკითხზე კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს მნიშვნელოვანია დაცულ იქნეს როგორც ცალკეული ინდივიდების, ასევე ზოგადად საზოგადოების ინტერესები.

კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია:

- **ადამიანი, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს დაცვის ობიექტი**

კრიმინალური პოლიტიკა შემუშავებულია და ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ზიანი ადგება ადამიანს; დამნაშავეები ადამიანებს აყენებენ ფიზიკურ, მორალურ (ფსიქოლოგიურ),

---

[27]იგივე, გვ. 1096.
[28]იქვე.
[29]Kaiser, G., u.a. (Hrsg.), 1985. S. 248.
[30]იგივე, გვ. 249.
[31]ივანიძე, მ., 2008. გვ. 56.

სოციალურ ზიანს და მატერიალურ ზარალს.[32] სამართლებრივი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა იზრუნოს საკუთარ მოქალაქეებზე, დაიცვას ისინი დანაშაულებრივი ქმედებისგან, შეამციროს დანაშაული და ებრძოლოს მას.[33] ადამიანებს არ სურთ დანაშაულის შიშში იცხოვრონ, შესაბამისად, მათ საკუთარი უსაფრთხოება მიანდეს სახელმწიფოს, რომელიც რაციონალური კრიმინალური პოლიტიკით ცდილობს საკუთარი მოქალაქეების დაცვას დამნაშავეებისაგან. სახლმწიფოს მიერ საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების დაცვა უფრო მარტივია, ვიდრე თავად მოქალაქეების მიერ. არცერთ დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს არ სურს, რომ საკუთარი მოქალაქეები ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულები იცავდნენ თავს თანამოქალაქეებისაგან. შეიარაღებული პირების არსებობამ გასული საუკუნის 90-იან წლებში მეტად მძიმე სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივ მდგომარეობაში ჩააგდო საქართველო. შესაბამისად, სახლმწიფო ორგანოების ვალდებულება სწორედ ის არის, რომ მოქალაქეები ერთმანეთისგან დაიცვას.[34]

ადამიანი, როგორც სულიერი არსება და ინდივიდი, მიისწრაფვის სხვა ადამიანებთან თანაცხოვრებისა და პიროვნული განვითარებისაკენ.[35] სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა (მათ შორის კრიმინალური პოლიტიკის) ხელი შეუწოს მის ამ მისწრაფებას.[36]

- **ადამიანის პატივი და ღირსება**

ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილების თანახმად, „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენენ ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება კი მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც“. ღირსება გააჩნია უკლებლივ ყველა ადამიანს მიუხედავად მათი ასაკის, ეროვნების, წარმოშობის თუ ნებისმიერი ხასიათის

---

[32]შალიკაშვილი, მ., 2012. გვ. 59.

[33]Tipke, K., 1998. S. 51; საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 104. (ე. გოცირიძე).

[34]Tipke, K., 1998. S. 51.

[35]გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. BVerfG NJW 1977, S. 1526.

[36]„სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულებანი, შექმნას პირობები პიროვნების თავისუფალი განვითარებისათვის. მაგალითად, უზრუნველყოს სახელშეკრულებო თუ კონკურენციის თავისუფლება, ინფორმაციის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობა, კულტურული და ბუნებრივი გარემოთი სარგებლობის, პოლიტიკური თუ სამოქალაქო აქტიურობის შესაძლებლობა, გარემოსა და ინდუსტრიული ჰიგიენის დაცვა, გადამდებ დაავადებათა კონტროლი და თავიდან აცილება, მოქალაქეთა სოციალური დაცვა და დაზღვევა, საცხოვრებლის, კვებისა და ცხოვრების პირობების ადეკვატური სტანდარტები, ხელი შეუწყოს ხალხის აქტიურ მონაწილეობას ყველა სფეროში, განსაკუთრებით მოზარდი თაობის, აგრეთვე, უნარშეზღუდული ადამიანების, რათა ისინი არ აღმოჩნდნენ გარიყული საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან“. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 104. (ე. გოცირიძე).

მდგომარეობისა.[37] სახელმწიფო ვალდებულია კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს დაიცვას ადამიანის პატივი და ღირსება.[38] ადამიანის პატივისა და ღირსების დარღვევად ჩაითვლება ისეთი კრიმინალური პოლიტიკა, რომელიც, ადამიანს, როგორც ობიექტს მიზნის მიღწევის საშუალებად გამოიყენებს.[39]

- **ჰუმანურობა**

ჰუმანიზმი გულისხმობს კაცთმოყვარეობას, ადამიანის სიყვარულს, მისი პიროვნებისადმი პატივისცემას. ჰუმანური კრიმინალური პოლიტიკის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს სიკვდილით დასჯის გაუქმება 1997 წელს.[40] კრიმინალური პოლიტიკის ჰუმანიზაციად უნდა ჩაითვალოს ასევე ალტერნატიული სასჯელების გამოყენება და თავისუფლების აღკვეთის ვადის შემცირება.[41] ჰუმანიზმის პრინციპის თანმდევ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული მსჯავრდებულის რესოციალიაზია,[42] ვინაიდან მხოლოდ რესოციალიზირებულმა მსჯავრდებულმა შეიძლება შეძლოს სხვა ადამიანის (საზოგადოების წევრების) პატივისცემა და სიყვარული. შესაბამისად, ჰუმანური კრიმინალური პოლიტიკის განხორციელება პირდაპირ კავშირშია მსჯავრდებულის რესოციალიზაციასთან, რაც სოციალური სახელმწიფოს პირდაპირ ვალდებულებას წარმოადგენს.[43]

- **პლურალიზმი და ტოლერანტობა**

პლურალიზმისა და ტოლერანტობის პრინციპის დაცვა მნიშვნელოვანია კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს, ვინაიდან არ შეიძლება სისხლის სამართალი გამოყენებულ იქნეს განსხვავებული რელიგიისა თუ შეხედულების მქონე ადამიანების მიმართ. სისხლის სამართლის დანიშნულება უფრო არის უზრუნველყოს სამოქალაქო სიმშვიდე, სხვადასხვა რელიგიური თუ შეხედულებების მქონე ადამიანების თანაცხოვრება და ჩაერიოს ისეთი შემთხვევების დროს, რომელიც ამ სიმშვიდეს, თანაცხოვრებას უშლის ხელს.[44]

ტოლერანტობაზე დაფუძნებულ კრიმინალურ პოლიტიკას ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს დამნაშავეების მიმართ, მით უფრო თუ ისინი არასრულწლოვნები არიან ან პირველად აქვთ ჩადენილი ნაკლებად მძიმე დანაშაული.[45] ტოლერანტულმა კრიმინალურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებას. სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილ ტოლერანტობას (შემწყნარებლობას) დამნაშავე არ უნდა იგებდეს მართლმსაჯულების სისუსტედ, არამედ მისთვის ეს უნდა იყოს შანსი გამოსწორებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის. ამ

---

[37]საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. 2013. გვ. 109. (ე. გოცირიძე)

[38]გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. BVerfG NJW 1977, S. 1526.

[39]იქვე.

[40]შალიკაშვილი, მ./ მიქანაძე, გ./ ხასია, ზ., 2014. გვ. 12.

[41]Zipf, H., 1980.S. 48.

[42]იგივე, გვ. 50.

[43]ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ./ მიქანაძე, გ./ ხასია, ზ., 2014. გვ. 30-34.

[44] Zipf, H., 1980. S. 50.

[45]იგივე, გვ. 51.

მხრივ, საინტერესოა განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროგრამა, რომელიც საქართველოში დიდი წარმატებით ხორციელდება 2010 წლიდან.[46]

- **სუბსიდირების პრინციპი**

სუბსიდირების პრინციპს (Subsidiaritätsprinzip) მეტად დიდი მნიშვნელობა გააჩნია კრიმინალური პოლიტიკის დროს. ეს ცნება მომდინარეობს ლათინური ენდიან – subsidium - და ნიშნავს დახმარებას, რეზერვს. კრიმინალური პოლიტიკის დაგეგმის, განხორციელების დროს სისხლისსამართლებრივი ხასიათის რეაგირება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი და სასურველი, თუ სხვა საზოგადოებრივი ნორმის დაცვის მექანიზმები (არაფორმალური სოციალური კონტროლი, ადმინისტარციული ხასიათის იძულების მექანიზმები) საკმარისი არ არის სამართლებრივი სიკეთის დასაცავად.[47] ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც სისხლისსამართლებრივი ხასიათის რეაგირება აუცილებელია, გამოყენებულ უნდა იქნეს ყველაზე მსუბუქი სისხლისსამართლებრივი საშუალება, თუ ეს მიზნის მიღწევას ასევე უზრუნველყოფს.[48] მაგალითად, თუ ჯარიმას შეუძლია იგივე მიზნის (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია) მიღწევა, რაც თავისუფლების აღკვეთას, სასურველია ჯარიმის დაწესება, გამოყენება. ხშირად სისხლის სამართალი ხდება სახლმწიფოს ის მძლავრი იარაღი, რომელსაც იგი ყველაფრისთვის იყენებს, რისი შიშიც აქვს.[49] აღნიშნული კი რაციონალურ კრიმინალურ პოლიტიკას და სუბსიდირების პრინციპს ეწინააღმდეგება.

- **რაციონალობა, გონივრულობა, პრაქტიკულობა და ეფექტურობა**

კრიმინალური პოლიტიკა ასევე უნდა იყოს რაციონალური, გონივრული, პრაქტიკული და ეფექტური.[50]

რაციონალური/გონივრული გულისხმობს, რომ კრიმინალური პოლიტიკის ზოგადი და კონკრეტული საკითხები მიმართული უნდა იყოს დანაშაულის ბრძოლის წინააღმდეგ. სისხლისსამართლებრივი დოგმატიკა (მატერიალური ნაწილი) თვითმიზანი კი არ არის, არამედ სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილის თითოეული ნორმა, შეხედულება ერთიანი კრიმინალური პოლიტიკის კონცეფციის ნაწილია. რაციონალურმა და გონივრულმა კრიმინალურმა პოლიტიკამ უნდა შეძლოს, ადამიანის უფლებების დარღვევის გარეშე, რეპრესიული და პრევენციული მექანიზმების გამოყენებით, დანაშაულის შემცირება.[51] ამ მხრივ, მეტად საინტერესო მაგალითია საქართველოში სსკ 223[1] მუხლის შემოღება 2006 წელს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული კრიმინალური პოლიტიკა ითვალისწინებდა დანაშაულის (მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის „კანონიერი ქურდის“ინსტიტუტის) მიმართ ბრძოლას. ეს ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა სისხლის სამართლის კოდექსში შესაბამისი 223[1] მუხლის შემოღების გარეშე; ისეთი ნორმის, რომელიც კანონიერ ქურდობას და/ან ქურდული სამყაროს წევრობას დასჯად ქმედებად გამოაცხადებდა. ამგვარი ხასიათის კრიმინალური პოლიტიკა მიჩნეულ უნდა იქნეს სწორედ

---

[46]ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ., 2016. გვ. 90-118.
[47] Zipf, H., 1980. S. 52.
[48]იგივე, გვ. 53.
[49] Lange, H-J (Hrsg.)., 2006. S. 163.
[50] Zipf, H., 1980. S. 54.
[51] Lange, H-J (Hrsg.)., 2006. S. 163.

რაციონალურად (დამნაშავეობის ბრძოლისკენ მიმართულად), მითუმეტეს, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ[52] სსკ 223[1] მუხლის შემოღება და პირის ამ მუხლის საფუძველზე გასამართლება არ იქნა მიჩნეული ადამიანის უფლებების დარღვევად.[53]

პრაქტიკული კრიმინალური პოლიტიკა გულისხმობს, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმა (მატერიალური და პროცესიალური) პრაქტიკული გამოყენების უნდა იყოს.[54] მატერიალური ნორმა, შეხედულება, რომელიც პროცესუალურად შეუძლებელია განხორციელდეს, კრიმინალური პოლიტიკის თვალსაზრისით გამოსადეგი არ არის და მანიპულაციის საშუალებას იძლევა სისხლის სამართლის პროცესში. ამ მხრივ საინტერესოა სსკ მე-7 მუხლის მეორე ნაწილის ჩანაწერი, რომლის პროცესუალური გამოყენება ბუნდოვანია, გაურკვევლია, თუ ვის მიერ უნდა იქნეს ეს ნორმა გამოყენებული, პროკურორის თუ მოსამართლის.

ეფექტურია ისეთი ხასიათის კრიმინალური პოლიტიკა, რომელიც მარტივი გზით და საშუალებებით აღწევს დასახულ მიზანს (დანაშაულის შემცირება, აღმოფხვრა).[55] ეფექტურობის კუთხით მეტად საინტერესოა ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკა, რომელიც საქართველოში 2005 წლიდან განხორციელდა და მიუხედავად მისი უარყოფითი მხარეებისა, მაინც შეძლო მოქალაქეებში აღმოეფხვა საუკუნეების მანძილზე გამეფებული, მათში „კოდირებული“ დაუსჯელობის სინდრომი.[56]

- **ოპორტუნობის პრინციპი**

კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების დროს მნიშვნელოვანია ოპორ-ტუნობის პრინციპი (Opportunitätsprinzip). ოპორტუნობის პრინციპი გულისხმობს სა-მართალდამცავი ორგანოს შესაძლებლობას უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე საჯარო ინტერესის არარსებობის გამო.[57] ამ მხრივ საინტერესოა თუ როგორ უნდა მოხდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების შერჩევა, რომელიც სისხლის სამართლე-ბრივად არ იდევნება. შერჩევა შესაძლებელია კონკრეტული დანაშაულების და დამ-ნაშავეების მიხედვით, მათი პიროვნების და ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის ან ზოგადად, გარკვეულ დანაშაულთა სახეებისა და დამნაშავეების მიხედვით (მაგ. არასრულწლოვანთა მიერ პირველად ჩადენილი ყველა ნაკლებად მძიმე დანაშაულის სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმა).[58]

კრიმინალური პოლიტიკის დაგეგმის და განხორციელების დროს მნიშვნელოვანია ქვეყნის ადამიანური და ეკონომიკური რესურსის სათანადო შესწავლა და გათ-ვალისიწნება. სამართალდამცავი ორგანო ვალდებულია საკუთარი ადამიანური და ეკონომიკური რესურსი ისე გადაანაწილოს, რომ შეძლოს ქვეყნის კრიმინოგენული

---

[52]იხ.: აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, 2014 წლის 15 ივლისის განჩინება, განაცხადი №45554/08.

[53]ვრცლად იხ.: ნაჭყებია, გ./გორაშვილი, გ. და სხვ., 2012. გვ. 527-541.

[54] Zipf, H., 1980. S. 54.

[55]იქვე.

[56]შეად.: შალიკაშვილი, მ.,2013. გვ.24, 25.

[57]Schwind, H-D., 2016. S. 396.

[58]Prätorius, R., 2008. S. 333.

ვითარების კონტროლი. კრიმინალური პოლიტიკისთვის, ამ მხრივ, მეტად მნიშვნელოვანია ახალი დანაშაულებრივი საფრთხეების (მაგალითად კომპიუტერული დანაშაული) გასანეიტრალებლად პროფესიონალი კადრების შერჩევა და წინასწარ გადამზადება. პირველად ახალი დანაშაულებრივი საფრთხეების შესახებ სწორედ პოლიციის და პროკურატურის თანამშრომლები იგებენ.[59] შესაბამისად, მათ მომზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რესურსების არასწორმა გადანაწილებამ შესაძლებელია ქვეყნის კრიმინოგენული მდგომარეობა გააუარესოს.

1.6. კრიმინალური პოლიტიკის განხორციელება

1989 წელს გერმანელმა კრიმინოლოგმა, პროფესორმა კრისტიან პფაიფერმა, გამოიკვლია გერმანიის ხუთ მიწაზე არასრულწლოვნების მიმართ ქურდობისათვის გამოტანილი თავისუფლების აღკვეთის პროცენტული მაჩვენებელი. კვლევამ აჩვენა, რომ ერთი და იმავე დანაშაულისათვის (ქურდობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში) ერთნაირი კრიმინალური ენერგიის (4-ჯერ და მეტჯერ დანაშაულის ჩადენა) მქონე ბრალდებული არასრულწლოვანების 10%-ს - ნორდრჰაინ-ვესტფალენში, 21%-ს — ჰესენში, 38%-ს — ბრემენში, 55%-ს — ბერლინში, ხოლო 71%-ს — ბავარიაში შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა.

ეს მაგალითი მეტად საინტერესო კითხვებს ბადებს, როგორ შეიძლება, რომ ერთი საკანონმდებლო ნორმის გამოყენების პირობებში, ერთი და იმავე დანაშაულის ჩადენის დროს და მსგავსი კრიმინალური ენერგიის არასრულწლოვან დამნაშავეებს, ზოგჯერ თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ზოგჯერ არა.

იმის გათვალისწინების მიუხედავად, რომ თითოეულ დამნაშავეს სახელმწიფო მართლმსაჯულება ინდივიდუალურად უნდა მოეპყრას და/ან თითოეული მოსამართლე დამოუკიდებელია, ასეთი არაერთგვაროვანი მოპყრობა ბრალდებულებისადმი არღვევს თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს, მოქალაქეებში სამართლიანობის განცდას სპობს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სამართლებრივი სახელმწიფოს ფარგლებში ასეთი მართლმსაჯულების მოქმედებას.[60] მეცნიერები საუბრობენ შემდეგ არასამართლებრივი ხასიათის ფაქტორებზე, რომელსაც შეუძლია მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება იქონიოს. ეს ფაქტორები შეიძლება იყოს: ***მოსამართლის სოციალური წარმომავლობა; იურისტების დამოკიდებულება ცხოვრებისადმი; პროფესიული სოციალიზაცია; მოსამართლეზე იუსტიციის ზეგავლენა. ზემოქმედების უკეთ გასაგებად, ასევე მნიშვნელოვანია სამოსამართლეო საქმიანობის სოციოლოგია.*** განვიხილოთ თითოეული მათგანი გერმანიაში ჩატარებული ემპირიული კვლევების საფუძველზე.

მოსამართლის სოციალური წარმომავლობა

1959 წელს ბრემენის მიწის (გერმანია) უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტის ვალტერ რიხტერის მიერ ჩატარდა კვლევა. ვალტერ რიხტერმა შეისწავლა ბრემენის მიწის (გერმანია) უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა წარმომავლობა მათი პერსონალური საქმეების საფუძველზე. კვლევამ დაადგინა, რომ მოსამართლეთა 60% მაღალი საშუალო ფენის და 30% დაბალი საშუალო ფენის წარმომადგენლები

[59]Aden, H., 2008. S. 124.
[60]Albrecht, P-A., 2002. S. 257.

იყვნენ, ხოლო მოსამართლეთა მხოლოდ 2,8%-ის მამა იყო მუშა. გერმანიაში ჰელ-დრიხის და შმიდთხენის მიერ 80-იანი წლების დასაწყისში ჩატარებული კვლევის თანახმად, გაირკვა, რომ იმ მოსამართლეთა რაოდენობა, ვისი მამაც მუშა იყო 5%-ს შეადგენდა. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში საუბრობდა სოციოლოგი დაჰრენდორფი „განახევრებული საზოგა-დოების“ [halbierte Gesellschaft] არსებობაზე. სოციოლოგ დაჰრენდორფის აზრით, მაღალი საშუალო ფენიდან წარმოშობილი მოსამართლეების წინ სასამართლო სა-ბრალდებო სკამზე ზის მისთვის უცხო სამყაროდან, ძირითადად დაბალი ფენიდან წარმოშობილი ბრალდებული. დაჰრენდორფი ფიქრობს, რომ სასამართლოში საზოგადოების ერთ ნაწილს (მოსამართლეს) უფლება აქვს განსაჯოს, მისთვის უცნობი/უცხო, საზოგადოების მეორე ნაწილი (დამნაშავეები).

იურისტების დამოკიდებულება ცხოვრებისადმი

გასული საუკუნის 60-იან წლებში გერმანიაში ვოლფგანგ კაუპენის მიერ ჩატარდა 30 მოსამართილის და ამავე რაოდენობის პროკურორისა და ადვოკატის გამოკითხვა, მათი განათლების, მიზნების, რელიგიურობის, მორალური დამოკიდებულების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობების შესახებ. კაუპენი მივიდა დასკვნამდე, რომ ადგილი ჰქონდა იუსტიციის კონსერვატიზმს.[61] მისი აზრით, გამოკითხულ იუ-რისტებს ჰქონდათ კონსერვატორული, ავტორიტარული, არადემოკრატიული და ან-ტილიბერალური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი. მეცნიერის აზრით, იურისტები „ავტორიტარული პიროვნებები“ არიან. ავტორიტარიზმი არის ცნება სოციალ-ფსიქოლოგიიდან და ცხოვრებისადმი ისეთ დამოკიდებულებას გულისხმობს, რაც ორიენტირებულია მყარ კონფორმულ ქცევაზე, ძლიერების ქვეშევრდომობასა და სუსტების დამორჩილებაზე, საკუთარი გრძნობების კონტროლზე, არატოლერ-ანტულობასა და ანტისემიტიზმზე.[62]

პროფესიული სოციალიზაცია

იურისტების პროფესიულ სოციალიზაციასთან დაკავშირებით საინტერესოა გასული საუკუნის 70-იან წლებში ლანგეს და ლუჰმანის[63] მიერ ჩატარებული კვლევა. მკვლევარებმა გამოკითხეს სკოლის და უმაღლესი სასწავლებლების კურს-დამთავრებულები და საჯარო მოხელეები (იურისტები და არაიურისტები). კვლევის შედეგად დადგინდა, რომ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ძირითადად იყვ-ნენ მაღალი საშუალო და მაღალი ფენის წრეებიდან. იურიდიული ფაკულტეტის სტუ-დენტები უფრო მეტად იყვნენ ინტეგრირებული მეგობრების და ნაცნობების წრეში, ვიდრე სხვა ფაკულტეტის სტუდენტები, ეს კი ხელს უწყობდა მათ პროფესიულ წარ-მატებას.

იურიდიული ფაკულტეტის ის სტუდენტები, რომელთაც სურდათ სახელმწიფო სამსახურში (პროკურორი, მოსამართლე) ემუშავათ, გამოირჩეოდნენ საზოგა-დოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების მაღალი გრძნობით. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა ეს კატეგორია ორიენტირებულია მყარ შემოსავალზე, რომელიც არ იქნება შესრულებულ სამუშაოზე დამოკიდებული, არ არიან

[61]Kaupen, W., 1969. S. 220.
[62]Albrecht, P-A., 2002. S. 259.
[63]Luhmann, N./ Lange, E., 1974, S. 113.

დამოუკიდებლები და არ გააჩნიათ საკუთარი თავისადმი [საქმიანობისადმი] პასუ-ხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არ გამოირჩავიან რისკზე წასვლის დიდი მონდომე-ბით. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს, რომელთაც სურდათ დამოუკიდებელი ადვოკატები გამხდარიყვნენ წინა ჯგუფისაგან საერთოდ საწინააღმდეგო ჩვევები და ღირებულებებისადმი ორიენტაცია გააჩნდათ (მეტი დამოუკიდებლობა, საკუთარი საქმიანობისადმი მეტი პასუხისმგებლობა, რისკზე წასვლის სურვილი და ა.შ.).

კვლევამ ასევე დაადგინა, რომ ოჯახი პირდაპირ ზეგავლენას არ ახდენს მოზ-არდის მიერ იურისტის პროფესიის არჩევაზე, მაგრამ ოჯახი აღზრდის საშუალებით უნერგავს იმ ღირებულებებს, რომელთა განხორციელებაც (მოზარდის აზრით) მას სწორედ იურისტობით შეეძლება.

ლანგე და ლუჰმანი მივიდნენ დასკვნამდე, რომ კონსერვატორულ-ავტორი-ტარული პიროვნული თვისებები უფრო მეტად ახასიათებთ იმ იურისტებს, რომ-ლებიც სახელმწიფო სამსახურში მსახურობენ (პროკურორები, მოსამართლეები და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული იურისტები).

მოსამართლეზე იუსტიციის ზეგავლენა

გასული საუკუნის მეორე ნახევარში გერმანიაში იურისტ რუდიგერ ლაუტმანის მიერ ჩატარდა დაფარული თანამონაწილეობითი დაკვირვება 33 სამოქალაქო სა-მართლის მოსამართლეთა საქმიანობაზე ორ სხვადასხვა სააპელაციო სასა-მართლოში. რუდიგერ ლაუტმანი ამ სასამართლოებში თავად იყო მოსამართლე გამოსაცდელი ვადით.[64]

ლაუტმანის აზრით, მოსამართლეები ცდილობენ შენიშვნები არ მიიღონ „ზემო-დან“ და ამით საკუთარ კარიერას საფრთხე არ შეექმნას. მოსამართლეები მათი გად-აწყვეტილებების ზემდგომი ინსტანციის მიერ გაუქმების [ან უკან დაბრუნების] დაბალ პროცენტულ მაჩვენებელს როგორც საკუთარი საქმიანობის აღიარებას და ჯილდოს, ისე აღიქვამენ, რომელიც „ზემოდან“ დაფასდება. ასევე მნიშვნელოვანია „სწრაფი მართლმსაჯულების“ განხორციელება, რაც მოსამართლეთა აზრით, ხელს უწყობს მათ კარიერულ წინსვლას.[65]

სამოსამართლეო საქმიანობის სოციოლოგია

გასული საუკუნის 70-იან წლებში სოციოლოგები შუმანი და ვინტერი დააკვირდ-ნენ 30 მთავარ სასამართლო სხდომას ავტოსაგზაო დანაშაულის საქმეებზე. კვლევამ აჩვენა, რომ მნიშვნელოვანი დამოკიდებულება არსებობს ბრალდებულის სოციალურ სტატუსსა და სისხლის სამართლის განაჩენს შორის. კერძოდ, ბრალდებულის სო-ციალური სტატუსი განაპირობებს სასჯელის ზომას. მათი აზრით, რაც უფრო მაღა-ლია ბრალდებულის სოციალური სტატუსი, მით უფრო დიდია იმის ალბათობა, რომ მას დაბალი სასჯელი შეეფარდოს.[66]

დოროთე პეტერსის მიერ გამოკითხულ იქნა 98 სისხლის სამართლის მოსამართლე და დაკვირვება იქნა მოხდენილი 51 მთავარ სასამართლო პროცესზე.[67] ამ კვლევის ფარგლებში პეტერსმა მოსამართლეებს დაურიგა ორი კაზუსი და სთხოვა დამ-ნაშავეებისათვის „მიესაჯათ“ სასჯელი. პირველ კაზუსში მშენებელმა მუშამ და

---

[64]Lautmann, R., 1972. S. 33.
[65]იგივე, გვ. 166.
[66]Schumann, K.F./ Winter, G., 1973. S. 174-212.
[67]Peters, D., 1973.

არქიტექტორმა ქურდობა ჩაიდინეს - ღია სალაროდან ფარულად ფულს დაეუფლნენ. ორივე მათგანს ეკონომიკური პრობლემები გააჩნდა და ფიქრობდნენ ქურდობით პრობლემის მოგვარებას. მოსამართლეები კაზუსის ამოხსნაში ორივე მათგანს (ქურდს) მკაცრად „სჯიდნენ“ და დამნაშავეების რაიმე სახის სოციალურ განსხვავებას არ აძლევდნენ მნიშვნელობას.

მეორე კაზუსში ორი მუშა ეკონომიკური პრობლემების გამო დანაშაულს (ქურდობას) ჩადის. მათი განსხვავება მხოლოდ ცხოვრების წესშია. პირველ მუშას საზოგადოებისათვის მისაღები ცხოვრების წესი აქვს, არის ყოჩაღი, პასუხისმგებლობით სავსე, ოჯახზე ორიენტირებული და ერთ-ერთი არაპოლიტიკური კავშირის წევრი, ხოლო მეორე მუშა ხშირად იცვლის სამუშაო ადგილს, ცალკე ცხოვრობს მეუღლისა და ბავშვისაგან. ორივე მუშა წარსულში ნასამართლევია. კაზუსის ამოხსნამ აჩვენა, რომ მოსამართლეებმა მაღალი სასჯელი მიუსაჯეს მეორე მუშას. განაჩენებს მოსამართლეები ასაბუთებდნენ ბრალდებულის საზოგადოებისათვის მიუღებელი ცხოვრების სტილით, ანუ იმით, რომ ბრალდებული (მეორე მუშა) არასტაბილური ცხოვრებით ცხოვრობდა, ხშირად იცვლიდა სამუშაო ადგილს და მიტოვებული ჰყავდა მეუღლე და ბავშვი.[68] პეტერსი კვლევის შედეგებით მივიდა დასკვნამდე, რომ მოსამართლეებისათვის სასჯელის განსაზღვრის დროს მნიშვნელოვანია ბრალდებულის სოციალური სტატუსი, ანუ თუ რომელი ფენის წარმომადგენელია იგი. ბრალდებულის სოციალური სტატუსი მნიშვნელოვანია სასჯელის ზომის შეფარდების დროს, ხოლო ცხოვრების სტილი ამ სოციალური სტატუსის ერთ-ერთი ასპექტია.

სამართლის სოციოლოგიის მიხედვით, მოსამართლეთა გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორი (მოდელი):[69]

- **მატერიალური ფაქტორი** – მატერიალური ფაქტორის მიხედვით, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს [მატერიალური კუთხით] საზოგადოების ფენებად, კლასებად დაყოფა;
- **სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორი** - სოციალ-ფსიქოლოგიური ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს მისი პიროვნული შეხედულებები ღირებულებებზე და სოციალური ფენებისადმი, რელიგიური და ეროვნული უმცირესობებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება [მოსამართლე, როგორც მაღალი ფენის წარმომადგენელი დამნაშავეს, რომელიც უმეტესწილად დაბალი ფენის წარმომადგენელს, სხვა რელიგიის ან ეროვნების ადამიანს, როგორც მისი საზოგადოებისათვის უცხოს ისე უყურებს];
- **ფსიქოანალიტიკური ფაქტორი** - ფსიქოანალიტიკური ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს მოსამართლის არაცნობიერში არსებული უსიამოვნო მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნა წარსულში მოსამართლის მიერ გადატანილი ისეთი ტრამვის (ახლო ადამიანის დაკარგვა, მასზედ განხორციელებული ძალადობა და ა.შ.) შედეგად, რომელიც არ იქნა ფსიქოლოგიურად დამუშავებული. ფსიქოანალიტიკური ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს ასევე საკუთარ თავში სურვილის დათრგუნვა;

---

[68]იგივე, გვ. 180-183.
[69]Albrecht, P-A., 2002. S. 256.

- **როლების [გადანაწილების] ფაქტორი** – ამ ფაქტორის საფუძველზე, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს მისი კოლეგების ან „ზემდგომის“ შეხედულებები და მოლოდინი;
- **ბიუროკრატიული ფაქტორი** - ბიუროკრატიული ფაქტორის თანახმად, მოსამართლის გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს კოლეგებისადმი კონკურენციის გრძნობა (მაგ.: ერთი წლის განმავლობაში განხილული ან განუხილველი საქმეების რაოდენობა); პიროვნული დაპირისპირებები კოლეგებთან; „ზემდგომისათვის“ არასასურველ კოლეგათა სიაში ყოფნა და ა.შ.

პროკურორების დამოკიდებულება (არასრულწლოვანი) ბრალდებულებისადმი

მსგავსი განსხვავება დაფიქსირდა პროკურორების ქმედებებშიც. სპისის და სტორცის მიერ გერმანიის შვიდ ფედერალურ მიწაზე შესწავლილ იქნა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი დანაშაულის - მართვის მოწმობის გარეშე ავტომობილის მართვის - პროკურორის მიერ არასრულწლოვანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული დანაშაულისათვის არასრულწლოვანთა მიმართ პროკურორის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ჰამბურგის მიწაზე შეადგენდა – 0,6%-ს, ბერლინის მიწაზე – 3,8%-ს, ბრემენის მიწაზე – 5,2%-ს, ზაარლანდის მიწაზე – 5,8%-ს, ნიდერზახსენის მიწაზე – 25,6%-ს, რაინლანდ-პფალცის მიწაზე – 51,4%-ს და ბადენ-ვურტენბერგის მიწაზე 61,1%-ს.[70] სპისის და სტორცის კვლევამ ასევე დაადგინა, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დამოკიდებული იყო არასრულწლოვანი ბრალდებულის წარსულში ნასამართლეობასა[71] და იმ გარემოებაზე, თუ სად, რომელ რაიონში იქნა დანაშაული ჩადენილი. პროკურორები იმის მიხედვით ახდენდნენ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას თუ როგორი იყო იმ რაიონში მოსამართლის დატვირთვა. თუ პროკურორმა იცოდა, რომ მოსამართლეს ბევრი საქმე ჰქონდა თვითონ აღარ იწყებდა ბრალდებულის დევნას და ცდილობდა ახალი საქმით აღარ დაეტვირთა მოსამართლე.[72] გერმანელი პროკურორების ამგვარი მიდგომა უარყოფით გავლენას ახდენდა მოქალაქეებში სამართლიანობის გრძნობის ჩამოყალიბებაზე, არ ისახავს მიზნად არასრულწლოვანისადმი ინდივიდუალურ მიდგომას და არღვევს სამართლიანი სახელმწიფოს პრინციპს (ერთგვაროვანი და სამართლიანი მართლმსაჯულება).[73] ზოგადად, პროკურორების მიერ კრიმინალური პოლიტიკის განხორციელების შესახებ, უნდა ითქვას, რომ, როგორც გერმანიაში ჩატარებულმა კვლევებმა დაადგინეს, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელების ან ბრალდებულის რესოციალიზაციის პრინციპი, მათ (პროკურორების) საქმიანობაზე გავლენას ვერ ახდენს. პროკურორები კანონით დადგენილ ნორმებსა და პროკურატურის ბიუროკრატიულ პირობებზე (სიტყვიერი მითითებები, ზემდგომი პროკურორის მოსაზრება და ა.შ.) უფრო არიან ორიენტირებულნი, ვიდრე (არასრულწლოვანი) ბრალდებულის მიმართ ინდივიდუალურ, სპეციალურ პრევენციულ მიდგომაზე.[74] პროკურორები გადაწყვეტილების მიღების

---

[70]Spieß, G./ Storz, R.. 1989. S. 127.
[71] იგივე, გვ. 143.
[72]Albrecht, P-A., 2002. S. 209.
[73]იქვე.
[74] Libuda-Köster, A., 1990. S. 229-337; Albrecht, P-A., 2002. S. 208.

დროს დიდ ყურადღებას აქცევენ საკანონმდებლო ნორმებით დადგენილი ქმედების მძიმე ხასიათს, ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას, ზარალის რაოდენობას და ყურადღების მიღმა რჩებათ ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები ან ჩადენილი ქმედების მოტივი, რაც შესაძლებელს გახდიდა მიღებული ყოფილიყო ბრალდებულის რესოციალიზაციას/გამოსწორებას მორგებული გადაწყვეტილება[75] და განხორციელებული ყოფილიყო რაციონალური კრიმინალური პოლიტიკა.

1.7. შედარებითი კრიმინოლოგია

ძვ. წ. აღ. V საუკუნეში რომაელებმა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შესასწავლად დელეგაცია გააგზავნეს საბერძნეთში, რათა გაცნობოდნენ მათი (ბერძენთა) დანაშაულის ბრძოლის მეთოდებს.[76] ტერმინი შედარებითი კრიმინოლოგია 1965 წელს ჰერმან მანჰაიმერმა თავისი წიგნის სათაურად გამოიყენა და საფუძველი დაუდო მის შემდგომ გამოყენებას.

შედარებითი კრიმინოლოგიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ უცხოეთში ჩატარებული კრიმინოლოგიური კვლევების შედეგები დანაშაულის და სასჯელის სფეროში შედარებულ იქნეს საკუთარი ქვეყნის კვლევის შედეგებთან (კომპარატიული მეთოდი). ამგვარი კრიმინოლოგიური კვლევის შედეგების მიზანია უცხოური ქვეყნის გამოცდილება და კრიმინალური პოლიტიკა შედარებულ იქნეს საკუთარი ქვეყნის კრიმინოგენურ მდგომარეობასთან და კრიმინალურ პოლიტიკასთან, მისი რეფორმირების მიზნით.

შედარებითი კრიმინოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოთხი მიმართულებით:[77] 1. დანაშაულობების სტატისტიკის მიხედვით, როგორც სახელმწიფო ორგანოების მიერ მოპოვებული, ასევე ლატენტური დანაშაულობების მაჩვენებელი; 2. დამნაშავეების შედარება, დამნაშავე პირთა კვლევის საფუძველზე; 3. დანაშაულის მსხვერპლის შედარება, ჩატარებული ვიქტიმოლოგიური კვლევების საფუძველზე; 4. დანაშაულის კონტროლის მექანიზმების შედარება, მოქმედი კანონმდებლობის, დასჯის სისტემის, სახელმწიფო თუ საზოგადეობრივი ორგანოების კვლევის საფუძველზე.

შედარებითი კრიმინოლოგია გამოიყენება როგორც შიდა ნაციონალურ (ერთ ჯგუფს ადარებენ მეორე საკონტროლო ჯგუფს), ასევე სხვადასხვა ეროვნებების და ქვეყნების დონეზე.[78] შედარებითი კრიმინოლოგიის ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს კულტურული სხვადასხვაობა. ასე მაგალითად, სიტყვა ძალადობა ერთ ქვეყანაში იწვევდა სტუდენტთა გამოსვლის ასოციაციას, როდესაც მეორე ქვეყანაში ქუჩის დანაშაულის ზრდას, ხოლო მესამეში პოლიტიკურად მოტივირებულ პირთა ძალადობას გულისხმობდნენ.კულტურული პრობლემების (სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული კვლევების) უკეთ გაგებისათვის საჭიროა გაირკვეს, თუ **<u>რა</u>** იქნა გამოკვლეული და **<u>როგორ</u>** იქნა გამოკვლეული, ანუ მოხდა თუ არა შედარებითი კვლევისათვის შესაფერისი მეთოდის გამოყენება.[79]

---

[75]Libuda-Köster, A., 1990. S. 243.
[76] ღლონტი, გ. (რედ.), 2008. გვ. 74.
[77]Kaiser, G., 1996. S. 159.
[78]შედარებითი კრიმინოლოგიის შესახებ იხ. ღლონტი, გ. (რედ.), 2008. გვ. 72-80.
[79]Kaiser, G., 1996. S. 166.

თავი მეორე

კრიმინოლოგიური კვლევა

კრიმინოლოგია არის გამოცდილებაზე დამყარებული მეცნიერება და ამიტომ საჭიროა, რომ მან გამოცდილებაზე დამყარებული მასალის შეგროვებისას აკონტროლოს თავისი კვლევის მეთოდები. კრიმინოლოგიური კვლევის დროს მეთოდებს ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეთოდების გამოყენება უნდა იყოს წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული, რომ მიღებული შედეგი არ იწვევდეს ეჭვს იმის თაობაზე, რომ ეს შედეგი გამოცდილებაზე არ არის დამყარებული და იგი სხვა ხერხებით (არამეცნიერული) არის მიღებული.

უკეთ რომ გახდეს კრიმინოლოგიური კვლევის მსვლელობა გასაგები უნდა გავეცნოთ კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდიკის საფუძვლებს.

კრიმინოლოგია იმ გამოცდილების მისაღებად, რომელიც გამოწვეულია ადამიანთა შორის სოციალური ურთიერთობებით და კრიმინოლოგიური თეორიების შესამოწმებლად, მიმართავს უკვე ჩამოყალიბებულ სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს. აქედან გამომდინარეობს, რომ კრიმინოლოგიას, როგორც მეცნიერებას, საკუთარი კვლევის მეთოდები არ გააჩნია და ის მიმართავს იმ კვლევის მეთოდებს, რომელნიც მის მონათესავე მეცნიერებებს გააჩნიათ.[80]

კრიმინოლოგიური კვლევა შეიძლება შედარებულ იქნას „გამოცანის ამოხსნასთან". სოციოლოგიური კვლევის მეთოდების საფუძველზე შესაძლებელი ხდება იმ ინფორმაციის მიღება და გაანალიზება, რომელიც ამ „გამოცანას", უფრო სწორედ ამ საკითხისადმი უცოდინრობას, პასუხს გასცემს. მაგ. თუ შესწავლილი არ იქნა ორგანიზებული ჯგუფი, მისი საქმიანობა, იერარქია, ნორმები – „გამოცანა" ორგანიზებულ ჯგუფზე არ იქნა „ამოხსნილი", შესაბამისად, შეუძლებელია მასთან ბრძოლის ეფექტური საშუალებების დანერგვა.

2.1. კრიმინოლოგიის კვლევის მეთოდები

ემპირიული სოციოლოგიური (კრიმინოლოგიური) კვლევა იყოფა **ხარისხობრივ (კვალიტატიურ) და რაოდენობრივ (კვანტიტატიურ) მეთოდებად.**[81] **ხარისხობრივი** მეთოდით ხდება მოპოვებული ინფორმაციის აზრობრივი და შინაარსობრივი დამუშავება, ხოლო ***რაოდენობრივი*** მეთოდით კი – მათემატიკური ციფრების გაანალიზება, მათი დაყოფის, ტაბელების, სტატისტიკის მეშვეობით.[82] მაგ., თუ მკვლევარი აიღებს 200 პატიმრის სისხლის სამართლის საქმეს და გამოიკვლევს მას. რაოდენობრივი იქნება შემდეგი სახის ინფორმაცია: 200 პატიმრიდან 150 სასჯელს იხდის ქურდობისთვის, ან 200 პატიმრიდან 20 არის ქალი, 30 არასრულწლოვანი, ხოლო ხარისხობრივი იქნება, სისხლის სამართლის საქმეებიდან იმის ანალიზი, თუ რა მოტივით ჩაიდინა 150 პატიმარმა ქურდობა, ანუ თითოეული პატიმრის სისხლის სამართლის საქმის აზრობრივი და შინაარსობრივი დამუშავება.[83]

კრიმინოლოგია, პირველ რიგში, იყენებს ოთხი სახის ინფორმაციის მოპოვების მეთოდს: **გამოკითხვა, დაკვირვება, ექსპერიმენტი და შინაარსის ანალიზი.**

---

[80]Kürzinger, J., 1996. S. 51.
[81]Schäfers, B. (Hrsg.), 2001. S. 216.
[82]Schäfers, B. (Hrsg.), 2001. S. 216; Meier, B-D., 2007. S. 87.
[83]Meier, B-D., 2007. S. 88.

2.1.1. გამოკითხვა

კითხვები წარმოადგენენ ჩვენი ცხოვრების ძირითად საშუალებას გავეცნოთ ჩვენს ირგვლივ არსებულ ყოველდღიურ ცხოვრებას და გამოვიკვლიოთ ჩვენთვის საინტერესო მოვლენები. კითხვების დასმისას მნიშვნელობა ენიჭება ამ კითხვებზე გაცემულ (სავარაუდო) პასუხებს.

სოციოლოგიაში, ისევე როგორც კრიმინოლოგიაში, ყველაზე ხშირად მიმართავენ კვლევის ფორმას - გამოკითხვას.[84] გამოკითხვა შეიძლება იყოს როგორც დამოუკიდებელი კვლევის მეთოდი, ასევე სხვა კვლევის მეთოდის შემადგენელი ნაწილი, მაგ. დაკვირვების ან ექსპერიმენტის დროს საცდელი პირის გამოკითხვა.

სოციოლოგიაში, ისევე როგორც კრიმინოლოგიაში, ყველაზე ხშირად მიმართავენ კვლევის ფორმას - გამოკითხვას.[85] გამოკითხვა შეიძლება იყოს, როგორც დამოუკიდებელი კვლევის მეთოდი, ასევე სხვა კვლევის მეთოდის შემადგენელი ნაწილი, მაგ. დაკვირვების ან ექსპერიმენტის დროს საცდელი პირის გამოკითხვა.

კითხვა შეიძლება იყოს **ღია** ან **დახურული.** „ღია“ კითხვების დროს სავარაუდო პასუხები არ არის მითითებული (მაგ. რას ფიქრობთ ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ მდგომარეობაზე?). „დახურული“ კითხვების დროს მითითებულია ორი ან მეტი სავარაუდო პასუხი (მაგ. მიესალმებით თუ ეწინააღმდეგებით ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალურ პოლიტიკას?).[86]

„ღია“ კითხვები გამოიყენება: ა) თუ ინფორმაცია ქცევის იმ წესების შესახებ, რომლის გამოკვლევასაც მკვლევარი ცდილობს მწირია; ბ) თუ მოსაკვლევია გამოკითხულთა დამოკიდებულების დადგენა, გ) თუ დიფერენცირებული ქცევის წესებია გამოსაკვლევი, რათა მოხდეს ამ წესების ერთმანეთთან დამოკიდებულების დადგენა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბება. მარტივად რომ ვთქვათ, იქ სადაც გამოსაკვლევი მოვლენის შესახებ ინფორმაცია ნაკლებია, მიზანშეწონილია „ღია“, ხოლო თუ ინფორმაცია გამოსაკვლევი მოვლენისადმი დიდია უმჯობესია „დახურული“ კითხვების დასმა.

„დახურული“ კითხვა შეიძლება იყოს ორალტერნატივიანი, მრავალალტერნატივიანი, მრავალალტერნატივიანი წინასწარ მომზადებული სავარაუდო პასუხებით.

გამოკითხვა შეიძლება იყოს **ზეპირი და წერილობითი**, წინასწარ მომზადებული კითხვარის მეშვეობით.[87] კითხვარი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ რესპოდენტის მიერ გამოკვლევისათვის (მკვლევარისთვის) სასურველი პასუხები იქნას გაცემული.

ზეპირი გამოკითხვის ყველა ფორმას, რომელთაც არასტანდარტული კითხვარი და კითხვათა რიგითობის ნაკლები სტრუქტურა გააჩნიათ, არის ინტერვიუ. სოციოლოგიურ ლიტერატურაში ინტერვიუ მოხსენიებულია აგრეთვე როგორც: „ღია გამოკითხვა“, „საუბარი“, „ხარისხობრივი ინტერვიუ“ ან „ღრმა ინტერვიუ“.

ინტერვიუ, როგორც კვლევის მეთოდი წარმოებს ზედაპირული მონახაზის თანხლებით, ანუ მკვლევარს მომზადებული აქვს სამი-ხუთი კითხვა, მაგრამ მათ გაღრმავებას ახდენს ინტერვიუს პერიოდში.[88] ინტერვიუს მიზანია მკვლევარმა დასმული კითხვების მეშვეობით მიიღოს მისთვის საჭირო (ღრმა) ინფორმაცია. ამ მხრივ

---

[84]Schäfers, B. (Hrsg.), 2001. S. 218.
[85]იქვე.
[86]Konrad, K., 1999. S. 21, 22.
[87]Schäfers, B. (Hrsg.), 2001. S. 218.
[88]შეად.: Kleining, G., 1998. S. 156.

მკვლევარს გააჩნია თავისუფალი მოქმედების უფრო დიდი სპექტრი, ვიდრე სხვა სოციოლოგიური მოთოდების გამოყენების დროს. მას შეუძლია კითხვათა თავისუფალი ფორმულირება, დალაგება და დამატებითი (განმარტებითი) კითხვების დასმა.
ინტერვიუს ჩატარებისათვის საჭიროა მკვლევარი წინასწარ ფლობდეს ინფორმაციას გამოსაკითხი პიროვნების შესახებ, მის განვლილ და არსებულ ცხოვრების პირობებს. ინტერვიუს ჩატარება და მისი შეფასება დიდ დროსთან არის დაკავშირებული, ამიტომ უნდა მოხდეს მხოლოდ ადამიანთა პატარა ჯგუფის და კვლევისათვის სპეციალური პრობლემის გამოყოფა და მათზე ინტერვიუს მთელ პერიოდში მაქსიმალური კონცენტრაცია.
ინტერვიუ შეიძლება მკვლევარის მიერ ხელით ჩაწერილი იქნას ინტერვიუს პროცესში. ინტერვიუს აუდიო ან ვიდეო ჩაწერა შესაძლებელია მხოლოდ რესპოდენტის თანხმობით.[89] იქ სადაც ინტერვიუს აუდიო ან ვიდეო ჩაწერა შესაძლებელია მკვლევარმა უნდა მიმართოს საუბრის ამგვარად სრულ დაფიქსირებას, რადგან: 1. მას შეეძლება სრული კონცენტრაცია გააკეთოს რესპოდენტთან საუბარზე; 2. მოხდება საუბრის ყველა დეტალის სრული დაფიქსირება, რაც შეიძლება მკვლევარს ინტერვიუს ხელით ჩანიშვნის დროს გამორჩეს ან არ მიაქციოს სათანადო ყურადღება.[90]
ზეპირი გამოკითხვისაგან განსხვავებით, წერილობითი გამოკითხვა მკვლევარის უფრო ნაკლებ ენერგიას მოითხოვს და ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ინტერვიუს გარეშე გამოკითხვის ჩატარებას გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები, დადებითი: არ მოხდება რესპოდენტზე კითხვარის შევსებისას ზეგავლენის მოხდენა და უარყოფითი: შეუძლებელია რესპოდენტისათვის მისთვის გაუგებარი კითხვის განმარტება.[91]
წერილობით გამოკითხვას გააჩნია დადებითი და უარყოფითი მხარეები:
<u>დადებითი:</u> ნაკლები ხარჯები; ნაკლები დროის საჭიროება; გეოგრაფიულად ქვეყნის ყველა რეგიონში ჩატარების შესაძლებლობა; გაუგებარი კითხვების განმარტება; რესპოდენტზე არავითარი ზეგავლენის მოხდენა; რესპოდენტს გააჩნია საკმარისი დრო კითხვარის შესავსებად.
<u>უარყოფითი:</u> კითხვარის შევსების სიტუაციის გაკონტროლების შეუძლებლობა; შევსებული კითხვარის უკან მიღების საშიშროება.[92]
გამოკითხვა ყოველთვის არის მიზანმიმართული, სისტემატიური, მკვლევარის მიერ კონტროლირებული და საგნობრივი (Gegenstandsbezogen).[93]
კითხვები შეიძლება ორიენტირებული იყოს გამოკითხულის აზრის, ქცევის, შეფასების დაფიქსირებაზე ან უბრალოდ ამა თუ იმ ფაქტის კონსტატაციაზე.[94]
დანაშაულის მსხვერპლის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით ჩატარებული გამოკითხვის დროს დაცული უნდა იყოს შემდეგი მნიშვნელოვანი კრიტერიუმები:[95] ა) მკვლევარი ვალდებულია დაიცვას გამოკითხულთა ანონიმურობა; ბ) რესპოდენ-

[89]იგივე, გვ. 157.
[90]იგივე, გვ. 159.
[91]შეად.: Brosius, H-B./Koschel, F., 2001. S. 131-133.
[92]იგივე, გვ. 141.
[93]Konrad, K., 1999. S. 12.
[94]იგივე, გვ. 20.
[95]Opp, K.-D., 1974. S. 60.

ტები პასუხობენ სიმართლეს; გ) რესპოდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებაზე, უნდა შეესაბამებოდეს ჯგუფის სხვა წევრების მონათხრობს; დ) რესპოდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს პოლიციის მიერ დაფიქსირებულ და სისხლისსამართლის საქმეში არსებულ საგამოძიებო მასალებს (თუ ამის შესაძლებლობა არსებობს).

გამოკითხვის მეთოდით ვიქტიმიზაციის კვლევას თავის მხრივ გააჩნია სამი სახის პრობლემა:[96] რესპოდენტის აღქმა, რესპოდენტის მახსოვრობა და გადმოცემის სურვილი.[97]

2.1.2. დაკვირვება

დაკვირვება, როგორც კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდი გულისხმობს მეცნიერის (მკვლევარის) უშუალო მონაწილეობას კვლევის სფეროში.[98] დაკვირვებითი კვლევის სფერო შეიძლება გამომდინარეობდეს ყოველდღიური ცხოვრებიდან. იგი ჩვეულებრივი ცხოვრების დაკვირვებისაგან განსხვავდება იმით, რომ ის არის: ა) სისტემატიური, ბ) მიზანდასახული და გ) მეთოდურად მკვლევარის მიერ კონტროლირებადი.[99]

დაკვირვება არის მიზანმიმართული, წინასწარგანზრახული და სპეციალურად ორგანიზებული აღქმა, რომელიც დამკვირვებლის ამოცანით არის განპირობებული. ეს მეთოდი არის რეალობის აღქმის ფორმა, რომელიც შესასწავლი ობიექტის კანონზომიერებიდან გამომდინარეობს.

სხვა სიტყვებით, დაკვირვება უბრალოდ ყურებას ნიშნავს, დამკვირვებელი ერთვება სიტუაციაში, სადაც მისთვის საინტერესო ქცევა ხორციელდება, აკვირდება და აფიქსირებს ქცევის თავისებურებებსა და გამოვლენის სიხშირეს.

დაკვირვება შეიძლება იყოს:[100] თანამონაწილეობითი და არათანამონაწილეობითი; ღია და დახურული; სტრუქტურული და არასტრუქტურული. ***თანამონაწილეობითია*** დაკვირვება, თუ მკვლევარი უშუალოდ იღებს მონაწილეობას დაკვირვების პროცესში. (მაგ. მკვლევარი აწარმოებს არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში სუბკულტურული დაჯგუფების დაკვირვებას ჯგუფის წევრებთან სისტემატიური ურთიერთობით).

დამკვირვებელი დასაკვირვებელი ჯგუფის მონაწილეა – ამ შემთხვევაში დამკვირვებელი ორმაგ ფუნქციას ასრულებს, როგორც დამკვირვებელი და როგორც ჯგუფის წევრი. ასეთი დაკვირვების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებლობას იძლევა დავაკვირდეთ „მარგინალურ“ ჯგუფებს, როგორებიცაა ნარკომანები, რელიგიური კულტების წევრები, სუბკულტურის ჯგუფები და ა. შ.

არათანამონაწილეობითი არის სუფთა დაკვირვება, როდესაც დამკვირვებელი არ შედის ურთიერთობაში დასაკვირვებელ ობიექტთან.

ღია არის ისეთი დაკვირვება, რომელიც დასაკვირვებელ ობიექტებს მიახვედრებს (დამკვირვებელი თვითონ გააგებინებს) დაკვირვების შესახებ, ხოლო ***დაფარულია***

---

[96]Kiefl, W./Lamnek, S., 1986. S. 41.

[97]ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 24.

[98]Laatz, W., 1993. S. 169.

[99]Stier, W., 1999. S. 167.

[100]Kürzinger, J., 1996. S. 61-62.

ისეთი დაკვირვება, როდესაც დასაკვირვებელმა ობიექტებმა არ იციან დაკვირვების პროცესის შესახებ.

სტრუქტურულია დაკვირვება, როდესაც დამკვირვებელი დაკვირვებას წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით აწარმოებს, ხოლო ***არასტრუქტურულია*** დაკვირვება, როდესაც დამკვირვებელს წინასწარ შედგენილი გეგმა არ გააჩნია და უბრალოდ აკვირდება თუ რა მოხდება და იმის ანალიზს აკეთებს, რაც მოხდა და გაიგონა.

2.1.3. ექსპერიმენტი

ექსპერიმენტი ერთადერთი მეთოდია, რომელიც არსებული ჰიპოთეზის ანუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის საშუალებას გვაძლევს.[101] ექსპერიმენტი შემდეგი ოპერაციებისაგან შედგება: 1. ამოცანისა და ჰიპოთეზის წამოყენება და დაზუსტება; 2. იმ ემპირიული ობიექტის შერჩევა, რომლის ფარგლებშიც ექსპერიმენტი უნდა განხორციელდეს; 3. ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების საერთო გეგმის შემუშავება; 4. სამუშაო ჰიპოთეზების ფორმულირება და დაზუსტება; 5. ექსპერიმენტული სიტუაციის შექმნა, ჰიპოთეზის ამოქმედება და ობიექტის პერიოდული გაზომვა; 6. მიღებული შედეგების ანალიზი.[102]

ექსპერიმენტი ფსიქოლოგიური (კრიმინოლოგიური) კვლევის ძალიან ძლიერი და პრაქტიკული იარაღია.

ექსპერიმენტები იყოფა საველედ და ლაბორატორიულად. საველე ექსპერიმენტი ტარდება ბუნებრივ პირობებში, ხოლო ლაბორატორიული ექსპერიმენტის დროს მკვლევარი თავად ქმნის პირობებს.[103] ლაბორატორიული ექსპერიმენტის ყველაზე ცნობილი მაგალითია ფილიპე ზიმბარდოს სტენფორდის ციხის ექსპერიმენტი.[104]

2.1.4. შინაარსის ანალიზი (კონტენტ-ანალიზი)

შინაარსის ან დოკუმენტის ანალიზი სოციოლოგიაში ხასიათდება, როგორც წყარო სოციალური ქცევის აღწერისათვის და გამორკვევისათვის.

სოციოლოგიურ მეცნიერებაში შინაარსის ანალიზი, როგორც კვლევის მეთოდი, იყოფა ორ ნაწილად: დოკუმენტების ანალიზი და შინაარსის ანალიზი.[105]

დოკუმენტის ანალიზი კრიმინოლოგიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მეთოდად ითვლება, კრიმინოლოგიური ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით.

დოკუმენტის ანალიზში, პირველ რიგში, იგულისხმება მათში მითითებული, დაფიქსირებული ინფორმაციის მეცნიერულად გამოყენება.

დოკუმენტებში იგულისხმება, ადამიანების მიერ შედგენილი დოკუმენტები, რომელთა ანალიზით და განმარტებით შესაძლებელი ხდება ადამიანის ქცევის, დამოკიდებულების და სხვა სოციალური მდგომარეობის მეცნიერული კუთხით გაანალიზება.

---

[101]Schwind, H-D., 2008. S. 36.
[102]კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004. გვ. 88.
[103]იგივე, გვ. 89.
[104]იხ.: შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ., 2014. გვ. 109-114.
[105]Kürzinger, J., 1996. S. 53.

ამგვარი დოკუმენტებია: პირადი დოკუმენტები (წერილები, დღიურები); ჩანაწერები; ყველა სახის აქტები; ფოტოსურათები და სხვა. ამ დოკუმენტებს შორის ფრიად მნიშვნელოვანია პატიმრის სისხლის სამართლის საქმე.[106]

პატიმრის სისხლის სამართლის საქმე არის დოკუმენტი, რომელიც ყოველი პატიმრის მიმართ დგება და რომელშიც პატიმრის შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინახება: განაჩენი, დისციპლინარული ღონისძიებები და პატიმრის სხვა პირადი დოკუმენტები. მათი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია პატიმრის მდგომარეობის, ქცევის და დამოკიდებულების შესახებ კვლევისათვის გარკვეული, ფრიად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება.[107]

შინაარსის ანალიზში იგულისხმება ისეთი დოკუმენტების ანალიზი, რომელთაც კომუნიკაციის მნიშვნელობა გააჩნია. მაგ. საგაზეთო სტატიები; რადიო-ტელე გადაცემები; წერილები, პროტოკოლები.[108]

2.2. კრიმინალური სტატისტიკა

პირველ რიგში საჭიროა გავიგოთ, თუ რა არის სტატისტიკა? სტატისტიკა ლათინური სიტყვა „Status"–ისგან არის წარმოქმნილი და ნივთიერების, საგნების, მოვლენების მდგომარეობას ნიშნავს. სტატისტიკა არის ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის სფერო, რომელიც მოწოდებულია „ციფრების ენით" აჩვენოს საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი დარგების, თუ მთელი სახელმწიფოს მდგომარეობა, მათი წარსულის, აწმყოს და მომავლის ნათელი სურათი.[109] „სტატისტიკა თითოეული დარგის, ფირმის, გაერთიანების, კორპორაციის, ტერიტორიული ერთეულის და მთელი ქვეყნის თავისებური ექიმია, რომელიც ანალიზს ჩაუტარებს ობიექტის მდგომარეობას ციფრების ენით, დიაგნოზს დაუსვამს და გადარჩენის სათანადო რეცეპტს გამოუწერს. ... სტატისტიკის დამახინჯებისა და მისი რეალური სურათის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღების ყოველი შემთხვევა ბუმერანგივით დაუბრუნდება ნებისმიერ სუბიექტს და უარყოფითად აისახება [მის] განვითარებაზე".[110]

სტატისტიკა არის უნივერსალური მეცნიერება, რომლის შესწავლის ობიექტია, როგორც საბუნებისმეტყველო, ისე საზოგადოებრივი მოვლენები და პროცესები, ხოლო შესწავლის საგანი – ამ მოვლენების და პროცესების რაოდენობრიობა თვისობრიობასთან მჭიდრო კავშირში კონკრეტულ დროსა და სივრცეში.[111]

მოკლედ რომ ვთქვათ, სტატისტიკა არის მეცნიერება, რომელსაც გააჩნია საკუთარი ნორმები, პროცესები და მოდელები, რათა მან შესძლოს:

- ინფორმაციის შეგროვება
- ინფორმაციის გადამუშავება
- ინფორმაციის ანალიზი

---

[106]Dölling, D., 1984. S. 268.
[107]Jehle, J.-M., 1987. S. 24;
[108]Schäfers, B. (Hrsg.), 2001. S. 222.
[109]გაბიძაშვილი, ბ., 2008. გვ. 16.
[110]იგივე. გვ. 16-17.
[111]იგივე. გვ. 23.

- გაანალიზებული ინფორმაციის წარმოდგენა
- გაანალიზებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია.

არსებობს სტატისტიკის ორი ფორმა:

1. აღწერილობითი სტატისტიკა, ინფორმაციის სისტემატიური და გასაგები წარმოდგენა გრაფიკების და ტაბელების საშუალებით, და 2. შემაჯამებელი სტატისტიკა, რაც გულისხმობს საერთო მონაცემთა შედარებას რესპოდენტთა რაოდენობასთან და შესაძლო შეცდომათა გამოაშკარავებას.

დანაშაულის ანალიზის მნიშვნელოვანი საშუალება არის (სისხლისსამართლებრივი) კრიმინალური სტატისტიკა.

კრიმინალური სტატისტიკის ქვეშ მოიაზრება მათემატიკური ციფრები, რომლებიც დამნაშავის და/ან დანაშაულის შესახებ წერილობითი დოკუმენტების საფუძველზე კონტროლის ორგანოების მიერ სისტემატიურად იქნა დაფიქსირებული,[112] ანუ კრიმინალური სტატისტიკის საგანს წარმოადგენს დამნაშავეობის რაოდენობრივი მხარე, მისი სტრუქტურა, მდგომარეობა და დინამიკა.[113]

კრიმინოლოგ შნაიდერის აზრით, კრიმინალურ სტატისტიკას გააჩნია ოთხი ძირითადი მნიშვნელობა:[114]

1. ოფიციალური კრიმინალური სტატისტიკა არის სახელმწიფო კონტროლის ორგანოების საქმიანობის ანგარიში. პოლიციის, სასამართლოს, პრობაციის და სასჯელაღსრულების ორგანოები აწარმოებენ სტატისტიკას საკუთარი საქმიანობის წარმოსადგენად;
2. კრიმინალური სტატისტიკა არის კვლევის ინსტრუმენტი. იგი იძლევა ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორია ქვეყანაში კრიმინოგენული მდგომარეობა და სავარაუდოდ რა მიზეზებით შეიძლება იყოს ეს გამოწვეული;
3. კრიმინალური სტატისტიკის მეშვეობით ხდება მოსახლეობის ინფორმირებულობა, დანაშაულების მდგომარეობის, დინამიკის და სტრუქტურის მიხედვით, რათა მოსახლეობამ შეძლოს თავი აარიდოს მსხვერპლად გახდომას. (მაგ. ვტომობილის მომეტებული ქურდობების შემთხვევაში, უმეთვალყურეოდ არ დატოვოს მესაკუთრემ საკუთარი ავტომობილი დღის ნებისმიერ პერიოდში). მოსახლეობისათვის კრიმინალური სტატისტიკის გაცნობის ერთ-ერთ მიზეზად კრიმინოლოგ კაიზერის მიერ დასახელებულია აგრეთვე მათთვის დანაშაულისადმი შიშის მოხსნის ფაქტორი[115] (მაგ. შეიძლება პიროვნებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე დაყრდნობით ეგონოს, რომ გახშირებულია განზრახ მკვლელობის ან სხეულის დაზიანების ფაქტები, კრიმინალური სტატისტიკის გაცნობით, იგი დარწმუნდება, რომ ასეთი სახის დანაშაულები ძალიან ცოტაა და შესაბამისად, ნაკლებია იმის ალბათობა, რომ იგი ამგვარი დანაშაულის მსხვერპლი გახდეს);
4. კრიმინალური სტატისტიკის ძირითად ფუნქციად მიჩნეულ უნდა იქნას დანაშაულზე კონტროლი და მისი თავიდან აცილებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შემუშავებისადმი დახმარება. კრიმინალური სტატისტიკის ანალიზი ნათლად

---

[112]Kaiser, G. 1985. S. 197.
[113]სურგულაძე, ლ. 1997. გვ. 6.
[114]Schneider, H. J., 1987. S. 162-163.
[115]Kaiser, G. 1980. S. 211.

აჩვენებს სისიხლის სამართლის კანონმდებლობის დადებით და უარყოფით თვისებებს და განხორციელებული ზოგად პრევენციული და ინდივიდუალური ღონისძიებების ზეგავლენას. კრიმინალური სტატისტიკა ხელს უწყობს ქვეყნის ახალი კრიმინალური პოლიტიკის ჩამოყალიბებას და სისხლის სამართლის კანონმდებლობის ცვლილებებს.

გარდა, ზემოაღნიშნული ფუნქციისა სტატისტიკას გააჩნია პროპაგანდისტული ფუნქცია.[116]

იმის გამო, რომ ადამიანებს სტატისტიკის დროს ციფრებთან აქვთ საქმე, ახსენდებათ ბავშვობაში აბსტრაქტული მათემატიკური ამოცანა, რაც მათში სტატისტიკის მიმართ ერთგვარ უსიამოვნების გრძნობას იწვევს.[117] თუმცა ეს ციფრები (კრიმინალური სტატისტიკა) მეცნიერებისათვის ინფორმაციის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს, ხოლო მათი ანალიზი არის მეცნიერული ლოგიკის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.[118] ლატენტური დანაშაულის კვლევით მიღებული ინფორმაცია იმდენად მწირია, რომ მეცნიერები კრიმინალურ სტატისტიკაზე არიან დამოკიდებულნი, როდესაც ისინი დანაშაულის ხასიათზე, გავრცელებასა და ცვალებადობაზე საუბრობენ.[119]

კრიმინალური სტატისტიკა დანაშაულის მსხვერპლის გამოკითხვის შედეგებთან უნდა იქნეს შედარებული[120] და დანაშაულის ჩადენის დროს არსებული სოციალურ-პოლიტიკური, თუ სხვა საშუალებებით ინტერპრეტირებული, ვინაიდან მხოლოდ ერთი სახის ინფორმაციაზე დაყრდნობა დასკვნის გაკეთების თვალსაზრისით არასრული და არასასურველია.[121] გარდა ამისა, „სტატისტიკის მონაცემები შესაძლებლობას აძლევს სისხლის სამართლის მეცნიერებას დაასაბუთოს წინადადებები სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის შესახებ“.[122]

პირველი კრიმინალური (სასამართლო) სტატისტიკა გამოქვეყნებულ იქნა 1827 წელს საფრანგეთში ჟაკ გერი დე შამნეფის (Jacques Guerry de Champneuf - 1788-1852) მიერ, რომელიც სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა საფრანგეთის იუსტიციის სამინისტროში. საფრანგეთის მაგალითზე ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოებმაც გამოაქვეყნეს თავიანთი კრიმინალური სტატისტიკა (მაგ. შვედეთმა 1832 წელს გამოაქვეყნა 1830 წლის კრიმინალური სტატისტიკა). დანაშაულის აღრიცხვის იმდროინდელი მიზანი იყო, მოსახლეობის „მორალური მდგომარეობის“ გამოკვლევა.[123] მეცნიერული კრიმინალური სტატისტიკის წლად აღიარებულია 1835 წელი, როდესაც ბელგიელმა მეცნიერმა ადოლფ ჟაკ კეტელეტმა (Adolphe Jacques Quetelet) საფუძვლიანი ნაშრომი გამოაქვეყნა სტატისტიკაზე.[124]

რაც შეეხება ციხის სტატისტიკას, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის რამდენიმე ქვეყანის მიერ პირველად გამოაქვეყნებულ იქნა ციხის სტატისტიკა.

---

[116]მარშავა, ქ./მინდორაშვილი, მ., 2011. გვ. 144.
[117]Sellin, Th., 1968. S. 41.
[118]იგივე, გვ. 42.
[119]Kaiser, G., 1985. S. 197.
[120]იქვე.
[121]Heinz, W., 1977. S. 93.
[122]სურგულაძე, ლ. 1997. გვ. 6.
[123]Schneider, H. J., 1987. S. 169.
[124]იქვე.

აშშ-ში პირველი კრიმინალური სტატისტიკა გამოქვეყნდა ნიუ-იორკში 1829 წელს, ხოლო ციხის პირველი სტატისტიკა გამოქვეყნდა 1834 წელს მასაჩუსეტის შტატში.[125]

საქართველოში პირველი ისტორიული მონაცემები მე-13 საუკუნით თარიღდება. 1254-58 წლებში მონღოლმა ნოინ არღუნმა აღწერა საქართველოს მოსახლეობა და მათი ქონება.[126]

სტატისტიკის შესახებ პირველი კანონი მიღებულ იქნა 1919 წელს. ამ კანონით შექმნილ სტატისტიკის სამსახურს უნდა ეწარმოებინა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მონაცემთა შეგროვება.[127]

საქართველოში დღეის მდგომარეობით არსებობს სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მიერ წარმოებული შემდეგი (კრიმინალურ)სტატისტიკური მონაცემები: პოლიციის სტატისტიკა, პროკურატურის სტატისტიკა, სასამართლო სტატისტიკა, პენიტენციური დეპარტამენტის სტატისტიკა და პრობაციის ეროვნული სამსახურის სტატისტიკა.

პოლიციის სტატისტიკა: პოლიციის სტატისტიკის წარმოება ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ. პოლიციის სტატისტიკა მოიცავს საქართველოში (ერთი წლის განმავლობაში) რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკას, დანაშაულის გახსნის სტატისტიკას დანაშაულთა სახეების მიხედვით და ძებნაში მყოფ დამნაშავეთა სტატისტიკას. რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა დაყოფილია დანაშაულის სახეების, რეგისტრირებულ და გახსნილ დანაშაულთა რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებლების და დანაშაულთა მატება, კლების მიხედვით.

დანაშაულთა სახეობა 2006-2011 წლებში შედგება 70 გრაფისაგან, ხოლო 2015 წლისთვის შედგება 91 გრაფისაგან. გრაფებში ჩამოთვლილია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულის სახეები, მათი დამამძიმებელი გარემოებების მითითებით.

ანალიზის კუთხით დიდ პრობლემას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ 2007 წელში 12 568 და 2008 წელში 7 954 დანაშაულზე არ არსებობდა კონკრეტული მონაცემი, ანუ გაურკვეველი იყო, თუ რა სახის დანაშაული იყო ჩადენილი. სტატისტიკის გრაფაში 2007 წელში 12 568 და 2008 წელში 7 954 დანაშაული რეგისტრირებული იყო „სხვა დანაშაულთა“ ქვეშ. „სხვა დანაშაულთა“ სტატისტიკურ გრაფაში საერთო დანაშაულთა მთლიანი რაოდენობის 23 და 18 პროცენტის მითითება (2007 წელს 54 746 დანაშაულიდან გრაფაში „სხვა დანაშაული“ <u>მითითებულია</u> 12 568 (23%), ხოლო 2008 წელს 44 644 დანაშაულიდან – 7 954 (18%)), მიუთითებდა შსს-ს სტატისტიკური სისტემის ნაკლოვანებაზე, რაც ქვეყნის კრიმინოლოგიური მდგომარეობის შეფასებისათვის საერთო სურათის შექმნას შეუძლებელს ხდიდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2014-2015 წლის სტატისტიკურ მონაცემებში კვლავ გვხვდება „სხვა დანაშაულთა“ გრაფა, თუმცა მასში მითითებული დანაშაულის რაოდენობა ზოგიერთ შემთხვევაში საგრძნობლად შემცირებულია, მაგ. „სხვა დანარჩენი 264, 266-272, 274 მუხლი“ – 6 დანაშაული (2014 წელი), „სხვა დანარჩენი 264, 266-272, 274 მუხლი“ – 8 დანაშაული (2015 წელი).

---

[125]იქვე.

[126]მარშავა, ქ./მინდორაშვილი, მ., 2011. გვ. 26.

[127]იქვე.

არსებობს ისეთი „სხვა დანაშაულთა“ გრაფა სადაც ჯერ კიდევ დიდია მასში მითითებული დანაშაულთა რაოდენობის მაჩვენებელი, მაგ. „სხვა დანარჩენი 120-126 მუხლი“ – 2 643 დანაშაული (2014 წელი), „სხვა დანარჩენი 120-126 მუხლი“ – 2 041 დანაშაული (2015 წელი). პირველ შემთხვევაში „სხვა დანაშაულთა“ გრაფაში მითითებული დანაშაულის სტატისტიკის რაოდენობა, იმდენად უმნიშვნელოა, რომ კრიმინოლოგიური ანალიზის თვალსაზრისით საერთო სურათს ვერ შეცვლის (6 დანაშაული 2014 წელს და 8 დანაშაული 2015 წელს), რაც არ შეიძლება ითქვას მეორე მაგალითის „სხვა დანაშაულთა“ გრაფაში მითითებული დანაშაულის სტატისტიკის რაოდენობაზე – 2 643 დანაშაული (2014 წელი) და 2 041 დანაშაული (2015 წელი).

პროკურატურის სტატისტიკა: პროკურატურის სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მთავარი პროკურატურის აპარატის ანალიტიკური სამმართველო. პროკურატურის სტატისტიკა მოიცავს: საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულ და გახსნილ დანაშაულთა სტატისტიკას; ყველაზე ხშირად ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკას; სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების სტატისტიკას, წინასწარი გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციას; აღკვეთი ღონისძიებების გამოყენების წლიურ მაჩვენებელს; აღკვეთი ღონისძიებების გამოყენების დინამიკას (წლების შედარებით); სასამართლოში წარმართულ საქმეთა რაოდენობას; საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობას.

სასამართლო სტატისტიკა: სასამართლო სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილება. სასამართლო სტატისტიკა მოიცავს: მონაცემებს საერთო სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის შესახებ (დანაშაულის სახეების მიხედვით), მსჯავრდებულთა რაოდენობის სტატისტიკას, თავისუფლებააღკვეთილ პირთა სტატისტიკას, გამოყენებულ სასჯელთა სტატისტიკას, მონაცემებს ნასამართლეობის შესახებ.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტატისტიკა: სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დეპარტამენტის სპეციალური აღრიცხვის სამსახური. პენიტენციური დეპარტამენტის სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ პატიმართა რაოდენობის შესახებ. ასევე მონაცემებს პირობით ვადამდე გათავისუფლების, პრეზიდენტის შეწყალების და ამინისტიის საფუძველზე გათავისუფლებულ პირთა და გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობის შესახებ.

პრობაციის ეროვნული სამსახურის სტატისტიკა: პრობაციის ეროვნული სამსახურის სტატისტიკას აწარმოებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის ეროვნული სამსახურის აღსრულების კონტროლის, სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველო. პრობაციის ეროვნული სამსახურის სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და თითოეულ პრობაციის ბიუროში რეგისტრირებულ პირებზე, რომლებსაც დაედოთ პირობითი მსჯავრი.

სახელმწიფო ორგანოების მიერ წარმოებული კრიმინალური სტატისტიკა დანაშაულის რეგისტრაციიდან დამნაშავისათვის თავისუფლების აღკვეთის მისჯამდე წარმოადგენს ძაბრისებური ფორმის „გამცხრილავ მანქანას“. სამწუხაროდ, ქვეყანაში არ არსებობს სრული კრიმინალური სტატისტიკური მონაცემები, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, ხელს უშლის ქვეყნის სწორი კრიმინალური პოლიტიკის შემუშავებას.

<u>დანაშაულის სტატისტიკური მდგომარეობა 2015 წელს</u>



2.3. ლატენტური დანაშაული

2.3.1. ლატენტური დანაშაულის ცნება

კრიმინალური სტატისტიკა მოიცავს გარკვეული დროის განმავლობაში ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას, რომელიც ცნობილი გახდა სამართალდამცავი ორ-განოებისათვის. სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი ხდება არა ყველა დანაშაული, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი. საუკუნის განმავლობაში მეცნიერები ცდილობენ იმის გარკვევას, თუ რამდენად შეესაბამება ოფიციალურად რეგისტრირებული დანაშაული სინამდვილეში მომხდარ დანაშაულთა რაოდენობას.

„ლატენტური“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს გაუმჟღავნებელს, ფარულს.[128] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში იგი სავარაუდოდ გავრცელდა რუსულიდან– латентное преступление (Dunkelfeld – გერ., dark number – ინგ.).

ლატენტურად უნდა ჩაითვალოს ისეთი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება, რომელიც სამართალდამცავი ორგანოებისათვის არ გახდა ცნობილი, ვერ იქნა გამოვლენილი და ამიტომ არ მოხდა პოლიციის სტატისტიკაში მათი აღრიცხვა და რეგისტრაცია. თუმცა იგი „სინამდვილეში საკმაოდ გავრცელებულია და დიდ გავლენას ახდენს კრიმინოლოგიურ სიტუაციაზე“.[129]

სამართალდამცავი ორგანოებისათვის უცნობი რჩება ძირითადად ისეთი დანაშაული, რომლის მსხვერპლი ან სხვა პიროვნება (თვითმხილველი, მსხვერპლის ნათესავი ან მეგობარი) არ მიმართავს შესაბამის სტრუქტურებს (პოლიციას, პროკურატურას).

გერმანელ კრიმინოლოგთა აზრით, ჩადენილ დანაშაულთა მხოლოდ ათი პროცენტი ხდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის საკუთარი სამსახურებრივი საქმიანობიდან ცნობილი, ესენია - შემთხვევით დანაშაულის ჩადენაზე წასწრება ან საკუთარი ინფორმანტებისაგან ინფორმაციის მიღება,[130] ხოლო ჩადენილი დანაშაულის 90% მოქალაქეთა შეტყობინების შედეგია. გარდა ამისა, აღსანიშნავია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, რაც პოლიციისათვის ასევე დანაშაულის დაფიქსირების საშუალებაა (მაგ. მკვლელობა ქუჩაში).

ლატენტურ დანაშაულად ითვლება ისეთი დანაშაულებიც, რომლებიც *„არავის აღუქვია დანაშაულად ან რომელიც აღარავის ახსოვს.“*[131]

საქართველოში ლატენტური დანაშაულის ხვედრითი წილი დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით უფრო მაღალი უნდა იყოს. ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობა (რომლის აღმოფხვრასაც ცდილობს ქვეყნის ხელისუფლება) და პრობლემების საკუთარი ძალებით (ქუჩის გარჩევებით) მოგვარება, სწორედ იმის წინაპირობებია, რომ ქვეყნის მოსახლეობის ერთი ნაწილის მიერ ჩადენილი თუ მისთვის ცნობილი დანაშაული არ გახდეს სამართალდამცავი ორგანოებისადმი ცნობილი. ჩადენილი დანაშაულის სა-მართალდამცავი ორგანოებისათვის შეუტყობინებლობა გარდაუვლად ზრდის ქვეყ-ანაში დანაშაულობის ლატენტურობას.[132]

---

[128]წულაია, ზ., 2005. გვ. 95.
[129]შუშანაშვილი, ა., 2000. გვ. 155.
[130]Schwind, H-D., 2008. S. 34.
[131]Schneider, H. J., 1987. S. 182.
[132]წულაია, ზ., 2005. გვ. 110.

2.3.2. ლატენტური დანაშაულის კვლევის მეთოდები

კრიმინოლოგიური კვლევის მეთოდებს შორის ლატენტური დანაშაულის შესახებ ყველაზე სრულყოფილი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გამოკითხვის მეთოდით, თუმცა ასევე გამოიყენება თანამონაწილეობითი დაკვირვების და ექსპერიმენტის[133] მეთოდებიც.[134]

ლატენტური დანაშაულის შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენენ ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც უტარდებათ გამოკითხვა იმის თაობაზე; 1) ჩაუდენიათ თუ არა მათ დანაშაული (დამნაშავის გამოკითხვა); 2) გამხდარან თუ არა ისინი დანაშაულის მსხვერპლნი (მსხვერპლის გამოკითხვა); 3) გახდა თუ არა მათთვის დანაშაულის ჩადენა ცნობილი (ინფორმაციული გამოკითხვა).[135]

ლატენტური დანაშაულის კვლევა გამოკითხვის მეთოდით შეიცავს რამდენიმე ხარვეზს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას მსგავსი კვლევების ჩატარების შემთხვევაში.

დამნაშავის გამოკითხვის დროს (self-reported-crime) გათვალისწინებული უნდა იქნას, რესპოდენტის მახსოვრობის შესაძლებლობები, ქმედების დანაშაულად აღქმის უნარი, გადაჭარბებული წარმოსახვა (არასრულწლოვნებში).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ დამნაშავის გამოკითხვის დროს ადგილი აქვს ან მსუბუქი ხასიათის დანაშაულების ჩადენის ან მასობრივი ხასიათის დანაშაულის (დამახასიათებელია არასრულწლოვნებისათვის. მაგ. მობილური ტელეფონის გამოძალვა) შესახებ ინფორმაციის მიღებას. მძიმე სახის დანაშაული ან სოციალურად ტაბუდადებული დანაშაულები (სექსუალური ხასიათის დანაშაული, მკვლელობა) ლატენტურ დანაშაულთა შორის იშვიათად ხვდება.[136]

დამნაშავის გამოკითხვასთან შედარებით დანაშაულთა მსხვერპლის გამოკითხვა მიჩნეულია უფრო მეტად სიმართლის შემცველად, ვინაიდან მსხვერპლი უფრო არის მზად ჩადენილი დელიქტის შესახებ ინფორმაციის გაცემის, ვიდრე დანაშაულის ჩამდენი.[137] გარდა ზემოაღნიშნულისა, მსხვერპლის გამოკითხვის მეთოდსაც გააჩნია შემდეგი სახის ხარვეზები. ასე მაგალითად, დელიქტები ჩადენილი იურიდიული

---

[133]ექსპერიმენტი შეიძლება ჩატარდეს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი რეაქცია ექნებათ მაღაზიის გამყიდველს და მყიდველებს, თუ ისინი დაინახავენ, რომ მაღაზიაში ადგილი აქვს ქურდობას, ანუ ქურდობის აღმოსაფხვრელად მიიღებენ თუ არა ისინი ადგილზე შესაბამის ზომებს, თუ დაურეკავენ სამართალდამცავ ორგანოებს, ან განახორციელებენ ორივე ქმედებას.
თანამონაწილეობითი დაკვირვების ერთ-ერთ მიზანს ლატენტური დანაშაულის გამოვლენის დროს წარმოადგენს, თანამონაწილეობითი დამკვირვებლის მიერ შემდეგი მონაცემების დაგროვება, თუ რამდენი დანაშაული იქნა იმ ჯგუფის მიერ ჩადენილი, რომლის „წევრიც“ დამკვირვებელი არის და ამ დანაშაულებიდან რამდენი გახდა პოლიციის მიერ რეგისტრირებული.

[134]Schwind, H-D., 2008. S. 35-49.

[135]Eisenberg, U., 2005. S. 132.

[136]Kunz, K.-L., 1998. S. 300; წულაია, ზ., 2005. გვ. 104.

[137]Kerner, H.-J., 1991. S. 84.

პირების და სახელმწიფო დაწესებულებების მიმართ, როდესაც მსხვერპლის პერსონიფიცირება შეუძლებელია, საერთოდ არ ხდება მათი ლატენტურ დანაშაულთა კვლევაში წარმოდგენა.[138]

გერმანიაში ჩატარებული მოსახლეობის გამოკითხვის ანალიზის თანახმად, ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ოფიციალურად რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობისაგან.[139] ზოგიერთი მეცნიერის აზრით, თანაფარდობა რეგისტრირებულ და ლატენტურ დანაშაულებს შორის 1:3-ზეა. არარეგისტრირებულ დანაშაულთა შორის მნიშნელოვანი ადგილი უკავია ქურდობას და სხვისი ნივთის დაზიანებას.[140] არასრულწლოვანთა გამოკითხვების თანახმად, მოცემულ ასაკში ლატენტური დანაშაულის ხვედრითი წილი, ოფიციალურ დანაშაულებთან შედარებით ძალიან მაღალია.[141]

კრიმინოლოგი კაიზერი ჩატარებული ლატენტური დანაშაულების კვლევების საფუძველზე დასკვნის სახით აცხადებს, რომ:[142]

1. არარსრულწლოვანთა დანაშაული უფრო ფართოდ არის გავრცელებული, ვიდრე ეს პოლიციის სტატისტიკით არის რეგისტრირებული. თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს მსუბუქი დანაშაული ჩადენილი. გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ არასრულწლოვნები ხშირად ჩადიან ქურდობას და სხვისი ნივთის დაზიანებას.

2. ლატენტური დანაშაულის კვლევა ხელს უწყობს ისეთი სახის ქმედებების გამოვლენას, რომლებიც სოციალურად მიუღებელია, მაგრამ დანაშაულს არ წარმოადგენს (მაგ. გაკვეთილების გაცდენა, სახლიდან გაქცევა).

3. არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი ხდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი, გამოძიებული და სანქციონირებული. შესაბამისად, ნორმალურად უნდა იქნეს მიჩნეული არასრულწლოვნების მიერ კანონის დარღვევა, მაგრამ არანორმალურია, როდესაც ისინი მკაცრი სასჯელით არიან სანქციონირებული.

4. ლატენტური დანაშაულის საფუძვლიანმა კვლევამ აჩვენა, რომ ამა თუ იმ ჯგუფებს შორის დიდი განსხვავება არსებობს დანაშაულის გავრცელების, სტრუქტურის და ინტენსივობის მხრივ.

5. ლატენტური დანაშაულის კვლევების თანახმად, არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი დანაშაული მსუბუქი ხასიათისაა. მძიმე (ან განსაკუთრებით მძიმე) ხასიათის დანაშაულების გამოვლენა ლატენტური დანაშაულის კვლევებით თითქმის შეუძლებებია.

6. როგორც ოფიციალური მონაცემების, ასევე ლატენტური დანაშაულის კვლევის თანახმად მნიშვნელოვნად ცოტაა გოგონების მიერ ჩადენილი დანაშაული.

7. ლატენტური დანაშაულის კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალურად რეგისტრირებულია ძირითადად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

---

[138]იქვე.
[139]Kunz, K.-L., 1998. S. 302.
[140]იქვე.
[141]იგივე, გვ. 303.
[142]Kaiser, G., 1985. S. 225-228.

8.არასრულწლოვნები, რომელთა მიერ ჩადენილი დანაშაული ცნობილი გახდა პოლიციისათვის და დასჯილ იქნა სასამართლოს მიერ, არაფრით განსხვავდებიან სხვა იმ არასრულწლოვნებისაგან, რომლებიც დასჯილნი არ არიან.

9. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ შემთხვევით დანაშაულის ჩამდენი და დამნაშავე არასრულწლოვანები. განსხვავებული უნდა იქნას მათი რესოციალიზაციის პროგრამებიც.

10. ლატენტური დანაშაულის კვლევამ აგრეთვე აჩვენა, რომ ზოგიერთი დანაშაულის მიმართ საზოგადოება ტოლერანტულად (შემწყნარებლურად) არის განწყობილი და მისი პოლიციის ორგანოებისათვის შეტყობინება არ ხდება.

ლატენტური დანაშაულის კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი არ ჩადის.[143]

არც ოფიციალურ სტატისტიკას და არც ლატენტური დანაშაულის კვლევას არ შეუძლია ქვეყანაში დანაშაულის ჩადენის ზუსტი სურათი ასახოს. ისინი (ოფიციალური სტატისტიკა და არც ლატენტური დანაშაულის კვლევა) ორი სხვადასხვა შესაძლებლობაა, მივიღოთ ინფორმაცია დანაშაულის ჩადენის მდგომარეობის, სტრუქტურის და დინამიკის შესახებ.[144] კრიმინოგენული მდგომარეობის შესასწავლად საჭიროა ორივე სახის მონაცემის ანალიზი და ერთმანეთთან შეპირისპირება.

[143]Schöch, H.,1976. S. 224.
[144]Kaiser, G., 1985. S. 229.

თავი მესამე
დანაშაულის ახსნა-განმარტების თეორიები

3.1. კრიმინოლოგიური თეორიები და მათი მნიშვნელობა

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო საზოგადოება მისი წარმოშობისთანავე დანაშაულს იცნობს, და როგორც მოსამართლეები, ასევე მეცნიერები და კანონშემომქმედნი საუკუნეების მანძილზე დანაშაულებრივი ქმედების შესწავლით არიან დაკავებულნი, დანაშაულის ჩადენის მიზეზებზე ერთიანი პოზიცია მაინც არ არის შემუშავებული. აღნიშნული გულისხმობს არა დანაშაულებრივი ქმედებებისადმი შეგუებას, არამედ იმ გამოწვევის მეცნიერული კვლევითი მეთოდებით გამოვლენას, გაანალიზებას და შესაბამისი კონტროლის მექანიზმის მოძიებას, რასაც დანაშაული ჰქვია.

დანაშაულებრივი ქმედების მეცნიერული ახსნა-განმარტება (შესწავლა) გულისხმობს თეორიული საფუძვლის შექმნის და ამ თეორიის გამოყენების ერთგვარ პროცესს.

თეორიებს კრიმინოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. ემპირიული კვლევა თეორიის გარეშე ფიქსაციაა.[145] იდეები და ჰიპოთეზები დამყარებულია წარმოდგენებზე ამა თუ იმ ობიექტის შესახებ, რომელთაც თეორიული ან ემპირიული (უკვე კარგად გამოცდილი) ფუძე, ძირი გააჩნია.[146]

თეორიები წარმოადგენენ სინამდვილის აზრობრივ კონსტრუქციას. ისინი იმ სამყაროს შესახებ გვაწვდიან განმარტებით ინფორმაციას, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ. თეორიების საშუალებით მეცნიერები ცდილობენ ჩვენ მიერ აღქმული მოვლენების დალაგებას, თუ როგორ და რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა. მით უფრო კარგია თეორია, რაც უფრი ზუსტად გამოხატავს იგი სინამდვილეს.

კრიმინოლოგიური თეორიები ოთხ სხვადასხვა საკითხს ეხება. ესენია: დანაშაული, დამნაშავე, დანაშაულის კონტროლი და დანაშაულის მსხვერპლი.[147]

ვინაიდან კრიმინალური ქცევა, ქცევებს შორის ერთ-ერთია, ამიტომ კარგი კრიმინოლოგიური თეორია პირველ რიგში ქმედებების ზუსტი ახსნა-განმარტებების თეორია უნდა იყოს, ანუ აუცილებელია ისეთი სპეციფიური თეორიების შექმნა, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედებების ახსნა-განმარტებას მოემსახურება. თეორიათა დიდ ნაწილს ერთი ან რამდენიმე დანაშაულებრივი ქმედების ახსნა შეუძლია, ამიტომ მეცნიერების დიდი ნაწილის აზრით, კრიმინოლოგიური თეორიების დანაშაულებრივი ქმედების ახსნის მოცულობა „საშუალო მანძილისაა“[148] - მოკლეა, ვიწროა.[149]

ადამიანის ქცევის განვითარებისას (ჩამოყალიბებისას), მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი, როგორც ინდივიდის მიერ მიღებული გამოცდილება და განათლების დონე.[150]

---

[145]Lamnek, S., 1984. S. 34.
[146]იქვე.
[147]Kaiser, G., 1996. S. 181.
[148]Göppinger, H., 2008. S. 121.
[149]Walter, M./Brand, Th./Wolke, A., 2009. S. 26-27.
[150]Meili-Lüthy, E.M., 1982. S. 63.

ქცევის სწავლის პროცესი თავის მხრივ, უკვე განცდილის გამოხატულება და განვითარებაა. ამიტომ იწევს წინა პლანზე დანაშაულებრივი ქცევის განხილვისას დამნაშავის გარემო. კერძოდ, ოჯახი, სკოლა, სამუშაო ადგილი და სამეგობრო წრე.[151]

ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოჯახურ ურთიერთობები, იქნება ეს ფინანსური, საბინაო, სოციალური გარემო, მშობლების პროფესიული საქმიანობა, ოჯახში დედმამიშვილების რაოდენობა, მშობლებს შორის ურთიერთობა და მშობლების ურთიერთობა შვილებთან, გადამწყვეტი ფაქტორებია ბავშვის მიერ მოგვიანებით განხორციელებული ქცევისა და საკუთარი გამოცდილების შექმნისათვის.[152]

კრიმინოლოგი გაბიანი ერთმანეთისგან განასხვავებდა დანაშაულობის მიზეზებს და დანაშაულთა ჩადენის ხელის შემწყობ პირობებს. მისი აზრით, „დანაშაულობის მიზეზებად გვევლინებიან ისეთი მოვლენები, რომლებიც უშუალოდ იწვევენ დანაშაულობის აღმოცენებას და არსებობას“ (მაგ. უმუშევრობა), ხოლო „დანაშაულთა ჩადენის ხელის შემწყობი პირობა ეწოდება ისეთ მოვლენას ან მოვლენათა კომპლექსს, რომელსაც თავისთავად არ შესწევს უნარი უშუალოდ გამოიწვიოს შედეგი, მაგრამ თან ახლავს რა მას დროსა და სივრცეში“, უზრუნველყოფს დანაშაულის ჩადენას (მაგ. ოჯახური და სასწავლო პირობები, ნარკომანობა).[153] დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენა, დანაშაულის წინასწარი პროგნოზი ძალიან რთულია. კრიმინოლოგიის მიზანია ემპირიულ კვლევებზე დაყრდნობით გამოყოს ის მიზეზები/ფაქტორები, რომელთა არსებობისას დანაშაულის ჩადენის ალბათობა იზრდება.[154]

3.2. ბიოლოგიური თეორიები

3.2.1. ჩეზარე ლომბროზო

ჩეზარე ლომბროზომ, იტალიელმა ფსიქიატრმა და ანტროფოლოგმა 1876 წელს გამოსცა ნაშრომი „L'uomo delinquente“ – დაბადებით დამნაშავე - და წამოაყენა თეორია, რომ: 1. შეიძლება დამნაშავის წინასწარი დადგენა მისი გარეგნობიდან გამომდინარე და 2. დამნაშავეობა გენეტიკური მოვლენაა. პირი იმიტომ გახდა დამნაშავე, რომ იგი არ განვითარდა და დარჩა განვითარების წინანდელ საფეხურზე (არ განიცადა ევოლუცია).[155]

ლომბროზოს პირველი შეხედულება დიდი ხანია უარყოფილ იქნა და აღარ წარმოადგენს კრიმინოლოგიური დისკუსიის საგანს, ხოლო მისი მეორე შეხედულება - დამნაშავეობა გენეტიკური მოვლენაა – შესწორებულ იქნა. დანაშაული მარტო ბიოლოგიური პროცესების (გენეტიკის) შედეგი არ არის. გენეტიკაზე მეტად ადამიანზე მისი სოციალიზაციის პროცესი მოქმედებს.[156] თანამედროვე კრიმინალ-ბიოლოგიური თეორიის მიმდევრები აღიარებენ ურთიერთკავშირს გენეტიკასა და

---

[151]Schneider, H.J., 1987. S. 503.
[152]Wilson, H., 1987. S. 280-281.
[153]გაბიანი, ა., 1969. გვ. 50.
[154]დანაშაულის პროგნოზის შესახებ იხ.: შალიკაშვილი, მ./ჩიხლაძე, დ., 2013. გვ. 3-29.
[155]Schwind, H-D., 2008. S. 91, 103.
[156]Schneider, H.J., 1987. S. 369.

სოციალურ გარემოს შორის, რის გამოც შესაძლებელია ადამიანი დამნაშავე გამხდარიყო.[157]

3.2.2. გამოკვლევები ტყუპების შესახებ

ტყუპების კვლევას 1929 წელს საფუძველი ჩაუყარა ლანგემ. ტყუპების კვლევის არსი მდგომარეობს შემდეგში. არსებობენ ერთკვერცხიანი და ორკვერცხიანი ტყუპები. ერთკვერცხიანი ტყუპები თავიდან ერთი კვერცხის უჯრედში იყვნენ მოთავსებულნი, რომელიც შემდეგ ორად გაიყო, ხოლო ორკვერცხიანი ტყუპები თავიდანვე ორ სხვადასხვა კვერცხის უჯრედში განვითარდნენ. ვინაიდან ერთკვერცხიანი ტყუპების გენეტიკური მსგავსება 100%-ა, მათი სოციალური ქცევაც უფრო მსგავსი უნდა იყოს ვიდრე ორკვერცხიანი ტყუპების.

ტყუპების კვლევას 1929 წელს საფუძველი ჩაუყარა ლანგემ. მან გამოიკვლია 13 ერთკვერცხიანი და 17 ორკვერცხიანი ტყუპები და შედეგად მიიღო, რომ 13 ერთკვერცხიანი ტყუპებიდან 10 შემთხვევაში ორივე ტყუპისცალს ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული, ხოლო 17 ორკვერცხიანი ტყუპებიდან მხოლოდ 2 ტყუპისცალს ჰქონდათ დანაშაული ჩადენილი.[158]

აიზენკის მიერ გასული საუკუნის 70-იან წლებში ჩატარებულმა 766 ტყუპების კვლევამ აჩვენა, რომ ერთკვერცხიანი ტყუპების 55% კრიმინალურ გზას იყო დამდგარი, როცა ორკვერცხიანი ტყუპების მხოლოდ 13% იყო კრიმინალი.[159] აიზენკის აზრით, თუ ერთკვერცხიანი ტყუპისცალიდან ერთი კრიმინალი გახდა, მაშინ მეორე ტყუპისცალისთვის 4-ჯერ მეტი ალბათობა არსებობს იმის, რომ იგიც დამნაშავე გამოვიდეს, ვიდრე ეს ორკვერცხიან ტყუპების შემთხვევაშია შესაძლებელი.

ამავე კვლევის დროს ასევე დადგინდა, რომ მსგავსება იყო როგორც ალკოჰოლის მოყვარულ, ასევე ჰომოსექსუალ ტყუპებს შორის. მაგ.: 63 ჰომოსექსუალი ერთკვერცხიანი ტყუპებიდან ყველა ტყუპის ცალი ჰომოსექსუალი იყო, როცა ორკვერცხიან ტყუპებს შორის მხოლოდ 12% იყო ჰომოსექსუალი.[160]

	ტყუპების რაოდენობა	ერთკვერ-ცხიანი ტყუპები	ორკვერ-ცხანი ტყუპები	შედეგები პროცენტებში	
				ერთ კვერცხიანი	ორ კვერცხ-იანი
სრულწლოვანი დამნაშავეები	766	231	535	55%	13%
ალკოჰოლის მოყვარულები	82	26	56	65%	30%
ჰომოსექსუალები	63	37	26	100%	12%

ტყუპების გამოკვლევასთან დაკავშირებით საკითხავია, თუ რამდენად გა-ნაპირობა გენეტიკურმა მოვლემან (ტყუპობამ) დამნაშავეობა? და ხომ არ იყო

[157]იქვე.
[158]Schwind, H-D., 2008. S. 105.
[159]Eysenck, H.-J., 1977. S. 87.
[160]იგივე, გვ. 88.

მსგავსება სოციალური და პედაგოგიური პროცესების შედეგი, ვინაიდან გასათვალისწინებელია, რომ დამნაშავე ტყუპები სავარაუდოდ ერთნაირ სოციალურ გარემოში იყვნენ აღზრდილები, რამაც ასევე შესაძლებელია მათი დამნაშავეობა გამოიწვია.

3.3. ფსიქოლოგიური თეორიები

3.3.1. ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორია

ფროიდის აზრით ადამიანი, როგორც სულიერი არსება, ანტისოციალური მოვლენაა - "polimorph-perverses", რომელიც ბავშვობის ადრეულ ასაკში ***ზე-მე-ს (ÜBER- ICH - სუპერეგო)*** და ***მეს (ICH -ეგო)*** ზემოქმედებით სწავლობს საკუთარ მოთხოვნილებათა კონტროლს,[161] ანუ აღზრდის მეშვეობით ხდება მისი შინაგანი კონტროლის ჩანერგვა, რათა ადამიანმა შეძლოს ემოციების და სურვილების საზოგადოებრივ ნორმებთან შეხამება. მოთხოვნილებათა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მისი სექსუალური მოთხოვნილება – ლიბიდო. პატარა ბავშვის ლიბიდო ვითარდება ფაზებში (ორალური, ანალური, ფალიური). თუ ბავშვის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას და განვითარებას ხელი შეეშლება, მოგვიანებით ადგილი ექნება მისი პიროვნების განვითარებისათვის ხელის შეშლას, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს ურთიერთობის და კავშირების სისუსტეში, საკუთარი თავისადმი რწმენის არქონაში.[162]

იგი (ES - იდი) აქვს ყველა ადამიანს და გულისხმობს შინაგან სურვილებს (იმპულსურობა, აღგზნება) და მოთხოვნილებებს. ***იგი*** მოითხოვს სწრაფ დაკმაყოფილებას და იმყოფება „ლოგიკის, ღირებულებების და ზნეობის მიღმა".[163]

ზე-მე (ÜBER- ICH) არის მორალი და აღზრდის ყველა ის ნორმა, რომელიც საჭიროა ადამიანის სოციალიზაციისათვის. ზე-მე არის თვითკონტროლი.[164] ***მე (ICH) არის*** პირის აზროვნება, შეხედულებები, ღირებულებებისადმი და ნორმისადმი დამოკიდებულება.[165]

ფსიქოანალიტიკური თეორიის მიხედვით, ***ზე-მე–ს (ÜBER- ICH)*** და ***მე-ს (ICH)*** განვითარებაში ხელის შეშლა იწვევს პიროვნების განუვითარებლობას, რაც აფერხებს მის სოციალიზაციას და იწვევს დანაშაულებრივ ქმედებებს.[166]

მე (ICH) სჭირდება ადამიანს, რათა მან მოახერხოს ***იგის (ES)*** კონტროლი ***ზე-მე–ს (ÜBER-ICH)*** მეშვეობით, ანუ პიროვნება შინაგანი სურვილების კონტროლს ახორციელებს საკუთარი აზროვნების/შეხედულებების საფუძველზე ჩამოყალიბებული მორალური ნორმებით.

ფსიქოანალიტიკური თეორიის მიხედვით დანაშაული არის „სიპტომი შიდასულიერი კონფლიქტის ***მე-ს, ზე-მე–ს და იგის*** შორის".[167]

---

[161]Kunz, K.-L., 2001. S. 121.
[162]იქვე.
[163]ბალიაშვილი, მ., 2012. გვ. 65.
[164]იქვე.
[165]Göppinger, H., 2008. S. 128.
[166]იქვე.
[167]Kaiser, G., 1996. S. 122.

ფროიდის სამი ინსტანციის ჰარმონიული თანაცხოვრება, უპირველეს ყოვლისა, მშობლების შვილებთან ურთიერთობაზეა დამოკიდებული, ვინაიდან საზოგადოებრივი ღირებულებების და ნორმების ბავშვის ***ზე-მე–ში*** „ტრანსპორტირება“ სწორედ ბავშვის მიერ მშობლებთან იდენტიფიკაციით ხდება.[168]

ზე-მე–ს (ÜBER- ICH), როგორც მორალური ინსტანცია, მამის არყოლის ან მამის მიერ საკუთარი როლის არაჯეროვნად შესრულების (იგულისხმება ბავშვის ორიენტაცია მამის საქციელზე) შემთხვევაში, შეიძლება ბავშვი არასაკმარისად განვითარდეს, ხოლო ბავშვის მოთხოვნილებათა დასაოკებლად მკაცრმა მორალურმა ნორმებმა კი შეიძლება ***იგი (ES)*** მის არაცნობიერში გადატანა გამოიწვიოს.[169] მოზარდების უნარი, დროულად გაემიჯნონ საკუთარი დედის ან მამის ცხოვრების წესს, იმ პირებში, რომლებშიც დიდია ***ზე-მე–ს ÜBER-ICH*** (მორალური ნორმების) როლი ადგილი აქვს ე.წ. ოიდიპოსის კომპლექსს[170] და გაუცნობიერებლად საკუთარი თავის დადანაშაულებას, რამაც ასევე დანაშაულის ჩადენა შეიძლება გამოიწვიოს.[171]

ფსიქოანალიტიკური თეორიის დროს ბავშვობაში მიღებულ გამოცდილებას, ტრავმას დიდი მნიშვნელობა ენიჭება[172] და დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დასადგენად გამოიყენება.[173]

3.3.2. „განტევების ვაცის“ თეორია

თუ კრიმინოლოგიური თეორიები ძირითადად დამნაშავის პიროვნებას აქცევენ ყურადღებას და ჩადენილი დანაშაულის და მიზეზობრივი კავშირის დადგენას ცდილობენ, „განტევების ვაცის“[174] თეორია ორიენტირებულია სოციალურ რეაქციაზე და დამსჯელი საზოგადოების ფსიქოლოგიაზე.[175] ამ თეორიის თანახმად,

---

[168]Göppinger, H., 2008. S. 128.

[169]Kunz, K.-L., 2001. S. 121.

[170]ოიდიპოსის კომპლექსი კლასიკური ფსიქოანალიზის ერთ–ერთი ძირითადი ცნებაა. იგი წარმოიშვა ძველბერძნული მითოლოგიური პერსონაჟის – ოიდიპოსის სახელის მიხედვით, რომელმაც მამა მოკლა და დედა ცოლად შეირთო ისე, რომ ამგვარი ცოდვის ჩადენა ფიქრადაც კი არ გაუვლია. ოიდიპოსის კომპლექსი გულისხმობს ადრეული ბავშვობის პერიოდის არაცნობიერი ლტოლვების ერთიანობას, დაკავშირებულს მშობლებისადმი ბავშვის ამბივალენტურ (გაორებულ) დამოკიდებულებასთან – მას ერთდროულად კიდეც უყვარს და კიდეც სძულს თითოეული მათგანი; მათი სიკვდილი სურს, თან თავისი (არაცნობიერი) სურვილების გამო დასჯის ეშინია. გოგოებთან ოიდიპოსის კომპლექსს იუნგმა ელექტრას კომპლექსი უწოდა. იუნგისაგან განსხვავებით, ფროიდი ამჯობინებდა ოიდიპოსის კომპლექსის ცნების გამოყენებას, რადგან, სქესისგან განურჩევლად, მას უნივერსალურად მიიჩნევდა. ამ ორ კომპლექსს შორის განსხვავებას ფროიდი მხოლოდ განვითარების ხასიათში ხედავდა. თანამედროვე ფსიქოანალიტიკურ მეცნიერებაში ტერმინი „ელექტრას კომპლექსი“ იშვიათად გამოიყენება; უფრო ხშირად ოიდიპოსის კომპლექსის ცნებას მიმართავენ. იხ.: კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004. გვ. 192.

[171]Kunz, K.-L., 2001. S. 121.

[172]Kaiser, G., 1996. S. 122.

[173]იხ.: იურგენ ბარჩის შემთხვევა. შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 58.

[174]„განტევების ვაცი“ (Scapegoating) არის თავდასხმის ან თავდაცვის ფორმა, როდესაც საკუთარი პრობლემები, ან უსიამოვნებანი სხვა რომელიმე ისეთ ადამიანს, ან ადამიანთა ჯგუფს ბრალდება, რომელთაც არ შეუძლიათ შესაბამისი წინააღმდეგობის გაწევა. „განტევების ვაცის“ ძებნა მაშინ იწყება, როდესაც ადამიანთა რომელიმე ჯგუფი გრძნობს ხიფათს, მაგრამ არ შეუძლია მუქარის წყაროს მიმართ რეაგირება. ამიტომ ისინი სხვა, სუსტ, ან საზოგადოების მიერ ათვალისწუნებულ, არაპოპულარულ ჯგუფს იღებენ სამიზნედ. „განტევების ვაცის“ ძებნას ფსიქოლოგიური თვითდამკვიდრების ფუნქციაც აქვს, ვინაიდან შედეგის მიღწევის შემთხვევაში ბადებს საკუთარი უპირატესობის გრძნობას“. ჭაბაშვილი, ა. (რედ.), 1999. გვ. 22.

[175]Göppinger, H., 2008. S. 129.

საზოგადოება ქმნის თავის დამნაშავეებს და სჯის მათ, საკუთარი უკურეაქციისათვის.

„განტევების ვაცის“ ფსიქოლოგიურ თეორიაში იგულისხმება ადამიანების თვისება, საკუთარი ნაკლოვანებები, სისუსტეები და აკრძალული ემოციების და სურვილების შეუსრულებლობა, რომელთა რეალიზაციის უნარი თვითონ არ შესწევს სხვა საგნებზე, ცხოველებსა და უცხო ადამიანებზე გადაიტანოს. აღნიშნულს ადგილი აქვს, როდესაც საზოგადოების წევრებს საკუთარი აკრძალული სურვილები უცხო ადამიანებზე ან დამნაშავეებზე გადააქვთ. შეუსრულებელი ემოციების უცხო პიროვნებაზე გადატანა, ხელს უწყობს მათ საკუთარი თავი საზოგადოების ღირსეულ და საუკეთესო წევრად წარმოიდგინონ.[176] მაგ.: დიდი ქონების ქონის სურვილი საზოგადოების თითოეულ წევრს გასჩენია, თუმცა ბევრი ამ სურვილს ვერ ახორციელებს ნაკლები შემოსავლების გამო. თუ გამოჩნდა ვინმე, ვინც გადასახადების გადახდის დამალვის, ქურდობის, კორუფციის გზით შეძლებს დიდი ქონების დაგროვებას, მას საზოგადოება საკადრისად დასჯის. სხვა პიროვნების დასჯით ისე, რომ დამსჯელს შეიძლება გააზრებულიც კი არ ჰქონდეს ეს, ახდენს საკუთარი დაუკმაყოფილებელი სურვილის გამო სხვის დასჯას.

„განტევების ვაცის“ თეორიის თანახმად, საზოგადოებას სჭირდება დამნაშავეები, რათა მოახერხოს საკუთარი კრიმინალური სურვილების დაკმაყოფილება და საკუთარი დანაშაულებრივი სურვილის გამო სხვა პირი დასაჯოს. დამნაშავე ქცეულია განტევების ვაცად, რომელმაც სხვათა გამო უნდა აგოს პასუხი. საზოგადოება დამნაშავის დასჯით უარყოფს საკუთარ როლს პიროვნების დამნაშავედ ჩამოყალიბებაში და თავისი ბრალეულობა დანაშაულის ჩამდენ პირზე გადააქვს.[177] კანონის მორჩილები კანონდამრღვევის დასჯით შეუცნობიერებლად აღწევენ საკუთარი მოთხოვნილებების ერთგვარ დაკმაყოფილებას, იმის გამო, რომ მათ უარი თქვეს საკუთარ მოთხოვნილებათა კრიმინალური გზით დაკმაყოფილებაზე.[178]

„განტევების ვაცის“ თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ფსიქიკის სტრუქტურული და გენეტიკური განვითარების ფსიქოანალიტიკური საფუძველი მოკლებულია გამოცდილებაზე დამყარებული მეცნიერებისათვის საჭირო გადამოწმებას.[179] ამიტომ, „განტევების ვაცის“ თეორია ნათელს ჰფენს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ პიროვნებები ან პირთა ჯგუფები საზოგადოების მიერ, ეტიკეტირებული და „განტევების ვაცებად“ არიან ქცეულნი, და რომ საზოგადოების ამგვარი მიდგომა მას (საზოგადოებას) შესაძლებლობას აძლევს უარყოს საკუთარი ბრალეულობა მათ დამნაშავედ ჩამოყალიბებაში.[180]

---

[176]Kaiser, G., 1996. S. 272.
[177]იგივე, გვ., 273.
[178]Kunz, K.-L., 2001. S. 122.
[179]Göppinger, H., 2008. S. 129.
[180]Kaiser, G., 1996. S. 273.

3.3.3. აიზენკის კრიმინალური „თეორია“ (დანაშაული, როგორც წარუმატებელი განპირობებულობა)

აიზენკისთვის (Eysenck)[181] აღზრდა შედგება განპირობებულობის[182] პროცესისგან, რომელშიც ადამიანი სპეციალური სწავლების პროცესის მეშვეობით თავის სინდისსა და ცნობიერებას სოციალური პასუხიგებლობისთვის შეიძენს.[183] იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა არის ნაგულისხმევი უნდა გაირკვეს, რას ნიშნავს ა) ოპერანტული და ბ) კლასიკური განპირობებულობა.[184]

ა) ოპერანტული განპირობებულობა

სწავლების თეორიის ოპერანტული განპირობებულობის (რაღაცა მოვლენით, ქმედებით არის განპირობებული) მიხედვით, ქცევა გარე სამყაროს ზემოქმედებით შეისწავლება: სწავლება წარმატების მეშვეობით. ადამიანი ისეთ ქცევას იმეორებს, რომელმაც მას წარმატება მოუტანა. როცა ადამიანი წარმატებაზე სწავლობს, საუბარია ოპერანტულ განპირობებულობაზე. ,,გამარჯვებაზე სწავლის პრინციპი“ მჭიდროდ არის დაკავშიებული ამერიკელი ფსიქოლოგის ბ. ფ. სკინერის (1904-1990) სახელთან, რომელიც შემდეგ ექსპერიმენტებს ეყრდნობა:[185]

(1) ეგრეთ წოდებულ სკინერის გამოსაცდელ ყუთში მინის თხელი ნაჭერია მოთავსებული, რომელიც ისე უკავშირდება საკვების საწყობს, რომ მინის ნაჭერთან შეხებისას იქიდან მარცვალი გადმოვარდეს. გამოსაცდელ ყუთში სვავენ მშიერ მტრედს. იგი თავდაპირველად უმიზნოდ ურტყამს თავის ნისკარტს ყუთის კედლებს, სანამ არ შეეხება მინის ნაჭერთან და იქიდან მარცვალი არ გადმოვარდება. მინის ნაჭერთან რამდენიმე შეხება თავიდან შემთხვევითია, ვიდრე მტრედი არ შეამჩნევს, რომ მინის ნაჭერის ნისკარტით შეხებას ,,ჯილდო“ (საკვები) მოაქვს. მისი ქცევა წარმატების შედეგად ისე ძლიერდება, რომ იგი უკვე გამიზნულად ურტყამს ნისკარტს მინის ნაჭერს: მტრედი სწავლობს წარმატების მეშვეობით;

(2) იგივე ცდა ჩატარდა ვირთხასთან დაკავშირებით. ვირთხა გალიაში შემთხვევით ბერკეტს ეხება და იქიდან საკვებს იღებს. იგი სწავლობს, რომ ბერკეტთან შეხება, რომელიც ჩვეულებრივი ვირთხისათვის უინტერესოა, უპირატესობის მომტანია (საკვების მიმცემია). რაც უფრო ხშირად აწყდება იგი ბერკეტს და ამის შედეგად „ჯილდოვდება“, მით უფრო ხანგძლივად მიმდინარეობს სწავლის პროცესი: ვირთხა სწავლობს წარმატების მეშვეობით.

გერიგის და ზიმბარდოს მიერ ოპერანტული განპირობებულობა (Operant conditioning) განიმარტება, როგორც დასწავლის ფორმა რომელშიც რეაქციის ალბათობა იცვლება შედეგების მიხედვით.[186]

ზემოაღნიშნული ექსპერიმენტის შედეგებს თუ ადამიანზე გავავრცელებთ, მაშინ მივიღებთ, რომ წარმატებამ ადამინის ქცევის განვითარებაზე შეიძლება არამხოლოდ დადებითი ზემოქმედება მოახდინოს, არამედ (კრიმინალურ სფეროში) საზოგადოებისათვის უარყოფითიც. მაგ.: ქურდს, რომლის ქმედებაც ლატენტური

---

[181]Eysenck, H.J., 1977.

[182]განპირობებულობა გულისხმობს გზებს, რომლითაც მოვლენები, სტიმულები და ქცევა ასოცირდება ერთმანეთთან. იხ.: გერიგი, რ./ზიმბარდო, ფ., 2009. გვ. 224.

[183]Schwind, H.-D., 2007. S. 121.

[184]იქვე.

[185]Schwind, H.-D., 2007. S. 122; გერიგი, რ./ზიმბარდო, ფ., 2009. გვ. 227.

[186]გერიგი, რ./ზიმბარდო, ფ., 2009. გვ. 242.

დარჩა, შესაძლებელია ადვილად „აღეძრას მადა“ და მსგავსი დანაშაულებრივი ქმედება გაიმეოროს, ანუ სახეზე გვაქვს წარმატების შედეგად (გამო) განმეორებით დანაშაულის ჩადენის ეფექტი.[187]

ბ) კლასიკური განპირობებულობა

რუსმა ფიზიოლოგმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა ივანე პავლოვმა (1849-1936) ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს დაკვირვებები აწარმოა, რომ ძაღლები, როცა უნდა დანაყრდნენ ნერწყვს გამოყოფენ და ნერწყვის გამოყოფის ეს რეფლექსი უკვე მაშინ მოდის, როცა ცხოველები საკვებს ხედავენ. პავლოვს აინტერესებდა ნეწყვის გამოყოფის თანდაყოლილ რეფლექსს შეეძლო თუ არა სხვა (ნეიტრალური) გამაღიზიანებლის დროს ამოქმედება, ანუ მას უნდოდა დაედგინა, შეეძლო თუ არა სწავლებას რეფლექსებზე ზეგავლენის მოხდენა. პავლოვის ექსპერიმენტი მდგომარეობდა შემდეგში: პავლოვი ხანგრძლივი დროის მონაკვეთში ზარის ნიშანზე საკვებს აძლევდა ძაღლს. ძაღლი მიეჩვია იმას, რომ საჭმლის მიღება ყოველთვის განსაკუთრებულ ტონთან იყო შერწყმული. მოკლე დროში გახდა შესაძლებელი დადგენილიყო, რომ ნერწყვის გამოყოფა უკვე მაშინვე ხდებოდა, როცა მარტო საკვების მომტანი ზარის ხმა აჟღერდებოდა. ზარის შეხმატკბილებული რეკვა აღიქმებოდა ახლოს მყოფ საჭმელთან: ,,რეკავენ, ეხლა რაღაცას მისცემენ“, რაც ძაღლში ნერწყვის გამოყოფას იწვევდა. ამ ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ რეფლექსების დასწავლაც შესაძლებელია. ანუ თუ ძაღლი თავიდან ნერწყვს მხოლოდ საკვების დანახვაზე გამოყოფდა, მან დასწავლის მეშვეობით ნერწყვის გამოყოფა დაიწყო უკვე ზარის ხმის გაგონებაზე, რომელიც საკვების მიცემას გულისხმობდა.

გ) არადანაშაულებრივი საქციელის განპირობებულობა

აიზენკი ფიქრობს, რომ რეფლექსები შეიძლება ნეგატიურმა გაღიზიანებამაც გამოიწვიოს, მაგ. თავის არიდების ქმედება (არ იპარავენ) რადგან სასჯელი ემუქრებათ (ეშინიათ).[188] შესაბამისად, მეცნიერი შესაძლებლად თვლის, კლასიკური განპირობებულობის პრინციპის თანახმად, ქმედებაზე შესაძლებელია ზეგავლენის მოხდენა ისე, რომ დანაშაულის ჩადენის ცდუნება (სურვილი) დასჯასთან იყოს დაკავშირებული, ანუ ცდუნების შეერთებით დასჯის შიშთან, რაც გულისხმობს, რომ ადამიანები დანაშაულის ჩადენის ცდუნების დროს იფიქრებენ მოსალოდნელ სასჯელზე, რაც მათთვის შემაკავებელი ფაქტორი იქნება. აიზენკის მოსაზრება პავლოვის კლასიკური განპირობებულობის საპირისპიროდ მოქმედებს, ანუ თუ კლასიკური განპირობებულობის დროს გვაქვს დადებითი ან ნეიტრალური მიდგომა, აიზენკის შემთხვევაში სახეზე გვაქვს კლასიკური განპირობებულობის გამოყენება დანაშაულის პრევენციისათვის, ანუ სწავლა არა მხოლოდ წარმატებებით არის შესაძლებელი, როგორც ამას ოპერანტული განპირობებულობის დროს აქვს ადგილი, არამედ ასევე დასჯით: სწავლება ორგვარი მიმართულებით.[189]

თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანური ქცევა, რომელსაც სხვადასხვა პროცესებთან აქვს საქმე, როგორ შეიძლება რეფლექსებთან შედარდეს. შესაბამისად, აიზენკის კრიმინალური თეორიის საწინააღმდეგო

---

[187]Schwind, H.-D., 2007. S. 122.
[188]იგივე, გვ. 124.
[189]იგივე, გვ. 125.

არგუმენტად შეიძლება მოყვანილი იქნეს, რომ ადამიანის ქცევა კომპლექსურია და მისი გაუბრალოება - „ადამიანები, როგორც ინტელიგენტი ვირთხები“ – არასწორია.[190]

3.4. სოციოლოგიური თეორიები

3.4.1. ანომიის თეორია

„ანომია“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და უკანონობას, კანონისა თუ ნორმების არარსებობას ნიშნავს.[191] ანომიას ასევე უწოდებენ „საზოგადოების ისეთ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით ან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით“.[192] ეს ცნება პირველად გამოიყენა გამოჩენილმა ფრანგმა სოციოლოგმა *ემილ დიურკემმა* თვითმკვლელობის შესახებ ჩატარებულ კვლევაში.[193]

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სოციალურ მეცნიერებებში ანომია გამოიყენება ორი მასშტაბურად განსხვავებული მოვლენის აღსანიშნავად - სოციალური ანომია და სუბიექტური ანომია.[194] „სოციალური ანომია გულისხმობს კონკრეტულ სოციალურ სისტემებში მორალური თუ სამართლებრივი ნორმების არაეფექტურობას, საზოგადოების რეგულირების კრიზისს, კულტურული მიზნების განუსაზღვრელობას, რაც საზოგადოების რღვევასა და სოციალურ დეზორგანიზაციას განაპირობებს“.[195]

„სუბიექტური ანომია გულისხმობს კონკრეტული ინდივიდის მდგომარეობას, როდესაც იგი ვერ ახერხებს საკუთარი მიზნების განსაზღვრასა და მათ მისადაგებას საზოგადოებრივი ფასეულობების ინსტიტუციური სტრუქტურისადმი, რის შედეგადაც ადამიანი აღარ იზიარებს სოციალურ ნორმებს, მას ეუფლება სოციალური გაუცხოებისა და იზოლაციის შეგრძნება, აპათია, რაც გაუთვალისწინებელ და მძიმე შედეგს იწვევს“.[196]

ანომიის თეორიამ განვითარების ორი ეტაპი განვლო. პირველი იყო დიურკემის მიერ ანომიის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების, განმარტების თეორია. მას თეორიით უნდოდა ეჩვენებინა, რომ უსაზღვროდ მიზნების მოთხოვნას, ბოლოს მარეგულირებელი ნორმების რღვევა მოსდევს.[197] ანომიის თეორიის მეორე ეტაპს

---

[190]Egg, R., 2003 S. 48.

[191]ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 260.

[192]კოდუა ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 21.

[193]Haferkamp, H., 1972. S. 48.

[194]ბრეგვაძე, ლ., 2006. გვ. 261.

[195]იქვე.

სოციალური დეზორგანიზაციის ნიშნებია: 1) სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის სოციალური ერთიანობის დარღვევა (არარსებობა); 2) სოციალური კონტროლის მოშლა (მაგალითად, სასკოლო და ოჯახური კონტროლის შესუსტება); 3) გაქურდული, დანგრეული და ნაგავსაყრელად ქცეული სახლები; 4) ქუჩის პროსტიტუცია; 5) ქუჩაში მათხოვრების რაოდენობის ზრდა; 6) საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლის დალევა; 7) საჯაროდ აზარტული თამაშების გამართვა (შეიძლება ითქვას, რომ აზარტული თამაშების ბუმია საქართველოში); 8) ნაკლები სამოქალაქო აქტიურობა; 9) ეთნიკური ხასიათის პრობლემები; 10) დიდი რაოდენობის ოჯახების სიღარიბის ზღვარზე ცხოვრება. იხ.: შალიკაშვილი, მ., 2010. გვ. 206.

[196]ბრეგვაძე, ლ. 2006. გვ. 261.

[197]Cloward, R. 1968. S. 315.

წარმოადგენს მერტონის შეხედულებები. მან ანომიის თეორია განავრცო და სისტემატიზაციაში მოიყვანა. იგი მიუთითებს ანომიის ისეთ ფორმაზე, რომელიც კულტურული მიზნებისა და სოციალურად ორგანიზებული საშუალებების „ურთიერთშეჯახებით“ წარმოიქმნება.[198]

„დიურკემი, ძირითადად, გამოყოფს სამ სიტუაციას, რომლის დროსაც ყალიბდება ანომიის მდგომარეობა: 1) ინდუსტრიული და ეკონომიკური კრიზისი; 2) მეცნიერების უკიდურესი სპეციალიზაცია, როდესაც შეუძლებელი ხდება მისი მთლიანობის შენარჩუნება; და 3) ანტაგონიზმი კაპიტალსა და შრომას შორის, რასაც საზოგადოების კომერციალიზაცია და კლასობრივი დიფერენცირება იწვევს. დიურკემის თანახმად, „თუ ანომია არის ბოროტება, ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ საზოგადოებაში, რომლის ფუნქციონირება შეუძლებელია ინტეგრაციისა და რეგულირების გარეშე, იქმნება პრობლემები მის გამო. შესაბამისად, მორალური თუ იურიდიული რეგულირება აშკარად წარმოადგენს იმ სოციალურ საჭიროებას, რომელსაც უშუალოდ შეიგრძნობს საზოგადოება“.[199]

ამერიკელი სოციოლოგი რობერტ მერტონი აკრიტიკებს მანამდე გაბატონებულ ადამიანის ქცევის ბიოლოგიური ფაქტორებით ახსნის თეორიას და ქცევის განმსაზღვრელად სოციალურ და ფსიქოლოგიურ თეორიას მიიჩნევს.[200] მერტონი ანომიას უკავშირებს სოციალურ სტრუქტურას, რომელშიც მოიაზრებს გარკვეული მიზნებით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფს და იმ საშუალებებს, რომელთაც ისინი ამ მიზნების მისაღწევად იყენებენ.[201] მიზნის მისაღწევ საშუალებებს იგი ყოფს ორ ჯგუფად: კანონიერი (ლეგალური) და უკანონი (არალეგალური). მერტონის აზრით, თუ საზოგადოების კულტურული და სოციალური სტრუქტურა ცუდად არის ერთმანეთში ინტეგრირებული, თუ პირველი (კულტურული) ისეთ ქცევას მოითხოვს, რომელსაც მეორე (სოციალური) ვერ უზრუნველყოფს, ხდება ნორმათა სისტემის დარღვევა, რაც იწვევს უნორმობას,[202] ანუ ანომია კულტურულ მიზნებსა და მათი მიღწევის საშუალებებს შორის წონასწორობის დარღვევაა. კულტურული მიზნები არის კონკრეტული საზოგადოების ლეგიტიმური [ყველასთვის მისაღები და აღიარებული] ფასეულობები, ჯგუფური თანაცხოვრების აუცილებელი წინაპირობები, [კარგი ეკონომიკური მდგომარეობა, პროფესიული წარმატება], რომელთა მიღწევასაც ცდილობენ ინდივიდები.[203] საზოგადოების წევრები სხვადასხვა შესაძლებლობების არიან. ისინი ცდილობენ დასახული მიზნის მისაღწევად გამოძებნონ მათთვის შესაფერისი სოციალური ადაპტაციის ფორმა.[204] მერტონი განასხვავებს სოციალური ადაპტაციის ხუთ ფორმას: კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, უკუქცევა და წინააღმდეგობა (Conformity, Innovation, Ritualism, Retreatism and Rebellion).[205]

---

[198]იქვე.
[199]ბრეგვაძე, ლ., 2006. გვ. 277.
[200]Merton, R. 1968. S. 285.
[201]კოდუა ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 21.
[202]Merton, R. 1968. S. 292.
[203]Haferkamp, H. 1972. S. 48.
[204]ბრეგვაძე, ლ., 2006. გვ. 288.
[205]ქართულ სოციოლოგიაში მერტონის ხუთ ფორმასთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი ტერმინოლოგია: კონფორმიზმი, ინოვაცია, რიტუალიზმი, ***რეტრიტიზმი და ამბოხი***. იხ.: კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004. გვ. 21.

„***კონფორმიზმი,*** მერტონის თანახმად, წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის იმ პირველ სახეს, რომლის დროსაც ინდივიდებისთვის საზოგადოებაში დადგენილი კულტურული მიზნების მიღწევა შესაძლებელია არსებული, ინსტიტუციონალიზებული საშუალებებით. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის მისაღებია როგორც კონკრეტული სოციალური მიზნები, ასევე ამ მიზანთა მიღწევის ლეგალური საშუალებანი. ამდენად, სტაბილურ საზოგადოებაში კონფორმიზმი წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის ყველაზე ჩვეულ სახეს. საზოგადოების წევრთა უმრავლესობა სწორედ მიზნებისა და საშუალებების ურთიერთშეთავსებით ახდენს კონკრეტულ სოციალურ მოქმედებათა ინიცირებას, რაც კანონმორჩილებას და დანაშაულობის დაბალ დონეს განაპირობებს“.[206] კონფორმიზმი ყველაზე გავრცელებული ადაპტაციის ფორმაა, წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვის ქვეშ დადგებოდა საზოგადოების სტაბილურობის საკითხი.[207]

მერტონის აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლება ადამიანთა ჯგუფს, „მასას“, ეწოდოს საზოგადოება, თუ მათი საქციელი ორიენტირებულია საზოგადოების ძირითად ღირებულებებზე. თუ ინდივიდებს შორის არ არსებობს ერთიანი ღირებულებების საკმარისი ბაზა, მაშინ საქმე გვაქვს ინდივიდებს შორის არსებულ სოციალურ ურთიერთობებთან, მაგრამ არა საზოგადოებასთან.[208]

ინოვაცია სოციალური ადაპტაციის ფორმაა, „რომლის დროსაც ინდივიდისთვის მისაღებია სოციალური მიზნების სისტემა, თუმცა მისაღები არ არის ამ მიზნების მიღწევის საშუალებები. ამის საფუძველზე, ინდივიდები ვერ ან არ ახდენენ ინსტიტუციური ნორმების ინტერნალიზაციას და ეძებენ ახალ საშუალებებს საზოგადოებაში დამკვიდრებული მიზნების მისაღწევად, რაც ხშირ შემთხვევაში დანაშაულის ფორმას იღებს. ინოვაცია ძირითადად დამახასიათებელია დაბალი სოციალური ფენისათვის (შემოსავლის მიხედვით), სადაც ეკნომიკური და სოციალური პრობლემების გამო საკმაოდ რთულია კონკრეტული სოციალური მიზნების მიღწევა, რაც საზოგადოებაში წარმატების ძირითადი ნიშანია, სოციალურ წარმატებას კი საზოგადოების ნებისმიერი წევრი ესწრაფვის“.[209] დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, ერთი მხრივ, ორიენტირებენ სიმდიდრის მიღწევაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მოკლებული არიან შესაძლებლობას კანონიერი გზით მიაღწიონ ამ მიზანს, ვინაიდან მათი დასაქმების შესაძლებლობები ძალიან შეზღუდულია.[210]

საზოგადოებრივი კულტურა დაბალი ფენის წარმომადგენლებისაგან ელოდება, რომ ისინიც ცხოვრების დონით მაღალ ფენას განეკუთვნებიან, თუმცა მათ (დაბალ ფენას) ინსტიტუციური გზები არ გააჩნიათ და დანაშაულის გზით ცდილობენ მიზნის მიღწევას.[211]

ის პირები, რომლებიც საკუთარ წარუმატებლობას სოციალურ სტრუქტურას აბრალებენ, ძალიან ჩქარა ემიჯნებიან მას და იხრებიან ადაპტაციის მეხუთე პუნქტისკენ (წინააღმდეგობა). სხვები კი საკუთარ წარუმატებლობას ხსნიან მისტიკურობით და ნაკლებად საკუთარი სოციალიზაციით. ასეთი ადამიანებისათვის მნიშვნელოვანია ბედი, ბედისწერა და შემთხვევა. ამგვარი მიდგომის ფსიქოლოგიური ახსნა

---

[206]ბრეგვაძე, ლ., 2006. გვ. 289.
[207]Merton, R. 1968. S. 293.
[208]იქვე.
[209]ბრეგვაძე, ლ., 2006. გვ. 290.
[210]Merton, R. 1968. S. 296.
[211]იქვე, გვ. 297.

ასეთია: ისინი საკუთარ წარუმატებლობას ბედისწერას მიაწერენ და ამით თვითდაჯერებულობას ინარჩუნებენ,[212] ანუ მათი წარუმატებლობა არა მათი სოციალიზაციის პრობლემაა, არამედ ბედის.

„***რიტუალიზმი,*** როგორც ადაპტაციის დამოუკიდებელი სახე, ყალიბდება მაშინ, როდესაც ინდივიდები კანონის პატივისცემისა და ინსტიტუციური საშუალებების დაცვის უზრუნველსაყოფად უარს ამბობენ კონკრეტულ სოციალურ მიზნებზე“.[213] სოციალური ადაპტაციის მოცემული სახის გაზიარების დროს ინდივიდი გაბატონებული კულტურის მიზნებს, ეკონომიკური მიღწევისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, იმ დონეზე დაბლა „სწევს“, რომ შეიძლებოდეს მისი დაკმაყოფილება (მიღწევა).[214]

„რიტუალიზმი, როგორც სოციალური ადაპტაციის სახე, ძირითადად ახასიათებთ კონკრეტულ რელიგიურ ჯგუფებს მათში მოქმედი ნორმატიული წესრიგის განმტკიცების სახით, ეკლესიის მსახურთ, განსაკუთრებული მისიის ორგანიზაციებსა თუ გაერთიანებებს, რომლებშიც ინსტიტუციური ნორმების დაცვასა და ნორმატიული რიტუალების აღსრულებას, და ამდენად, კანონის პატივისცემას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული სოციალური ჯგუფის შინაგანი სტაბილურობისა და იდენტურობის შენარჩუნებისათვის“.[215]

„***უკუქცევა ანუ რეტრიტიზმი*** წარმოადგენს სოციალური ადაპტაციის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ხდება როგორც სოციალური მიზნების, ასევე მოცემულ მიზანთა მიღწევის ინსტიტუციური საშუალებების უგულებელყოფა. უკუქცევის სოციალურ ცხოვრებაში „უკან დახევის“ დროს ინდივიდისთვის კულტურით განპირობებულ მიზანთა სისტემას არა აქვს არანაირი ფასეულობა, მისთვის მიუღებელია სოციალური წარმატების მიღწევის დადგენილი ფორმები. უკუქცევა განაპირობებს ინდივიდთა ასოციალიზაციას, არაპროდუქტიულ სოციალურ ცხოვრებას. ამიტომაც, სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმის წარმომადგენლები არიან ისინი, ვინც, ნებსით თუ უნებლიეთ, რჩებიან აქტიური საზოგადოების გარეთ: ნარკომანები, ალკოჰოლიზმით დაავადებულნი, განდგომილები, უსახლკარონი, მათხოვრები, მოხეტიალენი. მოცემულ ჯგუფთა წამომადგენლებისთვის მნიშვნელობას კარგავს საზოგადოებრივი აქტივობა, კონკრეტული სოციალური მიზნების მიღწევა და, შესაბამისად, ინსტიტუციური ნორმების გამოყენება, რის საფუძველზეც ისინი თვითიზოლაციას მიმართავენ და ექცევიან უნუგეშო აპათიის მდგომარეობაში“.[216] ეს ადამიანები „ამოვარდნილი“ არიან საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, თავს გრძნობენ „უცხოდ“, იკეტებიან საკუთარ თავში და ხდებიან მარტოსულები.[217] მერტონისათვის მარტოობაში გაქცევა არის არჩევანის შედეგი და არა დამარცხების სიმპტომი.[218]

„***წინააღმდეგობა, ანუ ამბოხი,*** განეკუთვნება სოციალური ადაპტაციის იმ სახეს, რომელიც ყალიბდება ინდივიდთა ორმხრივი დამოკიდებულების შედეგად სოციალურ მიზნებსა და ინსტიტუციურ საშუალებებთან მიმართებით. სოციალური წინააღმდეგობის საფუძველზე კონკრეტული სოციალური ჯგუფები აყალიბებენ

---

[212]იქვე, გვ. 299-301.
[213]ბრეგვაძე, ლ., 2006. გვ. 290.
[214]Merton, R. 1968. S. 308.
[215]ბრეგვაძე, ლ.,2006. გვ. 291.
[216]იქვე.
[217]კოდუა ე. და სხვ. (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 240.
[218]იქვე, გვ. 241.

მიზნებისა და საშუალებების ალტერნატიულ სისტემას, რისი მიზანიცაა არსებული სოციალური სისტემის ტრანსფორმაცია. სოციალური ადაპტაციის მოცემული ფორმის პროპაგანდისტები არიან სხვადასხვა რევოლუციური თუ საპროტესტო მოძრაობების წარმომადგენლები, რომლებიც ქადაგებენ რადიკალური სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული ცვლილებების აუცილებლობას და სკეპტიკურად ეკიდებიან როგორც დამკვიდრებულ ფასეულობებს, ისე საზოგადოების ნორმატიულ სისტემასაც".[219] წინააღმდეგობა დევიაციის კოლექტიური ფორმაა, რომელიც მიმართულია ალტერნატიული სტრუქტურების ჩამოყალიბებაზე.[220]

მერტონის ადაპტაციის სახეების სქემატური წარმოდგენა: „+" ნიშნავს „თანხმობას", „–" ნიშნავს „უარყოფას" და „(+, –)" ნიშნავს გაბატონებული ღირებულებების უარყოფას და შეცვლას ახალი ღირებულებებით.[221]

ადაპტაციის სახეები	კულტურული მიზნები	ინსტრუმენტული საშუალებები
1. კონფორმიზმი	+	+
2. ინოვაცია	+	–
3. რიტუალიზმი	–	+
4. უკუქცევა	–	–
5. წინააღმდეგობა	(+, –)	(+, –)

„მერტონის თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ცნებას. სოციალურ ფასეულობათა სისტემის ჩამოყალიბებას, მერტონის თანახმად, უშუალოდ კულტურა განაპირობებს. ამიტომაც მერტონი მოცემულ ფასეულობებს „კულტურულ მიზნებს" (Culture Goals) უწოდებს. კულტურა, ერთი მხრივ, აყალიბებს სოციალური მიზნების სისტემას, მაგრამ, მეორე მხრივ, განსაზღვრავს ინდივიდუალურ სოციალურ მოქმედებათა შინაარსა და ფორმას. მერტონი იყენებს მაკროკულტურის კონცეფციას, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ ფასეულობათა ზოგად სისტემას. კულტურა განსაზღვრავს საზოგადოების ფასეულობათა, სოციალური მიზნების სისტემას, მაგრამ ამავე დროს მოცემულ სისტემასთან ინდივიდთა მიმართებასაც. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ კონკრეტულმა ადამიანმა, სხვადასხვა ეტაპზე შეიძლება თვითიდენტიფიკაცია მოახდინოს სოციალური ადაპტაციის სხვა ახალ ფორმასთან. აქედან გამომდინარე, სწორედ ინდივიდუალური კულტურული დამოკიდებულებები განაპირობებენ ინდივიდთა მიმართებას ზოგადკულტურული ფასეულობებისადმი".[222]

მერტონის თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ „მერტონი ახდენს დამნაშავეთა იდენტიფიკაციას მხოლოდ საზოგადოების ქვედა ფენებში, დაბალ კლასში, რადგანაც არსებული სოციალური მიზნებისა და მოცემული მიზნების მიღწევის ლეგალური საშუალებების ინტეგრირება სწორედ დაბალი კლასის პრობლემაა".[223]

---

[219]ბრეგვაძე, ლ., 2006. გვ. 292.
[220]Merton, R. 1968. S. 310.
[221]ბრეგვაძე, ლ., 2006. გვ. 293.
[222]იგივე, გვ.394.
[223]იგივე, გვ. 395.

ამის გამო კი მოცემული თეორიის მეშვეობით შეუძლებელი ხდება საზოგადოების წარმატებულ ფენებში დამნაშვეთა იდენტიფიცირება (White-Collar Crime).[224]

3.4.2. დაძაბულობის ზოგადი თეორია

დაძაბულობის ზოგადი თეორია წარმოადგენს ანომიის თეორიის გაფართოვების ერთგვარ მცდელობას და ეკუთვნის რობერტ ეგნუს (Robert Agnew). მერტონისგან განსხვავებით ეგნუ საზოგადოების მიზნებისა და მათი მიღწევისათვის საჭირო საშუალებების საკითხის პარალელურად მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს ინდივიდუალურ დონეზე დაძაბულობის სამ ფაქტორს.[225] ეგნუს აზრით, საზოგადოების წევრზე დაძაბულობა სახეზეა,[226] თუ: 1) დადებითად შეფასებული მიზნების მიღწევა შეუძლებელია; 2) დადებითად შეფასებული სტიმულები დაკარგულია (მეგობრის დაკარგვა, პარტნიორთან განშორება, სამსახურის დაკარგვა); 3) თავს იჩენს უარყოფითად შეფასებული სტიმულები (მსხვერპლად გახდომა). დაძაბულობის საფუძველზე წარმოიქმნება ნეგატიური ემოციები, დეპრესია, დიდია ფრუსტრაციის და ბრაზის აღმოცენების ალბათობა.[227] აღნიშნული „წარმოქმნის ზეწოლას, წნეხს, რომლის ნეიტრალიზაციისათვის აუცილებელია ქმედების [მათ შორის დანაშაულის] განხორციელება“.[228]

თეორიის მიხედვით, საზოგადოებაში არსებული სოციალური ზეწოლა და წნეხი ხელს უწყობს ანომიური გრძნობების: ფრუსტრაციის, გაბრაზების, შიშის, ზიზღის და სხვა ნეგატიურ გამოვლინებებს, აღნიშნული ადამიანში წარმოქმნის მოთხოვნილებას გაანეიტრალოს ან შეეწინააღმდეგოს ზეწოლას, წნეხს [რაც მეტია ზეწოლა, მით მეტია წინააღმდეგობის პრინციპი]; დანაშაული წინააღმდეგობის ერთ-ერთი საშუალებაა.[229]

3.4.3. ეტიკეტირების თეორია – Labeling Approach

Labeling Approach წარმოდგება ინგლისური ენიდან: Label – ნიშნავს ეტიკეტს, ეტიკეტირებას, ხოლო Approach – მიდგომას, დაახლოებას. ეტიკეტირების თეორია ცნობილია აგრეთვე, როგორც „იარლიყის მიკერების“ თეორიის სახელწოდებით.[230] ეტიკეტირების თეორია პირველად 1938 წელს ჩამოაყალიბა ამერიკელმა სოციოლოგმა ფრანკ ტანენბაუმმა.[231] ეტიკეტირების თეორიის კლასიკური დახასიათება, რამაც იგი პოპულარული გახადა, ეკუთვნის ასევე ამერიკელ სოციოლოგს ჰოვარდ ბეკერს[232] და ედვინ ლემერტს.[233] ბეკერის აზრით, ქმედებები თავისთავად არც კარგია

---

[224]იგივე, გვ. 396.
[225]Eifler, S., 2002. S. 29.
[226]Göppinger, H., 2008. S. 155; ნადარეიშვილი, ვ., 2008. გვ. 129.
[227]ნადარეიშვილი, ვ., 2008. გვ. 129.
[228]იქვე.
[229]Göppinger, H., 2008. S. 155
[230]კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004. გვ. 102.
[231]Tannenbaum, F. 1938. 1951.
[232]Becker, H. 1963.
[233]Lemert, E. 1951.

და არც ცუდი. ნორმალურობა და დევიანტობა[234] სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები. ამდენად, დევიაცია უფრო მეტად არის არა მოქმედების თვისება, არამედ სხვათა მიერ მიწერილი წესები და სანქციები „კრიმინალების“ მიმართ.[235]

ბეკერი გამოყოფს Labeling-ის ორ განზომილებას, რომლებსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულის დეფინირებისა და მისი კონსტრუირებისათვის. პირველი არის დადგენილი ნორმა. ის პიროვნებები, რომლებიც ქცევის წესებს და ნორმებს ქმნიან განსაზღვრავენ, თუ რომელი ქმედება არის ნორმის დარღვევა და დანაშაული. მეორე განზომილება არის ნორმის გამოყენება. ის პირები ვინც დადგენილ ნორმებს იყენებენ [მაგ. სამართალდამცავი ორგანოების წევრები] ყველა ქმედებას არ მიიჩნევენ დანაშაულად და ახდენენ ერთგვარ სელექციას. ნორმის გამოყენების სელექციით ხდება დამნაშავის ცნების ჩამოყალიბება.[236] ბეკერის აზრით, სწორედ ნორმის გამოყენების დროს ხდება სელექცია (გამორჩევა, გადარჩევა), რომელიც გავლენას ახდენს პირის ეტიკეტირებაზე.

ვინ ახდენს პირის ეტიკეტირებას („იარლიყის მიკერებას“)?

როგორც წესი, სოციალური კონტროლის ორგანოების, თუ მათი წარმომადგენლების მიერ ხდება პირის „დამნაშავედ“ ეტიკეტირება. ეს ორგანოებია: პოლიცია, მედია, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები, სამეზობლო და სხვა. ამ ორგანოების მიერ ნეგატიური (დევიანტური) ეტიკეტირება გავლენას ახდენს ინდივიდის ცნობიერებაზე და წარმოშობს მასში დევიანტურ იდენტურობას, რაც დევიანტური კარიერის და დევიანტური სუბკულტურების განვითარებას უწყობს ხელს.

კაიზერის აზრით, დამნაშავე წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მოხდება მისთვის დამნაშავის ეტიკეტის მინიჭება სოციალური კონტროლის ინსტიტუტების მეშვეობით და იგი აღიარებული იქნება საზოგადოების მიერ დამნაშავედ.[237] აქედან გამომდინარე, დამნაშავეა ის ვინც საზოგადოების მიერ აღიარებული იქნება დამნაშავედ.

პირის დამნაშავედ „გახდომის“ ეტაპები:

1. პირველად ჩადენილი დანაშაული; 2. საზოგადოებრივი რეაქცია ანუ, საზოგადოების მიერ პირის დამნაშავედ ეტიკეტირება; 3. ა) საზოგადოებაში „დამნაშავის“ ინტეგრირების პრობლემა; ბ) „დამნაშავის“ მიერ მისი სტატუსის აღიარება და კრიმინალად ჩამოყალიბება; 4. განმეორებით დანაშაულების ჩადენა.

გთავაზობთ მაგალითს,[238] თუ როგორ შეიძლება განხორციელდეს მოზარდის დამნაშავედ ჩამოყალიბება მისი საზოგადოების მიერ ეტიკეტირების გამო.

მოზარდი თავისი (ეკონომიური) პრობლემის მოსაგვარებლად ჩაიდენს დანაშაულს. მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაული არ გახდება ცნობილი სამართალდამცავი ორგანოებისათვის და არ მოხდება მისი ეტიკეტირება.

---

[234]„დევიაცია იმ ქცევის აღნიშვნაა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს... [თუმცა] შესაძლოა, ინდივიდის ესა თუ ის ქმედება ფორმალურად განიხილებოდეს როგორც დევიანტური, მაგრამ მას მაინც არ „მიეკეროს“ დევიანტის იარლიყი, რამდენადაც, გარემოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი არ აღიარებს ნორმის დარღვევას“. კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი). 2004. გვ. 54.

[235]Rüther, W., 1975. S. 29.

[236]Becker, H., 1963. S. 12.

[237]Kaiser, G., 1996. S. 275.

[238]Quensel, S., 1970. S. 381.

იმის მიუხედავად, მოხდა თუ არა მოზარდის (ეკონომიური) პრობლემის მოგვარება, იგი ხედავს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არ იქნა პოლიციის მიერ დაფიქსირებული, რაც მას გამბედაობას მატებს და „უბიძგებს“ კიდევ ჩაიდინოს დანაშაული. ამით მატულებს იმის ალბათობა, რომ მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაული ლატენტური აღარ დარჩეს და მოხდეს მისი სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოვლენა.

თუ სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი გახდა მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენა, მაგრამ იგი რეაგირების გარეშე იქნება დატოვებული, მოზარდს უფრო მეტი გამბედაობა დაეუფლება და სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს სისუსტედ ჩაუთვლის მათ უმოქმედობას.

ხოლო თუ სამართალდამცავი ორგანოების მიერ მოხდება რეაგირება, ცნობილი გახდება მოზარდის გარშემომყოფი საზოგადოებისათვის მის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, საზოგადოება მოზარდს „ზურგს შეაქცევს“ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. სამაგიეროდ, მოზარდი აღიარებას პოვებს სხვა ახალ პირთა წრეში, რომლებიც დანაშაულის ჩადენას და სასჯელის მოხდას, როგორც ჯილდოს ისე აღიქვამენ. მოზარდი შემდგომი დანაშაულის ჩადენისას უფრო მეტ აღიარებას მოიპოვებს მისი ახალი მეგობრებისაგან. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოზარდის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის გამოვლენა უფრო მკაცრად იქნება სანქციონირებული, ვირდე ამას ადგილი ჰქონდა დანაშაულის პირველად გამოვლენის შემთხვევაში. მოზარდი ოფიციალურად იქნება დამნაშავედ გამოცხადებული. უცხო პირთა მიერ მოზარდის დამნაშავედ გამოცხადებას, თან მოჰყვება მოზარდის მიერ საკუთარი თავის დამნაშავედ აღიარება. მოზარდს, მისადმი განხორციელებული ეტიკეტირების გამო, შეეზღუდება საზოგადოებაში ინტეგრაციის შესაძლებლობა, რაც ასევე მისი პიროვნების სოციალურ განვითარებას შეუშლის ხელს. საზოგადოებისაგან გარიყული მოზარდი ცდილობს გაამართლოს მისთვის მინიჭებული დამნაშავის „სტატუსი“, სწავლობს დანაშაულის ჩადენის ახალ ხერხებს და მეთოდებს და იყენებს მას პრობლემების მოსაგვარებლად. მოზარდი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს, რომელზეც სამართალდამცავი ორგანოების რეაქცია იქნება მკაცრი, რაც განპირობებულია მის მიერ წინათ ჩადენილი დანაშაულით. მოზარდი მოთავსდება თავისუფლების აღკვეთის ადგილას, სადაც მოხდება დანაშაულის ჩადენის ახალი ხერხების და მეთოდების შესწავლა და/ან დახვეწა. ციხიდან გამოსული მოზარდი ითვლება ნასამართლევად, რაც, თავის მხრივ ართულებს მის საზოგადოებაში ინტეგრაციას (სამსახურის დაწყება, ახალი მეგობრების პოვნა და ა.შ.).

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ეტიკეტირების მნიშვნელობა მდგომარეობს დამნაშავედ მიჩნეული პირის მიერ საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაციის შეცვლაში და კრიმინალის სტატუსის აღიარებასა და მის გამართლებაში. თუ საზოგადოების მიერ პიროვნება მიჩნეული იქნება კრიმინალად, იგი ამის შემდეგ იქცევა ისე, რომ გაამართლოს საზოგადოების შეხედულება მისი პიროვნების შესახებ.[239]

კრიტიკის თვალსაზრისით საგულისხმოა ის გარემოება, რომ: 1. ემპირიულად ნაკლებად არის დადგენილი, იწვევს თუ არა კონტროლის ორგანოების მიერ პირის „ეტიკეტირება“, მის მიერ საკუთარი იდენტურობის შეცვლას და განმეორებით დანაშაულის ჩადენას; 2.დანაშაულის ჩამდენ პირებს აქვთ უნარი, უარყონ საზოგა-

[239]Göppinger, H., 1997. S. 110.

დოებრივი ეტიკეტირება და ჩათვალონ, რომ ეტიკეტირება სულაც არ არის ავტომატური პროცესი, რომელიც მას სხვა (განმეორებით) დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს; 3.თუ მოსამართლე იტყვის „ა. არის ქურდი“, იგი ეყრდნობა რეალურ ფაქტს, (რომელიც მკიცებულებებზე დაყრდნობით არის დადგენილი), ხოლო პირის ქურდად გამოცხადებას წინ უძღვოდა მისი დანაშაულებრივი ქმედება და პიროვნული საფუძვლები. შესაბამისად, არ შეიძლება მოსამართლის მიერ საკუთარი მოვალეობის განხორციელებას პირის „ქურდად“ ეტიკეტირება ეწოდოს.[240]

ამერიკელი კრიმინოლოგი აკერსი სასტიკი წინააღმდეგი იყო ეტიკეტირების თეორიის, რომელსაც მან 1967 წელს ნაშრომი მიუძღვნა. მისი თქმით, ეტიკეტირების თეორიის წაკითხვისას ადამიანს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანები სულ საკუთარ საქმეს ჩაკირკიტებენ, გარშემო არავის არაფერს უშავებენ და უცებ „ბუმ!“ და ჩნდება „ცუდი საზოგადოება“, რომელიც მას დაღის დამსმელ ეტიკეტს არტყამს. ბევრის აზრით, ეტიკეტირების თეორია აიძულებს ადამიანს შეითავსოს დამნაშავის როლი, თითქოს და ადამიანს მეტი არჩევანი არ ჰქონდეს, თუ არა გაამართლოს, ის რაც მას საზოგადოებამ ეტიკეტის სახით „მიაკრა.“

3.4.4. სუბკულტურის თეორიები

3.4.4.1. სუბკულტურის ცნება

ადამიანების საქციელის მრავალფეროვნება განპირობებულია მათი ამა თუ იმ ნორმისა და ღიებულებებისადმი ორიენტირებით. ადამიანთა უმრავლესობა ხელმძღვანელობს საზოგადოების მიერ აღიარებული ნორმებით, რომელთაც ხშირად დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია და რომელთა შესრულებაც სავალდებულოა.

სუბკულტურის უკეთ გაგებისათვის პირველ რიგში საჭიროა გავარკვიოთ კულტურის დეფინიცია. კულტურა წარმოდგება ლათინური ზმნიდან „colo“, რაც (ნიადაგის) მოვლას, დამუშავებას, ზრუნვას ნიშნავს.[241] კულტურის ცნების განსაზღვრებაში არ არსებობს ერთსულოვნება. თუმცა შეიძლება გამოიყოს სამი ელემენტი: 1. კულტურის სოციალური ტრადიცია, მემკვიდრეობა, რაც გადაეცემა თაობებს; 2. კულტურა არ არის ადამიანის გენეტიკური ბუნების გამოვლინება, იგი არის ის რასაც ადამიანები სწავლობენ. ის სოციალიზაციის პროცესში შეძენილი ნორმების ერთობლიობაა; 3. კულტურა არის საყოველთაოდ მიღებული, საზოგადოებისათვის საერთო ნორმებისა და ღირებულებების სისტემა.[242] საზოგადოების კულტურა შექმნილია მრავალი თაობის მიერ. კულტურა დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სოციალურ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელთაგან გათავისუფლება თითქმის შეუძლებელია. ქართული კულტურის ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინტენსიურმა დაკვირვებამ და თანამშრომლობამ სხვა კულტურის ადამიანთა ჯგუფებთან.

---

[240]Opp, K-D., 1972. S. 40.

[241]„კულტურა (ლათ. cultura – დამუშავება, მოვლა, განათლება, განვითარება) [არის] ადამიანის და საზოგადოების მოქმედების ფორმათა ერთობლიობა, რომელიც ვლინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და გამოხატავს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს. განსაზღვრულ ეპოქაში ხალხის, ერის, საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა შეადგენს მათ კულტურას“. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 6. 1983. გვ. 67.

[242]კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004. გვ. 145.

სუბკულტურის ცნების ჩამოყალიბებისას ძირითადი აქცენტი მიმართულია კულტურასა და სუბკულტურას შორის იერარქიულ დამოკიდებულებაზე (sub = lat.: ქვევით). sub თავისთავად მიუთითებს, რომ ადგილი აქვს სუბკულტურასა და კულტურას შორის ჰეგემონიურ დამოკიდებულებას.[243]

თანამედროვე სოციოლოგიაში მიღებულია არნოლდის მიერ შემოთავაზებული სუბკულტურის ცნება. არნოლდის მიხედვით, სუბკულტურა არის კულტურის ერთი ნაწილი. სუბკულტურა არის ადამიანთა ჯგუფის ან ერთი რომელიმე სოციალური კატეგორიის ქცევის მოდელი, რომელიც ხორციელდება მთლიანი კულტურის (ფარგლებში) შიგნით და საკუთარი თავისებურებანი გააჩნია, რომელთა მეშვეობითაც ისინი განსხვავდებიან დომინირებული კულტურის ან სხვა სუბკულტურებისაგან.[244]

შვენდტერის მიხედვით, სუბკულტურა არის კონკრეტული საზოგადოების ნაწილი, რომელიც თავისი ინსტიტუტებით, ადათებით, ნორმებით, ღირებულებათა ორიენტირებულობით და მოთხოვნილებებით მნიშვნელოვნად განსხვავდება გაბატონებული საერთო საზოგადოების ინსტიტუტებისა და ღირებულებებისაგან.[245]

საზოგადოების სოციალურ კონტექსტს ანიჭებენ უპირატესობას სუბკულტურის დეფინიციის ჩამოყალიბებისას ამერიკელი სოციოლოგები ქოენი და შორტი. მათი აზრით, სუბკულტურა არის ღირებულებების და რწმენის ერთიანი სისტემა, რომელიც იმ ბავშვებს შორის კომუნიკაციის პროცესში წარმოიშობა, რომელთაც ერთნაირი მდგომარეობა უკავიათ სოციალურ სტრუქტურაში.[246]

ქლერკი სუბკულტურას განიხილავს საზოგადოების კლასებთან კავშირში. მისთვის სუბკულტურები, როგორც sub—სისტემა, კლასების კულტურის მანიშნებელია, როგორც პატარა, ლოკალური და დიფერენცირებული სტრუქტურა სამოქალაქო და მუშათა კლასების შემადგენლობაში.[247] მაგ. მე-20 საუკუნის დასაწყისის ბოჰემათა სუბკულტურას საშუალო ინტელიგენციის კლასს მიაწერს, ხოლო ფეხბურთის ხულიგნებს (Hooligans) მუშათა კლასს.

სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონში სუბკულტურის შესახებ შემდეგი სახის განმარტებას ვხვდებით:„სოციალური ნორმებისა და ღირებულებების, ქცევის მოდულების სისტემა, რომელიც განსაზღვრული სოციალური ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი და გამოარჩევს მას საზოგადოებაში გაბატონებული კულტურისაგან (ანუ, საზოგადოების უმრავლესობის კულტურისაგან). არ არის აუცილებელი, სუბკულტურა ეწინააღმდეგებოდეს გაბატონებულ კულტურას, არამედ შეიძლება იყოს მისი რელევანტური. თუმცა, ამასთან დაკავშირებით თავს იჩენს პრობლემა,

---

[243]„სუბკულტურის კვლევა ბრიტანეთში დაეფუძნა ურბანულ ეთნოგრაფიას, რომელიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში განვითარდა (ჰენრი მეიჰიუს და ტომას არჩერის ნაშრომები, ჩარლზ დიკენსისა და არტურ მორისონის ნოველები). თუმცა სუბკულტურის კვლევისადმი უფრო მეცნიერული მიდგომა, თავისი მეთოდოლოგიით (ჩართული [თანამონაწილეობითი] დაკვირვება) 1920-იან წლებამდე არ აღმოცენებულა, როდესაც სოციოლოგებისა და დანაშაულის შემსწავლელთა ჯგუფმა ჩიკაგოში დაიწყო ინფორმაციის შეგროვება ქუჩის ახალგაზრდა დაჯგუფებებზე და კრიმინოგენურ ჯგუფებზე ... პიტერ ვილმოტმა სუბკულტურა განსაზღვრა როგორც „კომპრომისული გადაწყვეტილება“ ორ ურთიერთდაპირისპირებულ მოთხოვნილებას შორის: შექმნისა და ავტონომიურობის მოთხოვნილება და მშობლისაგან განსხვავებულობის დამტკიცება და მშობლის იდენტიფიკაციების შენარჩუნების მოთხოვნილება.“ იხ. ასათიანი, მ., 2006.

[244]Arnold, D. O., 1970.

[245]Schwendter, R., 1993. S. 11.

[246]Cohen, A. K.,/ Short, J. F. Jr., 1958. S. 20-37.

[247]Clarke, J., 1979. S. 45.

ვინაიდან თანამედროვე საზოგადოებებში კულტურული ფრაგმენტაციის მაღალი ხარისხი აძნელებს გაბატონებული კულტურის გამოყოფას. სუბკულტურებში ჩართულობის მოტივაცია ზოგიერთისათვის შეიძლება იყოს კომპენსაცია იმ წარუმატებლობისა და წყენისა, რაც მათ საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან შეხვდათ. სუბკულტურა შეიძლება შეიქმნას სხვადასხვა სოციალური მახასიათებლის საფუძველზე, როგორიცაა ეთნიკურობა, კლასობრივი და რელიგიური კუთვნილება, სექსუალური ორიენტაცია, უბრალოდ ცხოვრების ახალი სტილი (ისეთი, რომელიც დაამკვიდრეს, მაგ., პანკებმა) და სხვა".[248]

დასკვნის სახით შეიძლება ზოგადად სუბკულტურა ეწოდოს ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც გაბატონებული კულტურის ღირებულებებს თუმცა იზიარებენ, მაგრამ ამავდროულად აყალიბებენ (ქმნიან) კონკრეტული ქცევის და ღირებულებების სისტემას, რომელიც იმავე გაბატონებული კულტურის ღირებულებებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

სუბკულტურის დეფინიციასთან მიმართებაში საინტერესოა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სუბკულტურის დეფინირება მხოლოდ კონკრეტულ ფენომენთან (ფენომენებთან) კავშირის შემთხვევაშია შესაძლებელი.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში გამოყოფენ სამი სახის სუბკულტურას:

1. **არაკრიმინალური სუბკულტურა.** იგულისხმება ჯგუფები, რომლებიც გაბატონებულ კულტურას ეკუთვნიან, მაგრამ საკუთარი ნორმატიული სისტემა გააჩნიათ და გაბატონებული კულტურისაგან ან მათი სოციალური მდგომარეობით, ან იმით განსხვავდებიან, რომ ისინი გაბატონებული კულტურის ზოგიერთ ასპექტს უარყოფენ. ასეთი სახის სუბკულტურებს კონფლიქტი არ გააჩნიათ გაბატონებულ კულტურასთან და ლეგიტიმურ საშუალებებს იყენებენ მიზნის მისაღწევად.
2. **კონტრა სუბკულტურა.** დანაშაულებრივი სუბკულტურა, რომელიც თავისი ნორმების და ღირებულებების სისტემით საგრძნობლად განსხვავდება გაბატონებული კულტურისაგან, მაგრამ არ ცდილობს გაბატონებული კულტურის შეცვლას.
3. **საწინააღმდეგო სუბკულტურა**, რომელსაც ასევე საკუთარი ნორმები გააჩნია, რომლებიც გაბატონებული კულტურის ოპოზიციურობიდან გამოიკვეთა და სურს შეცვალოს გაბატონებული კულტურა.

3.4.4.2. ქოენის სუბკულტურის თეორია

ქოენის სუბკულტურის თეორია წარმოიშვა დაკვირვებებიდან, რომლებსაც იგი აწარმოებდა დაბალი ფენის (კლასის) არასრულწლოვან ვაჟებზე იმის თაობაზე, თუ როგორ ხვდებოდნენ ისინი კრიმინლურ დაჯგუფებებში. ქოენის სუბკულტურის მოდელის უკეთ გასაგებად აუცილებელია მისი ტერმინების - დაბალი და საშუალო ფენები (კლასები) - განმარტება. ქოენის აზრით, ეკონომიური მდგომარეობის გარდა, მნიშვნელოვანია ბავშვების სოციალური მდგომარეობა. ბავშვები დაბალი სოციალური ფენიდან დიდი ალბათობით ნაკლები კულტურული ღირებულებების მატარებლები არიან, ვიდრე ბავშვები საშუალო ფენიდან. ბავშვებს დაბალი სოციალური ფენიდან არ შესწევთ უნარი (კულტურული შესაძლებლობა) კონკურენცია გაუწიონ საშუალო ფენის ბავშვებს და მასწავლებელთა, მზრუნველთა, პოლიციელთა და ეკლესიის მსახურთა მოთხოვნები, რომლებიც საშუალო ფენის ნორმებით ხელმძღვანელობენ,

[248] კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი)., 2001. გვ. 295.

დააკმაყოფილონ. ამ ფენებს შორის „კონკურენციის“ შედეგად დაბალი ფენის ბავშვებს უყალიბდებათ არასრულფასოვნების გრძნობა, უარს ამბობენ გავრცელებული ნორმების აღიარებაზე და უპირისპირდებიან მას.[249]

საშუალო ფენასთან კონკურენციაში „დამარცხებული“ დაბალი ფენის მოზარდები, რომელთაც საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად დამკვიდრების და ინტეგრაციის პრობლემა გააჩნიათ, ქმნიან თანატოლთა და თანამოაზრეთა ჯგუფებს, კრიმინალური ბანდის კულტურას. ასე წარმოიშობიან სუბკულტურული ჯგუფები.

ქოენის მიხედვით, გადამწყვეტი არის ის, რომ მოზარდები კულტურული სისტემის საკუთარ ფორმას აყალიბებენ და ისეთ მიზნებს ისახავენ, რომელთა განხორციელებაზე კონტროლი თვითონ შეუძლიათ განახორციელონ და რომელიც მათ დაეხმარებათ სტატუსთან დაკავშირებული პრობლემები ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრან.[250] მოზარდების მონაწილეობა „Gang-Kultura-ში“ აძლევს მათ შესაძლებლობას მიაღწიონ საკუთარ მიზნებს, მაგრამ, ამავე დროს, ისინი იმყოფებიან გაბატონებულ კულტურასთან მუდმივ კავშირში. სუბკულტურის წევრი მოზარდები თანატოლების თვალში ღირსებას სწორედ იმის გამო აღწევენ, რომ ისინი გაბატონებული საზოგადოების იმ ნორმებს და ღირებულებებს არღვევენ, რომელთა გამოც მათ ამ საზოგადოებაში სტატუსი ვერ მოიპოვეს. ქოენის აზრით, გაბატონებულ საზოგადოებაში ინტეგრირების პრობლემის კოლექტიური გადაჭრის საშუალება არის სწორედ დაბალი ფენის მოზარდთა გაერთიანება დანაშაულებრივ სუბკულტურებში.[251]

დასასრულს, ქოენის თეორია შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი თეზისების სახით:

1) თუ საზოგადოება დაყოფილია კლასების მიხედვით;

2) თუ საზოგადოების ერთ ნაწილს სოციალური სტატუსი აქვს მინიჭებული, რომელიც კლასების შესაძლებლობაზეა დამოკიდებული;

3) თუ საზოგადოების ერთი ნაწილი კლასების სპეციფიურობიდან გამომდინარე წარმოშობილ ნორმებს და ღირებულებებს და დაბალი ფენის სტატუსს აღიარებს;

4) თუ დაბალი ფენის მოზარდებს საკუთარი სტატუსი გაბატონებულ საზოგადოებაში (კულტურაში) ინტეგრაციის პრობლემებს უქმნის;

5) თუ დაბალი ფენის მოზარდებს გაბატონებულ საზოგადოებაში (კულტურაში) ინტეგრაციის პრობლემები ერთნაირი აქვთ;

6) თუ დაბალი ფენის მოზარდები გაბატონებულ საზოგადოებაში (კულტურაში) მიღებული იმ ნორმების და ღირებულებების წინააღმდეგ ერთად გამოდიან, რომელთა გამოც მათ დაბალი ფენის სტატუსი მიენიჭათ;

მაშინ დაბალი ფენის მოზარდები ქმნიან ინტერაქტიულ ჯგუფებში ნორმებს და ღირებულებებს (სტატუსის კრიტერიუმებს), რომლებიც გაბატონებული საზოგადოების (კულტურის) მიმართ ნეგატიურად არის მიმართული და ახორციელებენ ქმედებებს ამ კულტურის წინააღმდეგ.

---

[249]Cohen, A. K., 1961. S. 84.

[250]იგივე, გვ.91.

[251]იქვე.

3.4.4.3. მილერის სუბკულტურის თეორია

ქოენის მსგავსად ვალტერ მილერიც ცდილობს ახსნას დაბალი ფენის მოზარდების ბანდების ფენომენი. თუ ქოენი სუბკულტურის წარმოშობის მიზეზად მიიჩნევს დაბალი ფენის კოლექტიურ რეაქციას საშუალო ფენის ნორმებისადმი, მილერის აზრით, სუბკულტურის წარმოშობის მიზეზი არის არა ფენებს შორის კონფლიქტი, არამედ დაბალი ფენის ქცევის (მარეგულირებელი) ელემენტი.

მილერის აზრით, დაბალი ფენა არის ავტონომიური, რომელსაც გააჩნია ტრადიციულად დამკვიდრებული კულტურული სისტემა. დაბალი ფენის კულტურული განვითარების საფუძველია ექვსი მნიშვნელოვანი და ცენტრალური ასპექტი,[252] (Kristallisationspunkte, focal concerns). ესენია:

1. **სიძნელეები** - იგულისხმება ისეთი სიტუაცია ან ქცევა, რომელსაც ოფიციალურ ორგანოებთან ან საშუალო ფენის წარმომადგენლებთან რთული ურთიერთობები ახლავს თან. ასეთი ურთიერთობების „დაძლევა“ მიიჩნევა დადებით თვისებად. სიძნელეების განზომილება ეხება როგორც კანონიერ, ისე უკანონო ქცევას.
2. **სიძლიერე** - იგულისხმება დადებითი თვისებები, როგორიცაა ფსიქიკური სიმყარე, ძალა, გამძლეობა, სითამამე. მასკულინური (მამაკაცური) ჩვევების წარმოშობის მიზეზად მილერი მიიჩნევს ვაჟი მოზარდების მიერ მამაკაცად იდენტიფიცირების შესაძლებლობის ნაკლებობას, რაც განპირობებულია იმით, რომ დაბალი ფენის ოჯახებში სახლის საქმეებს ქალები მართავენ და მამაკაცები არ არიან სახლში.
3. **გონებრივი მოქნილობა** - გონებრივი მოქნილობა გულისხმობს თვისებას, რომლითაც მოზარდს შეუძლია სხვებს აჯობოს, „მოატყუოს“, სხვების ქმედებები ღირსეულად მოიგერიოს.
4. **აღგზნებადობა** - ამ პუნქტში გაერთიანებულია ყველა ის საშუალება, რომლითაც დაბალი ფენის წარმომადგენლები ეძიებენ დაძაბულობას და დასვენებას, რომელიც ალკოჰოლში, კარტის თამაშში, სექსუალურ და აგრესიულ თავგადასავლებში გამოიხატება.
5. **ბედისწერა** - მილერის ეს პუნქტი გამოიხატება ცხოვრებისადმი ექსტრემალურ მიდგომაში: იყო ბედნიერი ან იყო უბედური. დაბალი ფენის წარმომადგენლების წარმოდგენით შეუძლებელია იმ მაგიური ძალების წინააღმდეგ მოქმედება, რომლებიც ადამიანის ბედნიერება, უბედურების საკითხს წყვეტენ.
6. **ავტონომია (დამოუკიდებლობა)** - ავტონომია გამოიხატება გარეგანი კონტროლის მექანიზმებზე უარის თქმაში, რაც მიუთითებს მათ სურვილზე იყვნენ დამოუკიდებლები.

მილერის მიერ შედგენილი კულტურული ფაქტორები (focal concerns) არის საზოგადოებისაგან „გარიყული ჯგუფების“, მოზარდი მამაკაცების, ის ზოგადი კულტურული მელიუ (ადგილი), სადაც მათ უწევთ მოქმედება. ჩამოთვლილი ექვსი პუნქტის გარდა, მნიშვნელოვანია აგრეთვე:კუთვნილება (ჯგუფის წევრობა) და სტატუსი.[253] კუთვნილება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ ასრულებს ადამიანი ჯგუფის მიერ აღიარებულ ნორმებს, ხოლო სტატუსი დამოკიდებულია ადამიანის სიძლიერეზე, გონებრივ მოქნილობასა და მის სხვა ისეთ თვისებებზე, რომლებიც მას უპირატესობას მოუტანს სხვა პირებთან მიმართებაში. სტატუსთან მიმართებაში აღსანიშნავია

---

[252] Miller, W. B., 1968. S. 340.
[253]Miller, W. B., 1968. S. 353.

მოზარდთა სურვილი იყვნენ ისეთები, როგორებიც მოზრდილები არიან. სუბკულტურული ჯგუფის წევრები თავს ვალდებულად გრძნობენ გამოავლინონ ის თვისებები, რომლითაც ისინი მოზრდილებად ჩაითვლებიან (ავტომობილი, ფული, ნარკოტიკული საშუალებების ან ალკოჰოლის მიღება).

საზოგადოებისაგან „გარიყული ჯგუფების“ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, მილერის აზრით, არის შედეგი მათი ორიენტაციის დაბალი ფენისათვის დამახასათებელი ნორმებისა და ღირებულებების, ანუ (სუბ)კულტურულ ფაქტორების (focal concerns).

ქოენის და მილერის სუბკულტურის თეორიებს შორის განსხვავება მდგომარეობს სუბკულტურის ცნებაში. ქოენის მიხედვით სუბკულტურა სოციალ-სტრუქტურიდან წარმოშობილი რეფლექსია, რომელსაც დიდი ზეგავლენა გააჩნია მის „დაქვემდებარებაში“ მყოფ ინდივიდების (სუბკულტურის წევრთა) სტატუსზე. მილერისათვის კი სუბკულტურა არის საზოგადოებაში ტრადიციებზე დამყარებული ავტონომიური სისტემა. ამიტომ მიაჩნია მილერს, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაული, სწორედ მათი კულტურული ტრადიციების ნაყოფია.

3.4.5. Broken Windows თეორია

Broken Windows თეორია 1982 წელს ჩამოაყალიბეს ამერიკელმა სოციოლოგებმა ჯეიმს ვილსონმა და ჯორჯ კელინგმა.[254] მათი თეორიის საფუძველი გახდა ფსიქოლოგ ფილიპე ზიმბარდოს მიერ 1969 წელს ჩატარებული ექსპერიმენტი. ფილიპე ზიმბარდომ ჩაატარა შემდეგი შედარებითი ექსპერიმენტი. მან ბრონქსის (ნიუიორკი) ერთ-ერთ ქუჩაზე და პალო ალტოში (პატარა, წყნარი ქალაქი კალიფორნიაში) დააყენა ავტომანქანა სანომრე ნიშნების გარეშე და ახდილი „კაპოტით“. ზიმბარდო დააკვირდა თუ რა მოხდებოდა. ბრონქსის ქუჩაზე დაყენებულ ავტომობილს გაჩერებიდან უკვე 10 წუთის შემდეგ მიუახლოვდა ერთი ოჯახი, მამა, დედა და მათი რვა წლის ბიჭი და დაიწყო მისი გაქურდვა. მომდევნო 26 საათის განმავლობაში სხვადასხვა პირების მიერ მთლიანად გაიძარცვა იგი, ხოლო სამ დღეში ავტომობილისგან მხოლოდ „რკინის ჩონჩხი“ დარჩა, რომელზეც ქუჩის მაცხოვრებლები ნაგავს აწყობდნენ. ამ მოვლენის საწინააღმდეგოდ განვითარდა პალო ალტოში. ზიმბარდოს მიერ დაყენებული ავტომობილი ერთი კვირის შემდეგ ისევ უვნებელი იდგა. ხოლო როდესაც წვიმა დაიწყო ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა ავტომობილის „კაპოტიც“ კი დახურა, რომ ავტომობილის ძრავი არ დაზიანებულიყო. ზიმბარდომ და მისმა თანამშრომლებმა ავტომობილის მინა ჩაამსხვრიეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მათ მხარი აუბა და თვითონაც მიიღო მონაწილეობა ავტომობილის დაზიანებაში. იმავე ღამეს ქალაქის ახალგაზრდობის მიერ ზიმბარდოს ავტომობილი დაზიანებული და გაძარცვული იქნა, ხოლო ავტომობილი მეორე დღეს სახურავზე ამოტრიალებული იპოვეს.

ზიმბარდოს ექსპერიმენტზე დაყრდნობით ვილსონმა და კელინგმა შეიმუშავეს სამი თეზისი:[255]

---

[254]Wilson, J. Q./Kelling, G. I., 1996. S. 121-137.
[255]Göppinger, H., 2008. S. 148.

1. თუ ქალაქის რომელიმე უბანში არსებული უწესრიგობა და ქუჩების „უპატრონოდ მიტოვება“ (ნაგვიანი ქუჩები, გრაფიტი კედლებზე და ნარკომანია) მიუთითებს, რომ ეს უბანი უკონტროლოდ არის დატოვებული;

2. უბანში არსებული ამგვარი მდგომარეობა უბნის მცხოვრებლებში წარმოქმნის დაუცველობის გრძნობას;

3. უბანში არსებული უწესრიგობა და ქუჩების „უპატრონოდ მიტოვება“ ხელს უწყობს დამნაშავეებს ოპტიმალურად განახორციელონ თავიანთი უკანონო ქმედებები. ვინაიდან უბნის მოსახლეობის უმრავლესობა თავს დაუცველად გრძნობს, დამნაშავეების მიერ არის დაშინებული, ხოლო დამნაშავეები სახელმწიფო კონტროლის ნაკლებობის გამო თავს ადგილობრივ მოსახლეობაზე „მაღლა აყენებენ“ და მათზე დიდ გავლენას ახდენენ.

ვილსონის და კელინგის აზრით, იმისათვის, რომ აღიკვეთოს დანაშაულის ჩადენა, საჭიროა გაიზარდოს დანაშაულის გამოვლენის მაჩვენებელი და დანაშაულზე სახელმწიფო და სოციალური კონტროლი.

მათი აზრით, ქალაქის უბნის უწესრიგობა აქ მომხდარ დანაშაულებთან პირდაპირ კავშირშია. შენობის ერთი ჩამსხვრეული ფანჯარა, რომელიც არ იქნება აღდგენილი, იწვევს ამ შენობის სხვა ფანჯრის მინების ჩატეხვას. ეს უნდა ითქვას, როგორც ქალაქის იმ რაიონებზე, სადაც სოციალურად დაბალი ფენა ცხოვრობს, ასევე მის მდიდარ რაიონებზეც.

ვილსონის და კელინგის თეორიის მიხედვით, კრიმინალური ქმედებების აღკვეთისათვის აუცილებელია სამართალდამცავების მიერ გახსნილი და სანქციონირებული იქნენ დამნაშავეები. მათი აზრით სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკის მიზანი უნდა იყოს ისეთი სოციალური ატმოსფეროს შექმნა, სადაც მოქალაქეები დამნაშავეებისაგან თავს დაცულად იგრძნობენ, სადაც ადამიანებს კვლავ სწამთ და სჯერათ წესრიგის და ქვეყანაში მოქმედი ნორმათა სისტემის.[256]

ლაუეს[257] აზრით, ზიმბარდოს შედარებითი ექსპერიმენტის შედეგი გამოწვეული იყო ანონიმურობით. კალიფორნიის ქალაქ პალო ალტოში მისი სიპატარავის გამო არ შეიძლება პირი დარჩეს ანონიმური, რაც არ შეიძლება ითქვას ნიუ-იორკი ბრონქსზე.

ვილსონის და კელინგის Broken Windows - თეორიის საფუძველზე 1994 წელს ნიუ-ორკის პოლიციის უფროსმა ვილიამ ბრეტონმა, მაშინდელი ქალაქის მერის რუდოლფო ჯულიანის ხელშეწყობით განახორციელა პოლიციური სტრატეგია, რომელსაც „ნულოვანი ტოლერანტობა“ ეწოდა.[258]

იმ პერიოდისათვის ნიუ-იორკში გახშირებული იყო მკვლელობები და სხვა სახის მძიმე დანაშაულები. გარდა ამისა, ყოველდღიური ცხოვრების წესი იყო არსებული ნორმების დარღვევა, ქუჩების დანაგვიანება და მეტროს დაზიანება. ქალაქის მოსახლეობას დაკარგული ჰქონდა უსაფრთხოების განცდა.

ქალაქ ნიუ-იორკისათვის ნორმალური ცხოვრების დაბრუნებისათვის ბრეტონის მიერ შემუშავებულ და განხორციელებულ იქნა შვიდი ღონისძიება: 1. ქალაქის მოსახლეობაში არსებული არალეგალური ცეცხლსასროლი იარაღის გამოვლენა და მათი მფლობელების, მოვაჭრეების დასჯა; 2. პატარა გადაცდომაც (მართვის

[256]ბაწაშვილი, ი., 2016. გვ. 58.
[257]Laue, Cr., 1999. S. 280.
[258]Göppinger, H., 2008. S. 148.

მოწმობის გარეშე ავტომობილის მართვა, მათხოვრობა, სკოლის გაცდენა) კი დაფიქსირებულ იქნა პოლიციის მიერ. სკოლებში სისტემატიურად ხდებოდა მოსწავლეთა ჩხრეკები ცეცხლსასროლი იარაღების გამოსავლენად. მიმდინარეობდა თვალშისაცემი პირების ქუჩაში კონტროლი; 3. პოლიციამ დაიწყო საკუთარი ძალის დემონსტრირება, რათა მოსახლეობაში ჩახშობილიყო დამნაშავეებისადმი შიში და მათში ჩამოყალიბებულიყო უსაფრთხოების გრძნობა. ასე მაგალითად: ნარკოტიკების გამსაღებლებს ართმევდნენ ფულს, ავტომობილებს და უსჯიდნენ შინაპატიმრობას; ადამიანები, რომლებიც მათხოვრობდნენ ან სხვა პირებს შეურაცხყოფას აყენებდნენ დაპატიმრებულ იქნენ რამდენიმე დღით; სახლებიდან ყოველდღიურად ირეცხებოდა კედლის მხატვრობა, ამით მხატვრებს არ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ ან თვითონ, ან სხვა ვინმე გაოცებულიყო მათი კედლის შედევრით. კედლის გაწმენდის სამუშაოს ასრულებდნენ თავისუფლებააღკვეთილი პირები, რომელთაც ხშირად ეცვათ მაისური წარწერით: დასჯილი ვარ ამა და ამ სასამართლოს მიერ; 4. საზოგადოების თავშეყრის ადგილები იქნა დასუფთავებული და დალაგებული; 5. შეიქმნა ერთიანი, დაცული საინფორმაციო კომპიუტერული სისტემა, სადაც ხდებოდა თითოეული ყოველდღიური გადაცდომის, დანაშაულის, დაკავების ან ქონების ჩამორთმევის დაფიქსირება. კარგად მომუშავე პოლიციის მუშაკები საჯაროდ იქნენ დაჯილდოვებულნი; 6. პოლიციის მიერ მოძიებულ იქნენ აქტიური მოქალაქეები, რომლებიც თავს პასუხისმგებლურად იგრძნობდნენ იმასთან დაკავშირებით რაც მათ უბანში ხდებოდა და რომლებიც პოლიციას შეატყობინებდნენ თითოეული დანაშაულებრივი ფაქტის შესახებ. ორგანიზებულ იქნენ მოქალაქეთა ჯგუფები, რომლებიც იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს და თავიანთი პასუხისმგებლობის ქვეშ აყავდათ მათ ქუჩაზე, უბანში თუ რაიონში არსებული მდგომარეობა; 7. რაოდენობრივად გაიზარდა პოლიციის შემადგენლობა. მოსახლეობისათვის შესამჩნევი გახდა ქუჩებში ფეხითმოსიარულე პოლიციელები, რომლებიც წესრიგს ამყარებდნენ. გარდა ამისა, საპოლიციო ღონისძიებებთან ერთად გამკაცრდა სისხლისსამართლებრივი სასჯელები.

ბრეტონის ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ საგრძნობლად იკლო ძალადობრივმა დანაშაულმა. მეტრო გახდა უსაფრთხო და გადაიქცა გადაადგილების ძირითად საშუალებად.

ბრეტონის ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის უარყოფითი შედეგი იყო ის, რომ გახშირდა მოქალაქეთა საჩივრები პოლიციის წინააღმდეგ ძალის ან უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებებით. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ 1997 წელს ქალაქმა ნიუ-იორკმა 27 მილიონი დოლარი გადაიხადა (ზიანის ანაზღაურების სახით) არაკანონიერი საპოლიციო ღონისძიებების გამო.

3.4.6. დიფერენცირებული კავშირის თეორია

დიფერენცირებული კავშირის თეორია პირველად წარმოადგინა ედვინ საზერლენდმა 1939 წელს თავის წიგნში „კრიმინოლოგია“. თეორიის კორექტირება მან მოახდინა 1947 წელს და მას შემდეგ იგი არ შეცვლილა.

ედვინ საზერლენდი იყო ამერიკელი სოციოლოგი, პროფესორი და ჩიკაგოს სკოლის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა. მისი თეორია დიფერენცირებული კავშირის შესახებ მოიცავდა ორივე – ინდივიდუალურ და სოციალურ ფაქტორებს. ერთ-ერთი მიზანი რის გამოც საზერლენდი ესოდენ მნიშვნელოვანი ფიგურაა კრიმინოლოგიის ისტორიაში, არის ის, რომ იგი შეეცადა თავის თეორიაში წინ წამოეწია, როგორც

ფსიქოლოგიური, ისე სოციალური ფაქტორები, რათა პასუხი გაეცა კითხვაზე - როგორ გავიგოთ თუ რა არის დანაშაულებრივი ქცევა?[259]

საზერლენდი პირველი იყო, ვინც ეცადა ბიოლოგიური თეორიებისაგან გათავისუფლებას და დანაშაულის ახსნა-განმარტებაში სოციალ-ფსიქოლოგიური მომენტები გაეთვალისწინებინა.[260]

დიფერენცირებული კავშირის თეორია წინა პლანზე აყენებს კრიმინალურ ჯგუფებში დანაშაულებრივი ქმედებების, ღირებულებების, მოტივებისა და ტექნიკის სწავლას.[261] მისი აზრით, „ადამიანის დანაშაულებრივი ან არადანაშაულებრივი ქცევა განისაზღვრება მისი უახლოესი გარემოცვის ხასიათით“.[262]

საზერლენდის თეორიას გააჩნია 9 დებულება,[263] რომლებსაც შემდეგ 9 პრინციპი ეწოდა. თუმცა, თვითონ საზერლენდი ამბობს, რომ ეს 9 დებულება თავის თავში გულისხმობს არა პრინციპებს – არამედ პროცესს, რომლის შედეგადაც პიროვნება ებმება დანაშაულებრივ საქმიანობაში.

პირველი პრინციპი – დანაშაულებრივი ქცევა შეისწავლება**.** ეს ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქცევა მემკვიდრეობით არ გადაეცემა. ადამიანი, რომელიც უკვე გამოწვრთნილი არ არის დანაშაულში, ვერ გამოიგონებს დანაშაულებრივ ქმედებას ისევე როგორც ადამიანი ვერ გამოიგონებს მექანიკურ გამოგონებას, თუ იგი უკვე გაცნობიერებული და მომზადებული არ არის მექანიკაში.

მეორე პრინციპი – დანაშაულებრივი ქცევა შეისწავლება სხვა პირებთან კომუნიკაციის პროცესში. კომუნიკაციაში, როგორც წესი, იგულისხმება ვერბალური კონტაქტი, თუმცა, იგი თავის თავში მოიცავს ასევე ჟესტებით კომუნიკაციას.

მესამე პრინციპი –დანაშაულებრივი ქმედების შესწავლა, ძირითადად, ხდება ჯგუფებში, სადაც პირებს ახლო, პირადი კავშირები გააჩნიათ. ამდენად, ეს ცალსახად ნიშნავს იმას, რომ ისეთი საკონტაქტო და საინფორმაციო წყაროები, როგორიცაა კინოფილმები და გაზეთები, ძალიან უმნიშვნელო როლს თამაშობენ დანაშაულის წარმოქმნაში.

მეოთხე პრინციპი –დანაშაულებრივი ქმედების შეისწავლა, თავის თავში მოიცავს დანაშაულის ჩადენის ტექნიკის შესწავლასაც, რაც ხშირად ძალიან რთულია ან პირიქით, ძალიან ადვილია. აქ ყურადღება ექცევა პიროვნების მოტივებს, რაციონალურ აზროვნებას და განწყობას.

მეხუთე პრინციპი – დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მოტივებისა და განწყობის შესწავლა ხდება იმით, რომ სამართლის ნორმის განმარტება ხდება დადებითად ან უარყოფითად. გარკვეულ საზოგადოებაში, პირი გარემოცულია იმ ადამიანებით, რომლებიც განმარტავენ სამართლებრივ ნორმებს, როგორც წესებს, რომლებიც უნდა შესრულდეს. ამავე დროს, არის საზოგადოება, სადაც პირი გარემოცულია იმ ადამიანებით, რომლებიც განმარტავენ სამართლებრივ ნორმებს, როგორც წესებს, რომელთა დარღვევა დასაშვებია. საზერლენდის თქმით, ამერიკულ საზოგადოებაში ეს ყველაფერი ერთგვარი ნაზავის სახით არის წარმოდგენილი, რასაც ცნობილი კრიმინოლოგი იმ ფაქტს მიაწერს, რომ სამართლებრივ ნორმებთან მიმართებაში ამერიკა სერიოზული კულტურული კონფლიქტის წინაშე დგას.

---

[259] Newburn, T., 2007. p. 151
[260]Kaiser, G., 1996. S. 521.
[261]Kaiser, G., 1996. S. 521; Neubacher, F., 2014. S. 93.
[262]გაბიანი, ა., 1969. გვ. 33.
[263]Sack, F./ König, R. (Hrsg.), 1968. S. 396.

მეექვსე პრინციპი – პიროვნება დამნაშავე ხდება იმიტომ, რომ იგი გადაჭარბებულად განმარტავს სამართლებრივ ნორმებს თავის სასარგებლოდ, ანუ იმ კუთხით, რომ ნორმათა დარღვევა მისაღებია, ვიდრე მისთვის არა სასარგებლოდ, ანუ რომ ნორმათა დარღვევა მიუღებელია. ეს დიფერენციალური კავშირის თეორიის პრინციპი თავის თავში გულისხმობს, როგორც დანაშაულებრივ ისე არადანაშაულებრივ კავშირს, ანუ სახეზეა ურთიერთსაწინააღმდეგო ძალები. ადამიანები ხდებიან დამნაშავეები, იმიტომ, რომ კონტაქტობენ დანაშაულებრივ გარემოსთან და იზოლირებულები/გარიყულები არიან არადანაშაულებრივი გარემოსაგან.

მეშვიდე პრინციპი – დიფერენცირებული კავშირი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ურთიერთობის სიხშირე, ხანგრძლივობა, პრიორიტეტი და ინტენსიობა. უფრო კონკრეტულად კი, კავშირი დანაშაულებრივ საზოგადოებასთან და კავშირი არადანაშაულებრივ საზოგადოებასთან დამოკიდებულია ამ ფაქტორებზე. კავშირის მახასიათებლები - კავშირის სიხშირე და დროის ხანგრძლივობა აშკარაა და არ სჭირდება ახსნა-განმარტება. პრიორიტეტი მიიჩნევა მნიშვნელოვნად იმ გაგებით, რომ სამართლებრივი აზროვნება, რომელიც ადამიანს განუვითარდა ადრეულ ბავშვობაში, მას შეიძლება გაჰყვეს ცხოვრების განმავლობაში და ასევე პირიქით, დანაშაულებრივი აზროვნება ცხოვრების ბოლომდე.

ინტენსიურობა კონკრეტულად განსაზღვრული არ არის და დამოკიდებულია დანაშაულებრივი და არადანაშაულებრივი საქციელის პრესტიჟულობასა და სოციალური ურთიერთობების ემოციურ რეაქციაზე.

მერვე პრინციპი – დანაშაულებრივი ქცევის შესწავლის პროცესი დანაშაულებრივ და არადანაშაულებრივ გარემოში თავის თავში გულისხმობს ყველა მექანიზმის შესწავლას, რაც ნებისმიერი სხვა სწავლის პროცესშია სახეზე.

მეცხრე პრინციპი – იმის მიუხედავად, რომ დანაშაულებრივი ქცევა ერთგვარი გამოხატვაა ზოგადი მოთხოვნილებებისა და ღირებულებების, იგი არ აიხსნება ზოგადი მოთხოვნილებებით და ღირებულებებით, რადგან არადანაშაულებრივი ქმედება ასევე არის გამოხატულება იგივე მოთხოვნილებებისა და ღირებულებების. ქურდი იპარავს იმისთვის, რომ ფინანსურად იყოს უზრუნველყოფილი, ასევე პატიოსანი მშრომელი ადამიანი მუშაობს ფინანსური უზრუნველყოფის გამო.

საზერლენდის დიფერენცირებული კავშირის თეორიის ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობს, რომ თეორია ახალს არაფერს ამბობს. თუ დანაშაული გენეტიკური მოვლენა არ არის, მაშინ თავისთავად იგულისხმება, რომ იგი დაისწავლება.[264] თეორიაში დასწავლის პროცესი გაუბრალოებული და მექანიკურია, უყურადღებოდ არის დატოვებული სწავლების ინდივიდუალური უნარები.[265] ეს თეორია ასევე არაფერს ამბობს დანაშაულზე ორიენტირებული ღირებულებების წარმოქმნაზე.[266]

თეორიის ერთ-ერთი პრობლემა არის ის, რომ აშკარა ფაქტია - ყველა ვინც დანაშაულთან, დამნაშავეებთან კონტაქტშია, დამნაშავედ არ იქცევა.[267] თუმცა, თეორიას იმიტომ ეწოდება „დიფერენცირებული“, რომ იგი კატეგორიულად არ ამტკიცებს, რომ ყველა პირი დამნაშავე ხდება. თეორია მხოლოდ იმას ამბობს გადაჭრით, რომ როდესაც პიროვნება გადაჭარბებულად ანუ ზომაზე მეტად კონტაქტობს დამნაშავეებთან, ის ხდება დამნაშავე.

---

[264]ბალიაშვილი, მ., 2010. გვ. 133.
[265]Kaiser, G., 1996. S. 521.
[266]იქვე.
[267]Sutherland, E./Cressey, D., 1978. p. 83.

ერთ-ერთი უმთავრესი კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ეს თეორია მხედველობაში არ იღებს პიროვნების მახასიათებელ თვისებებს, პიროვნულ ფაქტორებს ან ფსიქოლოგიურ ცვალებადობას დანაშაულებრივ ქცევაში. ეს კრიტიკა რეალური კრიტიკაა, რადგან ეხება დანაშაულობის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორს. ამ კრიტიკას უამრავი მეცნიერი უჭერს მხარს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული კრიტიკისა,საზერლენდი ერთ-ერთი იმ კრიმინოლოგთაგანია, რომელმაც უზარმაზარი გავლენა მოახდინა კრიმინოლოგიის მრავალ ასპექტზე. დიფერენცირებული კავშირის თეორიამ კრიმინოლოგია სულ სხვა მიმართულებით წაიყვანა, მაშინ როდესაც დანაშაულის წარმოშობის საფუძვლებს კრიმინოლოგია ეძებდა ადამიანის ბიოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაში, იგი შეეცადა თავის თეორიაში წინ წამოეწია, როგორც ფსიქოლოგიური ისე სოციალური ფაქტორები, რათა გაეგო დანაშაულებრივი ქცევის წარმომავლობის საკითხი.[268]

გარდა ამისა, დასაფიქრებელია ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნების 75-80 პროცენტი, რომელიც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას იხდის, განმეორებით ჩადის დანაშაულს,[269] როცა განმეორებითი დანაშაულის ეს პროცენტული მაჩვენებელი ალტერნატიული სასჯელის შემთხვევაში უფრო დაბალია. შესაძლებელია ციხეგამოვლილი არასრულწლოვნები სწორედ იმიტომ ჩადიოდნენ განმეორებით დანაშაულს, რომ ციხის პირობებში მხოლოდ დანაშაულებრივი წარსულის მქონე თანატოლებთან აქვთ ურთიერთობა.[270]

3.4.7. აკერსის და ბურგესის „სოციალური სწავლების“ თეორია

სოციალური სწავლების თეორია თავდაპირველად 1943 წელს წარმოადგინა გაბრიელ ტარდემ. შემდეგ ეს თეორია თავისებურად განავითარეს კრიმინოლოგებმა - აკერსმა და ბურგესმა. აკერსი და ბურგესი ცდილობდნენ სოციალური სწავლების თეორიის მეშვეობით ერთგვარად გაეფართოვებინათ საზერლენდის იდეები, რათა გამოერკვიათ საიდან იღებს სათავეს დანაშაულებრივი ქმედება.[271]

აკერსის და ბურგესის აზრით, ამა თუ იმ ქცევის სწავლა და მისი გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ამ ქცევისადმი დამოკიდებულება ***დადებითი თუ უარყოფითი*** (დასჯა თუ დასაჩუქრება). გარდა ამისა, ქცევის გამოყენება დამოკიდებულია იმ სიგნალებზე (სტიმულზე), რომლებსაც სიტუაციის მიხედვით იღებს პირი, რომელიც (სიგნალები) თავის მხრივ ნასწავლი უნდა იქნას. სტიმულები არიან ინდიკატორები, რომლებიც აჩვენებენ, არის თუ არა და თუ არის, როგორი ხარისხის დადებით და უარყოფით ***„გამაძლიერებელ ზეა“ (ზეგავლენა ზეა)*** დამყარებული კონკრეტულ ქცევასა და კონკრეტულ სიტუაციაში.[272] გამაძლიერებლები შესაძლებელია იყოს მატერიალური და არამატერიალური სახის, მათ შორის სასჯელისაგან თავის დაღწევა.[273] მაგალითად, თუ მოზარდს სურს კონკრეტული ჯგუ-

---

[268]Newburn, T., 2007. p. 385-389
[269]შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ., 2016. გვ. 161.
[270]შეად.:Springer, W., 1973. S. 56-72.
[271]Burgess, R. L./ Akers, R. L., 1966, 14(2), p. 128-147.
[272]Ziegler, R., 2009. S. 147.
[273]იქვე.

ფის წევრობა და ჯგუფში „გაწევრიანებისათვის“ დანაშაულის ჩადენაა საჭირო, დანაშაულის ჩადენა არის „გამაძლიერებელი“ ჯგუფში გაწევრიანებისათვის, თუ ამ მოზარდის მიერ ჯგუფის წევრობა აუცილებლად იქნება მიჩნეული (პიროვნული აღიარება) და დადებითად შეფასდება.[274]

ბურგესმა და აკერსმა, საზერლენდისაგან განსხვავებით, შემოიტანეს ასევე ტერმინი „იმიტაცია“ და საბოლოოდ განმარტეს, რომ დანაშუალებრივი ქმედება გამომდინარეობს დიფერენციალური კავშირისა და იმიტაციისაგან (მიბაძვისაგან). ადამიანისათვის საკმარისია სხვა ადამიანის ქმედების დაკვირვება და ამ ქმედების (დადებით ან უარყოფით) შედეგებზე სწავლა და მისი მიბაძვა.[275] თუ ადამიანმა ნახა, რომ სხვა ადამიანის დანაშაულს დადებითი შედეგი (ეკონომიკური სარგებელი) მოჰყვა, იგი მას მიბაძავს.

3.4.8. სოციალური კონტროლის თეორიები

სანამ თითოეულ სოციალური კონტროლის თეორიას განვიხილავდეთ, საჭიროა გავარკვიოთ რას გულისხმობს სიტყვა: **„control“**. სიტყვა **control** ითარგმნება როგორც ზედამხედველობა, შემოწმება, კონტროლი.

საკითხავია, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული სიტყვა **control** სოციალური კონტროლის თეორიის მიხედვით.

ჰირშის მიხედვით, პირის კონტროლი მდგომარეობს არა პირდაპირი გაგებით კონტროლში, არამედ მის მჭიდრო კავშირში მშობლებთან და მეგობრებთან.[276] გერმანელი კრიმინოლოგის შნაიდერის აზრით, ჰირშის შემთხვევაში საქმე გვაქვს არა სოციალური კონტროლის თეორიასთან, არამედ სოციალური კავშირების თეორიასთან,[277] რაც ზედამხედველობასა და შემოწმებაში უფრო გამოიხატება.

იგივე შნაიდერი **ნეის** კონტროლის ცნებას უფრო მიიჩნევს როგორც კონტროლს და ზედამხედველობას.[278] ნეის „კონტროლის“ ცნებაში იგულისხმება შვილების კონტროლი და ზედამხედველობა მშობლების მიერ.[279]

რაისის „კონტროლის“ ცნება გულისხმობს ქცევის პირად და საზოგადოებრივ კონტროლს. მისივე აზრით, ქცევის კონტროლი ხორციელდება ერთი მხრივ სოციალური ჯგუფის (სოციალური კონტროლი) და მეორე მხრივ, თვითონ ინდივიდის მიერ (პირადი კონტროლი).[280]

გოლდისთვის „კონტროლის“ ცნებაში ოჯახური კონტროლი არის ნაგულისხმები, ყველა ის ოჯახური კონტროლის ფაქტორი, რაც არასრულწლოვან დამნაშავეს აიძულებს არ ჩაიდინოს დანაშაული.[281]

3.4.8.1. ჰირშის კონტროლის (კავშირის) თეორია

ტრავის ჰირშიმ გამოიკვლია 5 545 მოსწავლისაგან შემდგარი ჯგუფი. ეს ჯგუფი შედგებოდა 17 500 მოსწავლეთაგან ამორჩეული მოსწავლეებისაგან 11 ,,public junior''

---

[274]იგივე, გვ. 149.
[275]იგივე, გვ. 148.
[276]Hirschi, T., 1969. S. 20, 29.
[277]Schneider, H.J., 1987. S. 532.
[278]Schneider, H.J., 1987. S. 529.
[279]Nye, F. I., 1958. S. 5.
[280]Reiss, A. J., 1951. S. 196.
[281]Gold, M., 1963. S. 11-12.

and „senior high schools''-დან, რომელიც გამოკვლეული იქნა 1964 წლის „Richmond Youth Project''-ის ფარგლებში.

5 545 მოსწავლე შედგებოდა 1 479 შავკანიანი, 2 126 თეთრკანიანი ბიჭისაგან და 1 076 შავკანიანი და 864 თეთრკანიანი გოგონებისაგან. აღნიშნული 5 545 მოსწავლე გამოკითხულ იქნენ. გარდა ამისა, მერვე კლასის მოსწავლეებს შესავსებად გადაეცათ ტესტები. ერთი წლის შემდეგ მეშვიდე კლასის მოსწავლეებს გადაეცათ ტესტები შესავსებად. გამოკითხვა დაიწყო 1965 წელს.

მოსწავლეების მიერ შესავსები კითხვარები გაეგზავნათ სკოლებს. რთულ კითხვებს გააჩნდათ, როგორც ინსტრუქციები, ასევე მასწავლებლებიც აძლევდნენ რთული კითხვების განმარტებებს მოსწავლეებს. აღნიშნული კითხვარები გარკვეული დროის შემდეგ კვლავ დაურიგდათ მოსწავლეებს. ასე რომ, იმ მოსწავლეებმა, რომლებმაც პირველად ვერ შეძლეს კითხვარის შევსება (მათი სკოლაში არ ყოფნის გამო) და იმ მოსწავლეებს, ვინც ვერ მოასწრო კითხვარის ბოლომდე შევსება, მიეცათ შესაძლებლობა შეევსოთ ან დაესრულებინათ კითხვარი.

მკვლევარებს უკან დაუბრუნდათ 4 077 სრულყოფილად შევსებული კითხვარი, რაც საერთო რაოდენობის 73,5%-ს შეადგენდა.[282] გამოკითხულ მოსწავლეთა 12%-ის მშობლებმა უარი თქვეს კითხვარების შევსებაზე, 6,2% 1965 წელს უკვე აღარ ცხოვრობდა იმ ქალაქში და შესაბამისად, აღარ სწავლობდა რეიხმონდის სკოლაში, 7,1%-ის მიერ გამოგზავნილი პასუხები არ იყო დამაკმაყოფილებელი და ვერ იქნა გამოყენებული კვლევის შეფასებისათვის, ხოლო 1,2%-ის მიერ კითხვებზე გაცემულ იქნა არასწორი პასუხები.

კითხვარებთან ერთად ცდის პირების შესახებ გაანალიზებული იქნა სკოლაში და პოლიციაში არსებული ჩანაწერები (საქმეები).

კითხვარების და ცდის პირების შესახებ არსებული საქმეების შეჯამება-შეფასებისას გაირკვა, რომ იმ ცდის პირებთან შედარებით, რომელთაც სრულად და ამომწურავად უპასუხეს ანკეტებს, ის ჯგუფი, რომელთაც არ ან ვერ უპასუხეს კითხვარის პასუხებს თავისი დამნაშავეობით საგრძნობლად გამოირჩეოდნენ. მკვლევარები დანაშაულებრივ ქმედებად მიიჩნევდნენ ისეთ ქცევას, რომელიც დასჯილ იქნა კანონით დადგენილი ნორმებით. რაც შეეხება დანაშაულის ჩადენას, მკვლევარებმა მოსწავლეებს მიანდეს თვითონ გადმოეცათ კითხვარებში მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ, ვინაიდან შეუძლებელია პოლიციას მათ მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულის დაფიქსირება მოეხდინა.[283]

მოცემულ კვლევებზე დაყრდნობით ჰირში აღწერს თავის თეორიას. ჰირშის აზრით, თუ რომელიმე ადამიანი სხვა ადამიანის სურვილებსა და მოლოდინზე არ არის მინდობილი, მაშინ იგი აღარც ნორმებზეა მიჯაჭვული.

ადამიანებსა და ნორმებს შორის კავშირს ჰირში ოთხ ელემენტად ყოფს:

1. „Commitment'' (რაციონალური კომპონენტი) ნიშნავს რაციონალურ, გონივრულ მოფიქრებას, გააზრებას იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ნორმისგან გადახრას. აღნიშნული, როგორც რაციონალური კომპონენტი შეგვიძლია ზიგმუნდ ფროიდის „მეს'' შევადაროთ. ჰირში ამბობს, რომ, ალბათ, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები, რომლებმაც ბევრი ენერგია, დრო და

[282]Hirschi, T., 1969. S. 36.
[283]იგივე, გვ.64.

ფული დახარჯეს ამ სტატუსის მისაღწევად, ისწავლეს, კარიერა გაიკეთეს და შეძლეს საზოგადოების პატივისცემა დაემსახურებინათ, არ არიან მზად, რომ მცირე, უმნიშვნელო დანაშაულის ჩადენის გამო თავიანთი მძიმედ მისაღწევი მაღალი სტატუსი (მდგომარეობა) დაკარგონ.[284]

2. „Attachment'' (ემოციური კომპონენტი/მიჯაჭვულობა) არის ემოციური კავშირი სხვა ადამიანებზე. ეს არის სოციალური კავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი. ემოციური კავშირი სოციალურ „პარტნიორებთან" – მშობლებთან, მეგობრებთან და მასწავლებლებთან - ამცირებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის და მის კრიმინალად ჩამოყალიბების ალბათობას. პირის ემოციური კავშირი მასში აყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობას მისი სოციალური „პარტნიორებისადმი", რაც მას ხელს უშლის დანაშაულის ჩადენაში. კრიმინოლოგი შნაიდერი ემოციურ კომპონენტს განმარტავს, როგორც პიროვნებასთან ახლო დგომას, მისდამი ერთგულებას და მიჯაჭვულობას.[285]

3. „Involvement'' (დროის კომპონენტი/ჩართულობა) ნიშნავს, იყო ჩაბმული კონფორმულ (არადანაშაულებრივ) ქმედებებში, ე.ი. პირი იმდენად არის დაკავებული თავისი საქმით, რომ მას აღარ აქვს დრო ჩაიდინოს დანაშაული.[286] ვინც მუშაობს, სპორტს მისდევს, ეკლესიაში დადის ან სხვადასხვა სახის კავშირებშია გაერთიანებული, დრო აღარც კი ექნება კრიმინალური ქმედებები დაგეგმოს ან ჩაიდინოს. კრიმინოლოგი შნაიდერი ამას უწოდებს კანონით დადგენილი ქცევების მეშვეობით პირის შეკავებას,[287] რომ მან არ ჩაიდინოს დანაშაული.

4. „Belief.'' (მორალური კომპონენტი) ეს ნიშნავს რწმენას, რომ არსებობს საყოველთაო ღირებულებათა სისტემა,[288] რომელსაც შნაიდერი განმარტავს, როგორც მორალური კეთილდღეობისა და კონვენციონალური წესების შეფასებას და აღიარებას.[289] ჰირშის თეზა კი იმ მიმართულებისაა, რომ ნორმის დამრღვევს წესების სჯერა მანამ, ვიდრე ის მათ დაარღვევს. რაც უფრო ნაკლებად სჯერა პირს მორალური ნორმებისა და აღიარებს მათ, მით უფრო დიდია საშიშროება, რომ მან დანაშაული ჩაიდინოს.

ჰირშის მოსაზრებით, თუ პირს კონვენციონალურ ადამიანებთან აქვს კავშირი, ალბათ კონვენციონალურ საქმიანობას მისდევს და შესაბამისად კონვენციონალური აზრების და სურვილების მატარებელია. ხოლო ის პირი, ვინც კონვენციონალური კავშირებისაგან თავისუფალია, რა თქმა უნდა შეუძლებელია იმის თქმა, რომ ის აუცილებლად დანაშაულს ჩაიდენს, მაგრამ დიდი ალბათობა არსებობს იმის, რომ მან დანაშაული ჩაიდინოს.[290]

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მოტივაცია შეიძლება ყოველთვის იყოს კომლექსურ მოტივაციათა ერთობლიობით გამოწვეული, თუმცა მოტივაციის ხარისხი უეჭველად ცვალებადია. სწავლების თეორიის მიხედვით ქცევის მოტივები შესწავლილია და იგი აქამდე მიღებულ გამოცდილებებზეა დამოკიდებული. მოტივს დიდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩადენისათვის, იგი ზემოქმედებას ახდენს

---

[284]იგივე, გვ.21.
[285]Schneider, H.J., 1987. S. 533.
[286]Hirschi, T., 1969. S. 22.
[287]Schneider, H.J., 1987. S. 533.
[288]Hirschi, T., 1969. S. 23.
[289]Schneider, H.J., 1987. S. 533.
[290]Hirschi, T., 1969. S. 28-29.

პირის მიერ დანაშაულის ჩადენაზე. მოტივაციის ხარისხი არის ცვალებადი და ის ქმედების განხორციელების მომენტში შეიძლება შესუსტდეს, ან პირიქით გაძლიერდეს.[291]

ცალკეული შემთხვევების შეფასება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთ ცხოვრებისეულ პირობებთან (საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო, მზრუნველი), რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ პირის მდგომარეობა, ხელი შეუწყონ ან ხელი შეუშალონ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას.

კაიზერისა და შოხის თანახმად, ჰირშის შეხედულებას ეწინააღმდეგება დაკვირვებები, რომელთა თანახმად მრავალი ინდივიდი, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ გააჩნიათ მათი ქცევის შემბოჭველი კავშირები, ისინი მაინც არ ჩადიან დანაშაულს.[292]

ჰირშის თანახმად, არ არსებობს დანაშაულებრივი სპეციალური მოტივაცია, ანუ ზუსტად ჩამოყალიბებული რეცეპტი, რითაც შეიძლება აიხსნას „ადამიანი ცხოველის“ კრიმინალური საქციელი. ჰირშის კონტროლის თეორია სვამს კითხვას: „არა რატომ აკეთებენ ისინი ამას?“ ანუ რატომ ჩადიან ადამიანები დანაშაულს, არამედ „რატომ არ ვაკეთებთ ჩვენ ამას?“ანუ რატომ არ ვემორჩილებით არსებულ ნორმებს.[293]

ჰირშის აზრით, რწმენა მოქმედი ნორმების მიმართ („Belief“) გულისხმობს, რომ დამნაშავეს ნორმათა რწმენის გარეშე, რომელიც მას დანაშაულის ჩადენას აუკრძალავს, უადვილებს დანაშაულის ჩადენას და რომ უნორმობა იწვევს პირის დანაშაულებრიობას.[294]

ჰირშის კონტროლის თეორიის კრიტიკისას პირველყოვლისა აღსანიშნავია, რომ სასკოლო და საპოლიციო (ჩანაწერების) საქმეების გამოყენება კვლევისათვის პრობლემატურია, ვინაიდან ისმის კითხვა: ვინ რას წერს ამ საქმეებში? და როგორ იქნა ის წაკითხული მკვლევარების მიერ?

დანაშაულის თვითაღიარებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დანაშაულის ჩადენას ყველა არ აღიარებს. გარდა ამისა, შეიძლება არასრულწლოვანმა ისეთი საქციელი მიიჩნიოს დანაშაულად, რაც საერთოდ არ წარმოადგენდეს დანაშაულს. ანკეტური გამოკითხვით შეუძლებელია დანაშაულის ცნების სრულად გადმოცემა, ან ცნების იმ მოცულობით გადმოცემა, რომ გასაგები გახდეს თითოეული გამოსაკითხი არასრულწლოვანისათვის. კითხვარების შევსების დროს დიდია იმ მასწავლებელთა ზეგავლენა მოსწავლეებზე, რომლებიც კითხვარის შევსების შესახებ ინსტრუქტაჟს უტარებდნენ არასრულწლოვნებს.

ანკეტათა პირველი „გადამოწმება“ გვაძლევს დაეჭვების საბაბს, რადგან ჩნდება კითხვა, სად და როგორ „მოწმდებოდა“ ისინი. ანკეტებით ხელმეორედ დარიგებისას ჩატარდა გაუმჯობესებული ინსტრუქციები, რაც განსაზღვრულ კითხვაზე შემოფარგლული პასუხის გაცემის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ გამოკითხვის მეორედ ჩატარებისას „სწორი“ პასუხები მიეღოთ.

---

[291]Lemp, R., 1975. S. 230-231.
[292]Kaiser, G./Schöch, H., 1987. S. 40.
[293]Hirschi, T., 1969. S. 34.
[294]იგივე, გვ. 198.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია, რომ 1,2% ანკეტების პასუხი „არასწორად“ იქნა მიჩნეული და ამდენად ისინი არ შეიძლება საბოლოოდ კვლევით მასალაში განვიხილოთ. სამწუხაროდ გაუგებარია, რა კრიტერიუმებით იქნენ ისინი „არასწორად“ შეფასებულნი.

თუ მოვახდენთ იმ პირთა ერთად დათვლას, რომელთაც ანკეტები არასწორად ან არასრულად უპასუხეს, ასევე ისინიც, რომლებიც ანკეტურ გამოკითხვას არ ესწრებოდნენ ან 1965 წელს რეიხმონდის სკოლაში უკვე აღარ იყვნენ, ან მათი, რომელთა მშობლებმაც ანკეტურ გამოკითხვაზე უარი თქვეს, შეადგენს გამოკითხულთა თავდაპირველი საერთო რაოდენობის 26,5%-ს.

ეს კოეფიციენტი საკმაოდ მაღალია და მათმა გაუთვალისწინებლობამ შეიძლება საერთო კვლევის შედეგზე ერთგვარი გავლენაც კი მოახდინოს, რადგან ეს ჯგუფი (26,5%) შეიძლება უფრო მეტად კრიმინალური იყო, ვიდრე ის ჯგუფი (73,5 %), რომლებმაც სწორი და სრული პასუხი გასცეს.

ჰირშის თეორიის შეფასებისას, კვლევისადმი ეს კრიტიკული შენიშვნები ყოველთვის უნდა იყოს გასათვალისწინებელი.

აუცილებელია აგრეთვე ჰირშის მიერ ჩამოყალიბებული კონტროლის თეორია შემოწმდეს იმ კუთხით, თუ რამდენად შეესაბამება იგი სხვა კვლევებით მიღებულ ანალიზებს და შედეგებს.

ჰირშის აზრით, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები, არ არიან მზად მცირე მნიშვნელობის დანაშაულისთვის თავისი სტატუსი დაკარგონ.[295] გასათვალისწინებელია, რომ მაღალი სტატუსის მქონე ადამიანები, როგორც წესი, დიდი ფინანსური შესაძლებლობების მქონენი არიან. გარდა იმისა, რომ ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილები არიან და სავარაუდოდ, ანგარებით დანაშაულის ჩადენა აღარც კი ესაჭიროვებათ, როგორც მაღალი სტატუსის მქონე ადამიანებს უფრო მეტი ლეგალური საშუალებები გააჩნიათ მიზნის მისაღწევად, ვიდრე სოციალურად დაუცველ ადამიანებს. გარდა ამისა, მათი (მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამინების) პოლიციის მიერ ეჭვმიტანილად მიჩნევა მათი სტატუსიდან გამომდინარე უფრო ნაკლებად რეალისტურია, ასე რომ მათზე სახელმწიფო კონტროლიც უფრო სუსტია, ვიდრე სოციალურად დაუცველი ან საზოგადოებისაგან გარიყული ადამიანებისა (ნასამართლევი, ნარკომანი, ლოთი, უსახლკარო).

ორაზროვანია ჰირშის დებულება იმის თაობაზე, რომ თუ პირს საზოგადოების ლეგალური წესების სჯერა და ჩაბმულია ნორმალური მუშაობის რეჟიმში, ეს აფერხებს მის დანაშაულებრიობას.[296]

საზოგადოების ლეგალურ წესებისადმი ნდობა თითოეულ ადამიანზეა დამოკიდებული და იმის თქმა, თუ რომელ წესს სცემს ესა თუ ის ადამიანი პატივს და რომელს უარყოფს, ძნელი დასადგენია.[297] ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ის პირები, ვისაც სამუშაო აქვთ, ნაკლებად ჩადიან დანაშაულს, ვფიქრობთ, რომ ეს პირები თავიანთ მოთხოვნილებებს უფრო ლეგალურად იკმაყოფილებენ, ვიდრე უმუშევრები.

ჰირშის კონტროლის თეორიის თანახმად ნორმალური ადამიანებისათვის სხვა პირებთან (არაკრიმინალებთან) მჭიდრო ემოციური კავშირი (მაგალითად,

---

[295]Hirschi, T., 1969. S. 21.
[296]იგივე, გვ. 22.
[297]Kaiser, G., 1985. S. 252.

მშობლებთან) მათი გაკრიმინალების თვალსაზრისით ერთგვარ დაცვით საშუალებას წარმოადგენს.[298]

მაგრამ ჰირშის ეს მიგნება, რომ პირის დამნაშავეობის განვითარებისათვის გადამწყვეტია არა მჭიდრო ემოციური კავშირი, არამედ ის თუ როგორ განვითარდა ეს ემოციური კავშირი, ფრიად ცალსახაა. შვილებსა და მშობლებს ან საზოგადოებას შორის მჭიდრო ემოციური კავშირი თავისი კონვენციონალური ღირებულებებით მხოლოდ მაშინ წარმოიქმნება, თუ შვილებსა და მშობლებს შორის კავშირი კარგია და არასრულწლოვანს შესაბამისად კარგი გამოცდილება აქვს მიღებული.

თუ შვილებსა და მშობლებს შორის ურთიერთობა ცუდია, მაშინ შესაძლებელია, რომ შვილებმა მათი ღირებულებები არ აღიაროს და უარი თქვას მათთან ემოციურ კავშირზე.

შვილებსა და მშობლებს შორის მჭიდრო ემოციური კავშირი შეიძლება დამყარებულ იყოს ავტორიტარულ აღზრდით მეთოდებზე და შვილისათვის მშობლებთან ემოციური კავშირი ტაქტიკური თვალსაზრისით იყოს გამართლებული, რათა არ ჰქონდეს შვილს მშობლებთან კონფლიქტი. იგი მშობლებთან მჭიდრო კავშირს მხოლოდ გარეგანად თანხმდება (აჩვენებს), შინაგანად ეწინააღმდეგება მათ და ძალისმიერი აღზრდისაგან განთავისუფლების შემდეგ უჭირს გარეგანად ნაჩვენები არაკრიმინალური ქცევის განხორციელება.

ბანდურას აზრით, თუ გაცვლითი ემოციური კავშირი შვილებსა და მშობლებს შორის კარგია, მაშინ შვილები საკუთარი საქმიანობის, მეგობრების, აზრების შესახებ მშობლებს უფრო მეტ ინფორმაციას აძლევენ, ვიდრე ის შვილები, რომელთაც მშობლებთან ცუდი ურთიერთობა გააჩნიათ. ისინი საკუთარ თავში ჩაკეტილები არიან და საკუთარი საქმიანობის შესახებ მეგობრებთან ან დედმამიშვილებთან უფრო საუბრობენ, ვიდრე მშობლებთან.[299]

გასათვალისწინებელია აგრეთვე ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მშობლები კრიმინალები არიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კარგი ურთიერთობა აქვთ საკუთარ შვილებთან. ჰირშის აზრით, შეხედულება იმის თაობაზე, რომ დამნაშავე მშობლებთან შვილების ხშირი კავშირი მათ კრიმინალური საქციელისაკენ უბიძგებს, არ დადასტურდა.[300] დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მნიშვნელოვანია შვილებსა და მშობლებს შორის კარგი ურთიერთობა და არა მშობლის დამნაშავეობა ან არადამნაშავეობა.

ჰირშის აზრით, ის მოსწავლეები, რომელთაც ცუდი ემოციური კავშირი გააჩნიათ საკუთარ მშობლებთან, პატივს არ სცემენ მასწავლებლის შეხედულებებს და სკოლა არ უყვართ.[301] აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლე, რომელსაც კონფლიქტი და ცუდი ურთიერთობა აქვს სახლში მშობლებთან, სკოლაში მასწავლებლებთან მიმართებაშიც იგივე (ცუდი) ურთიერთობის მოლოდინშია. მით უფრო, რომ ხშირად მშობლების მიერ შვილის ძალდატანებით სკოლაში გაგზავნა მოსწავლეს ნეგატიურად განაწყობს მასწავლებლების მიმართაც.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ჰირშის „სოციალური კონტროლის თეორია“ დაფუძნებულია მოზარდზე მჭიდრო კონტროლის განხორციელებასა და მის ჩაბმაზე კონვენციონალურ აქტიურობებში.

---

[298] Hirschi, T., 1969. S. 83.
[299] Bandura, A., 1979. S. 66.
[300] Hirschi, T., 1969. S. 97.
[301]იქვე.

ჰირშის 4 ძირითადი ასპექტი („**Commitment'', „Attachment'', „Involvement'', „Belief")** მიდის ერთი მიმართულებით. კერძოდ, მოზარდის იდეალური ტიპის შექმნაზე, რომელიც მორგებულია მოზრდილთა ღირებულებებზე. ამგვარი ახალგაზრდა პირის სურათი ასე გამოიყურება: ის აცნობიერებს იმ ნეგატიური შედეგების დადგომის შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება მას მოუტანოს დანაშაულის ჩადენამ, ამ ახალგაზრდას ურთიერთობა ააქვს ისეთ პიროვნებებთან – უწინარესად უფროსებთან – რომლებიც დანაშაულებრივ ქმედებებთან არ არიან დაკავშირებული.

ჰირშის სოციალური კონტროლის თეორია გამყარებულ იქნა ემპირიული კვლევებით. ემპირიულმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ:

- იმის მიუხედავად, თუ რომელ სოციალურ ფენას მიეკუთვნება არასრულწლოვანი, რაც უფრო მჭიდროა მისი კავშირი მშობლებთან, მით უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ მან დანაშაული ჩაიდინოს;
- რაც უფრო ცუდია მოსწავლის სასკოლო შედეგები (ნიშნები) და რაც უფრო ნაკლებად სცემს მოსწავლე მასწავლებლის აზრს პატივს, მით უფრო იზრდება ალბათობა, რომ მოსწავლემ დანაშაული ჩაიდინოს;
- რაც უფრო ნაკლები დრო ექნება მოზარდს სოციალკონფორმული საქმიანობისათვის, მით უფრო იზრდება ალბათობა, რომ მან დანაშაული ჩაიდინოს;
- რაც უფრო ნაკლებ პატივს სცემს არასრულწლოვანი პოლიციას და იუსტიციის სისტემას ან რაც უფრო ამცირებს ჩადენილი დანაშაულის მნიშვნელობას, მით უფრო იზრდება ალბათობა, რომ იგი სამართლის ნორმებს დაარღვევს.

3.4.8.2. ნიეს კონტროლის თეორია

ჰირშის თეორიამდე ადრე, 1958 წელს, ნიემ განავითარა კონტროლის თეორია, რომლის თანახმად, დანაშაული გამოწვეულია სოციალური კონტროლის ნაკლებობით.

ნიემ თავისი კვლევისათვის შეარჩია სამი პატარა ქალაქი (10.000-დან 30.000-მდე მცხოვრები). კვლევის ძირითადი მონაცემები 1955 წელს შეგროვდა.

მე-9-ე - მე-12-ე კლასის მოსწავლეებს დაურიგდათ კითხვარი, რომელიც მათ ანონიმურად უნდა შეევსოთ და მოეთხროთ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ.

კითხვარების პასუხებთან შედარებისათვის სახელმწიფო ორგანოებიდან მიღებულ იქნა დოკუმენტაცია 18 წლამდე პირების მიერ ჩადენილი დანაშაულების შესახებ. გაანალიზებულ იქნა ასევე მოსწავლეთა ოჯახური ვითარება.[302]

3158 ანკეტიდან 32 ანკეტა გაუქმდა. ზოგიერთმა კი თავისი ანკეტა გააყალბა. ყველა დანარჩენი ანკეტა იყო სხვა და სხვაგვარი.

გამოკითხულ იქნა სამივე ქალაქის მე-9 - მე-12 კლაისის მოსწავლეთა 25%. ოჯახური ურთიერთობის შესახებ საკითხებს 788 მოსწავლემ უპასუხა, რომელთაგან 780 ანკეტის კვლევისათვის გამოყენება შეიძლებოდა. საკლასო ოთახის რიგების მიხედვით ოთხი სხვადასხვა ანკეტა იქნა მოსწავლეებისთვის დარიგებული.

იმ მოსწავლეების მშობლები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კვლევაში უფრო ახალგაზრდები იყვნენ, ვიდრე აშშ მოსახლეობის იგივე ნაწილი (სხვა სკოლის

[302] Nye, I., 1958. S. 11.

მოსწავლეების მშობლები). ამ მშობელთა შორის ცოტა იყო 65 წელს გადაცილებული, რითაც იგულისხმებოდა, რომ ამ მოსწავლეთა მშობლებს კარგი შემოსავალი ჰქონდათ.[303]

დანაშაულის ჩადენის „სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის" გამოსარიცხად, მამის პროფესიული საქმიანობა შედარებული იქნა მოზარდის დანაშაულთან.

რათა მოხდეს ნიეს კონცეფციის სხვა თეორიული კონცეფციებისაგან (ჰირშის თეორიისაგან) განსხვავება, ყურადღება მიექცევა მხოლოდ მისი თეორიის მნიშვნელოვან ასპექტებს.

თუ პიროვნება ეკუთვნის ჯგუფს, რომელიც ნორმებთან კონფლიქტშია, მაშინ ნიეს თანახმად, კონფლიქტი გათავისებულია და მას ინდივიდის პიროვნულ დეზორგანიზაციამდე მივყავართ.

ნიეს თანახმად, დანაშაულის სიმძიმე სხვადასხვა სახის ჯგუფებში დაკავშირებულია სოციალური კონტროლის დაკარგვასთან. ეჭვგარეშეა, რომ ზოგიერთმა მოზარდმა კრიმინალური ქმედება მშობლებისაგან, თანატოლებისაგან ან სხვა სახით ისწავლა, როგორც სხვები კონფორმულ (კანონმორჩილ) ქცევებს სწავლობენ, ამბობს ნიე.

ვინაიდან კრიმინალურ ქმედებებს კრიმინალური გარემო, გამოცდილება და პიროვნული შეხედულებები მეტწილად განაპირობებენ, ნიეს თანახმად, დანაშაულის ჩადენა მრავალმიზეზობრივია.

ნიეს სოციალური კონტროლის კონცეფცია დაყოფილია ქცევის 4 მაგალითად და მდგომარეობს შემდეგში:

ა) გარე პირდაპირი კონტროლი, შეზღუდვებით და ჯარიმით;

ბ) შინაგანი კონტროლი წარმოქმნილი პირის შეხედულებიდან (მორალი);

გ) არაპირდაპირი კონტროლი, მშობლებთან ან სხვა არაკრიმინალ პირებთან საკუთარი თავის იდენტიფიკაციის (გაიგივების) გზით (მიბაძვა კონფორმულ საქციელში);

დ) სხვა ალტერნატიული მოსაზრებების ხელმისაწვდომობა, მიზნების და ღირებულებების მისაღწევად.[304]

ნიეს თანახმად, შინაგანი კონტროლი ძალიან ეფექტურია. ამისთვის დამატებით ფაქტორს მშობელთა და შვილთა ურთიერთობა წარმოადგენს. ზოგიერთი მოზარდი მანამ არ სწავლობს მშობლისგან, სანამ პატივს არ სცემს მას.

არაპირდაპირი კონტროლი ფუნქციონირებს, მაშინ, როცა კარგი, ეფექტური ურთიერთობა არსებობს სხვა ადამიანებთან. მშობლების მიერ ბავშვის აღზრდა სხვადასხვანაირად მიმდინარეობს: ზოგიერთი ბავშვი ვითარდება და მშობლებში ხედავს გამოცდილ მეგობრებს, მეორენი მშობლებს უარყოფენ და ხდება განხეთქილება მშობელ-შვილის ურთიერთობაში.

ნიეს თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ჰირშმა, ასევე მანაც კვლევა აწარმოა ანკეტების დახმარებით. ანკეტებით გამოკვლევას, როგორც ჰირშთან, ასევე ნიესთან ადგილი ჰქონდა გარკვეულ სისუსტეებს. გამოკითხულ მოზარდებზე იყო პირადად დამოკიდებული, მათ სუბიექტურ შეხედულებაზე, თუ

[303]იგივე, გვ. 18.
[304]იგივე, გვ.5.

რომელ ქცევას მიიჩნევდნენ დანაშაულებრივად და რომელს არა. ის რაც ერთ კატეგორიას დანაშაულებრივად მიაჩნია, მეორე მას არადანაშაულებრივად თვლის და ამასთან, ის რაც ერთ არასრულწოვანს უნდა რომ გაიხსენოს, ან შეუძლია გაიხსენოს, მეორეს იგი ან არ სურს, ან არ შეუძლია გაიხსენოს.

3.4.9. ეკოლოგიური ანუ სოციალური დეზორგანიზაციის თეორია (ჩიკაგოს სკოლა)

კრიმინოლოგიის მეცნიერების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ჩიკაგოს სკოლის საქმიანობამ. ჩიკაგოს სკოლა ჩამოყალიბდა ჩიკაგოს უნივერსიტეტში პირველ და მეორე მსოფლიო ომებს შორის პერიოდში.[305] ჩიკაგოს სკოლას ასევე განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკის კრიმინოლოგიის განვითარების ისტორიაში. მისმა სოციოლოგიის დეპარტამენტმა ჩამოაყალიბა მეცნიერული კვლევის ახალი შტო, რომელიც პირდაპირ იყო დაფუძნებული გამოცდილებასა და დაკვირვებაზე. ამერიკული კრიმინოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი სახეები მოღვაწეობდნენ ჩიკაგოს სკოლაში,[306] სწავლობდნენ ჩიკაგოს ემიგრანტი უმცირესობების ცხოვრებას, მცირე და ორგანიზებულ დანაშაულს, რითაც ისინი ფაქტობრივად მთელი ქალაქის კრიმინალურ ცხოვრებას ეცნობოდნენ.

ჩიკაგო, რომელიც თავისი სიდიდით და პოპულაციით, ამ პერიოდისათვის აშშ-ის მეორე ქალაქი იყო და ინდუსტრიის და წარმოების სწრაფი განვითარებით ხასიათდებოდა, გააჩნდა მუშახელის ზრდის მოთხოვნილება. შესაბამისად, ჩიკაგოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი წარმოადგენდნენ აფრო-ამერიკელი წარმოშობის ემიგრანტებს, რომლებიც სამუშაოდ იყვნენ ჩიკაგოში ჩასულნი, ამან კი ქალაქში დანაშაულის სწრაფი ზრდა გამოიწვია, ხოლო დანაშაულის ზრდამ, თავის მხრივ, „ხელი შეუწყო“ კრიმინოლოგიის დარგის განვითარებას, რაც ჩიკაგოს სკოლის ჩამოყალიბებაში გამოიხატა.

ჩიკაგოში სოციალური პრობლემების შესწავლა ხშირად იწვევდა ტერმინ - „ეკოლოგიის“ ხმარებას. „ეკოლოგია“ წარმოადგენს ბიოლოგიურ მეტაფორას, რომელიც მიუთითებს ბუნებრივი დალაგების მნიშვნელოვნებისაკენ, ჯიშების ერთიმეორისგან გამიჯვნის გზით, რომელიმე კონკრეტულ სამყაროში. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სამყაროს წარმოადგენდა ქალაქი ჩიკაგო და „ეკოლოგიის“ მიზანი იყო დაკვირვებოდა, თუ როგორ ვითარდებოდა და იზრდებოდა ქალაქი. ჩიკაგოს სკოლის შესწავლის საგანი იყო ქალაქის არქიტექტურული განვითარება და დანაშაულობა.[307]

მიუხედავად იმისა, რომ ჩიკაგოს სკოლის გამოკვლევები ძირითადად დაფუძნებული იყო ექსპერიმენტებსა და სტატისტიკაზე, კრიმინოლოგების ამ ჯგუფმა დიდი და დეტალური ეთნოგრაფიული შრომაც გასწია. ამისათვის ისინი იყენებდნენ დაკვირვებებს, რათა ეწარმოებინათ ჩანაწერები ადამიანების ყოველდღიური ცხოვრების შესახებ.

ჩიკაგოს სკოლის გამოკვლევის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა ზონობრივი ჰიპოთეზა, რომელიც მოიცავდა იდეას, რომ ქალაქი ვითარდება კონკრეტული წრეების მეშვეობით, რომელთაგანაც თითოეული წარმოადგენს სოციალური და კულტუ-

---

[305] კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი)., 2004. გვ. 329.

[306] ჩიკაგოს სკოლაში მოღვაწეობდნენ: George H. Mead, William I. Thomas, Ernest W. Burgess, Robert E. Park, Herbert Blumer, Ellsworth Faris, Albion Small, Jane Addams, Edith Abbott und Marion Talbot, Henry D. McKay, Clifford R. Shaw und Frederic M. Trasher.

[307] Schwind, H-J., 2008. S. 139.

რული ცხოვრების ზონას. ამ ზონების ხასიათი ძირითადად გამოწვეულია მისი მაცხოვრებლების ხასიათით. ბურგესმა შექმნა ჩიკაგოს სოციალური რუკა.[308] მან დაასკვნა, რომ ქალაქი იზრდებოდა საზოგადოების კონკრეტული წრეების მეშვეობით. ბურგესის ვარაუდით, ცენტრი ამ წრეებისა არის ბიზნეს წრე ***(პირველი ზონა)***, ანუ ის ადგილი სადაც ცხოვრობს შედარებით ნაკლები ხალხი, თუმცა საკუთრების ფასი მაღალია. ***მეორე ზონა*** არის კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი ზონა. აქ ცხოვრობსის დროებითი მოსახლეობა, რომლებიც ღარიბები არიან და ცუდ პირობებში ცხოვრობენ. ამ ზონის გარდა, არის კიდევ სამი საცხოვრებელი ზონა, რომლებიც განასახიერებს პოპულაციის განვითარებას. ანუ მეორე ზონიდან ***მესამეში*** გადადის შედარებით ფეხზე მყარად მდგარი ნაწილი ღარიბი საზოგადოებისა ანუ მუშახელი. მესამედან ***მეოთხეში*** საშუალო შეძლების ადამიანები, ანუ საცხოვრებელი ზონა, ხოლო მეოთხიდან ***მეხუთეში*** კი, უკვე შედარებით მდიდარი ადამიანები და ეს წარმოადგენდა ქალაქის გარე უბნებს, სადაც მდიდრები ცხოვრობდნენ.

მეორე ზონა წარმოადგენდა სოციალური პრობლემების კერას: იქ იყო დანაშაული, პროსტიტუცია, ამორალური ცხოვრება, ცუდი ჯანმრთელობის პრობლემები და სიღარიბე. ჩიკაგოს სკოლის კრიმინოლოგების აზრით, ასეთი პრობლემები იწვევდა ამ საზოგადოების არაორგანიზებულობას და კანონისადმი უპატივცემულობას (მათ შორის დანაშაულს). მათ დაადგინეს, რომ ქალაქის გარკვეულ ნაწილებში კრიმინალის მაღალ ოდენობას ასევე იწვევდა: უცხო, აფრიკული წარმოშობის ოჯახების დიდი მაჩვენებელი; უმუშევრობა და საკუთრების ქონის დაბალი პროცენტიული მაჩვენებელი.

დანაშაულის სტატისტიკური რაოდენობა პირველიდან მეხუთე ზონას შორის კლებულობდა.[309]

ჩიკაგოს სკოლის მონაცემებზე დაყრდნობით 1938 წელს სელინის მიერ შემუშავებულ იქნა კულტურული კონფლიქტის თეორია, რომლის მიხედვით, დანაშაულს იწვევს ორი სხვადასხვა ხასიათის ნორმის, ადათ-წესების და ღირებულებების (კულტურის) ერთმანეთთან შეჯახება.[310]

ქალაქის კომუნალურ-სოციალური დეზორგანიზაცია (ჩიკაგოს სკოლის ეკოლოგიურ თეორია ცნობილია, ასევე სოციალური დეზორგანიზაციის თეორიის სახელწოდებით)[311] იწვევს „Broken-Windows"- თეორიაში აღწერილ მდგომარეობას და ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკის სტრატეგიას.[312]

სოციალური დეზორგანიზაციის თეორიის კრიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ კვლევები ეყრდნობა მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკას, რომელიც იმდროინდელი მეთოდებით იქნა მოპოვებული და არ არსებობს ლატენტური დანაშაულის გამოკვლევა, რომელიც ოფიციალურ სტატისტიკას გაამყარებდა.[313]

გასული საუკუნის 80-იან წლებში ინგლისსა და უელსში ჩატარებულმა ლატენტური დანაშაულის შესახებ კვლევებმა დაადასტურეს სოციალური დეზორგანიზაციის როლი დანაშაულის ჩადენაში, რითაც გააქარწყლეს ამ

---

[308]იგივე, გვ. 141.
[309]იქვე.
[310]Kaiser, G., 1996. S. 676.
[311]Meier, B-D., 2007. S. 52.
[312]Schwind, H-J., 2008. S. 141.
[313]Schneider, H.J., 2001. S. 46.

თეორიისადმი კრიტიკა და იგი (თეორია) ზოგად გამოყენებადად აქციეს (სოციალურ დეზორგანიზაციას, ისევე აქვს გავლენა ინგლისსა და უელსში როგორც აშშ-ში).[314]

3.4.10. რამდენიმე ფაქტორთა შეხედულება

კრიმინოლოგიური თეორიის სისუსტე არის დანაშაულის ახსნის მცდელობის არადამაკმაყოფილებელი ერთმხრივობა, რომელიც კრიმინალური მოქმედების სახის მრავალმხრიობას არ აკმაყოფილებს. შესაბამისად, აუცილებელი გახდა დანაშაულის ჩადენის მიზეზების შესახებ საკითხი გააზრებულ იქნას რამდენიმე ფაქტორთა ერთობლიობით.[315] რამდენიმე ფაქტორის კონცეფცია მოიცავს დამნაშავეზე როგორც გარემოს სხვადასხვა სახის ზეგავლენას, ასევე მის სპეციალურ პიროვნულ ნიშნებს.[316] მაშასადამე, კონცეფცია ეფუძნება ვარაუდს, რომ არსებობს დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა მიზეზი. მეთოდი, რომელსაც ვირჩევთ, ვოლფგანგის და ფერაკუტის ფორმულირებით მდგომარეობს შემდეგში: ხელმისაწვდომი წყაროებიდან მრავალმხრივი [ყველა] ფაქტის შეკრებაში, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ ჯდებიან ეს მონაცემები ერთ თეორიულ ჩარჩოში. ფაქტიურად ეს მეთოდი მონაცემებს ისე აგროვებს, როგორც შესაძლებელია, რათა შემდგომში ინდუქციური[317] დასკვნებიდან შეგროვილი ინფორმაცია საბოლოო ანალიზისათვის (დასკვნისათვის) გამოიყენოს.[318]

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ ერთ რომელიმე ფაქტორს ადამიანის დამნაშავედ გახდომა არ შეუძლია. არასრულწლოვნებს, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, არ ჰქონდათ ერთი ან ორი პრობლემა, რამაც მათ მიერ დანაშაულის ჩადენა გამოიწვია, არამედ მათ გააჩნდათ შვიდი ან რვა მძიმე ხასიათის უარყოფითი ფაქტორები. შესაძლებელია ერთ ან ორ პრობლემას მოზარდი გაუმკლავდეს და დამნაშავე არ გახდეს, მაგ. მშობლების გაყრა, სიღარიბე. მაგრამ თუ მოზარდს უმუშევარი მამა ჰყავს, რომელიც ხშირად სვამს, დედა, რომელიც გონებრივად ჩამორჩენილია, მშობლები, რომლებიც მოზარდს სკოლიდან გამოიყვანენ და ფაბრიკაში გააგზავნიან სამუშაოდ, სამეზობლო ან/და სამეგობრო, რომელსაც ცუდი გავლენა შეუძლია მოახდინოს მოზარდზე, მაშინ თითოეული ფაქტორი მოზარდს დამნაშავედ ჩამოყალიბებაში შეუწყობს ხელს,[319] ანუ შესაძლებელია ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა ცალცალკე პირის დამნაშავეობა არ გამოიწვიოს, მაგრამ მათი ერთობლიობა საკმარისია დანაშაულის ჩასადენად.

კლასიკური კვლევები, რომლებიც რამდენიმე ფაქტორის კონცეფციას გაამყარებდნენ ბევრი იქნა ჩატარებული. მაგალითად, იურისტმა შელდონ გლიუკმა და პედაგოგმა ელეანორ გლიუკმა (Glueck) 1939 და 1948 წლებს შორის გრძელვადიან კვლევებში (Längsschnittuntersuchung) მიზნად დაისახეს პროგნოზისათვის გამოსადეგი (გამოსაყენებელი) ფაქტორების მოძიება. გლიუკებმა თავიანთ ყველაზე ცნობილ კვლევაში („Unraveling Juvenile delinquency“, 1950) გამოიკვლიეს

---

[314]იგივე, გვ. 48.
[315]Schwind, H.-D., 2007. S. 152.
[316]იქვე.
[317]ინდუქციური მეთოდი გულისხმობს ცალკეული (ერთეული) ფაქტორებიდან ზოგადი დასკვნების გაკეთებას.
[318]Schwind, H.-D., 2007. S. 152.
[319]Cohen, A.K., 1968. S. 219.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი 11-17 წლის მამრობითი სქესის 500 განმეორებითი დანაშაულისათვის ნასამართლევი არასრულწლოვანი და არანასამართლევი ახალგაზრდების იგივე რაოდენობის საკონტროლო ჯგუფი და მიაკვლიეს თავდაპირველად 402 ფაქტორს, რომლებიც მათ სამამდე შეამცირეს. ავტორების აზრით, ამ ფაქტორების საფუძველზეც მამრობითი სქესის ბავშვების მომავალი სოციალური ქცევის წესის შესახებ პროგნოზი შესაძლებელი უნდა იყოს. ეს სამი ფაქტორია: 1) ბიჭებზე მეთვალყურეობა დედის მხრიდან; 2) სიმკაცრე, რომელსაც დედები იჩენენ ბიჭების მიმართ აღზრდის დროს, და 3) ოჯახის წევრებს შორის მჭიდრო კავშირი.[320]

საინტერესოა ასევე ვესტის კვლევა, რომელმაც თავის ცნობილ სავარაუდო კოჰორტულ[321] გამოკვლევაში ნაწილობრივ მსგავსი ფაქტორები დაადგინა, რომელთაც მოზარდის ქცევის პროგნოზი შეეძლებოდათ, კერძოდ: ოჯახის დაბალი შემოსავალი, დიდი ოჯახი, არასაკმარისი აღზრდა მშობლების მხრიდან (მაგ. არასაკმირისი მეთვალყურეობა ან აღზრდის მეთოდების ცვალებადობა), ბავშვის დაბალი ინტელექტი და ერთ-ერთი მშობლის ნასამართლობა.[322]

მნიშვნელოვანია ასევე გერმანიაში ჩატარებული კვლევა რამდენიმე ფაქტორის თაობაზე. სტელის და თომასის მიერ გამოკვლეულ იქნა თვალში არასაცემი და თვალში საცემი ახალგაზრდების საქციელი, რომელსაც შემდეგი სამი ფაქტორი განაპირობებდა: 1) ოჯახთან ემოციური კავშირი; 2) მშობელთა აღზრდის სტილი და 3) მონიტორინგი, რომლის ქვეშაც იგულისხმება კონტროლი, რომელიც მოიცავს: „თანხლებას“, „დაკვირვებას“, „მართვას“, „მოდერირებას“, ასევე სხვაგვარი ქცევის „გამხნევებას“.[323]

კრიტიკის თვალსაზრისით, რამდენიმე ფაქტორთა კონცეფცია გაკრიტიკებულია, ვინაიდან არაზუსტია მონაცემთა შეგროვების მეთოდი. კერძოდ, კურცინგერის აზრით,[324] შემთხვევითი კორელაციები, ისევე განიხილება როგორც ისინი, რომლებიც ზუსტად ფორმულირებული ჰიპოთეზების საფუძველზეა განხორციელებული. ასეთი მეთოდური მოქმედების წესის დროს არსებობს საშიშროება, გამოუყენებელი მონაცემები ისე იქნეს დალაგებული, რომ მნიშვნელობის არმქონე შედეგები გააფართოვოს. ე.წ. „მონაცემების სამარხის“ საშიშროება მდგომარეობს იმაში, რომ ის მონაცემები იქნება შეგროვილი და გამოყენებული, რომლებიც სულაც არ არის საჭირო და გამოყენებადი.

პრობლემატურია, მაშასადამე, დანაშაულებრიობის პოტენციური ფაქტორების გააზრება და მათი, როგორც მიზეზის ან ზემოქმედების იდენტიფიცირება. კონცეფციისთვის რელატიური თეორიის არქონა (ჰიპოტეზების არარსებობა) არის ასევე მისი ერთ-ერთი მინუსი. კრიმინოლოგ შნაიდერის აზრით, რამდენიმე ფაქტორთა კონცეფცია ცდილობს დანაშაულის გამოვლინება და მიზეზების კომპლექსურობა მარტივ საბუნებისმეტყველო მიზეზამდე, ზემოქმედების

---

[320]Glueck, S./ Glueck, E., 1963. S. 195.

[321]კოჰორტული (Kohorte) არის დაბადების წლების მიხედვით შექმნილი ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გარკვეული ქცევის, ავადმყოფობის ან მოვლენების შესახებ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კვლევის, დაკვირვების ობიექტია.

[322]West, D.J., 1988. S. 21.

[323]Stelly, W./ Thomas, J., 2001.

[324]Kürzinger, J., 1982. S. 89.

მექანიზმამდე შეამციროს.[325] მაგრამ სწორხაზოვანი მიზეზეზობრივი ზემოქმედებითი კავშირის შექმნა ვერ მიიღწევა, რადგან ეს დამოკიდებულია უფრო მეტად ფაქტორთა (სტრუქტურებს) შორის ურთიერთობასა და ფაქტორთა (დინამიკის) ურთიერთქმედებაზე.[326]

3.4.11. კულტურის კონფლიქტის თეორია

ტორსტენ სელინის მიხედვით, კულტურის კონფლიქტს წარმოშობს კულტურულ ღირებულებათა შეუთავსებლობა, რომელიც ნეგატიურ სოციალურ თავისებურებებში ვლინდება (მაგ. დანაშაული, უბედური შემთხვევები, ავადმყოფობა).

კულტურის ცნება ქმნის ერთობლიობას, რომელშიც გაერთიანებულია საერთო ღირებულებები, იდეები, მორალური წარმოსახვები, ისევე როგორც რელიგიური მიმდინარეობები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა. კულტურის აღმოცენა შესაძლებელია აგრეთვე ერის გამოვლინებაში, რომელშიც იგულისხმება მუსიკა, პოეზია, არქიტექტურა და სხვა.[327] კულტურის კონფლიქტის თეორიის მიხედვით, ნომებთან კონფლიქტი ძირითადად უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს ექმნებათ, ვინაიდან ისინი ადგილობრივი მასპინძელი ქვეყნის კულტურულ, სოციალურ, ქცევით ნორმებს არ იცნობენ. ასეთი ნორმები შეიძლება იყოს, მაგ.: წარმოდგენები მორალზე, ღირსებაზე, სისხლის აღებაზე, რელიგიაზე, კონფლიქტის მოგვარების ხერხებზე და სხვა.[328]

ის ადამიანები, რომლებიც უცხო ქვეყანაში ცხოვრობენ, მაგრამ ინტეგრირებულნი არ არიან ამ ქვეყნის კულტურაში, თავს ორიენტაცია დაკარგულად გრძნობენ. ისინი ხშირად სამშობლოს გარეშე არიან დარჩენილები, რაც მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას უფრო ართულებს (პოლიტიკური დევნილობის შემთხვევაში). კულტურული კონფლიქტიც წარმოიშვება სწორედ იმის გამო, რომ დაბადების სამშობლოში მიღებული და აღიარებული სოციალური და კულტურული ნორმები ეწინააღმდეგებიან უცხო ქვეყნის ნორმებს.

ზრდასრული ადამიანისათვის სხვა, უცხო ქვეყნის ნორმების აღიარება და ინტეგრაცია სტრესთან არის დაკავშირებული და დიდ მოთმინებას და შრომას მოითხოვს. გარდა ამისა, უცხო კულტურასთან ინდივიდის ინტეგრაცია მით უფრო პრობლემურია, რაც უფრო უცხოა მისთვის ეს კულტურა.

კულტურის კონფლიქტის თეორიით შეიძლება აიხსნას საქართველოს მოქალაქეების მიერ უცხო ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულები. ენის არასაკმარისი ცოდნის გამო უცხო გარემოში ინტეგრაციის სიძნელე ხშირად იწვევს ქართველ მიგრანტებშიც ადგილობრივი კულტურისადმი დაპირისპირებას და დანაშაულს.

კულტურული სხვადასხვაობა თავს იჩენს ნებისმიერი ქვეყნის შიგნით ეთნიკურ ჯგუფებს შორის. კულტურული სვადასხვაობა: მორალური კატეგორიები, ადათწესები, შეხედულებები და დამოკიდებულებები ცალკეული საკითხების მიმართ მთელი რიგი ასპექტებით განსხვავდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ქალაქში, რაიონში. ადამიანის საზოგადოებაში ინტეგრაციას ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს ის კულტურული გარემო, რომელშიც ის აღმოჩნდება. ნებისმიერი

---

[325]Schneider, H.J., 1973, S. 576.
[326]Schwind, H.-D., 2007. S. 154.
[327]Bierbrauer, G., 2002, S. 268-269
[328]Schwind, H-D., 2007. S. 137.

საზოგადოება, მისი ტერიტორიული პრინციპით დაყოფის გათვალისწინებით, ცხოვრობს და ვითარდება იმ კულტურული, ეთნიკური ნორმებისა და ადათ–წესების შესაბამისად, რომელშიც მას უწვეს ცხოვრება. შესაბამისად, გარკვეული კულტურის, ადათ-ჩვევების მქონე საზოგადოებაში მოხვედრილი უცხო სუბიექტი გაივლის ადაპტირების ურთულეს გზას, რაც ხშირ შემთხვევაში არც თუ ისე უმტკივნეულოა და დაკავშირებულია მთელ რიგ სირთულეებთან.

სელინის მიხედვით, ამგვარი სიძნელეების გამძაფრება ხდება ადამიანებში, როცა მათ გააჩნიათ შეგრძნება, რომ არ აქვთ სამშობლო, გააჩნიათ ორიენტაციის პრობლემები, და ამას ემატება არათანასწორუნარიანობა, რაც შესაძლებელია ფრუსტრაციაში გადაიზარდოს.[329]

კულტურის კონფლიქტი საინტერესოა ასევე იმითაც, რომ იგი შეიძლება სწორედ ერთი ქვეყნის კულტურული ჯგუფის შიგნითაც განვითარდეს, რომლის გამოვლინებაც იქნება ანომიური მდგომარეობა, ორიენტაცია დაკარგულობა, რაც კულტურის კონფლიქტამდე მიიყვანს პიროვნებას.[330] ამ მხრივ, საინტერესო იქნებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დანაშაულების ემპირიული კვლევა, ანუ ხომ არ არის კულტურული კონფლიქტით გამოწვეული დევნილთა მიერ ნორმების დარღვევა.

ის ახალგაზრდები, რომლებიც უცხოელების ოჯახებში იბადებიან და მათ ოჯახებს ადგილობრივ კულტურასთან ინტეგრაციის პრობლემა გააჩნიათ, დამტვრეული, დანგრეული იდენტიტეტის მატარებლები არიან. ისინი საკუთარი ოჯახის წარმოშობის ქვეყანაში არიან უცხონი, რადგან კარგად და სრულად არ იცნობენ იქაურ ადათ-წესებს და დაბადების ქვეყანაში ადგილობრივი მკვიდრების მიერ უცხოელებად არიან ეტიკეტირებულნი. საზოგადოებისაგან გარიყული ასეთი ჯგუფები ხშირად ხდება ამავე საზოგადოების პრობლემა როგორც ინტეგრაციის, ასევე დანაშაულის პრევენციის თვალსაზრისით.[331]

კულტურის კონფლიქტის თეორიის კრიტიკა მდგომარეობს შემდეგში:

1) უცხოელთა მხოლოდ ერთი პატარა ნაწილი ხდება დამნაშავე. მათი დიდი ნაწილი ემიგრაციის პირველ ეტაპზე ადგილობრივ კულტურასთან შეუგუებლობის მიუხედავად დანაშაულს არ ჩადის;

2) კულტურათა დიდი ნაწილისათვის უსამართლობის ნორმა ერთი და იგივეა (მაგ. მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა ყველა კულტურისათვის უღირსი და შეუფერებელი ქმედებაა),[332] შესაბამისად, შეუძლებელია კულტურის კონფლიქტის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულის სისხლისსამართლებრივ შეცდომად აღქმა.[333]

3.4.12. ღირებულებები და დანაშაული

ღირებულებები არის ის მყარი კრიტერიუმები, რომლებიც ადამიანებს ეხმარება კეთილისა და ბოროტის, კარგის და ცუდის გარჩევაში.[334] ღირებულებები ის (ხშირად

---

[329]Schwind, H-D., 2007. S. 137.
[330]Kaiser, G. 1996. S. 677.
[331]იგივე, გვ.676.
[332]Schwind, H-D., 2007. S. 138.
[333]Kaiser, G. 1996. S. 678.
[334]კალჰუნი, ქ./ლაითი, დ./კელერი, ს., 2007. გვ. 148.

გაუცნობიერებელი) სტანდარტებია, ფუნდამენტია, საიდანაც ყოველდღიური ქმედებები (მათ შორის დანაშაულებრივი), გადაწყვეტილებები და მიზნები აღმოცენდებიან.[335] კულტურული ღირებულებები არ არის უცვლელი და მათ ფორმირებაში დიდი როლი გააჩნია რელიგიას.[336] საგანმანათლებლო სკოლების დანერგვამ სხვა არაფერი მოიტანა, თუ არა დომინანტი საზოგადოების ღირებულებების გავრცელება, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს კიდეც კულტურის ტრადიციულ ღირებულებებს.[337]

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლისას სხვა საკითხებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დამნაშავის ღირებულებების შესწავლას ეთმობა. ამერიკელისათვის მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს კონკურენტულობა და წარმატებულობა.[338]

იმის მიუხედავად, რომ აშშ კაპიტალისტური სახელმწიფოა არც კონკურენტულობა და არც წარმატებულობა პირდაპირ კავშირში არ არის პიროვნების ფინანსურ მდგომარეობასთან, თუმცა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მაინც დიდია ეკონომიკური და ფინანსური ასპექტი – დრო ფულია. კონკურენტულობა გულისხმობს ცოდნით, პროფესიონალიზმით და შრომისმოყვარეობით კონკურენტებისათვის „წინააღმდეგობის გაწევას“. შესაძლებელია ადამიანს ჰქონდეს დიდი ფული, მაგრამ მან კონკურენცია ვერ გაუწიოს მაგალითად, მუსიკის სფეროში მოღვაწე ადამიანებს, ვერ გახდეს კონკურენტუნარიანი და შესაბამისად, ვერ გახდეს წარმატებული. წარმატებულობა, პირველ რიგში, გულისხმობს საკუთარი თავის რეალიზაციას და იმ საქმის სიყვარულს, რომელსაც ადამიანი ემსახურება. წარმატებულობის აუცილებელი წინაპირობაა შრომისმოყვარეობა და გრძელვადიანი დასაქმების პერსპექტივა,[339] რაც ასევე, თავის მხრივ, პიროვნების კონკურენტუნარიანობასთან არის დაკავშირებული.

ქვეყნებს სხვადასხვა ღირებულებები გააჩნიათ,[340] თუმცა საინტერესოა, რა ფასეულობების მატარებელია ქართული საზოგადოება, ან რა ფასეულობების მატარებელი არ არის ის (ქართული საზოგადოება), რაც ხელს უწყობს დანაშაულის წარმოქმნას.

3.4.12.1. „Homo Sowjeticus“

იური ლევადამ 1989-91 წლებში გამოკითხა 2 700 საბჭოთა კავშირში მცხოვრები თითქმის ყველა ეროვნების მოქალაქე. კითხვარი შედგებოდა 100 კითხვისაგან.

ლევადა საბჭოთა სისტემის მიერ შექმნილ „Homo Sowjeticus“ ახასიათებს ოთხი ძირითადი ნიშნით:

1. მისთვის შთაგონებული და მისგან აღიარებული წარმოდგენა მისი ერთადერთობის შესახებ;

---

[335]Göppinger, H., 2008. S. 223.
[336]ემბერი, ქ. /ემბერი, მ./ პერეგრინი, პ., 2009. გვ. 404, 413.
[337]იგივე, გვ. 443.
[338]კალჰუნი, ქ./ლაითი, დ./კელერი, ს., 2007. გვ. 148; ემბერი, ქ. /ემბერი, მ./ პერეგრინი, პ., 2009. გვ. 459.
[339]შეად.: შვაბე, იურ., 2011. გვ. 316.
[340]ემბერი, ქ. /ემბერი, მ./ პერეგრინი, პ., 2009. გვ. 459.

2. მისი „შვილ-მამობრივი“ ორიენტაცია სახელმწიფოსადმი;[341]

3. მისი მიდრეკილება იერარქიულობისადმი;

4. მისი იმპერიული ხასიათი.[342]

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ლევადას მიერ ჩამოთვლილი ეს ოთხივე ხასიათი, უნდა შევეხოთ მის მიერ ჩამოყალიბებულ საბჭოთა ადამიანის სამ თაობას: 30-იანელები, 50-იანელები და 70-იანელები. 30-იანების თაობა არის საბჭოთა პატრიოტი ადამიანი, რომელმაც 50-იან წლებში თანამდებობრივ პოსტებს მიაღწია. 50-იანების თაობამ განიცადა სახელმწიფო დაპირებებისაგან იმედგაცრუება. ისინი გადაუჭრელი ეკონონიური (პირველადი მოხმარების საგნების ნაკლებობა) და პოლიტიკური (კორუფცია) პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, ხოლო 70-იანების თაობა მოწმე გახდა მკვეთრი გარდაქმნითი ღონისძიებებისა, რაც სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ კონფლიქტებს იწვევდა.

ლევადა თვლის, რომ ერთი თაობის მიერ მიღებული ცოდნა და გამოცდილება, მეორე თაობას ვერ გამოადგა და თითოეულს ახალ პოლიტიკურ, ეკონომიურ და სოციალურ პირობებთან შეგუება მოუხდა.[343]

ლევადას აზრით საბჭოთა სისტემამ შექმნა ფრუსტრირებული, გაორებული, ადვილად მართვადი და მორჩილი ადამიანის ფენომენი, რომელსაც ორიენტაცია აქვს დაკარგული და ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისი თავის დამკვიდრება უჭირს. მას იმის ძალაც კი არ შესწევს, რომ რაიმე იღონოს საკუთარი მდგომარეობის გამოსასწორებლად.[344]

3.4.12.2. „Homo Sowjeticus“-ი დღეს

2005 წელს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. გამოკითხულ იქნა 12-17 წლამდე ასაკის 1374 მოზარდი, როგორც ქალაქის, ასევე რაიონის მცხოვრები. კვლევაში მონაწილეობდნენ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოზარდებიც.

მოზარდის ქცევითი პრობლემების სპექტრის შეფასება განხორციელდა სოციალურ-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ნეიროფსიქოლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით.

როგორც კვლევა ადასტურებს, მოზარდებს აღენიშნებათ ორიენტაციისა და ფასეულობათა სისტემის პრობლემები, კერძოდ: „მოზარდებში თავიანთი პრიორიტეტებისა და არაპრიორიტეტების შესაბამისად, გამოიკვეთა სწრაფვა ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც დატოვებს განათლებული ადამიანის

---

[341]იგულისხმება, არა მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის ურთიერთთანამშრომლობის დამოკიდებულება, როგორც ეს მიღებულია, არამედ საბჭოთა ადამიანის ორიენტაცია სახელმწიფო იყოს მისი „მამა“, უფროსი, მმართველი.

[342]Levada, J., 1992. S. 16.

[343]„... შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდამ დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა. შვილს უნდა გამორკვეული ჰქონდეს, რაში იყო მართალი და კარგი მისი მამა, რაში იყო შემცდარი, რა ავი მიიჩნია კეთილად, და რა კეთილი - ავად, რა უმართავდა ხელს, რა აბრკოლებდა, რისთვის ირჯებოდა და მხნეობდა, და რისთვის და რაში უქმობდა. უამისოდ თვითონ შვილი, რაც გინდა მხნე და გამრჯელი იყოს, უხორთუმო სპილოს ეგვანება, დავით გურამიშვილისა არ იყოს, და ამ წუთისოფელში ვერას გახდება" (ილია ჭავჭავაძე)

[344]Levada, J., 1992. S. 31. მსგავსი მოსაზრება საბჭოთა ადამიანის შესახებ გააჩნია აგრეთვე იუნგს. იხ.: Jung, L., 1987. S. 51.

შთაბეჭდილებას, იქნება დახვეწილი, ზრდილობიანი, ჯანმრთელი, ამავდროულად მას შეიძლება არ ჰქონდეს არც მაღალი შემეცნებითი აქტივობა, არც რაციონალურობა, მისთვის არცთუ ისე მნიშვნელოვანია სიხალისე, სიამოვნება, მაგრამ, სამაგიეროდ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მეგობრები და სიყვარული".[345]

3.4.12.3. დასკვნა

ზემოაღნიშნული კვლევების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლიაგამოვყოთ ის ღირებულებები, რაც ჩვენს საზოგადოებას ნაკლებად გააჩნია. ესენია: კონკურენტუნარიანობა, შრომისმოყვარეობა და სიამოვნება. სამივე ეს ფასეულობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. პიროვნება ვერ იქნება კონკურენტუნარიანი, თუ არ სიამოვნებს საკუთარი საქმიანობა და არ არის შრომისმოყვარე. ინდივიდის პროფესიულ საქმიანობაზეა დამოკიდებული მისი ფასი, ღირებულება საზოგადოებაში.[346]

სამწუხაროდ, არც დღეს და არც ადრე არ ხდებოდა შრომის პროპაგანდა საზოგადოებაში, რამაც მიგვიყვანა სწორედ იმ დამოკიდებულებამდე, რაც 2005 წელს ახალგაზრდების გამოკითხვამ დაადასტურა: ცრუსაქმიანობა, ცრუაქტიურობა, თვითკმაყოფილება, უნაყოფობა[347] [დატოვებს განათლებული ადამიანის შთაბეჭდილებას, მას შეიძლება არ ჰქონდეს არც მაღალი შემეცნებითი აქტივობა და არც რაციონალობა]. „შრომით გამდიდრებული კაცი ქართულ მწერლობას არ დაუხატავს. თუ ვინმე მდიდარია ქართულ მწერლობაში დახატული, ქონება აუცილებლად ავაზაკობით აქვს შეძენილი... ეს გულგატეხილობას ნერგავს – შრომით სიმდიდრეს ვერ შეიძენ და სულ მათხოვარი იქნები. ქართული მწერლობა არ იცნობს ისეთ ტიპს, როგორიც, ვთქვათ, დავით სარაჯიშვილი, ანდა ზუბალაშვილების ოჯახი."[348]

ზემოაღიშნული იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ ეკონომიკური დანაშაულის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზს შეიძლება საზოგადოებაში დამკვიდრებული ისეთი ღირებულებები წარმოადგენდნენ, როგორიცაა: კონკურენტუნარიანობის გრძნობის არქონა, შრომისმოყვარეობის ნაკლებობა და საკეთებელი საქმის სიყვარულის, სიამოვნების არქონა. ამ ფასეულობების არქონა იწვევს ისეთ მდგომარეობაში ყოფნას (სოციალური გაჭირვება), რომლისგანაც თავის დაღწევის ერთ-ერთ საშუალებად ადამიანი ეკონომიკური ხასიათის დანაშაულის ჩადენას მიიჩნევს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს შორის არის საზოგადოებაში გავრცელებული ღირებულება (დამოკიდებულება) აგრესიისადმი, რომელიც კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ გამართლებულ საშუალებად აგრესიას გულისხმობს.[349]

---

[345]გეგელაშვილი მ./ჯალიაშვილი თ., 2005, გვ. 20.
[346]შვაბე, იურ., 2011. გვ. 316.
[347]სამწუხაროა, მაგრამ ნათელია, რომ ჩამოთვლილი ფასეულობები „თათქარიძეობის" დამახასიათებელი ნიშნებია. შეად.: ბაქრაძე, აკ., 2006. გვ. 118.
[348]ბაქრაძე, აკ., 2013. გვ. 97.
[349]შეად.: შალიკაშვილი, მ., 2012. გვ. 37.

თავი მეოთხე

ორგანიზებული დანაშაული

4.1. ორგანიზებული დანაშაულის ცნება

ფრიდრიხ ნიცშე თავის მორალის გენეოლოგიაში ამბობს: „მხოლოდ ისეთი არსებების შესახებ შეიძლება ცნების ჩამოყალიბება, რომელთაც ისტორია არ გააჩნიათ“.[350] ნიცშეს ეს სიტყვები სრულად ასახავს იმ რთულ მდგომარეობას, რომელიც კრიმინოლოგიაში არსებობს ორგანიზებული დანაშაულის ცნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ორგანიზებული დანაშაული, რომელსაც (სულ ცოტა) ორი საუკუნის ისტორია გააჩნია, რამდენიმე ათწლეულია მეცნიერების კვლევის ობიექტს წარმოადგენს.

ორგანიზებული დანაშაულის კვლევის სირთულის პირველი ნიშანია მისი ცნების ჩამოყალიბების პრობლემატიკა.[351] ორგანიზებული დანაშაულის ცნების ჩამოყალიბების სირთულე მდგომარეობს მისი გამოვლინების მრავალფეროვნებაში.[352]

ერთიანი ცნების ჩამოყალიბება აუცილებლობასთან არის დაკავშირებული, რადგან:

1. სხვადასხვა რეგიონის და სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის ადვილი გასაგები გახდეს, თუ რა არის ორგანიზებული დანაშაული;
2. მოხდეს ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის, როგორც ნაციონალურ ისე ტრანსნაციონალურ დონეზე, სათანადო მოპოვება და დამაგრება.

სიტყვა „ორგანიზება“ წარმოიშვა ბერძნული “organon“, რაც ინსტრუმენტს, იარაღს ნიშნავს და ფრანგული „organiser“ – „მოწესრიგება, დაგეგმვა, გაერთიანება“.[353]

ცნება „ორგანიზებული დანაშაული“ 1919 წელს აშშ-ში, ჩიკაგოში, იქნა პირველად გამოყენებული.[354] ორგანიზებული დანაშაულის (ცნების) გავრცელება-გაძლიერებას ხელი შეუწყო „მშრალმა კანონმა“ აშშ-ში, რომელიც კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების წარმოებასა და გაყიდვას 1920-1933 წლებში, რამაც გამოიწვია მისი (ალკოჰოლური სასმელის) არალეგალური წარმოება, კონტრაბანდა, ფალსიფიცირებული სასმელის გაყიდვა,[355] ანუ ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობები, რომლებიც დანაშაულებრივი ჯგუფისაგან კარგ ორგანიზებას მოითხოვდა. ორგანიზებულმა დანაშაულმა ათწლეულების განმავლობაში თავისი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობით ისე „გამოიჩინა“ თავი, რომ 20-ე საუკუნის დასასრულს მის წინააღმდეგ ბრძოლა მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან ამოცანად იქცა.

---

[350]Nietzsche, F., 1999. S. 317.
[351]Schwind, H-D., 2008. S. 613.
[352]იქვე.
[353]გორაშვილი, გ., 2007. გვ. 21.
[354]Lampe, K. von, 2001. S. 465.
[355]შუშანაშვილი, ა., 2000. გვ. 190.

გერმანიის ბუნდესტაგის მიერ 1992 წელს ორგანიზებულ დანაშაულთან არსებულ პრაქტიკაზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნა ორგანიზებული დანაშაულის ცნება. ამ ცნების მიხედვით, ორგანიზებული დანაშაული არის მოგების ან ძალაუფლების მიღების მიზნით სისტემატიურად და ხანგრძლივი (და განუსაზღვრელი) პერიოდით დანაშაულის ჩადენა, თუ იგი ჩადენილია ორზე მეტი პირის მიერ:

ა) პროფესიული ან სამეწარმეო სტრუქტურების;

ბ) ძალადობის ან დაშინების;

გ) პოლიტიკაზე, მედიაზე, იუსტიციასა და ეკონომიკაზე გავლენის მოხდენის;

გამოყენებით.[356]

ეს არ არის ორგანიზებული დანაშაულის ცნება, ეს არის ის ასოციაციები, რასაც იწვევს სიტყვა „ორგანიზებული დანაშაული". უპირველეს ყოვლისა გაუგებარია, როგორ შეიძლება სისხლის სამართლის საპროცესო საქმიანობისათვის ამ ცნების გამოყენება.[357]

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში მიღებულია ორგანიზებული დანაშაულის აღწერა, მისი საქმიანობის და ინდიკატორების საფუძველზე. მათ შორის მნიშვნელოვანია:[358]

1. ადამიანთა ჯგუფის შექმნა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ერთად ყოფნის სურვილით (პირები, რომლებიც კრიმინალური საქმიანობით ცხოვრობენ, ეკონომიური ქონების მიღების მიზნით შექმნილი კრიმინალური ჯგუფები);
2. ამგვარ ჯგუფებში ადამიანები „გაწევრიანებულნი" არიან მთელი სიცოცხლის მანძილზე;
3. მაღალი ორგანიზებულობა ჯგუფის შიგნით, რაც დამყარებულია მყარ მმართველობის სტილში (დისციპლინის მაღალი დონე, ერთმანეთისადმი პატივისცემა, უფროსებისადმი მორჩილება, საიდუმლოს შენახვის მაღალი კულტურა, შიდა სადამსჯელო აპარატი, სხვისი დანაშაულის საკუთარ თავზე აღება, ჯგუფის წევრების ოჯახების პატივისცემა და დახმარება, ციხიდან გამოსვლის შემდეგ ჯგუფში დაბრუნება);
4. წინასწარ კარგად დაგეგმილი დანაშაულები, რომელთა ჩადენის დროს განაწილებულია დანაშაულებრივი საქმიანობა ჯგუფის წევრების გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით;
5. არალეგალური საქმიანობები (იარაღით, ნარკოტიკული საშუალებებით, ხელოვნების ნიმუშებით ვაჭრობა, კაზინოების მართვა და პროსტიტუციის მომსახურების კონტროლი, საქმიანობები, რომლებიც დაკავშირებულია ლეგალურ ბიზნესთან: რესტორნების, ბარების, ბანკების, სასტუმროების საქმიანობა);
6. კონტაქტების გამოყენება, რომელიც საჭიროა (არა)ლეგალური საქმიანობის განსახორციელებლად;
7. დანაშაულის ჩადენის მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება (პირზე ძალადობის განხორციელებიდან მის მოსყიდვამდე);
8. ფულის გათეთრება;
9. საერთაშორისო დონეზე მათი საქმიანობა;

---

[356]Schwind, H-D., 2008. S. 614.

[357]იქვე.

[358]Kaiser, G., 1997. S. 190; Schuster, L,/Seitzer, H., 1994 S. 8; Sielaff, W., 1994. S. 503.

10. დანაშაულის თვითმხილველზე ზემოქმედება (ძალის გამოყენება, დაშინება, მოსყიდვა);

11. მაღალკვალიფიციური იურისტების მიერ მათი ჯგუფის წევრების დაცვა და მათი (და მისი ოჯახის) ციხეში პატრონობა.

ქართულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ორგანიზებული დანაშაული არის „ანტისაზოგადოებრივი ფორმირებების მდგრადი სისტემა, რომელიც თავისი ფართომასშტაბიანი დანაშაულებრივი საქმიანობით ხელოვნურად ქმნის უფრო მეტად ხელსაყრელ პირობებს კანონსაწინააღმდეგო ბიზნესისათვის, როგორც დანაშაულებრივი აქტივობის მომსახურე მმართველობითი და სხვა ფუნქციების მქონე საკუთარი სტრუქტურების მეშვეობით, ასევე სახელმწიფო სტრუქტურების და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მეშვეობით“.[359]

4.2. ორგანიზებული დანაშაულის ისტორია (სიცილიური მაფია)

„მაფიურ“ სტრუქტურებს დასაბამი სიცილიაში დაედო. მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც სიცილიაზე დაინგრა ბატონყმური წყობილება და გლეხმა პირადი თავისუფლება მიიღო, მიწის გარეშე, მიწის ნაკვეთები იჯარით აიღეს „გაბელუტებმა“ მათი მფლობელებისგან და უფრო დიდი პროცენტით მიაგირევეს გლეხებს.

„გაბელუტები“ გლეხთა უსაფრთხოების დასაცავად მათ ართმევდნენ გადასახადს - „პიცუს“. „გაბელუტებს“ ამისთვის ჰყავდათ თავისი „რაზმი“.

1861 წელს სამხედრო სამსახურის საყოველთაოდ გამოცხადებამ გამოიწვია სიცილიელთა უკმაყოფილება და ისინი, რჩევით მიმართავდნენ „გაბელუტებს“. „გაბელუტებმა“ ნელ-ნელა დაიმკვიდრეს სახელმწიფოს ადგილი. სიცილიელები ამ ახლად ჩამოყალიბებულ ადამიანთა ჯგუფს ეძახდნენ: <u>ღირსების მქონე საზოგადოებას</u>.

სავარაუდოდ „მაფია“ იტალიაში უკვე მე-13 საუკუნეში უნდა არსებულიყო. ეს იყო გლეხთა გაერთიანება საკუთარი თავის დაცვის მიზნით.[360]

რეგიონალური მოდელით მაფიამ შეავსო ის ვაკუუმი, რომელიც იტალიაში არსებობდა.[361]

ბუნდოვანია სიტყვა „მაფიის“ წარმოშობის ისტორია. ასე მაგალითად:

Morte **a**lla **F**rancia, **I**talia **a**nela! – სიკვდილი ფრანგებს, ამოსუნთქვა იტალიას!

Morte **A**i **F**rancesi, **I**nvasori, **A**ssassini! - სიკვდილი ფრანგებს, დამპყრობლებს და მკვლელებს (1282).

Mazzini **A**utorizza **F**urti **I**ncenti **A**vvelenamenti – მაცინი ბრძანებს ყაჩაღობას, მოწამვლას და ცეცხლის წაკიდებას.

არაბული ენის მიხედვით:

მაჰა — გამოქვაბული. მაფია – ერქვა სიცილიურ დიალექტზე გამოქვაბულებს, რომელსაც ხალხი აფარებდა თავს.

მა ჰიას — „მარიაჟი“, თავმაღალი, განმანადგურებელი.

მაჰფილ — თავშეყრა.

მუ აფა — თავშესაფრის მიცემა.

---

[359]ღლონტი, გ. (რედ.),2008, გვ. 179.
[360]Hess, H., 1970. S. 16.
[361]Schwind, H-D., 2008. S. 617.

მა აფირ — ტომი, რომელიც 831 – 1072 წლებში სიცილიაში ბატონობდნენ.

სიცილიური დიალექტი:

მაფიუზუ, მარფუზუ — ამაყი, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე, თავდაჯერებული, მამაცი და ლამაზი.

სხვადასხვა იტალიური დიალექტებიდან:

მალფუზო — ურწმუნო, დამნაშავე.

მაფია ან მაფფია — ღარიბი, გასაჭირი.

მაფი, მაფიო ან მაფიუნ — პატარა, შეუხედავი კაცი; გლეხი, ყოველგვარი მანირების გარეშე.

ლეგენდის მიხედვით, სიცილიელი ქალიშვილი გააუპატიურა ერთ-ერთმა საფრანგეთის ჯარის რიგითმა. გოგონას დედა გამოვიდა ქუჩაში და ყვიროდა: „Ma – ffia! Ma – ffia!“ – ჩემი გოგო, ჩემი გოგო. Ma – ffia! -მოგვიანებით იქცა ფრანგებისათვის წინააღმდეგობის გაწევის სიმბოლოდ.

პირველად, ოფიციალურ სახელმწიფო ენაში სიტყვა „მაფია“ 1865 წელს იქნა ნახმარი.[362]

როგორც მაფიის წარმოშობის და განვითარების შესახებ, ასევე მისი მნიშვნელობის შესახებ ნაკლები დოკუმენტური და სამეცნიერო ინფორმაციის უქონლობამ გამოიწვია, მასმედიის საშუალებით მაფიისაგან, როგორც იტალიაში ასევე მის ფარგლებს გარეთ, ერთგვარი მითის შექმნა, რომელიც დიდად განსხვავდება სინამდვილისაგან.[363]

სიცილიური მაფიის ყველაზე სკანდალური ტერორისტული აქტი განხორციელდა 1992 წელს სიცილიელი მოსამართლის ჯოვანი ფალკონეს წინააღმდეგ. სიცილიელი მოსამართლის სიკვდილი გამოწვეული იყო მის მიერ 1986-1987 წლებში განხორციელებული მასობრივი სისხლისსამართლის პროცესებით მაფიის წევრების წინააღმდეგ. მისი აქტიურობით 474 მაფიის წევრი იქნა დაკავებული და გასამართლებული. ფალკონე შემდეგნაირად აღწერს მაფიის შეიარაღებას და მკვლელობის მეთოდებს:[364] *„კალაშნიკოვის ავტომატები, ყუმბარმტყორცნები, დისტანციური მართვის ასაფეთქებელი მოწყობილობები, რომლებიც უფრო ხშირად გამოიყენება, რადგან დამნაშავეს ყოველგვარი პრობლემის გარეშე გაუჩინარება შეუძლია. უპირატესობა ენიჭება დამნაშავის მიერ მსხვერპლის დახრჩობას, რომლის შემდეგ მსხვერპლს 24 საათის განმავლობაში მარილმჟავაში ათავსებენ, რის შედეგადაც მსხვერპლის სხეული იხსნება და საერთოდ ქრება. მკვლელობა ყოველგვარი სისხლის და ხორცის გარეშე. მკვლელობა, როდესაც დაზარალებულის ფიზიკური პოვნა შეუძლებელია“.*

4.3. ორგანიზებული დანაშაული და კრიმინალური ქსელი

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნის პირველი აუცილებეილი წინაპირობაა ნდობის საფუძველი (ნათესაური კავშირი, ბავშვობიის ან ციხის მეგობრობა, ერთი სუბკულტურული ნორმების აღიარება).[365] თუ ერთნაირი, კრიმინალური სურვილით შეპყრობილი ორი ნარკოტიკის გამსაღებელი ერთმანეთს შეხვდება, ნაკლებად შესაძლებელია, რომ ამ პირებს შორის ჩამოყალიბდეს ისეთი ნდობით აღჭურვილი ურთიერთობა, რომ გადაიზარდოს ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში, ვინაიდან ისინი

[362]იქვე.
[363]Kaiser, G., 1997. S. 188.
[364] Schwind, H-D., 2008. S. 618.
[365]Lampe, K. von, 2001. S. 466.

ერთმანეთს კარგად არ იცნობენ და შესაბამისად ნდობის ფაქტორიც ძალიან დაბალი იქნება, გარდა ამისა, ხომ არის შესაძლებელი, რომ ერთ-ერთი მათგანი პოლიციის აგენტი იყოს და მეორის დასაჭერად სურდეს მასთან კონტაქტზე გამოსვლა, ან თაღლითი და სხვისი დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებით ან ფულით მიიმალოს? დამნაშავეს ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინება და კარგად აწონ-დაწონა უხდება, თორემ ის ვერ იჩივლებს სასამართლოში და ვეღარ დაიბრუნებს, ვერც ნარკოტიკს და ვერც ნარკოტიკის გასაღებისგან შემოსულ ფულს, რომელიც მას თაღლითური გზით მოპარეს.[366]

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალური ურთიერთობისათვის (შესაბამისად ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნისათვის) აუცილებელია დამანაშავე პირებს შორის ურთიერთნდობის დიდი ფაქტორი. მაგალითად, 1993 წელს ბრაზილიის ერთ-ერთ ციხეში პატიმართა შორის გამოიკვეთა 13-კაციანი დაჯგუფება, რომლებიც ერთმანეთთან მეგობრობდნენ და თანადგომის და შიშის საფუძველზე შეძლეს ციხეში გამართულ ფეხბურთის ტურნირში გამარჯვება. აღნიშნულით ისინი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ თუ ისინი ციხეში ყველას სჯობნიდნენ, რატომ არ შეეძლოთ ციხის გარეთაც მოეხდინათ თავისი ძალის დემონსტრირება. მათ ციხის დატოვების შემდეგ შექმნეს კრიმინალური ორგანიზაცია PCC (Primeiro Comando la Capital - ქალაქის მთავარი კომანდო), რომელსაც დღეის მდგომარეობით 500 000 წევრი ჰყავს და რომელმაც 2006 წლის გაზაფხულზე ერთკვირიანი ბრძოლა გაუმართა სან-პაულოს ქუჩებში ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის და კრიმინალური ქსელის ერთმანეთისაგან გამიჯვნა მნიშვნელოვანია კრიმინალური ჯგუფების სტრუქტურის ანალიზისათვის. კრიმინალური ქსელი არის ორმხრივი ურთიერთობა ორი ან მეტი პირის, ხოლო ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი გამოირჩევა მისი წევრების ორგანიზაციაში ინტეგრაციით, საქმიანობით, ერთიანი მიზნით, კოლექტიური სურვილით, რომელიც მათი „ბოსებიდან“ მომდინარეობს, კოლექტიური თვითშეგნებით და წინასწარ განსაზღვრული მყარი სტრუქტურით „იერარქია“, „საქმიანობის გადანაწილება“.[367] გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კრიმინალური ქსელი შეიძლება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნის წინაპირობას წარმოადგენდეს, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის შიგნით შეიძლება ადგილი ჰქონდეს კრიმინალური ქსელების არსებობას.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს ზემოაღნიშნული შედარება, მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. D. და F. იპარავენ ავტომობილებს, რომლებსაც A. იძენს. A. ახდენს შემდგომ C.-სთან, G.-სთან და H.-სთან ავტომობილების „შელამაზებას“ და ყიდის B.-ზე და E.-ზე.

კრიმინალური ქსელის მაგალითი:



[366]იქვე.
[367]იქვე.

მოცემული მაგალითის რვა მონაწილის ქმედება ძალიან ჰგავს არალეგალურ საწარმოს (ორგანიზაციას), რომელიც ავტომობილების მოპარვით და გასაღებით არის დაკავებული. იმისათვის, რომ მაგალითში მოცემული საქმიანობა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის საქმიანობად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, რომ A.–ს სხვა დანარჩენი „განყოფილებების“ (მომპარავების, „შემლამაზებლების“) მიმართ დავალების მიცემის უფლება ჰქონდეს.მოცემული კონსტელაციის თანახმად, A.–ს შეუძლია მომპარავებს უთხრას, რომელი მარკის მანქანა მოიპარონ მათ, მაგრამ მას არ შეუძლია ჩაერიოს მათ საქმიანობაში და მიუთითოს, თუ როგორ მოიპარონ მათ ავტომობილები ისე, რომ არ გახდეს მათი ქმედება სამართალდამცავი ორგანოებისათვის ცნობილი.გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მომპარავებმა შესაძლებელია A.–ს თავიანთი მოპარული მანქანა აღარც კი გადასცენ, ვინაიდან მათ რაიმე სახის ვალდებულება A.–ს წინაშე არ გააჩნიათ. გარდა ამისა, თუ A. „უფროსობას“ დაიწყებს, მაშინ მას მეტი კონტროლი და კომუნიკაცია სჭირდება თითოეულ „განყოფილებებთან“, რაც თავის მხრივ, გაზრდის შესაძლებლობას მათი უკანონო საქმიანობა აღმოჩენილ იქნეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ნაკლებად სარისკოა, როდესაც კრიმინალური ურთიერთობები უბრალო და მოქნილია.

კრიმინალური ქსელი:



კოზა-ნოსტრას ერთ-ერთი ოჯახის სტრუქტურა:
(ორგანიზებული დანაშაული)



დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კრიმინაურ ქსელსა და ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს შორის განსხვავება მდგომარეობს იერარქიაში, ორგანიზაციის წევრების კოლექტიურ სურვილსა და ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაში.

თუ კრიმინალური ქსელის დროს საქმე არა გვაქვს პირთა შორის იერარქიულ დამოკიდებულებასთან, სხვა მდგომარეობაა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის დროს, როდესაც სახეზე გვაქვს მკვეთრი იერარქია და დამოკიდებულება ორგანიზაციის წერვებს შორის.

მაგ.: D.-სა და F.-ს შეუძლიათ მოიპარონ მანქანები და A.-ს აღარ მიჰყიდონ, მათ A.-სადმი, როგორც აღინიშნა, არავითარი ვალდებულება არ გააჩნიათ. ასევე A.-ს

შეუძლია ავტომობილების „შელამაზება“ მოახდინოს არა C.-სთან, G.-სთან და H.-სთან, არამედ იქ, სადაც მას ეს მომსახურება უფრო იაფი დაუჯდება.

სულ სხვა მდგომარეობაა ორგანიზებული დანაშაულის დროს. აქ არსებობს ცენტრალური ფიგურა – Boos-ის სახით, რომელსაც ჰყავს თავისი მრჩევლები, მოადგილეები და აღმსრულებლები. ყველა ასრულებს Boos-ის ბრძანებებს, ორგანიზაციის წევრებს გააჩნიათ კოლექტიური სურვილები (რომელიც „ბოსის“ ბრძანებებიდან გამომდინარეობს) და დამოკიდებულები არიან იერარქიაში თავის ზემოთ მდგარ პირზე.

4.4. კრიმინალური ორგანიზაციების გამიჯვნა

კრიმინალური ორგანიზაციების ერთმანეთისგან გამიჯვნა შესაძლებელია მათი ფუნქციების და სტრუქტურული კომპლექსურობის მიხედვით.

კრიმინალური ორგანიზაციების ერთმანეთისგან გამიჯვნა მათი ფუნქციების მიხედვით შეიძლება იმის გათვალისწინებით, თუ რა ფუნქციების შესასრულებლად არიან ისინი შექმნილი და/ან რა ფუნქციებს ასრულებენ დღეის მდგომარეობით.

ამ მხრივ, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ეკონომიური და სოციალური ფუნქციების მატარებელ ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს.[368]

ეკონომიური ფუნქციის მატარებლებად ჩაითვლებიან ის ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფები, რომელთა საქმიანობის ძირითად მიზანს ეკონომიური სარგებლის მიღწევა წარმოადგენს. ამგვარ დანაშაულებრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან: რუსული მაფია, კოლუმბიური მაფია, რუსული მაფია.

სოციალური ფუნქციის მატარებელი ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფებისათვის მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას (მიზანს) წარმოადგენს არა ეკონომიური მოგების მიღება, არამედ ჯგუფის წევრების დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ხელის შეწყობა და მათზე ზრუნვა (ჯგუფში მათი სოციალური ინტეგრაცია). მაგ. ჯგუფის მიზანია ჯგუფის წევრებში ერთიანობის გრძნობის ჩამოყალიბება, გაძლიერება, რაც ხორციელდება ჯგუფის შიგნით მათთვის სტატუსის მინიჭებაში, ყოველმხრივ დახმარებასა და მათი ოჯახის წევრებზე ზრუნვაში. ამგვარ დანაშაულებრივ ჯგუფებს მიეკუთვნებიან: „კოზა ნოსტრა“ აშშ (განვითარების პირველ ეტაპზე), „კანონიერი ქურდები“, ჩინური ტრიადენი.

გარდა ფუნქციების მიხედვით ორგანიზებული ჯგუფების გამიჯვნისა, მნიშვნელოვანია მათი გამიჯვნა სტრუქტურული კომპლექსურობის მიხედვით. კომპლექსური არის ის ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ჰორიზონტალური (საქმიანობის განაწილება) და ვერტიკალური (იერარქია) დაყოფა და მათი სამოქმედო სფერო ტრანსნაციონალურია.[369]

კომპლექსური ორგანიზებული ჯგუფი არ არის ბევრი. მაგ. „კოზა ნოსტრას“ აშშ-ში, გააჩნია იერარქია, მაგრამ არ გააჩნია საქმიანობის ზუსტი განაწილება მის წევრებს შორის (მაგ. არ არსებობს მათში კონფლიქტური სიტუაციის მარეგულირებელი პირი, ჯგუფი).[370]

---

[368]იგივე, გვ. 467.
[369]იგივე, გვ. 468.
[370]იქვე.

4.5. კრიმინალური ორგანიზაცია „კანონიერი ქურდების“ წარმოშობა და განვითარება

პირველად 1786 წელს ანდრეი მაიერის ხელნაწერებში ფიგურირებს, დაახლოვებით, 60 გამოთქმა, რომელიც ხმარებაში იყო მხოლოდ კრიმინალური სუბკულტურის (პატიმრების) მიერ.

მე-18 საუკუნეში მეფის რუსეთის ტერიტორიაზე არსებობდა დამნაშავეებით დასახლებული პუნქტები. მათ გააჩნდათ ერთიანი „საშემოსავლო ფონდი“, საკუთარი ენა „ფენია“ და ორგანიზაციაში მიღების მსურველთა „გამოცდა“.

დამნაშავეთა ამგვარ ბანდებს შორის ყველაზე ორგანიზებული იყო ერთნაირი „საქმიანობით“ დაკავებულ დამნაშავეთა ბანდები.

აღსანიშნავია, რომ ასეთი პიროვნებები თავიანთ კრიმინალურ საქმიანობას არ მალავდნენ.

1872 წელს მოხდა იმის მცდელობა, რომ რუსეთის ერთ-ერთ ციხეში ჩამოეყალიბებინათ დამნაშავეთა ასოციაცია, რაც წარუმატებლად დამთავრდა.

1917 წლის რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიული საზოგადოების წარმომადგენლებმა დაკარგეს გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. მათ „ჟიგანებს“ უწოდებდნენ – „ქურდულ ენაზე“, ეს ნიშნავს პირებს, რომელთაც ყველაფერი დაკარგეს. ისინი შეუერთდნენ პროფესიულ დამნაშავეებს და უფრო ორგანიზებული გახადეს კრიმინალური სამყარო.

20-იანი წლების ბოლოს კრიმინალურ ასპარეზზე გამოჩნდნენ „ურკები“ ანუ „უგალოვნიკები“ - კრიმინალები, რომლებიც აღიარებდნენ რევოლუციანდელ დამნაშავეთა სამყაროს ადათ-წესებს.

„ჟიგანებსა“ და „ურკებს“ შორის წარმოიქმნა იდეური კონფლიქტი, რომელიც „ურკების“ გამარჯვებით დამთავრდა.

„კანონიერი ქურდები“ იბრძოდნენ სტალინისტურ გულაგებში – Гла́вное управле́ние лагере́й -პოლიტიკურ პატიმართა წინააღმდეგ, ანუ ე.წ. 58-იანელების[371] წინააღმდეგ. მე-20 საუკუნის 30-იანინლების რეპრესიებს ბევრი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე შეეწირა, ბევრიც გულაგში იქნა გაგზავნილი. სტალინს ეშინოდა, რომ მათ გულაგში აჯანყება არ მოეხდინათ და კრიმინალებს იყენებდა პოლიტიკურ პატიმართა კონტროლისათვის, რაც, პირველ რიგში, კრიმინალების მხრიდან პოლიტიკურ პატიმართა დაშინებასა და დამცირებაში გამოიხატებოდა.

1947-1953 წლებში კრიმინალებს შორის მოხდა ე.წ. „სუჩნაია ვაინა“. დაპირისპირების მიზეზი იყო ის, რომ ბევრი კრიმინალი სამამულო ომში მონაწილეობდა ფაშისტების წინააღმდეგ, რათა მიეღოთ სტალინის მიერ დაპირებული შეღავათები (სასჯელის განახევრება, შემსუბუქება). სამამულო ომიდან დაბრუნებული კრიმინალები — ავტომატჩიკები — იმ კრიმინალების მიერ, რომლებიც არ მონაწილეობდნენ სამამულო ომში, გამოცხადებულ იქნენ მოღალატეებად, რადგან მათ დაარღვიეს მათ მიერ აღიარებული ნორმა: „ნუ აიღებ ხელში იარაღს ქვეყნის სამსახურში“! ავტომატჩიკებსა და ციხეში დარჩენილ კრიმინალებს შორის დაიწყო სისხლისმღვრელი დაპირისპირება, რომელიც არნახული სისასტიკით მიმდინარეობდა და რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ციხის ხელისუფლება კრიმინალთა შორის არსებულ

[371]იგულისხმება საბჭოთა კავშირის სსკ 58-ე მუხლი, რომელიც შეფარდებული ჰქონდათ პოლიტპატიმრებს.

კონფლიქტში არ ერეოდა. ისინი მიესალმებოდნენ კიდეც ამ კონფლიქტს, რადგან მან კრიმინალური სამყაროს საგრძნობი შესუსტება გამოიწვია.

1979 წელს გაფორმდა გარიგება ცეხოვიკებსა და ქურდებს შორის. ამ გარიგებით, ცეხოვიკები ანუ ის პირები, ვისაც ნახევრად კერძო საწარმოები ჰქონდათ (ფეხსაცმლის, ტანსაცმლის) ვალდებულები იყვნენ ორგანიზაცია „კანონიერი ქურდისთვის" გადაეხადათ შემოსული მოგების 10%. სამაგიეროდ „კანონიერ ქურდებს" ისინი უნდა დაეცვათ პატარა კრიმინალებისაგან.

1982 წელს თბილისში გაიმართა „კანონიერი ქურდების" შეხვედრა - სხოდკა, რომელზეც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სლავური და კავკასიური წარმოშობის „კანონიერი ქურდები". სლავური წარმოშობის „კანონიერი ქურდები"[372] უარყოფდნენ ყოველგვარ გარიგებებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ხოლო კავკასიური წარმოშობის „კანონიერ ქურდებს" მიაჩნდათ, რომ სახელმწიფოს კორუმპირებული აპარატი მათ უნდა გამოეყენებინათ და მოეპოვებინათ დიდი ეკონომიური მოგება. ამ ქონებრივი მოგების ნაწილს ისინი მოახმარებდნენ საკუთარ „ძმებს" ციხეებში და გააუმჯობესებდნენ მათი ცხოვრების პირობებს.

90-იანი წლების დასაწყისიდან წარმოიშვნენ მოდერნისტები და კონსერვატორი „კანონიერი ქურდები".კონსერვატორები იყვნენ ის „კანონიერი ქურდები", რომლებიც ძველი კრიმინალური ადათ-წესებით ცხოვრობდნენ, ხოლო მოდერნისტები, ვინც დაივიწყა ძველი კრიმინალური ადათ-წესები, ეკონომიური მოგების მიღების მიზნით ჩამოაყალიბა ახალი კრიმინალური ჯგუფი და არ ერიდება სისხლიან კონფლიქტებს. სწორედ, მოდერნისტების კრიმინალური ენერგიის და გადამდგარი „რუსი" გენერლების კონტაქტების და მათ ხელთ არსებული ინფორმაციის სინთეზის შედეგია ე.წ. რუსული მაფია.

4.6. „ქურდის ინსტიტუტი" ძველ ქართულ წყაროებში

ისტორიული ცნობის ანალიზით, რომელსაც გვაწვდის დიოდორე სიცილიელი, ძველ ეგვიპტეში არსებულა ქურდების კასტა. ქალაქში მცხოვრები ეგვიპტელები ვალდებულნი იყვნენ გაევლოთ განსაკუთრებული აღრიცხვა. სახელმწიფო მოხელე ყველას ეკითხებოდა, თუ რა წყარო გააჩნდათ მათ ცხოვრების. ქურდები არ მალავდნენ, რომ ისინი ქურდობით ირჩენდნენ თავს. ქურდების უფროსს აღრიცხვაზე უნდა ჰყოლოდა ყველა ქურდი. ეს უკანასკნელნი ნაქურდალს აბარებდნენ ქურდების უფროსს და მიუთითებდნენ ქურდობის დღეს, საათსა და ადგილს.[373] დაზარალებულები მიდიოდნენ ქურდების უფროსთან გადაიხდიდნენ ქურდის მიერ მოპარული ნივთის ან ნივთების ღირებულების ერთ მეოთხედს და იბრუნებდნენ თავიანთ ქონებას.[374]

---

[372]სლავური წარმოშობის „კანონიერი ქურდებისათვის" კავკასიელი „კანონიერი ქურდები" იწოდებოდნენ - „ვორ პიკავოვა მასტა". „პიკა"-ს აქვს ორი მნიშვნელობა: ყვავის კარტი და არის ასევე რკინის საგანი, რომელსაც ორივე მხარე წაწვეტებული აქვს.

[373]ნადარეიშვილი, გ., 2002. გვ. 29.

[374]იგივე, გვ. 30.

ქურდები ცხოვრობდნენ თავიანთი ნაქურდალიდან მიღებული, ხოლო მათი უფროსი შუამავლობიდან მიღებული შემოსავლით. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ასეთი წესი გვიანაც არსებულა არაბულ აღმოსავლეთში.[375]

1725 წელს შემდგარი უსახელო სპარსული ძეგლის თანახმად, რომელიც აღწერს სახელმწიფო მოხელის უფლება-მოვალეობებს, ვკითხულობთ: „ქურდობა, რომელიც იმ უბანში მოხდება, ღამის გუშაგებმა დილით ტარუღას (მოურავს) უნდა მოახსენონ. იმ შემთხვევაში, თუ ნაქურდალ საქონელს მირშაბი (მოურავის ხელქვეითი) აღმოაჩენს, იგი თავისთვის იტოვებს საქონლის 2/6-ს (33%), რომელიც ადათის მიხედვით მის გასამრჯელოს წარმოადგენს. დანარჩენი საქონელი კი მან ტარუღას ან დივანბეგის (მოსამართლე) ნებართვით პატრონს უნდა დაუბრუნოს.[376]

1799 წელს ივანე ბატონიშვილმა მეფე გიორგი XII-ეს წარუდგინა მის მიერ შემუშავებული წინადადებები სახელმწიფო მმართველობის მოწყობა-მოწესრიგების თაობაზე – „სჯულდება“. „სჯულდების“ 62-ე მუხლის თანახმად, „ქურდების უფროსი სახითა ამით: უკეთ მოიპაროს ვინც რამ რა, და თუ იპოვოს, გადახდება ქურდსა, ვითარცა წესია, და თუ ვერ იპოვეს, მოვიდნენ და შეეხვეწნენ დამკარგველნი იმა ქურდისა უფროსსა. იგი ეძიებს და ოდეს იპოოს, მისცეს თუმანზედ საპოვნელი ათი შაური [ე.ი. 5%], და ესე განუყოფს ფულსა მას აღებულსა ქურდებსა, და ამით უფრო იპოება. ხოლო ეს ქურდების უფროსი, ვითა მღვდელი ვერ გაამხელს მომპარავს, და ამით უფრო იპოება დაკარგული საქონელი. და ესე უნდა იყოს სარწმუნო კაცი და დაფიცებული, რომ რაც ქურდთ მოუტანოს არ დამალოს“.[377]

იოანე ბატონიშვილის კანონპროექტი, თუმცა რელურად არ განხორციელებულა, მაგრამ აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ მე-18-ე საუკუნის მიწურულს, საქართველოში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც პროფესიონალი ქურდები თუ არ იყვნენ, ძალიან ხშირად ქურდობდნენ და მათ გარკვეულ კრიმინალურ წრეში ქურდებად იცნობდნენ, სხვა შემთხვევაში მოპარული ნივთის მიგნება შეუძლებელი იყო.

წყაროს მიხედვით, ქურდების უფროსი უნდა ყოფილიყო საზოგადოებისათვის მიღებულიდა კრიმინალებისათვის ნდობით აღჭურვილი კაცი, რომელიც ერთი მხრივ მასთან მოხვედრილ მოპარულ ნივთის არ დამალავდა და მეორე მხრივ, არ შეატყობინებდა სახელმწიფო ორგანოებს მოპარული ნივთის ქურდის ვინაობას.

„ქურდების ინსტიტუტი“ ქართული სამართლის ისტორიკოსების აზრით, „მეტად უცნაური ინსტიტუტია“,[378] ვინაიდან სხვა ქართული წყაროები XVIII საუკუნის მიწურულს ამგვარ ინსტიტუტს არ ასახელებენ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, სავარაუდოდ, ის რაც ძველ ეგვიპტეში და მე-18 საუკუნის დასაწყისში სპარსეთში არსებობდა, გავრცელებული იყო მე-18 საუკუნის ბოლოს საქართველოშიც. იოანე ბატონიშვილი თავისი დროისათვის ძალიან განათლებული კაცი იყო და მას ეცოდინებოდა „ქურდების უფროსის“ შესახებ მეზობელ სპარსეთში. მის კანონპროექტში მსგავს თანამდებობას იგი არ გაითვალისწინებდა, ხშირი რომ არ ყოფილიყო ისეთი შემთხვევები, როცა მოპარულ ნივთს ნივთის მეპატრონე გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, ვინმე

---

[375]იქვე.
[376]ნადარეიშვილი, გ./ფურცელაძე, დ., 1981. გვ. 108.
[377]იქვე.
[378]იქვე.

ავტორიტეტისაგან იბრუნებდა ისე, რომ საქმე სახელმწიფო ორგანოებამდე არ მიდიოდა.

სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა იოანე ბატონიშვილმა, რომ ეს პირი სახელმწიფო მოხელე, „ქურდების უფროს-უსტაბაში ყოფილიყო და ბოროტმოქმედთა შორის თავისი კავშირები და გავლენა სახელმწიფო სამსახურში გამოეყენებინა“.[379]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „კანონიერი ქურდის“ წინამორბედი პროტოტიპი არსებობდა საქართველოში მისი რუსეთთან შეერთების დროს. საქართველოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანამ გამოიწვია „ქურდების უფროსის“ ფენომენის ქვეყნის ჩრდილოეთით გავრცელება, რომელმაც ათწლეულების განმავლობაში ევოლუცია განიცადა და ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ „კანონიერი ქურდის“ სახით ჩამოყალიბდა.

4.7. „კანონიერი ქურდების“ ცნების წარმოშობა

თუ სად, როდის და ვის მიერ იქნა პირველად სიტყვა „კანონიერი ქურდები“ გამოყენებული, ძნელი დასადგენია. ამის შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს:

1. ალექსანდროვის მიხედვით, სიტყვა „კანონიერი ქურდები“ პირველად 20 - 30-იან წლებში იქნა ხმარებული. „ჟიგანებსა“ და „ურკებს“ შორის კონლიქტმა გამოიწვია ახალი კრიმინალური კანონების შემოღება. ამ კანონის მიხედვით, კრიმინალური ჯგუფების ლიდერებმა მიიღეს მეტი ძალაუფლება. ისინი, ამ კანონის მიხედვით, „კანონიერ“ ქურდებად – Vor-ებად იქნენ წოდებულნი, ხოლო სხვა დამნაშავეები „ნორმალურ“ კრიმინალებად.

2. კოზლოვსკის თანახმად, ცნება „კანონიერი ქურდები“ მოდის სისხლის სამართლის კოდექსიდან. ამ კოდექსის მიხედვით, ის ვინც ბავშობიდან დანაშაულით ირჩენდა თავს (ციხეში თავისი ავტორიტეტის გამო, ხოლო გარეთ ქურდობებით) მოხსენიებული იყო „კანონიერ ქურდად“. ესე იგი, მისი ცხოვრების კანონი იყო ქურდობა, რითიც იგი ირჩენდა თავს.

3. დი პუპოს მიხედვით, „კანონიერი ქურდები“-ს ფენომენი შექმნილია KGB –ს მიერ. რადგან სსრკ-ში ქურდობა მოსახლეობაში ძალიან გავრცელებული საქმიანობა იყო, KGB „კანონიერი ქურდები“-ს მეშვეობით ცდილობდა ამ დანაშაულების კონტროლს. ის, ვინც ქურდობდა ცნობილი უნდა ყოფილიყო „კანონიერი ქურდისთვის“. ამ შემთხვევაში „კანონიერი ქურდი“ იყო ერთგვარი სსრკ-ს კანონის დამცველი. ესე იგი „ქურდი კანონში“, ანუ „კანონიერი ქურდი“.

4. რუსი კრიმინოლოგების აზრით ცნება „კანონიერი ქურდები“ ხმარებულ იქნა მილიციის მიერ. „ქურდების ენის“ მიხედვით „კანონიერი ქურდი“ ნიშნავს „სამართლიან (კანონიერ) ქურდს“. ესე იგი, დამნაშავე პირი, რომელიც კრიმინალური სამყაროს ტრადიციებით ცხოვრობს.

5. რაზინკინის და ტარაბინის მიხედვით, „კანონიერი ქურდები“-ს ცნება წარმოიშვა კრიმინალური სამყაროდან, როდესაც დამნაშავეებს დაკითხვაზე ეკითხებოდნენ, თუ რატომ ჩადიოდნენ ისინი დანაშაულს, ისინი პასუხობდნენ, რომ მათი საქციელი „კანონიერი“ იყო. ესე იგი, მათ მიერ აღიარებულ ნორმებს ემყარებოდა, ანუ ისინი იყვნენ საკუთარი კანონებით მოქმედი ქურდები, „კანონიერი ქურდები“.

---

[379]იგივე, გვ. 114.

6. პოდლესკიხის და ტერეშონოკის აზრით, „კანონიერი ქურდები“-ს ცნება სტალინურ გულაგში წარმოიშვა. საბჭოთა მთავრობას ესაჭიროებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდნენ და საქმიანობდნენ ციხეში მყოფი პოლიტიკური პატიმრები. მთავრობამ დაიწყო კრიმინალებთან თანამშრომლობა. კრიმინალები ამარაგებდნენ მთავრობას ინფორმაციით, სამაგიეროდ ციხეში სარგებლობდნენ მეტი თავისუფლებით. კრიმინალები ერთი მხრივ ციხის ადმინისტრაციის მიერ დაწესებულ კანონებს აღიარებდნენ, და მეორე მხრივ, იყვნენ ქურდები. აქედან წარმოიშვა ტერმინი „კანონიერი ქურდი“.

ორგანიზაცია „კანონიერი ქურდების“ იერარქია შეიძლება დაიყოს ორ სახედ: იერარქია ციხის პირობებში და იერარქია ციხის პირობებს გარეთ.

ალ. გუროვი გამოყოფს ციხის გარეთ ჩამოყალიბებული იერარქიის ხუთ საფეხურს: „კანონიერი ქურდები“; კრიმინალური ავტორიტეტები; „დელეცები“-საქმოსნები, ცეხოვიკები; „კატალები“ – მოთამაშეები და „შესტიორკები“ – მოსამსახურეები.[380] „დელეცები“ და „კატალები“, მართალია თავისი არალეგალური საქმიანობით ფულად დახმარებას უწევენ ორგანიზაცია „კანონიერ ქურდებს“, მაგრამ, ვფიქრობთ, ისინი იერარქიულ საფეხურში არ უნდა მოიაზრებოდნენ. იერარქიის ძირითადი ნიშანი მაინც ურთიერთდაქვემდებარებაში და განკარგულების გაცემასა და შესრულებაშია. მართალია, „კანონიერი ქურდები“ „დელეცებს“ პატრონობდნენ და მათი მოგების „წილში ისხდნენ“, მაგრამ ეს არ შეიძლება იერარქიად იქნეს მიჩნეული, ვინაიდან „კანონიერი ქურდი“ ვერ უბრძანებდა „დელეცს“ ან „კატალს“რაიმე სახის დანაშაულებრივი ქმედება ჩაედინა. მათი ურთიერთობა „კანონიერ ქურდებთან“, როგორც აღინიშნა, იყო წმინდა „საქმიანი“ და შემოიფარგლებოდა „კანონიერი ქურდების“ „შავ სალაროში“ ფულის შეტანით.

1. „კანონიერი ქურდების“ იერარქია ციხის გარეთ

ა. ,კანონიერი ქურდი“[381] (ადამიანები, რომლებიც თავიანთი კრიმინალური წარსულის და „კანონიერი ქურდების“ ნორმების აღიარების და განმტკიცების გამო, სხვა „ქურდების“ მიერ „მონათლულები“ არიან კანონიერ ქურდებად. ისინი ითვლებიან პროფესიონალ დამნაშავეებად. მათ ურთიერთობა აქვთ მხოლოდ მაღალი რანგის კრიმინალებთან და როგორც კრიმინალური სამყაროს ელიტა კრიმინალებს შორის სარგებლობენ ავტორიტეტით).[382] ბ. კრიმინალური ავტორიტეტი (კრიმინალური ავტორიტეტები არიან პროფესიონალი დამნაშავეები, რომლებიც „კანონიერი ქურდების“ იდეის მიმდევრები არიან და პატივისცემით სარგებლობენ კრიმინალურ სამყაროში).[383] მათ ხშირად „კანონიერი ქურდები“ „მმართველობისათვის გადასცემენ“ რესტორნებს, კაზინოებს, ბარებს, საიდანაც კრიმინალური ავტორიტეტები „ფულის დაწერების“ გზით დიდ შემოსავალს იღებენ.[384] გ. მსახურები (ანუ შესტიორკები არიან პირები, რომლებიც ემსახურებიან „კანონიერ ქურდს“ და კრიმინალურ ავტორიტეტს. ისინი ჩადიან

---

[380]Гуров, А., 1990. S. 173.

[381]„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, კანონიერი ქურდი არის „ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურ-დული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორ-განიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს“.

[382] „კანონიერი ქურდის“ შესახებ ვრცლად იხ., ღლონტი, გ., 2009. გვ. 172-177.

[383]გუროვი, ა./რიაბინინი, ვ., 1995. გვ. 217.

[384]რაზინკინი, ვ./ტარაბრინი, ა., 2002. გვ. 79.

დანაშაულს, აგროვებენ ინფორმაციებს, ფულს „ობშიაკისთვის“, რომელსაც გადასცემენ კრიმინალურ ავტორიტეტს და ა.შ.).[385]

2. ციხის პირობებში ჩამოყალიბებული იერარქია

ა. ბლატნოები (ბლატნოებს მიეკუთვნებიან „კანონიერი ქურდები“; კრიმინალური ავტორიტეტები, რომლებიც „შავ სალაროს“ განაგებენ; მებრძოლები, რომლებიც იცავენ ბლატნოებს; მრჩევლები, რომლებიც პატიმრებს შორის ურთიერთობას არეგულირებენ და „კანონიერი ქურდობის“ მსურველი კრიმინალები).[386] ბ. მუჟიკი (პატიმრები, რომლებიც ცდილობენ ნეიტრალური პოზიცია დაიკავონ ციხეში და არც ციხის ადმინისტრაცია და არც კანონიერი ქურდები არ გაანაწყენონ. ისინი შეადგენენ პატიმართა დიდ უმრავლესობას, რის გამოც ბლატნოებისთვის მნიშვნელოვანია მათთან კარგი ურთიერთობა).[387] გ. კაზლი (აქტივისტებად ინოდებიან ის პატიმრები, რომლებიც ციხის ადმინისტრაციის სამსახურში დგანან. მათ ყველაზე ბინძური სამუშაოს შესრულება უხდებათ და სისტემატიურად განიცდიან ფიზიკურ და/ან ფსიქოლოგიურ ზეწოლას).[388] დ. აპუშენი (კრიმინალური სამყაროს წევრი, რომელმაც იერარქიულ საფეხურზე „ქურდული“ ნორმების დარღვევის გამო ჩამოქვეითება განიცადა. ამგვარ მიუღებელ საქციელად მიჩნეულია, მაგ.: სხვა პატიმრის გაქურდვა, ციხის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა და სხვა).[389]

„კანონიერი ქურდების“ სტრუქტურა:



კოზა-ნოსტრას ერთ-ერთი ოჯახის სტრუქტურა:



თუ შევადარებთ ამ ორ სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა სოციალურ და პოლიტიკურ გარემოში შექმნილ კრიმინალურ ორგანიზაციას- „კანონიერ ქურდებს“ და სიცილიურ „კოზა ნოსტრას“ - დავინახავთ, რომ მათ სტრუქტურაში დიდი განსხვავება არ შეიმჩნევა. იმას რასაც „კოზა ნოსტრაში“ მრჩევლები აკეთებენ, „კანონიერ ქურდებში“ კრიმინალური ავტორიტეტის უფლებებია. ამ ორგანიზაციებს

[385]Гуров, А., 1990. S. 180.
[386]Гуров, А., 1995. S. 156.
[387]ღლონტი, გ., 2009. გვ. 213; Гуров, А., 1990. S. 181.
[388]Illesch, A., 1991. S. 97.
[389]Александров, Ю.К., 2001. S. 22.

შორის განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ თუ Boss შეუძლია ერთპიროვნულად თავისი ორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, „კანონიერი ქურდი“ „ქურდული ორგანიზაციის“ საჭირბოროტო საქმეებს მარტო, სხვა „კანონიერი ქურდების“ გარეშე ვერ გადაწყვეტს. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ „კანონიერი ქურდების“ ორგანიზაცია საკმაოდ დემოკრატიულია და რომ ისინი თავისუფალი ადამიანები არიან და მხოლოდ „ქურდულ კანონებს“ ემორჩილებიან.[390]

4.7.2. კრიმინალური ორგანიზაცია „კანონიერი ქურდების“ ნორმები

„კანონიერი ქურდების“ ნორმები[391] შეიძლება დაიყოს 2 ჯგუფად: „კანონიერი ქურდების“ და „პატიმრების“ ნორმებად.

„კანონიერი ქურდების“ ნორმები:

ვალდებული ხარ მხოლოდ „ნაქურდალით“ ირჩინო თავი და არ იმუშავო; არ იყოლიო საკუთარი ოჯახი; უარი უთხრა შენს ნათესავებს (№2 და №3 ნორმის ძირითადი დატვირთვა მდგომარეობს შემდეგში. თუ „კანონიერ ქურდს“ საკუთარი ოჯახი ეყოლება ან ურთიერთობა ექნება ნათესავებთან, მაშინ იგი ვერ შეძლებს მთელი თავისი ენერგიის კრიმინალური საქმიანობისათვის კონცენტრირებას);[392] არ იმსახურო ჯარში; ხელში არ აიღო იარაღი; პატივი ეცი შენს მშობლებს; პატივი ეცი „ქურდებს“–მხოლოდ ისინი არიან ადამიანები, იყავი მათ წინაშე ალალი და სამართლიანი; მოიზიდე და ჩააბი ახალგაზრდობა კრიმინალურ საქმიანობაში.

„პატიმრების“ ნორმები:

„ობშიაკ“-ში ფულის შეტანა; მიუღებელია „კანონიერი ქურდის“ ცემა; „ბლატნოებისათვის“ დახმარების გაწევა; „წითელ სამუშაოზე“ უარის თქმა, მაგ. ციხის მშენებლობა, ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა.

„კანონიერი ქურდების“ ნორმების მნიშვნელობა მდგომარეობს მის დაუწერლობაში. მათი შეფასება, ხშირ შემთხვევაში, სიტუაციიდან გამომდინარე ხდება. ამიტომ, „კანონიერი ქურდები“ დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან ამა თუ იმ ნორმის გამოყენების ან სიტუაციის შეფასებისას, რადგან მათ არ იციან, თუ როგორი რეაქცია ექნება მათ გადაწყვეტილებაზე მათზე უფრო ზეგავლენიან „კანონიერ ქურდს“.

4.7.3. კრიმინალური ორგანიზაცია „კანონიერი ქურდების“ ორგანოები

4.7.3.1. „სხოდკა“ ანუ „სიეზდი“

„სხოდკა“ ანუ „სიეზდი“ არის „კანონიერი ქურდების“ და კრიმინალური ავტორიტეტების თავშეყრის ადგილი. „კრიმინალური პარლამენტი“.[393]

„სხოდკის“ ორგანიზება ევალება „კანონიერ ქურდს“ ან კრიმინალურ ავტორიტეტს. იგი ხშირად იმართება ქორწილში ან ნათლობაში, რათა შეუმჩნეველი გახდეს სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის და დაცული იყოს უსაფრთხოების

---

[390]ღლონტი, გ., 2009. გვ. 172, 173.

[391]„კანონიერი ქურდების“ ნორმების სრული ჩამონათვალი იხ.:Балдаев, Д., 1997. S. 193.

[392]პოდლესკიხ, გ./ტერეშონოკ, ა., 1995. გვ. 166, 167.

[393]Roth, P.E., 2000. S. 729.

ზომები.[394] გარდა ამისა, ხდება სამართალდამცავი ორგანოების მოსყიდვა, რათა ადგილი არ ჰქონდეს კრიმინალური ელიტის დაპატიმრებებს.

„სხოდკა“ შეიძლება გაიმართოს ციხეში და ციხის გარეთ. ციხეში, სადაც პატიმრები განცალკევებულ საკნებში სხედან, „სხოდკა“ თვეობით გრძელდება და კრიმინალური ავტორიტეტების წინადადებები წერილების სახით იგზავნება საკნიდან საკანში.

„სხოდკაზე“ განიხილება ორგანიზაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები. მაგ.:[395] არასრულწლოვანთა ჩაბმა დანაშაულში და ამით საკუთარი რიგების შევსება; კრიმინალური იდეების პროპაგანდა; „ობშიაკში“ ფულის შეგროვების საკითხები; დავები კრიმინალებს შორის; ძირითადი ქურდული სამყაროს საქმიანობის მიმართულებები (1947 წლის „სხოდკა“[396], 1982 წლის „სხოდკა“[397]).

საკითხის განხილვის და დისკუსიის შემდეგ ხდება „სხოდკაზე“ გადაწყვეტილების მიღება. „კანონიერი ქურდები“ თანაბარი „ხმის უფლებით“ სარგებლობენ.[398] გადაწყვეტილების გამოტანის თავის თავზე აღებას ყველა „ქურდი“ ერიდება, ამიტომ საქმის გადაწყვეტა უმრავლეს შემთხვევაში ხდება ერთხმად. უპირატესობა ენიჭებათ გამოცდილ და ყველასათვის აღიარებული „ქურდების“ მოსაზრებებს.

„სხოდკა“ შეიძლება იყოს ადგილობრივი და რეგიონალური ხასიათის.

4.7.3.2. „ობშიაკა“

„ობშიაკა“ — „კანონიერი ქურდების“ შავი სალარო ანუ ფონდი, რომელშიც გროვდება კრიმინალური გზებით მოპოვებული ქონება, „ქურდული“ სამყაროს პრობლემების გადასაჭრელად და კრიმინალური ავტორიტეტების ინტერესების დასაკმაყოფილებლად.[399]

„ობშიაკში“ შედის სამი სახის ფულადი თანხა:[400]
შემოსული კაზინოებიდან, ბორდელებიდან ან სხვაგვარ, ნახევრად კანონიერ ან უკანონო სამეწარმეო საქმიანობიდან; შეგროვებული ციხეში პატიმრების მიერ; შეგროვებული ციხის გარეთ (კრიმინალური გზით ნაშოვნი ქონების ნაწილი).

„ობშიაკას“ დანიშნულება არის შემოსული ქონების გამოყენება:[401]

---

[394]Гуров, А., 1990. S. 176.

[395]რაზინკინი, ვ./ტარაბრინი, ა., 2002. გვ. 155.

[396]1947 წლის სხოდკაზე „კანონიერ ქურდებს“ უფლება მიეცათ ემუშავათ ციხის პირობებში, რათა მათი პირობები შემსუბუქებულიყო, მაგრამ მათი სამუშაო დაკავშირებული არ უნდა ყოფილიყო ციხის მშენებლობასთან.

[397]1982 წლის სხოდკით „ქურდული სამყარო“ გაიყო სლავურ და კავკასიურ წარმოშობის „კანონიერ ქურდებად“. სლავური წარმოშობის ქურდები ემორჩილებოდნენ ქურდების ადათ-წესებს და ყოველგვარ ეკონომიურ მოგებაზე უარს ამბობდნენ, ხოლო კავკასიური წარმოშობის ქურდები იყენებდნენ სახელმწიფოს კორუმპირებულობას და დიდძალ ეკონომიურ მოგებას იღებდნენ.

[398]გუროვი, ა./რიაბინინი, ვ., 1995. გვ. 6.

[399]პოდლესკიხ, გ./ტერეშონოკ, ა., 1995. გვ. 51.

[400]Александров, Ю.К., 2001. S. 34.

[401]იგივე, გვ. 35

„ქუდული ოჯახის“ იდეების პროპაგანდისათვის; პატიმართა დასახმარებლად, ციხის გარეთ და შიგნით; ახალგაზრდების „მოსყიდვის“, ანუ თვალის ახვევის მიზნით, რათა მოხდეს მათი კრიმინალურ საქმიანობებში ჩართვა.

„ობშიაკა“ გროვდება აღიარებული კრიმინალური ავტორიტეტის, ან „კანონიერი ქურდის“ მიერ. „ობშიაკის“ ფულის მითვისება დიდ დანაშაულად ითვლება და „ქურდების“ მიერ სიკვდილით ისჯება.[402]

4.7.4. ყარაჩოღელები და „კანონიერი ქურდები“

ყარაჩოღელების შესახებ ისტორიული ხასიათის დოკუმენტები და მასალები შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არსებობს. ერთადერთი ნაწარმოები, რომელიც ყარაჩოღელების ცხოვრების შესახებ ინფორმაციული ხასიათისაა იოსებ გრიშაშვილის „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემაა“, რომელიც მწერალმა 1926-1927 წლებში დაწერა და გამომცემლობა „სახელგამის“ მიერ 1927 წელს გამოიცა. სწორედ ამ ნაწარმოების მიხედვით მოხდება ყარაჩოღელების ცხოვრების აღწერა, „კანონიერი ქურდების“ ცხოვრებასთან მათი შემდგომი შედარების მიზნით.

ყარაჩოღელებიდან „კანონიერი ქურდების“ წარმოშობის საკითხი სიღრმისეულ შესწავლას საჭიროებს,[403] თუმცა არსებობს გარკვეულ ასპექტებში მსგავსება, რაც ქვემოთ იქნება განხილული.

ყარაჩოღელების ცხოვრების აღწერა

ყარაჩოღელი ანუ ყარაჩოხელი ნიშნავს შავ ჩოხიანს [თურქ. „კარა“ — შავი და სპარ. „ჩუხა“ — ჩოხა][404]. ყარაჩოღელები იყვნენ ხელოსნები ან წვრილი ვაჭრები ძველ თბილისში, რომლებიც გამოირჩეოდნენ რაინდული ბუნებით, სიდარბაისლით, დარდიმანდობით და თავისებური ჩაცმა-დახურვით.[405] ისინი ძველი თბილისის ცხოვრებას მე-20 საუკუნის 20-იან წლებამდე შემორჩნენ.[406]

იოსებ გრიშაშვილის მიხედვით, ყარაჩოღელი არის დარბაისელი, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი, რაინდი. იგი გარეგნულად წარმოსადეგი პიროვნებაა, მხარბეჭიანი, ბრგე და პირბუდაღი. მას აცვია შავი შალის გრძელკალთებიანი ჩოხა, მოკლე ნაოჭიანი და ორქაჩიანი. ჩოხის ნაპირებზე მოვლებულია ბუზმენტის ბრტყელი ჩაფარიში. მათ განიერი შავი შალის შარვლის ფართე ტოტები შიგნიდან ჰქონდათ ჩამაგრებული „საცვეთების ჩარჩუ-ბაღებში“.[407] ფეხზე საშინაოდ იცვამდნენ ქოშებს, ხოლო საგარეოდ – ყაფაღიან წაღებს.

ყარაჩოღელების სამკაული იყო ვერცხლის ქამარი, რომელშიც მწვანე ბაღდადი იყო ჩასმული. თავზე ატარებდნენ „გალიბანდის“ ქუდს, წელზე ვერცხლის ჩიბუხს და ჩიბუხისათვის ქისა წეკოს.

ყარაჩოღელის ხმა ტკბილია და შთამბეჭდავი, სიტყვა-პასუხი თამამი და გულიდან ამოსული „ჭკუის სალესავია“.[408]

---

[402]რაზინკინი, ვ./ტარაბრინი, ა., 2002. გვ. 85.

[403]ყარაჩოღელებიდან „კანონიერი ქურდების“ წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ./ ნემსწვერიძე, თ., 2015. გვ. 499-556.

[404]ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტომი VII. 1962. გვ. 509-510.

[405]ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი X. თბილისი 1986. გვ. 629-630.

[406]იქვე.

[407]გრიშაშვილი, ი., 1927. გვ. 17.

[408]იგივე, გვ. 19.

გრიშაშვილის თქმით, „ყარაჩოღელი ძველი თბილისის ძველი მოქალაქეა“,[409] რომელიც ერთი კვირის ხელოსნობიდან ნაშოვნ თანხას ერთ დღეში დახარჯავს.

პუბლიცისტი სერგეი მესხი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ერთ ქალაქელ ყარაჩოღელს: „უდარდელია, ქეიფის მოყვარული, დარდიმანდი და ჩიტივით უზრუნველი. პური და ღვინო თუ გააჩნია – ბედნიერია, და თუ ზედ ცოტა მოთალი და კიტრიც აქვს, მაშინ ხომ ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად არ მიაჩნია! ... ტოლ-ამხანაგისთვის, ძმაბიჭებისთვის თავის მოკვლა გროშადაც არ უღირს. უსამართლობა ნახა სადმე – იყვირებს... შეურაცჰყოფა მიაყენე რამე, ცხრა ლიტრიანი მუშტი მზათა აქვს“.[410]

ყარაჩოღელთა კულტურას წარმოადგენს ამქრობა. ამქრობა[411] იყო ძველი დროის ხელოსანთა პროფესიონალური ორგანიზაცია, რომელიც დაუწერელი ნორმებით[412] იმართებოდა და მრავალი ადათი და ჩვეულება გააჩნდა.

ხელოსნების თითოეულ დარგს საკუთარი ამქარი ჰქონდა. ამქარს ჰქონდა საკუთარი დროშა და ჰყავდა თავისი გამგეობა, რომელსაც განაგებდა უსტაბაში. უსტაბაში იყო დიდი გავლენის მატარებელი, ოსტატების მიერ არჩეული პიროვნება (მამასახლისი), რომელიც სარგებლობდა „დაუბერებელი ავტორიტეტით“ და, რომლის საქმიანობის ძირითად მოვალეობას ზედამხედველობა წარმოადგენდა, რომ არ დარღვეულიყო ამქრის ცხოვრებაში წესიერება. მას საქმის გადაწყვეტაში ერთნახევარი ხმა ჰქონდა.

ამქრის წესდებიდან მნიშვნელოვანი იყო რამდენიმე ნორმა: 1. ოსტატთა შორის კოლეგიალობა, მაგ. არცერთი ამქრის წევრი ოსტატი ხელს არ ახლებდა თავისი მეგობრის დაწყებულ საქმეს; 2. ოსტატთა შორის სოლიდარობა, მაგ. თუ ოსტატი დაიღუპებოდა, მისი ამქრის ოსტატები სახელოსნოებს კეტავდნენ და გარდაცვლილს პატივს მიაგებდნენ, მას ამქრის ხარჯებით კრძალავდნენ; 3. ოსტატის პირადი პასუხისმგებლობა შეგირდების „ავ-კარგიანობაში“; 4. შეგირდის გამოცდა, მის შეგირდად აყვანამდე, მაგ. ოსტატი პატიოსნების გამოსაცდელად სახელოსნოში განზრახ ფულს დააგდებდა და ჩუმად შეგირდს თვალყურს ადევნებდა, შეგირდი ნაპოვნ ფულს ოსტატს მიუტანდა თუ თვითონ ჩაიდებდა; 5. შეგირდის ხელოსნად დალოცვის ცერემონია, რომლის შემდეგაც იგი ამქრის წევრი ხდებოდა; 6. ქვრივ-ობოლთა მოვლა პატრონობა; 7. შელახული სახელისთვის ან მიყენებული ზარალისთვის შურისძიება.

აღსანიშნავია, რომ ოსტატები ამ ნორმებს „მუხლმაგრად“ ასრულებდნენ.

ყარაჩოღელების და „კანონიერი ქურდების“ საერთო მახასიათებლები

ყარაჩოღელების თვისებები, ცხოვრების წესი და სხვა ოსტატებთან ურთიერთობის ნორმები ერთგვარ მსგავსებაშია „კანონიერი ქურდების“ ნორმებთან და ცხოვრების წესსთან.

---

[409]იგივე, გვ. 20.

[410]მესხი, ს., 1904. გვ. 325.

[411]ამქრობა სპარსული სიტყვიდან ჰამქარ არის წარმოშობილი და ნიშნავს თანამოსაქმეობას.

[412]იოსებ გრიშაშვილის თქმით „ამქრის უმეტესმა ნაწილმა ... წიგნი არ იცოდა“, ამიტომ ყველა-ფერი (ნორმების დადგენა, შეცვლა ან მის შესრულებაზე კონტროლი) ზეპირად ხდებოდა. იხ.: გრიშაშვილი, ი., 1927. გვ. 50.

ა) ამქრები იყო ერთნაირი სახეობის ოსტატთა ანუ ყარაჩოღელთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომელნიც სხვა ამქრების ოსტატებთან დაუწერელი ნორმების საშუალებით ურთიერთობდნენ. ამქრის შედარება შეიძლება „კანონიერი ქურდის“ ჯგუფთან, რომელიც სხვა „კანონიერი ქურდის“ ჯგუფისაგან დამოუკიდებელია და მათთან ურთიერთობა ქურდული ნორმებით ხორციელდება. როგორც ერთნაირი სახეობის ოსტატთა ამქრა, ასევე კრიმინალური დაჯგუფება „კანონიერი ქურდი“ ერთი მხრივ, ქმნიან დამოუკიდებელ ორგანიზაციულ ერთეულს და მეორე მხრივ, წარმოადგენენ საერთო ორგანიზაციის (იგულისხმება ამქარში გაერთიანებულ ხელოსანთა ერთიანი სისტემა, რომლის წევრები მხოლოდ ოსტატები იყვნენ და კრიმინალური ჯგუფი „კანონიერი ქურდები“) ერთ მცირე ნაწილს.

ბ) უსტაბაში იყო ყარაჩოღელების მიერ არჩეული ამქრის „მამასახლისი“, „დაუბერებელი ავტორიტეტი“, რომლის მოვალეობაც ამქრის წეს-ჩვეულებების შენარჩუნებაა. უსტაბაში სარგებლობდა ერთნახევარი ხმის უფლებით. უსტაბაშის ინსტიტუტის შედარება შეიძლება „კანონიერი ქურდების“ მიერ არჩეული „ГлаВор“-ს (მთავარი ქურდის) ინსტიტუტთან, რომლის აზრს „სხოდკაზე“ დიდი მნიშვნელობა აქვს. „ГлаВор“-ის ერთ-ერთი მოვალეობა, როგორც უსტაბაშისა სწორედ „კანონიერი ქურდის“ ზნე-ჩვეულებების დაცვა და განმტკიცებაა.

გ) ყარაჩოღელი ოსტატი ერთპიროვნულად აგებდა პასუხს საკუთარი შეგირდის საქციელზე. იგივე წესი მოქმედებს ორგანიზაცია „კანონიერი ქურდებში“. ის „კანონიერი ქურდი“, ვინც კრიმინალურ ავტორიტეტს „სხოდკაზე“ „ქურდობის ტიტულზე“ წარადგენს, ერთპიროვნულად აგებს პასუხს ორგანიზაციის წინაშე „ქურდობის“ კანდიდატის შემდგომ საქციელზე.

დ) ამქრების და მასში შემავალ ხელოსანთა ურთიერთობა, ისევე როგორც „კანონიერ ქურდებს“ შორის ურთიერთობა, რეგულიერდება დაუწერელი ნორმებით. ეს ნორმები ერთმანეთს ძალიან ჰგავს მათი შინაარსით და დატვირთვით. კერძოდ, ყარაჩოღელებში დიდი ყურადღება ექცევოდა სხვა ოსტატისადმი სოლიდარობას და ურთიერთპატივისცემას, ისევე როგორც ეს არის „კანონიერ ქურდებში“; ხელოსნის გარდაცვალების შემთხვევაში ამქარი კრძალავდა მას, ასეთივე წესია „კანონიერ ქურდებში“. თუ ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა, მისი დაკრძალვის ხარჯებს „ქურდები“ ფარავენ; როგორც ყარაჩოღელისთვის, ასევე „კანონიერი ქურდისათვის“ ფული მხოლოდ დროს ტარების საშუალებაა. მათ შეიძლება ერთ დღეს დახარჯონ ოსტატობით (ყარაჩოღელები) და ქურდობით („კანონიერი ქურდები“) ნაშოვნი მთელი თანხა; „კანიონიერ ქურდს“ ეკრძალება იარაღის ხელში აღება, ხოლო ყარაჩოღელი ვერცხლის ხანჯალს ატარებს, მაგრამ ჩხუბის დროს მაინც „ცხრა ლიტრიანი“ მუშტის გამოყენებას ამჯობინებს.

ყარაჩოღელებისა და „კანონიერი ქურდების“ საერთო მახასიათებლები:

ყარაჩოღელები	**„კანონიერი ქურდები“**
შავი ჩოხა-ახალუხი	შავი ფერის ტანსაცმელი
შეგირდების ყოლა	კრიმინალი ახალგაზრდობის (შეგირდების) ყოლა
შეგირდის საქციელზე ოსტატის პირადი პასუხ-ისმგებლობა	„კანონიერი ქურდობის“ კანდიდატის საქციელზე „კანონიერი ქურდების“ პასუხისმგებლობა
სხვა ოსტატებისადმი კოლეგიალობა	სხვა „კანონიერი ქურდისადმი“ პატივისცემა და სოლიდარობა
ვაჟკაცობა, სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენა	ვაჟკაცობა, სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენა

თავდაჯერებულობა	თავდაჯერებულობა
შურისძიების სურვილი	შურისძიების სურვილი
საუბრის ოსტატობა, „სიტყვის შედევრის“ შექმნა	საუბრის ოსტატობა საქმის გარჩევის დროს
გულმართალი, პატიოსანი, რაინდი	Вор Чесняг /Справедливий Вор - სამართლიანი ქურდი
ერთნაირი ხელობის ოსტატთა ამქრობის დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც ქმნის ოსტატთა ერთიან სისტემას	„კანონიერი ქურდების“ დამოუკიდებელი ერთეულები, რომლებიც ერთიანობაში ქმნიან კრიმინალურ ორგანიზაციას
უსტაბაშის, როგორც ავტორიტეტული ხელოსნის არჩევითი ინსტიტუტი	„ГлаВор“-ი, როგორც „კანონიერი ქურდების“ მიერ არჩეული კრიმინალური ავტორიტეტი
გართობა, მოლხენა, ღვინის სმა, აბანოებში სიარული. ერთი კვირის ნაშრომის ერთ დღეს დახარჯვა	გართობა, ღვინის სმა, ნარკოტიკების მიღება
დაუწერელი ნორმებით საქმიანობის რეგულირება	დაუწერელი ნორმები

„კანონიერი ქურდების“ წარმოშობის სავარაუდო ვერსია

დღეს არსებული ინფორმაციით „კანონიერი ქურდის“ არსებობა დასტურდება ოქტომბრის 1917 წლის რევოლუციის შემდეგი პერიოდიდან, კერძოდ გასული საუკინის 20-იანი - 30-იანი წლებიდან. სწორედ ოქტომბრის რევოლუციამ და საბჭოთა მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მშენებლობის იდეოლოგიამ მოსპო ხელოსნების ისეთი ინსტიტუტი, როგორიც იყო ყარაჩოღელები. შესაძლებელია ყარაჩოღელებს არ სურდათ თავიანთი აღიარებული საზოგადოებრივი მდგომარეობის დაკარგვა და წინააღმდეგობას უწევდნენ ბოლშევიკურ სახელმწიფო აპარატს, რაც მათი (ყარაჩოღელების) დაპატიმრებით და/ან გადასახლებით მთავრდებოდა. სწორედ ციხეში მყოფმა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე განაწყენებულმა, ვაჟკაცმა, თვითდაჯერებულმა, გულმართალმა საზოგადოებისათვის (მათ შორის პატიმრებისათვის) პატივსაცემმა ადამიანებმა, ყარაჩოღელებმა, რათა შური ეძიათ საბჭოთა სახელმწიფო წესწყობილებაზე და დაებრუნებინათ უწინდელი დიდება, ჩამოაყალიბეს დანაშაულებრივი სტრუქტურები, რომელმაც წლების განმავლობაში ევოლუცია განიცადა და „კანონიერი ქურდების“ სახელით გახდა ცნობილი.

ხოლო ის ყარაჩოღელები, რომლებიც გადაურჩნენ საბჭოთა სახელმწიფოს და დაპატიმრებულ და/ან გადასახლებულ არ იქნენ, შეერივნენ საზოგადოებრივ თანაცხოვრებას, თუმცა მაინც დაამჩნიეს თავიანთი კვალი „ქუჩის ბიჭების“ ფენომენის სახით.

4.8. „კანონიერი ქურდების“ წარმოშობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები

ემილ დიურკემის აზრით, არ არსებობს ისეთი საზოგადოება, სადაც დანაშაული არ ხდებოდეს. მისი აზრით, დანაშაული ნორმალური მოვლენაა და იგი დანახულ უნდა იქნეს როგორც, ჯანსაღი საზოგადოების ინტეგრირებული ნაწილი.[413] სხვაგვარად გვაქვს ისეთი საზოგადოების დროს საქმე, როდესაც დანაშაულის ჩადენა არანორმალურ ფორმას იღებს. კერძოდ, როდესაც სახეზეა დიდი რაოდენობით

[413]Dukheim, E., 1968. S. 4.

დანაშაულის ჩადენა, რასაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმებზე დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია და რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა შორის ნორმალურ (ცივილიზირებულ) ურთიერთობებს.[414]

სწორედ ასეთ „არანორმალურ“ დანაშაულების ჩადენასთან გვქონდა საქმე საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში. საბჭოთა მოქალაქეთა ერთი ნაწილი არ (ვერ) კმაყოფილდებოდა სახელფასო შემოსავლებით და ყველა საშუალების გამოყენებით (მათ შორის კრიმინალურითაც) ცდილობდა ქონებრივი უპირატესობის მიღებას. ამ მოვლენას ხელს უწყობდა საბჭოთა ხელისუფლებისა და მმართველობის აპარატის წარმომადგენელთა კორუმპირებულობა.

კრიმინალური ორგანიზაციები საკუთარი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების სარკეს წარმოადგენენ, ქვეყნის კულტურული (მენტალიტეტი, ადათჩვევები) პირობების გათვალისწინებით.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა პროცესებმა შეუწყო ხელი კრიმინალური ორგანიზაცია „კანონიერი ქურდის“ ფენომენის ჩამოყალიბებას და აღმავლობას, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ და გავაანალიზოთ საბჭოთა კავშირის განვითარების ისტორიული პროცესები.

4.8.1. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუცია და სამოქალაქო ომი

1917 წლის ზაფხულში ლენინი წერდა: „ჩვენ არა ვართ უტოპისტები, ... ჩვენ გვსურს სოციალისტური რევოლიუცია ისეთ ადამიანებთან, რომლებიც არსებობას ვერ შეძლებენ იერარქიის, კონტროლის, ზედამხედველის და ბუღალტერის გარეშე“.[415] ამ სიტყვებით ლენინმა აღწერა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ წარმოშობილი მომავალი საბჭოთა საზოგადოება, რომელიც 30-იან წლებში სტალინმა განამტკიცა. რევოლუციის შემდეგ წარმოიშვა და განვითარდა ორი საზოგადოებრივი კლასი: 1. ზედამხედველები, საზოგადოების მცირე ნაწილი ანუ ისინი, ვინც კონტროლს გაუწევდა მასას, და 2. საზოგადოების დიდი ნაწილი, რომლის მმართველობა და კონტროლი დაევალა საზოგადოების პირველ ნაწილს.

ახლად ჩამოყალიბებული საბჭოთა მთავრობის მიზანი იყო ძველი, რევოლუციამდელი ადამიანის ახალი ტიპის ადამიანით - „საბჭოთა ადამიანით“ – ჩანაცვლება, ფორმირება, რომელიც საბჭოთა პედაგოგიკის მიერ გამოგონებული ღონისძიებების წყალობით, მორჩილი და ადვილად მართვადი უნდა ყოფილიყო. მას სრულად უნდა დაეკარგა ინდივიდუალური სურვილები და დამორჩილებოდა კოლექტიურ ნებას.

საბჭოთა საზოგადოების და „საბჭოთა ადამიანის“ ფორმირების მიზნით საბჭოთა მთავრობამ სრულად გაანადგურა ბურჟუაზიული და სოციალური ღირებულებები და ამით ხელი შეუწყო იმ ფუნდამენტის მორღვევას, რაზეც ხდება ახალი საზოგადოების ჩამოყალიბება. ბოლშევიკებმა თავიანთი კანონებით გაანადგურეს არა მარტო რელიგიური საზოგადოება, არამედ მანამდე არსებული ნორმალური ოჯახური ცხოვრების წეს-ჩვეულებები. ბოლშევიკებმა „წითელი ტერორის“ პერიოდში (1918-1922) გაანადგურეს (ან აიძულეს ქვეყანა დაეტოვებინა) ყველა მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტია და საღად მოაზროვნე „ბურჟუაზი“.

---

[414]იქვე.
[415]Lenin. 1970. S. 358.

1917 წლის რევოლუციის და სამოქალაქო ომის შედეგი იყო იმდროინდელი „ბურ-ჟუაზიული“ ინტელიგენციის განადგურება და ქვეყნაში არსებული პოლიტიკური დაპირისპირებები, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის კრიმინალურ დაჯგუფებებს ყო-ველგვარი პრობლემის გარეშე გადარჩენილიყვნენ.

4.8.2. მდიდარ გლეხთა გაკულაკება

1921 წელს შემოღებულ იქნა ე.წ. „ახალი ეკონომიკური პოლიტიკა“, რომელიც გლეხებისათვის მოწეული შემოსავლის ერთი ნაწილის მათ სარგებლობაში დატოვე-ბას და მათი სურვილისამებრ რეალიზაციას ითვალისწინებდა. ამან ხელი შეუწყო ქვეყანაში, სოფლის მეურნეობის და მცირე ვაჭრობის განვითარებას. სტალინმა ამის საწინააღმდეგოდ 20-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო ქვეყნის ინდუსტრიალ-იზაცია და იძულებითი კოლექტივიზაცია, რომელიც 1929 წელს მდიდარ გლეხთა გაკულაკებით დასრულდა. გლეხები, რომლებიც კოლექტივიზაციის წინააღმდეგნი გამოვიდნენ, გადასახლებულ ან დახვრეტილ იქნენ, ქონების კონფისკაციით. გლეხებისადმი სახელმწიფო მთავრობის ასეთმა უდიერმა დამოკიდებულებამ 1932/33 წლებში მოსახლეობის შიმშილი გამოიწვია, რომელსაც მილიონობით ადამი-ანი ემსხვერპლა.

4.8.3. 1937 წლის ტერორი საბჭოთა კავშირში

ლენინის სიკვდილის შემდეგ, 1924 წელს სახელმწიფო სათავეში სტალინი მოვიდა. მან კამენევთან და ზინონიევთან ერთად შექმნა ე.წ. ტრიუმფალური საბჭო, რომლის მიზანი ტროცკის პოლიტიკიდან ჩამოცილება იყო. ტროცკი საბჭოთა კავშირში ლენ-ინის გვერდით ერთ-ერთ გავლენიან ფიგურად ითვლებოდა.

ტროცკისტების წინააღმდეგ ბრძოლამ თავის უმაღლეს მწვერვალს 30-იანი წლების მეორე ნახევარში მიაღწია. მანამდე „წმენდა“ მოეწყო უნივერსიტეტებში (1925), სოფლებსა (1926) და საზოგადოებაში (1929/30, 1933).

ე.წ. „დიდი წმენდა“ მოხდა 1935-36 წლებში იაგოდას, 1936/38 წლებში იეშოვის და 1938-39 წლებში ბერიას ხელმძღვანელობით. შეიქმნა ე.წ. „ტროიკები“ – „სამეულები“, რომლის წევრებიც მოსამართლის როლს ასრულებდნენ და ადგილობრივი მმართველობის ორგანოდან ინიშნებოდნენ. ისინი დღეში 900-მდე ადამიანისათვის განაჩენის გამოტანას ახერხებდნენ. უმრავლესობას ბრალად ედებოდა სამშობლოს ღალატი და წაყენებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლი. ბრალდებულთა უმრავლესობა იყვნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, პროფესორები, გენერლები და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მომუშავე პირები. განაჩენთა დიდი უმრავლესობა სასჯელის სახით დახვრეტას ან გადასახლებას ითვალისწინებდა, საიდანაც ისინი უგზო-უკლოდ იკარგებოდნენ.

„დიდი წმენდის“ პერიოდში დაპატიმრებულ იქნა დაახლოვებით რვა მილიონი საბ-ჭოთა მოქალაქე, ერთი მილიონი დახვრეტილ იქნა, ხოლო ორი მილიონი დაიღუპა გადასახლებაში.[416]

4.8.4. საბჭოთა რეჟიმის ბიუროკრატიული აპარატი და კორუფცია

ზოგადად, ბიუროკრატია არის სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური ან კერძო ადმინისტრაციული ორგანიზაციის ფორმა. საბჭოთა კავშირში საზოგადო და

[416]Conquest, R., 1970. S. 962.

პოლიტიკური ცხოვრება ქვეყნის ყველა სფეროში განიცდიდა კომუნისტური პარტიის დიდ ზეგავლენას და ზეწოლას. ქვეყანა იმართებოდა ერთპარტიული სისტემით. გარდა ამისა, სახელმწიფო აპარატის ყველა რგოლში არსებობდა კორუფცია, რაც ქვეყნის მოსახლეობაში უსამართლობის განცდას წარმოშობდა. კორუფციამ თავის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია ბრეჟნევის პერიოდში. სარწმუნო წყაროებიდან ირკვევა, რომ კორუფციულ გარიგებებში, თვითონ მაღალი რანგის პოლიტიკოსები და მათი დაახლოვებული პირებიც იყვნენ გარეული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვქონდა მაფიურ სტრუქტურებთან, რომლის იერარქიაში უკანასკნელ საფეხურზე რიგითი მუშაკი, ხოლო უმაღლეს საფეხურზე მაღალი თანამდებობის პირები იდგნენ. ამ კარგად ორგანიზებულ კრიმინალურ სისტემაში ყველამ იცოდა კორუფციული „თამაშის წესები“. ასე მაგალითად, თუ რიგითი მუშაკი ქრთამის სახით 100 მანეთს აიღებდა, იგი ისე ანაწილებდა თანხას, რომ ყველა იერარქიულ საფეხურს თავისი „კუთვნილი წილი“უნდა რგებოდა.

4.8.5. საბჭოთა ტერორის შედეგები

საბჭოთა სისტემამ შიდა რეპრესიების გამო ალ. სოლჟენიცინის მონაცემებით 45-50 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.[417] ამ ტერორის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა მთავრობა ერთი ერის ან ერთ ტერიტორიაზე მყოფ პირთა ტერორს კი არ აწარმოებდა, არამედ იგი ანადგურებდა საზოგადოების ჯანსაღ, მოაზროვნე ნაწილს. ტერორის მსხვერპლთა დიდი ნაწილი იყო კრიტიკულად მოაზროვნე ინტელიგენცია, რომელთა უმრავლესობა სწორი ხედვით გამოირჩეოდა და წინააღმდეგობას უწევდა ან არ ემორჩილებოდა საბჭოთა ხელისუფლებას, ან შეეძლოთ წინააღმდეგობა გაეწიათ მისთვის. მოაზროვნეთა ის ნაწილი, ვინც ტერორს გადაურჩა იძულებული გახდა ეთანამშრომლა საბჭოთა მთავრობასთან. ინტელიგენციის წინააღმდეგ მიმართულმა დახვრეტებმა, დაპატიმრება-გადასახლებებმა გამოიწვია მისი წელში გატეხვა და ხალხში კულტურის დაკარგვა. წარმოიშვა ე.წ. „ნახევრად კულტურული ადამიანი“,[418] რომელიც საშიში იყო, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებისათვის, ისე საზოგადოებრივი განვითარებისათვის, რადგან იგი საშუალებას არ აძლევდა თავისზე განვითარებულ ადამიანს გამოემჟღავნებინა საკუთარი შესაძლებლობები, რადგან შიში ჰქონდა საკუთარი პოზიციის დაკარგვის.

სწორედ 70 წლის განმავლობაში განადგურებული კულტურული ღირებულებების ნაკლებობას უკავშირდება სხვა ყველა სახის სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი პრობლემა.[419]

4.8.6. საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობები და კრიმინალური ორგანიზაციის განვითარება

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალური ორგანიზაცია „კანონიერი ქურდები“ გამოირჩეოდა თავისი „დემოკრატიული“ მმართველობის ფორმით, რომელიც გასცილდა ნაციონალურ საზღვრებს. „კანონიერი ქურდი“ გვხვდებოდა

---

[417]Solschenizin, A., 1994. S. 115-116.

[418]Лихачев Д. С., 1990.

[419]იქვე.

საბჭოთა კავშირში მცხოვრებ თითქმის ყველა ეროვნების სახით.[420] „კანონიერი ქურდები“ საზოგადეობას, როგორც „რაინდი დამნაშავეები“ ისე ევლინებოდნენ და საკუთარ უკანონო ქმედებებს მყარი, ლოგიკური არგუმენტებით ასაბუთებდნენ. საბჭოთა პოლიტპატიმრები „კანონიერ ქურდებს“ ადარებდნენ ჰიდრას, რომელიც ქვეყნის ყველა სფეროში იყო მოდებული.[421]

წლების განმავლობაში „კანონიერი ქურდების“ შესახებ საინფორმაციო ვაკუუმმა, ისინი, როგორც ამას სიცილიური მაფიის შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, მითოლოგიით მოიცვა და საინტერესო გახადა ფართო საზოგადოებისათვის.

ზემოაღნიშნულს დაემატა საბჭოთა კავშირში არსებული სახელმწიფო სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორები, რამაც უფრო მეტად შეუწყო ხელი კრიმინალური ორგანიზაცია „კანონიერი ქურდების“ განვითარებას და გაძლიერებას. ეს ფაქტორებია:

1. 1987 წლამდე კრიმინალური ორგანიზაცია „კანონიერი ქურდების“ არსებობა ოფიციალურად არ დასტურდებოდა. შესაბამისად არ მომხდარა მისი მეცნიერული აღწერა, შეფასება, კრიტიკა და სამომავლო პროგნოზირება. კრიმინალური ორგანიზაცია „კანონიერი ქურდები“ თავისი იერარქიით, ინსტიტუტებით, საკუთარი ენით, ქცევის წესებით, თუ მყარი ერთიანობით ჯერ კიდევ (დღემდე) არ გამხდარა იურისტების, ფსიქოლოგების და სოციოლოგების მეცნიერული კვლევის ობიექტი. დიდი ხნის განმავლობაში სპეციალისტებმა არაფერი იცოდნენ ამ ფენომენის არსებობის და ფუნქციონირების შესახებ, შესაბამისად ძნელი ხდება ამ კრიმინალურ ფენომენთან ბრძოლის მექანიზმების შემუშავება.

2. იურისტების მიერ საბჭოთა კავშირში დანაშაული სახელმწიფო იდეოლოგიის მიხედვით იყო განმარტებული. იგი (დანაშაული) არსებობდა, როგორც კაპიტალიზმის გადმონაშთი, და რომ იგი დროთა განმავლობაში საერთოდ გაქრებოდა.[422] დანაშაულისადმი ამგვარი მიდგომა ხელს უშლიდა „კანონიერი ქურდის“ არსებობის შესახებ მეცნიერულ განმარტებებს. ეს ფაქტი, თავის მხრივ, ბრწყინვალედ იქნა გამოყენებული ორგანიზაცია „კანონიერი ქურდის“ მიერ, რომელიც უფრო ღრმად და წარმატებულად იჭრებოდა საბჭოთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

3. საბჭოთა კავშირის მაღალჩინოსანთა კორუმპირებულობამ და კრიმინალურმა საქციელმა სრულიად დააკარგვინა საბჭოთა მოქალაქეს სახელმწიფოსადმი ნდობა. მას ერთმანეთისაგან ვეღარ გაერჩია ვინ იყო „კარგი“ და ვინ „ცუდი“. ყოველივეს შემხედვარემ, მან დაკარგა იმის უნარი, სახელმწიფო მოხელე ჩვეულებრივი დამნაშავისაგნ გაერჩია. ამიტომ ხშირად მიმართავდა იგი ავტორიტეტულ დამნაშავეს მისთვის პრობლემური საკითხის გადაწყვეტისათვის. გასათვალისწინებელია ასევე ის გარემოება, რომ სასამართლო ერთ ჩვეულებრივ კორუფციულ სახელმწიფო ორგანოს წარმოადგენდა.

4. საბჭოთა კავშირის ძალოვან სტუქტურათა კორუმპიულობამ ნოყიერი ნიადაგი შექმნა „კანონიერი ქურდების“ გაძლიერებისათვის. კრიმინალები ძალოვანი

---

[420]ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდნენ ჩეჩნები და კაზაკები, რომელთანაც რელიგიური და ოჯახური ადათ-წესების სიმტკიცის გამო, ფეხი ვერ მოიკიდა „კანონიერი ქურდის“ ფენომენმა.

[421]ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ჰიდრა არის წყლის ცხრათავიანი დიდი გველი, რომელსაც ერთი თავის მოკვეთის შემთხვევაში ორი ახალი თავი ამოსდის. მითოლოგიის თანახმად, ჰერაკლემ მხოლოდ მისი მეუღლის დახმარებით მოახერხა ჰიდრას დამარცხება.

[422]Oschlies, W., 1991. S. 5.

სტრუქტურებისათვის თანხის მიცემით, ახერხებდნენ, როგორც „სხოდკის“ მოწყობას და კრიმინალებისათვის ციხის პირობებში დახმარების გაწევას, ასევე თავს აღწევდნენ დაპატიმრებებს და აგრძელებდნენ თავის კრიმინალურ ცხოვრებას.

5. საბჭოთა კავშირის მოქალაქემ მის მაღალჩინოსანთა შემხედვარემ ისწავლა, რომ იმისათვის, რომ კარგად ეცხოვრა უნდა მოეპარა, მოეტყუებინა და ეთაღლითა. შესაბამისად ბევრი მათგანი იქნა დაპატიმრებული. არაოფიციალური მონაცემებით 50-იან წლებში 20 მილიონი,[423] ხოლო 1961 - 1985 წლებში 30 მილიონი საბჭოთა მოქალაქე იხდიდა საბჭოთა ციხეებში სასჯელს.[424] ციხეში ისინი ეცნობოდნენ და ბევრი მათგანი „მოიწამლა“ კიდეც, „კანონიერი ქურდების იდეოლოგიით“. მათ ერთგვარი „დამნაშავეთა უნივერსიტეტი“[425] დაამთავრეს, რომლის „ცოდნასაც“ ისინი ციხის დატოვების შემდეგ, ადამიანებთან ურთიერთობაში იყენებდნენ, ანუ მათმა ერთმა ნაწილმა „კანონიერი ქურდების“ ნორმებით და ქცევის წესებით დაიწყო ცხოვრება და საბჭოთა საზოგადოებაში დაამკვიდრა ცხოვრებისა და ქცევის კრიმინალური წესები.

6. საბჭოთა ლიტერატურაში, კინოსა და მასობრივ მედიაში „კანონიერი ქურდები“ წარმოდგენილნი იყვნენ დადებით პიროვნებებად. ამან ხელი შეუწყო მათ პოპულარიზაციას მოსახლეობაში. საბჭოთა ახალგაზრდა ორ ცხოვრებისეულ გზას ირჩევდა: სახელმწიფო აპარატში კარიერას ან „კანონიერ ქურდობას“.[426]

7. სტალინისტური გულაგი აღარ არსებობდა მხოლოდ ქაღალდზე, სინამდვილეში ციხის ცუდი პირობები და პატიმრებისადმი არაადამიანური დამოკიდებულება დღის წესრიგში მაინც იდგა. ციხის სისტემა რესოციალიზაციას კი არ უწყობდა ხელს, არამედ პატიმრის გაკრიმინალებას. ასე, რომ კრიმინალურ ორგანიზაცია „კანონიერ ქურდებს“ ყოველთვის ჰყავდათ რეზერვი, ის ყოფილი, თუ მოქმედი პატიმრები, ვინც განაწყენებული იყო საბჭოთა სასჯელაღსრულების სისტემაზე და თავის ადგილს ორგანიზაცია „კანონიერ ქურდებში“ პოულობდა.

8. საბჭოთა კავშირში განხორციელებული ტერორი და კრიტიკულად განწყობილ მოქალაქეთა დევნა, მიმართული იყო ინტელიგენციისაკენ, ანუ სახელმწიფომ მოსპო საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილი, ის ვისაც უნარი გააჩნდა კრიტიკულად ეაზროვნა. გადარჩენილებს სახელმწიფო ძალადობის ისე ეშინოდათ, რომ ისინი იძულებულნი იყვნენ ან თავი შეეკავებინათ, ან უნარი არ გააჩნდათ სახელმწიფოს თუ საზოგადოების ან „კანონიერი ქურდების“ იდეოლოგია გაეკრიტიკებინათ.

9. კორუმპირებული სასამართლო სისტემა ქმნიდა მოსახლეობაში უსამართლობის გრძნობის ჩამოყალიბების მაღალ რისკს. საბჭოთა საიდუმლო სამსახურებმა იცოდნენ მოსამართლეთა კორუმპირებულობის შესახებ. ამის აღიარებას შეიძლება გამოეწვია საბჭოთა კავშირის იმიჯის საგრძნობი შელახვა და დაშლა. საბჭოთა საიდუმლო სამსახურები მოსახლეობაში სამართლიანობის გრძნობის დასაკმაყოფილებლად იძულებულნი იყვნენ შეექმნათ „კვაზი სასამართლო“ სისტემა „კანონიერი ქურდების“ სახით. სწორედ, „კანონიერი ქურდები“ უზრუნველყოფდნენ მოსახლეობაში სამართლიანობის განცდას საქმეების გარჩევით და კონფლიქტების მოგვარებით. აღნიშნულმა კი, ხელი შეუწყო საზოგადოებაში მათ პოპულარიზაციას;

---

[423]Dobrowski, I. (Hrsg.), 2002. S. 275.
[424]Александров, Ю.К., 2001. S. 28.
[425] Illesch, A., 1991. S. 95.
[426]Koehler, J., 2000. S. 59.

10. მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა რამდენიმე ათეულობით მილიონი საბჭოთა მოქალაქე. დაღუპულების შვილები დარჩნენ სოციალური კონტროლისა და ემოციური კავშირების გარეშე. შესაბამისად, ბევრი მათგანისათვის ციხე და „კანონიერი ქურდის“ იდეოლოგია იქცა „თავშესაფრის“ ერთადერთ საშუალებად. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების სტატისტიკის თანახმად, არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი 200 ბავშვიდან 101 იზრდებოდა უმამოდ, 3 – უდედოდ, ხოლო 5 – ორივე მშობლის გარეშე.[427]

კრიმინალურმა ორგანიზაციამ „კანონიერი ქურდები“ კარგად გამოიყენა საბჭოთა სახელმწიფოს უუნარობა და სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია იკისრა, კერძოდ „კანონიერი ქურდები“ აქტიურად მონაწილეობდნენ კონფლიქტების მოგვარებაში. „კანონიერი ქურდები“ მოსამართლის როლს ასრულებდნენ და ამით ცდილობდნენ თავიანთი იდეოლოგიის გავრცელებას. ზოგიერთი ავტორი ორგანიზაცია „კანონიერ ქურდებს“ სახელმწიფოსაც კი ადარებს. ისინი თვლიან, რომ საბჭოთა კავშირში ადგილი ჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოში მოქმედ „კანონიერი ქურდების“ სახელმწიფოს.[428]

ციხის პირობებში კრიმინალური სუბკულტურის წარმოშობის ორი თეორიული საფუძველი არსებობს: დეპრივაციის და კულტურული გადატანის თეორია.[429]

4.8.7. გაერთიანება „კანონიერი ქურდების“ ევოლუცია

ევოლუციის თეორიის სახელგანთქმული ავტორია ჩარლს დარვინი, ამიტომ ამ თეორიას დარვინიზმი ეწოდა. ამ თეორიაში ევოლუცია მხოლოდ ბიოლოგიის საზღვრებში, ანუ, ცოცხალ არსებებთან მიმართებაში განიხილება. დარვინამდე მალთუსმა (1766-1834 წწ.) აღნიშნა, რომ სამყაროში საარსებო საშუალებები მოსახლეობის ზრდის პროპორციულად არ იზრდებოდა, რაც არსებობისთვის ბრძოლას იწვევდა. დარვინი მალთუსის სიცოცხლისთვის ბრძოლის იდეას დაესესხა და ის ბიოლოგიაში ევოლუციონისტური დოქტრინის საშუალებად აქცია. დარვინი მიიჩნევს, რომ ცოცხალი არსებები არ არიან უცვლელნი, ისინი ერთმანეთში გარდაქმნისკენ (ტრანსფორმიზმი) ისწრაფვიან სიცოცხლისთვის ბრძოლის საფუძველზე, რომელიც ბუნებრივ გადარჩევას აწარმოებს: სიცოცხლისთვის ბრძოლაში გადარჩებიან უფრო ძლიერი ინდივიდები, უფრო სუსტები კი - იღუპებიან. ძლიერთა გადარჩენის ეს პროცესი შეადგენს სწორედ „ბუნებრივ გადარჩევას“,[430] რომელიც გარდაქმნის სახეობას, მსგავსად ხელოვნური გადარჩევისა, რომელსაც ადამიანები რასათა გასაუმჯობესებლად ახორციელებენ. ბუნებრივი გადარჩევით მიღებული სახეცვლილებანი მემკვიდრეობითობის საშუალებით ნარჩუნდება.

გადარჩენისათვის ბრძოლის მაგალითია გალაპაგოს არხიპელაგზე მცხოვრები 13 სხვადასხვა სახეობის ფრინველი (Darwins Finches). კუნძულები, რომლებიც ეკვადორის სახელმწიფოს ეკუთვნის, ხმელეთიდან 1000 კმ-ით არიან დაშორებულები. დარვინმა ექსპედიციის დროს აღმოაჩინა, რომ ამ ფრინველების

---

[427]გაბიანი, ა., 1969. გვ. 57.
[428]პოდლესკიხ, გ./ტერეშონოკ, ა., 1995. გვ. 7.
[429]დეპრივაციის და კულტურული გადატანის თეორიის შესახებ ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ./ მიქანაძე, გ./ ხასია, მ., 2014. გვ. 401-410.
[430]http://www.tagesspiegel.de/zeitung/wer-war-charles-darwin/1439086.html

წარმომავლობა ერთი იყო, მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ ნისკარტებით. იმისდა მიხედვით თუ როგორი სახის საკვები მოიპოვებოდა კუნძულზე და როგორ უნდა მოეპოვებინათ (ეჭამათ) ფრინველებს ეს საკვები განუვითარდათ მათ ნისკარტები (მაგ. ვისაც თხილი, კაკალი უნდა გაეტეხა მათი ნისკარტები მაგარი იყო, ხოლო ვისაც კენკრა უნდა ეჭამა მათი სუსტი და ა.შ.).[431]

ევოლუციის თეორია კარგად გამოხატავს ორგანიზებული დანაშაულის ხასიათს. დანაშაულებრივ გაერთიანებებს შორის ბრძოლა ნორმალური მოვლენაა და მრავლად ყოფილა არალეგალური დანაშაულებრივი გაერთიენებების ისტორიაში (იტალიური მაფიის პირველი და მეორე ომი და ა.შ.). დანაშაულებრივ გაერთიანებას თუ სურს გადარჩეს „კონკურენციის“ ბრძოლაში იძულებულია შეისწავლოს და მოერგოს მათი მოქმედების ადგილის, არეალის (საზოგადოებას, სახელმწიფოს) მოთხოვნილებებს. დანაშაულებრივი გაერთიანება ვალდებულია საზოგადოებრივ თუ სახელმწიფო სახეცვლილებას აუწყოს ფეხი და გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სამყაროში თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე იზრუნოს.[432]

2010 წლის მარტში ევროპის ხუთ ქვეყანაში (ავსტრია, გერმანია, ესპანეთი, შვეიცარია და იტალია) სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარდა ოპერაცია „იავა“ (java), რომლის ფარგლებშიც დაპატიმრებულ იქნა 69 ადამიანი. ამ ოპერაციაში მარტო ავსტრიაში მონაწილეობდა 172 პოლიციელი. ევროპის აღნიშნულ ხუთ ქვეყანაში დაპატიმრებულ იქნა 48 ქართველი. ავსტრიელი სამართალდამცავები ბინის ქურდობის 30 პროცენტს სწორედ ქართულ დაჯგუფებებს აბრალებდნენ. ავსტრიის სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით დაკავებულთა შორის არის ორი „კანონიერი ქურდი“, რომლებიც მეთაურობდნენ ამ დანაშაულებრივ გაერთიანებებს.[433]

ავსტრიელი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ გაშიფრულ იქნა ის იერარქია, რომელიც ევროპაში „მოღვაწე“ ქართულ დანაშაულებრივ გაერთიანებას ახასიათებდა. აღნიშნული იერარქიის ანალიზი მეტად საინტერესოა სწორედ დანაშაულებრივი გაერთიანებების ევოლუციის (განვითარების) თვალსაზრისით. იერარქია უფრო დახვეწილი, მყარი და კომპლექსურია, ანუ ხდება საქმიანობის გადანაწილება როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად (იერარქიულად). ასევე ამ ორგანიზაციის საქმიანობა ატარებს ტრანსნაციონალურ ხასიათს. იგი მოქმედებს ესპანეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, შვეიცარიასა და საფრანგეთში.

მოცემული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ევოლუციის ერთ-ერთი ნიშანი არის ფულის გათეთრების საქმიანობის განხორციელება. ამგვარი საქმიანობა ამ ორგანიზაციას არც რუსეთში, უკრაინაში და 2003 წლამდე საქართველოში არ ესაჭიროებოდა, ვინაიდან სამართალდამცავი ორგანოების კორუმპირებულობა მათ შესაძლებლობას აძლევდა უკანონო გზით ნაშოვნი ფული პირდაპირ, მისი გათეთრების გარეშე, ქვეყნის ეკონომიკაში დაებანდებინა. ევროპის ქვეყნების სამართალდამცავი ორგანოების არაკორუმპირებულობამ კი ისინი აიძულა ფულის გათეთრების მექანიზმი ჩამოეყალიბებინათ, რათა არ დაეკარგათ კრიმინალური გზით ნაშოვნი ქონება.

---

[431] http://www.merke.ch/biografien/biologen/darwin.php

[432] Besozzi, C., 1997. S. 23.

[433] http://diepresse.com/home/panorama/oesterreich/546801/print.do

თუ ყოფილი საბჭოთა ზოგიერთი ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი დანაშაულებრივად ნაშოვნ ფულს აღმოაჩენდა, გარკვეული თანხის აღების სანაცვლოდ თვალს დახუჭავდა ასეთი თანხის არსებობაზე, რაც ორგანიზებულ ჯგუფს ხელს აძლევდა დარჩენილი შავი ფულის ინვესტიცია, უკვე მოეხდინა ქვეყნის ეკონომიკაში, რაც შეუძლებელია ევროპის ქვეყნებში და დღევანდელ საქართველოში, სადაც პოლიციის მოსყიდვა არ ხდება ან მეტად რთულია. შესაბამისად, ევროპის ქვეყნებში მოქმედ საბჭოური წარმოშობის ორგანიზებულ ჯგუფებს დღის წესრიგში დაუდგათ კრიმინალური საქმიანობიდან შემოსული თანხის გათეთრება, რომელსაც კარგად ართმევდნენ თავს, როგორც ამას ამ ჯგუფების იერარქია მეტყველებს.

გალაპაგოს კუნძულების ფრინველების ზემოთმოყვანილი მაგალითი პირდაპირ შეიძლება იქნას გადმოტანილი ორგანიზებული ჯგუფების საქმიანობაზე. ამ ჯგუფების უკანონო საქმიანობა (ქონების მოპოვება, ძალაუფლების განმტკიცება) პირდაპირ კავშირშია სამოქმედო ქვეყანაში არსებულ სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სოციალურ მდგომარეობასთან. ევროპის ქვეყანაში მოქმედმა „კანონიერი ქურდის“ ამ დაჯგუფებამაც საკმაოდ მალე შეისწავლა ევროპის ქვეყნების სახელმწიფო სამართალდამცავი სტრუქტურები და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. იგი მიხვდა, რომ თუ სურდა გადარჩენილიყო სხვა კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლაში უნდა მოეხდინა „რეფორმა“ – ევოლუცია საკუთარი სტრუქტურული ორგანოების. სწორედ ასე იქნა ჩამოყალიბებული ახალი იერარქიული ერთეული, რომელშიც ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ფულის გათეთრების საფეხური წარმოადგენს.

4.9. ორგანიზებული დანაშაული: მითი თუ რეალობა?!

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ორგანიზებული დანაშაული იმ ფორმით როგორსაც ახასიათებენ: მყარი იერარქია, ძალადობის გამოყენება, სახელმწიფოსთან დაპირისპირება, შესაძლებელია რეალობაში არც არსებობდეს და საქმე გვქონდეს მითთან „ორგანიზებული დანაშაულის“ შესახებ.. კრიმინოლოგთა ერთი ნაწილის ამგვარი მიდგომა განპირობებულია ორგანიზებული დანაშაულის და დანაშაულებრივი ჯგუფის გამიჯვნის სიძნელითაც.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თუ რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე, საჭიროა თითოეული შეხედულების ჩამოყალიბება:[434]

- ორგანიზებული დანაშაულის არსებობა მეცნიერთა ერთი ნაწილისათვის დასტურდება იმით, რომ მას სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოები ებრძვიან. ორგანიზებული დანაშაული მათთვის ჰიდრას ჰგავს, რომლის თავები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია მიმოფანტული. სიცილიური მაფია, კოზა ნოსტრა, ჩინური ტრიადენი, რუსული მაფია არის ამ ჰირდას თავები, რომლის მიზანი მსოფლიო ბატონობას წარმოადგენს. მათი საქმიანობა ტრანსნაციონალურ ხასიათს ატარებს და არალეგალური ბაზრის მონოპოლიას ისახავს მიზნად, კორუფციით და დაშინებით ცდილობს ქვეყნის მმართველობაში მოსვლას. მეცნიერთა ეს ნაწილი ძირითადად ეყრდნობა ჟურნალისტების[435] და სამართალდამცავ ორგანოთა თანამშრომლების[436]

---

[434]Besozzi, C., 1997. S. 11.

[435]Lindlau, D., 1987; Roth, J., 2003; Schmid, U., 1996; Modestov, N., 1996.

[436]გუროვი, ა./რიაბინინი, ვ., 1995; Niggl, P., 1995. S. 637.

ინფორმაციას, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ არის ემპირიულ კვლევებზე დამყარებული;

- მეცნიერთა ერთი ნაწილი ორგანიზებულ დანაშაულს მიიჩნევს მოჩვენებით პრობლემად, რომელიც ხელს აძლევს სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს. სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს ორგანიზებული დანაშაულის შესახებ მითის არსებობა სჭირდება: 1) მოქალაქეთა უფლებების შესაზღუდავად; 2) სხვა სახის დანაშაულებების გადასაწონად. მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვის კარგი მაგალითია ორგანიზებული დანაშაულის ბრძოლის საბაბით სამართალდამცავი ორგანოების მიერ სატელეფონო მოსმენების განხორციელება. მოქალაქე საკუთარი უსაფრთხოებისათვის სახელმწიფოს უფლებას აძლევს შეზღუდოს მისი უფლებები. სახელმწიფოს ორგანიზებული დანაშაულის ბრძოლის მითი რომ არ გააჩნდეს, მოქალაქეს შესაძლებელია უარი ეთქვა უფლებების შეზრუდვაზე. ხოლო რაც შეეხება სხვა დანაშაულის გადაწონას. მეცნიერები თვლიან, რომ თავად სახელმწიფო პოლიტიკური პირები მონაწილეობენ ისეთი სახის დანაშაულებში როგორიც არის იარაღით ვაჭრობა, გადასახადების დამალვა, ფულის გათეთრება, ეკოლოგიური დანაშაული, სწორედ საზოგადოების მზერის ორგანიზებულ დანაშაულისადმი მიპყრობით მალავენ ისინი (სახელმწიფო პოლიტიკური პირები) საკუთარ დანაშაულებს.

გარდა ამისა, ნორმალურ მოქალაქეს მასმედიის საშუალებით ექმნება ორგანიზებული დანაშაულის შესახებ მტრის სურათი, რომელიც გარედან მოდის და რომლისაგან დაცვაც მას მარტოს, სახელმწიფოს გარეშე არ შეუძლია და სახელმწიფომ უნდა მოახდინოს მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღნიშნულით, მკვიდრდება მოქალაქის სახელმწიფოსადმი დამოკიდებულება, რაც სახელმწიფოს ესაჭიროება მოქალაქის უფლებების შესაზღუდავად;[437]

- მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ორგანიზებული დანაშაული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის შესაბამისია, რომელიც ქვეყნის კულტურასთან (მენტალობასთან) ერთად ყალიბდებოდა. ამის ნათელი მაგალითია კანონიერი ქურდები საბჭოთა კავშირის დროს. თუ კანონიერი ქურდები საბჭოთა კავშირის დროს საზოგადოებრივი ურთიერთობის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც სახელმწიფო ფუნქციებს ასრულებდა (კონფლიქტის მოგვარება, გადაწყვეტილების ასრულება და ა.შ.) მაშინ ისმება კითხა: როგორ შეიძლება კანონიერ ქურდებზე, როგორც დანაშაულებრივ ორგანიზაციაზე საუბარი? და თუ ვაღიარებთ, რომ კანონიერი ქურდები დანაშაულებრივი ორგანიზაცია იყო, მაშინ საზოგადოებაც დანაშაულებრივი ყოფილა. ამ შემთხვევაში საქმე შეიძლება გვქონდეს მითთან კანონიერი ქურდების შესახებ, რათა ხელი შეეშალა საბჭოთა მოქალაქისათვის თავისუფლად დაეწყო აზროვნება (მითოლოგიით სოციალიზირებული ადამიანი ვერ იაზროვნებს თავისუფლად და შესაბამისად არ წარმოადგენს საფრთხეს საბჭოთა სახელმწიფოსათვის) ან საზოგადოების სურვილთან დაეკმაყოფილებინა ის მოთხოვნები, რომლის მიღებაც მას არ შეეძლო საბჭოთა სახელმწიფოსაგან (სამართლიანობის მიღწევა);

- მეცნიერთა ერთი ნაწილი აღიარებს, რომ ორგანიზებული დანაშაული არსებობს, მაგრამ ეჭვქვეშ აყენებს მათ (ორგანიზებული დანაშაულის) ზოგიერთ თვისებას და მათი მხრიდან წამოსულ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ

[437]Besozzi, C., 1997. S. 12.

საშიშროებას. მეცნიერთა ეს ნაწილი ფიქრობს, რომ ორგანიზებული დანაშაული არის როგორც მითი ასევე რეალობა, როგორც საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირში მყოფი, ასევე დამოუკიდებელი ფორმა ურთიერთობის, რომლის შესახებაც სრულყოფილი სურათისათვის საჭიროა როგორც ემპირიული კვლევები, ასევე ქვეყნის ისტორიულ-პოლიტიკური ანალიზი.[438]

მეცნიერთა ის ნაწილი, რომელიც ფიქრობს, რომ ორგანიზებული დანაშაული მითიც არის და რეალობაც კრიტიკულად უდგება გაბატონებულ შეხედულებას იმის თაობაზე, რომ ორგანიზებულ დანაშაულს აქვს: მყარი იერარქია, მათი საქმიანობა არის ორგანიზებული, ტრანსნაციონალური ქსელის არსებობა, ძალადობის გამოყენება, პოლიტიკის და სახელმწისოფადმი დაპირისპირება, სწრაფვა ძალაუფლებისაკენ. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

- **მყარი იერარქია**

მაფია-ოჯახებს გააჩნიათ იერარქია, რომელიც ხშირ შემთხვევაში არ არის მყარი. ასე მაგალითად, როიტერის მიერ განხილულ ნიუ-იორკის მაფიას მყარი იერარქია არ აღმოაჩნდა.[439] მსგავსად სხვა მაფია ჯგუფებისა, სადაც uomo d`onore – აღიარება და პატივისცემა - დამოკიდებული იყო არა იერარქიაში დაკავებულ ადგილზე, არამედ პიროვნების იმიჯზე. აღნიშნულის გამო მაფიური ოჯახების წევრები არც თუ ისე იშ-ვიათად არღვევდნენ იერარქიულ დამოკიდებულებას და საკუთარი სურვილით მოქმედებდნენ.[440]

გერმანელი მეცნიერის ჰესის თანახმად, „ის მაფიური დაჯგუფებები, რომლებიც ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე არიან გაფანტულები, რომელიმე ცენტრალურ მაფიურ მმართველობას დაქვემდებარებულები არ არიან. ასეთი ჯგუფები შესა-ძლებელია ერთად თანამშრომლობდნენ ან თანაგრძნობა გააჩნდეთ ერთმა-ნეთისადმი, მაგრამ, უფრო ხშირად, ისინი ერთმანეთს ებრძვიან კონკრეტული ეკონომიკური სექტორის კონკურენციის გამო, ან თუ ერთსა და იმავე ქალაქში ან რაიონში რამდენიმე ასეთი დაჯგუფებაა“.[441] იტალიაში მოქმედი ე.წ. რეგიონალური კომისია, რომელიც შეიძლებოდა ჩათვლილიყო მაფიური ჯგუფების ბრძანების გამცემი ორგანო, ძირითადად დაკავებული იყო ამ ჯგუფებს შორის არსებული კონ-ფლიქტის მოგვარებით.[442]

შედარებისათვის იგივე შეიძლება ითქვას „კანონიერი ქურდების“ საპარლამენტო ორგანოზე „სხოდკაზე“. სხოდკაც წარმოადგენს დროებით, ძირითადად კრიმინალურ ჯგუფებს ან კრიმინალებს შორის არსებული დავების გადასაწყვეტ ორგანოს. მაფიური რეგიონალური კომისიისაგან განსხვავებით, სხოდკას შეუძლია ორგანიზა-ცია „კანონიერი ქურდების“ სამოქმედო ზოგადი პრინციპების შემუშავება, თუმცა ამ პრინციპების ცხოვრებაში გატარება ცალკეული ჯგუფების პრეროგატივაა.

---

[438]Hess, H., 1993. S. 189.

ჰენნერ ჰესი **(Henner Hess)** არის გერმანელი კრიმინოლოგიის პროფესორი და იტალიური მაფიის აღიარებული მკვლევარი. მისი აზრით, ორგანიზებული დანაშაული სხვა არაფერია თუ არა მითი, ვინაიდან არ აკმაყოფილებს ორგანიზებულობის კრიტერიუმებს. რეალურად ორგანიზებული დანაშაული არაფერია თუ არა ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ დანაშაულების ჩადენა.

[439]Reuter, P. / Kleiman, M., 1986. p. 289-340.

[440]Besozzi, C., 1997. S. 17.

[441]Hess, H., 1993. S. 34.

[442]Besozzi, C., 1997. S. 18.

- **საქმიანობის ორგანიზებულობა**

გერმანელმა პროფესორმა ჰესმა გასული საუკუნის 80-იან წლებში შეისწავლა და გაანალიზა მაფიური ჯგუფების სისხლისსამართლებრივი საქმეები და მივიდა დასკვნამდე, რომ მაფიოზური (დანაშაულებრივი) ჯგუფები არსებობდა, მაგრამ ვერ იქნა დადგენილი მათი ფორმალური დაქვემდებარება ერთი (ან რამდენიმე) ორგანიზაციის ქვეშ.[443] იგივე შეხედულების მატარებელია მაფიის ცნობილი იტალიელი მკვლევარი პინო არლაჩი. სოციოლოგიის პროფესორი არლაჩი თავის ნაშრომში: „მაფია შიგნიდან, დონ ანტონიო კალდერონის ცხოვრება“ აღნიშნავს, რომ „ანტონიო კალდერონის მიერ მოწოდებული ინფორმაცია იძულებულს მხდის მეც და სხვა მაფია მკვლევარსაც, ვისაც აქამდე ეგონა, რომ მაფია იყო მყარი, საიდუმლო, ფორმალური, ნორმებზე დამყარებული და ინსტიტუციური საბჭოს მქონე ორგანიზაცია, რომელიც ყოფნა-არყოფნაზე იბრძის, ვიფიქროთ, რომ მაფიის ფორმალური ორგანიზებულობა მხოლოდ არასრული [და მოჩვენებითია]“. მაფიოზ კალდერონის თქმით მაფიურ ჯგუფებს შორის მეტად ცუდი ურთიერთობა იყო, არავითარი კოორდინაცია და საქმიანობის დაგეგმვა არ არსებობდა, ხშირად ჯგუფებს შორის ურთიერთობა პიროვნულ შეხედულებებს ემყარებოდა და უგულებელყოფილი იყო ურთიერთობის ზოგადი, აღიარებული ნორმები.[444]

- **ტრანსნაციონალური ქსელის არსებობა**

პინო არლაჩის მიერ ინტერვიურებული მაფიოზი ანტონიო კალდერონი აღნიშნავს: „როდესაც ვკითხულობ იტალიური და ამერიკული კოზა-ნოსტრას ერთიანი მაფიური დაჯგუფების შესახებ, შემიძლია მხოლოდ გავიცინო. არასოდეს გვქონია ამერიკასთან „საქმიანი“ ურთიერთობა. რა თქმა უნდა, დანაშაულებრივი ჯგუფების წევრებს შორის ყოველთვის არსებობდა მეგობრული ან ნათესაური კავშირი, მაგრამ იტალიურ კოზა ნოსტრას არასოდეს ჰქონია კავშირი ამერიკის შეერთებულ შტატებთან“.[445] იტალიური მაფიოზური ჯგუფის წევრის სხვა ქვეყანაში ემიგრირების (მათ შორის აშშ-ში) შემთხვევაში, იგი საკუთარი ცხოვრების წესის და კრიმინალური საქმიანობის მეთოდების უცხო ქვეყანაში გამოყენებას და დანერგვას ცდილობდა. ემიგრირებული მუდმივ კავშირში იყო საკუთარ პირველად სამშობლოსთან (იტალიასთან) და ხშირად არალეგალური საქმიანობის განხორციელებაში იყენებდნენ მის კარგ ურთიერთობას (მაგალითად ნარკოტიკის შემოტანა). ამგვარი ურთიერთობები მეორე მხრივ, ხელს უწყობდა იტალიურ ტრადიციულ მაფიოზურ ოჯახებს ცვლილებები განეხორციელებინათ საკუთარ რიგებში. ზოგი მაფიოზი ვერ უძლებდა ამ ტრადიციული ნორმების და ურთიერთობების ცვლილებებს და ამჯობინებდა არალეგალურ საქმიანობაზე უარის თქმას და სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობას (ასეთი მაფიოზები იყვნენ ბუსკეტა და კალდერონი).[446] მაფიის ისტორიული და სოციოლოგიური კვლევები ადასტურებენ, რომ მაფიური ჯგუფების არალეგალური საქმიანობა საერთაშორისო დონეზე არ ხდებოდა. ძირითადად,

---

[443]იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ამ პერიოდში იტალიაში 186 მაფიოზური ჯგუფი და მათი 5 000-მდე წევრი მოქმედებდა.
[444]Arlacchi, P., 1995. S. 7-8; 108.
[445]იგივე, გვ. 80, 145.
[446]Besozzi, C., 1997. S. 15.

ადგილი ჰქონდა კულტურული (მენტალური) ნორმებიდან გამომდინარე ურთიერთობებს, ანუ სიცილიაში დაბადებული და ემიგრირებული ადამიანი თავს ვალდებულად გრძნობდა დახმარებოდა საკუთარი კულტურის და მსგავსი მენტალიტეტის მქონე მეგობარს.[447] ამ მხრივ, საინტერესო მოსაზრებას ავითარებს იტალიური წარმოშობის, დიდ ბრიტანეთში მცხოვრები, სოციოლოგიის პროფესორი დიეგო გამბეტა. მისი აზრით, დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც საერთაშორისო დონეზე ფიქრობს რომ იმუშავოს საკმარის რესურსებს უნდა ფლობდეს, რომ მოიპოვოს ინფორმაცია სხვა ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ (კონკურენცია, მოთხოვნილება, სამართალდამცავ ორგანოთა სისტემა და ა.შ.), რაც თითქმის შეუძლებელია და მხოლოდ ადგილობრივ დონეზე არის მისაღწევი.[448]

- **ძალადობის გამოყენება**

ძალადობის გამოყენება მაფიური ჯგუფების მიერ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალებაა. ძალადობა, ამ მხრივ, შეიძლება ჩაითვალოს არალეგალური ბაზრის კონტროლისათვის საჭირო საშუალებად. მაფიურ ჯგუფებს ძალის გამოყენება ესაჭიროებათ როგორც მათთან დადებული ხელშეკრულების განსახორციელებლად, ასევე კონკურენციის ჩამოსაცილებლად, ანუ მათთვის ძალის გამოყენება დაკავშირებულია ადგილობრივი სოციალური სფეროსაგან აღიარების მისაღებად. მაფიური ჯგუფების ინტერესია ძალის გამოყენების მინიმუმამდე შემცირება, რათა გადამეტებული ძალის გამოყენებამ არ გამოიწვიოს საზოგადოების წინააღმდეგობა.[449]

ძალის გამოყენების მაფიური ჯგუფების მიდგომა დიდად ჰგავს ორგანიზაცია „კანონიერი ქურდის“ მიდგომას. ამის ნათელი მაგალითია სიტყვა „ბესპრიდელი“, რომელიც უნორმობას ნიშნავს. არასაჭირო ძალადობა განიხილებოდა „ბესპრიდელიად“, რადგან მიუღებელი შეიძლება ყოფილიყო საზოგადოებისათვის და შეებღალა ორგანიზაციის სახელი, ანუ არ მოეტანა აღიარება.

- **პოლიტიკის და სახელმწისოფადმი დაპირისპირება**

მაფიურ ოჯახებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა გამომდინარეობს იმ საჭიროებიდან, რომელიც დანაშაულებრივ ჯგუფებს გააჩნიათ, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი არალეგალური საქმიანობის შემცირების შესაძლებლობა სამართალდამცავი ორგანოების მკაცრი კონტროლის საფუძველზე. მაფიური ჯგუფები, ერთი მხრივ, უარყოფენ სახელმწიფო ცენტრალურ ინსტიტუტებს, მაგრამ როგორც საზოგადოების წევრები არ უპირისპირდებიან მას.[450] მაფიური ჯგუფები არ ებრძვიან სახელმწიფოს, ისინი მას იყენებენ. მაფიოზური ჯგუფები სახელმწიფო ორგენოების წევრებთან ურთიერთობას იყენებენ ეკონომიკური სარგებლის მისაღებად (მაგ. სახელმწიფო ტენდერში გამარჯვება, კონკურენტი დანაშაულებრივი ჯგუფების და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ა.შ.). ჰოლანდიელი კულტუროლოგის და ანთროპოლოგის, პროფესორ ანტონ ბლოკის თანახმად, შეუძლებელია მაფიის სახელმწიფოსაგან განცალკევებულად

---

[447]იქვე.
[448]იგივე, გვ. 16.
[449]Besozzi, C., 1997. S. 17.
[450]იგივე, გვ. 20.

დანახვა. ის, რომ მაფიური ჯგუფები სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებთან ურთიერთობენ მათ (მაფიურ ოჯახებს) განასხვავებს ბანდებისაგან.[451] სახელმწიფოსა და მაფიის ურთიერთობა პრაქტიკული თვალსაზრისით ორმხრივია, სახელმწიფო წარმომადგენლებიც პროფიტირებენ დანაშაულებრივი ჯგუფებისაგან და სურთ კიდევაც მათი არსებობა (მაგ. არჩევნების დროს მოსახლეობის გადაბირება, შავი საქმიანობის შესასრულებლად (მკვლელობა, დაშინება, შანტაჟი და ა.შ.)). თავის მხრივ მაფიური ჯგუფები კარგად იყენებენ სახელმწიფო მოხელეებს საკუთარი მიზნების დასაკმაყოფილებლად. ფალკონეს და პადოვანის თქმით, იტალიური მაფია საკუთარი თვითმყოფადობისათვის იბრძვის, მას სულაც არ აინტერესებს არც სახელმწიფო ძალაუფლების მოპოვება და არც მისი გამოყენება. ეს არ არის მისი სურვილი, საქმიანობის მიზანი.[452]

- **სწრაფვა ძალაუფლებისაკენ**

მაფია არ შეიძლება ჩაითვალოს მყარ ორგანიზაციად, შესაბამისად მას არ გააჩნია კონკრეტული, სპეციფიური გეგმები, მნიშვნელოვანია მხოლოდ, რომ მაფიოზმა (პიროვნებამ) მიაღწიოს სოციალურ აღიარებას ფულის ან/და ძალადობის გამოყენებით.[453] ჰესის თანახმად, „მაფიოზების ქმედებების ძირითადი მიზანი არის სოციალური აღიარება, აღნიშნული გულისხმობს, როგორც ფინანსური კუთხით ადამიანის აღიარებას, ასევე სოციალური პრესტიჟის საფეხურზე ასვლას.“[454]

ნათელია, რომ მაფიური გაერთიანებები ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვიან, მაგრამ ეს არ არის ფორმალური ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, არამედ ცალკეული კრიმინალური ავტორიტეტების ქარიზმატული მისწრაფება, თანამოქალაქეებში და (მით უფრო) კონკურენტებში სახელი და აღიარება მოიპოვონ.[455] ძალაუფლების ხელში ჩაგდება შესაძლებელია მხოლოდ ლოკალურ ან რეგიონალურ (ნაციონალურ) დონეზე, რაც ასევე დამოკიდებულია საზოგადოების კულტურულ მდგომარეობაზე, რომელმაც კრიმინალური ავტორიტეტი „დაბადა“.[456] ეს არ გამორიცხავს, რომ კრიმინალურ ავტორიტეტს აღიარება საერთაშორისო დონეზეც სჭირდება. იგი ამ ავტორიტეტს საკუთარი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის იყენებს.

მაფიის, როგორც ორგანიზაციის მითოლოგიურობაზე საუბრობს ასევე დანიელ ბიტმანი.[457] ბიტმანის აზრით, მას შემდეგ, რაც ფრანცის ფორდ კოპოლას ფილმი „ნათლიმამა“ გამოჩნდა კინო- და ტელეეკრანებზე (1971 წელი) სრულად შეიცვალა მაფიოზის როლი და დანიშნულება. მარლონ ბრანდოს მიერ ისე კარგად და ორიგინალურად, მაფიის ბოსისათვის ყველა საჭირო თვისებებით იყო დონ კორლეონეს ფიგურა ნათამაშევი, რომ მაყურებელს კითხვა უჩნდება, მარლონ ბრანდომ მაფიის ბოსი მხოლოდ ითამაშა, თუ თავად იყო ნამდვილი ბოსი?

---

[451]Blok, A., 1981. S. 126.
[452]Falcone, G./Padovani, M., 1992. S. 158.
[453]Besozzi, C., 1997. S. 22.
[454]Hess, H., 1993. S. 34.
[455]Besozzi, C., 1997. S. 22.
[456]იგივე, გვ. 23.
[457]Bittmann, D., Mytos Mafia. Zur Funktionsweise einer poetischen Fiktion. http://www.mythos-magazin.de/mythosforschung/db_mafia.pdf

ფაქტია, რომ ფილმის „ნათლიმამა“ გამოჩენის შემდეგ მაფიოზებმა თავად მიბაძეს ბრანდოს გმირს, საქციელში, ლაპარაკში, ქმედებებში. საზოგადოებას ბრანდოს მეშვეობით შეექმნა წარმოდგენა, რომ მაფია და მისი ხელმძღვანელი სამართლიანი საქმისათვის იბრძვის და ყველაფერს აკეთებს საკუთარი ოჯახის ღირსების დასაცავად.

მარლონ ბრანდოსთვის მაფიის ბოსების მიბაძვის კარგი მაგალითია 1974 წელს სიცილიაში სასამართლო პროცესზე ლუჩიანო ლეგოს ჩაცმულობა და ქცევის მანერები. მაფიოზ ლუჩიანო ლეგოს შესახედაობა, გარეგნობა ნათლად მიუთითებდა, რომ მან მარლონ ბრანდოს პერსონაჟს მიბაძა. გრძელი სიგარით, წინ წამოწეული დიდი ქვედანიკაპით და ამპარტავნული, ქედმაღლური მზერით ლუჩიანო ლეგომ მართლაც შეძლო „ნათლიმამის“ მიბაძვა.[458]

ფილმის გამოსვლამდე არცერთი იტალიელი ან სიცილიელი არ იყენებდა სიტყვას „Pate“ (Padrino), რომელიც არასწორად ითარგმნა ინგლისურად და ფილმის სათაური გახდა - Godfather. იტალიელებისათვის ოჯახის უფროსი მანამდე ყოველთვის იწოდებოდა compare (Gevatter) – ნათლიმამა და არა Padrino. ფილმის გამოსვლის შემდეგ ამერიკაში მოქმედი იტალიური წარმოშობის კრიმინალურმა ჯგუფებმა (ოჯახებმა) დაიწყეს ძველმოდური სიტყვა Compare-ს ნაცვლად Padrino-ს გამოყენება. ახალგაზრდა იტალიელებმა, რომლებიც დანაშაულებრივ ჯგუფებთან იყვნენ კავშირში დაიწყეს ფილმის პერსონაჟების მსგავსად მზის სათვალეების და წვრილზოლიანი შარვალ-კოსტუმის ტარება. თვით ნიუ-იორკელი ბოსი ჯონ გოტის სურდა ისეთი ყოფილიყო, როგორიც იყო დონ ვიტო კორლეონე (მარლონ ბრანდოს მიერ შექმნილი გმირი).[459]

ყოველივე ზემოაღნიშნულით ნათელი ხდება, რომ ძნელია იმის დადგენა, თუ სად მთავრდება მითი სამარლიანობისათვის, მეგობრების, ოჯახის უფლებებისა და ღირსებისათვის მებრძოლ და სისხლისმღვრელ, მკვლელ და უკანონო საქმიანობით გამდიდრებულ კრიმინალურ ავტორიტეტს, მაფიის ბოსსა თუ კანონიერ ქურდს შორის. ფაქტია ის, რომ ისინი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდნენ და ცდილობენ თავზე მოგვახვიონ და „საგმირო საქმეებად“ „მოგვყიდონ“ საკუთარი უკანონო საქციელი.

და ბოლოს, თავად მაფიას სჭირდება მითოლოგიურობა, იმისათვის, რომ საზოგადოებაში აღიარება მოიპოვოს, ვინაიდან მაფიური ცხოვრების რეალობა ძალიან მძაფრი, სისხლიანი და ადამიანებისათვის მიუღებელია. კრიმინალური დაჯგუფებების შესახებ საზოგადოებისათვის სრული ინფორმაციის მიწოდებით ასეთი მაფიური დაჯგუფებები დაკარგავენ უბრალო ადამიანების ნდობას და შესაბამისად, აღარავის (ან ძალიან ცოტას) ენდომება აღარც მათ რიგებში გაწევრიანება და არც მათთან თანამშრომლობა, ან მათთვის მუშაობა.

[458]Dickie, J., 2006. S. 398.
[459]Saviano, R., 2007. S. 301.

თავი მეხუთე

ფულის გათეთრება

ორგანიზებული დანაშაულის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ფულად გადაქცევა, ფულის გათეთრება ანუ ქონების ლეგალიზაცია. ორგანიზებული ჯგუფები ფულის გათეთრების პროცესს ხშირად დიდი ხნის განმავლობაში ამზადებენ. ოფიციალურად, სამართალდამცავი ორგანოებისათვის თვალის ასახვევად, სამეწარმეო ფირმების შექმნა და ჩამოყალიბება, რომელთა მეშვეობითაც ორგანიზებულ ჯგუფს ფულის გათეთრება სურს, შეიძლება წლების განმავლობაში გრძელდებოდეს.

ცნება „ფულის გათეთრება" ზოგადია და ქონების, როგორც მიმოქცევის, ასევე მისი ფულად გადაქცევის პროცესს მოიცავს.[460] ფულის გათეთრების პირველი ისტორიული ცნობა 1957 წლით თარიღდება, როდესაც იტალიურ-ამერიკული მაფიის ხელმძღვანელები ლუჩიანო, სინდონა და ლანსკი პალერმოს ერთ-ერთ სასტუმროში ჰეროინის გასაღების და ფულის გათეთრების გზების მონახვაზე მსჯელობდნენ. მართალია, 1957 წლამდე ფულად-საკრედიტო დანაშაულებს ადგილი ჰქონდა, მაგრამ ეს დანაშაულები ფულის გათეთრება არ იყო, ვინაიდან მათ ორგანიზებულობის კუთხით პროფესიონალიზმი ეკლდათ, რაც დამახასიათებელია ფულის გათეთრებისათვის.[461] ფულის გათეთრება, როგორც ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი საქმიანობის სახეობა ჯერ კიდევ მეცნიერულად გამოუკვლეველ სფეროს წარმოადგენს, რომელიც დიდ ზიანს აყენებს თითოეული ქვეყნის ეკონომიკას.[462]

5.1. ფულის გათეთრების ცნება

კრიმინალურ მეცნიერებაში ერთმანეთისაგან განასხვავებენ ფულის გათეთრების სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ცნებებს. ფულის გათეთრების სისხლისსამართლებრივი ცნება ქვეყნის კანონმდებლობის რეგულირების სფეროთი შემოიფარგლება, ხოლო ფულის გათეთრების კრიმინოლოგიური ცნება სცილდება კანონმდებლობის რეგულირების სფეროს და მოიცავს, როგორც ფულის გათეთრებისათვის განვლილ გზას, ასევე დანაშაულის კვალის დაფარავას.

5.1.1. ფულის გათეთრების სისხლისსამართლებრივი ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის თანახმად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) არის უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა. სსკ 194-ე მუხლის დიპოზიციის თანახმად, კანონი კრძალავს უკანონოდ მიღებული ფულადი

[460]Herzog, F./Mülhausen, D., 2008. S. 2.
[461]Suendorf, U., 2001. S. 44.
[462]Mehlhorn, S., 2004. S. 17.

სახსრების ლეგალიზაციას, ანუ ქვეყნის საფინანსო, ფულად-საკრედიტო ბრუნ-ვაში გაშვებას, ან ნებისმიერი ხასიათის უკანონოდ მიღებული ფულადი სახსრებით სამეწარმეო თუ სხვაგვარ ეკონომიკურ საქმიანობას.[463]

სსკ 194-ე მუხლს გააჩნია მე-2 და მე-3 ნაწილები, რომლებიც ამძიმებენ პასუხ-ისმგებლობას თუ ქმედება ჩადენილია: ჯგუფურად, არაერთგზის, მიღებულ იქნა დიდი ოდენობით (30 000-დან 50 000-მდე ლარის) შემოსავალი, ორგანიზებული ჯგუ-ფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მიღებულ იქნა გან-საკუთრებით დიდი ოდენობის (50 000 ლარის ზევით) შემოსავალი.

ორგანიზებული ჯგუფი განსაზღვრულია სსკ 27-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით. „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორ-ციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არა-პირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება“.[464]

პრაქტიკული თვალსაზრისით ერთგვარ გაუგებრობას წარმოადგენს და რთული გასამიჯნია ფულის გათეთრება „ჯგუფურად“ და ფულის გათეთრება „ორგანიზებუ-ლის ჯგუფის“ მიერ. ვინაიდან, ფულის გათეთრება არის ორგანიზებული დანა-შაულებრივი ჯგუფის საქმიანობა, იგი თავისთავად გულისხმობს დანაშაულის ჯგუფურად ჩადენას.

5.1.2. ფულის გათეთრების კრიმინოლოგიური განმარტება

კრიმინოლოგიური თვალთახედვით ფულის გათეთრება არის სამართლებრივი ან არასამართლებრივი (ფაქტიური) ქმედება, რომლის მიზანია უკანონო წარმომავ-ლობიდან მიღებული შემოსავლის (მოგების) კვალის ისე „შელამაზება“, „შენიღბვა“, რომ მოხდეს უკანონოდ მიღებული ქონების (ფულის), როგორც კანონიერის, ქვეყნის საფინანსო და ეკონომიურ მიმოქცევაში ჩართვა.[465] მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულის გათეთრება არის ხერხი, რომლის საშუალებებით ხდება არალეგალური წარ-მოშობის ქონების დაფარვა.[466] იმისათვის, რომ არ მოხდეს სამართალდამცავი ორ-განოების მხრიდან ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობის გამოაშკარავება, ხდება ფულის გათეთრების ლეგალური და არაალეგალური საშუალებების იმგვარი შერწყმა, რომ ვერ მოხერხდეს მათი აღმოჩენა.

5.1.3. ფულის გათეთრების საერთაშორისო განმარტება

საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი - Financial Action Task Force (FATF), რომელიც საერთაშორისო ფულის გათეთრების სფეროში ყველაზე გავლენიან ინსტიტუციად ითვლება, ფულის გათეთრებას შემდეგ-ნაირად განმარტავს. ფულის გათეთრება არის არალეგალურად მიღებული ქონების ტრანსფორმაცია, რომლის მიზანია ეს ქონება ლეგალური ფორმებით მიღებულად წარმოაჩინოს.[467] ფულის გათეთრების ეს განმარტება მომდინარეობს 1988 წლის

---

[463]ლეკვეიშვილი, მ., და ავტ. კოლ., 2008. გვ. 408.
[464]იგივე, გვ. 409.
[465]Herzog, F./Mülhausen, D., 2008. S. 3.
[466]Hafner, W., 2002. S. 46.
[467]Herzog, F./Mülhausen, D., 2008. S. 4.

ვენის კონგრესის ფორმულირებიდან, რომელიც ნარკოტიკული დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციას ეხებოდა.[468]

5.2. ფულის გათეთრების საკანონმდებლო რეგულირება

ფულის გათეთრების შიდასახელმწიფოებრივი რეგულირება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლი კოდექსის 52-ე მუხლი არეგულირებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს ... დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას“.

ამავე კოდექსის 194-ე მუხლის დისპოზიციაში მოცემულია დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც ეხება უკანონო ქონების ლეგალიზაციას (ფულის გაათეთრებას), ხოლო სანქციების თვალსაზრისით, აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს, როგორც ჯარიმას, ასევე თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან თორმეტ წლამდე.

გარდა ამისა, 2003 წლის 6 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, რომელშიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განმარტებულია, როგორც უკანონო შემოსავლისათვის კანონიერი სახის მიცემა, შენიღბვა.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და შიდა რეგულირებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი სამართლებრივი აქტები:[469]

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1988 წლის ვენის კონვენცია „ნარკოტიკებისა და ფსიქოტროპიული საშუალებების უკანონო ბრუნვისა და ვაჭრობის წინააღმდეგ“;
2. ევროსაბჭოს 1990 წლის 8 ნოემბრის სტრასბურგის კონვენცია „ფულის გათეთრების დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 2004 წელის 17 თებერვალს;
3. 1999 წლის სტრასბურგის „კორუფციისათვის სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის კონვენცია“;
4. 1991 წლის ლუქსემბურგში ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივა „ფულის გათეთრების მიზნით ფინანსური სისტემების გამოყენების აღსაკვეთად“;
5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2000 წლის დეკემბერში მიღებული „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის საწინააღმდეგო კონვენცია“, რომელშიც წამყვანი ადგილი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლას უკავია;
6. ევროსაბჭოს 2001 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება ფულის გათეთრებასთან ბრძოლის წინააღმდეგ. ფულის გათეთრების, ასევე მისი გამოძიების, „გაყინვის“,

---

[468]იქვე.

[469]გუგავა, დ., 2001. გვ. 151.

დანაშაულის იარაღის ჩამორთმევის და კონფისკაციის და დანაშაულის „ტრანს-პორტირების“ თაობაზე;

7. ევროსაბჭოს 2005 წლის კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“. რატიფიცირებული საქართველოს პარლამენტის მიერ 2013 წლის 4 ოქტომბერს და ძალაშია 2014 წლის 1 მაისიდან;

8. საერთაშორისო ორგანიზაციის ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მიერ შემუშავებულია 40 რეკომენდაცია,[470] რომელიც მიმართულია ფულის გათეთრების წინააღმდეგ და მოიცავს სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულებას, სამართალდამცავ ორგანოთა სისტემას, საფინანსო სისტემის რეგულირებას და საერთაშორისო თანამშრომლობას;

9. 2003 წლის 6 ივნისს საქართველოს კანონი „უკანონო შემოსავლის ლეგალი-ზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“;

10. „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის საყურადღებო ზონების ნუსხის დადგენის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №65/04;

11. „კომერციული ბანკების უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის ზედამხედველობის ანგარიშგების შევსების და ინფორმაციის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2015 წლის 21 აპრილის ბრძანება №46/04.

5.3. ფულის გათეთრების სამსაფეხურიანი სისტემა

სისხლის სამართლის ნორმებით გათვალისწინებული დანაშაულის, ფულის გათეთრების, უკეთ გაგებისათვის კრიმინალურ მეცნიერებაში დამკვიდრდა მისი (ფულის გათეთრების) **სამსაფეხურიანი სისტემა**.[471] ფულის გათეთრების საფეხურები ორგანიზებულ ჯგუფებს ემსახურება უკანონო ოპერაციების სამართალდამცავი ორ-განოებისაგან დაფარვაში, მათ შეცდომაში შეყვანაში.

5.3.1. განთავსება (Placement)

ფულის გათეთრების პირველ სტადიაზე ხდება არალეგალური შემოსავლებიდან (ქუჩაში ნარკოტიკული საშუალებების გასაღებიდან, ადამიანით ვაჭრობიდან, არა-ლეგალური თამაშებიდან, გამოძალვებიდან, გატაცებებიდან) მიღებული (ნაღდი) ფულადი თანხის გადასატან ფორმაში გადაქცევა. ფულადი თანხის „გადასატან ფორ-მაში გადაქცევა“ გულისხმობს მის საბანკო ანგარიშზე განთავსებას, საფინანსო სა-ტრანსპოტო ორგანიზაციისათვის გადაცემას. აღნიშნული ოპერაციისათვის ორ-განიზებული ჯგუფი ხშირად იყენებს ბანკის თანამშრომლებთან კონტაქტს, რო-მელთა მეშვეობითაც ხდება ნაღდი ფულის ბანკში შეტანა. გარდა ამისა, ორ-განიზებულმა ჯგუფმა ფულის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვისათვის შესაძლებელია ჩვეულებრივ სხვა პირი დაიხმაროს, რომელსაც ნაღდი ფულის პატარ-პატარა, დანა-

[470]წერეთელი, კ./ხუბულური, თ/შალამბერიძე, ა., 2015. გვ. 11.

[471]Herzog, F./Mülhausen, D., 2008. S. 11.

წევრებული ნაწილები მიაქვს ბანკის ანგარიშზე განსათავსებლად, რათა თავიდან აიცილოს ბანკის მიერ მისი იდენტიფიკაცია, რომელიც კანონით დადგენილ თანხაზე მეტის ბანკში შეტანის შემთხვევაშია აუცილებელი.[472]

დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის ქონამ სწრაფად შეიძლება ეჭვში ჩააგდოს სამართალდამცავი ორგანოები. იგი ძნელად ტრანსპორტირებადია, ვინაიდან დიდია ტრანსპორტირების დროს მისი აღმოჩენის, დაკარგვის ან მოპარვის ალბათობა. ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის ქონა დამნაშავეებისათვის ერთგვარ პრობლემას წარმოადგენს. აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ცნობით, ერთი მილიონი დოლარი 5-დოლარიანი კუპიურებით იწონის 440 ფუნტს,[473] ერთი მილიონი დოლარი 10-დოლარიანი კუპიურებით – 220 ფუნტს, ერთი მილიონი დოლარი 20-დოლარიანი კუპიურებით – 110 ფუნტს, ერთი მილიონი დოლარი 100-დოლარიანი კუპიურებით – 22 ფუნტს.[474] მოცემული მაგალითიდან ნათელია ის სიძნელე, რომელიც დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ნაღდი ფულის ტრანსპორტირებასთან.

ნაღდი ფულის საბანკო ანგარიშზე შეტანის დროს წარმოქმნილი პრობლემების შემთხევაში (ბანკის თანამშრომელს აღეძრა ეჭვი ფულის წარმომავლობის თაობაზე) ორგანიზებული ჯგუფის მიერ ბანკის თანამშრომლებს წარედგინებათ გაყალბებული ანგარიშები, ხელშეკრულებები, რომლებიც ფულის ლეგალური გზით წარმომავლობას ადასტურებენ (ავტომობილების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები, რესტორნების ან სასტუმროების ყოველთვიური შემოსავლების ანგარიშები).

5.3.2. განაწილება (Layering)

ფულის გათეთრების მეორე სტადიაზე ხდება მიყოლებით, მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციების (გადარიცხვები) განხორციელება, რომლის მიზანია არა მოგების მიღება, არამედ ფულის წარმომავლობის კვალის წაშლა და მეპატრონის საიდენტიფიკაციო მონაცემების დაფარვა.[475]

აღნიშნული სისტემატიური გადარიცხვების დიდი ნაწილი მიმართულია ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ ფირმებზე. ოფშორული ზონის გარეთ მყოფი პარტნიორების დადგენა, რომლებიც ასევე გადარიცხვებში მონაწილეობენ, რთულია, ვინაიდან ხშირად ასეთი ფირმები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ (Briefkastenfirmen) ან საზოგადოებრივ ფონდებს არიან ამოფარებულნი, ან პოლიტიკურად არასტაბილურ სახელმწიფოებში არიან რეგისტრირებული, ან ორგანიზებული ჯგუფის ერთგული ბიზნესმენების საკუთრებაა, რაც, რა თქმა უნდა, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას უშლის ხელს. მაგ. ევროპის ერთ-ერთ

---

[472] „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის ა) ქვეპუნქტის თანახმად, გარიგების ან/და გარიგებათა ერთობლიობის თანხა თუ აღემატება 30 000 ლარს, ექვემდებარება მონიტორინგს. ამავე კანონის მეორე მუხლის დ) ქვეპუნქტის თანახმად, მონიტორინგი გულისხმობს მონიტორინგის განმახორციელებელი პირების მიერ გარიგების მონაწილე პირის იდენტიფიკაცია, გარიგების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა, სისტემატიზაცია და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის წარდგენა.

[473] ერთი ფუნტი უდრის 453 გრამს.

[474] Herzog, F./Mülhausen, D., 2008. S. 11.

[475] იგივე, გვ. 12.

ბანკში (ნაწილ-ნაწილ) შეტანილი ხუთი მილიონი ევრო გადაერიცხა ფირმას, რომელიც ოფშორულ ზონაში არის რეგისტრირებული, აქედან ეს თანხა კოსოვოს გავლით მოხვდა რუსეთის ფედერაციაში მომუშავე ამერიკული ფირმის ფილიალში, საიდანაც კვლავ ოფშერული ზონის გავლით (უკვე არა 5 მილიონი, არამედ 4,5 მილიონი ევრო) დაბრუნდა ევროკავშირის ტერიტორიაზე მოქმედ ერთ-ერთ საზოგადოებრივ ფონდში, რომელიც, თავის მხრივ, ეხმარება განვითარებად სახელმწიფოებს დემოკრატიის განვითარებაში. რაც უფრო კომპლექსურია (ხშირია) გადარიცხვების ჯაჭვი, მით უფრო ძნელია სამართალდამცავი ორგანოებისათვის გადარიცხვების კვალის დადგენა და გამოძიებისათვის საჭირო მტკიცებულებების მოპოვება.

კიდევ ერთხელ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ფულის გათეთრების მეორე საფეხურის ძირითად მიზანს წარმოადგენს საფინანსო ოპერაციების გზით დანაშაულებრივად მოპოვებული ნაღდი ფულის წარმომავლობის კვალის წაშლა.

5.3.3. ლეგალიზაცია (Integration)

ფულის გათეთრების მესამე სტადიაზე ხდება მეორე საფეხურის ოპერაციების მეშვეობით „გათეთრებული“ ფულის ან/და ქონების ქვეყნის ლეგალურ ფინანსურ სისტემაში ინტეგრირება.[476] მესამე სტადიის მიზანია ორგანიზებულმა ჯგუფმა მონაწილეობა მიიღოს საწარმოების საქმიანობებში, მათი აქციების შეძენის კუთხით. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ლეგალური და არალეგალური ქონების შერწყმას და მის საფინანსო სისტემაში ინტეგრაციას, შეუძლებელია კრიმინალური გზით მოპოვებული ქონების დადგენა.

1993 წელს ევროპის ტერიტორიაზე გამოვლენილი პირველი ფულის გათეთრების შემთხვევის დროს, სამართალდამცავმა ორგანოებმა ფულის გათეთრების საფეხურებს მიაგნეს. კოლუმბიელ ეკონომისტს სამხრეთ ამერიკული „ნარკოკარტელის“ მიერ მიეცა დავალება გაეთეთრებინა ნარკობიზნესიდან შემოსული ფული. საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად აღმოჩენილ იქნა კოლუმბიელი ეკონომისტის მიერ შექმნილი კომპიუტერული დოკუმენტი - “Programa des Fasa“ – „საფეხურების პროგრამა“. აღნიშნული დოკუმენტი დაწვრილებით აღწერს ფულის გათეთრების თითოეულ საფეხურს. დოკუმენტის მიხედვით ფულის გათეთრების ორი საფეხური არსებობს: 1. განაწილება, რაც გულისხმობს ფულის წარმომავლობის და მეპატრონის კვალის წაშლას; და 2. პირველი საფეხურით „გათეთრებული“ და ევროპის ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული ფულის ევროპის ტერიტორიაზე ინვესტირებას (ინტეგრაცია). პირველი საფეხური, თავის მხრივ, შედგებოდა 5 ფაზისაგან: 1. დანაშაულებრივი საქმიანობიდან (ნარკოტიკების გასაღებიდან) შემოსული ფულის არსებობა; 2. ამ ფულის იმ ტერიტორიიდან მოცილება, სადაც იგი იქნა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული; 3. ფულის ევროპის ტერიტორიაზე არსებულ საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხვა (ანგარიშის მფლობელები ძირითად შემთხვევებში კოლუმბიელები იყვნენ, რომლებიც ევროპის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ); 4. ევროპის ტერიტორიაზე მცხოვრები კოლუმბიელების ანგარიშებიდან ფული გადადიოდა ადგილობრივ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე; 5. იმისათვის, რომ იდენტიფიკაცია ფულის მფლობელების ყოფილიყო ძნელი (ევროპის ტერიტორიაზე

[476]იქვე.

მცხოვრები კოლუმბიელების), ხდებოდა საბანკო ანგარიშების ფსევდონიმებით გახსნა და გამოყენება.[477]

5.4. ფულის გათეთრების გამოვლენის ფორმები

ფულის გათეთრების გამოვლენის ფორმების სრულყოფილად აღწერა, მათი მრავალფეროვნების გამო, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. თუმცა რამდენიმე ყველაზე გავრცელებული ფორმის ანალიზი უფრო გასაგებს გახდის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულ მიდგომებს და ხერხებს.[478]

5.4.1. ნაღდი ფულის გადარიცხვები

დანაშაულებრივი ქმედებებით (ნარკობიზნესი, ყაჩაღობები, პროსტიტუცია) მოპოვებული ნაღდი ფულის გათეთრება, პირველ რიგში, წარმოებს საბანკო სექტორის საშუალებით. კრიმინალური გზით მოპოვებული ნაღდი ფული შესაძლებელია ადვილი დასადგენი გახდეს ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოებისადმი. ამიტომ ხდება ამ ფულის საბანკო ანგარიშზე შეტანა, მრავალი გადარიცხვის განხორციელება, რის შემდეგაც იგივე თანხა შესაძლებელია ისევ უკან, მისი მოპოვების ადგილას დაბრუნდეს უკვე გათეთრებულ, ლეგალურ ფორმაში, რაც უფრო ნაკლები საფრთხის შემცველია, ვიდრე ეს თანხა ადგილზე, გათეთრების გარეშე ყოფილიყო ქვეყნის ეკონომიკაში ინტეგრირებული. ამ ოპერაციების განხორციელებისათვის მნიშვნელოვან როლს, სწორედ ბანკები და ფულად-საკრედიტო ინსტიტუტები ასრულებენ.

საერთაშორისო ორგანიზაცია FATF-ის №11 რეკომენდაციის მიხედვით, ფინანსურმა დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ რთულ და უჩვეულოდ დიდი ზომის ტრანზაქციებს და ტრანზაქციების უჩვეულო მოდელებს, რომლებსაც არ გააჩნიათ აშკარა ეკონომიკური და კანონიერი მიზანი.

5.4.2. მოჩვენებითი ფირმები და ანგარიშები

მოჩვენებითი ფირმა არის ორგანიზაცია, რომელიც სამართლებრივად არსებობს და ფორმალურად, სამართალდამცავი თუ სხვა სახელმწიფო ორგანოების თვალის ასახვევად ჩვეულებრივ ბიზნეს (სამეწარმეო) საქმიანობას ეწევა. ასეთ ფირმებს (როგორც ყველა სხვა ფირმასაც) გააჩნიათ საკუთარი მმართველობის ორგანო, თანამშრომლები, ფილიალები, ლოგისტიკური სამსახური და სხვა. მაგრამ ასეთი სიმბოლური ფირმები წესდებით განსაზღვრულ ეკონომიურ საქმიანობას ან საერთოდ არ მისდევენ, ან მათი საქმიანობა და მათი შემოსავალი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგ. გერმანიის სამართალდამცავი ორგანოების (ფინანსური პოლიციის) ეჭვი რამდენიმე სამოგზაურო ფირმის საქმიანობამ გამოიწვია, ვინაიდან ისინი თავის საქმიანობასთან შედარებით დიდი რაოდენობის შემოსავალს და მოგებას იღებდნენ. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ეს სამოგზაურო ფირმები ფულის გათეთრების საშუალება იყო სამხრეთ-ამერიკული ორგანიზებული დანაშაულისათვის (ნარკოკარტელისათვის). გერმანიაში რეგისტრირებულ სამოგზაურო ფირმებში სამხრეთ ამერიკიდან ირიცხებოდა თანხები, სამოგზაურო კომპანიები გარკვეული მოგების

[477]Suendorf, U., 2001. S. 154-155.
[478]Herzog, F./Mülhausen, D., 2008. S. 14-28

მიღების ხარჯზე გადმორიცხულ თანხას ურიცხავდნენ საფინანსო სატრანსფერო კომპანიას, რომელიც ასევე გარკვეული თანხის სანაცვლოდ, აღნიშნულ თანხას უკან რიცხავდა სამხრეთ ამერიკის ფირმების საბანკო ანგარიშებზე.

აღსანიშნავია, აგრეთვე ფულის გათეთრება მოჩვენებითი ანგარიშების (ყალბი დოკუმენტაციის) მეშვეობით, რომლებიც რეალური, მოქმედი ფირმების სახელით ხორციელდება. მაგ. ეკონომიური სიძნელეების მქონე ა. მივიდა ბ.-სთან, რომელიც ა-.ს ინფორმაციით კრიმინალურ ეკონომიურ საქმიანობაში არის გარეული. კერძოდ, ა.-სთვის ცნობილი იყო, რომ ბ. კრიმინალურ ორგანიზაციასთან ერთად საქმიანობდა, რომელიც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის მიცემულ ეკონომიური დახმარე-ბის ნაწილს საკუთარ ანგარიშებზე ათავსებდა. ა.-მ გახსნა საბანკო ანგარიში აშშ დოლარში და გაუფორმა ბ.-ს სიმბოლური ხელშეკრულება საქონლის მიწოდების თაობაზე, რის შემდეგაც ბ.-მ ა.-ს 420 ათასი ამერიკული დოლარი გადაურიცხა. სინამდვილეში ა.-ს და ბ.-ს შორის არავითარ საქონლის მიწოდებას ადგილი არ ჰქონია. ა. ვალდებული იყო ბ.-ს მიერ მისთვის მიცემული 420 ათასი აშშ დოლარი გარკვეული დროის შემდეგ პროცენტებით დაებრუნებინა ბ.-სთვის. სამართალ-დამცავმა ორგანოებმა გამოძიების შედეგად დაადგინეს, რომ აღნიშნული თანხა რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედ კრიმინალური ორგანიზებული ჯგუფის „ობშიაკას“ ეკუთვნოდა, რომელიც დანაშაულებრივი გზით იყო შეგროვებული.

საერთაშორისო ორგანიზაცია FATF-ის №18 რეკომენდაციის მიხედვით, ქვეყნებმა არ უნდა დაუშვან ფიქტიური ბანკების [ფირმების] დაარსება და არ უნდა დაუშვან მათი უწყვეტი ფუნქციონირება. ფინანსურმა დაწესებულებებმა არ უნდა ითანამშრომლონ მათთან.

5.4.3. ადვოკატების, ნოტარიუსების და სხვა „დარაჯების“ საქმიანობა

FATF –ის მონაცემებით ფულის გათეთრების და ფინანსური მაქინაციების დროს მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადვოკატები, ნოტარიუსები და სხვა სამართლის და ეკონომიკის ექსპერტები - “gatekeeper“ - „დარაჯები“.

მომსახურების სფეროს ეს ჯგუფი საკუთარი საქმიანობით ხშირად ეხმარება ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს ფულის გათეთრებაში, ვინაიდან მათ ქვეყნის და საერთაშორისო კანონმდებლობის სპეციალური ცოდნა გააჩნიათ, ძნელად ხვდებიან ეჭვმიტანილი პირების სიაში და თავიანთი საქმიანობის გამო პატივისცემით სარგებლობენ საზოგადოებაში.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 2003 წელს ხუთ ზემოაღნიშნული მომსახურების სფეროს წარმომადგენელთა წინააღმდეგ (ადვოკატები, ნოტარიუსები და სხვა სამართლის და ეკონომიკის ექსპერტები) დაიწყო გამოძიება დანაშაულებრივ ორგანიზებულ ჯგუფებთან ერთად ფულის გათეთრების ბრალდებით.

საერთაშორისო ორგანიზაცია FATF-ის №12 რეკომენდაციის მიხედვით, ფინანსურმა დაწესებულებებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ფულის გათეთრების რისკს, ისეთი პირების საქმიანობის დროს, როგორებიცაა ადვოკატები, ნოტარიუსები, სამართლის პროფესიის სხვა დამოუკიდებელი წარმომადგენლები და ბუღალტრები, რომლებიც ამზადებენ ან ახორციელებენ ფინანსურ ტრანზაქციებს.

5.4.4. ფულის გათეთრება პოლიტიკოსების მიერ

საერთაშორისო ორგანიზაცია FATF –ის მიერ დადგენილ იქნა იმ პოლიტიკოსების წრე, რომლებსაც თავიანთი პოლიტიკური გავლენით ფულის გათეთრების ყველაზე დიდი შესაძლებლობა გააჩნიათ. მათ შორის არიან ქვეყნის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების პირველი პირები, მთავრობის წევრები და პოლიტიკოსები, იუსტიციის, საფინანსო და თავდაცვის მაღალჩინოსნები, პოლიტიკური პარტიების ლიდერები. ევროკავშირის მიერ 2005 წლის 15 დეკემბერს „ფულის გათეთრების შესახებ" მიღებული კანონის მიხედვით, პოლიტიკოსთა წრეს მიეკუთვნებიან ასევე მაღალჩინოსანი სახელმწიფო წარმომადგენლების ოჯახის წევრები და მათთან დაახლოვებული პირები, ვინაიდან ხშირად სწორედ ისინი არიან ფულის გათეთრების შედეგად მიღებული მოგების ადრესატები, რომელთა ანგარიშზეც ხდება პოლიტიკოსების მიერ გათეთრებული ფულის გადარიცხვა.

ვინაიდან მაღალჩინოსანი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი დისკრეციის უფლებით სარგებლობს, მათ მიერ განხორციელებული დანაშაულის შემცველი ფინანსური ოპერაციები ძნელი დასადგენია. გარდა ამისა, პოლიტიკოსების მიერ ჩადენილი ფულის გათეთრების ფაქტების უმრავლესობა ოფშერულ ზონებში არსებული ფირმების საბანკო ანგარიშზე გადაირიცხება, რისი სრული გამოძიებაც მიუწვდომელი ხდება სამართალდამცავი ორგანოებისათვის.

ხშირად ფულის გათეთრებას ახორციელებენ პოლიტიკოსების უკან მდგომი პირები: მათი ოჯახის წევრები, მეგობრები, ადვოკატები ან მათ მიერ დაქირავებული პირები. სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიებას ართულებს ის ფაქტიც, რომ ფულის გათეთრებას დიპლომატიური სტატუსის მქონე პირები ახორციელებენ, რომელთა დაკავებაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

საერთაშორისო ორგანიზაცია FATF-ის №6 რეკომენდაციის მიხედვით, ფინანსურმა ინსტიტუტებმა ცნობილ პოლიტიკოსებთან მიმართებაში ფინანსური მდგომარეობის შემოწმების ნორმალურ ზომებთან ერთად უნდა გაატარონ შემდეგი დამატებითი ღონისძიებები: ა) უნდა გააჩნდეთ რისკის მენეჯმენტის სათანადო სისტემა კლიენტის პოლიტიკური ცნობადობის განსაზღვრის მიზნით; ბ) უნდა გააჩნდეთ ამგვარ პოლიტიკურ კლიენტებთან ურთიერთობის დამყარების საქმეში უფროსის (ზემდგომის) მხარდაჭერა; გ) უნდა მიიღონ რაციონალური ზომები ქონებისა და ფულის წყაროების დასადგენად; დ) უნდა შეეძლოთ პოლიტიკოსის ბიზნეს ურთიერთობების სისტემატიური კონტროლის განხორციელება.

5.4.5. ოფშერული ზონის ფირმები და ბანკები

ოფშერული ზონის ქვეყნებს განეკუთვნებიან ანდორა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, მალტა, მონაკო, კვიპროსი, დუბაი, ბაჰამა და სხვა. ოფშერული ზონა გამოირჩევა საერთაშორისო ფულად-საკრედიტო საქმიანობით, რომელიც ნაციონალურ ნორმებს და ადგილობრივ სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს არ ემორჩილება. ოფშერული ზონების უპირატესობას წარმოადგენს ბიზნესის საქმიანობისას დისკრეცია, ანონიმურობა, „კომფორტაბელური" საკანონმდებლო ბაზა, ნაკლები გადასახადები.

ოფშერული ზონების კრიტიკა მდგომარეობს შემდეგში:

- ეკონომიური საქმიანობის ნაკლები კონტროლი,
- საბანკო საქმიანობის საიდუმლოება,

- არასაკმარისი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ეკონომიური საქმიანობის ზედამხედველობას შეუწყობდა ხელს,
- ბანკების და ფირმებისათვის მინიმალური საბუღალტრო ანგარიშვალდებულება.

ოფშერულ ზონებში მოქმედი ფირმების და ბანკების არასაკმარისი კონტროლის გამო ფულის გათეთრების მეორე ეტაპის (ფულის წარმომავლობის კვალის წაშლა) დიდი ნაწილი სწორედ ამ ფირმებზე მოდის, ვინაიდან: ნაკლებია ფირმების საბუღალტრო ვალდებულებები, ლიბერალურია ეკონომიური პოლიტიკა, ოფშერული ქვეყნები პოლიტიკურად სტაბილურია, უცნობია და (ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების) კონტროლს არ ექვემდებარება ოფშერულ ზონაში არსებული ფირმების ანგარიშზე გადარიცხული თანხების წარმომავლობის დადგენა, ფირმების მომსახურების მაღალი დონე.

ოფშერულ ზონაში ფირმის გახსნა ყოველგვარი იდენტიფიკაციის გარეშეა შესაძლებელი, კლიენტის მიერ კითხვარში აღნიშნული ნებისმიერი სახელით და გვარით, რაც ფულის გათეთრების შემთხვევებში აფერხებს დამნაშავე პირთა იდენტიფიკაციას.

5.5 ფულის გათეთრება „ქართულად“

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლესი სისხლის სამართლის ფედერალური სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება (იხ.: BGH 1 StR 4/09 – 18. Februar 2009), რომელიც ეხება საქართველოს ორ მოქალაქეს, რომელთაგან ერთ-ერთს ბრალი დაედო ფულის გათეთრებაში.

გერმანიის სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, 1999–2002 წლებში განსასჯელმა მონაწილეობა მიიღო მისი ძმის მიერ 1,15 მილიონი ევროს გათეთრების პროცესში.

გერმანიის საგამოძიებო ორგანოებმა დაადგინეს, რომ განსასჯელის ძმა იყო საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროს მაღალჩინოსანი. მას (განსასჯელის ძმას) დაუკავშირდნენ გერმანიაში რეგისტრირებული სატრანსპორტო ფირმები B და F, რომელთაც განსასჯელის ძმამ გარკვეული ქრთამის საფასურად „გაუკეთა“ სატრანსპორტო ნებართვა. აღნიშნული ნებართვების საფუძველზე ფირმები B და F ახორციელებდნენ საერთაშორისო სატრანსპორტო საქმიანობას და ფლობდნენ უპირატესობას საკონკურენციო ბაზარზე. განსასჯელ პირს ძმის არაკანონიერი ნებართვებისათვის სატრანსპორტო ფირმები B და F გერმანიაში გახსნილ საბანკო ანგარიშებზე ურიცხავდნენ ქრთამს, რომელსაც განსასჯელი ძმის მითითებით ან სხვა საბანკო ანგარიშებზე რიცხავდა ან ნაღდი ფულის სახით გამოჰქონდა ბანკიდან და აძლევდა თავის ძმას.

ქალაქ შტუტგარტის სასამართლოს გადაწყვეტილებით, განსასჯელი ცნობილ იქნა დამნაშავედ ფულის გათეთრებაში და მიესაჯა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა ამავე ვადის პირობითი მსჯავრით. გარდა ამისა, განსასჯელს ჯარიმის სახით დაეკისრა 398 628 ევროს გადახდა.

თავი მეექვსე

დანაშაული სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ

დანაშაული მიმართული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ განსაკუთრებული საშიშროებით გამოირჩევა, ვინაიდან იგი ხელყოფს ადამიანისათვის ყველაზე ღირებულ სიკეთეს, სიცოცხლის უფლებას და ჯანმრთელობას. დანაშაული მიმართული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ ძალადობრივი ხასიათის დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XIX და XX თავებში რეგულირდება. ძალადობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური და სისხლისსამართლებრივი განმარტებები განსხვავებულია. კრიმინოლოგია ძალადობრივ დანაშაულს უფრო ფართოდ განიხილავს და გულისხმობს სკოლის ბულინგიდან დაწყებული შეიარაღებულ ძალადობამდე დამთავრებული, ყველა სახის (ადმინისტრაციულ სამართლებრივ, სისხლის სამართლებრივ) ქმედებას. სისხლისსამართლებრივი თვალთახედვით, ძალადობრივი დანაშაული მოიცავს მხოლოდ იმ ქმედებას, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო და სისხლის სამართლის ნორმებით.[479]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს „მკვლელობის მრავალ სახეობას“.[480] კერძოდ, სსკ 108-ე მუხლი ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დამამძიმებელი გარემოებების გარეშე განზრახ მკვლელობის ჩადენისათვის. სსკ-ის 109-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ განზრახ მკვლელობისათვის.[481] სსკ 110-ე მუხლი სისხლისსამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას მსხვერპლის თხოვნით, სსკ 111-ე მუხლი – უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობისათვის, სსკ 112-ე მუხლი – დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობისათვის, სსკ 113-ე მუხლი –აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი მკვლელობისათვის, სსკ 114-ე მუხლი – დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით ჩადენილი მკვლელობისათვის, სსკ 115-ე მუხლი – თვითმკვლელობამდე მიყვანისათვის, სსკ 116-ე მუხლი – გაუფრთხილებლობით ჩადენილი სიცოცხლის მოსპობისათვის.

სსკ 109-ე მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის მკვლელობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან:

1. იურიდიული შემადგენლობის თვალსაზრისით და სასჯელის ზომით;

2. „მათი ჩადენისა და გამოძიებით დასადგენი გარემოებების წრის განსაზღვრისა და მათი დადგენის შესაძლო თავისებურებებით“;[482]

3. კრიმინოლოგიური თვალთახედვით დამნაშავის პიროვნების დადგენით.

---

[479]იგივე, გვ. 145.

[480]ფაფიაშვილი, შ., 2003. გვ. 78.

[481]სსკ 109-ე მუხლის კრიტიკა იხ.: გამყრელიძე, ო., 2008ბ. გვ. 6.

[482]ფაფიაშვილი, შ., 2003. გვ. 79.

სსკ 109-ე მუხლით გათვალისწინებული სხვადასხვა მკვლელობების კრიმინოლოგიური ანალიზის კუთხით გამოვყოთ რამდენიმე მათგანი:

1. დამნაშავე, რომელიც „მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით“ ან „რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო“ ჩაიდენს განზრახ მკვლელობას, შესაძლებელია პოლიტიკური მოტივით მოქმედებდეს, რაც საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ თანაცხოვრებას, გამოიწვევს მსხვერპლად გამხდარი ჯგუფის საპირისპირო მოქმედებებს;

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე დამნაშავე, რომელიც უკმაყოფილოა თავისი მდგომარეობით, ჩაიდენს განზრახ მკვლელობას მისთვის „წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნისა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა“, შესაძლებელია იგი მოქმედებდეს ფსიქოლოგიური არასტაბილურობის ნიადაგზე. კერძოდ, ფროიდის ფსიქოანალიტიკური თეორიის მიხედვით, დამნაშავე ზოგ შემთხვევაში არაცნობიერად მოქმედებს და მისი ქმედების ახსნა ღრმად არის მის პიროვნებაში „დამარხული“, რაც შეიძლება ბავშვობაში მიღებული ტრავმიდან ან ოცნებებიდან მომდინარეობდეს,[483] ანუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანმა, რომელიც საკუთარი მდგომარეობით არის უკმაყოფილო, შეიძლება მოკლას სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირი, რითაც იგი შურს იძიებს საკუთარ უმწეობაზე;

3. მნიშვნელოვანია „ჯგუფურად“ ჩადენილი განზრახ მკვლელობის შემთხვევაში დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით იმის გარკვევა, თუ რა სახის ჯგუფთან გვაქვს საქმე, რომელიც სსკ 27-ე მუხლის თანახმად, წინასწარ შეუთანხმებლად, თუ წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდა ან ორგანიზებული ჯგუფია, ხოლო თუ საქმე ორგანიზებულ ჯგუფს ეხება, როგორი სახის არის იგი: მარტივი, რთული (სტრუქტურულად ორგანიზებული), ბანდიტური, მაფიოზური თუ „პროფესიული დამნაშავეების ლიდერთა კორპორაცია“;[484]

4. განზრახ მკვლელობას, რომელიც ჩადენილია ანგარებით მორალური საფუძვლების გარდა (სიძუნწე, მომხვეჭველობითი სული),[485] შესაძლებელია გააჩნდეს კრიმინოლოგიური ახსნა. ანგარებითიმკვლელობა, რომლის მიზანი მატერიალური გამორჩენის მიღებაა,[486] შეიძლება ჩადენილ იყოს ოჯახური კონფლიქტის, ეკონომიური გაუსაძლისობის, სოციალური უსამართლობის ნიადაგზე.

---

[483]Herren, R., 1973. S. 65.

[484]ბაძაღუა, მ., 1998. გვ. 27.

[485]ობოლაძე, რ., 1999ა. გვ. 60, 61.

[486]ლეკვეიშვილი, მ. და ავტ. კოლ., 2008. გვ. 49.

6.1. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კრიმინოლოგიური შეფასება

6.1.1. სტატისტიკური მონაცემები

ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სტატისტიკური მონაცემები, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იქნა გამოქვეყნებული შემდეგნაირად გამოიყურება.

განზრახ მკვლელობის სტატისტიკური მონაცემები (შსს):

წელი	2008	2009	2010	2015
რეგისტრირებულ დანაშაულთა საერთო რაოდენობა	44 644	35 949	34 739	35 096
მათ შორის: განზრახ მკვლელობა	263 (100%)	205 (100%)	180 (100%)	94 (100%) სსკ 108 მ.; 17 (100%) სსკ 109 მ.
გახსნილია	132 (50,2%)	112 (54,6%)	97 (54%)	79 (84%), სსკ 108 მ.; 11 (64%) სსკ 109 მ.

განზრახ მკვლელობის მცდელობის სტატისტიკური მონაცემები (შსს):

წელი	2008	2009	2010	2015
რეგისტრირებული მკვლელობის მცდელობა	390 (100%)	289 (100%)	238 (100%)	124 (100%)
გახსნილია	254 (65%)	225 (78%)	217 (91,2%)	112 (89%)

6.1.2. სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შეფასება

საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის თანახმად, „სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი“. ამრიგად, კონსტიტუციის მიერ ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი ღირებულების მქონედ არის გამოცხადებული. ამ მხრივ, ასევე აღსანიშნავი და მისასალმებელია 1997 წლის 11 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება სიკვდილის დასჯის გაუქმების თაობაზე, რომლითაც სისხლის სამართლის პოლიტიკის ჰუმანიზაციას ჩაეყარა საფუძველი.[487]

ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია, ვინაიდან იგი მიმართულია „ბუნების მიერ ნაბოძებ“[488] ყველაზე ძვირფასი მოვლენის – სიცოცხლის წინააღმდეგ.[489] წართმეული სიცოცხლის აღდგენა არავითარ ბუნებრივ ძალას აღარ შეუძლია.[490] მკვლელობის ჩადენილად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ ვის მიმართ იქნა განზრახ მკვლელობა ჩადენილი: ახალგაზრდა, ჯანმრთელი ადამიანის, ღრმა მოხუცებულის, თუ განუკურნებელი სენით დაავადებულის.[491]

---

[487]ნანობაშვილი, ზ., 1999. გვ. 73.
[488]ობოლაძე, რ., 1999ბ. გვ. 74.
[489]ობოლაძე, რ., 1999ა. გვ. 59.
[490]ობოლაძე, რ., 1999ბ. გვ. 74.
[491]ფაფიაშვილი, შ., 2003. გვ. 77.

ადამიანის სიცოცხლის დაცვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კრიმინალურ მეცნიერებებს: ქვეყნის საკანონმდებლო ბაზას; სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას; კრიმინალისტიკურ სამსახურს; კრიმინოლოგიურ კვლევებს, პოტენციური დამნაშავეების და მსხვერპლის აღმოჩენა-გადარჩენის კუთხით.

სიცოცხლის მოსპობა ამ დანაშაულის განსაკუთრებულ საზოგადოებრივ საშიშროებას განაპირობებს. მკვლელობა არა მარტო თავისი პირდაპირი შედეგით არის საზოგადოებრივად საშიში, არამედ მას უარყოფითი გავლენის მოხდება შეუძლია ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოების გრძნობის ჩამოყალიბების საქმეში. მკვლელობა, რომელიც გაუხსნელი რჩება, ქვეყნის მოსახლეობას შიშის სინდრომს უყალიბებს, ვინაიდან მას (ადამიანს) ესმის, რომ დამნაშავე, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა და ჯერ დაკავებული არ არის, შესაძლებელია მისი და მისი ოჯახის წევრების წინააღმდეგაც მსგავსი ქმედება ჩაიდინოს და თვითონ გახდეს დანაშაულის (პირდაპირი თუ ირიბი) მსხვერპლი. ამდენად, ფრიად მნიშვნელოვანია მკვლელობის დანაშაულის საქმეების სამართალდამცავი ორგანოების მიერ სწრაფი გახსნა.

2003 წლის მონაცემებით, ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოში მომხდარი მკვლელობებიდან გაუხსნელია 1500 სისხლის სამართლის საქმე,[492] რასაც სავარაუდოდ, საქართველოში ბოლო წლებში არსებულმა მწვავე პოლიტიკურმა და ეკონომიურმა პრობლემებმაც შეუწყო ხელი.[493]

სამწუხარო და შემაშფოთებელია ის გარემოებაც, რომ განზრახ მკვლელობა ხშირად ჩადენილია უცხო ქვეყნის მოქალაქის წინააღმდეგ, რომელიც საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა. უცხოელი მოქალაქეების მიმართ ამგვარი დანაშაულების ჩადენა შეაფერხებს საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას. გარდა ამისა, განზრახ მკვლელობა უმეტესწილად დაკავშირებულია ანგარებასთან და დაზარალებულის (მოკლულის) საქმიანობასთან.[494] დამნაშავისადმი ანგარებითი მოტივით მკვლელობის ჩადენა, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების პრობლემებზე მიუთითებს. კერძოდ, ქვეყანაში საბჭოთა რეჟიმის დამარცხების შემდეგ ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ხელს შეუწყობდა ისეთი საზოგადოებრივი ღირებულებების შექმნას, როგორიცაა პროფესიონალიზმი, კაცთმოყვარეობა, სხვისი უფლებების პატივისცემა, რაც, თავის მხრივ, შეამცირებდა ანგარებითი მოტივით განზრახი მკვლელობების რიცხვს.

ზომოთმოყვანილი სტატისტიკური მონაცემები შემაშფოთებელი და დამაფიქრებელია. შემაშფოთებელი, იმ კუთხით, რომ ჩადენილ მკვლელობის (სსკ 109-ე მუხლი) დანაშაულთა 64%-ია მხოლოდ გახსნილი,[495] რაც ადამიანებში დაუცველობის გრძნობას გამოიწვევს, ხოლო შემაშფოთებელი, ვინაიდან სამართალდამცავ ორგანოებს არ შესწევს ძალა გახსნას ეს განსაკუთრებით საზოგადოებრივად საშიში დანაშაული.

---

[492]იგივე, გვ. 80.
[493]იგივე, გვ. 79.
[494]იგივე, გვ. 81.
[495]გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ბოლო 10 წლის განმავლობაში განზრახ მკვლელობის შემთხვევების საშუალოს 96% არის გახსნილი.

პროფესორი ფაფიაშვილი განზრახ მკვლელობების სისხლის სამართლის საქმეთა გაუხსნელობის ორ მიზეზს ასახელებს:[496]

1. მკვლელობის საქმეების გახსნის სირთულე;
2. განზრახ მკვლელობის საქმეების გამოძიების პროცესში დაშვებული შეცდომები, ანუ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა არაპროფესიონალიზმი.

გარდა ამისა, ხაზგასასმელია აგრეთვე ის ფაქტი, რომ თუ საქრთველოში განზრახ მკვლელობათა დიდი რაოდენობა ანგარებითი ხასიათისაა, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი კარგად არის წინასწარ მკვლელის მიერ მომზადებული და შესრულებულია უმაღლეს დონეზე (მაგ. ღამის საათებში, ცარიელ ქუჩაში, არარეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღით ჩადენილი მკვლელობა, რომელსაც თვითმხილველები არა ჰყავს); არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ხშირად ამგვარ მკვლელობებს უკვეთავდნენ და/ან მფარველობდნენ მაღალჩინოსანი პოლიტიკური წრის წარმომადგენლები, რომელთა სურვილს არ წარმოადგენდა მკვლელობის საქმის გახსნა და ისინი ყოველგვარი საშუალებებით ხელს უშლიდნენ გამოძიებას ჭეშმარიტების დადგენაში.[497]

ყოველივეს უნდა დაემატოს ის გარემოება, რომ ბოლო წლებში გამომძიებლის პროფესია არაპრესტიჟული გახდა და ბევრი გამოცდილი გამომძიებელი კერძო სტრუქტურებში, მოსამართლედ, პროკურორის თანაშემწედ გადავიდა.[498]

თუ მოცემულ სტატისტიკურ მონაცემებს შევადარებთ გერმნიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკურ მონაცემებს, დავინახავთ, რომ საქართველოში განზრახ მკვლელობის გახსნის სტატისტიკური მაჩვენებელი 2007-2012 წლებში 50-55 პროცენტი იყო, 2015 წელს სსკ 109-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 64%-ია, გერმანიაში ეს მაჩვენებელი 95 პროცენტს შეადგენს.[499] ასეთი დიდი განსხვავება განპირობებული უნდა იყოს შემდეგი ფაქტორებით:

1. გერმანიაში სჭარბობს ოჯახური პრობლემების ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობები და ნაკლებია ანგარებით ჩადენილი მკვლელობის ფაქტები, როდესაც მკვლელი კარგად მომზადებული გეგმის მიხედვით მოქმედებს და შესაბამისად, რთულია ასეთი სახის მკვლელობის გახსნა;
2. სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების და მათი ტექნიკურ-კრიმინალისტიკური აღჭურვილობის დონე;
3. მოქალაქეთა სურვილი ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

ასევე, პრობლემატური იყო განზრახ მკვლელობის მცდელობის სტატისტიკური მონაცემები. პირველი პრობლემა მდგომარეობდა იმ ფაქტში, რომ განზრახ მკვლელობის მცდელობა რაოდენობრივად თითქმის 100 ერთეულით სჭარბობდა განზრახ მკვლელობის ფაქტებს.[500]

---

[496]ფაფიაშვილი, შ., 2003. გვ. 80.

[497]საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის საპარლამენტო მოხსენება.www.ombudsman.ge.

[498]მეფარიშვილი, გ., 2007. გვ. 33.

[499]Schwind, H.-D., 2008. S. 30.

[500]ავტორის მიერ გაანალიზებულ იქნა გერმანიაში 1994, 1995, 1996 და 2006 წლების კრიმინალური სტატისტიკა. ამ წლებში გერმანიაში განზრახ მკვლელობის მცდელობა ორჯერ დაბალი იყო განზრახ მკვლელობასთან.

განზრახ მკვლელობის მცდელობის პრაქტიკაში არასწორი კვალიფიკაცია. ხშირად ფაქტები, როდესაც ერთმა პირმა მეორე პირს სხეულის ზემო ნაწილში (მუცელი, მკერდი, თავი) მიაყენა სხეულის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, საგამოძიებო ორგანოების მიერ კვალიფიცირება ხდებოდა, როგორც განზრახ მკვლელობის მცდელობა, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა მკვლელობის განზრახვა დამნაშავეს, ანუ სურდა თუ არა დაზარალებულის მოკვლა. აღნიშნული საკითხი დაიხვეწა, რის გამოც იკლო განზრახ მკვლელობის მცდელობის მაჩვენებელმა.

მეორე პრობლემა იყო ის, რომ განზრახ მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის საქმეების მხოლოდ 65 პროცენტის გახსნა ხდებოდა. ბოლო წლებში გამოსწორდა ეს საკითხი და თითქმის 90% შეადგინა, რაც სამართალდამცავი ორგანოების კარგ მუშაობაზე და მოსახლეობის მათთან თანამშრომლობაზე მიუთითებს.

6.2. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კრიმინოლოგიური შეფასება

6.2.1. სტატისტიკური მონაცემები

ჯანმრთელობის დაზიანების სტატისტიკური მონაცემები (შსს):

წელი	2008	2009	2010	2015
ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება (სულ)	200 (100%)	134 (100%)	126 (100%)	177(100%)
გახსნილია	124 (62%)	85 (63%)	105 (83%)	140 (79%)
ჯანმრთელობის განზ. ნაკლ. მძიმე დაზიანება (სსკ 118-ე მუხლი)				312 100%)
გახსნილია				134 (42,9%)

შსს-სსტატისტიკური მონაცემების თანახმად, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ხვედრითმა წილმა 2010 და 2015 წელს 2009 წელთან შედარებით საგრძნობლად იმატა.

სამწუხაროა, რომ ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების შემთხვევების გახსნის მაჩვენებელმა 2008 წელს 62%, ხოლო 2009 წელს 63% შეადგინა. მისასალმებელია ზოგადად ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების შემთხვევების გახსნის მაჩვენებლის მატება 2010 წელს – 83%, 2015 წელს – 79%. თუმცა, ამავე დროს, ფრიად შე-მაშფოთებელია ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების (სსკ 118-ე მუხლი) გახსნის პროცენტული მაჩვენებელი 2015 (42,9%), და ასევე, 2014 (35,6%) წელს.

თუ გავეცნობით ძალადობრივი ხასიათის დანაშაულების გახსნის შსს-ს 2014 და 2015 წლების სტატისტიკურ მონაცემებს, ვნახავთ, რომ ასევე დაბალია მაგალითად, გაუპატიურების (სსკ 137-ე მუხლი) 2014 წელს 41,4%, ხოლო 2015 წელს 48,7% და მუქარის (სსკ 151-ე მუხლი) 2014 წელს 49%, ხოლო 2015 წელს 53% გახსნის მაჩვენებელი.

6.2.2. ჯანმრთელობის წინააღმდეგო მიმართული დანაშაულის შეფასება

ადამიანის ჯანმრთელობა სიცოცხლესთან ერთად შეუფასებელ სიკეთეს წარმოადგენს. ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია მისი სიცოცხლის ხანგრძლივობასთან, მის გუნება-განწყობილებასთან, მის შრომისუნარიანობასთან და ა.შ.[501] ჯანმრთელობის დაზიანების შემადგენლობანი მატერიალურ შემადგენლობათა რიცხვს განეკუთვნება და დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის აუცილებელია განსაზღვრული შედეგის დადგომა.[502] ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მოცემულია სსკ მე-20-ე თავში, მუხლი 117 – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, მუხლი 118 – ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, მუხლი 120 – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, მუხლი 121 - ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, მუხლი 122 - ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, მუხლი 123 - ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, მუხლი 124 - ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გაუფრთხილებლობით, მუხლი 125 – ცემა, მუხლი 126 – ძალადობა, მუხლი 126[1] - ოჯახში ძალადობა.

სისხლის სამართლის მიხედვით, ჯანმრთელობის დაზიანება არის „ადამიანის სხეულის, მისი ორგანოს თუ ქსოვილის ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა, ანდა პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა გარემო ფაქტორების ზემოქმედებით“.[503]

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, ადამიანის ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესწავლა ძირითადად მნიშვნელოვანია:

1. მოძალადე დამნაშავეების გამოვლენის და მათთვის შესაბამისი თერაპიის შეთავაზების კუთხით;
2. დანაშაულის გახსნის მაჩვენებლის შესწავლის კუთხით;
3. ამ სახის დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის გაფრთხილების მიზნით;
4. პრობლემური ოჯახების გამოვლენის თვალსაზრისით, რათა მოხდეს ბავშვების (და სხვა პიროვნებების) ოჯახური ძალადობისაგან დაცვა.

სამწუხაროა, რომ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის ზოგიერთი დანაშაულების სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გახსნის მაჩვენებლები 2014 და 2015 წლებში დაბალია. ისეთი სახის დანაშაულებზე, როგორიც არის ჯანმრთელობის დაზიანება, სადაც დაზარალებული, ამავე დროს, თვითმხილველია (უმრავლეს შემთხვევაში), ისეთ საქმეებთან შედარებით, რომელთაც თვითმხილველი არა ჰყავთ (ქურდობა), უფრო ადვილი უნდა იყოს სისხლის სამართლის საქმის გახსნა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთი დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 40-50 პროცენტია. ჯანმრთელობის დაზიანების საქმის გახსნის ასეთი დაბალი მაჩვენებელი შეიძლება დამოკიდებული იყოს:

---

[501]ლეკვეიშვილი, მ., და ავტ. კოლ., 2008. გვ. 69.
[502]ებრალიძე, თ., 2005ბ. გვ. 139.
[503]ლეკვეიშვილი, მ. და ავტ. კოლ., 2008. გვ. 70.

1. სამართალდამცავი ორგანოებისადმი უნდობლობით (შესაბამისად, არ ხდება დაზარალებულის მხრიდან პოლიციასთან თანამშრომლობა);

2. შურისძიების მოტივით (დაზარალებულს სურს თვითონ იძიოს შური დამნაშავეზე);

3. დამნაშავესა და დაზარალებულს შორის ურთიერთობით (ნათესაური ურთიერთობის გამო, დაზარალებულს არ სურს ითანამშრომლოს პოლიციასთან);

4. დაზარალებულის დამნაშავისადმი შიშით;

5. დაზარალებულის დამნაშავესთან ფულად გარიგებაზე წასვლა (სამედიცინო ხარჯების დაფარვა, ჯანმრთელობის დაზიანებისათვის ფულადი ანაზრაურების მიღება).

ჯანმრთელობის დაზიანების სისხლის სამართლის საქმეთა გახსნის მაჩვენებლის გაზრდა, ხშირ შემთხვევაში, დამოკიდებულია დაზარალებულის ინტერესზე. თუ დაზარალებულს ექნება ჯანმრთელობის დაზღვევა და იგი გახდება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლი, სადაზღვევო პოლისის ამოქმედებისათვის, მას აუცილებლად დასჭირდება ცნობა პოლიციიდან, თუ როგორ იქნა მისთვის ჯანმრთელობის დაზიანება მიყენებული, ხოლო, თავის მხრივ, სადაზღვევო კომპანია დაინტერესებული იქნება პოლიციამ დაადგინოს დამნაშავე პირი, რათა მიიღოს მისგან ის თანხა, რომელიც მან გადაუხადა დაზარალებულს სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ჯანმრთელობის აღდგენისათვის (სამკურნალო ხარჯები). თავის მხრივ დაზარალებული დაინტერესებული იქნება ითანამშრომლოს პოლიციასთან, რათა სრულად ისარგებლოს სადაზღვევო კომპანიის მომსახურებით.

შსს-ს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2008 და 2009 წლების (63%) მონაცემებთან შედარებით 2010 წელს 20%-ით გაიზარდა ზოგადად ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი და 83% შეადგინა.

წინა წლებთან შედარებით, ასევე მაღალია ეს მაჩვენებელი 2014 (80%) და 2015 (79%) წლებში. უნდა ვიმედოვნოთ, რომ აღნიშნული გამოწვეულია საგამოძიებო ორგანოებისადმი მოსახლეობის ნდობის ამაღლებით, კარგად მოქმედი საპოლიციო საინფორმაციო ქსელით, მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის გახშირებით და მენტალობის ცვლილების დაწყებით, სურვილით მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

თავი მეშვიდე

ეკონომიკური დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მერვე კარი ეხება ეკონომიკურ დანაშაულებს. ეკონომიკური დანაშაულები მოცემულია ხუთ თავში: თავი XXV (დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ); თავი XXVI (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ); თავი XXII (დანაშაული ფულადსაკრედიტო სისტემაში); თავი XXVIII (დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში) და თავი XXIX (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ).

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ეკონომიკურ დანაშაულებს (და არა მარტო) შორის ყველაზე გავრცელებული დანაშაულებია: ქურდობა (სსკ 177-ე მუხლი); ძარცვა (სსკ 178-ემუხლი); ყაჩაღობა (სსკ 179-ემუხლი); თაღლითობა (სსკ 180-ემუხლი) და გამოძალვა (სსკ 181-ემუხლი). თუმცა, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, მნიშვნელობას არ არის ასევე მოკლებული ეკონომიკურ სფეროში ჩადენილი ე.წ. „თეთრსაყელოიანთა დანაშაულები“. ამიტომ ეკონომიკური დანაშაულის მნიშვნელობისა და უკეთ გაგებისათვის საინტერესოა სწორედ ამ ორ სფეროში ჩადენილ დანაშაულთა კრიმინოლოგიური შეფასება.

7.1. თეთრსაყელოიანთა დანაშაული

ამერიკელი სოციოლოგის საზერლენდის მიერ 1939 წელს გამოყენებული ცნება თეთრსაყელოიანთა დანაშაული - white-collar criminality - მეცნიერებაში ბოლო სამი ათწლეულია რაც დამკვიდრდა. საზერლენდი white-collar criminality-ს უწოდებდა ისეთი სახის დანაშაულს, რომელიც ჩადენილი იყო სამსახურებრივი საქმიანობის სფეროში, იმ პიროვნებების მიერ, რომლებიც საზოგადოებაში პატივისცემით სარგებლობდნენ და მაღალი სოციალური სტატუსი გააჩნდათ.[504] თეთრსაყელოიანთა დანაშაულის ცნება საზერლენდის მიერ შემოთავაზებული ცნების შემდეგ საკმაოდ დაიხვეწა და მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელიც ამ სახის დანაშაულს ახასიათებს.[505]

საზერლენდის თეთრსაყელოიანთა დანაშაულის ცნებისაგან განსხვავებით, ახალმა კრიმინოლოგიურმა კონცეფციებმა აქცენტი არა დამნაშავე პირზე, არამედ ჩადენილ ქმედებაზე გააკეთეს. დღეის მდგომარეობით ამერიკულ კრიმინოლოგიაში, ძირითადად დამკვიდრდა ეკონომიკური დანაშაულის ორი მიმართულება: 1. დანაშაული ჩადენილი ორგანიზაციებისა და გაერთიანებების ეკონომიკური ინტერესების წინააღმდეგ, და 2. დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია თვითგამდიდრების მიზნით სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინერი.[506]

თეთრსაყელოიანთა დანაშაულის გამოვლენის სფერო მეტად დიდ სპექტრს მოიცავს, დაწყებული საბუღალტრო დანაშაულებიდან დამთავრებული მონოპოლიური, საბანკო, საბირჟო, საკრედიტო, საგადასახადო საქმიანობით, ფულის გამოძალვით და კორუფციით.[507]

---

[504]Meier, B.-D., 2007. S. 290.

[505]ცერცვაძე, ც., 2016. გვ. 6.

[506]იქვე.

[507]Schwind, H-D., 2008. S. 445; Meier, B.-D., 2007. S. 293.

თეთრსაყელოიანთა დანაშაული მიეკუთვნება ისეთი სახის დანაშაულთა რიცხვს, რომელთა დიდი ნაწილი გაუხსნელი რჩება (ლატენტური დანაშაული), ვინაიდან ეს დანაშაული ჩადენილია მაღალი განათლებისა და სოციალური სტატუსის მქონე შუახნის ასაკის, კარიერაზე ორიენტირებული, ადამიანების მიერ, რომლებსაც ორგანიზაციებში მუშაობის მინიმუმ 10 წლის გამოცდილება გააჩნიათ.[508]

დიდ სიძნელეებთან არის ასევე დაკავშირებული თეთრსაყელოიანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური კვლევა, ვინაიდან პოტენციური დამნაშავეები (კვლევის ობიექტები) მაღალი თანამდებობის პირები არიან და შეზღუდულნი არიან ორგანიზაციის ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობით, რათა დანაშაულის ნიშნების დადგენის შემთხვევაში შელახული არ იქნეს მათი ორგანიზაციის იმიჯი.[509]

თეთრსაყელოიანთა დანაშაული, გარემოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან და საგზაო დანაშაულებთან ერთად განეკუთვნება არაკლასიკურ დანაშაულთა რიცხვს (კლასიკურია: ძალადობრივი, ქონების წინააღმდეგ მიმართული, სექსუალური დანაშაულები),[510] მაგრამ თეთრსაყელოიანთა დანაშაულით გამოწვეული ეკონომიური ზარალი ძალიან მაღალია.

შსს-ს სტატისტიკური მონაცემებით, იმ დანაშაულთა რაოდენობამ, რომლებიც თეთრსაყელოიანთა დანაშაულს, სამოხელეო დანაშაულს წარმოადგენს (მექრთამეობა, ფალსიფიკაცია, მითვისება, გაფლანგვა, აქციური საქონლის გარეშე საქონლის გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია, გადაზიდვა, ყალბი ფულის დამზადება, გადასახადებისათვის თავის არიდება) საერთო დანაშაულთა რაოდენობასთან მიმართებაში 2007 წელს დაახლოვებით 1,4%, ხოლო 2015 წელს 1,68% შეადგინა. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია თუ რა რაოდენობის ეკონომიკური ზარალი იქნა გამოწვეული თეთრსაყელოიანთა დანაშაულის მიერ 2007 ან 2015 წლებში. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითზე ნათელი ხდება თეთრსაყელოიანთა დანაშაულის საშიშროება ქვეყნის ეკონომიკისათვის. 2005 წელს გერმანიაში თეთრსაყელოიანთა დანაშაულმა რეგისტრირებულ საერთო დანაშაულთა მხოლოდ 1,7% შეადგინა, მაგრამ გამოწვეულმა მატერიალურმა ზარალმა დანაშაულების შედეგად წარმოქმნილი ზარალის 50%-ს, 4,2 მილიარდ ევროს მიაღწია.[511]

თეთრსაყელოიანთა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებად შეიძლება დასახელებული იქნეს: ნაკლები კონტროლი, თვითკონტროლი, სიხარბე და ა.შ.[512]

7.2. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული ეკონომიურ დანაშაულთა შორის „მისი ერთ-ერთი ავტონომიური ნაწილია“[513] და ყველაზე გავრცელებული დანაშაულის სახეს წარმოადგენს, როგორც საქართველოში,[514] ასევე მთელს მსოფლიოში,[515] რაც განაპირობა ბოლო წლებში მიმდინარე ეკონომიურმა

---

[508]Schwind, H-D., 2008. S. 447.
[509]Meier, B.-D., 2007. S. 295.
[510]Göppinger, H. 2008. S. 419.
[511]იგივე, გვ. 432.
[512]ვრცლად თეთრსაყელოიანთა დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე იხ.: ცერცვაძე, ც., 2016. გვ. 15.
[513]ლეკვეიშვილი, მ./მამულაშვილი, გ., 1999. გვ. 6.
[514]მჟავანაძე, ზ., 2000. გვ. 167.
[515]Schneider, H.J., 2001. S. 22.

განვითარებამ, ავტომობილისა და თვითმფრინავის საშუალებით მიღწეულმა გადაადგილების შესაძლებლობის სისწრაფემ, პროდუქციისა და კომუნიკაციისადმი ადამიანთა სწრაფვამ. პროდუქციის მასიურმა წარმოებამ, თავის მხრივ განაპირობა პროდუქციაზე სოციალური კონტროლის კლება, რაც ადამიანებს ხშირად აძლევს შესაძლებლობას კანონით აკრძალული გზებით მოიპოვონ იგი (ქურდობა, ძარცვა, მითვისება).[516]

„საკუთრება, როგორც სოციალური და ეკონომიკური მოვლენა, არის ტრიადა იმ სამი უზარმაზარი ფენომენისა, რომელიც ფლობის, გამოყენების და განკარგვის კატეგორიებს აერთიანებს“.[517] „საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ჩაითვლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედება, რომელიც მიმართულია საკუთრების უფლების დარღვევისაკენ, ე.ი. მესაკუთრისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ან მისი მიყენების საფრთხის შექმნისაკენ“.[518]

7.3. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის სტატისტიკა

7.3.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა

საქართველოში საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ხვედრითი წილი ძალიან დიდია. შსს-ს სტატისტიკური მონაცემებით ქურდობამ, ძარცვამ, ყაჩაღობამ, თაღლითობამ, გამოძალვამ 2007, 2010 და 2015 წელს დანაშაულის საერთო რაოდენობის დაახლოებით 37-42 პროცენტი შეადგინა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მესამე დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ არის მიმართული.

საქართველოს შსს-ს სტატისტიკური მონაცემები საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან მიმართებაში ასეთია:[519]

დანაშაულის სახეობა	**2007 წელი**		**2010 წელი**		**2015 წელი**	
	სულ რეგისტ.	**გახსნილი / %**	**სულ რეგისტ.**	**გახსნილი / %**	**სულ რეგისტ.**	**გახსნილი / %**
ქურდობა	18 586	3868 /20%	14 814	3675/24,8%	9 228	4 422 / 47.92%
<u>მათ შორის:</u> *მძიმე*	4 739	1113/ 23,5%	5 314	1 553/29%		
ბინების	2 684	499/18,6%	2 347	527/22,5%	1325	365/27,5%
ავტომო-ბილების	307	53 /20,5%	267	61 /22,8%	საცავში შეღწ.:1813	841/46%
პირუტყვის	522	140 /26%	544	150 /27,2%		
მობ. ტელეფ.	3 085	226 /7,3%	938	183 /19,5%		
და სხვა	7 249 = 18 586-ს 39%		5 122 = 11 371-ს 45%			
ძარცვა	1 615	532 /32,9%	1 167	532 /45,6%	437	334/76,4%
<u>მათ შორის:</u> *მძიმე*	1 148	411 /35,8%	849	401 /47,2%	ბინაში შეღწ.: 29	19/65,6%

[516]იქვე.
[517]მჟავანაძე, ზ., 2000. გვ. 167.
[518]ლეკვეიშვილი, მ./მამულაშვილი, გ., 1999. გვ. 6; ლეკვეიშვილი, მ., და ავტ. კოლ., 2008. გვ. 344.
[519]www.police.ge

ავტომობი-ლების	39	17 /43,6%	29	17 /58,6%	საცავ. შეღწ.: 12	9 / 75%
მობ. ტელეფ.	385	145 /37,7%	89	56 /62,9%		
ყაჩაღობა	1 208	493 /40,8%	1 008	479 /47,5%	367	243/66%
<u>მათ შორის:</u> განსაკ. მძიმიმე	995	405/40,7%	859	394/45,9%	ბინაში შეღწ.: 41	34/83%
ავტომობი-ლის	83	37/44,6%	127	36 /28,3%	საცავ. შეღწ.: 56	43/76,7%
მობ. ტელეფ.	191	89/46,6%	67	36 /53,7%		
თაღლითობა	2 222	731 /32,9%	1 844	791/42,9%	1168	650/55,6%
გამოძალვა	162	76 /46,9%	111	46 /41,4%	58	31/53,4%

7.3.2. შსს-ს სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით 2015 წელს 2010 წელთან შედარებით, თითქმის, 5600 ერთეულით იკლო ქურდობის საერთო მაჩვენებელმა. ასევე 24%-ით იმატა ქურდობის გახსნის საერთო მაჩვენებლმა.

თუ 2010 წლის სტატისტიკურ მონაცემებში ისეთი სახის ქურდობა, როგორიცაა პირუტყვის, ავტომობილის და მობილური ტელეფონების წინააღმდეგ ჯერ კიდევ გვხვდებოდა, ვინაიდან აღნიშნული ქურდობის სახეების მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა. 2015 წლის სტატისტიკაში ამ სახის დანაშაულს აღარ ვხვდებით. სავარაუდოდ, უმნიშვნელოა ასეთი სახის ქურდობის მაჩვენებელი, რაც ბოლო წლებში განხორციელებული წარმატებული პრევენციის შედეგია. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მობილური ტელეფონების ქურდობის, ძარცვის და ყაჩაღობის ფაქტების კლება განპირობელულია: ა) მობილური ტელეფონების ქურდების წინააღმდეგ განხორციელებული მკაცრი (ხშირ შემთხვევაში არაადეკვატური) სადამსჯელო პოლიტიკით, რამაც შეაშინა პოტენციური დამნაშავე[520] და 2) ბოლო წლების განმავლობაში სამართალდამცავი და საგამოძიებო ორგანოების ისეთი ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვით, რაც იძლევა მოპარული მობილური ტელეფონის ადგილსამყოფელის გამოვლენის შესაძლებლობას და დანაშაულის გახსნას.

საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოება, რომ 2007 და 2010 წელთან შედარებით 2015 წელს 300%-ით ნაკლები ძარცვის ფაქტი დაფიქსირდა. 2015 წელს საკმაოდ გაიზარდა ძარცვის გახსნის მაჩვენებელიც.

2007 და 2010 წელთან შედარებით 2015 წელს ასევე თითქმის 300 პროცენტით იკლო ყაჩაღობის ფაქტმა. 2015 წელს ასევე საკმაოდ გაიზარდა ყაჩაღობის გახსნის მაჩვენებელიც.

შსს-ს სტატისტიკური მონაცემების ზოგადად შეფასებისას თვალში საცემი და მეტად სამწუხაროა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის გახსნის დაბალი პროცენტული მაჩვენებლი. ქურდობის გახსნის საერთო მაჩვენებელი 2007 წელს იყო 20, 2008 წელს – 24, 2010 წელს – 31, ხოლო 2015 წელს 47,9 პროცენტი. ძალიან დაბალია ბინის ქურდობის გახსნის მაჩვენებელი და 2015 წელს 27,5%-ს შეადგენს. ძარცვის გახსნის მაჩვენებელი ასე გამოიყურება: 2007 წელს – 33, 2008

[520] 800 ლარის ღირებულების მობილური ტელეფონის ქურდობისთვის 170 000 ლარიანი საპატიმრო გირაო. შალიკაშვილი, მ. /მიქანაძე, გ., 2016. გვ. 184.

წელს 48, 2010 წელს – 53 ხოლო 2015 წელს 76 პროცენტი; ყაჩაღობის 2007 წელს - 40, 2008 წელს 48, 2010 წელს – 53, ხოლო 2015 წელს 66 პროცენტი; თაღლითობის 2007 წელს – 33, 2008 წელს – 43, 2010 წელს – 46, ხოლო 2015 წელს 55 პროცენტი; გამოძალვის 2007 წელს 47, 2008 წელს – 41, 2010 წელს – 43, ხოლო 2015 წელს 53 პროცენტი.

მიუხედავად, ზოგადად დანაშაულის გახსნის დაბალი პროცენტული მაჩვენებლისა, 2007 წელთან შედარებით 2008, 2010 და 2015 წელს ყველა კატეგორიის საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა გახსნის პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა.

გამოძალვის დანაშაულების საქმის გახსნის მაჩვენებლი, როგოც ვთქვით, 2007 წელს იყო 47 პროცენტი. ამ მაჩვენებელმა 2008 წელს იკლო და გახდა 41 პროცენტი, 2010 წელს იმატა- 43 პროცენტი, ხოლო 2015 წელს 53% შეადგინა. სსკ 180-ე მუხლის თანახმად, „გამოძალვა [არის] სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ან/და მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები“.

გამოძალვა ეკუთვნის ისეთი სახის დანაშაულს, რომლის დამნაშავე და მსხვერპლი გარკვეულ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან, ან სავარაუდოდ იყვნენ დანაშაულის ჩადენის მომენტამდე. საინტერესოა, თუ რატომ ვერ მოხერხდა ბოლო წლებში გამოძალვის დანაშაულების თითქმის 50-60 პროცენტის გამოძიება-გახსნა.

7.3.3. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები და მისი ანალიზი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით 2015 წელს ეკონომიკური დანაშაულისათვის 4 788 პირი იქნა მსჯავრდებული. ქურდობისათვის მსჯავრდებული 3 014 პირიდან 36%-ს თავისუფლების აღკვეთა, 58%-ს პირობითი მსჯავრი, ხოლო 5%-ს ჯარიმა მიესაჯა. ძარცვისთვის ბრალდებული 238 პირიდან 68%-ს თავისუფლების აღკვეთა, 30%-ს პირობითი მსჯავრი, ხოლო 2%-ს ჯარიმა მიესაჯა. ყაჩაღობისთვის ბრალდებული 157 პირიდან 94%-ს თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 6%-ს პირობითი მსჯავრი მიესაჯა.[521]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2001 - 2004 წლებთან შედარებით ბოლო წლებში საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა რაოდენობამ სტატისტიკურ ცხრილში მოყვანილი დანაშაულის სახეების მიხედვით 2-ჯერ, 3-ჯერ და 4-ჯერ იმატა, რაც განპირობებული უნდა იყოს, როგორც ბოლო წლებში სამართალდამცავი ორგანოების გააქტიურებით და მოსახლეობის საპოლიციო ორგანოებისადმი ნდობის გაუმჯობესებით, რაც გამოიხატა მოსახლეობის მხრიდან დანაშაულის უფრო ხშირ გაცხადებაში, ასევე სახელმწიფოს მიერ დამნაშავეების მიმართ მკაცრი კრიმინალური პოლიტიკის გატარებით (ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა, „ყველანი ციხეში“) და ბოლო წლებში ჩადენილი დანაშაულის „პირუთვნელად, დაუმახინჯებლად აღრიცხვაში“.[522] სამართალდამცავი ორგანოების ასეთმა

[521]იხ.:www.supremecourt.ge

[522]მეფარიშვილი, გ., 2007. გვ. 10.

„გააქტიურებამ“ გამოიწვია მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის მკვეთრი ზრდა, მაგ. თუ 2003 წელს მსჯავრდებულ იქნა 8 110, 2007 წელს მსჯავრდებულ იყო 21 170, 2010 წელს 19 940 ხოლო 2015 წელს 15 139 პირი. ასევე გაიზარდა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი. თუ ქურდობისათვის 2003 წელს თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მსჯავრდებულთა 38 პროცენტს, 2007 წელს ამ მაჩვენებელმა 50%-ს გადააჭარბა, ხოლო ბოლო წლებში იკლო და 2015 წელს 36,8% შეადგინა.

2003 წელთან შედარებით 2007, 2010 და ბოლო წლებში საგრძნობლად იკლო პირობითი მსჯავრის გამოყენების პროცენტულმა მაჩვენებელმა ყაჩაღობისა და ძარცვის ჩამდენ მსჯავრდებულთა მიმართ. აღნიშნული უნდა აიხსნას ასევე გამკაცრებული კრიმინალური პოლიტიკით ანუ იმ გარემოებით, რომ როგორც ძარცვა, ასევე ყაჩაღობა[523] მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება და ფასდება, რის გამოც ამ დანაშაულების ჩამდენი მსჯავრდებულების მიმართ ხორციელდება „ნულოვანი ტოლერანტობის“ კრიმინალური პოლიტიკა.

იმის გათვალისწინებით, რომ ქურდობა და თაღლითობა ყაჩაღობასთან შედარებით არ გამოირჩევიან ძალადობის გამოყენებით (ან გამოყენების მუქარით) და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მაღალი ხარისხის საზოგადოებრივ საშიშროებას, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით სსკ 177-ე და 180-ე მუხლების მეორე ნაწილის სანქციას შემდეგი სახის უარყოფითი ნიშნები გააჩნია:

1. უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკაზე. თუ ერთი პატიმარი სახელმწიფოს სავარაუდოდ 23 ლარი უჯდება (ეკონომიკური თვალსაზრისით), მაშინ გამოდის, რომ პირმა, რომელმაც 151 ლარი მოიპარა და მიესაჯა სსკ 177-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის უმდაბლესი ზომა, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა (სსკ 177-ე მუხლის მეორე ნაწილი) (ხოლო, სსკ 180-ე მუხლის მეორე ნაწილით 4 წლით თავისუფლების აღკვეთა), სახელმწიფოს ამ პირის შენახვა ციხის პირობებში საკმაოდ ძვირი დაუჯდება. ეს თანხა შეიძლებოდა მოხმარებოდა სწორედ დამნაშავისათვის სამუშაო ადგილის შექმნის ან სოციალური დაცვის პროგრამის განხორციელებას, რაც სავარაუდოდ, საზოგადოებას თავიდან ააცილებდა მისგან დანაშაულის განმეორებით ჩადენას;

2. ხელს უშლის პირის რესოციალიზაციას. მაღალი, არაადეკვატური სასჯელი ადამიანში წარმოქმნის უსამართლობის გრძნობას, რაც მას სულიერ ტრავმას აყენებს და ხელს უშლის მის რესოციალიზაციას.

ზემოაღნიშნულის თანახმად, აუცილებელია გადაიხედოს ქვეყანაში მოქმედი სასჯელთა სისტემა (კერძოდ, საკანონმდებლო ცვლილებით მოხდეს უფრო დაბალი ზომის თავისუფლების აღკვეთის შემოღება), რათა მისმა გამოყენებამ არ გამოიწვიოს უარყოფითი ეკონომიკური და სოციალური შედეგი, მსჯავრდებულის არა რესოციალიზაცია, არამედ მისი სრული გაკრიმინალება.

[523]ყაჩაღობის და ძარცვის პრობლემატიკაზე პრაქტიკაში იხ.: ებრალიძე, თ., 2005ა. გვ. 78-83.

7.4. საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზები

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა მაღალი პროცენტულობა საქართველოში შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი ფაქტორებით:

1. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების დაძაბვით. 1989 წლიდან მოყოლებული საქართველოში მოხდა ოთხი შეიარაღებული დაპირისპირება, რამაც უკან დაწია ქვეყნაში სამოქალაქო საზოგადოების და ღირებულებების ჩამოყალიბება. ყოველივე ამას საქართველოს მოქალაქეთა ერთ ნაწილში შესაძლოა გამოეწვია ანომიური მდგომარეობა,[524] რაც გამოიხატა მათ მიერ როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშულთა ჩადენაში (ვინაიდან ამ სახის დანაშაული ყველაზე ადვილი ჩასადენია), ასევე ალკოჰოლურ სასმელთა და ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარებაში;
2. საქართველოში მომხდარი ოთხი შეიარაღებული დაპირისპირების შედეგია 500 000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი, რომელთა დიდი ნაწილი ქვეყნის დედაქალაქშია განთავსებული. ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც მიგრაციის პრობლემა დიდია (საქართველოს მსგავსად), მაღალია ამ იძულებით (თუ არაიძულებით) გადაადგილებული ჯგუფების ინტეგრაციის პრობლემებიდან გამომდინარი საკუთრების წინააღმდეგ და ალკოჰოლური სასმელების ან ნარკოტიკული ნივთიერებების ზომოქმედებით გამოწვეული დანაშაულებრივი ქმედებების პროცენტული მაჩვენებელი.[525] სამწუხაროდ, ეს საკითხი არ არის საქართველოში კრიმინოლოგიური კუთხით გამოკვლეული;
3. საქართველოში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. 2011 წლის მონაცემებით 425,387 მოსახლე (მთლიანი მოსახლეობის 9,7%) ყოველთვიური დახმარების სახით, ფულად „საარსებო შემწეობას“ იღებდა.[526] აღნიშნული არის სწორედ ის პრობლემა, რაც შესაძლებელია საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშულთა ჩადენაში გამოიხატება. ადამიანები ქურდობენ თავის გადარჩენის მიზნით;
4. საქართველოში არსებული უმუშევართა მაღალი პროცენტული მაჩვენებელი. საქართველოში უმუშევრობის ზუსტი პროცენტული მაჩვენებელი არ არსებობს. საკითხს ისიც ართულებს, რომ უმუშევრებს არავითარი სოციალური დახმარება არ გააჩნიათ და ხშირად ადამიანთა ერთი ჯგუფი საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშულის ჩადენაში ხედავს თავისი თავის და ოჯახის ეკონომიურად გადარჩენის ერთადერთ გამოსავალს;
5. საბჭოთა კავშირის პერიოდში ქვეყნის მოსახლეობა მიხვდა, რომ კარგად ცხოვრება თუ უნდოდათ უნდა მოეპარა, მოეტყუებინა და ეთაღლითა.[527] ამ სახის მენტალიტეტი ჯერ კიდევ შემორჩენილია და ფართოდ არის გავრცელებული ქვეყანაში. „ჩალიჩი“ გადაიქცა ნორმალურ მოვლენად, თუმცა იგი („ჩალიჩი“) ხშირად დაკავშირებულია სწორედ სხვა პირის მოტყუებასთან, სხვისი კუთვნილი ქონების

---

[524]„ანომია“ – როცა ძველი ნორმები და ღირებულებები აღარ ემთხვევა რეალურ ურთიერთობებს, ახალი კი – ჯერ არა ჩამოყალიბებული“. ჯალაღონია, ი., 2007. გვ. 18.

[525]Schwind, H-D., 2008. S. 527ff.

[526]http://unicef.ge (2017 წლის 6 თებერვლის მდგომარეობით).

[527]Roth, P.E., 2000. S. 725; Koehler, J., 2000. S. 81.

უკანონოდ დაუფლებასთან, თაღლითურ საქციელთან, რაც ასევე ზრდის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობის პროცენტულ მაჩვენებელს. „ჩალიჩი“ არის თურქული წარმოშობის სიტყვა და ნიშნავს შრომას, ცდას;

6. შრომისადმი დამოკიდებულება შეიძლება იყოს ეკონომიკური დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი საფუძველი. ქართულ მწერლობას არ შეუქმნია შრომით გამდიდრებული ადამიანის პროტოტიპი.[528] შრომისადმი დამოკიდებულება არის მეტად არარაციონალური. შრომისადმი ადამიანების არასწორი დამოკიდებულება იწვევს სხვადასხვა მეთოდებით თავის რჩენისა და ქონების დაგროვების სურვილს. შრომისადმი ამგვარ დამოკიდებულებას ასევე ხელი შეუწყო საბჭოთა სისტემამ.

[528]ბაქრაძე, აკ., 2013. გვ. 97.

თავი მერვე

არასრულწლოვანთა დანაშაული

8.1. არასრულწლოვანთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა

2015 წლის 12 ივნისს მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (ამკ). ამკ-ს მესამე მუხლის მიხედვით არასრულწლოვანის ს/ს პასუხისმგებლობის ასაკი ყველა სახის დანაშაულისათვის არის 14-დან 18 წლამდე. 18-21 წლამდე მოზარდის მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იყოს განრიდება/მედიაცია თუ მან ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული (ამკ-ს მეორე მუხლი).

პირველ რიგში, საჭიროდ მიგვაჩნია გავარკვიოთ, თუ რატომ ეპყრობა კანონმდებელი 14-დან 18 წლამდე მოზარდებს განსაკუთრებულად, ანუ რაში მდგომარეობს **არასრულწლოვანის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება.**

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არასრულწლოვანი პირის თავისებურებებზე საუბარია კრიმინოლოგიური,[529] სისხლის სამართლის მატერიალური[530] და პროცესუალური თვალსაზრისით.[531] არასრულწლოვანი პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურება გულისხმობს სრულწლოვან პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განსხვავებას და ეფუძნება მოზარდის ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას. არასრულწლოვანის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარება (ჩამოუყალიბებლობა) არის მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, საპროცესო ნორმების განხორციელების, თუ კრიმინოლოგიური კვლევების მიდგომის თავისებურების ძირითადი მიზეზი და საფუძველი. სწორედ, არასრულწლოვანის, როგორც პიროვნების ჩამოუყალიბებლობა იგულისხმება, როდესაც ოთარ გამყრელიძე სამართლიანად აღნიშნავს, რომ „არასრულწლოვანება თავისთავად ზღუდავს შერაცხაობას [სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას]".[532]

არასრულწლოვანი პირის ბიოლოგიურ-ფსიქოლოგიური განვითარების თავისებურებების ცოდნა ხელს შეუწყობს, როგორც კანონმდებელს ახალი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გატარების კუთხით, ასევე მოსამართლეს მოზარდის პიროვნებისათვის შესაფერისი სასჯელის დანიშვნისას, რათა მიღწეულ იქნას სასჯელის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი – მოზარდი დამნაშავის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

8.2. გარდატეხის პერიოდი მოზარდში

დიმიტრი უზნაძის მიერ 1940 წელს დაწერილ „ზოგად ფსიქოლოგიაში" ვკითხულობთ: „საყურადღებოა, რომ სქესობრივი მომწიფების პერიოდში მოზარდის ყურადღების კონცენტრაცია ქვეითდება".[533] აღნიშნული სიტყვებით დიმიტრი უზნაძე ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანის (მოზარდის) „სქესობრივი მომწიფების

---

[529]ღლონტი, გ. (რედ.), 2008. გვ. 291.
[530]ტურავა, მ., 2013. გვ. 371; სურგულაძე, ლ., 1997. გვ. 161-162.
[531]ინწკირველი, ზ., 2000. გვ. 88.
[532]გამყრელიძე, ო., 2008ა. გვ. 252.
[533]უზნაძე, დ., 2006. გვ. 560.

პერიოდზე“, ე.წ. **„გარდატეხის პერიოდზე“**. ცოტა მოგვიანებით ამ საკითხთან დაკავშირებით შ. ჩხარტიშვილი წერს - „ბავშვობის დატოვებისა და დიდის მდგომარეობაში ყოფნის მოთხოვნილებები გარდამავალ ასაკში, იძენს რა სოციალურ შინაარსს, გადამწყვეტ ზეგავლენას ახდენს მოზარდის აქტივობის მიმართულების განსაზღვრის საქმეში. ეს მოთხოვნილება, პირველ რიგში, სოციალური პრესტიჟის, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოთხოვნილებათა ფორმებში დიფერენცირდება და მოზარდის ყოველ ქცევაში, რომელიც მას რაიმე მხრივ სხვა ადამიანებთან აკავშირებს, ეძებს დამოკიდებულებას“.[534]

მე-19 საუკუნეში მოზარდებში გარდატეხის პერიოდი 17 წლის ასაკიდან დგებოდა. დღეის მდგომარეობით გოგონებს 10-18 და ვაჟებს 12-20 წლის ასაკში აქვთ სქესობრივი მომწიფების პერიოდი[535] (ლათ. „Mannbarkeit“), („половаязрелость“), ანუ „კაცად გახდომის პერიოდი“. გარდატეხის პერიოდი ადამიანისთვის გამოირჩევა თავისი ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების მნიშვნელობით.

გარდატეხის პერიოდის ბიოლოგიური პროცესის განმავლობაში მოზარდს უვითარდება სასქესო ორგანო, ეცვლება ხმა, ამოსდის თმა სხეულის სხვადასხვა ნაწილებზე. მიზეზი იმისა, თუ რატომ იცვლება მოზარდში სხეული, განპირობებულია ჰორმონთა ცვალებადობით, რომელიც სხეულში ყოველგვარი გარეგანი ჩარევის გარეშე მიმდინარეობს. **ტესტოსტერონი** (Testosteron) **და ოსტროგენი** (Östrogen) არის ის ორი ძირითადი ჰორმონი, რომლებიც მოზარდში სხეულის ცვალებადობას განაპირობებენ.

მოზარდის სხეულის ცვალებადობა დაკავშირებულია მის სულიერ (ფსიქიკურ) განვითარებასთან. გარდატეხის პერიოდში მოზარდში აღინიშნება ენერგიის დიდი მოზღვავება, რომელსაც ყოველგვარი სულიერი და მორალური ნორმების გათვალისწინების გარეშე სურს თავი იჩინოს (დაიხარჯოს).[536]

როგორც აღვნიშნეთ, მოზარდის ორგანიზმში გარდატეხის პერიოდში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლა დიდ გავლენას ახდენს, მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე. მოზარდს ამ პერიოდის განმავლობაში შეემჩნევა ხშირი უხასიათობა, ხასიათის უცაბედი (უმიზეზო) გაუარესება ან პირიქით, სურვილთა მრავალფეროვნება, ზედმეტი ემოციურობა, საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, გულმავიწყობა, ფანტაზიურობა, წინდაუხედავობა, გადაწყვეტილების მიღების სიძნელე და რაც უკვე აღინიშნა მოზღვავებული ენერგია. მოზარდებს ამ პერიოდში არ გააჩნიათ (ან ნაკლებად) ემოციების მოთოკვის შესაძლებლობა და ზედმეტად იმპულსურები არიან,[537] ანუ არ შეუძლიათ საკუთარი მოქმედებისაგან გამოწვეული შედეგების გათვალისწინება. მოზარდები ცდილობენ საკუთარი „მე“-ს გამოჩენას და ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ ზეწოლას.[538]

უახლესმა მეცნიერული კვლევის ტექნიკური მეთოდების განვითარებამ აჩვენა, რომ მოზარდები და ზრდასრული ადამიანები ემოციების გადამუშავებას ტვინის სხვადასხვა სფეროში ახდენენ. მეცნიერული კვლევისას მოზარდებს და ზრდასრულ

---

[534]ჩხარტიშვილი, შ., 1954. გვ. 51.

[535]მოზარდის სექსუალური განვითარების შესახებ იხ.: ქურხული, ლ., 2006. გვ. 41-42.

[536]Schaffstein, F. / Beulke, W., 2002. S. 5; Kaiser, G., 1973. S. 38; ასევე, ინწკირველი, ზ., 2000. გვ. 88.

[537]დიმიტრი უზნაძის აზრით, იმპულსური მოქმედება „სუბიექტის ცნობიერი წარმართვის გარეშე მიმდინარეობს: მათ უფრო ის სიტუაცია განსაზღვრავს, რომელშიც სუბიექტს თავისი მოქმედების გაშლა უხდება“. უზნაძე, დ., 2006. გვ. 173.

[538]Schaffstein, F. / Beulke, W., 2002. S. 5; Paasch, E., 2001. S. 373.

ცდისპირებს აჩვენეს გაცინებულ, გაბრაზებულ, აგრესიულ და აღშფოთებულ ადამიანთა სურათები. ცდისპირები ვალდებულნი იყვნენ თითოეული მიმიკის შესაბამისად გადმოეცათ (აღეწერათ) ემოციები. ამ დროს მეცნიერები კომპიუტერის საშუალებით აკვირდებოდნენ ცდის პირთა „მომუშავე“ ტვინს. მოზარდი ცდისპირები მოცემულ ამოცანას ასრულებდნენ ტვინის იმ სფეროში, რომელსაც ნუშისებრი სხეული - “Amygdala“ - ჰქვია[539]. ტვინის აღნიშნული სფერო გამოირჩევა გადაწყვეტილების ემოციურად და სწრაფად მიღებით. ზრდასრული ადამიანები იგივე ამოცანას ასრულებდნენ უფრო მეტად განვითარებულ და “Amygdala“-ზე იერარქიულად მაღლა მდგომ ტვინის ნაწილში სახელწოდებით შუბლის წილის ქერქი - “frontal Cortex“.[540]

აღნიშნული ცდის საფუძველზე მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარდატეხის პერიოდში მოზარდებს არ შესწევთ ემოციების ზუსტად აღქმის უნარი და რეაგირებენ იმპულსურად.[541]

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ გარდატეხის პერიოდში საქმე გვაქვს მოზარდის არა მარტო სექსუალურ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან, არამედ მის სულიერ ღირებულებათა კონფლიქტთან. მოზარდი საკუთარი თავის და „მე“-ს გამოჩენის მიზნით ხშირად ჩადის ისეთ ქმედებას, რაც სცილდება სოციალური ურთიერთობის ნორმებს და სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. სწორედ გარდატეხის პერიოდში მოზარდში მიმდინარე ბიოლოგიური და ფსიქიკური განვითარების გამო, რაც თავისთავად გარკვეულ ასაკთან არის დაკავშირებული, საუბარია მოზარდის (არასრულწლოვანის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებაზე. კერძოდ, გარდატეხის პერიოდში მოზარდის რთული მდგომარეობის გამო ვსაუბრობთ მის შეზღუდულ შერაცხაობაზე.

8.3. არასრულწლოვანთა სასჯელის სახეები

დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანის მიმართ ამკ-ს მიხედვით შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს განრიდება (ამკ-ს 38-ე-48-ე მუხლი) და/ან სასჯელი. ამკ-ს 66-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან დამნაშავეს შეიძლება დაენიშნოს შემდეგი სასჯელი: ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

სასჯელთა ამ სახეებიდან კანონმდებელი პირდაპირ აკონკრეტებს თუ რომელია ძირითადი (თავისუფლების შეზრუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა) და რომელია დამატებითი სასჯელი (ამკ-ს 67-ე მუხლი).

ამკ-ს 65-ე მუხლის თანახმად, სასჯელის მიზანია არასრულწლოვანის რესოციალიზაცია-რებილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელი გამოყენებული და შერჩეულ უნდა იქნას ინდივიდუალურად, მისი პიროვნების, ოჯახური, სოციალური და მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით და იგი (სასჯელი)

---

[539]ნუშისებრი სხეული - “Amygdala“ – არის ლიმბური სისტემის ნაწილი, რომელიც აკონტროლებს ემოციას, აგრესიასა და ემოციური მეხსიერების ფორმირებას. შეად., გერიგი, რ./ზიმბარდო, ფ., 2009. გვ. 74.

[540]შუბლის წილის ქერქი - “Frontal cortex“ – “frontal lobe“ - არის ტვინის უბანი, რომელიც მონაწილეობს მოტორულ კონტროლში და კოგნიტურ ქმედებებში, როგორიცაა დაგეგმვა, გადაწყვეტილების მიღება და მიზნების დასახვა. შეად., გერიგი, რ./ ზიმბარდო, ფ., 2009. გვ. 77.

[541]http://www.planet-wissen.de

უნდა ემსახურებოდეს დამნაშავე მოზარდის აღზრდას[542] და პრიორიტეტული უნდა იყოს მისი საუკეთესო ინტერესის გათვალისწინება.[543]

არასრულწლოვნებისათვის სასჯელის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტისას უნდა გამოირიცხოს ზოგადი (გენერალური) პრევენციის გამოყენება და გამოყენებულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ სასჯელის სპეციალური (ინდივიდუალური) პრევენცია, რაც მოზარდის აღზრდას გულისხმობს და არა მის დასჯას.[544]

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდის ნევროლოგიურმა კვლევებმა დაადგინა, რომ სასჯელს მაშინ აქვს დადებითი ეფექტი, თუ იგი სახელმწიფოს მიერ თავშეკავებულად გამოიყენება და დამნაშავეს შესაძლებლობას აძლევს აღიდგინოს საკუთარი იმიჯი საზოგადოებაში.[545]

8.4. არასრულწლოვანთა სასჯელების ანალიზი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით საერთოდ არ დასტურდება არასრულწლოვანზე სასჯელის გარდა სხვა სახის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების აღმზრდელობითი ღონისძიებების გამოყენების ფაქტები. 2010 წელს დაიწყო განრიდება/მედიაციის პროგრამა, რაც პირველი ნაბიჯი იყო ნულოვანი ტოლერანტობის კრიმინალური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ.

დღეს არსებული მონაცემებით, დამნაშავე არასრულწლოვნების მიმართ გამოიყენება განრიდება/მედიაციის პროგრამა ან არასაპატიმრო სასჯელები ან ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. ეს უკანასკნელი გამოიყენება დიდი თავშეკავებით, რისი დასტურიც არის სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები; 2015 წლის ბოლოს პენიტენციურ დაწესებულებებში იყო 15 ბრალდებული და 20 მსჯავრდებული.

8.4.1. ჯარიმა

ამკ-ს 68-ე მუხლის მიხედვით, ჯარიმა არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. ჯარიმის დანიშვნისას ს/ს კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება.

საქართველოს სსკ 83-ე მუხლი, რომელიც 2016 წლამდე ეხებოდა არასრულწლოვანთათვის ჯარიმის შეფარდების საკითხებს, პირდაპირ მიუთითებს ამავე კოდექსის 42-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებზე და წესზე, რომლითაც ხდება სრულწლოვანი დამნაშავეებისათვის ჯარიმის ოდენობის განსაზღვრა.

საქართველოს სსკ 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილის თანახმად კი, თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი გადახდისუუნარო იყო, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებდა მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2011 წლის 11 ივლისის 3/2/416 გადაწყვეტილებაში იმსჯელა არასრულწლოვანის მიმართ გამოტანილი ჯარიმის მშობლისათვის და-

---

[542]Eisenberg, U., 2006. S. 216.

[543]არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობაზე ვრცლად იხ.: შეყილაძე, ხ., 2016. გვ. 267-286.

[544]შალიკაშვილი, მ./ მიქანაძე, გ., 2016. გვ. 126, 127.

[545]Meier, B-D./ Rössner, D./ Trüg, G./ Wulf, R., 2014. S. 53.

კისრების კონსტიტუციურობაზე და არ სცნო სსკ 42-ე მუხლის მე-5[1] ნაწილი არაკონსტიტუციურად. აღნიშნული ნორმა აღარ მოქმედებს 2016 წლის პირველი იანვრიდან.[546]

8.4.2. თავისუფლების აღკვეთა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ 2008 წელს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ბოლო წლებში არასრულწლოვან მსჯავრდებულთა წინააღმდეგ გამოყენებულ სასჯელთა სახეებს შორის თავისუფლების აღკვეთის ხვედრითი წილი 2000 წელს 15%, 2001 - 14%, 2002 - 21,3%, 2003 - 23,5%, 2004 - 23,4%, 2005 - 22%, 2006 - 34%, 2007 - 40,2%, 2008 -32,6%, 2010 – 33,5%, 2011 – 28,4%, 2012 – 27,2%, 2013 – 25,7%, 2014 – 27,3%-ით განისაზღვრა.[547]

არასრულწლოვან პირთა მიმართ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება 2006-2012 წლებში, 2001 და 2002 წლებთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. ამავე სტატისტიკის თანახმად, ბოლო წლების მანძილზე უფრო მეტად არასრულწლოვანთა მიმართ გამოიყენება თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ 63-ე და 64-ე მუხლების საფუძველზე არასრულწლოვანს ეცვლება პირობით მსჯავრად[548] გამოსაცდელი დროის დანიშვნით და არასრულწლოვანზე კონტროლი ევალება პრობაციის ბიუროს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. არასრულწლოვანთათვის პირობით მსჯავრად გამოსაცდელი დროის დანიშვნის ბოლო წლების სტატისტიკა ცხადყოფს,[549] რომ სასამართლო ძალიან ხშირად მიმართავს სასჯელის ამგვარ ფორმას და დამატებით სასჯელად 2005-2008 წლებში თითქმის ყოველთვის იყენებს ჯარიმას.[550]

საქართველოს პრობაციის ეროვნული სამსახურის 2008 წლის დეკემბრის თვის მონაცემებით პირობით მსჯავრდადებულ პირთა შორის 644 არასრულწლოვანი და 20 743 სრულწლოვანი იყო და პრობაციის ბიუროს ერთ ოფიცერს ქ.თბილისში კონტროლი უნდა განეხორციელებინა დაახლოებით 500 პრობაციონერზე, მათ შორის არასრულწლოვნებზეც, საქართველოს სხვადასხვა რაიონებში ეს მონაცემები გაცილებით ნაკლები იყო და რეგიონების მიხედვით მერყეობდა 100-დან 200 პრობაციონერამდე ერთ პრობაციის ბიუროს ოფიცერზე, ხოლო 2015 წლის მონაცემებით 16 111 სრულწლოვანი და 215 არასრულწლოვანია პრობაციის აღრიცხვაზე, რაც ერთ პრობაციის ოფიცერზე დაახლოვებით 60-80 პრობაციონერს ნიშნავს.

---

[546]ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ./ მიქანაძე, გ., 2016. გვ. 128-134.

[547]იხ.:www.supremecourt.ge

[548]პირობითი მსჯავრის ინსტიტუტთან დაკავშირებული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა იხ.: ნაჭყებია, გ./ დვალიძე, ი. (რედ.), 2007. გვ. 391 - 392.

[549]2001 წელს პირობითი მსჯავრი გამოყენებულ იქნა არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მთელი რაოდენობის 78%-ის, 2002 წელს 72%-ის, 2003 წელს 70%-ის, 2004 წელს 69%-ის, 2005 წელს 70%-ის, 2006 წელს 62%-ის, 2007 წელს 56%-ის, 2008 - 67,4%-ის, 2013 - 65,4-ის% და 2014 წელს 66,4%-ის მიმართ.

[550]ჩვენ მიერ განხილულ იქნა საქართველოს 37 საერთო სასამართლოს მიერ 2006-2008 წლებში არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი 152 განაჩენი, რომელიც ეხებოდა 184 არასრულწლოვან პირს. ანალიზის მეშვეობით დადგინდა, რომ 184 არასრულწლოვანი პირიდან 162-ის მიმართ სასამართლოს მიერ გამოყენებულ იქნა ჯარიმა, როგორც დამატებითი სასჯელი, რომლის საფუძველზეც შემოსულმა ფულადმა თანხამ 426 754 ლარი შეადგინა.

მართალია, არასრულწლოვანი დამნაშავისათვის გამოსაცდელი ვადის დაწესება მისასალმებელი პრაქტიკაა, მაგრამ ვფიქრობთ, იმ პირობებში, როდესაც პრობაციის ეროვნულ ბიუროს პრობაციონერთა რაოდენობიდან გამომდინარე არ შეუძლია კონტროლი გაუწიოს პრობაციონერ არასრულწლოვანს, არასრულწლოვანისათვის გამოსაცდელი ვადის დაწესება ხშირად უარყოფით შედეგს იღებს.

ამკ-ს 73-ე მუხლის თანახმად, თოთხმეტიდან თექვსმეტ წლამდე არასრულწლოვანისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთიმესამედით და არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს, ხოლო თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანისათვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა შემცირდება ერთიმეოთხედით და არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

ოთარ გამყრელიძის აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ის მუხლები, რომლებიც სასჯელის მინიმალურ ზღვარად ითვალისწინებენ 10 წლით ან უფრო მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას ეწინააღმდეგებიან ამკ-ს 73-ე მუხლს (სსკ 88-ე მუხლს, ამოღებულია), მაგ. 15 წლის არასრულწლოვანმა თუ ჩაიდინა სსკ 109-ე მუხლის III ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, უნდა მიესაჯოს 10 წელი, თუ ამ მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი 16 წელი. ამ დროს „სასამართლო მძიმე ამოცანის" წინაშე დგას, რადგან მას არასრულწლოვნისთვის ათ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთის მისჯის უფლება არა აქვს.[551]

ამკ-ს 73-ე მუხლის ზემოაღნიშნული დათქმა ყოველგვარ ეფექტს კარგავს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმავე კოდექსის 76-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელის დადგენილ ზომაზე ნაკლებს ან უფრო მსუბუქ სასჯელს, თუ არასრულელოვანის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა. აღნიშნული ჩანაწერი შესაძლებელია არაკონსტიტუციური იყოს, რადგან იგი ზღუდავს მოზარდის თავისუფალი განვითარების უფლებას და ლახავს მის ღირსებას.[552]

მოსამართლეს, რომელსაც ამკ-ს შესაბამისად გავლილი აქვს სპეციალური მომზადება მოზარდთა ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში და საქმის მასალებიდან და განსასჯელი მოზარდის პიროვნული, ოჯახური, მატერიალური მდგომარეობიდან გამომდინარე, უფლება უნდა ჰქონდეს მოზარდს შეუფარდოს მისი პიროვნებისათვის ადეკვატური სასჯელი, თუ ამას მოითხოვს მოზარდის აღზრდა, მისი რესოზიალიზაცია.

ამკ-ს 76-ე მუხლის შეცვლა, ანუ მოსამართლისათვის იმის უფლების მინიჭება, რომ მან დანიშნოს კანონით გათვალისწინებული სასჯელის ზომაზე უფრო ნაკლები, ან უფრო მსუბუქი სასჯელი იმის მიუხედავად, იყო თუ არა არასრულწლოვანის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი, განპირობებულია საქართველოში დღეს არსებული სასჯელთა უმდაბლესი ზომის სიმკაცრით, სასჯელის უმდაბლესი ზღვარი ბევრ შემთხვევებში არის ისეთი მაღალი, რომ შეუძლებელია თუნდაც სასჯელის კანონით გათვალისწინებული უმდაბლესი ზომის მისჯით, დამნაშავე მოზარდის რესოციალიზაციის მიღწევა. ასე მაგალითად: საქართველოს სსკ 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ" ქვეპუნქტის თანახმად ქურდობა,[553] ბინაში უკანონო შეღწევით ისჯება ოთხიდან შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. იგივე ქმედებისათვის გერმანიის სსკ 243-ე მუხლი ითვალისწინებს სამი თვიდან ათ წლამდე

---

[551]გამყრელიძე, ო., 2008ბ. გვ. 6-7.

[552]შალიკაშვილი, მ./ მიქანაძე, გ., 2016. გვ. 167.

[553]საქართველოს უზენაესი სასამართლოს ბოლო წლების სტატისტიკის თანახმად, ქურდობა არის ის დანაშაული, რომელსაც ჩადის მოზარდთა 50%-ზე მეტი.

თავისუფლების აღკვეთას, ავსტრიის სსკ 129-ე მუხლი - ექვსი თვიდან ხუთ წლამდე, ასევე ექვსი თვიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს ლიხტენშტეინის სსკ 129-ე მუხლი, ხოლო შვეიცარიის სსკ 139-ე მუხლი (ნულიდან) ათ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენად მოქმედებს ციხის პირობები პიროვნების (არასრულწლოვანის) რესოციალიზაციაზე, ანუ ჩადის თუ არა კვლავ დანაშაულს თავისუფლებააღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებული არასრულწლოვანი. დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ის მოზარდები, რომელთაც საპატიმრო სასჯელი შეეფარდათ, სხვებთან შედარებით, უფრო ხშირად ჩადიან განმეორებით დანაშაულს. მათ შორის, დაახლოებით 80% ხელმეორედ ჩადის დანაშაულს გათავისუფლებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში.[554]

საქართველოს პირობებში, როდესაც პენიტენციური დეპარტამენტის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში 14-დან 18-წლამდე პირები იხდიან სასჯელს და მათთვის შეფარდებული სასჯელი არის მაღალი, არასრულწლოვანი მსჯავრდებული ხშირად გადაყავთ ჩვეულებრივ სრულწლოვან პატიმრებთან, რითაც იკარგება იმ რესოციალიზაციის პროგრამებით გამოწვეული ეფექტი, რომლებიც შესაძლოა განხორციელდა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში და არასრულწლოვანი ურთიერთობას იწყებს მასზე უფროს კრიმინალებთან, რომლებთან ურთიერთობითაც იგი შეიძლება კრიმინალურ კარიერას დაადგეს.

აუცილებელია გადაიხედოს სასჯელთა ზომის კანონით დადგენილი ზღვარი არასრულწლოვანებთან მიმართებაში, რათა სასჯელმა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მიაღწიოს თავის მიზანს – რესოციალიზაციას - და აღარ გახდეს საჭირო არასრულწლოვანის გადაყვანა იმ ციხეებში, სადაც (ხშირ შემთხვევაში კრიმინალი) სრულწლოვანი მსჯავრდებულები იხდიან სასჯელს.

საქართველოში, როგორც ზემოთ აღინიშნა, დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდება სამი, ოთხი ან ხუთი წლით ძალიან ხშირია, მაშინ, როდესაც იგივე დასავლეთის ქვეყნებში ექვსი თვიდან ორ წლამდე იმყოფებიან არასრულწლოვნები ციხეში,[555] ვინაიდან დაბალი სასჯელი (ერთი ან ორი წელი თავისუფლების აღკვეთა) პედაგოგიურ-აღმზრდელობითი თვალსაზრისით უფრო ეფექტურია, ვიდრე მაღალი ზომის თავისუფლების აღკვეთა.

8.4.3. შინაპატიმრობა

ამკ-ს 69-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს შეიძლება დაენიშნოს 6 თვიდან ერთ წლამდე ვადით შინაპატიმრობა, რაც გულისხმობს დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნას. შინაპატიმრობის აღსრულებამ ხელი არ უნდა შეუშალოს ანაზღაურებად საქმიანობას ან სწავლის პროცესს (ამკ-ს 69-ე მუხლის მეოთხე ნაწილი). შინაპატიმრობის აღსრულება ხდება ელექტრონული

---

[554]იხ. ესექსის (ინგლისი) უნივერსიტეტის პროფესორის ქეროლინ ჰამილტონის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით 2007 წლის ანალიზი საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შესახებ; Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R., 1999. S. 193.

[555]იხ. ესექსის (ინგლისი) უნივერსიტეტის პროფესორის ქეროლინ ჰამილტონის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით 2007 წლის ანალიზი საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შესახებ.

ზედამხედველობის საშუალებით.

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე არის ფენომენი, რომელიც შემოღებულ იქნა აშშ-ში ციხის გადატვირთულობის მოსახსნელად/თავიდან ასაცილებლად.[556]

შინაპატიმრობას აქვს ორი უკიდურესად მძიმე უარყოფითი შედეგი:[557]

1) შინაპატიმრობის აღსრულების დროს ხდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით კონტროლი. ელექტრონული მოწყობილობა მოზარდს უმაგრდება ფეხზე ან ხელზე. აღნიშნული აშკარად იწვევს მოზარდის ეტიკეტირებას და შესაძლებელია მასში დამნაშავის პიროვნების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი (იხ.: ეტიკეტირების თეორია);

2) ქვეყანაში არსებული კრიმინალური მენტალობის გათვალისწინებით არსებობს დიდი საშიშროება, რომ მოზარდმა თანატოლებში იამაყოს იმით, რომ მას ელექტრონული მოწყობილობა აქვს დამაგრებული, რაც ასევე მოზარდის კრიმინალად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

უნდა აღინიშნოს, რომ აუცილებელია შინაპატიმრობის კვლევა, რათა დადგინდეს სასჯელის ეს სახე რამდენად დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს მოზარდებზე.

8.4.4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

ამკ-ს 71-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს შეიძლება დაეკისროს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 40-იდან 300 საათამდე; დღეში არაუმეტეს 4 საათისა, ხოლო თუ მხარეებს შორის დადებულია საპროცესო შეთანხმება შესაძლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა მეტი ვადითაც დაინიშნოს.[558]

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნა 300 საათით ან მეტი ვადით შესაძლებელია შეუსრულებელ ამოცანად დარჩეს, აღემატებოდეს მოზარდის ძალებს და ეწინააღმდეგებოდეს თანაზომიერების კონსტიტუციურ პრინციპს.[559]

გარდა ამისა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფარდება საპროცესო შეთანხმების პირობებში შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესს, ვინაიდან მოზარდის მოთხოვნილებებზე მორგებული კი არ იყოს, არამედ მოზარდთან სასჯელზე „ვაჭრობას“ ჰქონდეს ადგილი.[560]

8.5. არასრულწლოვანთა დანაშაულობის ცნება და თავისებურება

არასრულწლოვანის ან მოზარდის ზოგადი ცნება არ არსებობს. მოზარდობის ანუ არასრულწლოვნობის ასაკი არის ბავშობასა და ზრდასრულობას შორის პერიოდი. არასრულწლოვანის განვითარება დამოკიდებულია ქვეყნის სოციალურ, კულტურულ, საზოგადოებრივ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე და იგი მათი ზეგავლენის ერთგვარი შედეგია (ნაყოფია).[561] არასრულწლოვანთა დანაშაულობის

---

[556]შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ., 2016. გვ. 136.

[557]შინაპატიმრობის შესახებ ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ., 2016. გვ. 136-140.

[558]საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის და მისი აღსრულების პრობლემების შესახებ ვრცლად იხ.: გეთიაშვილი, გ., 2016. გვ. 230 – 245.

[559]შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ., 2016. გვ. 144.

[560]შალიკაშვილი, მ., 2016. გვ. 80.

[561]Göppinger, H., 2008. S. 381.

ქვეშ იგულისხმება 14-17 წლის მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენა.[562] სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 15 წლიდან 20 წლამდე ადამიანების საერთო რაოდენობა საქართველოში შეადგენდა 220 ათასს და მთელი მოსახლეობის (3 720 000) 16,9 პროცენტს.[563]

არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევა საინტერესოა იმ კუთხით, რომ:

1) ქვეყნის მოსახლეების 16-პროცენტიან ნაწილზე დიდი ლატენტური დანაშაულის ხვედრითი წილი მოდის,[564] თითქმის ყველა არასრულწლოვანს ერთხელ მაინც აქვს კანონის ნორმა დარღვეული;

2) არასრულწლოვანთა დანაშაულობის შესწავლა ხელს შეუწყობს სახელმწიფო და საზოგადოებრივ უწყებებს პროფილაქტიკური ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლის არასრულწლოვანი „ნორმის დამრღვევიდან" არასრულწლოვან კრიმინალად ჩამოყალიბებას.

მოზარდის სრული ჩამოყალიბება მთავრდება დაახლოვებით 25 წლის ასაკში. თუ ადამიანმა ამ ასაკს მიაღწია ისე, რომ მას არ ჩაუდენია დანაშაული, მაშინ მისი დამნაშავედ გახდომის ალბათობა მცირდება.

ამიტომ, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული **ეპიზოდური ხასიათისაა,**[565] ანუ მისი დადგომის შესაძლებლობა იწყება გარდატეხის პერიოდიდან და მთავრდება მისი სრულად ჩამოყალიბებით. დანაშაულებრივი ქმედებები ადამიანში მომატებულია 14-დან 21 წლამდე პერიოდში, რაც მისი სირთულეებით აღსავსე გარდატეხის პერიოდით და სოციალიზაციით აიხსნება.[566] დანაშაულებრივი ქმედებები უმაღლეს ზღვარს აღწევს 16-დან 18 წლამდე ასაკის დროს. ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, უმრავლეს შემთხვევაში, საქმე გვაქვს ან კრიმინალური კარიერის მატარებელ პირებთან ან პირებთან, ვინც პირველად ჩადიან დანაშაულს.

არასრულწლოვანთა დანაშაული გარდა იმისა, რომ ეპიზოდური ხასიათისაა, პირის ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განვითარების გამო, სტატისტიკური (ლატენტური) მონაცემების თანახმად, **ნორმალური** მოვლენაა და **ყველგან და ყველა დროშია გავრცელებული** (Normalität und Ubiquität), Ubiquität – (ლათ.) – გულისხმობს ღმერთის ყველგან და ყველა დროში არსებობას – გავრცელებულია საზოგადოების ყველა სოციალურ ფენაში.[567]

8.6. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკა

არსებობს არასრულწლოვანთა დანაშაულის გამორკვევის და მისი შეფასების სამი ძირითადი მეთოდი: დაპატიმრებულთა რაოდენობის მაჩვენებელი, მსხვერპლთა მიერ მიცემული ჩვენებისა და დანაშაულის თვითაღიარების მაჩვენებელი. საქართველოში შეგროვილ მონაცემებში უმთავრესად ფიგურირებს დაპატიმრების რაოდენობის მაჩვენებელი. არ არსებობს გრძელვადიანი ხელმისაწვდომი ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რამდენი დანაშაული იქნა ჩადენილი არასრულწლოვნების მიერ. ერთა-

---

[562]ღლონტი, გ. (რედ.), 2008. გვ. 290.

[563]http://www.geostat.ge (2016 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით).

[564]Schneider, H.J., 1987. S. 603.

[565]Schaffstein, F. /Beulke, W., 2002. S. 11; Walter, M., 2005. S. 332.

[566]Schaffstein, F. /Beulke, W., 2002. S. 11.

[567]Göppinger, H., 2008. S. 384. ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ., 2016. გვ. 15-18.

დერთი გრძელვადიანი მისაწვდომი მონაცემი ეხება განაჩენის გამოტანას. ეს ინფორ-მაცია სასარგებლოა დანაშაულის საერთო ტენდენციის დასადგენად, თუმცა ცოტას მეტყველებს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობაზე.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან:

წლები	**მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა**	**მსჯავრდებული არასრულ-წლოვნების რაოდენობა**	**%**
1990	7 481	499	6.7
1991		492	
1992	3 730	335	9.0
1993	X	X	
1994	8 283	X	
1995	7 094	455	6.4
1996	X	491	
1997	7 646	357	4.7
1998	6 998	357	5.1
1999	7 973	383	4.8
2000	8 284	388	4.7
2001	8 897	525	5.9
2002	8 579	497	5.8
2003	8 110	459	5.7
2004	9 071	598	6.6
2005	9 168	475	5.2
2006	13 607	1 002	7.3
2007	21 170	1 060	5.0
2008	18 664	1 166	5.6
2009	18 354	803	4.4
2010	19 940	883	4.4
2011	18 153	669	3.7
2012	10 922	475	4.3
2013	15 166	456	3.0
2014	16 776	381	2.3
2015	15 139	292	1.9

მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა სქესის და ასაკის მიხედვით:[568]

წლები	**2000**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2012**	**2013**	**2014**	**2015**
მსჯ. არასრ. რაოდე-ბა	388	475	1 002	1 060	1 166	803	475	456	381	292
ბიჭები	386 99,5%	469 98,7%	979 98,1%	1 026 96,8%	1 119 95,9%	767 95,5%	450 94,7%	**443 97,1%**	365 96%	285 97,6%
გოგონები	2 0,5%	6 1,3%	23 1,9%	34 3,2%	47 4,1%	36 4,5%	25 5,3%	13 2,9%	16 4%	7 2,4%
14-15 წლის	65 16,8%	127 26,7%	323 31,4%	298 28,1%	299 25,6%	206 25,6%	129 27,2%	126 27,%	113 29%	69 23,6%
16-17 წლის	323 83,2%	348 73,3%	679 68,6%	762 71,9%	865 74,4%	597 74,4%	346 72,8%	**330 72,4%**	268 70%	223 76,7%
არ მუ-შაობს, არ სწალობს						392 48,8%	275 57,9%	307 67,3 %	288 75%	224 76,7%

[568]www.supremecourt.ge (2016 წლის 17 ოქტომბრის მდგომარეობით).

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი დანაშაულები:[569]

წლები	**2000**	**2002**	**2004**	**2005**	**2006**	**2007**	**2008**	**2009**	**2010**	**2014**	**2015**
მკვლელობა	5	14	5	5	21	40	31	28	40	6	7
ჯანმ. გან.მძ. დაზიანება	4	9	8	3	14	9	17	11	10	8	5
გაუპატი-ურება	3	3	-	1	4	1	5	1	3	0	1
ქურდობა	276	330	286	299	575	551	619	368	403	229	142
ყაჩაღობა	13	42	62	41	98	88	80	65	49	17	16
ძარცვა	11	16	23	23	74	68	108	49	32	36	30
თაღ-ლითობა	-	1	2	1	3	35	27	12	5	4	6
თავ. აღკ. მსჯ. რაოდენობა	58	106	140	104	340	428	381	272	296	104	87

8.7. არასრულწლოვანთა დანაშაულობის სტატისტიკის ანალიზი

ზემოთ მოცემული სტატისტიკური მონაცემებიდან (*არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა სახეები წლების მიხედვით*) ნათლად ჩანს, რომ სასჯელის სახით არასრულწლოვანთა ციხეში მოთავსების ფაქტების რაოდენობა იზრდება. 2000 წელს სასამართლომ ბრალდებული არასრულწლოვნების 14.9%-ს მიუსაჯა ციხეში სასჯელის მოხდა, 2006 წელს კი, 34%-ს, 2010 წელს კი - 33,5%-ს. 2000 წელს 58 არასრულწლოვანს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა. ეს ციფრი 2000 წლის შემდეგ იზრდებოდა და თუ არ გავითვალისწინებთ 2005 წლის მონაცემს (104 არასრულ-წლოვანი პატიმარი) თავის უმაღლეს ზღვარს 2007 წელს მიაღწია 426 პატიმარი არასრულწლოვანით. 2015 წელს 87 მოზარდს (29%) მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, ხოლო თავისუფლების აღკვეთა პირობითი მსჯავრით – 173 არასრულ-წლოვანს (59%).

ერთმანეთს თუ შევადარებს ზემოთმოყვანილი ცხრილის (*არასრულწლოვან მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის შედარება მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობასთან)* ციფრებს მაშინ მივიღებთ შემდეგი სახის სურათს. არასრულ-წლოვან მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობა არასოდეს ყოფილა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 7%-ზე მეტი. ეს მაჩვენებელი ბოლო 20 წლის განმავლობაში მერყეობდა 4-6%-ს შორის, რაც მიუთითებს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდას ბოლო წლების განმავლობაში ადგილი არ ჰქონია, ადგილი ჰქონდა მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობის ზრდას, რაც ქვეყნის მკაცრი კრიმ-ინალური პოლიტიკით უნდა იყოს უფრო გამოწვეული.

[569]www.supremecourt.ge

8.8. არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია

პროფესორი გოძიაშვილი არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ძირითად გამომწვევ მიზეზებად ასახელებს მათი ცხოვრების და მოღვაწეობის ოთხ ძირითად სფეროს: სწავლა, შრომა, ყოფა და დასვენება:[570] 1) განათლებისა და კულტურის დაბალი დონე, დაქვეითებული ინტერესი სწავლისადმი, ინტერესთა და მოთხოვნილებათა პრიმიტიული ხასიათი; 2) ჰიპერბოლიზებული (გაზვიადებული) სწრაფვა სიამოვნების მიღებისაკენ, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ, იარაღისაკენ, უქმი დროსტარებისაკენ და ქცევის სხვა ასოციალური ფორმებისაკენ; 3) ფსევდო მორალურ-სამართლებრივი ღირებულებები არ გამოირჩევა საკმარისი სიღრმითა და სიმყარით, რაც განაპირობებს არასრულწლოვან დამნაშავეთა ქცევის დამოკიდებულებას სიტუაციის მაპროვოცირებელ გავლენაზე, მსხვერპლის ქცევაზე, დანაშაულის უშუალო, ხშირ შემთხვევაში ასაკით უფროსი მონაწილეების წაქეზებაზე, ასოციალურ გარემოზე; 4) სულიერი სფეროს სიღარიბე, გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, მომატებული აგრესიულობა, თანატოლებთან ურთიერთობისას კომპრომისის შეუძლებლობა, ორიენტაცია უხეშ ძალაზე, სწავლისა და სპორტისადმი სისტემატური ინტერესის უქონლობა; 5) განათლების, ზოგადი კულტურის და სამართალშეგნების დეფექტების დამოკიდებულება ოჯახურ არაკეთილგანწყობაზე და გარემომცველ ყოფის უარყოფით გავლენაზე; 6) ორიენტაცია იმავე სოციალური სტატუსის პროფესიათა შერჩევაზე, რომელიც გააჩნიათ არასრულწლოვანთა ოჯახური გარემოცვის წევრებს. ეს, როგორც წესი, ის პროფესიებია, რომლებიც არ მოითხოვენ დიდი განათლების ან მაღალი კვალიფიკაციის შეძენას, მაგრამ იძლევიან შედარებით მაღალი შემოსავლის მიღების საშუალებას (მძღოლი, მუშა და სხვა).[571]

ზემოაღნიშნული თავისებურებების არსებობა რა თქმა უნდა ხელს უწყობს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენას, მაგრამ იმ ბიოლოგიუ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, რომელშიც არასრულწლოვანი გარდატეხის პერიოდში იმყოფება და რომელზეც ზემოთ იყო საუბარი, მოზარდის ნებით თუ უნებლიეთ ახლავს ისეთი ფაქტორები, რომელთა არსებობა მოზარდის ბიოლოგიური განვითარების შედეგია და რომელზეც მიუთითებს პროფესორი გოძიაშვილი. მაგ.: დაქვეითებული ინტერესი სწავლისადმი, გაზვიადებული სწრაფვა სიამოვნების მიღებისაკენ, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაკენ, იარაღისაკენ, უქმი დროსტარებისაკენ, დანაშაულის ჩადენაში ასაკით უფროსი მონაწილეების წაქეზება, სულიერი სფეროს სიღარიბე, გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, მომატებული აგრესიულობა, თანატოლებთან ურთიერთობისას კომპრომისის შეუძლებლობა, ორიენტაცია უხეშ ძალაზე.

8.8.1. არასრულწლოვანთა დანაშაულის კრიმინოლოგიური განმარტება

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის გამომწვევი მიზეზების ახსნა შეიძლება კრიმინოლოგიური თეორიების საფუძველზე. გთავაზობთ, კრიმინოლოგიაში მათგან ყველაზე მიღებულ თეორიათა მოკლე ანალიზს.

საზერლენდის მიერ ჩამოყალიბებული „დიფერენციალური კავშირის“ თეორია, რომელიც აკერსმა ***სოციალური სწავლების თეორიად ჩამოაყალიბა***, მიიჩნევა

---

[570]გოძიაშვილი, ი., 1998, გვ. 189, 190.

[571]არასრულწლოვანთა დანაშაულობის დეტერმინაცია იხ. აგრეთვე: ღლონტი, გ. (რედ.), 2008, გვ. 292.

არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ახსნის ერთ-ერთ საშუალებად. კერძოდ, მოზარდის ურთიერთობა კრიმინალური ჩვეულებების მქონე ადამიანებთან იწვევს მათ მიერ კრიმინალური ქცევის სწავლებას. თუ სად განხორციელდება სწავლების პროცესი (ციხეში, ქუჩაში, ოჯახში) მნიშვნელობა არა აქვს, მნიშვნელოვანია თანატოლების დადებითი რეაქცია ნასწავლი ქცევის შეფასების დროს (აღიარება).[572]

ჰირშის კონტროლის თეორიის მიხედვით არასრულწლოვანთა დანაშაული არის შედეგი ნაკლები კონტროლისა. აქ იგულისხმება, როგორც არასრულწლოვანის საზოგადოებაში არსებულ ნორმებისადმი დამოკიდებულება, ასევე გარეგანი, სოციალური კონტროლი, ოჯახი, სკოლა.[573] არასრულწლოვნის ნაკლები კავშირები, როგორც საზოგადოებრივ ნორმებთან, ასევე სოციალურ ორგანოებთან, შეიძლება აიხსნას მისი ანომიური მდგომარეობით ***(ანომიის თეორია).***[574]

საზოგადოებრივი ნორმებისადმი არასრულწლოვანის ანომიური (გულგრილი, საპირისპირო) დამოკიდებულება შესაძლებელია აიხსნას ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დაძაბულობით, რაც იწვევს მათ უმუშევრობას, ნარკოტიკული და ალკოჰოლური სასმელებისადმი მიდრეკილებას. ხშირად არასრულწლოვნის და მისი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა ისეთი მძიმეა, რომ იგი კრიზისიდან გამოსვლის სხვა გზას ვეღარ ხედავს, გარდა დანაშაულით რაიმე სახის სარგებლის მიღებისა ***(ეკონომიური თეორია: მიღება-გაცემის გამოთვლა.*** იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც მოზარდი თვლის, რომ აღარაფერი აქვს დასაკარგი).

8.8.2. არასრული ოჯახი - Broken home

მოზარდისათვის ოჯახი არის არა მხოლოდ საკუთარი იდენტიფიკაციის ობიექტი, არამედ მოზარდის საზოგადოებრივი და სოციალური იდენტიფიკაციის ერთგვარი ხიდი. ოჯახის სოციალური ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს მოზარდისათვის ჯანსაღი იდენტიფიკაციის შესაძლებლობების მიცემაში, რათა მან შეძლოს სოციალურ საზოგადოებაში თავის დამკვიდრება.[575]

ამ მხრივ დიდი როლი ენიჭება, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის, ან მშობლებს შორის ურთიერთობას, ასევე ოჯახის შემადგენლობას.

„ოჯახის შემადგენლობა და მშობლის ემოციური განწყობა პირდაპირ კავშირშია ბავშვის სულიერ მდგომარეობასთან და მასში გამოხატულებას პოულობს მოჭარბებული აგრესია და სხვა ემოციური დარღვევები,“[576] რაც ხშირად კანონით დადგენილი ნორმების დარღვევაში შეიძლება გამოიხატოს.

Broken home - არასრული ოჯახიდან ანუ ისეთი ოჯახიდან, რომელიც სტრუქტურულად არასრულია და არაორგანიზებული ან „დანგრეულია“ ზოგადად უფრო მეტია დანაშაულების ჩადენა და შესაბამისად, ასეთი ოჯახებიდან გამოსული მოზარდები უფრო ხშირად ხდებიან დამნაშავეები.[577]

---

[572]Walter, M., 2005. S. 56-57.
[573]Kaiser, G., 1996. S. 608; Walter, M., 2005. S. 60.
[574]Kaiser, G., 1996. S. 609.
[575]Hellmer, J., 1978. S. 79.
[576]ქურხული, ლ., 2006. გვ. 72.
[577]Lamnek, S., 1985. S. 99; Schneider, H.J, 1987. S. 651.

მშობლების გაყრა ან ერთ-ერთი მშობლის სიკვდილი იწვევს ოჯახის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლას. მოზარდები, რომლებიც ასეთი სიტუაციის დროს ბავშვები არიან, არასასურველად მიიჩნევენ მათი მშობლის ხელმეორედ დაქორწინებას.[578]

მაგრამ, მარტო მშობლების გაყრა ან ერთ-ერთი მშობლის სიკვდილი არ არის დანაშაულებრივი ქმედების გამომწვევი, მნიშვნელოვანია აგრეთვე მოზარდის სოციალური გარემო და მისი სოციალიზაცია.[579]

ოჯახის დაშლის შემდეგ, როდესაც მშობლები კონტაქტს არ წყვეტენ და ერთად აგვარებენ ბავშვების პრობლემებს, ბავშვები შედარებით იოლად ეგუებიან შექმნილ სიტუაციას. ეს უფრო მნიშვნელოვანია ვაჟებისათვის, რადგან მამასთან ემოციური კავშირის დამყარება მათთვის უფრო იოლია[580] და შესაბამისად, ამ კავშირის გაწყვეტამ შეიძლება უარყოფითი ემოციები წარმოქმნას მათში, რაც დანაშაულებრივ ქმედებებში შეიძლება გამოიხატოს.

არასრული ოჯახებიდან გამოსული მოზარდების დანაშაულებრივ საქციელზე ზოგადად საუბარი შეუძლებელია. აღნიშნული დამოკიდებულია მშობლის სამუშაო დროის განაწილებაზე (ნახევარი თუ მთელი განაკვეთი), მოზარდის ასაკზე, ოჯახში არსებულ სოციალურ გარემოზე, მეგობრების სოციალურ წრეზე და ა.შ.[581]

8.8.3. სასწავლო დაწესებულება

სასწავლო დაწესებულებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის აღზრდის საკითხებში. სასწავლო დაწესებულებები (სკოლა, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლები) პროგრამული სწავლების გარდა მოზარდის მორალურ მხარესაც უნდა ავსებდნენ და ამდიდრებდნენ. სწავლა უნდა ხდებოდეს ასევე ისეთი ღირებულებებისა, რომლებიც მნიშვნელოვანია ადამიანთა თანაცხოვრებისათვის და საზოგადოებრივი განვითარებისათვის.[582] სხვისი პატივისცემა და სხვისი უფლებების დაცვა (არ შელახვა) დამოკიდებულია აღზრდიდან მიღებულ ღირებულებებზე.

სკოლას, როგორც მოზარდის სოციალიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტიტუტს შეუძლია მოზარდი როგორც დამნაშავედ, ასევე არადამნაშავედ ჩამოაყალიბოს. კერძოდ, სკოლის პერიოდში ბავშვის მიერ გაკვეთილების გაცდენა ან ცუდი ნიშნების მიღება, თუ გამოიწვევს მის ეტიკეტირებას, როგორც არაფრის შემძლე მოზარდის, რომელმაც მასწავლებლის მოთხოვნებს თავი ვერ გაართვა, შესაძლოა მოზარდს უბიძგოს, რომ მან „თავი შეაფაროს“ იმ სოციალურ გარემოს, სადაც მისი ღირებულებები (სკოლის გაცდენა, ცუდი ნიშნები) მიღებულია, ხოლო ეტიკეტირებული მოზარდის სოციალური გარემოდან დანაშაულის ჩადენამდე ხშირად ერთი ნაბიჯია დარჩენილი.[583] ამდენად, სკოლაში მოზარდის საქციელს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შემდგომი ცხოვრების გზაზე. მოზარდის სწავლისათვის მნიშვნელოვანია მისი ოჯახური სიტუაცია, მის სწავლაზე კონტროლი, მშობლის და მასწავლებლის ურთიერთობა.

---

[578]Lamnek, S., 1985. S. 101.
[579]იქვე.
[580]ქურხული, ლ., 2006. გვ. 74.
[581]Lamnek, S., 1985. S. 102.
[582]Walter, M., 2005. S. 107.
[583]Lamnek, S., 1985. S. 147.

ბოლო ათწლეულების მანძილზე შექმნილმა ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივმა პრობლემებმა აჩვენა, რომ ქვეყანა ღირებულებების ძიებეშია. ამ მხრივ მეტად რთულად უნდა იქნას მოზარდების მდგომარეობა შეფასებული, ანუ ფაქტიურად ღირებულებების ძებნაში მყოფ მოზარდებს საზოგადოება ვერ ეხმარება საკუთარი თავის იდენტიფიკაციაში, ვინაიდან თვითონ საზოგადოებას (ჯერ კიდევ) არა აქვს საკუთარი ღირებულებები მკაფიოდ გამოხატული და ჩამოყალიბებული.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სკოლაში ბავშვთა ძალადობის საკითხი. იუნისეფის (გაეროს ბავშთა ფონდის) მიერ 2007-2008 წლებში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 93 სკოლის გამოკითხულ 1 300 11-დან 17 წლამდე მოსწავლეთა 77,5% სკოლაში თავს „ყოველთვის" უსაფრთხოდ გრძნობს, 17,2% - „ჩვეულებრივ", 3,9% - „ზოგჯერ", ხოლო -1,4% არასოდეს გრძნობს თავს სკოლაში უსაფრთხოდ.[584] პირველ რიგში საკითხავია, თუ როგორ შეიძლება გაგებულ იქნეს კითხვა „მოსწავლე სკოლაში ჩვეულებრივ უსაფრთხოდ გრძნობს თავს?" ამ კითხვაზე პასუხი უარყოფითად უნდა იქნეს ჩათვლილი ანუ მოსწავლეები თავს ყოველთვის უსაფრთხოდ არ გრძნობენ, ვინაიდან თუ მოსწავლე თავს უსაფრთხოდ ყოველთვის არ გრძნობს, მაშინ მოსწავლის მიერ „ჩვეულებრივ" უსაფრთხოდ თავის გრძნობა ნიშნავს, რომ იგი უსაფრთხოდ არ გრძნობს თავს. „თავის უსაფრთხოდ გრძნობა" წმინდა ფსიქოლოგიური ხასიათის საკითხია და ვფიქრობთ, თუ მოსწავლე თავს ყოველთვის არ გრძნობს უსაფრთხოდ, მაშინ მას აწუხებს აზრი, რომ შესაძლებელია მასზედ ადგილი ჰქონდეს გარკვეული სახის ძალადობას. მოცემული გამოკითხვის შედეგებს შესაძლებელია შევხედოთ ორი კუთხით. პირველი, რომ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა 77,5% თავს სკოლაში უსაფრთხოდ გრძნობს და მეორე, რომ ყოველი მეხუთე მოსწავლე თავს სკოლაში უსაფრთხოდ არ გრძნობს. თუ იმ მოსწავლეების (22,5%) უმრავლესობა, რომლებიც თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ ვაჟებია, მაშინ სკოლის უსაფრთხოებაზე ძალიან ნაადრევია საუბარი, ვინაიდან ის 22,5% არის ის პრობლემური ჯგუფი მოსწავლეებისა, რომელთაც შეიძლება თავის დასაცავად სკოლაში ცივი იარაღი (დანა) დააქვთ და საფრთხეს უქმნიან თანასკოლელების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

8.8.4. თავისუფალი დრო და მეგობართა წრე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 70 პროცენტი არ მუშაობს და არ სწავლობს.[585] აღნიშნული ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პრობლემების (სასკოლო ზედამხედველობის ნაკლებობა, მასიური უმუშევრობა, სწავლის უპერსპექტიობა, პროფესიული სასწავლებლების ნაკლებობა) გარდა, საზოგადოებრივ პრობლემებზეც მიუთითებს, კერძოდ, თავისუფალი დროის გატარების პრობლემაზე, ვინაიდან მოზარდს ხშირად თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების დროს აღეძვრება სწავლის ან მუშაობის სურვილი. მაგ. მოზარდი, რომელიც ბევრს მოგზაურობს ქართული კულტურის ძეგლების გასაცნობად, შესაძლებელია მას აღეძრეს სურვილი გახდეს არქეოლოგი, ეთნოლოგი ან იმუშაოს ასეთი კულტურული ძეგლების სარემონტო სამუშაოებზე.

---

[584]იხ. გაეროს ბავშთა ფონდის (იუნისეფის) საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა 2007-2008.
[585]იხ.:www.supremecourt.ge

ხელოვნება და აქტიური სპორტი ისეთი სახის თავისუფალი დროის გატარების საშუალებებია, რომლებიც საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ არის აღიარებული და ხშირად მოზარდთა დაინტერესებას ვერ ჰპოვებს. მაგ. საკუთარი სურვილით ცოტა მოზარდი თუ წავა ხელოვნების ან ეთნოგრაფიულ მუზეუმში. სპორტი, ასევე ისეთი სახის თავისუფალი დროის გატარების საშუალებაა, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ არსებობს. სპორტი მხოლოდ პროფესიონალი სპორტსმენების მხრიდან გამოიყენება აქტიურად. თუ გადავხედავთ იგივე დედაქალაქის სპორტულ გამაჯანსაღებელ ცენტრებს, ან ძალიან ძვირია, ან ისინი მხოლოდ პროფესიონალ სპორტსმენებს ავარჯიშებენ და მოზარდს, რომელსაც კვირაში 2-ჯერ ან 3-ჯერ ფეხბურთის თამაში უნდა აღარაფერი დარჩენია, გარდა ქუჩაში დროის გატარებისა, კინოში ან ბარში წასვლისა, ტელევიზორის ყურებისა და კომპიუტერის თამაშისა.

ქალაქში აშენებული სპორტული მოედნები მაქსიმუმ 10-12 მოზარდს იტევს, და მხოლოდ ერთი სახის სპორტული თამაშისთვის არის განკუთვნილი (ფეხბურთი ან კალათბურთი), გარდა ამისა, ამ სპორტულ მოედნებზე მხოლოდ კარგ ამინდში შეიძლება თამაში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ორ მილიონიან თბილისში სულ რამდენიმე ფინანსურად ხელმისაწვდომი დახურული საცურავო აუზი არსებობს (ორთაჭალის და დიღმის), მაშინ არ უნდა იყოს არავისთვის გასაკვირი, თუ რატომ დგანან მოზარდები მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში, ან რატომ თამაშობენ ისინი კომპიუტერულ თამაშებს. თავისუფალი დროის ქუჩაში გატარებით და დროის არაზომიერად გადანაწილებით იწყება მათი პირველი შეხება ალკოჰოლთან, ნარკოტიკულ ნივთიერებებთან, დევიაციურ ქცევასთან.

სკოლიდან გარიყული და მშობლების კონტროლს მოკლებული მოზარდი თავშესაფარს თანატოლებში პოულობს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით არასრულწლოვან მსჯავრდებულთა ნახევარს დანაშაული ჯგუფში აქვს ჩადენილი.[586] აღნიშნული სტატისტიკა ბოლო წლებში საგრძნობლად შეიცვალა.[587] არასრულწლოვნები ჯგუფურად დანაშაულის ჩადენას აზარტით ხსნიან.[588] ბაძაღუა, უცხოელი კრიმინოლოგებისაგან განსხვავებით,[589] თვლის, რომ არასრულწლოვნების მიერ ჩადენილი ჯგუფური დანაშაული ხდება არა ჯგუფური ზეწოლით, არამედ ბავშვური ინტერესით, რაც პიროვნების გაუკუღმართებულად ჩამოყალიბების შედეგია.[590]

ვფიქრობთ, „პიროვნების გაუკუღმართებულად ჩამოყალიბება“ ხდება მანამდე სანამ იგი სხვა მოზარდებთან ერთად დანაშაულებრივი ჯგუფს შექმნის. მოზარდთა ჯგუფში სტატუსის მოპოვება-შენარჩუნებისათვის საჭიროა მოზარდმა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ჩაიდინოს დანაშაული, ანუ ჯგუფის მხრიდან გარკვეული ფსიქოლოგიური „ზეწოლა“ სახეზეა, იმისდა მიუხედავად „პიროვნების გაუკუღმართებულად ჩამოყალიბებას“ დავაბრალებთ ამას თუ მოზარდის „ბავშურ ინტერესს“. ეს უკანასკნელი შესაძლებელია მოზარდს პირველად დანაშაულის ჩადენის დროს გააჩნდეს, ხოლო თუ იგი ბავშვური ინტერესის დაკმაყოფილების შემდეგ, მაინც ჩადის ჯგუფურ დანაშაულს, ეს ჯგუფის, როგორც „ერთის“ ზეგავლენაზე მიუთითებს. გასათვალისწინებელია, ასევე ის გარემოება, რომ ჯგუფი მოზარდისათვის

---

[586]იხ.:www.supremecourt.ge

[587]ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ., 2016. გვ. 9.

[588]ბაძაღუა, მ., 1998. გვ. 89

[589]Wetzels, P. /Enzmann, D., 1999. S. 129; Göppinger, H. 2008. S. 147.

[590]ბაძაღუა, მ., 1998. გვ. 90.

იდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს, აქედან გამომდინარე, მოზარდს ცნობიერეად თუ არაცნობიერად, თუნდაც საკუთარი ინტერესების წინააღმდეგ, ხშირად იდენტიფიკაციის დაკარგვის შიშით, უწევს ჯგუფის ნორმებისადმი დაქვემდებარება. ამდენად, ჯგუფს დიდი ზეგავლენა შეუძლია იქონიოს მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენაზე.

8.8.5. ქუჩის ბიჭები

„ქუჩის ბიჭების“ ფენომენი წარმოადგენს ადამიანთა „კავშირს“ მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის ძირითადი მიზანი საკუთარი თავის დამკვიდრება და (მობირჟავეთა მიერ) ღირსების აღიარებაა. **ბირჟა** არის იმ მეზობელი ბიჭების სისტემატიური თავშეყრის ადგილი, რომელნიც ქუჩაში ხშირად გამოდიან. ბირჟას „ქუჩის აკადემიასაც“ უწოდებენ, რადგან მას დიდი წვლილი შეაქვს, ოჯახის და სკოლის გარეთ, პირის (მოზარდის) სხვა ადამიანებთან ურთიერთობის სწავლაში. ბირჟა ახალგაზრდა ადამიანებს აჩვევს საკუთარი საქციელისადმი პასუხისმგებლობას და ასწავლის (მამა)კაცობის წესებს. ბირჟის დანიშნულებაა აგრეთვე მეზობელ ბიჭებს შორის ერთმანეთთან ურთიერთობის დამყარება, გაღრმავება, გარკვევა და ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე მობირჟავისათვის საკუთარი ადგილის მიჩენა (სტატუსის მინიჭება).

„ქუჩის ბიჭების“ ფენომენი გერმანელმა ეთნოლოგმა კოლერმა ოთხ ჯგუფად დაყო:[591] 1. კარგი ბიჭი (კაი ბიჭი); 2. დედიკოს ბიჭი; 3. ძველი ბიჭიდა 4. შავი ბიჭი.

„ქუჩის ბიჭების“ სუბკულტურის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ ის მონაწილეთა ასაკზე არ არის დამოკიდებული. ეს არ არის ასაკის გამო მოზარდთა გატაცება, რომელიც ასაკთან ერთად ქრება. „კაი ბიჭს“ ასაკი არ გააჩნია, ეს არის სუბკულტურის იდეა და თავისებურება.

„ქუჩის ბიჭებისათვის“ კონფლიქტური სიტუაცია და კონფლიქტურ სიტუაციაში თავის გამოჩენა მათი ღირსების დაცვისა და პიროვნების აღიარების ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) საშუალებაა. მათ ღირსეულ და ადეკვატურ რეაქციაზეა პიროვნული ღირსება დამოკდებული. კონფლიქტური სიტუაციის ძირითად საფუძველს შეურაცხყოფის მიყენება წარმოადგენს. შეურაცხყოფა არ უნდა იქნას ურიაქციოდ დარჩენილი, მაგრამ რეაქცია უნდა იყოს შეურაცხყოფის ადეკვატური.

კონფკიქტური სიტუაციის წარმოქმნა შეიძლება 4 კატეგორიად დაიყოს:

1. სხვისთვის შეურაცხყოფის მიყენება ან დამცირება;
2. საკუთარი ოჯახის წევრის, ნათესავის, სტუმრის ან მეგობარი მანდილოსნის შეურაცხყოფა;
3. სხვისადმი ძალადობის გამოყენება (მაგ. მობილური ტელეფონის „დაწერება“, როდესაც საქმე არა ტელეფონის მატერიალურ ფასეულობას, არამედ თვითონ „დაწერების“ ფაქტს ეხება);
4. კონფლიქტები, რომლებიც მატერიალურ რესურსებს ეხება (ნარკოტიკების, იარაღის ან ფულის წართმევა, მისი მატერიალური ღირებულების გამო).

ამგვარი კონფლიქტური სიტუაციების მნიშვნელობა მდგომარეობს შეურანყოფილი პირის ღირსეულ რეაქციაში. შეურაცხყოფილი პირის ღირსეული რეაქცია შეიძლება გამოიხატოს შემდეგში:

1. მომხდარი კონფლიქტის არავითარ შემთხვევაში ურიაქციოდ დატოვება;

---

[591]Koehler, J., 2000. S. 52.

2. შიშის არ ჩვენება;
3. „კანონიერი რეაქცია“ – „არა ბესპრიდელი“. იკრძალება საჭირო „კანონიერი რეაქციის“ არამიზნობრივად, ძალთა განსხვავებული თანაფარდობით ჩატარება;
4. კონფლიქტში დამარცხების შემთხვევაში, საქმის მოგვიანებით „მოგვარება“ ან საქმეში კრიმინალური ავტორიტეტის ჩარევა.

კონფლიქტის მოგვარების დროს დაცული უნდა იქნას ორი მნიშვნელოვანი პირობა: 1. არ გაიგონ ოჯახის წევრებმა არაფერი, და 2. სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოებისაგან მოხდეს კონფლიქტის დამალვა, ხოლო თუ ისინი მაინც შეიტყობენ რამეს, შენარჩუნებულ იქნას დუმილი.

ქუჩის კონფლიქტის ახალ დინამიურობასთან გვაქვს ბოლო წლებში საქმე. კონფლიქტური სიტუაციები 60-იან და 70-ან წლებში „მუშტის“ საშუალებით და ყველაზე უკიდურეს შემთხვევაში დანის საშუალებით გვარდებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღი მოექცა რიგით მოქალაქეთა და მათ შორის „ქუჩის“ ხელში. კონფლიქტის მოგვარებისათვის ხშირად ხდება დანის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, რაც მძიმე შედეგებით მთავრდება.

დღეს გავრცელებულია ახალგაზრდა ადამიანების მიერ დანის ტარება. ეს შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც: 1. ღირსების დაცვის საშუალებად, შეურაცხყოფის მიყენების შესაძლო შემთხვევაში ან 2. დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის მიერ, შიშისაგან გამოწვეული თავდაცვითი ღონისძიება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრობლემატიკა სტატისტიკური მონაცემების მიხედვით მკვეთრად არ შეცვლილა. 1996 წლიდან დღემდე არასრულწლოვანთა ხვედრითი წილი, მსჯავრდებულებთა საერთო რაოდენობის მიმართებაში, მერყეობს 5,8%, 6,0% შორის. ასე, რომ საქმე არა გვაქვს ისეთი სახის ანომალურ ვითარებასთან, რომ აუცილებელი იყოს არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ მკაცრი კრიმინალური პოლიტიკის განხორციელება, მკაცრი დასჯა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი 2006-2012 წლებში. ბოლო დროს განხორციელებულმა ღონისძიებებმა: განრიდება და მედიაცია, ალტერნატიული, არასაპატიმრო სასჯელების გამოყენება, პირობით ვადამდე გათავისუფლების არასრულწლოვანთა ადგილობრივი საბჭოს გააქტიურებამ, არასრულწლოვნი მსჯავრდებულების შეწყალებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი არასრულწლოვნების ციხის პირობებისაგან თავის არიდებას.

მნიშვნელოვანია ასევე მოზარდისათვის შრომისა და სწავლისადმი პატივისცემის ჩანერგვა. მოზარდს მუშაობის პერიოდში (ან ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრების შემთხვევაში) უყალიბდება პასუხისმგებლობის შეგრძნება და სწავლობს, თუ როგორ უნდა იცხოვროს მან დანაშაულის გარეშე საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად.[592]

[592]Diemer, H./Schoreit, A./Sonnen, B-R., 1999. S. 117.

თავი მეცხრე
ქალთა დანაშაული

ქალთა დანაშაულის თავისებურებები საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენს კრიმინოლოგიური კვლევის ობიექტს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის კვლევებმა აჩვენა, რომ ქალთა დანაშაულობა რამდენჯერმე მცირეა მამაკაცებთან შედარებით. მეცნიერები ამ ფაქტს სხვადასხვა მიზეზებით ხსნიან. მაგალითად, კელტე მიიჩნევს, რომ დანაშაულებრივი ქმედებისაკენ სწრაფვა დამოკიდებულია ადამიანის ასაკზე, სქესზე, პროფესიაზე, განათლებაზე და ა.შ. ქალთა მიერ ცოტა დანაშაულის ჩადენა მისი აზრით არა მხოლოდ ფიზიკური სისუსტით არის გამოწვეული, იგი საზოგადოებრივი ცხოვრებისგან გარიყულია, ოჯახური ვალდებულებების მარწუხებშია მოქცეული და შესაბამისად, ნაკლებად ჩადის დანაშაულს.[593] საზოგადოებაში ქალის როლს აკნინებს ასევე ჩეზარე ლომბროზო. იგი ქალს გონებრივად განუვითარებელ არსებად მიიჩნევს, რომლის ტვინი წონით და ხვეულების რაოდენობით მამაკაცის ტვინზე ნაკლებია.[594] 21-ე საუკუნეში შეუძლებელია ქალთა დანაშაულის ერთი კონკრეტული პირობით ახსნა. ლომბროზოს შეხედულებები ქალისადმი (მაშინდელი) საზოგადოებრივი დამოკიდებულებით იყო განპირობებული და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. თუმცა ამ შეხედულებების მკითხველისთვის გაცნობა შესაძლებელს ხდის იმის გაგებას, თუ როგორ განვითარდა ქალთა დანაშაულისადმი საზოგადოებრივი დამოკიდებულება.

9.1. ქალთა დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები

საქართველოში სტატისტიკური მონაცემებით 2016 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოში ცხოვრობს 3 720 000 ადამიანი, საიდანაც ქალი ქვეყნის მოსახლეობის 54%-ს, ხოლო მამაკაცები 46%-ს შეადგენს.[595]

ქალთა დანაშაულის შესახებ ერთიანი სტატისტიკური მონაცემების მოპოვება ჩადენილი დანაშაულის სახეების მიხედვით ძალიან რთულია. საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემებით 2015 წელს დევნა დაიწყო 17 823 საქმეზე, საიდანაც 1294 ქალი იყო (7%); იგივე მონაცემებით 12 308 დაზარალებულში 5 062 ქალია (41%).[596] სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2015 წლის ბოლოს პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებოდა 8400 მსჯავრდებული, რომელთაგან 257 ქალი იყო. 2016 წლის ბოლოს არცერთი არასრულწლოვანი მსჯავრდებული გოგონა არ იმყოფება პენიტენციურ დაწესებულებაში.

პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი 257 ქალი მსჯავრდებულები ასაკის მიხედვით ასე გამოიყურებიან: 18-25 წლის – 17 ქალი, 25-45 წლის – 129 ქალი, 45-60 წლის – 97 ქალი, 60 წლის ზევით – 14 ქალი.

---

[593]ღლონტი, გ. (რედ.), 2008, გვ. 300.
[594]იგივე, გვ. 301.
[595]http://www.geostat.ge
[596]იხ.: საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 28 დეკემბრის წერილი №13/81717.

2015 წლის ბოლოს პრობაციის სამსახურის აღრიცხვაზე იმყოფებოდა 19 230 მსჯავრდებული, აქედან 1067 სრულწლოვანი ქალი და 6 არასრულწლოვანი გოგონა.[597]

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემებით 2015 წელს მსჯავრდებული 15 139 პირიდან 959 (6,3%) ქალი იყო. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის თანახმად, 2009 წლიდან 2015 წლის ჩათვლით ქალ მსჯავრდებულთა პროცენტული მაჩვენებელი მერყეობდა 3,7%-სა (2013 წელს) და 8,6%-ს (2011 წელს) შორის.

9.2. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

ზემოთმოყვანილი სტატისტიკური მონაცემები არ არის სრულყოფილი. ვერ იქნა მოპოვებული სტატისტიკა ბოლო პერიოდის ქალთა დანაშაულის სახის მიხედვით. საქართველოს მთავარი პროკურატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუ იმ პირთა შორის, ვის მიმართაც 2015 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა იქნა პროკურატურის მიერ დაწყებული ქალების რაოდენობა მხოლოდ 7%-ია, დაზარალებულ ქალთა რაოდენობა 41 პროცენტს შეადგენს (5062 ქალი).

შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის მონაცემებით ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდა 2301 ქალი. მსხვერპლი ქალების თითქმის ნახევარი (5062-დან 2301 ქალი) სწორედ ოჯახური ძალადობის მსხვერპლია.

დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებში ქალთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პროცენტულმა მაჩვენებელმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში საგრძნობლად იმატა და დაახლოვებით 20-25%-ს შეადგენს,[598] რაც სავარაუდოდ გამოწვეულია (ერთ-ერთი მიზეზია) ქალთა ემანციპაციის პროცესით.[599] ქალთა ემანციპაციის პროცესი ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა დასავლეთის ქვეყნებში და ჯერ კიდევ არ დასრულებულა. საქართველოში ქალთა ემანციპაციის პროცესი საწყის ეტაპზეა, მაგრამ მას ჯერ არ მიუღწევია ისეთი ზღვარისათვის, რომ საქართველოს მოქალაქე ქალების დანაშაულებრივი ქმედებების პროცენტული მაჩვენებელი შეესაბამებოდეს დასავლეთის ქვეყნებში ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულთა პროცენტულ მაჩვენებელს.

ზემოაღნიშნული მონაცემები ნათლად მეტყველებენ მანდილოსნების სოციალურ როლზე საზოგადოებაში. მათ უმთავრეს დანიშნულებად საზოგადოება მიიჩნევს საოჯახო მეურნეობის გაძღოლას და ბავშვების აღზრდას. შესაბამისად, ისინი ხშირად ხდებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი. ქალების მიერ ძირითადად ხდება საკუთრების, ოჯახისა და არასრულწლოვანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა.

---

[597]სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ვებგვერდი. http://www.moc.gov.ge
[598]Schneider, H.J., 1987. S. 562; Schwind, H-D., 2008. S. 78.
[599]Kaiser, G., 1996. S. 506; Keupp, L., 1982. S. 219.

9.3. ქალთა დანაშაულის განმარტების თეორიები

9.3.1. ბიოლოგიურ-ანთროპოლოგიური თეორიები

9.3.1.1. ლომბროზო და ფერერო (ფერი)

ლომბროზომ და ფერერომ თავიანთ ნაშრომში „ქალი, როგორც დამნაშავე და მეძავი“ აღნიშნეს, რომ თუ მამაკაცი დანაშაულს ჩადიოდა, ქალები ადეკვატურ ქცევას ავლენდნენ მეძავეობის სახით.[600] ლომბროზო მიიჩნევდა, რომ მეძავი ქალი თავისი „აგებულებით“ მეტად ახლოს იდგა დამნაშავესთან და რომ ქალი თავის დანაშაულებრიობას მეძავეობაში გამოხატავდა,[601] ხოლო მამაკაცი დანაშაულის ჩადენაში.

9.3.1.2. სუსტობის თეორია

სუსტობის თეორიის მიხედვით, ქალები მამაკაცებთან შედარებით იმიტომ ჩადიან ნაკლებ დანაშაულს, რომ მათ დამნაშავედ გახდომაში ხელს უშლის სხეულის აგებულება (სხეულის სიძლიერე, ფიზიკური ძალა) და ინტელიგენტობა.[602] 1902 წელს მობიუსის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში „ქალების ფსიქოლოგიური სისუსტის შესახებ“ ნათქვამია: ქალები გონებრივი განვითარებით ბავშვებსა და მამაკაცებს შორის დგანან, ტვინის მნიშვნელოვანი ნაწილები ქალებში უფრო განუვითარებელია, ვიდრე მამაკაცში.[603]

9.3.1.3. სტაბილურობის თეორია

სტაბილურობის თეორიის წარმომადგენელია კრემერი,[604] რომლის მიხედვით ქალის XX ქრომოსომი მას „წინააღმდეგობას უწევს“ ჩაიდინოს დანაშაული და ქალს სტაბილურობისა და დანაშაულის ჩადენისაგან თავშეკავებულობისკენ განაწყობს, ვიდრე მამაკაცს XY ქრომოსომი.[605]

9.3.2. სოციოლოგიური თეორიები

9.3.2.1. კავალერობის თეორია

კავალერობის თეორიის მიხედვით, ქალები სინამდვილეში მამაკაცებზე ნაკლებ დანაშაულს არ ჩადიან, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო ლატენტური ხასიათისაა, ხოლო თუ იგი ცნობილი გახდა დაზარალებულისათვის, იგი ნაკლებად მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს, ხოლო თუ სამართალდამცავი ორგანოებისათვის გახდა ქალის მიერ ჩადენილი დანაშაული ცნობილი, ნაკლებად ხდება მასზედ რეაგირება ან მინიმალური სასჯელით დასჯა.[606]

ეგრეთ წოდებული „ქალების ბონუსი“, რომელსაც ისინი (ქალები) მართლმსაჯულებისა და პოლიციის ორგანოების მხრიდან მათ მიერ ჩადენილი დანაშაულების რეაგირების გარეშე დატოვებით იღებენ, არ არის სინამდვილეს მოკლებული. მაგ. 2000 წელს გერმანიაში ეჭვმიტანილ და ბრალდებულ ქალთა

---

[600]Schwind, H-D., 2008. S. 79.
[601]ღლონტი, გ. (რედ.), 2008, გვ. 304.
[602]Schwind, H-D., 2008. S. 80.
[603]იქვე.
[604]Cremer, C. G., 1974.
[605]Schwind, H-D., 2008. S. 80.
[606]იქვე.

პროცენტული მაჩვენებელი იყო 23,1%, ხოლო იგივე ჯგუფისათვის სასჯელის გამოტანის პროცენტული მაჩვენებელი კი 4,5-ით ნაკლები, დარჩენილი 18,6% ქალთა ამ ჯგუფის მხოლოდ 10,7%-ს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა.[607]

საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2015 წელს განხორციელებული შეწყალების საფუძველზე პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებები დატოვა მსჯავრდებული მამაკაცების 10%-მა, ხოლო ქალების 20 პროცენტმა, რაც ასევე კავალერობის თეორიაზე მეტყველებს.

ყურადსაღებია აგრეთვე ის გარემოება, რომ ქალები მსუბუქი სასჯელებით ისჯებიან იმიტომ, რომ მათ მსუბუქი ხასიათის დანაშაული აქვთ ჩადენილი, მამაკაცებისგან განსხვავებით.

9.3.2.2. ორმაგი ზეწოლის თეორია

ფემინისტური მიმდინარეობის მომხრეთა[608] შეხედულებით, ქალების და გოგონების ნაკლები დანაშაულებრიობა განპირობებულია იმით, რომ მანდილოსნები ორმაგი – კაპიტალისტური და პატრიარქალური ზეწოლის ქვეშ არიან მოქცეულები, რის გამოც ისინი პრობლემების მოგვარების პასიურ ხერხებს მიმართავენ.[609] „ორმაგი ზეწოლის“ თეორიის მიხედვით, რომელიც ეტიკეტირების თეორიაზე აკეთებს ორიენტირებას, ქალები მათი სქესიდან გამომდინარე პრობლემების გადაწყვეტის უფრო პასიურ მექანიზმს ირჩევენ, რომელიც ხშირად არაკრიმინალურ საქციელში, მაგრამ ნორმების დარღვევაში გამოიხატება, მაგ. სხვადასხვა სახის ავადმყოფობები, ალკოჰოლური სასმელებისადმი და ნარკოტიკული საშუალებებისადმი მიდრეკილება, მეძავეობა და სხვა.[610]

ბოლო ათწლეულების განმავლობაში დასავლეთის ქვეყნებში ქალთა დანაშაულის მატება „ორმაგი ზეწოლის“ თეორიის მიხედვით გამოწვეულია იმით, რომ ქალები მათზე ზეწოლას უფრო გრძნობენ და აღიქვავენ, ანუ რაც უფრო მეტად ხდება ქალების მიერ მათზე განხორციელებული კაპიტალისტური და პატრიარქალური ზეწოლის აღქმა, მით უფრო მატულობს საპასუხოდ მათი დანაშაულებრივი ქმედებების რიცხვი.[611]

ქალების მიერ მხოლოდ სპეციფიური დანაშაულების ჩადენა აიხსნება იმ საშუალებების ქონით რაც მათ გააჩნიათ. ეს არის ისეთი საშუალებები, რომლებიც საზოგადოებაში ქალების როლით არის განპირობებული, ანუ არავითარი ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი ან არავითარი კარის გასაღებად სპეციალური იარაღის ქონა.[612] ჰენგეშის აზრით, იმისათვის, რომ ქალებმა ჩაიდინონ მძიმე დანაშაულები, ისინი ჯერ „მამაკაცებად“ უნდა ჩამოყალიბდნენ ანუ მამაკაცური თვისებები შეიძინონ.[613]

---

[607]იგივე, გვ. 81.
[608]Gipser, D., 1980; Funken, Cr., 1989.
[609]Gipser, D., 1980. S. 175.
[610]Funken, Cr., 1989. S. 50.
[611]Gipser, D., 1980. S. 175.
[612]იქვე.
[613]Hengesch, G., 1990. S. 334.

9.3.2.3. ემანციპაციის თეორია

ემანციპაციის[614] თეორიის მიხედვით, ქალთა და მამაკაცთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პროცენტული მაჩვენებელი მაშინ გახდება ერთნაირი, როდესაც ქალის ქცევა (ნაკლები ძალადობა, ცხოვრებისეული პასიურობა) მამაკაცის ქცევას გაუთანაბრდება.[615] მოცემული თეორიის მიხედვით, ქალები რაც უფრო ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაერთვებიან, მით უფრო მეტად შევლენ ქვეყნის კანონმდებლობასთან კონფლიქტში, ვინაიდან ისინი მთელი ძალისხმევით განახორციელებენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას[616] (ვინც არაფერს აკეთებს, ის შეცდომას არ ჩადის!).

9.3.2.3. მოდიფიცირებული ემანციპაციის თეორია

მოდეფიცირებული ემანციპაციის თეორიის მიხედვით, მთავარი ქალთა და მამაკაცთა სამსახურებრივი შესაძლებლობების გათანაბრება კი არ არის, არამედ ის, თუ რამდენად შეძლებს ქალი საუკუნეების განმავლობაში მის მიმართ აღზრდის განსაკუთრებული მეთოდებით მიღებული საზოგადოებრივი როლიდან თავის დაღწევას, ემანციპაციას.[617]

ბოლო ათწლეულების მანძილზე დასავლეთის ქვეყნებში ქალთა მიერ დანაშაულის პროცენტული მაჩვენებლის ზრდა, სწორედ ქალთა ემანციპაციის შედეგიდან გამოწვეულ მოვლენად უნდა იქნეს მიჩნეული.[618]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალის როლმა საზოგადოებაში ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად იმატა, მისი უფლებები გაუთანაბრდა მამაკაცისას, ქვეყანაში მაინც საგრძნობლად დაბალია ქალთა დანაშულობის პროცენტული მაჩვენებელი (სავარაუდოდ 6-7 პროცენტი) მამაკაცების დანაშაულებრივ მაჩვენებელთან შედარებით, რაც შეიძლება აიხსნას:

1. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ქალის ბუნებით (ქალი, როგორც დედა, სათნოების ობიექტი, შვილების აღზრდაზე პასუხისმგებელი პირი);

2. მისადმი საზოგადოების დამოკიდებულებით ანუ საზოგადოებაში ქალის შესახებ გაბატონებული შეხედულებით (მამაკაცს უფრო ეპატიება ამორალური საქციელი, ვიდრე ქალს, მაგ. უცხო ქალთან დროის გატარება, უცენზურო სიტყვების თქმა, დიდი ოდენობით ალკოჰოლის მიღება);

3.ქალის უფრო მეტი პასუხისმგებლობის გრძნობით (დედური ინსტინქტი).

ყოველივე ზემოაღნიშნული ფაქტორი უნდა ჩაითვალოს ქალის მიერ დანაშაულის ჩადენის შემაკავებელ საშუალებად, რაც აისახება მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის დაბალ პროცენტულ მაჩვენებელში.

---

[614]ემანციპაცია (ლათ. emancipare) ზოგადად ნიშნავს ინდივიდების და ჯგუფების სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას. ტერმინი „ემანციპაცია“, როგორც სამართლის ცნება მოდის რომის სამართლიდან და ნიშნავს ბავშვის გათავისუფლებას მამის ძალადობისაგან მამის მოკვლის ან მმართველობის ორგანოში მამის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის გზით. Meyers Grosses Universal Lexikon: in 15 Bd. Band 4. 1981. S. 319.

[615]Lamott, F., 1995. S. 29.

[616]Schwind, H-D., 2008. S. 83.

[617]იქვე.

[618]Frommel, M., 1997. S. 19.

თავი მეათე
ოჯახური ძალადობა

ოჯახში ძალადობა საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად რჩება. ეს თემა საზოგადოებაში ჯერ კიდევ ტაბუდადებულია. ამ თემაზე საუბარს თავს არიდებენ, როგორც საზოგადო მოღვაწეები, ასევე სახელმწიფო მოხელეები. ოჯახში ძალადობის წყაროდ უნდა ჩაითვალოს საზოგადოების ის ადათ-წესები, რომლებიც ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ ქცევას ადგენენ: აქტიურს და აგრესიულს მამაკაცისათვის და მორჩილსა და დამთმობს ქალისათვის.[619] „მნიშვნელოვანწილად ასეთი ქცევა განპირობებულია ტრადიციული აღზრდის სტილით, რომელიც მამაკაცის აგრესიულობას იხილავს როგორც პრობლემების გადაჭრის მისაღებ ფორმას – ბიჭებს ასწავლიან იყვნენ სწორუპოვარნი, [ვაჟკაცურნი, გამბედავნი და მიზნის მისაღწევად არ მოერიდონ აგრესიის, ძალის გამოყენებას], გოგონებს ასწავლიან იყვნენ მორჩილნი და შეზღუდონ საკუთარი სურვილები და ინტერესები“.[620]

2006 წლის 25 მაისის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3-ე მუხლის თანახმად, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით, ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

10.1. ოჯახური ძალადობის საკანონმდებლო რეგულირება

ოჯახური ძალადობის სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის და სამოქალაქო სამართლის კოდექსით.

10.1.1. სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირება

ოჯახური ძალადობის სამოქალაქოსამართლებრივი რეგულირება გულისხმობს მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობას სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე.

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს თავისი ქმედებით მიყენებული ზიანი.

ანაზღაურებას ექვემდებარება ასევე, არამატერიალური ზიანი. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, 1) არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით; 2) სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისათვის.

---

[619]ბებერაშვილი, ზ. და სხვა, 2007. გვ. 5.
[620]იქვე.

10.1.2. სისხლისსამართლებრივი რეგულირება

ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი[621] რეგულირება 2012 წლის 25 ივნისს შეიცვალა. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 126[1] (ოჯახში ძალადობა) და მე-11[1] (პასუხისმგებლობა ოჯახური დანაშაულისათვის) მუხლები. თუ ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ განხორციელდა ძალადობა მოქმედებს სსკ 126[1] მუხლი, ხოლო თუ ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორე წევრის მიმართ ადგილი ექნება სსკ 108, 109, 115, 117, 118, 120, 126, 126[1], 137-141, 143, 144-144[3], 149-151, 160, 171, 253, 255, 255[1], 381[1], 381[2] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულს, მაშინ დამნაშავეს პასუხისმდებლობა დაეკისრება ოჯახური დანაშაულისათვის (სსკ მე-11[1] მუხლი).

10.1.3. ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულირება

ოჯახური ძალადობის ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულირების მხრივ აღსანიშნავია 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[3] თავი „ადმინისტრაციული სამართალწარმოება ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით“, რომელიც ასევე მოქმედებს 2006 წლის 25 მაისიდან.

ოჯახური ძალადობის ფაქტებზე ოპერატიული რეაგირებისათვის, მსხვერპლის დაცვისა და ოჯახის მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის მიზნით სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოიცემა შემაკავებელი და დამცავი ორდერები.

10.1.3.1. შემაკავებელი ორდერი

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს“. ამავე კანონის მე-16 მუხლის თანახმად, პოლიცია ვალდებულია ოჯახში ძალადობის ფაქტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება და განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის შემაკავებელი ორდერის დამტკიცების შესახებ 3/2512-08 გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „წარმოდგენილი მასალების, კერძოდ, შემაკავებელი ორდერის ოქმით, შემაკავებელი ორდერით და ახსნა-განმარტებებით დასტურდება, რომ მოქალაქე თამაზ ქ. ახდენს ლალი ქ.-ზე და მისი ოჯახის წევრებზე ფიზიკურ შეურაცხყოფას და ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ასევე ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა დააზიანა საოჯახო ნივთები.“ იმავე გადაწყვეტილებით თამაზ ქ.-ს შემაკავებელი ორდერის პირობის

[621] ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირება იხ.: გაბრიჩიძე, ნ., 2006, გვ. 159-168.

სახით აეკრძალა მსხვერპლ ლალი ქ.-ზე და მის ოჯახის წევრებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.[622]

ამავე სასამართლოს 2008 წლის №3/2719-08 გადაწყვეტილებით მოქალაქე მალხაზ კ.-ს მოქალაქე მარინა ლ.-ზე განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გამო, შემაკავებელი ორდერის საფუძველზე აეკრძალა როგორც მარინა ლ.-ს საცხოვრებელ სახლთან, ასევე იმ ადგილთან მიახლოვება სადაც იგი (მარინა ლ.) იმყოფება.[623]

10.1.3.2. დამცავი ორდერი

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები."

ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ოჯახში ძალადობის ჩამდენის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების (სისხლისსამართლებრივი მექანიზმების) გამოყენება არ აფერხებს ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის (მსხვერპლის) დაცვის უზრუნველსაყოფად დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემას.

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლებით სარგებლობენ: მსხვერპლი, მისი ოჯახის წევრი, მსხვერპლის თანხმობით ის პირები, რომლებიც მსხვერპლს უწევენ სამედიცინო, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევაში - მისი მეურვე და მზრუნველობის ორგანო.

დამცავი ორდერის გამოცემა ხდება ექვს თვემდე ვადით. მისი გაგრძელება შეიძლება მოსამართლის მიერ, მაგრამ არაუმეტეს სამი თვისა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21^{13} მუხლის თანახმად, დამცავ ორდერს გამოსცემს სასამართლო. იგი უფლებამოსილი პირის განცხადების მიღებიდან 10 დღის ვადაში განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გაცემის, გაუქმების, მოქმედების გაგრძელების ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის №3/2025-07 გადაწყვეტილებით, ოჯახური ძალადობის მოძალადე გიორგი ქ.-ს მიმართ გამოტანილ იქნა დამცავი ორდერი, რომლის მიხედვით გიორგი ქ.-ს სამი თვის ვადით აეკრძალა ლელა რ.-ს მიმართ სიტყვიერი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა და იმ ადგილთან მიახლოვება, სადაც ლელა რ. იმყოფება. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის თანახმად, გიორგი ქ. და ლელა რ. იმყოფებიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში და ჰყავთ ვაჟიშვილი. გიორგი ქ., რომელსაც სხვა ოჯახიც ჰყავდა მხოლოდ დღის განმავლობაში ხვდებოდა ლელა რ.-ს

---

[622]თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის №3/2512-08 გადაწყვეტილება.

[623]თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის №3/2719-08 გადაწყვეტილება.

და თავის ვაჟს. გიორგი ქ. ეჭვიანობის ნიადაგზე ხშირად ჩხუბობდა ლელა რ.-თან. „მათი ვაჟიშვილი, რომელიც 11 წლის არის ცდილობს თავი აარიდოს მშობლებთან ურთიერთობას. მამის ჩადენილი ქმედებების გამო ბავშვს ნელ-ნელა უვითარდება გარკვეული კომპლექსები, ითხოვს ბინის გაყიდვას და საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას. რცხვენია მეზობლების, რომლებმაც არაერთხელ მოისმინეს, როგორ ლანძღავდა და აგინებდა მისი მამა მთელი კორპუსის გასაგონად მის დედას."[624]

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 3/105-08 გადაწყვეტილებით ოჯახური ძალადობის მოძალადე ზურაბ მ.-ს სამი თვის ვადით აეკრძალა ლალის.-ს მიმართ სიტყვიერი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა და იმ ადგილთან მიახლოვება, სადაც ლალი ს. იმყოფება. გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის თანახმად, „ზურაბ მ. და ლალი ს. იმყოფებიან რეგისტრირებულ ქორწინებაში და ჰყავთ სამი შვილი. ზურაბ მ.-ს აქვს პათოლოგიური სიმთვრალე, რის გამოც იგი თავის მეუღლეს და შვილებს ხშირად აყენებს ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შეურაცხყოფას. ზურაბ მ.-მ ახალი წლის წინა დღეებში სრულიად უმიზეზოდ სცემა შვილს, რომელსაც დარტყმის შედეგად თვალის მიდამოში გაუჩნდა სილურჯე და სისხლჩაქცევა".[625]

10.1.3.3. თავშესაფარი

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" 2006 წლის 25 მაისის საქართველოს კანონის მე-17[2], მე-18 მუხლები არეგულირებენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსების საკითხებს. ოჯახური ძალადობის მსხვერპლის მოთხოვნის საფუძველზე სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის სამ თვემდე ვადით ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში გადაყვანას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მსხვერპლის საყოფაცხოვრებო პირობებს და უნდა უზრუნველყოფდეს მის პირველად და გადაუდებელ სამედიცინო და ფსიქოლოგიურ დახმარებას.

10.2. ოჯახური ძალადობის ტიპები და სახეები

ოჯახურ ძალადობაში იგულისხმება ძალადობა მშობლებს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, და-ძმას შორის და შვილების ძალადობა მშობლების მიმართ.

მეუღლეთა შორის ძალადობა: მეუღლეთა შორის ძალადობის დროს მოძალადეთა დიდი უმრავლესობა მამაკაცები (90%) არიან,[626] ხოლო ამ ძალადობის მსხერპლი ქალები და ბავშვები. მამაკაცის მიერ ძალადობის გამოყენებისას საქმე გვაქვს იმ ტიპიურ და გავრცელებულ ქცევის წესთან, რომლის მიხედვითაც მამაკაცები ოჯახში დომინანტები უნდა იყვნენ და ყველაფერი უნდა აკონტროლონ. ასეთი სახის ძალადობას შეიძლება მეუღლეთა განქორწინებაც მოჰყვეს შედეგად.

---

[624]თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2007 წლის №3/2025-07 გადაწყვეტილება.

[625]თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის №3/105-08 გადაწყვეტილება.

[626]ბებერაშვილი, ზ. და სხვა, 2007. გვ. 11.

მშობლების ან ოჯახის ნათესავების ძალადობა ბავშვების მიმართ: მე-19 საუკუნის ბოლოს პირველად იქნა გაპროტესტებული ბავშვების აღზრდა ძალისმიერი მეთოდებით. გასული საუკუნის 70 წლებში კიდევ ერთხელ გახდა ბავშვების წინააღმდეგ მიმართული ოჯახური ძალადობა აქტუალური. ბავშვების წინააღმდეგ ძალადობას უფრო ხშირად მანდილოსნები მიმართავენ (დედა, ბებია), ვიდრე მამაკაცები.

და-ძმას შორის ძალადობა: ოჯახური ძალადობის ამ ფორმის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. და-ძმას შორის ოჯახური ძალადობისას ხშირია უმცროსი დედმამიშვილის დაჩაგვრა. საინტერესოა იმის გარკვევა, თუ სად მთავრდება და-ძმას შორის ჩხუბი და სად იწყება ძალადობის გამოყენება, და რა ფსიქოლოგიური შედეგი შეიძლება მოჰყვეს გახშირებულ ამგვარ (და-ძმას შორის) დაპირისპირებას?

ძალადობა მოხუცებულთა წინააღმდეგ: მოხუცებულთა წინააღმდეგ მიმართული ოჯახური ძალადობა უფრო ემოციური, ანუ ფსიქოლოგიური ხასიათისაა და გამოიხატება მათი წლოვანებიდან გამომდინარე მათი როლის იგნორირებაში. თუმცა, ამ მხრივაც, არ არსებობს მეცნიერული გამოკვლევები, რამეთუ ამ თემასაც საზოგადოებაში ტაბუ აქვს დადებული.

ზემოაღნიშნულის თანახმად, ოჯახური ძალადობა სახეზეა, თუ ერთ ჭერქვეშ მცხოვრებ და უკვე აღარ მცხოვრებ პირებს შორის ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას, ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარას აქვს ადგილი.

ფიზიკური ძალადობაა: ცემა, წამება, ხელის ბიძგება, კბენა, ყელში ხელის წაჭერა, საგნების სროლა და ყოველგვარი სახის თავდასხმა მსხვერპლის მკვლელობამდე. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.

ფსიქიკური ძალადობაა: დამცირება, მუქარა, შანტაჟი, შეურაცხყოფის მიყენება, ეჭვიანობის ნიადაგზე თვალთვალი, მუქარა და ყოველგვარი ისეთი ქმედება, რომელიც პირის ფსიქიკური სიმყარის წინააღმდეგაა მიმართული და იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას.

სექსუალური ძალადობა: მუქარით ან ძალადობით, ან მსხვერპლის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით სექსუალური ურთიერთობის დამყარება, გაუპატიურება, პროსტიტუციაში ჩაბმა. აგრეთვე მოზარდის მიმართ გარყვნილი ქმედება.

ეკონომიური ძალადობა: მუშაობის უფლების ჩამორთმევა, სამუშაოს შესრულებისადმი იძულება, ხელფასის დაკავება, ფინანსური რესურსების განკარგვის ძალაუფლება ერთი პირის მიერ. ეკონომიური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით და საცხოვრებლით უზრუნველყოფის, საკუთრების და შრომითი, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობის უფლებების შეზღუდვას.

უგულებელყოფა: მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა

მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

ოჯახური ძალადობის სიმძიმე მდგომარეობს იმაში, რომ ძალადობა ხდება კერძო „სექტორში", ისეთ პიროვნებებს შორის, რომლებიც ემოციურ კავშირში და სოციალურ, ეკონომიკურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. ამიტომ ოჯახური ძალადობით მიყენებული ზიანი უფრო მძიმეა და უარყოფითად მოქმედებს პირის განვითარებაზე. გარდა ამისა, ოჯახური ძალადობა მრავალჯერადი ქმედებაა და მოძალადის პოზიციიდან გამომდინარე პრობლემის „სწრაფად" მოგვარებას გულისხმობს, რაც ყოველთვის საპირისპირო შედეგს იწვევს და რითაც არა მარტო პრობლემის მოგვარება რთულდება, არამედ თვითონ ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობაც.

10.3. ოჯახური ძალადობის სტატისტიკური მონაცემები

ოჯახური ძალადობის „კრიმინოლოგიური აზროვნება, პირველ რიგში, ემყარება სწორედ თეორიული, პრაქტიკული და ეროვნული კანონმდებლობის მონაცემების ცოდნის სისტემას, რომელიც შეიძლება შემუშავდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განზოგადებული იქნება ამ სახის დანაშაულთა ქვეყნის სტატისტიკური მონაცემები."[627]

ვინაიდან ოჯახური ძალადობა ისეთ პიროვნებებს შორის ხდება, რომლებიც ემოციურად მჭიდრო კავშირში და სოციალურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან, უმეტეს შემთხვევაში ოჯახი მალავს ამ ფაქტს. ამიტომ, მეტად ძნელია ოჯახური ძალადობის შესახებ სრულყოფილი სტატისტიკის მოპოვება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მონაცემებით 2006 წლის 1 ივნისიდან 2008 წლის 31 დეკემბრამდე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეების მიერ გამოტანილი იქნა 32 დამცავი და დამტკიცებულ იქნა 546 შემაკავებელი ორდერი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით საქართველოში 2009 წელს დაფიქსირდა ოჯახური ძალადობის 122, ხოლო 2010 წელს 189 შემთხვევა. მოძალადეთა 97 პროცენტი მამაკაცია და მოძალადეთა 90 პროცენტი 25 წელს გადაცილებული. ძალადობის სახეებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა. 2010 წელს დაფიქსირებული 189 შემთხვევიდან 170 იყო ფსიქოლოგიური, 134 - ფიზიკური, 11 - ეკონომიკური და 3 - სექსუალური ძალადობა.[628]

ამავე უწყების მონაცემებით 2015 წელს გამოიცა 2 726 შემაკავებელი ორდერი, მათში მონაწილე 5 106 პირით. მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები – 2 283, ხოლო ქალების რაოდენობა შეადგენს 185-ს. აღნიშნულ პერიოდში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდა 2301 ქალი და 337 მამაკაცი. მოძალადე მამაკაცებში, ისევე როგორც ქალებში, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება 25-44 წლის ასაკობრივ შუალედში. მსხვერპლ მამაკაცებში ყველაზე დიდი წილი 45 წლის ზღვარს

[627]გაბრიჩიძე, ნ., 2006, გვ. 159-160.
[628]www.police.ge

ზემოთ მყოფებზე მოდის, ხოლო მსხვერპლ ქალებში კი – 25-44 წლის ასაკობრივ შუალედში. ოჯახში ძალადობის სახეებიდან საქართველოში 2015 წელს სჭარბობდა ფიზიკური (1208) და ფსიქოლოგიური ძალადობა (2556). რეგიონებს შორის ყველაზე მეტი ოჯახში ძალადობის ფაქტი ფიქსირდება თბილისში (1009), ყველაზე ცოტა სამცხე-ჯავახეთში (45 ფაქტი).

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2009, 2010 და 2015 წლებში ოჯახური ძალადობის შედეგად ჩადენილ იქნა შემდეგი დანაშაულები:

დანაშაულის სახეები	**2009 წელი**	**2010 წელი**	**2015 წელი**
განზრახ მკვლელობა	13	6	12 (სსკ 108 მ.) და 1 (სსკ 109 მ.)
მკვლ. მცდელობა	5	6	8
ჯანმრ. განზრახ მძიმე დაზიანება	6	9	13
ჯანმრ. განზრ. ნაკლებად მძიმე დაზიანება	21	33	18
ძალადობა	7	12	10
მუქარა	8	14	28
სულ რეგისტრირებული	61	108	259

შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2015 წელს სსკ 126[1] მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 560 დანაშაულზე.

10.4. ოჯახური ძალადობის კვლევა

ოჯახური ძალადობის შესახებ მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაციის და ქვეყანაში ოჯახური ძალადობის კვლევის ერთ-ერთი შესაძლებლობაა, გამოკითხვა, ანუ რესპოდენტთა მიერ ოჯახში არსებულ ძალადობაზე მოწოდებული ინფორმაცია.

იუნისეფის (გაეროს ბავშთა ფონდის)[629] მიერ 2007-2008 წლებში საქართველოში ჩატარებულ იქნა მოზარდების გამოკითხვა ბოლო ერთი წლის განმავლობაში და წარსულის ნებისმიერ მომენტში ძალადობასთან მათი გამოცდილების შესახებ „სახლში და მის უშუალო სიახლოვეს". გამოკითხულ იქნა 11-დან მე-18 დაბადების დღემდე ასაკის 1 050 ბავშვი, რომელთაგან 350 კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული იყო.

ფიზიკური ძალადობა (სულ: 1 050 გამოკითხული)	**ოდესმე**		**გასულ წელს**	
მოგქაჩათ თმა ან ყური აგიწიათ	641	61%	435	54%
დაგარტყათ, გცემათ ან ხელი გაგარტყათ	455	43,3%	293	27,9%
ხელი გკრათ, ხელი გტაცათ ან მოგარტყათ	336	32%	263	25%
ჩაგკეტათ პატარა სივრცეში, დაგაბათ ან მიგაბათ რამეზე	73	7,%	29	2,8%
დაგარტყათ გაგლახათ ან რამე საგნით გცემათ	65	6,2%	35	3,3%
ფსიქოლოგიური ძალადობა (სულ: 1 050 გამოკითხული)				

[629]იხ. გაეროს ბავშთა ფონდის (იუნისეფის) საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა 2007-2008.

დაგიკივლათ	584	55,9%	481	45,8%
შეურაცხყოფა მოგაყენათ	320	30,2%	271	25,8%
დაგამცირათ	181	17,2%	135	12,9%
დაგემუქრათ, რომ გატკენდათ ან მოგკლავდათ	117	11,1%	24	2,3%
სქესობრივი ძალადობა				
სექსუალურად გესაუბრებოდათ	52	5%	46	4,4%
პორნოგრაფია გაჩვენათ	41	3,9%	35	3,3%
ხელით შეეხო გენეტალიებს	18	1,7%	16	1,5%
ეცადა, თქვენთან სექსი ჰქონოდა	17	1,6%	15	1,4%

„სახლში და მის უშუალო სიახლოვეს“ ფიზიკური ძალადობის შემთხვევები გასულ წელს ან ოდესმე გამოკითხულთა პაუსხების მიხედვით, ასე გამოიყურება:

ფიზიკური ზეწოლა, რომელიც 641 ბავშვზე განხორციელდა და რაც გამოიხატა თმის მოგქაჩვით ან ყურის აწევით ჩადენილი იყო 66,5% შემთხვევაში უფროსების მიერ, ხოლო 21,2% ბავშვების და 12,3% ორივეს (უფროსების და ბავშვების) მიერ. ასევე 455 ბავშვისათვის გარტყმა ან ხელით ცემა ჩადენილი იყო 55,4% შემთხვევაში უფროსების მიერ, 31,9% ბავშვების და 12,7% ორივეს (უფროსების და ბავშვების) მიერ.

ფსიქოლოგიური ზეწოლა რომელიც 320 ბავშვზე განხორციელდა და რაც გამოიხ-ატა შეურაცხყოფის მიყენებაში 71,9% ჩადენილი იყო უფროსების, 20%- ბავშვების და 8,1% ორივეს (უფროსების და ბავშვების) მიერ, ხოლო 181 ბავშვის დამცირების შემ-თხვევათა თითქმის ნახევარი (48,6%) ბავშვების მიერ, 40,3% უფროსების მიერ, ხოლო 11% ორივეს (უფროსების და ბავშვების) მიერ.

52 ბავშვიდან (სექსუალური საუბარი) 43 თვითონ სხვა ბავშვების სექსუალური ძა-ლადობის მსხვერპლი გახდა, 7 – უფროსების, 2 – ორივესი (უფროსების და ბავშვების). პორნოგრაფილი ფილმების ჩვენების 41 შემთხვევიდან 26 შემთხვევაში ინიციატორი იყო ბავშვი, 11 – უფროსი, 4 – ორივე (უფროსები და ბავშვები).

ამავე კვლევის პერიოდში ოჯახში დისციპლინის, სასჯელისა და ძალადობის შესახებ იუნისეფის მიერ გამოკითხულ იქნა 1 650 ბავშვის ძირითადი მზრუნველი. ბავშვების მზრუნველთა (ძირითადად, მშობელთა) 21,5%-მა აღიარა, რომ ისინი სცე-მენ ბავშვებს. მშობლების მხრიდან ბავშვების მიმართ ფიზიკური სასჯელის გამ-ოყენების ყველაზე გავრცელებული ფორმებია: ბავშვის საჯდომზე ხელით დარტყმა (51,7%), შენჯღრევა (46,1%), თმაზე მოქაჩვა ან ყურის აწევა (43,8%).

10.5. ოჯახური ძალადობის კრიმინოლოგია

პიროვნების ჩამოყალიბება ოჯახიდან იწყება. ოჯახს, როგორც საზოგადოების მნიშვნელოვან რგოლს დიდი წვლილი შეაქვს მოზარდის სოციალიზაციის საკითხში.

ოჯახური ძალადობა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს არა მარტო კონფლიქტის მონაწილე პირებზე არამედ ოჯახის სხვა წევრებზეც, მათ შორის ყველაზე უარყოფ-ითად მოქმედებს ბავშვებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი დამცავი ორდერის მაგალითებმა ნათლად აჩვენა მოზარდებზე ოჯახური ძალადობის შედეგები: ფიზიკური ტრამვები, შიში, სირცხვილი, მოზარდის დაკომპლექსება, სოციალიზა-ციის ნაკლებობა (მეზობლებთან ურთიერთობის თავის არიდება) და ა.შ.

გამოკითხვებმა დაგვანახა, რომ ყოველი მეორე მშობელი აღზრდის მეთოდად იყენებს მოზარდის ფიზიკურ დასჯას, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს მშობლის პიროვნების გაუწონასწორებლობით (გამომწვევი მიზეზები: უმუშევრობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოხმარება) და აღზრდის ჯერ კიდევ შემორჩენილი ე.წ. „მამა-პაპური მეთოდებით“.

ოჯახურმა ძალადობამ შესაძლებელია ისეთი ფორმით პოვოს ასახვა მოზარდის პიროვნების განვითარებაზე, რომ მოზარდი უფრო საინტერესო გახდეს კრიმინოლოგიური და სისხლის სამართლებრივი თვალსაზრისით ანუ გახდეს დამნაშავე.

ოჯახურმა ძალადობამ მოზარდი შეიძლება დამნაშავედ ჩამოაყალიბოს შემდეგი გარემოებების გამო:

1. უფროსების მაგალითიდან გამომდინარე მოზარდებს კონფლიქტის მოგვარების ერთადერთ საშუალებად ძალადობა მიაჩნიათ.[630] მათ ოჯახში ნასწავლი ეს კონფლიქტის მოგვარების მეთოდი (დარტყმა, ცემა, დაყვირება) გამოაქვთ გარეთ, ქუჩაში და ცდილობენ, ასევე ძალადობის გამოყენებით, კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას.[631] კონფლიქტის მოგვარების ძალისმიერი მეთოდი ხშირ შემთხვევაში მოზარდებს შორის სხეულის დაზიანებამდე ან კონფლიქტის ესკალაციამდე მიდის („საქმის გარჩევა“, მეგობრების მიყვანა, ჩხუბი დანის ან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით);

2. უმრავლეს შემთხვევებში ის მშობლები, რომელებიც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდებს ხშირად იყენებენ, თვითონ აუტანელი ბავშობა აქვთ გამოვლილი და ფიქრობენ, რომ მათი აღზრდის მეთოდი ეფექტურია, და რომ არ ყოფილიყო ფიზიკური ან ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდები დადებითი შედეგის მომტანი, ხომ არ გამოვიდოდა იგი (მშობელი) ასეთი კარგი და წარმატებული კარიერის მქონე.[632] აღზრდის მეთოდებისადმი ამგვარი დამოკიდებულების დროს საქმე გვაქვს „ძალადობის მუდმივად გამოყენებასთან“ („ძალადობის წრე“ - პაპა-მამა-შვილი-შვილიშვილი);

3. ოჯახის ქალიშვილს ჰგონია, რომ მამის მიერ დედაზე განხორციელებული ძალადობა ნორმალური მოვლენაა და საკუთარი ქმრის მხრიდან მასზედ განხორციელებულ ძალადობას იგი აღარ აღიქვამს დანაშაულად;

4. კრიმინოლოგიის მიზანი ოჯახური ძალადობის შემთხვევაში უნდა იყოს, ძალადობის ტიპების დადგენა და ანალიზი, „ძალადობის წრის“ დარღვევისთვის ხელის შეწყობა - მშობლების პრაქტიკული რჩევებით დახმარება, რათა აღარ მოხდეს მოზარდების მიერ ოჯახში ნასწავლი ძალადობის ქუჩაში გადმოტანა და ამ მეთოდებით კონფლიქტების მოგვარება - დანაშაულის ჩადენა.

---

[630]გასული საუკუნის ბოლოს გერმანიაში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ თურქი მოზარდები ყველაზე მეტად აგრესიულები არიან გერმანელ, რუს, იტალიელ და (ყოფილ) იუგოსლაველ თანატოლებთან შედარებით. კრიმინოლოგების, პფაიფერის და ვეტცელსის აზრით, თურქი მოზარდების აგრესიულობა მომდინარეობდა მათი ოჯახური გარემოდან. მათი მონაცემებით, ყოველი მეხუთე თურქი მოზარდი მშობლის მიერ ოჯახში ხელით იყო ნაცემი და ყოველი მესამე თურქი მოზარდი მოწმე იყო ოჯახში მშობლებს შორის ფიზიკური დაპირისპირებისა. Pfeiffer, C./Wetzels, P., 2000. S. 107-113.

[631]იხ. ქურხული, ლ., 2006. გვ. 68, 75.

[632]Ammon, G., 1979. S. 8; Otto, H.-J., 1982. S. 113; ქურხული, ლ., 2006. გვ. 69.

თავი მეთერთმეტე
ნარკომანია და ნარკოტიკული დანაშაული

ალკოჰოლური სასმელების გვერდით ნარკოტიკული საშუალებები წარმოადგენენ მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ გამაბრუებელ საშუალებას. „ნარკოტიკი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და გაშტერებას, გაშეშებას ნიშნავს.[633] ნარკომანია არის ნარკოტიკული ნივთიერებისადმი მკვეთრად გამოხატული ავადმყოფური ლტოლვა და მათი ხანგრძლივი მოხმარება, რაც გამანადგურებელ ზემოქმედებას ახდენს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე, იწვევს ორგანიზმის გადაგვარებას, ადამიანის სოციალურ დეგრადაციას და წარმოადგენს დანაშაულობის ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს.[634] ყოველდღიური გამოყენებით სიტყვა „ნარკოტიკი“ არის არალეგალური, კანონით აკრძალული, ხშირად ლეგალური საშუალებებით მიღებული ნივთიერება, თუმცა სხვა სახის ნივთიერებები, რომელთაც იგივე სახის ეფექტი გააჩნიათ, ადამიანების მიერ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება (თამბაქო, ალკოჰოლი, სხვადასხვა სახის სასმელები: ყავა, შავი ჩაი). ნარკოტიკული და სხვა სახის გამაბრუებელი საშუალებების გამოყენება ხშირად ქვეყნის კულტურულ და საზოგადოებრივ ღირებულებებზე, მოქალაქეთა მორალურ შეხედულებებზეა დამოკიდებული.[635]

11.1. ნარკოტიკული ნივთიერებების სახეები

ადამიანზე ზემოქმედების თვალსაზრისით განასხვავებენ ორი სახის ნარკოტიკულ საშუალებას: „ძლიერი“ (ჰეროინი, კოკაინი) და „მსუბუქი“ (მარიხუანა, ჰაშიში) ნარკოტიკული საშუალება.

11.1.1. მარიხუანა, კანაფის პროდუქტები

მარიხუანა და ჰაშიში მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ის ნარკოტიკული საშუალებებია, რომლებიც კანაფის ბალახისაგან მიიღება. მარიხუანას მიიღება ხდება კანაფის ფოთლების გაშრობის შემდეგ. კერძოდ, კანაფის მცენარის ფოთლებს და ყვავილებს აშრობენ, ჭრიან ან პრესავენ და ცელოფნის ან ქაღალდის პატარა შეფუთვებით გამოაქვთ შავ ბაზარზე.

ხოლო რაც შეეხება ჰაშიშს, იგი მიიღება კანაფის მცენარიდან გამოყოფილი წებოვანი ნივთიერებისაგან. კერძოდ, კანაფის ღეროების მოხარშვის ან დაპრესვის შედეგად მიღებულ წებოვან ნივთიერებას აშრობენ და ქაღალდის ან ცელოფნის პატარა პარკებში ათავსებენ, მათი რეალიზაციისათვის.[636] კანაფი, როგორც მცენარე მოდის მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ძირითადად კანაფის „პლანტაციები“ გვხვდება კოლუმბიაში, კალიფორნიაში, ავღანეთში, თურქეთში, ირანში, პაკისტანში, ცენტრალური აფრიკის ქვეყნებში, ინდოეთსა და ტაილანდში.[637]

---

[633]ლეკვეიშვილი, მ., და ავტ. კოლ., 2008. გვ. 641.
[634]შუშანაშვილი, ა., 2000. გვ. 192-193.
[635]Scheerer, S./Vogt, I. (Hrsg.), 1989. S. 6.
[636]Schulz, H., 1987. S. 32-33.
[637]Schwind, H-D., 2008. S. 557.

იმის მიხედვით, თუ რა ფერის არის ჰაშიში, შესაძლებელია მისი წარმომავლობის დადგენა, მაგ. თურქული ჰაშიში არის მწვანე, ავღანური – შავი, პაკისტანური – ყავისფერი.[638]

მარიხუანის და ჰაშიშის ადამიანის ორგანიზმში მოხვედრა შესაძლებელია მისი სიგარეტის სახით მოწევის, მისი დაწვის და წარმოქმნილი კვამლის შესუნთქვის ან მისი საჭმლის სახით (მაგ. ჰაშიშისაგან ნამცხვრის გამოცხობა) მიღების გზით.[639]

მარიხუანის და ჰაშიშის მიღება ადამიანში იწვევს ჰალუცინაციებს, აყენებს მას დადებით ხასიათზე (ჰგვრის ბედნიერების და სიხარულის გრძნობას), ადამიანს ხდის კომუნიკაბელურს. უარყოფით ფაქტორებს რაც შეეხება, მარიხუანის და ჰაშიშის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მაღალი მგრძნობელობა, შიში, პანიკა, გულის აჩქარება და პირღებინება, ხოლო მისი ხშირად მიღების შემთხვევაში ორგანიზმის მოწამვლა, ფსიქოზი, უშვილობა, დეპრესია და მომეტებული შიშის განცდები. შესაძლებელია ზოგიერთ მომხმარებელში გამოიწვიოს სასუნთქი გზების ბრონქული დაავადებები, ფილტვების კიბო.[640]

მარიხუანის და ჰაშიშის საბაზრო ღირებულება ძალიან დაბალია, ამიტომ გასაბრუებლად ახალგაზრდები ალკოჰოლის მიღებას ხშირად სწორედ მარიხუანის და ჰაშიშის მიღებას ამჯობინებენ. საქართველოში ცნობილი და გავრცელებულია კახური და სვანური მარიხუანა, რომლის ღირებულება შავბაზარზე 50-80 ლარია (ერთი ასანთის კოლოფი), მისი ვარგისიანობის/სიძლიერის მიხედვით.

11.1.2. ჰეროინი

ჰეროინი – ოპიუმი – მორფიუმი - კოდეინი წარმოადგენენ (ძილის) ყაყაჩოს ყვავილის (papaver somniferum) რძისგან მიღებულ ნარკოტიკულ საშუალებებს. ისინი ძირითადად თურქეთში, ირანში, ლიბანში, ავღანეთში, პაკისტანში, ბურმაში, ტაილანდსა და ლაოსში მზადდება და არალეგალურ ნარკობაზარს მიეწოდება.[641] მიუხედავად იმისა, რომ ბიოლოგიაში ყაყაჩოს, როგორც მცენარის 600-ზე მეტი სახეობა არსებობს, ნარკოტიკულ საშუალებებს იღებენ მხოლოდ (ძილის) ყაყაჩოს ყვავილისაგან (papaver somniferum).[642] ყაყაჩოს მცენარე 12 თვის მანძილზე 7-10 დღის განმავლობაში გამოყოფს რძის მაგვარ მოწითალო-მოყავისფრო ფერის წებოვან სითხეს, რომლის გაშრობის და ფხვნილად ქცევის შემდეგ მიიღება დაუმუშავებელი ოპიუმი.[643] სიტყვა ოპიუმი (Opos) ბერძნული წარმოშობისაა და მცენარის რძეს ნიშნავს. ყაყაჩოს მცენარე, რომლისგანაც დაუმუშავებელი ოპიუმი მიიღება, ძირითადად ისეთი ქვეყნების მიერ არის გაშენებული, სადაც მუშახელი ძალიან იაფია. დაუმუშავებელი ოპიუმიც შეიძლება წყალში გახსნით გამოყენებულ იქნეს ნარკოტიკულ ნივთიერებად. დაუმუშავებელი ოპიუმი საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა როგორც სამედიცინო პრეპარატი.

1898 წელს ჰეინრიხ დრესერის მიერ მიღებულ იქნა ჰეროინი, რომლის გამოყენებაც მორფიუმზე დამოკიდებული პაციენტების მკურნალობისათვის იყო გამიზნული. სულ მოკლე დროში დადგინდა, რომ ჰეროინის მომხმარებელი პაციენტები

---

[638]იქვე.
[639]Schulz, H., 1987. S. 35.
[640]Schwind, H-D., 2008. S. 557
[641]იგივე, გვ. 558.
[642]Bieniek, R., 1993. S. 30.
[643]იგივე, გვ. 31.

მორფიუმის ნაცვლად უკვე ჰეროინს ითხოვდნენ და მასზედ დამოკიდებულები ხდებოდნენ.[644]

ჰეროინის ადამიანის ორგანიზმში შეღწევის ფორმებია: ნემსით გაკეთება, მოწევა ან შესუნთქვა.[645]

ჰეროინის „განსაკუთრებულობა" მდგომარეობს მისი მიღების თანავე ადამიანში ძლიერი ბედნიერების გრძნობის წარმოქმნასა და პრობლემების დავიწყების შეგრძნებაში, რაც მიღებიდან 3-4 საათის შემდეგ კუნთების ტკივილში, გულის აჩქარებაში, პირღებინებასა და თავის ტკივილში გადადის.[646] ჰეროინზე ადამიანის დამოკიდებულება უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ოპიუმის მიღებისას. გარდა ამისა, ჰეროინი გამოირჩევა ადამიანების სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით.[647]

ჰეროინი ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ ნარკოტიკულ საშუალებად ითვლება, ამიტომ მისი მიღება უფრო ძლიერი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე პირების მიერ ხდება.

11.1.3. კოკაინი

კოკაინი, როგორც ნარკოტიკული საშუალება კოკას ბუჩქის ფოთლებზე ქიმიური საშუალებების ზემოქმედებით მიიღება.[648] კოკას ბუჩქის ფოთლების „მოკრეფა" ყოველ ორ თვეში შეიძლება. კოკას მცენარე მოდის პერუში, ბოლივიაში, კოლუმბიასა და ეკვადორში.[649]

კოკაინის ანუ „თეთრი ოქროს" ადამიანის ორგანიზმში შესვლა ხდება მისი ფხვნილის ცხვირიდან შეყნოსვის გზით. ცნობილია ასევე კოკაინის მიღება ნემსის საშუალებითაც.[650]

კოკაინის მიღება ადამიანში იწვევს დაღლილობის და შიმშილის შეგრძნების გაქრობას, ეიფორიას, ლაპარაკის სურვილს. მისი მიღებიდან ერთი საათის შემდეგ ადამიანში იწყება თავის ტკივილი, ძლიერი შიშის გრძნობები.[651]

11.1.4. სუბუტექსი

2000 წლის თებერვალში ბავარიული ფარმაცევტული ფირმა Essex Pharma GmbH-ს მიერ გამოშვებულ იქნა Buprenophin-Sublinqual-ის ტაბლეტები, რომელსაც სუბუტექსი – Subutex – ეწოდა. იგი მეტადონის ალტერნატივას წარმოადგენდა და განკუთვნილი იყო ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირების სამკურნალოდ.[652]

სუბუტექსის 1-3 მგამი ტაბლეტის მიღებისას მისი ზემოქმედების ხანგრძლივობა 24 საათია. გერმანიის მედიცინაში იგი გამოიყენენა პატარა დოზებით, მხოლოდ ექიმის დანიშნულებით და ხელს უწყობს კოკაინზე დამოკიდებული პირებისათვის

---

[644]იგივე, გვ. 32.
[645]Schwind, H-D., 2008. S. 558.
[646]Schwind, H-D., 2008. S. 558; Göppinger, H. 2008. S. 449.
[647]Göppinger, H. 2008. S. 449.
[648]იქვე.
[649]Schwind, H-D., 2008. S. 558.
[650]Bieniek, R., 1993. S. 30.
[651]Schwind, H-D., 2008. S. 558.
[652]Körner, H. H., 2007. S. 203.

მისი (კოკაინის) მიღების გარეშე ყოფნის უპრობლემოდ („კოკაინის ულომკოდ“) ატ-ანას,[653] ანუ ის პირები რომლებიც კოკაინზე დამოკიდებულები არიან ექიმის დან-იშნულებით და ექიმის კონტროლის ქვეშ იღებენ სუბუტექსს, რათა მათ შეუნელდეთ (და ბოლოს საერთოდ დაეკარგოთ) კოკაინზე მოთხოვნილება, ფსიქოლოგიური დამოკიდებულება.

სუბუტექსი, როგორც ჰეროინი, მეტადონი, კოდეინი ოპიატის ოჯახს განეკუთვნება. სუბუტექსი, როგორც ნარკოტიკული საშუალება გამაბრუებლად მოქმედებს ადამიანზე და ხშირად იწვევს უძილობას, კუჭში შეკვრას, სასუნთქი ორ-განოების დაავადებებს, სექსუალური ურთიერთობის სურვილის დაკარგვას და როგორც ყველა სხვა ნარკოტიკული საშუალება იწვევს მასზედ მიჩვევას და პირის დამოკიდებულებას.

საქართველოში გავრცელებული ნარკოტიკული საშუალებების, მათი თვისებებ-ისა და ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ საქართველოს შინა-გან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.[654]

11.2. ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება

ადამიანის ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების ორი ფორმა არსებობს: ფსიქიკური და ფიზიკური (სხეულებრივი).

11.2.1. ფსიქიკური დამოკიდებულება

ფსიქიკური დამოკიდებულება არის ძლიერი და მუდმივი მოთხოვნა ნარკოტიკული ნივთიერებების მიღებისა, რათა უხალისობა და უხასიათობა იქნეს დაძლეული. ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების მოთხოვნა (ფსიქიკური დამოკიდებულება) ადამიანის ნერვულ სისტემაზე ნარკოტიკული საშუალების დადებითი მოქმედებით არის განპირობებული და იწვევს მომხმარებლის სურვილს ნარკოტიკის მიღებით ხელმეორედ გაიმეორეოს (ერთხელ უკვე განცდილი) დადებითი ემოციები.[655]

ფსიქოლოგიური დამოკიდებულება ცნობილია, როგორც ძალდაუტანებელი, ხარბი და ძლიერი სულიერი მოთხოვნით, რომლის დაკმაყოფილებასაც ნარკომანი ყველა გზის გამოყენებით ცდილობს.[656] სხვაგვარად, ფსიქიკური დამოკიდებულება არის იმ უარყოფითი მდგომარეობის გამომხატველი, რასაც დამოკიდებული პირი გრძნობს ნარკოტიკული საშუალების მიუღებლობის გამო.

დამოკიდებული პირის უარყოფითი მდგომარეობა გამოიხატება მის დეპრე-სიულობაში (რაც ხშირად მას თვითმკვლელობის სურვილს აღუძრავს), აფორია-ქებულობაში, შიშის შეგრძნებაში, ნარკოტიკის მიღების გაძლიერებულ სურვილში, მუდმივ ნერვიულობასა და კონცენტრაციის უქონლობაში.[657]

---

[653]იქვე.
[654]http://police.ge/ge/projects/narkotikebi (2017 წლის 3 თებერვლის მდგომარეობით).
[655]Russi, E.W., 1986. S. 11.
[656]Bieniek, R., 1993. S. 49.
[657]იქვე.

11.2.2. ფიზიკური დამოკიდებულება

ფიზიკური (სხეულებრივი) დამოკიდებულება არის სხეულის იმგვარი მიჩვევა ნარკოტიკულ ნივთიერებაზე, როდესაც მისი მიუღებლობის ან დოზის შემცირების შემთხვევაში ადამიანის ორგანიზმის ფუნქციონირება განიცდის ხელისშეშლას. სხეულებრივი დამოკიდებულების მეორე უარყოფითი ნიშანია ის, რომ ნარკომანმა მიღებული ნარკოტიკული საშუალების დოზა უნდა გაზარდოს, რათა მიიღოს მისთვის სასურველი შედეგი. ადამიანის ნარკოტიკისადმი ფიზიკური დამოკიდებულება გამოიხატება ზოგადად სხეულის ტკივილით, ტირილით, პირღებინებით, სისუსტით, მომატებული გულის მუშაობით, კუნთების ტკივილით, „შემცივნების“ შეგრძნებით, ნერვიულობით და წონის დაკარგვით.[658]

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნარკოტიკზე და/ან მის დოზაზე მიჩვევის შემთხვევაში დამოკიდებული პირი „ვალდებულია“ ნარკოტიკული ნივთიერების დოზა გაზარდოს, რათა შენარჩუნებულ იქნას ნარკოტიკის ეფექტურობა.[659]

11.3. ნარკომანობის ახსნა-განმარტების თეორიები

11.3.1. ფსიქოანალიტიკური თეორია

ფროიდის მიერ შემუშავებული ფსიქოანალიტიკური თეორიის მიხედვით, წინა პლანზეა წამოწეული ნარკოტიკზე დამოკიდებული პირის პიროვნება. კერძოდ, პიროვნების სტრუქტურის დარღვევა, რომელიც გამოწვეულია ადრეულ ბავშვობაში მიღებული ტრავმით და რომლის ფსიქოლოგიური დამუშავება (ტრავმის ანალიზი) პირს არ მოუხდენია, შეიძლება გახდეს ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულების მიზეზი.[660]

11.3.2. ბიოლოგიურ-მედიცინური თეორია

ბიოლოგიურ-მედიცინური თეორიის მიხედვით, ადამიანის ნარკოტიკზე ფსიქიკური დამოკიდებულების მიზეზი ერთი მხრივ შეიძლება იყოს ადამიანის ბიოლოგიური უჯრედების ცვალებადობა, რომელიც ნარკოტიკის მიღების შედეგად წარმოიქმნება და მეორე მხრივ, ნევრო-ფსიქოლოგიური სისტემის ბიოლოგიური სისუსტე, რომლის გამოც სხეულისათვის აუცილებელი ტკივილგამაყუჩებელი ჰორმონი - Endorphine – არასაკმარისად გამოიყოფა. [661]

11.3.3. სოციალიზაციის თეორია

სოციალიზაციის თეორიის მიხედვით, პირის ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება განპირობებულია ორი ფაქტორით: 1. სოციალური მდგომარეობა და 2. ოჯახური გარემო. სოციალურ მდგომარეობაში იგულისხმება დამოკიდებული პირის სოციალური წარმოშობა, საქმიანობა, სოციალურ-იერარქიული მდგომარეობა და სხვა, ხოლო ოჯახურ გარემოში კი – მისი ოჯახური მდგომარეობა და საოჯახო ატმოსფერო.[662]

---

[658]იგივე, გვ. 50.
[659]Russi, E.W., 1986. S. 11.
[660]Bieniek, R., 1993. S. 53.
[661]იქვე.
[662]Schmerl, Ch., 1984. S. 75.

11.3.4. სწავლების ფსიქოლოგიური თეორია

სწავლების ფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, პირის ნარკომანად გახდომა, მისი ნარკოტიკზე დამოკიდებულება, თუ განმეორებით განარკომანება კლასიკური სწავლების პრინციპის ზემოქმედებით ხდება. ადამიანის მიერ პირველად ნარკოტიკული საშუალების მიღებას შეიძლება საფუძვლად ედოს სოციალური მდგომარეობის, სოციალური სტატუსის მოპოვება-გაუმჯობესება, მაგ. (ახალ) მეგობართა წრის მიერ აღიარება. ნარკოტიკის მიღებიდან გამოწვეული დადებითი ხასიათი და მდგომარეობა ფსიქოლოგიურად უბიძგებს პირს ნარკოტიკის კიდევ ერთხელ მოხმარებისკენ. ფსიქოლოგიური ბიძგი გარდაუვალია, ვინაიდან (თუ) პირველი ნარკოტიკის მოხმარებით პირი „დაჯილდოვებულ იქნა“ ახალი, მისთვის სასურველი, სტატუსის მიღებით, ანუ ადგილი აქვს დადებითი „გამაძლიერებლის“ მოქმედებას იმ სოციალური გარემოს მხრიდან, რომელშიც პირი ცხოვრობს. სოციალურად „გამაძლიერებელი“ ღონისძიებები თანდათანობით, პირის მიერ ახალ სოციალურ სტატუსთან შეჩვევის შემდეგ კი, ნელდება და ეფექტურობას კარგავს, თუმცა ამ დროისათვის პირი ნარკოტიკზე უკვე დიდი ხნის დამოკიდებულებულია (ნარკომანია).[663]

11.3.5. ეტიკეტირების თეორია

ეტიკეტირების თეორიის მიხედვით, ის პირები, რომლებიც ნარკოტიკულ ნივთიერებას პირველად „გასინჯავენ“ საზოგადოების მიერ ეტიკეტირებულები არიან, როგორც ნარკომანი და დამნაშავე. საზოგადოება, მის მიერ დაწესებული წესების დარღვევისათვის ზურგს აქცევს ნარკოტიკის მომხმარებელ პირს, რომელიც საზოგადოებისაგან გარიყულად და მიტოვებულად გრძნობს თავს და სხვა აღარაფერი დარჩენია, თუ არა გაამართლოს საზოგადოებისაგან მიღებული ნარკომანის ახალი „სტატუსი“. საზოგადოება, სამართალდამცავი ორგანოები ნარკოტიკული საშუალებების პირველადი მომხმარებლისთვის ზურგის შექცევით (ნარკომანად ეტიკეტირებით), მას (მომხმარებელს) მისი განმეორებით მიღებისკენ და შესაბამისად, დამოკიდებულებისაკენ უბიძგებს.

11.3.6. საზოგადოებრივი კრიზისის „თეორია“

საზოგადოებრივად აღიარებული მიზნები და ღირებულებები ხშირად საზოგადოებრივი კრიზისის დროს ზოგიერთი ადამიანისათვის ხდება მიუღწეველი, არასაკმარისი განათლების და კონტაქტების, დაბალი სოციალური მდგომარეობის და სხვა მიზეზების გამო. ასეთი „მიზან მიუღწეველი ან/და მიზან დაკარგული“ ადამიანები გამაბრუებელი საშუალებების (ალკოჰოლი, ნარკოტიკი) მიღებით ახდენენ საკუთარ (საზოგადოებრივი კრიზისიდან წარმოშობილ) პრობლემებზე „რეაგირებას“, საკუთარი პრობლემის დავიწყებას (შეადარე უკუქცევა ანომიის თეორიაში).

11.4. მსუბუქიდან ძლიერ ნარკოტიკზე გადასვლა

Stepping-Stone-Theorie – „დამხმარე საშუალებით მაღლა ასვლის“ ანუ მსუბუქიდან ძლიერ ნარკოტიკზე გადასვლის თეორიის მიხედვით, „მსუბუქი“ სახის (მარიხუანა,

---

[663]იგივე, გვ. 54.

ჰაშიში) ნარკოტიკული საშუალებების მიღება იწვევს მოგვიანებით „ძლიერ“ (ჰეროინი, კოკაინი) ნარკოტიკებზე გადასვლას – ე.წ. „მარიხუანა-ჰეროინის-ავტომატურობას“.[664] გერმანიაში ჩატარებულმა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა (გამოკითხვამ) აჩვენა, რომ ჰეროინის მომხმარებელთა დიდმა ნაწილმა (ერთი კვლევის თანახმად 90%-მა) ნარკოტიკების მოხმარების კარიერა სწორედ მარიხუანის მოხმარებით დაიწყო.[665]

მარიხუანის ხშირ მოხმარებელს: 1. ძლიერი ნარკოტიკული ნივთიერებისადმი აღარ გააჩნია ფსიქოლოგიური ბარიერი, შიში, რომელიც შესაძლებელია გააჩნდეს ჰეროინის პირველადი მოხმარებისას ისეთ ადამიანს, რომელიც მანამდე მარიხუანას არ ეწეოდა, და 2. მარიხუანის მუდმივ მომხმარებელს, ჩვეულებრივი არამომხმარებლისაგან განსხვავებით, უფრო არ გაუჭირდება ჰეროინის შავ ბაზარზე შოვნა, ვინაიდან იგი უკვე იცნობს ნარკოტიკული ნივთიერებების გამსაღებლებს, რომელთა ერთი ნაწილი შესაძლებელია მარიხუანასთან ერთად ჰეროინსაც ყიდიდეს.[666]

გარდა მარიხუანისა, ლეგალური გამაბრუებელი საშუალებების (ნიკოტინი, მაღალპროცენტიანი ალკოჰოლი) სისტემატიური მიღება,[667] მის მომხმარებელს აძლევს ბიძგს (სტიმულირებას), გასინჯოს „ძლიერი“ (ჰეროინი, კოკაინი) ნარკოტიკული საშუალებები.[668] დროთა განმავლობაში ნარკოტიკული ნივთიერება „წყალდება“ და აუცილებელია დოზების გაზრდა, ან სახეობის შეცვა, ვინაიდან პირველადი დოზით პირი უკვე ვეღარ აღწევს სასურველ შედეგს.[669]

11.5. ნარკოტიკული დანაშაულობის საკანონმდებლო რეგულირება

ნარკოტიკული დანაშაულობა საქართველოში რეგულირდება როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ნორმებით. შიდა საკანონმდებლო რეგულირება ხდება ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის ნორმებით.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით შეძენა ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ან/და ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე, იწვევს ფულად ჯარიმას 500 ლარის ოდენობით.[670]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის

---

[664]Schwind, H-D., 2008. S. 564.

[665]Kreuzer, A. u.a., 1981. S. 171; Bock, M., 1998. S. 702.

[666]Schwind, H-D., 2008. S. 565.

[667]ქართველი ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პრობლემის სათავე შესაძლებელია მათ მიერ მაღალპროცენტიანი (ღვინო, არაყი, კონიაკი, ვისკი) ალკოჰოლური სასმელების სისტემატიურ მიღებასთან იყოს დაკავშირებული, რაც თავის მხრივ ქართული სუფრის და ღვინის ტრადიციიდან მომდინარეობს. გაბიანის და ღვინეფაძის მიერ 90-იანი წლების ბოლოს ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხულ 3 461 სკოლის მოსწავლე ვაჟების 79 და გოგონების 65 პროცენტი სვამს სპირტიან სასმელებს. გაბიანი, ა./ღვინეფაძე, ლ., 2000ბ. გვ. 78.

[668]Erhardt, E., 1991. S. 11.

[669]გიორგიძე, ალ., 2014. გვ. 110.

[670]ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პატიმრობა გაუქმებულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 22 დეკემბრის 1/16770 განჩინებით.

მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე თავი არეგულირებს ნარკოტიკულ დანაშაულს. კანონმდებლის შეხედულებით ნარკოტიკული დანაშაული მიმართულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების და ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების წინააღმდეგ, ამიტომ 33-ე თავი მოქცეულია მეცხრე კარში (საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ). თუმცა, ნარკოტიკული დანაშაული არა მხოლოდ საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი მიზეზი) მიმართული ქმედებაა, არამედ, იგი მიმართულია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგაც.

სსკ 33-ე თავი შედგება 15 მუხლისგან (სსკ 260-274-ე მუხლები). კანონმდებელის მიხედვით, ნარკოტიკული საშუალებების ცნებაში იგულისხმება „სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის ნივთიერება, პრეპარატი, მცენარე, რომლებიც გაეროს კონვენციის დებულებათა შესაბამისად შეტანილია საქართველოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებათა ჩამონათვალში.“[671]

პრეკურსორი არის ნივთიერება, რომელიც გამოიყენება სპეციალურ კონრტოლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპიული ნივთიერების საწარმოებლად, დასამზადებლად, გადასამუშავებლად და გაეროს კონვენციების დებულებათა შესაბამისად შეტანილია სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში.[672]

„ნარკოტიკული საშუალების ანალოგიაში იგულისხმება საქართველოში ბრუნვისათვის აკრძალული სინთეტიკური ან ბუნებრივი წარმოშობის საშუალებები ან ნივთიერებები, რომლებიც არ არიან შეტანილი კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების სიაში, მაგრამ მათი ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედება მსგავსია კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ჩამონათვალში შეტანილი ნარკოტიკული საშუალების ორგანიზმზე ფსიქოაქტიური მოქმედებისა.“[673]

ფსიქოტროპიული, ფსიქოაქტიური – ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და „სულის მიმართულებას“ გულისხმობს. ფსიქოტროპიულად ითვლება ყველა ის წამალი თუ ნივთიერება, რომელიც უმეტესწილად ზეგავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე და ცვლის ადამიანის განწყობილებას.[674]

სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულად ცნობს ნარკოტიკულ ნივთიერებათა, მათ ანალოგიათა და პრეკურსორთა უკანონო დამზადებას, უკანონო წარმოებას, უკანონო შეძენას, უკანონო შენახვას, უკანონო გადაზიდვას, უკანონო გადაგზავნას და უკანონო გასაღებას და ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჯარიმიდან უვადო თავისუფლების აღკვეთამდე.

---

[671]ლეკვეიშვილი, მ., და ავტ. კოლ., 2008. გვ. 645.
[672]იქვე.
[673]იგივე, გვ. 646.
[674]იგივე, გვ. 662.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2012 წლის 22 მაისს მიღებულ იქნა კანონი „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპიული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, რომელიც შეიცავს საქართველოში კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების ცნებას და ჩამონათვალს.

აღსანიშნავია, ასევე ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის საერთაშორისო ნორმები: გაეროს 1961 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებების შესახებ“; გაეროს 1971 წლის კონვენცია „ფსიქოტროპიული ნივთიერების შესახებ“; გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპიული ნივთიერების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელსაც დართული აქვს I და II ცხრილი, სადაც ჩამოთვლილია ის ნივთიერებები, რომლებიც ხშირად გამოიყენება ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპიული ნივთიერების დასამზადებლად და რომელზეც განსაკუთრებული კონტროლია დაწესებული.[675]

11.6. ნარკოტიკული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები

11.6.1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლო 2007, 2010 და 2015 წლების სტატისტიკური მონაცემები ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებაში შემდეგია:

დანაშაულის სახეობა	**2007 წელი**		**2010 წელი**		**2015 წელი**	
	სულ რეგისტ.	გახსნილი / %	სულ რეგისტ.	გახსნილი / %	სულ რეგისტ.	გახსნილი / %
ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვა	8 493	7453/87,8%	5 465	5098/93,3%	5126	4816/ 94%
<u>მათ შორის:</u> *მძიმე*	1 970	1712/86,9%	2 316	2201/95%	2424	2149/ 88%
ნარკოტიკების კონტრაბანდა	71	61 /85,9%	116	108/95%	272	236/ 87%
ნარკოტიკების განმეორებით მოხმარება / სსკ 273					2462	2407/ 97%
ნარკოტიკების რეალიზაცია / სსკ 260	151	106 /70,2%	167	143/86%	2112	1907/ 90%
ნარკოტიკების შემცვ. მცენარ. უკან. დათესვა	79	71 /89,9%	121	117/97%	155	152/ 98%
და სხვა	6 222 / 73,2%		2 745/ 50%		84/ 50%	

[675]იგივე, გვ. 642.

11.6.2. უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები

უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები ნარკოტიკული დანაშაული-სათვის მსჯავრდებულთა რაოდენობის მიხედვით 2010 და 2015 წლებში:

	2010 წელი				2015 წელი			
დანაშაულის სახეობა	**მსჯ. რაოდ.**	**თავის. აღკვ.**	**პირობ. მსჯავ.**	**ჯარიმა**	**მსჯ. რაოდ.**	**თავის. აღკ.**	**პირობ. მსჯავ.**	**ჯარიმა**
ნარკოტ. უკანონო დამზ., წარმ.,შეძ., შენახ., გადაზ., გადაგზ. ან გასაღ.	2 373	78,1%	21,7%	0,1%	1 618	48,1%	46,2%	4,6%
საქ.-ში ნარკოტ. უკანონო შემოტ., გადატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა	120	98,3%	0,8%	0,8%	120	0,8%	7,5%	27,5%
ნარკოტ. საშუალებ. მოხმარება	2 517	34,7%	63,1%	21,1%	2 191	4,6%	40,1%	30,5%
სხვა ნარკოტიკული დანაშაული	118	48,3%	51,7%	-	181	0,4%	51,4%	24,9%

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის მიხედვით მომხმარებლად დაფიქსირდა: 2007 წელს – 5 099 პირი, 2008 წელს – 4 678 პირი, ხოლო 2015 წელს – 6 874 პირი.

11.6.3.სტატისტიკური მონაცემების ანალიზი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2008 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქვეყანაში ნარკოტიკულ დანაშაულთა საერთო რიცხვმა 206 ერთეულით იმატა და 8 699 შემთხვევა შეადგინა. ამ მონაცემებმა 2010 წელს წინა წლებთან შედარებით თვალსაჩინოდ იკლო. ნარკოტიკული დანაშაულის კლება აღინიშნება ასევე 2015 წელს. ბოლო წლების ნარკოტიკულ დანაშაულთა 95% გახსნილ იქნა შსს-ს მიერ. იმატა „ნარკოტიკის კონტრაბანდამ“, კერძოდ, 2008 წელს ნარკოტიკული საშუალების კონტრაბანდის 102 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც 43%-ით მეტია 2007 წელთან შედარებით. 2010 წელსაც მცირეოდენი მატება აღინიშნა „ნარკოტიკის კონტრაბანდის“ – 116 შემთხვევა.

2015 წელს საგრძნობლად იმატა „ნარკოტიკის კონტრაბანდამ“ და 272 ერთეული შეადგინა.

ნარკოტიკული ნივთიერებების კონტრაბანდის სტატისტიკური მონაცემების გაზრდის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მარიხუანის და ჰეროინის ძირითად მწარმოებელ ქვეყნებს შორის საქართველოს უახლესი, თუ შორეული მეზობლებიც არიან (ავღანეთი, თურქეთი, ირანი, პაკისტანი)[676], რომლებიც საქართველოს სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერების დასავლეთ ევროპისა ან რუსეთისაკენ სატრანზიტო ქვეყანად იყენებენ.

[676]Schwind, H-D., 2008. S. 557.

2007 წელთან შედარებით, 2008 წელს საგრძნობლად იკლო (47,7%-ით) ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციის ფაქტებმა, რაც ქვეყნის სისხლის სამართლის მკაცრი პოლიტიკის (მაღალი სასჯელის ზომა, ნულოვანი ტოლერანტობა ნარკოტიკების გამსაღებლების მიმართ) შედეგად უნდა ჩაითვალოს.

2010 წელს წინა წლებთან შედარებით ისევ გაიზარდა ნარკოტიკული ნივთიერებების რეალიზაციის ფაქტები, ხოლო 2015 წელს 2112 რეალიზაციის შემთხვევა დაფიქსირდა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ შსს-ს სტატისტიკური მონაცემები ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით არ იყო 2007, 2008 წლებში სრულყოფილი. 2007 და 2008 წელს რეგისტრირებულ ნარკოტიკულ დანაშაულთა მხოლოდ 30 და 2010 წელს 50 პროცენტი იყო ცალკეული დანაშაულის სახეების მიხედვით გამოყოფილი, ნარკოტიკული დანაშაულის სახეების დარჩენილ 70 და 50 პროცენტზე ინფორმაცია შსს-ს ვებ-გვერდზე არ მოიპოვებოდა. 2015 წლის მონაცემებით ყველა ნარკოტიკული ხასიათის დანაშაულზეა შესაძლებელი ინფორმაციის მოპოვება, რაც მისასალმებელია.

მნიშვნელოვანია, რომ შსს-ს სტატისტიკურ ბაზაში 2015 წელს დაფიქსირდა ნარკოტიკული ნივთიერების განმეორებით მოხმარების (სსკ 273-ე მუხლი) 2 462 ფაქტი, ხოლო იგივე დანაშაულზე საქართველოს საერთო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემებით სასამართლოების მიერ განხილულ იქნა 2 191 ს/ს საქმე. საინტერესოა რა ბედი ეწია 271 ნარკოტიკული მოხმარების საქმეს.

11.7. ახალი ნარკოპოლიტიკა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებით, საქმეში ბექა წიქარიშვილი საქართველოს წინააღმდეგ, სავსებით შეცვალა ქვეყნის ნარკოპოლიტიკა. აღნიშნული გადაწყვეტილებით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარებისთვის შეძენისა და შენახვისთვის სსკ 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთა არაკონსტიტუციურად იქნა გამოცხადებული, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტს. საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საერთო სასამართლოების, კერძოდ უზენაესი სასამართლოს[677] მიერ შეფასებულ იქნა ნარკო მომხმარებლების მიმართ თავისუფლების აღკვეთის და სხვა ალტერნატიული სასჯელის გამოუყენებლობად, ვინაიდან სსკ 260-ე მუხლი არ ითვალისწინებდა სხვა სასჯელის სახეს, გარდა თავისუფლების აღკვეთისა.[678]

შესაბამისად, უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 24 მარტის №392აპ-15 საქმეში მსჯავრდებული დატოვა სასჯელის დაუნიშნავად, ვინაიდან სსკ 260-ე მუხლი სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებდა. საერთო სასამართლოების ამგვარი პრაქტიკა მიუღებელია სისხლის სამართლებრივად (სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე)[679].უზენაესი სასამართლოს ამგვარი ქმედება განპირობებული იყო საქართველოს პარლამენტის უმოქმედობით, რომელმაც ჯერ კიდევ (2017 წლის პირველი მატისთვის) ვერ შეცვალა სსკ 260-ე მუხლი, რაც კრიმინოლოგიური (დანაშაულთან ბრძოლის) თვალსაზრისით გაუმართლებელი და მიუღებელია.

---

[677]საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 24 მარტის განაჩენი, საქმე №392აპ-15.
[678]ვარძელაშვილი, ი., 2016. გვ. 200-202.
[679]იგივე, გვ. 202.

ცალსახად, უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 24 მარტის №392ა3-15 განჩინებით და საქართველოს პარლამენტმა საკუთარი უმოქმედობით ხელი შეუწყეს 70 გრამამდე გამომშრალი და 100 გრამამდე[680] ნედლი მარიხუანის ფლობისთვის დაუსჯელობის სინდრომის ჩამოყალიბებას.

საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებული იყო მარიხუანის პირადი მოხმარებისათვის ფლობის სისხლისსამართლებრივად დასჯადობის საკითხის განხილვისას ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინა ორი მნიშვნელოვანი ღირებულება: ერთეული პირების და საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვა და მომხმარებლის პირადი თავისუფლება.

საკონსტიტუციო სასამართლო არ უარყოფს მარიხუანის მოხმარების უარყოფით გავლენას მომხმარებელზე. კერძოდ, ფიზიკური კოორდინაციის დაკარგვა, მშობიარობისა და პოსტმშობიარობის სერიოზული გართულებები, მეხსიერებისა და გონებრივი ჯანმრთელობის პრობლემები, ფსიქიატრიული გვერდითი მოვლენები, როგორიც არის ფსიქოზი, შიზოფრენია, პარანოია, ჰალუცინაციები, დეპრესია, აღგზნებადობა, იმპოტენცია, შობადობის რისკის ქვეშ დაყენება, ფსიქომოტორული აქტივობის დაქვეითება, ყურადღების კონცენტრაციის გაუარესება, დაშორების მანძილის შეფასების უნარის დარღვევა, ეიფორია, კეთილდღეობის შეგრძნება, უდარდელი მდგომარეობა, განგაში, წუხილის და ხალისის მონაცვლეობის მდგომარეობა, დროის, სივრცის აღქმის შეცვლა, ტკივილის ბარიერის დაქვეითება, ცვლილებები სექსუალურ-ემოციურ სფეროში.[681] გერმანიის მთავრობაც მიუთითებს 2002 წლის ანგარიშში მარიხუანის მოხმარების საშიშროებაზე და, რომ არ არსებობს მეცნიერული დასკვნები, რომელიც მარიხუანას უპრობლემო ნარკოტიკის სტატუსს მიანიჭებს.[682]

საკონსტიტუციო სასამართლომ ზემოაღნიშნული უარყოფითი ფაქტორების და მათგან გამომდინარე საფრთხის მიუხედავად, მაინც ჩათვალა, რომ მარიხუანის მოხმარების დროს პირადი თავისუფლება უფრო მაღლა დგას, ვიდრე საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, ვინაიდან მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა პირდაპირი კავშირი ნარკომოხმარებასა და სხვა დანაშაულს შორის.[683] აღნიშნული გადაწყვეტილება მეტად პრობლემურია, ვინაიდან ისეთი მდგომარება როგორიცაა ფსიქოზი, შიზოფრენია, პარანოია, ჰალუცინაციები, დეპრესია, აღგზნებადობა პირდაპირ შეიძლება საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელის შემშლელ ფაქტორებად იქცეს.[684]

ის, რომ არ არსებობს კვლევები, რომლებიც დაადასტურებენ ნარკომომხმარებლის პირდაპირ კავშირს დანაშაულთან, არ ნიშნავს, რომ ეს კავშირი არ არსებობს. კვლევის პირველი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ნარკოდამოკიდებული

---

[680]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლს 2017 წლის 15 თებერვლის №855 განჩინება.

[681]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 77.

[682]გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის №2 BvL 8/02 გადაწყვეტილება.

[683]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 86.

[684]გიორგიძე, ალ., 2014. გვ. 110; Göppinger, H., 2008. S. 105,106.

პირების ჯგუფი შეკრულია და ისინი საკუთარი ჯგუფის უკანონო საქმიანობაზე ინ-ფორმაციას არ მიაწვდიან მკვლევარებს. მეორე არის ის, რომ თუ ნარკო-დამოკიდებული ჩაიდენს ქურდობას, არსად არ ჩანს, რომ ის ნარკოდამოკიდებულია. ერთი რამ ფაქტია, გერმანიაში ყოველ მესამე მსჯავრდებულს ციხეში შესვლისას (ან სასჯელის მოხდის პერიოდში) ნარკოპრობლემა აღენიშნება.[685] საქართველოს ციხეში ასეთი პატიმრების რაოდენობა (არაოფიციალურად) 30 პროცენტია.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში მიიჩნევა, რომ მარიხუანის მოხმარება და დანა-შაული სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული, მათ შორის ნარკოტიკის ფასი, მომხმარებლის ფინანსური მდგომარეობა, სოციალური ურთიერთობები სხვა მომხმარებლებთან და ა.შ. ერთი რამ უდავოა, ვინც ნარკოტიკს მოიხმარს მას ბევრი ფული სჭირდება საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.[686]

კანადელმა მეცნიერებმა 50 000 მძიმე ხასიათის ავტოსაგზაო შემთხვევა გაანალიზეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ მარიხუანას მომხმარებლები ორჯერ უფრო მეტ მძიმე ავტოავარიას ახდენენ ვიდრე არამომხმარებლები. ერთი მარ-იხუანის სიგარეტის მოხმარება ავტომობილის გამოყენებამდე სამი საათით ადრეც კი, მძიმე ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი ხდება, ვინაიდან მარიხუანა პირდაპირ უშლის ხელს კოგნიტურ და მოტორულ უნარებს, რაც შეუძლებელს ხდის ავტომო-ბილის მართვას.[687]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 70 გრამი მარიხუანის ფლობა მიიჩნია პირადი მოხმარებისთვის და ვერ დაინახა მისი გასაღების საფრთხე. გარდა ამისა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ თავი აარიდა ამ სა-კითხზე მსჯელობას - „თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეალიზაციის მიზნებით მარიხუანის შეძენა/შენახვისთვის პასუხისმგებლობის კონსტიტუციურო-ბაზე მსჯელობა სცდება მოცემული დავის ფარგლებს“. არადა, ეს იყო მნიშვნელო-ვანი, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოს არა მხოლოდ მოსარჩელის პირადი თავისუფლების უფლებაზე უნდა ემსჯელა, მოიხმაროს მარიხუანა და შეედარებინა თვითმკვლელობის მცდელობის დასჯადობასთან,[688] არამედ, ასევე უნდა ემსჯელა სხვის უფლებაზე დაცული იყოს ნარკოტიკული საშუალებების გავრცელებისაგან (კონსტიტუციის 39-ე (გაეროს ბავშვთა კონვენციის მე-6 მუხლთან კავშირში – ჯან-საღი განვითარება), 34[1], 37-ე, მე-16-ე მუხლები) და უნდა ემსჯელა, ხომ არ გამ-ოიწვევს მარიხუანის შეძენა/ მოხმარებისათვის თავისუფლების აღკვეთის გაუქმება სამართლებრივი წესრიგიდან ისეთ გასვლას, რაც საზოგადოების უსაფრთხოებას შეუქმნის საფრთხეს.[689] სამწუხაროა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასა-მართლო ერთი წინადადებითაც კი არ შეეხო მოზარდი თაობის უსაფრთხო განვი-თარების საკითხს და მათ დაცვას მარიხუანის მოხმარება, გასაღებისაგან.

საკითხავია, რამდენად არის 70 გრამი მარიხუანის ფლობა გავრცელების საფ-რთხის მატარებელი. გერმანიაში მიჩნეულია, რომ „საფრთხის შექმნას მაშინ აქვს

---

[685]Neubacher, F., 2014. S. 161; Meier, J./Bögelein, N., 2016. S. 247.

[686]იქვე.

[687]www.focus.de (2017 წლის 2 თებერვლის მდგომარეობით)

[688]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 82.

[689]შეად.: ზოიძე, ბ., 2007. გვ. 45, 46.

ადგილი, როცა ზიანის დადგომა უფრო მეტადაა სავარაუდო, ვიდრე მისი არ-დადგომა".[690] საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირს ერთი მოხმარე-ბისთვის ერთ გრამამდე მარიხუანა სჭირდება, ანუ 100-ჯერ მარიხუანის მოხმარების ფლობა უნდა მივიჩნიოთ თუ არა პირად მოხმარებად. იმ სოციალური პირობების გათ-ვალისწინებით, რომელიც საქართველოშია სავსებით დიდია იმის ალბათობა, რომ 70 გრ. მარიხუანას ფლობდეს პირი, თავადაც მოიხმარდეს და ფინანსური მოგების მისაღებად ასაღებდეს კიდეც. კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში საუბარია, რომ სხვა ნარკოტიკული საშუალებისაგან განსხვავებით მარიხუანის მომხმარებელი ამავე დროს მის გასაღებაშიც აქტიურად არის ჩართული.[691] აქვე ისიც უნდა აღინ-იშნოს, რომ ქვეყანაში საკმაოდ დიდია მარიხუანის მომხმარებელთა რაოდენობა და საკმაოდ ნაკლებია მოსახლეობის სამართალდამცავ ორგანობთან თანამშრომლობის სურვილი. ეს ორი ფაქტორი კიდევ უფრო ზრდის მომხმარებლის მიერ გასაღების ალ-ბათობას, რაც აშკარად უქმნის (შეუქმნის) საფრთხეს საზოგადოებას. გერმანიის სა-კონსტიტუციო სასამართლო ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემად მომხმარებელთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დროს სწორედ მისი გასაღების რისკს მიიჩნევს, ვინაიდან დიდია კრიმინალური ორგანიზებული ჯგუფების ინტერესი ნარკოტიკის გასაღების მიმართ.[692] გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენა და შენახვა საფრთხეს უქმნის სხვის უფლებებს, ვინაიდან შესაძლებელია ნარკოტიკის არაკონტროლი-რებული გავრცელება მესამე პირზე.[693]

პრობლემას ისიც ქმნის, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებაზე მოთხოვნა არის ნარკო-ვაჭრობის ამოსავალი წერტილი. თუ დიდია მოთხოვნა მარიხუანაზე, გაიზრდება ნარკობაზარი, რაც თავისთავად ზრდის ნარკოტიკის არაკონტროლირებული გავრცელების ალბათობას, უპირველეს ყოვლისა მოზარდი თაობის ხელში მოხ-ვედრის რისკს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებით, უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 24 მარტის №392ა3-15 განჩინებით და საქართველოს პარლამენტმა საკუთარი უმოქმედობით შექმნეს მარიხუანის შეძენა/შენახვისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ვაკუუმი. მარიხუანის შეძენა/შენახვისათვის პირი დარჩა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე.

მარიხუანის პირადი მოხმარებისათვის ფლობის სისხლისსამართლებრივად დას-ჯადობა, არსებობს ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა - გერმანია ან/და ჰოლან-დია.[694] ამ ქვეყნების სამართალდამცავი სტრუქტურები მცირე ოდენობით მარ-იხუანის ფლობისთვის არ იწყებენ სისხლისსამართლებრივ დევნას, თუმცა მათ ამის უფლება აქვთ.

---

[690]ცქიტიშვილი, თ., 2015. გვ. 94.
[691] Meier, J./Bögelein, N., 2016. S. 246.
[692]გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 1990 წლის გადაწყვეტილება BVerGE 90, 145.
[693]იქვე.
[694]გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 29 ივნისის №2 BvL 8/02გადაწყვეტილება.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ისეთი პატარა ქვეყანის ეკონომიური[695] და დემოგრაფიული განვითარებისათვის როგორიც საქართველოა, ხელისუფლებას ნარკომანობის წინააღმდეგ ბრძოლა და ნარკომანისადმი საზოგადოების ტოლერანტობა ესაჭიროება. ნარკომანობის წინააღმდეგ ბრძოლაში იგულისხმება, ნარკოტიკების გამსაღებლებისადმი ფართო მასშტაბიანი რეპრესიული ხასიათის ღონისძიებები, ხოლო საზოგადოების ტოლერანტობაში - ნარკოტიკების მომხმარებელთა „ლატენტურობიდან" გამოსვლა, მათი რეგისტრაცია და მკურნალობის ინდივიდუალური ღონისძიებების დაგეგმვა.

რა ვიცით ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელთა საერთო რაოდენობის შესახებ?

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის საფუძველზე 2015 წელს დაჯარიმებულ იქნა დაახლოებით 6874 ადამიანი.

2. ნარკოლოგიური ინსტიტუტის ცენტრალურ საინფორმაციო ბაზაში 2004 წლის ბოლოს რეგისტრირებული იყო 24 ათასი ადამიანი.

3. არაოფიციალური მონაცემებით ქვეყანაში 250- 300 ათასი ნარკოტიკის მომხმარებელია.

ოფიციალური მონაცემი ნარკოტიკების მომხმარებელთა, თუ მასზედ დამოკიდებული პირების შესახებ არ არსებობს. ფენომენი, რომელიც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს თითქმის არ არსებობდა,[696] რაც ახლანდელი ახალგაზრდობისათვის ნარკოტიკული საშუალებების ხელმისაწვდომობაზე ან მათ თავისუფალი (დასავლური) ცხოვრების წესზე შეიძლება მიუთითებდეს, უფრო მოზარდებისთვის არის მიმზიდველი.[697] საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებამ საშიშ ზღვარს მიაღწია[698] და საფრთხეს უქმნის ქვეყნის დემოგრაფიულ ფონდს, მის ეკონომიურ განვითარებას და საზოგადოების და სახელმწიფო ხელისუფლების დაუყოვნებლივ რეაგირებას საჭიროებს.

---

[695]ნარკოტიკების გასაღება ყოველთვის ხორციელდება კარგად ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელიც ნარკობიზნესიდან შემოსულ ფულს ათეთრებს და შემდგომ ქვეყნის ლეგალურ ეკონომიკაში აბანდებს. აღნიშნული კი ძირს უთხრის ქვეყნის ეკონომიკას.

[696]გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ჩატარებულმა დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა გამოკითხვამ დადგინდა, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 2,5%-ს ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება მოხმარებული. გაბიანი, ა./ღვინეფაძე, ლ., 2000ა. გვ. 46.

[697]ღლონტი, გ. (რედ.), 2008, გვ. 282.

[698]გაბიანი, ა./ღვინეფაძე, ლ., 2000ა. გვ. 48.

თავი მეთორმეტე
დანაშაულის პრევენცია

12.1. დანაშაულის პრევენციის ცნება

დანაშაული, როგორც კულტურული, სოციალური და საზოგადოებრივი თანაცხოვრების ხელის შემშლელი მოვლენა, ხშირად ექცევა სახელმწიფოს, საზოგადოებისა და მასმედიის ყურადღების ცენტრში. ამის მიზეზი დანაშაულიდან გამოწვეული მოსახლეობის დაუცველობის გრძნობიდან წარმოქმნილი ინტერესია, რომელიც (მძიმე) დანაშაულის მაჩვენებლის მომატებასთან ერთად, თვითონაც (მოსახლეობაში დანაშაულისაგან დაუცველობის გრძნობა) მატულობს.[699] დანაშაულის პრევენციის მნიშვნელობა სწორედ ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარეობს. დანაშაულის პრევენციის იდეა, დანაშაულის თავიდან აცილება მოხდეს დანაშაულის ჩადენამდე და არა ჩადენის შემდეგ სასჯელის გამოყენებით და, რომ თუ დანაშაულის თავიდან აცილება მოხდება დანაშაულის ჩადენამდე, გადარჩება დანაშაულის პოტენციური მსხვერპლი, როგორც სახელმწიფო ასევე საზოგადოებრივ დონეზე, მისაღები და იმედის მომცემია.

დანაშაულის პრევენცია კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში გამოიყენება ასევე „დანაშაულის თავიდან აცილების“,[700] „დანაშაულის პროფილაქტიკის“[701] ტერმინებთან ერთად. ჯერ კიდევ მე-18-ე საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნა ჩეზარე ბეკარიამ თავის ნაშრომში „დანაშაულისა და სასჯელის შესახებ“, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა დანაშაულის პრევენცია (პროფილაქტიკა) იქნებოდა.[702]

დანაშაულის პრევენცია, სავარაუდოდ, ანგლო-ამერიკული crime prevention - ტერმინიდან მომდინარეობს, რომელიც გაეროს (და არა მარტო) მიერ ხშირად გამოიყენება დანაშაულის კონტროლის (crime control) კონტექსტში. თუმცა ეს ტერმინები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.[703]

დანაშაულის ანუ სისხლისსამართლებრივ სოციალურ კონტროლში იგულისხმება სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებები, მათი სტრატეგია და სანქცია, რომლითაც ადამიანების სისხლის სამართლის ნორმით დაცულ კომფორმულ ქცევას უნდა შეეწყოს ხელი.[704]

დანაშაულის პრევენცია არის სახელმწიფო და კერძო სექტორების მონდომება დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად (შესამცირებლად) და რეპრესიული ღონისძიებებით დანაშაულის განმეორებით ჩადენის თავიდან აცილება.[705]

სისხლისსამართლებრივი კონტროლის და დანაშაულის პრევენციის ცნებებს შორის განსხვავება სხვადასხვა აქცენტებში მდგომარეობს. თუ სისხლისსამართლებრივ სოციალურ კონტროლში სახელმწიფო იუსტიციის სისტემაზეა აქცენტი

---

[699]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 12.
[700]წულაია, ზ., 2005. გვ. 148.
[701]ღლონტი, გ. (რედ.), 2008, გვ. 332.
[702]იქვე.
[703]იგივე, გვ. 14.
[704]Kaiser, G., 1996. S. 219.
[705]Kube, E., 1987. S. 7ff.

გაკეთებული, დანაშაულის პრევენცია დანაშაულის ჩადენის წინა ეტაპზე და არა სისხლისსამართლებრივ ღონისძიებებზე აკეთებს აქცენტირებას.[706]

დანაშაულის პრევენცია ძირითადად მიმართულია ისეთი ღონისძიებებისაკენ, რომელთა საშუალებითაც სანამ დანაშაულის რეალიზაცია მოხდება, გამოვლინდეს და შესწავლილ იქნეს დანაშაულის ჩადენის რისკის ფაქტორები მათი პროფილაქტიკის მიზნით, გარდა ამისა მოხდეს ცხოვრების სხვადასხვა სფეროს და საზოგადოებრივი ურთიერთობების იმგვარი მოწყობა, რომ დანაშაულის ჩადენის ხელისშემწყობი ფაქტორები სრულიად (შეძლებისდაგვარად) გამოირიცხოს.[707]

12.2. დანაშაულის პრევენციის სახეები

დანაშაულის პრევენცია სამი დონისაა: პირველი, მეორე და მესამე დონის პრევენცია. მათ შორის განსხვავება დამოკიდებულია დანაშაულის საფრთხეზე.[708] თითოეული დანაშაულის პრევენციის სახეს გააჩნია საკუთარი ღონისძიებები და პირთა ჯგუფი, რომელზეც არის იგი ორიენტირებული.

12.2.1. პირველი დონის პრევენცია

დანაშაულის პირველი დონის პრევენცია საყოველთაოა და მიმართულია ზოგადად სოციალურ სტრუქტურებზე. მისი სურვილია დანაშაულის „ფესვებში" აღმოფხვრა, რაც გულისხმობს: 1. მოსახლეობაში სამართლისა და საზოგადოებრივი ღირებულებების მიმართ პატივისცემის გრძნობის ამაღლებას; 2. დანაშაულის ხელის შემწყობი ფაქტორების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარებას, მაგ. მასობრივი უმუშევრობის აღმოფხვრა, უსახლკაროთა პრობლემის გადაჭრა, სიღარიბის დაძლევა და ა.შ.

დანაშაულის პირველადი პრევენციის მიზანია სასკოლო, საოჯახო, სოციალური და მასმედიის პოლიტიკის ისე წარმართვა, რომ საოჯახო და სასკოლო აღზრდით, სამუშაო ადგილების შექმნით, საცხოვრებელი ადგილების მოწყობით და სოციალური დაცვის პროგრამებით, თავიდან იქნეს აცილებული დანაშაული.

დანაშაულის ხელის შემწყობ მიზეზებთან მიმართებაში პირველი დონის პრევენცია მეტად სუსტია. თუ მედიცინაში ცნობილია, რომ ჰიგიენის ნორმების დარღვევა გარკვეულ ავადმყოფობებს იწვევს და შესაბამისად, ხდება ჰიგიენის დაცვის ღონისძიებების გატარება, რატომ არ შეიძლება, რომ კრიმინოლოგია შეჯერდეს დანაშაულის გამომწვევ ზოგად მიზეზებზე (მაგ. უმუშევრობა, სიღარიბე), გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები და მოხდეს მისი თავიდან აცილება.

რა თქმა უნდა მედიცინის და კრიმინოლოგიის ამგვარი შედარება მეტად რთულია, ვინაიდან დანაშაულის ჩადენა ქალაქის მშენებლობასთან, ქვეყნის სამუშაო ბაზართან, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებასთან, სოციალურ დახმარებასთან, ქვეყნის საოჯახო პოლიტიკასთან არის მჭიდრო კავშირში, მაგრამ თუ კრიმინოლოგიური კვლევების შედეგების გათვალისწინება მოხდება სახელმწიფო ორგენ-

---

[706]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 15.

[707]იქვე.

[708]იგივე, გვ. 16.

ოების მხრიდან, შესაძლებელია დანაშაულის გამომწვევ ზოგიერთ მიზეზზე შეჯერება. მაგალითად: კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში[709] მიღებულია შეხედულება იმის თაობაზე, რომ ქალაქის არქიტექტურულ მოწყობას მნიშვნელოვნად შეუძლია ხელი შეუწყოს დანაშაულის თავიდან აცილებას და, რომ ისეთი ადგილები, სადაც ბეტონის მაღალსართულიანი სახლებია, ქუჩები არ არის განათებული, სახლების (კორპუსების) შესასვლელები ბნელი და მოუწესრიგებელია (არა აქვს კარები, ყრია ნაგავი) ადამიანებში დაუცველობის გრძნობას იწვევს, რაც ხელს უწყობს დანაშაულის ჩადენას (Broken Windows თეორია). თავის მხრივ ჩაბნელებული და დაბინძურებული ეზოები სახელმწიფო კონტროლის შესუსტებაზე მეტყველებს, რაც დამნაშავეს აგულიანებს და დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგებს.

დანაშაულის პირველი დონის პრევენციის საფეხურზე მნიშვნელოვანია პოლიტიკოსებისა და საზოგადოების წევრების ინფორმირებულობა, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისა და დანაშაულის ხელისშემწყობი მიზეზების, სახელმწიფო რაციონალური კრიმინალური პოლიტიკური კურსის გატარების კუთხით.

12.2.2.2. მეორე დონის პრევენცია

დანაშაულის მეორე დონის პრევენცია მიმართულია დამნაშავე პირებზე და მსხვერპლზე და სურს იმ შესაძლო სიტუაციისათვის ხელის შეშლა, როდესაც პირი დანაშაულს ჩაიდენს და/ან ვინმე დანაშაულის მსხვერპლი გახდება.[710]

დანაშაულის მეორე დონის პრევენცია მედიცინაში უკვე არსებულ „პრევენციას“ ჰგავს. მაგალითად, მედიცინაში წინასწარ დადგენილია ადამიანთა ის ჯგუფები, რომელთაც დიდი ალბათობით შეიძლება ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნათ (სიგარეტის მწეველები, ალკოჰოლის ხშირი მომხმარებლები, ნარკომანები).

დანაშაულის მეორე დონის პრევენცია ერთი მხრივ მიმართულია დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის დაცვაზე, მაგალითად მათი საზოგადოებაში რეინტეგრაციის კუთხით, ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულის ჩასადენად მზადმყოფი პირების დაშინებაზე. დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა წინასწარ გატარებული ღონისძიებებით ან საერთოდ უნდა იქნეს გამორიცხული ან მაქსიმალურად უნდა მოხდეს მისი ჩადენისათვის ხელის შეშლა.[711] დანაშაულის მეორე დონის პრევენციის დროს ადგილი აქვს პრაქტიკული ღონისძიებების გატარებას. მაგალითად: პოტენციური მსხვერპლი სწავლობს ყურადღებით ყოფნას, ძლიერდება სოციალური და პოლიციური კონტროლი, პრობლემური ადგილები აღიჭურვება ტექნიკური საშუალებებით (ვიდეოკონტროლი).[712]

პრობლემას წარმოადგენს დანაშაულის საფრთხის წინასწარი დადგენა. დანაშაულის ჩადენის ეფექტური საშუალება იქნებოდა მასობრივი კონტროლი და პირველადვე ჩადენილი დანაშაულის გამოაშკარავება და რეაგირება, თუმცა ეს ყოველივე ტოტალური სახელმწიფოს ნიშანია და აღარაფერი საერთო ექნებოდა ადამიანის უფლებების დაცვასთან.

---

[709]Schwind, H.-D., 2008. S. 344; Kaiser, G., 1996. S. 252-253; Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 18.
[710]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 19.
[711]Göppinger, H. 2008. S. 555.
[712]Kaiser, G., 1996. S. 252; Göppinger, H. 2008. S. 555.

დანაშაულის, რომელიც „ყველა საზოგადოებაში არსებობს“, სრულად აღმოფხვრა არც ტოტალურ სახელმწიფოს შეუძლია. ამიტომ, საკითხავია მხოლოდ, რამდენად უშლის ხელს დანაშაული ადამიანების თანაცხოვრებას?[713]

დანაშაულის საფრთხის წინასწარი დადგენა დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მათი განხორციელება ადამიანის უფლებების შელახვას იწვევს და კანონით აკრძალულია. მაგ. სახელმწიფოს და საზოგადოებას უფლება არა აქვს ჩაერიოს მშობლის მიერ ბავშვის აღზრდაში, მასში ჩარევა შესაძლებელია, თუ აღზრდა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს, რაც შეიძლება უკვე გვიანი იყოს, მისი გამოსწორებისათვის. ხშირ შემთხვევებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები დანაშაულის საფრთხის წინასწარი დადგენის სანაცვლოდ იძულებულნი არიან მოსახლეობისათვის ზოგადი ინფორმაციის მიწოდებას დასჯერდნენ.

ნაკლებად პრობლემატურია დანაშაულის ჩადენაში ხელის შეშლა და პოტენციური დამნაშავეების შეშინება. ამ მხრივ, აღსანიშნავია პოლიციის პრეზენტაბელურობა და ტექნიკური საშუალებებით (ვიდეოკამერა) დანაშაულის ჩადენაზე კონტროლი. ტექნიკური საშუალებებით დანაშაულის ჩადენაზე კონტროლი აშინებს როგორც პოტენციურ დამნაშავეს, ასევე ხელს უწყობს დანაშაულის სწრაფად გახსნას, რაც ასევე პრევენციულად მოქმედებს პოტენციურ დამნაშავეებზე.

დანაშაულის ჩადენაზე ხელის შეშლის ერთ-ერთი მეთოდი არის არაფორმალური (საზოგადოებრივი) სოციალური კონტროლის გაძლიერება. იგულისხმება ქვეყნის მოსახლეობის მოქალაქეობრივი ვალდებულებითი გრძნობის ამაღლება და უჩვეულო საქციელისა და ეჭვმიტანილ პირთა მიმართ შესაბამისი ღონისძიების გატარება[714] (მაგ. მოზარდის უზნეო საქციელზე რეაგირება, დანაშაულის შემთხვევაში პოლიციისთვის შეტყობინება).

დანაშაულის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია აგრეთვე დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის მოსალოდნელი დანაშაულის თაობაზე წინასწარი გაფრთხილება.[715] მაგ. პოტენციური მსხვერპლის ჯგუფებთან (მოხუცები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, არასრულწლოვნები) მუშაობა. ამგვარი გაფრთხილებებით ადამიანებს დანაშაულისადმი შიში უფრო უყალიბდებათ და ისინი ღამე გარეთ გამოსვლას, მარტო სიარულს და ა.შ. ერიდებიან, მაგრამ პოტენციური მსხვერპლის ინფორმირებულობამ დანაშაულის თავიდან არიდებას უნდა შეუწყოს ხელი. მოსალოდნელი დანაშაულის თაობაზე პოტენციური მსხვერპლის გაფრთხილებამ მისი სიფხიზლე უნდა გამოიწვიოს და არა დანაშაულისადმი შიში.

12.2.3. მესამე დონის პრევენცია

განსხვავებით დანაშაულის პირველი და მეორე დონის პრევენციისა, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენამდე ღონისძიებების გატარებას, მესამე დონის პრევენცია დანაშაულის ჩადენის შემდგომ პერიოდს ეხება. მისი მიზანია დამნაშავე პირის მიმართ ისეთი სახის ღონისძიებების გატარება, რომელიც 1. ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას, და 2. საზოგადოებას თავიდან ააცილებს განმეორებით დანაშაულის ჩადენას.[716] მესამე დონის პრევენციის მიხედვით, სისხლის სამართლის

---

[713]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 20.
[714]იგივე, გვ. 22.
[715]იქვე.
[716]Schwind, H.-D., 2008. S. 18.

კლასიკურ სასჯელთა (თავისუფლების აღკვეთა, ჯარიმა) გვერდით, გამოყენებული უნდა იქნას ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დამნაშავის რესოციალიზაციას, გამოსწორებას,[717] მაგ.: საზედამხედველოდ გადაცემა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ზიანის ანაზღაურება და/ან დაზარალებულთან შერიგება, აღმზრდელობითი ხასიათის თერაპია ნარკომანებისა და ლოთებისათვის და სხვა. სისხლისსამართლებრივი თვალთახედვით მესამე დონის პრევენცია ინდივიდუალური პრევენციაა, ვინაიდან იგი დამნაშავის მიმართ ინდივიდულური ღონისძიებების გატარებას გეგმავს,[718] თუმცა მაინც მნიშვნელოვანია მისი ინდივიდუალური პრევენციისაგან გამიჯვნა.[719]

12.3. სისხლის სამართლის და სასჯელის პრევენციის სახეები

ანსელმ ფოიერბახის მიერ შექმნილ იქნა გენერალური პრევენციის თეორია, რომელიც ფსიქოლოგიური იძულების სახელით არის მეცნიერებაში ცნობილი. სამი თაობის შემდეგ 1882 წელს ე.წ. „მაბურგის პროგრამაში“ ლისტი ამბობს, რომ სასჯელი პრევენციის რეპრესიული სახეა.[720] მე-19 საუკუნის ბოლოს სოციალურმა და ეკომონიურმა განვითარებამ საჭირო გახადა სახელმწიფოს მიერ ეკონომიური ინფრასტრუქტურის, ახალი საბაზრო ურთირთობების, სასკოლო და პროფესიული განათლების ორგანიზება და კოორდინირება.[721] სახელმწიფო მოგვევლინა დამგეგმავ, ორგანიზატორ და პრობლემების გადამჭრელ ორგანოდ. სწორედ, ამ პერიოდის სისხლისსამართლებრივმა აზროვნებამ გადაჭრით მიანდო სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი იძულებითი სახის ინსტრუმენტების გამოყენება.[722]

ცნობილია, რომ სისხლის სამართალი საზოგადოების „ეთიკის მინიმუმს“ უნდა შეესაბამებოდეს.[723] საკითხავია, რა როლი ენიჭება სასჯელს სისხლის სამართალში და რამდენად გამომდინარეობს იგი საზოგადოების ეთიკიდან?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. კანონმდებელი სასჯელის მიზნებს განსაზღვრავს „აბსოლიტური და პრევენციული თეორიების სინთეზირების გზით“.[724] აბსოლიტური (დასჯის) თეორიის მიხედვით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, პრევენციული თეორიის მიხედვით, სასჯელის მიზანია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება (გენერალური და სპეციალური პრევენცია) და დამნაშავის რესოციალიზაცია (სპეციალური პრევენცია).[725]

---

[717]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 23.
[718]Göppinger, H. 2008. S. 556.
[719]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 23.
[720]იგივე, გვ. 112.
[721]Albrecht, P.-A., 2005. S. 42.
[722]იქვე.
[723]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 24.
[724]ტურავა, მ., 2013. გვ. 354.
[725]იქვე.

12.3.1. გენერალური/ზოგადი პრევენცია

ზოგადად გენერალური პრევენციის მიზანია დანაშაულის თავიდან აცილება საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების და პოტენციური დამნაშავეების დაშინების გზით.[726]

12.3.1.1. პოზიტიური გენერალური პრევენცია

პოზიტიური გენერალური პრევენცია მიზნად ისახავს ქვეყნის მოსახლეობაში კონფორმული საქციელის გაძლიერებას. აღნიშნული გულისხმობს, რომ ნორმის დარღვევის შემთხვევაში სასჯელი გამოიყენება აბსტრაქტულად, ხოლო კონკრეტულად კი იგულისხმება დამნაშავე პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ჩადენილი დანაშაულის ადეკვატური სასჯელით მისი გასამართლება და სასჯელის მოხდა, რათა მოსახლეობაში კანონისადმი მორჩილებას ჰქონდეს ადგილი.[727] იაკობსის მიხედვით, პოზიტიური გენერალური პრევენცია გულისხმობს, მოსახლეობაში ნორმის ნდობის, ნორმის აღიარების და ნორმის სტაბილურობის დამკვიდრებას.[728]

12.3.1.2. ნეგატიური გენერალური პრევენცია

ნეგატიური გენერალური პრევენციის მიზანია სასჯელის მუქარით პოტენციური დამნაშავეების შეჩერება, შეშინება.[729]

ნეგატიური გენერალური პრევენციის დღეს მოქმედი „შეშინების კონცეფცია" მომდინარეობს უტილიტარიზმის სოციალ-ფილოსოფიური ტრადიციიდან, რომელიც ეკონომიური მეცნიერების მიერ იქნა დამუშავებული. ამ მოსაზრების მიხედვით, სასჯელი, როგორც ფასის სისტემა ისე ფუნქციონირებს. ფასი, რომელიც ამა თუ იმ ქმედებისათვის პირმა უნდა გადაიხადოს, მოტივაციას აძლევს მას ჩაიდინოს თუ არა მომავალში ეს ქმედება.[730] პოტენციური დამნაშავე დანაშაულის ჩადენის წინ ერთგვარ შედარებას აკეთებს „ღირებულების და მიღებული შედეგის", ანუ უღირს თუ არა მას ეს სასჯელი ამ ქმედებიდან დამდგარი შედეგისათვის. (მაგ. სსკ 177-ე მუხლის მეორე ნაწილი (ქურდობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამიდან ხუთ წლამდე. პოტენციური დამნაშავე, რომელმაც იცის, რომ კანონმდებელი მნიშვნელოვან ზიანად მიიჩნევს 150 ლარის ზემოთ ქონების დაუფლებას, დაფიქრდება, თუ ღირს მისთვის მინიმუმ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა 151 ლარის ქურდობის გამო).

ნეგატიური გენერალური პრევენციისათვის მაღალი სასჯელი და ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნა პოტენციური დამნაშავეების შეშინების საუკეთესო საშუალებაა.[731]

---

[726]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 24.
[727]იქვე.
[728]Jakobs, G., 1993. S. 5ff..
[729]Albrecht, P.-A., 2005. S. 43.
[730]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 25.
[731]იქვე.

12.3.2. სპეციალური პრევენცია

სპეციალური[732] ანუ ინდივიდუალური[733] პრევენციის მიზანია დამნაშავე პირისადმი ინდივიდუალური მიდგომა და მასზე დაშინების და გამოსწორების ზემოქმედების ფორმით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.[734]

12.3.2.1. პოზიტიური სპეციალური პრევენცია

პოზიტიური სპეციალური პრევენციის დროს სასჯელის მიზანია დამნაშავის რესოციალიზაცია, რათა მან აღარ ჩაიდინოს დანაშაული და იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც მისი სრულფასოვანი წევრი.[735] პოზიტიური სპეციალური პრევენციით დამნაშავის რესოციალიზაცია უნდა მოხდეს ისეთი სახის ღონისძიებებით, რომელთა მიზანი იქნება დამნაშავის პიროვნულ განვითარებაში არსებული პრობლემების და სოციალიზაციის ნაკლებობის გამოსწორება.[736] დამნაშავის რესოციალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებებს განეკუთვნება, თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ღონისძიებები, პირობითი მსჯავრი, სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება, არასრულწლოვანთათვის განრიდება და აღმზრდელობითი ღონისძიებები.[737]

12.3.2.2. ნეგატიური სპეციალური პრევენცია

ნეგატიური სპეციალური პრევენციისათვის სასჯელის მიზანია დამნაშავის შეშინება, რათა მან მომავალში აღარ ჩაიდინოს დანაშაული. გარდა ამისა, მისი მიზანია საზოგადოების დაცვა ახალი დანაშაულის ჩადენისაგან, ამიტომ დამნაშავის მიმართ გამოყენებული სასჯელი უნდა იყოს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის და დამნაშავის პიროვნებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი საშიშროების ადეკვატური.[738]

დანაშაულის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანი იქნებოდა პედაგოგიური პროფილაქტიკა – პედაგოგიური პრევენცია, რაც გულისხმობს აღზრდის დეფექტების გამოსწორებას, განსაკუთრებით სამართლებრივი და ზნეობრივი შეგნების შეცვლას ან ჩამოყალიბებას.[739]

12.4. სასჯელისადმი დამოკიდებულება

სასჯელი, როგორც განსაკუთრებული სახელმწიფო იძულებითი ღონისძიება, ყოველთვის იყო საზოგადოებრივი ინტერესის საგანი. სასჯელი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის ნორმებით და არ შეიძლება დამნაშავეს შეეფარდოს ისეთი სახის სასჯელი, რომელსაც სისხლის სამართლის ნორმა არ ითვალისწინებს: nulla poena sine lege –არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე.[740]

---

[732]ტურავა, მ., 2013. გვ. 355.
[733]Albrecht, P.-A., 2005. S. 42.
[734]Jehle, J.-M. (Hrsg.), 1996. S. 27.
[735]Albrecht, P.-A., 2005. S. 42.
[736]იგივე, 43.
[737]ტურავა, მ., 2013. გვ. 355.
[738]Albrecht, P.-A., 2005. S. 43.
[739]ბაძაღუა, მ., 2008. გვ. 124-127.
[740]ტურავა, მ., 2013. გვ. 353.

საქართველოს სსკ კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის სახეებია: ა) ჯარიმა; ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა; გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა; დ) გამასწორებელი სამუშაო; ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა; ვ) თავისუფლების შეზღუდვა; ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა; თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა; ი) ქონების ჩამორთმევა.

საქართველოს არასრულწლოვანთა მათლმსაჯულების კოდექსი არეგულირებს არასრულწლოვანთათვის სასჯელის დანიშვნის საკითხებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით 2006 წლიდან 2012 წლამდე მსჯავრდებულთა საშუალოდ ნახევრის მიმართ საერთო სასამართლოების მიერ სასჯელის სახით გამოყენებული იყო თავისუფლების აღკვეთა, აღნიშნულმა ტენდენციამ იკლო და 2014 წელს - 35,5%-ის, ხოლო 2015 წელს – 29,3%-ის მიმართ იქნა თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული.[741]

თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი შესაძლებელია გამომდინარეობდეს:

1. ქვეყანაში არსებული მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკით, რაც გამოიხატება „დამნაშავეობასთან ბრძოლის პოლიტიკით“[742] და არა „დამნაშავის რესოციალიზაციის პოლიტიკით“. ქვეყანაში განხორციელებულმა ნულოვანი ტოლერანტობის და „ყველანი ციხეში“ კრიმინალურმა პოლიტიკამ, რომელიც არ იქნა სისხლის სამართლის მეცნიერების მიერ გაზიარებული,[743] გამოიწვია საერთო სასამართლოების მიერ თავისუფლების აღკვეთის წინა წლებთან შედარებით უფრო ხშირად გამოყენება. მაგ. ეკონომიკური დანაშაულისათვის 2003 წელს მსჯავრდებულთა 34 პროცენტს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 2006 წლიდან მოყოლებული 2012 წლამდე იგივე სახის დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მაჩვენებელმა 20 პროცენტით იმატა და 55% შეადგინა, ხოლო 2015 წელს ისევ იკლო და 36,6% შეადგინა;[744]
2. თავისუფლების აღკვეთის გარდა, რეალურად, სხვა კანონით დადგენილი სასჯელთა სახეების გამოუყენებლობით. მაგ.საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემებით ბოლო წლებში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ან გამასწორებელი სამუშაოები ისე იშვიათად გამოიყენებოდა, რომ მათმა გამოყენების საერთო რაოდენობამ ათი პროცენტიც კი ვერ შეადგინა;
3. სასჯელის დანიშვნისადმი საერთო სასამართლოს მოსამართლეთა დამოკიდებულება. 2003 წელს ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, გამოკითხულ 195 მოსამართლედან 65% თვლიდა, რომ „სანქცია, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, არ ითვლება სასჯელად საქართველოს მოსახლეობისათვის“.[745]

---

[741]იხ.:www.supremecourt.ge
[742]ივანიძე, მ., 2008. გვ. 56.
[743]გამყრელიძე, ო., 2008ბ. გვ. 5.
[744]იხ.:www.supremecourt.ge
[745]კური, ჰ./კაპანაძე, ხ., 2004. გვ. 296.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სისხლისსამართლებრივ სასჯელს და კრიმინოლოგიურ პრევენციას მჭიდრო კავშირი აქვს ერთმანეთთან.[746] რაც მნიშვნელოვანია, მათ ერთი მიზანი ამოძრავებთ – დანაშაულის ჩადენის ხელის შეშლა.

მკაცრი სასჯელი არა მარტო უარყოფითად მოქმედებს ადამიანის (პატიმრის) ფსიქიკაზე, არამედ ზრდის პენიტენციურ დაწესებულებში პატიმართა რიცხვს, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად მოქმედებს როგორც ადამიანის უფლებების დაცვაზე, ასევე ქვეყნის დემოგრაფიულ მდგომარეობაზე.[747]

სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში გამოცხადებული სასჯელის მიზანი – რესოციალიზაცია–ჯერჯერობით მხოლოდ „დეკლარირებულად რჩება“,[748] ვინაიდან ქვეყანაში არ გამოიყენება ალტერნატიული სასჯელის სხვა ფორმები (სპეციალური პრევენცია). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირობითი მსჯავრი, რომელიც ბოლო წლებში ასევე ხშირად გამოიყენება ვერ უზრუნველყოფს პირის რესოციალიზაციას, ვინაიდან პრობაციის სამსახურის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, დასაქმების და მენტალობის პრობლემის გამო, ვერ ხერხდება საზოგადოებაში მსჯავრდებულთა რეინტეგრაცია.

---

[746]სისხლისსამართლებრივი სასჯელის პრევენციისა და კრიმინოლოგიური დანაშაულის პრევენციის კავშირის შესახებ ვრცლად იხ.: ჩიხლაძე, დ., 2016. გვ. 26.

[747]2015 წლის ბოლოს საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში სასჯელს იხდიდა 10 ათასამდე პირი, რაც გულისხმობს, რომ ქვეყანაში 100 ათას მოსახლეზე 260 პატიმარია, რაც დასავლეთ ევროპის მაჩვენებელთან შედარებით მაღალი მაჩვენებელია.

[748]კური, ჰ./კაპანაძე, ხ., 2004. გვ. 304.

თავი მეცამეტე
ვიქტიმოლოგია

მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან კრიმინოლოგიურმა მეცნიერებამ დაიწყო ადამიანის დანაშაულებრივი ქცევის,[749] ხოლო მე-19-ე საუკუნის ბოლოდან დამნაშავის პიროვნების შესწავლა.[750] დანაშაულის მსხვერპლი და მისი შესწავლა მხოლოდ მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდა მეცნიერთა ყურადრების საგანი. დანაშაულის ელემენტები „დამნაშავე“ და „დანაშაულის მსხვერპლი“, ისეთი კლასიკოსებისთვის, როგორებიც პოზიტიური სკოლის მიმდევრები იყვნენ, წარმოადგენდნენ მექანიკურ და სტატისტიკურ ცნებებს.[751]

პირველი მეცნიერი, რომელმაც დანაშაულის მსხვერპლს დიდი ყურადღება მიაქცია იყო 1935 წელს ამერიკაში ემიგრირებული გერმანელი ჰანს ფონ ჰენტიგი (1887-1974). ჰანს ფონ ჰენტიგი, რომელიც გერმანიის ნაცისტური რეჟიმის მიერ იდევნებოდა იძულებული გახდა 1941 წელს სტატია -“Bemerkungen über die Interaktion zwischen Täter und Opfer“ – „შენიშვნები დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ინტერაქციის შესახებ“[752] - გამოექვეყნებინა აშშ-ში. ჰენტიგი დანაშაულის მსხვერპლს მიიჩნევს არა როგორც პასიურ ობიექტს, არამედ როგორც დანაშაულის პროცესის აქტიურ სუბიექტს. მისი აზრით, მსხვერპლი აქტიურად „ზემოქმედებს“დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენაზე.[753]

ვიქტიმოლოგია არის კრიმინოლოგიის, როგორც მეცნიერების შესწავლის ერთ-ერთი საგანი.[754] სიტყვა ვიქტიმოლოგია ლათინური წარმოშობისაა („victima“) და ნიშნავს მსხვერპლს. თუ ვის მიერ იქნა სიტყვა „ვიქტიმოლოგია“ პირველად გამოყენებული დისკუსიის საგანია. მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ „ვიქტიმოლოგია“ პირველად იხმარა იერუსალიმელმა ადვოკატმა ბენიამინ მენდელსონმა, რომელიც 1951 წლამდე რუმინეთში ცხოვრობდა. სწორედ აქ, ფსიქიატრების კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას 1947 წელს პირველად იხმარა მან სიტყვა „ვიქტიმოლოგია“. მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით, სიტყვა „ვიქტიმოლოგია“ პირველად 1943 წელს იხმარა ჰანს ფონ ჰენტიგმა გერმანიის ერთ-ერთ გაზეთში (კერძოდ, Kölner Zeitung – კიოლნის გაზეთში).[755]

ვიქტიმილოგიის, როგორც მეცნიერების განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ვიქტიმოლოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმებმა, რომელიც 1973 წლიდან

---

[749]Cesare Beccaria (1738-1794), მისი აზრით, დანაშაული იყო ქმედება, რომელიც მიმართული იყო მორალური და სამართლებრივი წესრიგის წინააღმდეგ და დამყარებული იყო დამნაშავის თავისუფალ სურვილზე. Schneider, H.J., 1987. S. 751.

[750]Cesare Lombrozo (1835-1909), მისი აზრით, დანაშაული იყო დამნაშავის პიროვნების განვითარების შეფერხებიდან გამომდინარე სიმპტომი, რომელიც ან მემკვიდრეობით ჰქონდა მას გადაცემული (კრიმინოლოგიური მიდგომა), ან ბავშვობის სოციალიზაციის პრობლემებიდან მომდინარეობდა (ფსიქოანალიტიკური მიდგომა). Schneider, H.J., 1987. S. 751.

[751]Schneider, H.J., 1987. S. 752.

[752]Hentig, H. von, 1941. S. 303-309.

[753]Schneider, H.J., 1987. S. 752.

[754]ვიქტიმოლოგიის, ცალკეული დანაშაულის მსხვერპლის, მსხვერპლის თავიდან აცილების შესახებ უფრო ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ., 2011.

[755]Schwind, H.-D., 2008. S. 389.

მოყოლებული ყოველ სამ წელში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ტარდება. აღ-ნიშნულ სიმპოზიუმებს ორგანიზებას უწევს საერთაშორისო ორგანიზაცია "World Society of Victimology", რომელიც 1979 წელს დაარსდა.

ვიქტიმოლოგიური მეცნიერების განვითარებამ ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო და საერთაშორისო ინსტიტუტებმა მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან ყურადღება მიაქციეს დანაშაულის მსხვერპლს. ასე მაგალითად: ევროსაბჭოს მინ-ისტრთა საბჭომ 1983 წელს მიიღო კონვენცია ძალადობრივი დანაშაულის მსხვერ-პლისათვის ზარალის ანაზღაურების შესახებ ("Europäische Konvention über die Entschedigung für Opfer von Gewalttaten"); 1985 წელს ევროსაბჭოს მინისტრთა საბჭომ მიიღო რჩევები „დანაშაულის მსხვერპლის დახმარებისა და სარეაბილიტაციო პრო-გრამების და ადამიანების მსხვერლად გახდომის თავიდან აცილების შესახებ" ("Die Empfälungen des Ministerrates zur Opferhilfs- und Behandlungsprogrammen und zur Verhütung des Opferwerdens"); გაერომ 1986 წლის დეკლარაციაში "Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power" ასევე დააფიქსირა დანაშაულის მსხვერ-პლის დაცვის ზოგადი პრინციპები.

2012 წლის 25 ოქტომბერს ევროპარლამენტმა და ევროსაბჭომ მიიღო დირექტივა მსხვერპლთა დაცვის შესახებ.

ვიქტიმოლოგიური მეცნიერების შედეგი იყო აგრეთვე ის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა მიიღეს შიდა კანონმდებლობა მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ: 1963 წელს ახალმა ზელანდიამ, ხოლო შემდეგ ინგლისმა, აშშ-ის ზოგიერთმა შტატმა, კანადის და ავსტრალიის პროვინციებმა და 1976 წელს გერმანიამ.[756]

13.1. ვიქტიმოლიგიის ცნება

ვიქტიმოლოგია შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლის პიროვნებას, მის მსხვერპლად გახდომის გარემოს (პირობებს), მის საქციელს, როგორც მსხვერპლად გახდომის მომენტში, ასევე მას შემდეგ და მსხვერპლად გახდომით გამოწვეულ შედეგებს. გარდა ამისა იგი შეისწავლის დამნაშავისა და დანაშაულის მსხვერპლს შო-რის ურთიერთობას.[757]

არსებობს ვიქტიმოლოგიის ცნების ორგვარი გაგება.ვიწრო, რომლის მიხედვით, ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლს; და ფართო, ვიქტიმოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის არა მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლს, არამედ უბედური შემთხვევების და საზოგადოებრივი ურ-თიერთობების მსხვერპლს.[758]

ვიქტიმოლოგიის ცნების ვიწრო და ფართო გაგება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირ-შია, ვინაიდან სოციალური ურთიერთობების (ფართო გაგება) ან საზოგადოებრივი ურთიერთობის (ეტიკეტირებული პირი) მსხვერპლი, შეიძლება ადვილად გახდეს კრიმინალური დანაშაულის (ვიწრო გაგება) მსხვერპლი.[759]

---

[756]პოლიციის ან სხვა სახელმწიფო ორგანოს მიერ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
[757]Schwind, H.-D., 2008. S. 391-392.
[758]Schneider, H.J., 1975. S. 11.
[759]იგივე, გვ. 12.

13.2. დანაშაულის მსხვერპლის ცნება

დანაშაულის მსხვერპლი დანაშაულის ჩადენის და მისი კონტროლის შესაძლებლობის მნიშვნელოვანი სუბიექტია. დამნაშავეს და დანაშაულის მხვერპლს ერთმანეთთან ურთიერთობა აქვთ, როგორც სუბიექტს და ობიექტს.[760] ვიქტიმირების არსი მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ დამნაშავე ცდილობს მსხვერპლი თავისი დანაშაულის ობიექტად აქციოს. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, დამნაშავეა ის, ვინც მსხვერპლს ზარალი, ზიანი მიაყენა, ხოლო მსხვერპლია ის ვინც ზარალი, ზიანი განიცადა.[761]

დანაშაულის მსხვერპლის ცნების რამდენიმე მოსაზრება არსებობს.

ციპფის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლად უნდა ჩაითვალოს ყველა ის პირი, ვინც დანაშაულისაგან ზიანი, ზარალი განიცადა, მიუხედავათ იმისა, ეკუთვნოდა თუ არა მას დაზიანებული სამართლებრივი სიკეთე, არის თუ არა უფლებამოსილი საჩივრით მიმართოს შესაბამის უწყებას და არის თუ არა იგი დაზარალებული სისხლისსამართლის საპროცესო ნორმების მიხედვით.[762]

პაშის თანახმად, მსხვერპლი არის ისეთი პირი, რომელიც სხვა პირის ინტერესის შემსრულებელია, მორჩილია: კრიმინალური თვალთახედვით მსხვერპლი არის ისეთი პირი (ასევე იურიდიული), რომლის კანონით დაცული სამართლებრივი სიკეთე დაირღვა.[763]

მსხვერპლი შეიძლება იყოს ადამიანი, ორგანიზაცია, საზოგადოება და სახელმწიფო, რომელსაც ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებით საფრთხე შეექმნა, დაზიანდა, დაზარალდა ან განადგურდა.[764] დაზარალებულები შეიძლება ასევე იყვნენ დანაშაულის შედეგად დაღუპული პირის ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები. ამერიკელი კრიმინოლოგის შეფერის (Schafer) აზრით, არ არსებობს დანაშაული მსხვერპლის გარეშე. დანაშაულებრივი ქმედებით ვიღაცა ან უნდა საფრთხეში ჩავარდეს, ან დაზარალდეს, ან დაზიანდეს, ან განადგურდეს.[765]

დანაშაულის მსხვერპლმა, დანაშაულის ჩადენის დროს ან მოგვიანებით შეიძლება განიცადოს ეკონომიკური ზარალი, სოციალური,[766] მორალური, ფიზიკური და ფსიქიკური ზიანი, რომელიც სახელმწიფო კონტროლის ორაგნოების (სასამართლო, პოლიცია, პროკურატურა, სასჯელაღსრულების სისტემა) მხრიდან მთლიანად იგნორირებულია, ვინაიდან ძალიან ხშირად მმართველობის ორგანოები ცდილობენ დამნაშავის რესოციალიზაციას და ავიწყდებათ, რომ დანაშაულის მსხვერპლიც მოითხოვს საზოგადოებაში „კვლავ დაბრუნებას“.

---

[760]Schneider, H.J., 1987. S. 755.

[761]იქვე.

[762]Zipf, H., 1970 (53). S. 3.

[763]Paasch, F.R., 1965. S. 4-5.

[764]Schneider, H.J., 1987. S. 755.

[765]Schafer, S., 1977. S. 95.

[766]გაუპატიურების მსხვერპლს შესაძლებელია არა მხოლოდ ფიზიკური, მორალური და ფსიქიკური პრობლემები წარმოეშვას, არამედ სოციალური პრობლემები - ოჯახის წევრებთან (განქორწინება), თანამშრომლებთან, მეზობლებთან ურთიერთობა.

13.3. პიროვნების ვიქტიმირების პროცესის სახეები

13.3.1. პიროვნების პირველადი (ძირითადი) ვიქტიმირება

პიროვნების ვიქტიმირების პროცესის სახეების[767] ცოდნა მნიშვნელოვანია მსხვერპლად გახდომის თავიდან აცილებისთვის.

პიროვნების პირველად ვიქტიმირებად ითვლება დანაშაულის ჩადენით მსხვერპლის მიმართ წარმოშობილი ფსიქიკური, ფიზიკური და მატერიალური შედეგი.

პიროვნებაზე ხშირი ძალადობის ფაქტებმა, შეიძლება მასში იძულებითი ფანტაზიები, უძილობა და შეცვლილი ქცევის წესები გამოიწვიოს.

დანაშაულის მსხვერპლს შეიძლება გააჩნდეს შემდეგი სახის სხვადასხვა ფსიქიკური სიმპტომები: დეპრესია, უძილობა, შიში, თავისტკივილები, მოუსვენრობა, ცუდი (უსიამოვნო) სიზმრების ნახვა.[768] ხშირია ასევე სოციალურ ურთიერთობებში ხელის შეშლა. დანაშაულის მსხვერპლი სხვა ადამიანებთან მიმართებაში კარგავს ნდობას, უჭირს მეგობრებთან, ნათესავებთან ურთიერთობა. დანაშაულის შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგები იმდენად ინდივიდუალურია დანაშაულის მსხვერპლისათვის, რომ ის (უარყოფითი შედეგები) უბრალო სამეგობრო წრესთან ურთიერთობის დაძაბვიდან თვითმკვლელობამდე მერყეობს.

13.3.2. პიროვნების მეორეული (არაძირითადი) ვიქტიმირება

პიროვნების მეორეული ანუ არაძირითადი ვიქტიმირება ხდება მასთან ურთიერთობაში მყოფ პიროვნებების მიერ გაკეთებული განცხადებებით (ექიმები, პოლიციის წარმომადგენლები, ადვოკატები) ან მორალური სახის პრეტენზიების გამოთქმით მსხვერპლის საქციელთან მიმართებაში. მაგ. „შენ, რომ იქ არ ყოფილიყავი?!“; „ასეთ დროს იქ რა გინდოდა?!“; „ეს რატომ წამოგცდა?!“; „რატომ სხვა ადგილას არ შეინახე“?! და ა.შ.[769]

სასამართლო პროცესის დროს ხშირად აქვს ადგილი დამნაშავის ადვოკატის მხრიდან დანაშაულის მსხვერპლისადმი დანაშაულის ჩადენის პროვოცირების ბრალდებებს. ვითომ მსხვერპლის გამომწვევი, პროვოკაციული საქციელი რომ არა, მისი დაცვის ქვეშ მყოფი (დამნაშავე) დანაშაულს არ ჩაიდენდა.

13.3.3. პიროვნების მესამეული ვიქტიმირება

პიროვნების მესამეულ ვიქტიმირებას ადგილი აქვს, როდესაც მსხვერპლს პირველადი და მეორეული ვიქტიმირებიდან გამომდინარე აღარ სჯერა დანაშაულისაგან საკუთარი თავის დაცულობის, როგორც სახელმწიფო სტრუქტურების, ასევე ახლო სოციალური გარემოს მხრიდან, საკუთარ თავს გარშემომყოფთა მსხვერპლად მიიჩნევს და არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა.[770] ამგვარი ადამიანები მიეკუთვნებიან დანაშაულის მსხვერპლის ისეთ კატეგორიას, რომელთა (რე)ვიქტიმიზაცია კიდევ არის ახლო მომავალში მოსალოდნელი (იხ. ნასწავლი დაუხმარებლობის თეორია).

---

[767]Schneider, H.J., 2001. S. 77-79; Kiefl, W./Lamnek, S., 1986. S. 170-290.
[768]Schneider, H.J., 2001. S. 77.
[769]Kiefl, W./Lamnek, S., 1986. S. 239.
[770]იგივე, გვ. 272.

13.4. მსხვერპლის ტიპოლოგიები

დანაშაულის მსხვერპლთან მიმართებაში, პირველ რიგში, ისმის კითხვები, რატომ გახდა კონკრეტულად ეს ადამიანი და არა სხვა დანაშაულის მსხვერპლი?

ამ კითხვისათვის პასუხის გაცემის მიზნით კრიმინოლოგები შეეცადნენ, მოეხდინათ თითოეული დანაშაულის კომპლექსურობის სისტემატიზაცია და დალაგება, რათა შეემუშავებინათ პიროვნების ვიქტიმირების ტიპები. ყველაზე ცნობილი ტიპოლოგიები ჩამოყალიბებულია ჰანს ფონ ჰენტიგის, ბენჟამინ მელდელსონის[771] და ეცატ აბდელ ფატაჰის[772] მიერ.[773] გთავაზობთ ჰენტიგის ტიპოლოგიას.

ჰანს ფონ ჰენტიგის[774] მსხვერპლის ტიპოლოგიას საფუძვლად უდევს ოჯახური, ადგილმდებარეობრივი, დროებრივი და ასაკობრივი ასპექტები. ჰენტიგის მსხვერპლის ტიპოლოგია ყველაზე ცნობილი და ძველია. ჰენტიგი დანაშაულის მსხვერპლს ყოფს შემდეგ ჯგუფებად:[775]

1. ახალგაზრდები (ისინი მსხვერპლნი ხდებიან გამოუცდელობის გამო);

2. მოხუცები (ისინი მსხვერპლნი ხდებიან მოხუცებულობიდან გამომდინარე პრობლემების გამო);

3. მანდილოსნები (ისინი მსხვერპლნი ხდებიან მათი ბიოლოგიური წარმომავლობის, „ფიზიკური სისუსტის“ გამო);

4. შშმ პირები (ამ ჯგუფში შედიან ასევე ნარკომანები და ალკოჰოლის მოყვარული პირები, ვინაიდან მათაც შეზღუდული აქვთ თავდაცვითი მოქმედების შესაძლებლობები);

5. ემიგრანტები (საზოგადოებრივი ინტეგრაციიდან წარმოშობილი პრობლემების გამო და უცხო ქვეყანაში ადგილობრივი ნორმების, ჩვევების უცოდინრობის გამო) და რელიგიური, ეროვნური უმცირესობები;

6. მოგების მსურველები (მოტყუებული თაღლითი. პირი, რომელსაც ქონებრივი მოგების მიღების მიზნით სხვისი მოტყუება სურს, მაგრამ ბოლოს თვითონ გამოდის მოტყუებული, რადგან სხვა მასზე ჭკვიანი აღმოჩნდება);

7. დეპრესიული ადამიანი (დეპრესიული ადამიანი, ვინაიდან მას დარღვეული აქვს ნორმალური ადამიანისათვის საჭირო საკუთარი თავის დაცვის და საკუთარ თავზე ზრუნვის ინსტიქტი);

8. მარტო მყოფი და იმედგაცრუებული ადამიანები (ისინი მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ მაგ. დაოჯახების დიდი სურვილის გამო, ანუ ისინი შეიძლება დაქორწინდნენ, ხოლო მათ პარტნიორს მხოლოდ მათი ქონების მიღების სურვილი გააჩნდეს);

9. სიმდიდრის მოყვარული (ისინი შეიძლება გახდნენ გამოძალვის მსხვერპლი);

10. „ოჯახის ტირანები“ (ისინი შეიძლება მსხვერპლნი გახდნენ საკუთარი მეუღლისა, რომელიც ვეღარ იტანს საკუთარი ქმრის ტერორს);

11. ბლოკირებულები – ისინი თავისი პრობლემებით ისე არიან დაკავებული, რომ შესუსტებული აქვთ საფრთის არსებობის აღქმა.

---

[771]Mendelsohn, B., 1956. S. 95-109.

[772]Fattah, E.A., 1967. S. 162-169.

[773]ვიქტიმოლოგიური ტიპოლოგიების და მათი მნიშვნელობის შესახებ ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 37-47.

[774]Hentig, H. von, 1948.

[775]Kiefl, W./Lamnek, S., 1986. S. 60-61.

13.5. ვიქტიმოლოგიის თეორიები

13.5.1. „ცხოვრების წესის“ თეორია

„ცხოვრების წესის“ თეორიის - „lifestyle model“ – მიხედვით, პირის ვიქტიმირება გამომდინარეობს მისი ცხოვრების წესიდან,[776] ანუ დანაშაულის მსხვერპლის ქცევა (ცხოვრების წესი) გარკვეულწილად დაკავშირებულია სხვა პირების დანაშაულებრივ ან ამორალურ საქმიანობასთან.[777] მაგ. ღამის ბარში მომუშავე პირი, რომელსაც მთელი ღამის განმავლობაში ნასვამ მდგომარეობაში მყოფ სტუმრებთან აქვს ურთიერთობა, შეიძლება მათთან უსიამოვნო კამათის გამო, ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი გახდეს; ან პირი, რომელიც ღამის საათებში მარტო არის უცხო ქუჩაში (ქალაქში) შესაძლებელია ყაჩაღური თავდასხმის, სხეულის დაზიანების ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდეს.

ზემოაღნიშნულის თანახმად, ცხოვრების წესის ფაქტორი შეიძლება წარმოიშვას როგორც სამსახურებრივი საქმიანობიდან (მაგ. პოლიციელი), ასევე თავისუფალი დროის გატარებიდან (სისტემატიურმა დისკოს სტუმრობამ ღამის საათებში, შეიძლება პირის ვიქტიმირება გამოიწვიოს). მსხვერპლად გახდომის მნიშვნელოვანი ფაქტორია როგორც პირის საქმიანობა, ასევე მის მიერ შერჩეული ქუჩა, უბანი, ქალაქი.

ადამიანებს შორის „ცხოვრების წესის“ ფაქტორის სხვადასხვაობა კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში აიხსნება:[778]

- სოციალური შეჩვევის პროცესებით (შეჩვევა სამსახურზე, საცხოვრებელ ადგილზე, თავისუფალი დროის გატარების დაწესებულებაზე);
- საკუთარი თავის (იდენტიტეტის) ძიების პროცესით.

მსხვერპლად გახდომის შესაძლებლობა იზრდება, იმისდამიხედვით, შეუძლია თუ არა პირს რისკზე წასვლა (მაგ. მოგზაურობა ისეთ რეგიონში, სადაც შეიარაღებული დაპირისპირებაა).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „ცხოვრების წესის ფაქტორი“-სას მსხვერპლად გახდომის მომეტებულობა მდგომარეობს ადამიანის ცხოვრების წესში. მაგ. ალკოჰოლიზმი, ნარკომანობა, პროსტიტუცია, ღამის საათებში საშიშ ადგილებში ყოფნა და ა.შ.

13.5.2. ყოველდღიური აქტიურობის თეორია

„ყოველდღიური აქტიურობის“ თეორიის - Routine Activity Theorie – მიხედვითაც, ვიქტიმურობა პირდაპირ კავშირშია პირის მიერ განხორციელებულ ყოველდღიურ საქმიანობასთან: სამსახური, სწავლა, თავისუფალი დროის გატარება, დასასვენებლად წასვლა. მოცემული თეორია ძალიან ახლოს არის „ცხოვრების წესის“ შეხედულებასთან, მაგრამ იგი დამოუკიდებელ თეორიად იმიტომ ითვლება, რომ გამოყოფს სამ კონკრეტულ ფაქტორს (მომენტს), რომლებიც აძლიერებენ პირის მსხვერპლად გახდომის შესაძლებლობას. ეს ფაქტორებია:[779]

---

[776]Hindelang, M.J. et al., 1978. p. 121.
[777]Schwind, H-D., 2008. S. 150.
[778]იქვე.
[779]Felson, M., 1997. p. 1-3.

1. თუ დანაშაულის ჩადენისთვის მზად მყოფი პირი (დამნაშავე, რომელიც „ხელსაწყოებით შეიარაღებული“ გამოსულია ბინის გასაქურდად, ან პირი, რომელიც მასკით და ცივი იარაღით არის „შეიარაღებული“),

2. დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელ და „კარგ“ მსხვერპლს იპოვის (საცხოვრებელი ბინის უმეთვალყურეოდ დატოვება, მთვრალ მდგომარეობაში ბნელ ქუჩაში სიარული),

3. რომელიც (მსხვერპლი) არასაკმარისად არის დაცული (ხისკარიანი საცხოვრებელი ბინა ერთი საკეტით არის დაკეტილი; ბინას, რომელიც პირველ სართულზე მდებარეობს მინა არა აქვს) ან არასაკმარისად შეუძლია თავის დაცვა (დიდი ოდენობით ალკოჰოლური სასმელის ან ნარკოტიკული ნივთიერების მიღების გამო პირი „ძლივს დგას ფეხზე“) იგი (ბინა) დანაშაულის მსხვერპლი გახდება.

„ყოველდღიური აქტიურობის“ თეორიის მიმდევრების ინტერესთა სფეროს წარმოადგენს სიტუაციიდან გამომდინარი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას და პირის მიერ მსხვერპლად გახდომას.[780]

13.5.3. „კულტურული“ ვიქტიმიზაციის თეორია

„კულტურული“ ვიქტიმიზაციის თეორიის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლნი შეიძლება უფრო ხშირად გახდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი შეხედულებით მოსახლეობის უმრავლესობისაგან განსხვავდებიან და მათში (მოსახლეობის დიდ ნაწილში) სიძუვილის გრძნობას აღძრავენ. ასეთები შეიძლება იყვნენ: უცხოელები, რელიგიური უმცირესობები, სხვაგვარი ცხოვრების წესის მატარებელი ადამიანები (მაწანწალები), სხვაგვარი სექსუალური სურვილების მქონე პირები (ჰომოსექსუალები).[781] ამგვარი დანაშაულების ჩამდენ პირებად შეიძლება მოგვევლინოს რელიგიური (ფანატიური) ჯგუფები, მემარჯვენე ნაციონალისტები და სხვა.

„კულტურული“ ვიქტიმიზაციის თეორიის თანახმად, დანაშაულის მსხვერპლისადმი სიძულვილის გამოხატვა დამყარებულია მსხვერპლის პიროვნებაზე (მის რასაზე), რელიგიურ რწმენაზე, ეთნიკურ კუთვნილებაზე, სექსუალურ სურვილებზე. ამგვარი სახის დანაშაულები დიდი საფრთხის შემცველია, ვინაიდან იგი ხორციელდება მოსახლეობის უმრავლესობის სახელით, ორგანიზებული ჯგუფის მიერ, მყარ იდეოლოგიურ საფუძვლებზე დაყრდნობით, დანაშაულებრივი გეგმის წინასწარი შემუშავებით და კარგი მომზადებით.[782] ამგვარი დანაშაულების მაგალითები ბევრია მსოფლიო და საქართველოს ისტორიაში, დაწყებული რელიგიური უმცირესობების დევნიდან დამთავრებული ალ ქაიდას მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტებით.

13.5.4. „ნასწავლი“ დაუხმარებლობის (დასწავლილი უმწეობის) თეორია

„ნასწავლი“ დაუხმარებლობის თეორია (Theorie der “erlernten“ Hilfslosigkeit) ეკუთვნის სელიგმანს. სელიგმანის ექსპერიმენტები დაყოფილი იყო ორ ნაწილად. ექსპერიმენტის პირველ ფაზაში მან ძაღლები დაყო სამ ჯგუფად. პირველ და მეორე

---

[780]Schwind, H-D., 2008. S. 151.
[781]იგივე, გვ. 152.
[782]Schneider, H.J., 2001. S. 70.

ჯგუფს ელექტრონული დენის წყაროს უერთებდა, ისე, რომ მათ ტკივილი ეგრძნოთ. პირველ ჯგუფს შეეძლო ელექტრონული შოკისგან თავის დაღწევა, გაქცევა, ხოლო მეორე ჯგუფს ტკივილისაგან თავის დაღწევა არ შეეძლო. მეორე ჯგუფის ძაღლები დაბმულები იყვნენ. ძაღლების მესამე საკონტროლო ჯგუფს საერთოდ არ ჰქონდა ელექტრონულ შოკთან შეხება. ექსპერიმენტის მეორე ფაზა მდგომარეობდა შემდეგში. სელიგმანმა დადგა ერთმანეთთან დაკავშირებული ორი გალია (Shuttle-Box), რომელიც მხოლოდ მცირე წინაღობით იყო გატიხრული, ისე, რომ ძაღლებს თავისუფლად შეეძლოთ ერთი გალიიდან მეორეში გადახტომა. სამივე ჯგუფის ძაღლები სათითაოდ შეიყვანა ერთ გალიაში და ელექტრონული შოკით ტკივილი მიაყენა. პირველი ჯგუფის ძაღლები არათუ გაექცნენ ელექტრონულ შოკს, არამედ ელექტრონული შოკის მიერთებამდე ხტებოდნენ მეორე გალიაში, რათა თავი დაეღწიათ ტკივილისაგან. ასევე იქცეოდნენ მესამე, საკონტროლო ჯგუფის, ძაღლები. მეორე ჯგუფის ძაღლები კი, რომლებსაც ექსპერიმენტის პირველ ფაზაში შესაძლებლობა არ ჰქონდათ გაქცეულიყვნენ და ელექტრონული შოკით გამოწვეული ტკივილი თავიდან აეცილებინათ, რჩებოდნენ გალიაში, ეგუებოდნენ ტკივილს და აღარ ხტებოდნენ მეორე გალიაში, იმის მიუხედავად, რომ მათ მეორე გალიაში გადახტომით შეეძლოთ ამ ტკივილისაგან თავის დაღწევა. მეორე ჯგუფის ძაღლებმა ექსპერიმენტის პირველი ფაზიდან მიღებული გამოცდილების საფუძველზე ისწავლეს, რომ ისინი უარყოფით შედეგს (ელექტრონული შოკით გამოწვეულ ტკივილს) თავიდან ვერ აიცილებდნენ მათი ნებისმიერი საქციელის მიუხედავად.

თეორიის მიხედვით,[783] ადამიანი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში არის დანაშაულის მსხვერპლი და იმყოფება ტრავმატიზირებულ და გამოუვალ მდგომარეობაში, დანაშაულის დამთავრების შემდეგ უძნელდება დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას. მაგ. პირი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში მძევალთა ხელში იმყოფება და ყოველდღიურად მას შეურაცხყოფას აყენებენ, ან მოსწავლე, რომელიც სხვა მოსწავლეებისაგან სისტემატიურად იჩაგრება. „ნასწავლი“ დაუხმარებლობის თეორიის თანახმად, დამნაშავე მსხვერპლზე სისტემატიური ამორალური, თუ უკანონო ქმედებების საფუძველზე მასში (მსხვერპლში) სპობს საკუთარი თავისადმი ნდობის გრძნობას და საკუთარი ღირსების დაცვის სურვილს, რაც აძლიერებს ალბათობას იმისას, რომ მოხდეს იგივე პირის (საკუთარი თავისადმი რწმენადაკარგულის) სხვებისაგან (რე)ვიქტიმიზაცია.[784]

13.6. მსხვერპლის მიერ დანაშაულის შეტყობინება

დაზარალებულის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისათვის დანაშაულის შეტყობინება კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია დანაშაულის თავიდან აცილების და დამნაშავეობასთან ბრძოლის კუთხით, ხოლო ვიქტიმოლოგიური კუთხით კი საინტერესოა, თუ რატომ ატყობინებს ან არატყობინებს დაზარალებული მომხდარი დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებს.

ამ საკითხის უკეთ გაგებისათვის მნიშვნელოვანია ჩატარებული კვლევების შედეგების გაცნობა. გერმანიის ქალაქ ბოხუმში 1975, 1986 და 1998 წელს ერთნაირი კითხვარით და ერთნაირი მეთოდით ჩატარდა დანაშაულის მსხვერპლის

[783]Seligman, M., 1992. თეორიის შესახებ ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 51.
[784]Schwind, H-D., 2008. S. 152.

გამოკითხვა.[785] ყველა ის რესპოდენტი, რომელმაც დააფიქსირა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში იგი ქურდობის მსხვერპლი გახდა და სამართალდამცავ ორგანოებს არ შეატყობინა, ვალდებული იყო მკვლევარების მიერ წინასწარ მომზადებული 16 სავარაუდო მიზეზიდან ერთი შემოეხაზა.

ბოხუმის კვლევების თანახმად, რესპოდენტთა მიერ ქურდობის სამართალდამცავი ორგანოებისათვის შეუტყობინებლობის მიზეზები იყო:

1. უმნიშვნელო ზარალი (40%);
2. შეტყობინების სავარაუდო უშედეგიანობა (20%);
3. ინტერესის არქონა (7%);
4. დამნაშავის შეცოდება (5%);
5. შეტყობინების შესაძლებლობის არცოდნა (4,5%);
6. გაწელილი (საგამოძიებო და სასამართლო) პროცესები (3%);
7. პრობლემის თვითონ გადაწყვეტა (1,5%);
8. პოლიციასთან ურთიერთობის სურვილის არქონა (2%);
9. პოლიციაში ქურდობის გაცხადებით მისთვის ბევრი დროის წართმევა (2%).

მნიშვნელოვანია ასევე იმის გარკვევა, თუ რა აიძულებს (უბიძგებს) დანაშაულის მსხვერპლს შეატყობინოს დანაშაულის ჩადენის შესახებ პოლიციას. ამ კუთხით ჩატარებულმა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა გერმანიაში დაადგინა, რომ დანაშაულის მსხვერპლი დანაშაულის ჩადენის შესახებ პოლიციას ატყობინებს, თუ (რომ):[786]

1. პოლიციისათვის დანაშაულის შეტყობინება აუცილებელია დაზღვევის თანხის ასაღებად;
2. პოლიციისათვის დანაშაულის შეტყობინება დაზარალებულს ეხმარება მოპარული ნივთის მაგივრად სხვა ნივთის მოთხოვნაში;
3. პოლიციისათვის დანაშაულის შეტყობინებით მოხდება დამნაშავე პირის დასჯა;
4. სხვის მიმართ აღარ ჩაიდინოს დამნაშავემ მსგავსი დანაშაული.

გარდა ამისა, შეატყობინებს თუ არა დაზარალებული პოლიციას ჩადენილი დანაშაულის შესახებ დამოკიდებულია:

1. დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე (იგულისხმება, როგორც მატერიალური ზარალი, ასევე მიყენებული ზიანი. დანაშაულის მცდელობის პოლიციაში გაცხადება ძალიან დიდი იშვიათობაა, სამაგიეროდ სხეულის დაზიანება, ყაჩაღობა მიეკუთვნებიან იმ სახის დანაშაულთა კატეგორიას, რომელთა პოლიციაში გაცხადება ყველაზე ხშირია);
2. დამნაშავის და დაზარალებულის ნიშნები (იგულისხმება, რომ თუ დანაშაულს ჩადიან ბავშვები ან მოხუცები, დაზარალებული ხშირად არ ატყობინებს პოლიციას. საგულისხმოა, რომ მოზარდები და მოხუცები შუახნის ადამინებისაგან განსხვავებით იშვიათად ატყობინებენ პოლიციას დანაშაულის ჩადენის შესახებ).[787]
3. დაზარალებულის და დამნაშავის ურთიერთობა (რაც უფრო ახლო ურთიერთობა აქვთ დაზარალებულს და დამნაშავეს, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ

[785]Schwind, H-D., 2008. S. 405.
[786]იგივე, გვ. 406.
[787]Kirchling, M., 1995. S. 217.

დანაშაული არ იქნას პოლიციაში გაცხადებული, ვინაიდან გაცხადებამ, შეიძლება ოჯახური მყუდროება დაარღვიოს და ხელი შეუშალოს ადამიანებს ურთიერთობაში);

4. მესამე პირის ზეგავლენა (შესაძლებელია დაზარალებულზე მესამე პირმა მოახდინოს ზეგავლენა და დაიყოლიოს დანაშაულის პოლიციაში გაცხადებაზე);

5. პოლიციისადმი დაზარალებულის შეხედულებაზე (თუ დაზარალებულს ადრე ჰქონდა ურთიერთობა პოლიციასთან და კმაყოფილი დარჩა მათთან ურთიერთობით, დიდი ალბათობა არსებობს იმის, რომ ასეთმა დაზარალებულმა კვლავ მიმართოს პოლიციას).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისე როგორც არ არსებობენ დაბადებით დამნაშავეები, ასევე არ არსებობენ დაბადებით დანაშაულის მსხვერპლნი. მაგრამ მაინც შეიძლება ადამიანთა ჯგუფების გამოყოფა, რომლებიც პროცენტულად ყველაზე ხშირად შეიძლება დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ. მომატებული მსხვერპლად გახდომის საშიშროება არსებობს სხვებისაგან იზოლირებულად მცხოვრებ და სოციალურად დაუცველ, დაბალი ფენების ადამიანებში.

დანაშაულის მსხვერპლთა დიდი ნაწილი დანაშაულის ჩადენამდე არიან ფსიქოლოგიურად შეშინებული, ისინი არ არიან თვითდაჯერებულები, რაც ხშირად პოტენციურ დამნაშავეს დანაშაულის ჩადენის სურვილს უჩენს.

მომეტებულ მსხვერპლთა კატეგორიას განეკუთვნებიან: მოხუცი ადამიანები, მოზარდები, ფიზიკურად გამორჩეული ადამიანები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ჰომოსექსუალები, პროსტიტუციის მიმდევრები და უცხოელები.

მსხვერპლის საქციელი კრიტიკულ სიტუაციაში შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. ყველაზე მისაღები საქციელი უნდა გამომდინარეობდეს დანაშაულიდან და დამ-ნაშავის პიროვნებიდან. მნიშვნელოვანია, რომ კრიტიკულ სიტუაციაში პოტენცი-ურმა მსხვერპლმა გამოიყენოს დამნაშავესთან კომუნიკაცია და სიტუაცია მართოს საღი აზრით, ცივი გონებით, ყოველგვარი ემოციების გარეშე.

თავი მეთოთხმეტე
დანაშაული

საზოგადოება თავისი ჩამოყალიბების პირველი ეტაპიდან იცნობს ისეთი სახის ქმედებებს, რასაც იგი დანაშაულს (ლათ. Crimen) უწოდებს. ამაზე მეტყველებენ მრავალი საუკუნის წინათ შექმნილი „ჰამურაბიის კანონები“, ანტიკური ტრაგიკომედიები, ძველი აღთქმა.[788] დანაშაულისადმი ადამიანების ინტერესი ყოველთვის დიდი იყო, ვინაიდან იგი მათი თანაცხოვრების ნაწილს წარმოადგენდა („არ არსებობს საზოგადოება დანაშაულის გარეშე“). დანაშაული ყოველთვის იყო მწერლების და პოეტების ინტერესთა სფერო. პირველი ქართული ნაწარმოები „შუშანიკის წამება“ დაწყებული მექრთამეობით, დამთავრებული მკვლელობით, მრავლად შეიცავს ისეთ ქმედებას, რაც დანაშაულს წარმოადგენს.

კრიმინოლოგიური თვალთახედვით პიტავალმა (Pitaval) თავის ნაშრომში: Causes celebres et interesantes (1735-1743) ერთ-ერთმა პირველმა სცადა აღეწერა დანაშაული.[789]

გერმანიაში 1828-1829 წლებში გამოქვეყნდა ფოიერბახის ნაშრომი (Aktenmäßige Darstellung merkwürdiger Verbrechen), რომელშიც ავტორი აღარ კმაყოფილდება უბრალო დანაშაულის აღწერით და ინტერესით აანალიზებს დანაშაულის ჩადენის შესაძლო მოტივებს და გამომწვევ მიზეზებს.[790] დანაშაული თავისი დიმენზიით ზოგადად მოიცავს უბრალო მსუბუქი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან (ქურდობა) ყაჩაღობამდე ან მკვლელობამდე ყველა ისეთ ქმედებას, რაც კანონის ნორმით არის აკრძალული.

14.1. დანაშაულის ცნება

დანაშაული თავისი გამოვლინებით მრავალგვარია, მისი შეფასება სხვადასხვა კულტურასა და საზოგადოებაში სხვადასხვაგვარია და მრავალი მეცნიერული დარგის კვლევის ობიექტს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, დანაშაულობის განსაზღვრა კრიმინოლოგიაში, ფილოსოფიაში, რელიგიაში, სოციოლოგიასა და სისხლის სამართალში სხვადასხვაგვარია. თითოეული ცნების ჩამოყალიბება დამოკიდებულია იმაზე, თუ დანაშაულის რომელი ნიშანი მიიჩნევა მოცემული მეცნიერებისათვის განმსაზღვრელ ფაქტორად.[791] მეცნიერული კუთხით დანაშაულის განსაზღვრების გარდა, სხვადასხვაგვარია ასევე დანაშაულის ცნება დროის, კულტურის და სოციალური სისტემის მიხედვით.[792] რაც დღეს დანაშაულად არის მიჩნეული, შესაძლებელია ხვალ აღარ იყოს დანაშაული, ან პირიქით,[793] თუმცა ერთი რამ უდავოა, როგორიც არის საზოგადოების განვითარების დონე, ისეთია დანაშაულობაზე მისი შეხედულება.[794]

დანაშაულის ცნების ჩამოყალიბების მცდელობების მიზანია საზოგადოებისათვის გასაგები გახადოს დანაშაული, როგორც აკრძალული და დასჯადი ქმედება, რომელიც ხელს უშლის მისი (საზოგადოების) წევრების მშვიდობიან თანაცხოვრებას და

---

[788]Kaiser, G. u.a. (Hrsg.), 1985. S. 503.
[789]Mergen, A., 1995. S. 162.
[790]იქვე.
[791]წულაია, ზ., 2005. გვ. 47; ღლონტი, გ. (რედ.), 2008, გვ. 42.
[792]Kaiser, G. u.a. (Hrsg), 1985. S. 503.
[793]იგივე, გვ. 504.
[794]გოძიაშვილი, ი., 2005. გვ. 160.

შეარჩიოს მისთვის კონტროლის შესაფერისი მექანიზმი. იმისათვის, რომ გასაგები გახდეს, თუ რა და როგორი მნიშვნელობისაა დანაშაული საზოგადოებისათვის, უნდა ვიცოდეთ რომელ ქმედებას და რატომ უწოდებენ დანაშაულს.

ქმედების კრიმინალიზაციის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც სწორი კრიმინალური პოლიტიკისა და დანაშაულის პრევენციისათვის, ასევე საზოგადოებაში სამართლიანობის დამკვირდების თვალსაზრისით, ვინაიდან იგი საზოგადოების ღირებულებებსა და მორალურ შეხედულებებზეა დამყარებული.[795]

14.1.1. დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ცნება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ქართულ სისხლის სამართალში დღეს მოქმედებს დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა: ქმედების შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა და ბრალი.[796]

ქმედების შემადგენლობა გულისხმობს, რომ პირის მიერ ჩადენილი ქმედება გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით.

მართლსაწინააღმდეგო არის პირის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება კულტურის ნორმებს. „მართლწინააღმდეგობა წმინდა ფორმალური ხასიათისაა და ის თავისი ბუნებით ობიექტურია, ანუ სამართალი ერთიან საზომს აწესებს ყველას მიმართ [ბრალისაგან განსხვავებით], იქნება მცირეწლოვანი, თუ ღრმად მოხუცებული, ავადმყოფი თუ ჯანმრთელი, გენიოსი თუ ჭკუასუსტი“.[797]

ბრალი არის „მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის“.[798] პირის ბრალეულობა გულისხმობს კანონმდებლის შესაძლებლობას ჰქონდეს პრეტენზია დამნაშავესთან, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. პრეტენზიის ქონა დამოკიდებულია პირის გონებრივ შესაძლებლობასთან, აღექვა მის მიერ ჩადენილი დანაშაული.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ბრალეულობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. თუმცა, არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალის გარეშე (სულით ავადმყოფის მიერ ჩადენილი დანაშაული), მაგრამ არ არსებობს ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარეშე. ბრალეულობაში ყოველთვის იგულისხმება მართლწინააღმდეგობა, ანუ სისხლის სამართლის კოდექსით აკრძალული ქმედების ჩადენა.

14.1.2. დანაშაულის სოციოლოგიური ცნება

დანაშაულის სოციოლოგიური განსაზღვრება სისხლსსამართლებრივ ნორმას ცვლის სოციალური ქცევის ნორმით. დანაშაულის სოციოლოგიური განმარტებისათვის მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკელმა სოციოლოგმა სელინიმ. მისთვის ადამიანები ცხოვრობენ ერთ კულტურაში, სოციალური ჯგუფები (ოჯახი, მეგობრები, სამსახური) თავიანთი წევრების ქცევას ზღუდავენ გარკვეული

[795]ქმედების კრიმინალიზაციის შესახებ ვრცლად იხ.: ბახტაძე, უ., 2016. გვ. 287 – 304.
[796]ტურავა, მ., 2013. გვ. 70; მჯედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2014. გვ. 45.
[797]გამყრელიძე, ო., 2005. გვ. 83.
[798]ტურავა, მ., 2013. გვ. 207.

ნორმებით, რომელთა მიზანია სოციალური ღირებულებების დაცვა. ერთი ქცევის ნორმა არის ერთი კონკრეტული „კანონი“, რომელიც კონკრეტულ ადამიანს, კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტული სახის ქცევის უფლებას ან უკრძალავს და ან აძლევს.[799] ადამიანები ქცევის ნორმებს არა მარტო სწავლობენ, არამედ გრძნობენ.[800] სელინის აზრით, ამ ნორმებს არც პოლიტიკური საზღვრები და არც საკანონმდებლო რეგულირება არ გააჩნიათ. ისინი არიან ყველგან სადაც ადამიანები ჯგუფების სახით გვევლინებიან. ამ [ჯგუფის თანაცხოვრების] ნორმებიდან გადახვევა არის დანაშაულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა.[801]

14.1.3. დანაშაულის სისხლისსამართლებრივ-სოციოლოგიური განმარტება

დანაშაულის სისხლისსამართლებრივ-სოციოლოგიური განმარტების მიხედვით, დანაშაული არის ანტისოციალური ქმედება, რომელზეც სახელმწიფო მკაცრი სანქციებით რეაგირებს.[802] ვურტენბერგის აზრით, დანაშაული გამომდინარეობს, როგორც ამა თუ იმ ერის სოციალ-ეთიკური ნორმებიდან, ასევე სახელმწიფო სისხლის სამართლის ნორმებიდან, რომლებიც ადგენენ კონკრეტული ქმედების დანაშაულებრივობას.[803]

14.1.4. დანაშაულის კრიმინოლოგიური განმარტება

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული კრიმინოლოგთა ერთი ნაწილი დანაშაულს განსაზღვრავს, როგორც *სოციალურად საშიშ ელემენტს*. მანჰაიმერის აზრით, თუ ადამინის ქცევა არ არის ანტისოციალური, მაშინ იგი არ შეიძლება დანაშაულად იქნეს მიჩნეული.[804] ქმედების ანტისოციალური ხასიათი არის ის ძირითადი ნიშანი, რომლითაც ქმედება დანაშაულად არის მიჩნეული.[805] მაგრამ თითოეული დანაშაულის სახიდან გამომდინარე ძნელია იმის დადგენა, არის თუ არა ეს ქმედება სოციალურად საშიში.[806]

კრიმინოლოგთა მეორე ნაწილი (ჰანს ფონ ჰენტიგი) თვლის, რომ განსაზღვრება დამოკიდებულია დემოკრატიული მმართველობის დროს მოსახლეობის უმრავლესობაზე და დიქტატურის შემთხვევაში ერთპიროვნული მმართველის შეხედულებაზე. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ამა თუ იმ ჯგუფის მიერ ჩადენილ ქმედებას ან თვითონ საზოგადოდ ქმედებას მიიჩნევენ დანაშაულად და განსაზღვრავენ დასჯის ზომებს.[807] დანაშაულის ამგვარ განმარტებას შნაიდერი ფსიქო-სოციალურ-დინამიკურ, რეალისტურ ცნებას უწოდებს.[808]

---

[799]Schneider, H. J., 1987. S. 69.
[800]იქვე.
[801]Schneider, H. J., 1987. S. 69; Mergen, A., 1995. S. 22.
[802]Schneider, H. J., 1987. S. 69.
[803]Würtenberger, Th., 1957. S. 39.
[804]Mergen, A., 1995. S. 21; მაცაბერიძე, ზ., 2008. გვ. 48.
[805]Mergen, A., 1995. S. 21
[806]Kaiser, G., 1996. S. 319.
[807]Schneider, H. J., 1987. S. 74.
[808]იქვე.

14.2. დანაშაულის განმარტების ცვალებადობა

დანაშაული, როგორც გამოხატულების ფორმა არ არის უცვლელი. იგი უფრო იმაზეა დამოკიდებული თვლის თუ არა სახელმწიფო კონტროლი ამა თუ იმ ქმედებას დასჯად. დანაშაულებრივ ქმედებაზე, რომ მოხდეს სასჯელის გაუქმება, იგი აღარ ჩაითვლება დანაშაულად.

მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი დანაშაულის ცალკეული ფორმების გაგება, თუ გათვალისწინებული იქნება ჩადენილი დანაშაულის მოტივებიდან და ხერხებიდან გამომდინარი, სისხლისსამართლებრივი ნორმის განვითარება (მაგ. ბოლო წლებში გახშირებულმა ავტოსანტრასპორტო ქურდობის ფაქტებმა, აიძულა კანონმდებელი შეეცვალა და ცალკე ჩამოეყალიბებინა ავტოსატრანსპორტო საშუალებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული (მუხლი 177 მე-3 ნაწილის დ. პუნქტი, ცვლილების თარიღი 2006 წლის 29 დეკემბერი).

nullum crimen sine lege – არავითარი დანაშაული კანონის გარეშე.[809] ამ გამოთქმიდან თუ ვიმსჯელებთ არ შეიძლება არცერთი ქმედების დასჯა, თუ არ არსებობს ამ ქმედების შესახებ კანონიერი საფუძველი. მაგრამ გაუგებარი რჩება, თუ რატომ არის ესა თუ ის ნორმა დღეს სავალდებულო, ხოლო ხვალ ძალადაკარგული. დანაშაულის განსაზღვრების დროს საქმე გვაქვს მის „მოძრავ პროცესთან". იმის მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემოა სახელმწიფოში იცვლება მისი განსაზღვრებაც, რაც ხშირ შემთხვევებში ადამინთა ბედის გაუარესებას ან გაუმჯობესებას უკავშირდება.

დანაშაულის განსაზღვრების ცვალებადობის პირველი მაგალითია თვითმკვლელობა, რომელიც ჩ. წ. აღრიცხვამდე მე-6 საუკუნემდე თავისუფალი მოვლენა იყო, ანუ იგულისხმებოდა, რომ თუ ადამიანს შეეძლო თავი მოეკლა, იგი თავისუფალი პიროვნება იყო. ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ ბევრ სახელმწიფოში თვითმკვლელობა დანაშაულად იქნა მიჩნეული, რომელიც სხვადასხვა სახის სასჯელით ისჯებოდა (თვითმკვლელობის ჩამდენი პირის უღირსი დაკრძალვა ან მისთვის ქონების ჩამორთმევა).

მართალია, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თვითმკვლელობა ან თვითდაზიანება არ იწვევს სასჯელს, მაგრამ ასევე თითქმის ყველა საზოგადოება მიიჩნევს თვითმკვლელობის ფაქტს ანომალიად და მიუღებლად.

დანაშაულის ცვალებადობის მეორე მაგალითია დანაშაულები პოლიტიკური მოტივით, რომლებიც სხვა დანაშაულებთან შედარებით უფრო ხშირად იცვლება. საქართველოში ღალატად იყო მიჩნეული საქართველოს „მოქალაქეობაზე" – ანუ ქართველობაზე ან მართმადიდებლურ რწმენაზე უარის თქმა და პირი გარკვეული „სასჯელით" ისჯებოდა (სულხან-საბა ორბელიანი). ახლა ქვეყნის მოქალაქეობის დატოვება არავითარ სამართლებრივ პრობლემას არ წარმოადგენს. საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსით ღალატად იყო მიჩნეული სამხედრო სამსახურისათვის უარის თქმა ან თავის არიდება, დღეს შესაძლებელია ალტერნატიული სამსახურის მოხდა. ამავე კოდექსით აკრძალული იყო სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული დემონსტრაციების მოწყობა, რაც დღეს არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს და სიტყვის თავისუფლებად მიიჩნევა.

---

[809] კაპანაძე, ნ./კვაჭაძე, მ., 2008. გვ. 59.

14.3. დანაშაულის ტიპოლოგია პინატელის მიხედვით

პინატელი (Pinatel) გამოყოფს დანაშაულის ოთხ კატეგორიას:[810] 1) პრიმიტიული დანაშაულები; 2) უტილიტარული დანაშაულები; 3) ფსევდო-სამართლიანი დანაშაულები და 4) ორგანიზებული დანაშაულები.

1) პრიმიტიულ დანაშაულებში მოიაზრება ისეთი დანაშაული, რომლის ჩადენაზე გადაწყვეტილება დამნაშავემ იმწუთიერად, უცბად მიიღო; ან გამოხატავს დამნაშავის პრიმიტიულ რეაქციას ან იმპულსურობას. ასეთი ხასიათის დანაშაულებად ძირითადად მიჩნეული უნდა იქნეს მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულები;

2) უტილიტარული ანუ თავის სასარგებლო დანაშაულების კატეგორიას განეკუთვნებიან ისეთი დანაშაულები, რომლებიც ჩადენილია კრიზისულ სიტუაციაში. ასეთია ეკონომიკური ხასიათის დანაშაულები, თუ ისინი არ არიან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი; აგრეთვე ისეთი ძალადობრივი ხასიათის დანაშაულები, რომლებიც კრიზისულ სიტუაციაში ჩაიდინა დამნაშავემ, მაგ. ოჯახური კონფლიქტის დროს;

3) ფსევდო-სამართლიან დანაშაულებს დამნაშავე ჩადის სამართლიანობის აღდგენის მიზნით. დამნაშავე თავად იღებს მოსამართლის ფუნქციას და ცდილობს საკუთარი სამართლიანობის თუ უსამართლობის წარმოდგენით აღადგინოს დანაშაულამდე არსებული მდგომარეობა. ასეთ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება სამართლიანობის აღდგენის სურვილით შურისძიების ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულები, ან დანაშაულები, რომლებზეც დამნაშავე (წარსულში მსხვერპლი) ფიქრობს, რომ სახელმწიფო მის სამართლიანობას ვერ აღადგენს;

4) ორგანიზებული დანაშაულები, რომლებიც ძირითადად ჩადენილია მოგების მიღების მიზნით და რომელიც პროფესიონალი დამნაშავის დაგეგმილია. დანაშაულის ორგანიზება და შესრულება ხშირად მიუთითებს დამნაშავის პროფესიონალიზმზე.[811]

14.4. დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებელი

საქართველოს შსს-ს ინფორმაციული უზრუნველყოფის და ანალიზის სამმართველოს მონაცემებით ბოლო წლების განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის და მათი გავრცელების მიხედვით, შემდეგი სურათი ფიქსირდება:

დანაშაულის სახეობა	**2007 წელი**	**2008 წელი**	**2010 წელი**	**2015 წელი**
დანაშაულის რაოდენობა	54 746	44 644	34 739	35 096
გავრცელებული დანაშაულები: დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ	18 586 = 34%	14 814 = 33%	11 371 = 33%	12914 = 36,9%
ნარკოტ. ნივთ. უკან. რუნვა	8 493 = 15,5%	8 699 = 19,5%	5 098 = 15%	5 126 = 14,6%
ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუ. წესების დარღვევა	2 747 = 5%	3 072 = 6%	2 607 = 7,5%	3 182 = 9%
თაღლითობა	2 222 = 4%	1 844 = 4%	1 326 = 3,8%	1 168 = 3,3%
ძარცვა	1 615 = 3%	1 167 = 2,6%	638 = 1,8%	437 = 1,2%

[810]Pinatel, J., 1975. S. 464.
[811]Mergen, A., 1995. S. 157

შსს-ს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2008 წელს 2007 წელთან შედარებით რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობამ იკლო 10 102 ერთეულით, ხოლო 2010 წელს 2008 წელთან შედარებით 9 905 ერთეულით. 2015 წელს დაფიქსირდა 35 096 დანაშაული. საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან (სავარაუდოდ 3,8 მილიონი) შედარებით შსს-ს სტატისტიკური სამსახურის მიერ დაფიქსირებული დანაშაულის საერთო რაოდენობა მაინც მაღალია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ლატენტური დანაშაულის რაოდენობა 3-ჯერ, 4-ჯერ უფრო მაღალია ოფიციალურ მონაცემებზე. 2015 წლის ბოლოს მსჯავრდებულთა და ბრალდებულთა სახით პატიმრობაში იმყოფებოდა 9 716 პირი, რაც 100 ათას მოსახლეზე 260 პატიმარს შეადგენს, რაც ასევე საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

შსს-ს სტატისტიკური მონაცემებით ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულთა სახეს მიეკუთვნება ისეთი დანაშაულები, რომლებიც ეკონომიური შემოსავლის მიღებისათვის არიან გამიზნულნი. ასეთებია: ქურდობა, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვა, თაღლითობა, ძარცვა. ბოლო წლებში იმატა თაღლითობის გზით დანაშაულის მსხვერპლის მკვეთრმა ზრდამ. ხშირად ერთ თაღლითობის შემთხვევას რამდენიმე ათეული მსხვერპლი ჰყავს. 2016 წელს საფინანსო-საკრედიტო კომპანია „საქართველოს“ საქმიანობით მსხვერპლი გახდა ორი ათასზე მეტი ადამიანი.

რაც შეეხება სანტრანსპორტო დანაშაულს (სსკ 276-ე მუხლი), მისი ყველაზე გავრცელებულ დანაშაულთა სიაში მესამე ადგილზე მოხვედრა, შესაძლებელია განპირობებული იყოს: 1. ბოლო წლებში ავტომობილების რაოდენობის მკვეთრი ზრდით; 2. ავტომობილების ტექნიკური გაუმართაობით; 3. მძღოლების უპასუხისმგებლობით (ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვა); 4. საპატრულო პოლიციის მხრიდან კონტროლის გაზრდით (სათვალთვალო კამერები); 5. ქვეყანაში ტექნიკური დათვალიერების არარსებობით; 6. საავტომობილი გზების გაუმართაობით; 7. შემთხვევების სრულყოფილად აღრიცხვით.

გარდა ამისა, ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს მძღოლების მიერ ავტომობილის მცდარი შეფასება. კერძოდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მძღოლი უცხოური მარკის ავტომობილის სიჩქარეს სათანადოდ ვერ აფასებს, გაუმართავ გზაზე სწრაფად მიდის, ვერ გრძნობს ავტომობილის მიერ განვითარებულ მაღალ სიჩქარეს (ცნობილია, რომ უცხოური მარკის ავტომობილზე საბჭოთა წარმოების ავტომობილებთან შედარებით მაღალი სიჩქარე ნაკლებად იგრძნობა), ვერ იმორჩილებს ავტომობილს და ავტოავარიას ახდენს.

14.5. დანაშაულის პროგნოზი

დანაშაულის პროგნოზი ყველაზე რთულ საკითხს წარმოადგენს კრიმინოლოგიაში. პროგნოზის სირთულე გამოწვეულია ადამიანის ქმედების კომპლექსურობით. ადამიანის დანაშაულებრივი ქმედება ბევრ გარეგან თუ შინაგან ფაქტორზეა დამოკიდებული და ხშირად, ასეთი ფაქტორების ერთად თავმოყრა იწვევს დანაშაულს.

გლუკებმა შექმნეს სოციალურ ფაქტორებზე დანაშაულის პროგნოზის სქემა მოზარდებისათვის. სქემის მეშვეობით შეიძლება ხუთ სოციალურ ფაქტორზე დაყრდნობით წინასწარ მოხდეს მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენის პროგნოზი.

გლუკების მიერ შექმნილი დანაშაულის პროგნოზის სქემა ასე გამოიყურება:[812]

სოციალური ურთიერთობები	**წონადი ქულები**
1. აღზრდა მამის მიერ:	
ა) ზედმეტად მკაცრი და არათანაზომიერი	72,5
ბ) უყურადღებო	59,8
გ) მყარი, მაგრამ მეგობრული	9,3
დედის მეთვალყურეობა:	
ა) არასაკმარისი	83,2
ბ) ნაწილობრივ საკმარისი	57,5
გ) კარგი	9,9
3. მამის დამოკიდებულება:	
ა) სულერთი (ინდიფერენტული) ან მტრული	75,9
ბ) თბილი (ზედმეტად ყურადღებიანი)	33,8
4. დედის დამოკიდებულება:	
ა) სულერთი (ინდიფერენტული) ან მტრული	86,2
ბ) თბილი (ზედმეტად ყურადღებიანი)	43,1
5. ოჯახის სიმტკიცე:	
ა) დეზორგანიზირებული	96,9
ბ) ნაწილობრივი სიმტკიცე	61,3
გ) მყარი	0,6

კრიმინალურობის ალბათობის ცხრილი:

წონადი ქულები	**კრიმინალურობის ალბათობა**	**არაკრიმინალურობის ალბათობა**
200 ქულის დაბლა	8,2%	91,8%
200-249	37,0%	63,0%
250-299	63,5%	36,5%
300 ქულა და ზემოთ	89,2%	10,8%

სოციალური ურთიერთობების ქულათა ჯამი თუ 300-ს აღემატება, დანაშაულის ჩადენის ალბათობა 89,2%-ია. მაგალითად, თუ მოზარდის ცხოვრებაში მამა ზედ-მეტად მკაცრი და არათანაზომიერია მოზარდი მიიღებს 72,5 წონად ქულას, თუ იგი (მამა) ამავე დროს ინდიფერენტულია - 75,9 წონად ქულას, დედა არასაკმარისად მეთ-ვალყურეობს მოზარდს - 83,2 წონად ქულას - და თბილია - 43,1 წონად ქულას, ხოლო ოჯახი დეზორგანიზებულია - 96,9 წონად ქულას, მაშინ მოზარდს 371,6 წონადი ქულა უგროვდება და მის მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობა 89,2%-ზე მეტია და ძალიან მაღალია.[813]

[812]შალიკაშვილი, მ./ჩიხლაძე, დ., 2013. გვ. 29.
[813]იქვე.

14.6. დანაშაულისა და მართლმსაჯულების ეკონომიკური ანალიზი

სამართლის ეკონომიკური ანალიზი[814] სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფოს კრიმინალური პოლიტიკას ისევე აქვს ფულთან ურთიერთობა, როგორც უმუშევრობასთან ბრძოლას ან მოსახლეობის ჯანმრთელობის პოლიტიკას, თუმცა სხვა უწყებებთან შედარებით კრიმინალური პოლიტიკის ხარჯებზე საუბარი ტაბუდადებულია.[815]

დანაშაულის ეკონომიკა არის სამართლის ეკონომიკური ანალიზის ნაწილი, რომლის მიზანია შეისწავლოს ქვეყნის ეკონომიკაზე სამართლის (სამართლის ნორმების) ზემოქმედების პირობები.[816]

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს დანაშაულის ეკონომიკური ანალიზი, პირველ რიგში, უნდა გაირკვეს რას ნიშნავს ეკონომიკა და სამართლის ეკონომიკური ანალიზი.

ეკონომიკა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. ისეთი ცნებების გარეშე როგორიცაა ფული, ინფლაცია, უმუშევრობა, ბირჟა, ბიზნესი წარმოუდგენელია ცხოვრება. მდგრადი ეკონომიკა არის ნებისმიერი ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტაბილურობის აუცილებელი კომპონენტი. ეკონომიკა (ბერძნული სიტყვაა და გულისხმობს საოჯახო მმართველობას) არის სოციალური მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საქონლისა და მომსახურების წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას.[817] გლობალიზაციის პირობებში რესურსების განაწილება არის მსოფლიო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი, რაც ხშირად იწვევს კონფლიქტებს. ცნობილი გერმანელი პროფესორის ჰანს-იორგ ალბრეხტის აზრით,[818] მსოფლიოში მინდინარე დიდი კონფლიქტების ძირითადი მიზანი ბუნებრივი რესურსების (ნავთობი, გაზი, ძვირფასი წიაღისეული და ნარკოტიკული ნივთიერებები) მოპოვების და გამოყენების უფლებასთან არის დაკავშირებული. ეკონომიკური რესურსების მოპოვება და კონკურენტების ჩამოცილება არის ხშირად კონფლიქტების წარმოშობის მიზეზი[819] (ერაყის, ავღანეთის ომები, რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტი).

სწორედ ბუნებრივი და/ან სახელმწიფო რესურსების გააზრებული მოხმარება ითვლება ქვეყნის განვითარების აუცილებელ პირობად. აღნიშნული რესურსის სწორი და მიზნობრივი მართვა და მოხმარება არის ეკონომიკური ანალიზის ძირითადი მიზანი.

სამარლის ეკონომიური ანალიზი კი, თავის მხრივ, გულისხმობს სამართლის ნორმის შემოწმებას მისი გამოყენების ეკონომიკურ ხასიათზე.[820] კრიმინალური კუთხით „სამართლის ეკონომიურ ანალიზს აინტერესებს იურიდიული სანქციების

---

[814]სამართლის ეკონომიკური ანალიზი არის ცალკე დისციპლინა და მისი უფრო ღრმა განხილვა სცილდება მოცემული ნაშრომის ფარგლებს, თუმცა ქვეყნის მართლმსაჯულებაში დღეს არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე აუცილებლად ჩავთვალეთ სამართლის ნორმის გამოყენების ეკონომიკურობაზე მკითხველისათვის მწირე, მაგრამ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება.

[815]Schellhoss, H., 2004. S. 8.

[816]ხუბუა, გ., 2004. გვ. 111.

[817]სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. გამოცემაზე პასუხისმგებელი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია). 2011. გვ. 60.

[818]Albrecht, H-J., 2007, S. 153-169.

[819]იგივე, გვ. 158.

[820]Koebler, G.,1997. S. 283.

[მათ შორის სასჯელის] აღსრულებაზე გაწეული დანახარჯები".[821] მისი კვლევის საგანია იმის დადგენა, თუ რამდენად არის შესაძლებელი სანქციის მიზნები, დანაშაულთან ბრძოლა და ზოგადად მართლმსაჯულება განხორციელდეს მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით. დანახარჯში შეიძლება ჩაითვალოს როგორც ადამიანური და დროის რესურსის გამოყენება, ასევე წმინდა სახის ფინანსური ხარჯის გაწევა. მაგ.: პირმა ჩაიდინა 160 ლარის ღირებულების მქონე ნივთის ქურდობა (სსკ 177-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" ქვეპუნქტი) და სასამართლომ მას მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. სამართლის ეკონომიური ანალიზით ნათელი გახდება, რომ მსჯავრდებულის შენახვა სახელმწიფოს ამ ოთხი წლის განმავლობაში დაუჯდება დღეში 23 ლარი,[822] თვეში 690 ლარი, წელიწადში კი 8 280, ხოლო თუ იგი ბოლომდე მოიხდის სასჯელს 4 წლის განმავლობაში მისი შენახვა სახელმწიფო ბიუჯეტს 33 120 ლარი დაუჯდება. ანუ დანაშაულებრივი ქმედება, რომელმაც 160 ლარის ზარალი გამოიწვია, სახელმწიფოს კიდევ დამატებით აყენებს 33 120 ლარის ზარალს (რა თქმა უნდა თუ მსჯავრდებული არ იქნა შეწყალებული ან პირობით ვადამდე გათავისუფლებული).

სანქციებთან დაკავშირებით სამართლის ეკონომიკური ანალიზის გამოყენების დროს, გათვალისწინებული უნდა იქნას დანაშაულებრივი ქმედების საზოგადოებრივი ინტერესი. მართლმსაჯულების ორგანოები ვალდებულნი არიან თითოეული სისხლის სამართლის საქმე შეისწავლონ და გაანალიზონ ეკონომიკური რესურსების გამოყენების და ქმედების და დამნაშავის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით. სანქცია უნდა იყოს ისეთი სახის, რომ მისი გამოყენებით სახელმწიფომ დახარჯოს მცირე რესურსი და მიიღოს (რაც შეიძლება) კარგი შედეგი (მსჯავრდებულის რესოციალიზაცია).

სამართლის ეკონომიური ანალიზით ნათელი ხდება, რომ მაღალი ზომის სასჯელი დიდ ეკონომიურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და ეწინააღმდეგება სასჯელის მაქსიმალურად ნაკლები დანახარჯებით აღსრულების (განხორციელების) პრინციპს. ცნობილია, რომ მკაცრი სასჯელების გამოყენება ძვირად ღირებულია და დამნაშავის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას იწვევს.[823] ამიტომ მოძიებული და გამოყენებული უნდა იქნას სხვადასხვა სახის ალტერნატიული ღონისძიებები, სანქციები, რათა შემცირდეს ციხეში მსჯავრდებულთა რაოდენობა და შესაბამისად, სხელმწიფოს მხრიდან გაწეული დანახარჯი. სხვა მდგომარეობა იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულები დასაქმებულნი იქნებოდნენ ციხის პირობებში და მათ მიერ შექმნილი პროდუქცია გარკვეულ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა, როგორც თავად მსჯავრდებულს, ასევე ქვეყანას და აისახებოდა მათ ბიუჯეტზე.

მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირების და არსებული პრობლემის კარგად მოგვარება შესაძლებელია, თუ შეიცვლება (გადაიხედება) სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელთა სისტემა და იგი გახდება უფრო ლიბერალური. უფრო ხშირად გამოიყენება სასჯელის სხვა ფორმები, მათ შორის საზაგადოებისათვის სასარგებლო შრომა. ამ მხრივ სახელმწიფოს შეუძლია იმ

[821]ხუბუა, გ., 2004. გვ. 111.
[822]შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 159.
[823]ლეკვეიშვილი, მ./შალიკაშვილი, მ. (რედ.), 2011. გვ. 35.

ფირმებისათვის ვინც დაასაქმებს მსჯავრდებულს დაადგინოს გადასახადების შემცირება. მაგ. თუ სახელმწიფოს მსჯავრდებული ყოველთვიურად 690 ლარი უჯდება, მას (სახელმწიფოს) შეუძლია ფირმებს, რომლებიც დაასაქმებენ მსჯავრდებულებს შეუმსუბუქოს გადასახადი 100 ლარით. ამით სახელმწიფო:

1. თავიდან აიცილებს მსჯავრდებულის ციხის პირობებში შენახვის ხარჯებს (თვეში მინიმუმ 690 ლარს ერთ მსჯავრდებულზე);

2. მოახდენს კერძო ფირმების აქტიურ ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში;

3. მოხდება მსჯავრდებულის დასაქმება (რესოციალიზაცია);

4. მსჯავრდებულს შეექმნება იმის შესაძლებლობა, რომ დასაქმების პერიოდში თავის გამოჩენის შემთხვევაში დარჩეს ფირმაში და გააგრძელოს მუშაობა სასჯელის მოხდის შემდეგ;

5. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხსნება გადატვირთულობის პრობლემა, რაც თავისთავად გააუმჯობესებს ციხეებში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას და ადამიანის უფლებების დაცვას.

სამართლის ეკონომიკური ანალიზის თვალსაზრისით მომგებიანად უნდა ჩაითვალოს ისეთი საპროცესო შეთანხმების გაფორმება, რომელსაც თავისუფლების აღკვეთა არ ახლავს, რადგან ნაკლები ადამიანური, დროის და ფინანსური რესურსი[824] იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ასევე მომგებიანია მედიაციის და განრიდების პროგრამები.[825]

გარდა სამართლის ნორმის ეკონომიკური ანალიზისა, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ასევე საინტერესოა დანაშაულის ეკონომიკური ანალიზი, ანუ ეკონომიკური თვალთახედვით როგორ უყურებს დამნაშავე დანაშაულის ჩადენას.

გარი ბეკერის მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის თანახმად,[826] დამნაშავე ისევე აკეთებს კალკულაციას ჩადენილი დანაშაულიდან მიღებული მოგების და დახარჯული დროის თუ ხარჯების შესახებ, როგორც ჩვეულებრივი მომუშავე ადამიანი.[827]

თუ დანაშაულის ჩადენით მიღებულ შემოსავალს გამოვაკლებთ დანაშაულის ჩადენისათვის საჭირო თანხას (ქმედების ჩასადენად საჭირო იარაღის შეძენა) და გამოვაკლებთ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს და მიღებული შემოსავალი იმაზე დიდია, ვიდრე ალტერნატიული (არადანაშაულებრივი) გზით მიღებული შემოსავალი, მაშინ არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ პიროვნებამ დანაშაული ჩაიდინოს. ხოლო თუ დანაშაულებრივი გზით მიღებული მოგება, ალტერნატიული (არადანაშაულებრივი) გზით მიღებულ შემოსავალზე ნაკლებია, მაშინ პირი დანაშაულის ჩადენაზე უარს იტყვის.[828] ემპირიულად იმის დადგენა თუ რამდენად აკეთებს დამნაშავე დანაშაულის ეკონომიკურად კალკულაციას მეტად რთულია. ასეთი დათვლა დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული სარგებლიანობისა და ხარჯების შესახებ შესაძლებელია დანაშაულებრივმა ჯგუფმა გააკეთოს და არა ინდივიდუალურმა დამნაშავემ.

---

[824]აქუბარდია, ი., 2011. გვ. 205.

[825]განრიდება/მედიაციის ეკონომიკური ანალიზის დადებითი მხარეები იხ.: შალიკაშვილი, მ., 2013. გვ. 160,161.

[826]Becker, G., 1968. p. 169.

[827]იხ. აგრეთვე: ბალარჯიშვილი, ი., 2010. გვ. 34.

[828]Kunz, H., 1993. S. 181-206.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სამართლის ნორმის ეკონომიკური ანალიზი მიზნად ისახავს ნორმის გამოყენების ხარჯების დადგენას, რათა მაქსიმალურად ნაკლები ხარჯებით იქნეს მიღწეული ნორმის მიზანი, ხოლო დანაშაულებრივი ქცევის ანალიზისადმი ეკონომიკური მიდგომა ყურადღებას ამახვილებს დანაშაულიდან მოსალოდნელ ხარჯებსა და სარგებლიანობაზე.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ცნების ჩამოყალიბება რამდენიმე ასპექტზეა დამყარებული. ჰეგელის აზრით, დანაშაულის განმარტება უნდა მოხდეს ქვეყნის კულტურიდან გამომდინარე.[829] ეს აზრი რა თქმა უნდა სწორია, მაგრამ იგი დაკონკრეტებას მოითხოვს, რადგან ერთი კულტურის მქონე ადამინების მიერ ჩადენილი დანაშაული შეიძლება სრულიად განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. დანაშაულის განმარტების კულტურულ მხარეს აუცილებლად უნდა დაემატოს ქვეყნაში გავრცელებული სოციალური ქცევის წესები ანუ ის ნორმები, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობის მიერაა აღიარებული.

ქვეყნის კულტურული და სოციალური ქცევის წესებიდან გამომდინარე, რასაც თან ერთვის სახელმწიფო ხელისუფლების კრიმინალური პოლიტიკა, შეიძლება დანაშაულის დროებითი განმარტების ჩამოყალიბება.

[829]Kaiser, G. u.a. (Hrsg), 1985. S. 507.

თავი მეთხუთმეტე
დამნაშავე

კრიმინოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს დანაშაულის ჩამდენი პირის – დამნაშავის - კვლევა. დამნაშავის პიროვნების კვლევა გამოწვეულია, როგორც საზოგადოებრივი ინტერესის დასაკმაყოფილებლად (ვინ ჩადის ასეთ დანაშაულს?), ასევე დანაშაულის სისხლის სამართლებრივი შეფასებისათვის.[830] სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის დამნაშავეა სწორედ ის პირი, რომლის ქმედების შედეგად აქტიობაში მოდის სისხლის სამართლის ნორმა. დამნაშავის მიერ ჩადენილი ქმედება წარმოქმნის მთელ რიგ სისხლისსამართლებრივ პროცედურებს, რომელთა დადგენა მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის საქმეზე ობიექტურობის დადგენის და დამნაშავის რესოციალიზაციის თვალსაზრისით. ეს პროცედურებია: დამნაშავის ქმედების საფუძვლები, დანაშაულის ჩადენის მოტივი, დამნაშავის მიერ სხვაგვარად ქმედების შესაძლებლობის დადგენა, მომავალში სხვა დანაშაულების ჩადენის ალბათობა, დამნაშავეზე სასჯელის ზემოქმედება.

დამნაშავეზე ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული კუთხით დაკვირვება ხელს უწყობს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ბრალეულობის და მის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსების საკითხის გარკვევას.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს თუ ვინ არის დამნაშავე პირი, საჭიროა მისი ცნების ჩამოყალიბება.

სისხლის სამართლის მიხედვით, დამნაშავეა პირი, თუ იგი ჩაიდენს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ბრალეულ და მართლსაწინააღმდეგო ქმედებას.

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით, დანაშაულის ჩამდენი პირი არის ადამიანი, რომელიც ბრალეულია სისხლის სამართლის კანონით აკრძალული მართლსაწინააღმდეგო ანუ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენაში და რომელსაც ეკისრება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.[831]

კრიმინოლოგიურ და სისხლის სამართლებრივ დამნაშავის ცნებას შორის გარკვეული განსხვავება არსებობს. მაგალითად:

1. კრიმინოლოგიისათვის ისეთი მნიშვნელოვანი არ არის დამნაშავის ასაკის დადგენა, როგორც სისხლის სამართლისათვის, რომლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედებისათვის სწორედ დამნაშავის ასაკით განისაზღვრება. თუმცა, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ანალიზი ხდება იმ პირების მიერ ჩადენილი ქმედებებისა, რომლებსაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისათვის ჯერ არ მიუღწევიათ;

2. კრიმინოლოგიისათვის მნიშვნელოვანი არ არის ის გარემოება, არის თუ არა ქმედება სისხლის სამართლის ნორმით დასჯადი. კრიმინოლოგია სწავლობს ადამიანის მიერ განხორციელებულ ისეთი სახის ქმედებებსაც, რომლებიც სს კოდექსით დასჯადად არ არის გამოცხადებული, მაგრამ შეიცავს საფრთხეს დარღვეულ იქნას საზოგადოებრივი თანაცხოვრება და კვლავ მოხდეს იგივე პირის მიერ უკვე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. მაგ. ნარკოტიკული საშუალებების პირველადი მოხმარება, ალკოჰოლიზმი, სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობის წესების ხშირი დარღვევა;

---

[830]Meier, B.-D., 2007. S. 140.

[831]წულაია, ზ., 2005. გვ. 77.

3. სისხლის სამართალი მაშინ ახსენებს პირს თავს, როცა მისი ნორმა არის დარღვეული. კრიმინოლოგიას სურს მანამ გამოავლინოს და „უმკურნალოს“ პირს, სანამ იგი დანაშაულს ჩაიდენს.

სახელმწიფოს, როგორც კანონმდებლის და დამნაშავე პირის ურთიერთობა ემსახურება დანაშაულის თავიდან აცილებას.[832] სწორედ დანაშაულის თავიდან აცილება არის კრიმინოლოგიის და დამნაშავე პირის ურთიერთობის (დამნაშავის კრიმინოლოგიური კვლევის) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, დამნაშავის რესოციალიზაციის ღონისძიებების შემუშავებასთან ერთად.

მრავალწლიანმა კრიმინოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ყოველი მეათე მოზარდი ერთხელ მაინც ჩადის დანაშაულს, თუმცა ამ დანაშაულების მხოლოდ ერთი მესამედი თუ ხდება პოლიციისათვის ცნობილი და უფრო ცოტა პირის დადგენა შეუძლია პოლიციას ბრალდებულის სახით.

დამნაშავის კრიმინოლოგიური კვლევისათვის უფრო მნიშვნელოვანია, იმ პირების იდენტიფიკაცია და რესოციალიზაცია, რომლებიც რამდენიმე დანაშაულს ჩაიდენენ. მოზარდები, რომლებიც სერიულად, ანუ სისტემატიურად ჩადიან დანაშაულს დიდი საფრთხის წინაშე დგანან, რომ მათგან ჩამოყალიბდეს ნამდვილი დამნაშავე და ადგილი ჰქონდეს კრიმინალურ კარიერას (ცხოვრების გზა, რომელიც დანაშაულებრივი ქმედებებით თავის რჩენაზეა დამყარებული).

სწორედ ამიტომ, მართებული იქნება ისეთ დამნაშავეებზე აქცენტირების გაკეთება, რომლებმაც რამდენიმე დანაშაული ჩაიდინეს (სერიული დამნაშავე) და უფრო მაღალი ალბათობა არსებობს იმის, რომ ისინი კრიმინალურ კარიერას დაადგებიან და საშიში გახდებიან საზოგადოებრივი თანაცხოვრებისათვის.

15.1. სერიული დამნაშავის პიროვნული და სოციალური პროფილი

15.1.1. პიროვნული პროფილი

კრიმინოლოგიური თეორიების საფუძველზე გაკეთებული ანალიზი ცხადყოფს, რომ სერიულ დამნაშავეებს ჩვეულებრივ, უბრალო და შესაძლებლობებზე (ქურდობს, თუ დაინახა, რომ მეპატრონეს საგანი გარეთ უმეთვალყურეოდ დარჩა) დამყარებულ დამნაშავეებთან შედარებით განსხვავებული პიროვნული პროფილი გააჩნიათ.[833] მათ შორის არის მათი ინტელექტუალური დონე და იმპულსურობა.

15.1.1.1. ინტელიგენტობა

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა ცხადყო, რომ დამნაშავის ინტელიგენტობასა და მის მიერ დანაშაულის ჩადენას შორის გარკვეული კავშირი არსებობს. დამნაშავეების ინტელიგენტობის დონე (ქვოტა) უფრო დაბალია, ვიდრე არა დამნაშავე პირების. აღნიშნული არ გულისხმობს, რომ დამნაშავეები დებილები ან ჭკუა სუსტები არიან და არ შეუძლიათ სისხლის სამართლის ნორმების დაცვა.

ეტიკეტირების თეორია ინტელიგენტობის დაბალ დონეს ხსნის დამნაშავის ეტიკეტირებიდან წამოსულ საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებაზე, რომელიც პირველ რიგში მის სწავლაზე აისახება. მაგალითად, პირს, რომელიც დაკავებულ

---

[832]ნაჭყებია, გ., 2004. გვ. 117.
[833]Meier, B.-D., 2007. S. 151.

იქნა პოლიციის მიერ მეტი პრობლემები ექმნება საზოგადოებაში (სკოლაში, უნივერსიტეტში, სპორტულ გაერთიანებაში) ინეგრაციის პროცესში, რაც პირის ინტელიგენტობის შესუსტებას იწვევს.[834]

გარდა ამისა,აღსანიშნავია ასევე, რომ პირები, რომლებიც სკოლაში არასაკმარისი სწავლის გამო ნაკლები ინტელიგენტობით გამოირჩევიან, ურთულდებათ საზოგადოებაში ინტეგრაცია. სახეზეა სამსახურის პოვნის შეუძლებლობა არაკვალიფიციური განათლების გამო, რაც თავის მხრივ ზრდის იმის ალბათობას, რომ ასეთმა პირმა დანაშაული ჩაიდნოს. ხაზგასასმელია ასევე ის გარემოებაც, რომ ხშირად სწორედ მაღალი ინტელექტუალური დონე იწვევს დანაშაულის ჩადენას (პოლიტიკური და თანამდებობრივი დანაშაულები).[835]

15.1.1.2. იმპულსურობა

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა ასევე აჩვენა, რომ სერიული დამნაშავეები, ჩვეულებრივი დამნაშავეებისაგან განსხვავებით იმპულსურობით გამოირჩევიან.

იმპულსურობა გულისხმობს ადამიანების მხრიდან სპონტანურ, უკონტროლირებად, უმრავლეს შემთხვევაში ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ქმედებას. იმპულსურობა შეიძლება შედეგი იყოს, როგორც ადამიანში მოზღვავებული ენერგიის, ასევე საკუთარ იმპულსურობაზე კონტროლის არასაკმარისობის.[836]

მომეტებული იმპულსურობა გამოვლინდება მაგ. ადამიანის რისკიანობაში, დაუფიქრებელ ქცევისა და დაუფიქრებლად გადაწყვეტილების მიღებაში, „სულმოკლეობაში“.

მომეტებული იმპულსურობა შესაძლებელია კანონის დარღვევაშიც გადაიზარდოს. ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან შეიძლება მომეტებული იმპულსურობა დიდობაში დანაშაულებრივ ქმედებებში გადაიზარდოს. „რთული ბავშვები“, რომლებიც გამოირჩევიან გადამეტებული გაუწონასწორებელი ხასიათით, აღელვებულობით, ადვილად ბრაზდებიან და ბავშვურ აგრესიულობას ხშირად სიბრაზით გამოხატავენ, მოზარდობის და დიდობის პერიოდში კრიმინალური ქცევის განხორციელებას ნაკლებად ერიდებიან.[837]

კრიმინალური კარიერის დასაწყისში ბევრი დამნაშავე პირი გამოირჩევა ყურადღების ნაკლებობით და ჰიპერაქტიულობით.[838]

15.1.2. სოციალური პროფილი

სერიული დამნაშავეების პიროვნების ანალიზის სრულყოფისათვის საჭიროა განვიხილოთ დამნაშავის არა მხოლოდ პიროვნული ასპექტები, არამედ მისი სოციალური გარემო, მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლო ხელის შემწყობი ფაქტორები. აქვე აღსანიშნავია, რომ დამნაშავის ცხოვრების პერიოდები არ შეიძლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქნეს გაანალიზებული, ისინი ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაში უნდა იქნენ განხილულნი, რათა მივიღოთ დამნაშავის პიროვნების ერთიანი სურათი.

---

[834]იგივე, გვ. 152.
[835]Mergen, A., 1995. S. 187.
[836]Nedopil, N., 2000. S. 160.
[837]Meier, B.-D., 2007. S. 153.
[838]იქვე.

15.1.2.1. ოჯახი

დამნაშავის პიროვნების კრიმინოლოგიური კვლევის დროს აუცილებელია დამნაშავის ოჯახური მდგომარეობის გაგება. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ადამიანის პიროვნების განვითარების პროცესში იგი ოჯახიდან იღებს გადამწყვეტ იმპულსებს. ოჯახური ურთიერთობის დროს ადამიანები სოციალურ, ემოციურ და საკომუნიკაციო კომპონენტებს სწავლობენ, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მათ შემდგომ განვითარებაში. დანაშაულის ჩადენის მიზეზების გამოკვლევის მიზნით კრიმინოლოგიამ დიდი ხნის წინ დაიწყო დამნაშავეების და არადამნაშავეების ერთმანეთთან შედარება და ანალიზი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა მათი ოჯახური მდგომარეობის შედარებას, აღზრდის წესებს, მშობლებს შორის ურთიერთობას. კრიმინოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ოჯახურ მდგომარეობას და მოგვიანებით პირის მიერ დანაშაულის ჩადენას, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირი გააჩნიათ.[839]

ოჯახის მნიშვნელობა ძირითადად დამოკიდებულია მშობლებს და შვილებს შორის ურთიერთობასა და ოჯახურ ატმოსფეროზე. არასისტემური აღზრდა და აღზრდის ძალისმიერი მეთოდები ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვის ჩამოყალიბებაში. ბავშვის განვითარებაზე ნეგატიურად მოქმედებს აგრეთვე ბავშვზე კონტროლის მექანიზმის ნაკლებობა, როდესაც ბავშვი საკუთარ თავს არის მინდობილი.

კრიმინოლოგ გოძიაშვილის აზრით, „არასრულწლოვან დამნაშავეთა სოციალურად მავნებელი თვისებების ფორმირების მთავარ ფაქტორს არაკეთილუზრუნველყოფილი ოჯახი წარმოადგენს“.[840]

კრიმინოლოგიური დისკუსიის საგანია დანგრეული ოჯახების ზეგავლენა ბავშვის კრიმინალად ჩამოყალიბებაზე.[841] შესაძლებელია, დანგრეულმა ოჯახმა (broken-home) პირდაპირი მნიშვნელობით ბავშვის დამნაშავეობა არ გამოიწვიოს, მაგრამ მშობლების გაყრა მშობლებსა და შვილებს შორის ხელშემშლელ ინდიკატორად შეიძლება მოგვევლინოს, რაც, თავის მხრივ, ბავშვს დიდ ემოციურ ზიანს აყენებს.[842]

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ დანგრეულმა ოჯახებმა შეიძლება დანაშაულის ჩადენას შეუწყოს ხელი.[843]

მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობის მნიშვნელობასთან ერთად ბავშვის განვითარებისას გასათვალისწინებელია ის სოციალური პირობები, რომელშიც ოჯახს უხდება ცხოვრება: ოჯახის სიღარიბე, საცხოვრებელი ადგილი, მშობლების სოციალური გარემო (ალკოჰოლიზმი, ნარკომანობა, უმუშევრობა, დამნაშავეობა), ოჯახის წევრების რაოდენობა. შესაძლებელია ზემოთჩამოთვლილი ფაქტორებიდან ერთ-ერთის არსებობამ ბავშვის ნეგატიურ განვითარებაზე რაიმე სახის გავლენა არ მოახდინოს. ამგვარი რამდენიმე ფაქტორების შერწყმა, კი ხშირად ნეგატიურად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე, ვინაიდან ირღვევა ბავშვის აღზრდის, მისი

---

[839]იგივე, გვ. 154.
[840]გოძიაშვილი, ი., 1997. გვ. 37.
[841]Schwind, H-D., 2008. S. 374.
[842]Meier, B.-D., 2007. S. 155.
[843]Tekles, H., 1998. S. 15-20.

კონტროლის და მშობლებთან ემოციური კავშირის ერთიანი სისტემა, რაც, თავის მხრივ, მისი დამნაშავედ ჩამოყალიბების ალბათობას აძლიერებს.[844]

„რთულმა ბავშვებმა“, რომლებიც გამოირჩევიან ჰიპერაქტიულობით, ხშირი უხასიათობით, სიბრაზით და გაუწონასწორებლობით, შესაძლებელია მშობლებში ფრუსტრაცია და აგრესია გამოიწვიონ. ასეთი „რთული ბავშვების“ მიმართ მშობლები ხშირად აღზრდის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას მიმართავენ, რამაც, თავის მხრივ, მოგვიანებით მოზარდის დანაშაულებრივ საქციელზე გამაძლიერებელი ეფექტი შეიძლება იქონიოს (კონფლიქტის ოჯახში ნასწავლი „წესებით“ მოგვარება).[845]

15.1.2.2. სკოლა

ბავშის ასაკის მატებასთან ერთად მასზედ ზეგავლენის მოხდენის თვალთახედვით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მისი სოციალიზაციის სხვა ინსტანციებსაც: სკოლას, სამეგობრო წრეს და მასობრივი მედიის საშუალებებს.

კრიმინოლოგიური კვლევების დროს დიდი ყურადღება ექცევა საგანმანათლებლო დაწესებულებებს – სკოლებს, ვინაიდან სკოლა ის ინსტიტუციაა, რომელიც სახელმწიფოს დიდი მატერიალური რესურების მობილიზაციასთან არის დაკავშირებული და, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი ბავშვის და მოზარდის აღზრდა-განათლება და პიროვნული განვითარებაა.[846]

სკოლა, სადაც ბავშვები დღის გარკვეულ ნაწილს (20-30%-ს) ატარებენ, კრიმინოლოგიური კვლევისათვის საინტერესოა იმაზე საპასუხოდ, არსებობს თუ არა დამნაშავე და არადამნაშავე მოზარდებს შორის განსხვავება სასკოლო ქცევაში ან სასკოლო მიღწევებში?

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მოზარდები, რომლებიც მოგვიანებით დანაშაულებრივ გზას დაადგნენ, სკოლის პერიოდში თავიანთი საქციელით ხშირად თვალშისაცემი ხდებოდნენ.[847]

სკოლის პერიოდში იმ მოზარდების „თვალშისაცემობა“, რომლებიც მოგვიანებით დამნაშავეები გახდნენ, გამოიხატებოდა სამ კომპონენტში:[848]

1. სკოლისადმი უარყოფითი წარმოდგენა (დამოკიდებულება). დამნაშავეებს ხშირად სკოლისადმი უარყოფითი წარმოდგენა (დამოკიდებულება) გააჩნიათ, რაც გამოიხატება სასკოლო მასალისადმი და სასკოლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისადმი უინტერესობით. ბავშვის უინტერესობის მიზეზი ზოგიერთ შემთხვევაში სოციალური (ნარკომანი, ლოთი მშობლები) და ეკონომიური (სკოლის წიგნების შეძენის შეუძლებლობა უსახსრობის გამო) საფუძვლები შეიძლება იყოს.

2. სასკოლო საგნებისა და სკოლის პერსონალისადმი აგრესიული ქცევა. დამნაშავეები სასკოლო ასაკში ხშირად გამოირჩევიან სასკოლო საგნებისა და სკოლის პერსონალისადმი აგრესიული ქცევით, რისი შედეგიც არის გაკვეთილების ჩატარებისათვის ხელის შეშლა, სკოლის ინვენტარის დაზიანება-განადგურება.

3. სკოლაში ცუდი ნიშნების მიღება. სერიული დამნაშავეების უმრავლესობა გამოირჩევა ცუდი სასკოლო ნიშნებით, რაც თავის მხრივ იწვევს კლასში ჩარჩენას

---

[844]Meier, B.-D., 2007. S. 156.
[845]იქვე.
[846]იქვე.
[847]Bereswill, M./Greve, W. (Hrsg.), 2001. S. 119.
[848]Meier, B.-D., 2007. S. 157.

ან/და სკოლის დატოვებას (გამოცვლას), რითაც ბავშვი იძულებულია შეეგუოს ახალ სოციალურ გარემოს, თანატოლებს, მასწავლებელს, რაც ასევე უარყოფით გავლენას ახდენს მისი პიროვნების განვითარებაზე.

კრიმინოლოგიაში დისკუსიას იწვევს სკოლის გაცდენის დანაშაულის ჩადენასთან ურთიერთობის საკითხი.[849] იმ პირთა შორის, რომლებიც მოგვიანებით დამნაშავეები გახდნენ, მომეტებულად აღენიშნებოდათ სკოლის გაცდენა. სკოლის გაცდენა გამოწვეულია, როგორც მოსწავლის მხრიდან სასკოლო მასალისადმი უინტერესობით, ასევე სასკოლო დავალებებისადმი თავის არიდებით.

სკოლის პერიოდში მოზარდთა უინტერესობა იწვევს მათი სასკოლო განათლების გარეშე დარჩენას, რაც აფერხებს პროფესიული განათლების მიღებას და ხელს უშლის მათ შემდგომში სამსახურის მოძიება, დაწყებას.

15.1.2.3. თანატოლებთან ურთიერთობა

სასკოლო განათლების გვერდით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოზარდის თანატოლებთან ურთიერთობას. თანატოლებთან კონტაქტი, ერთნაირი სურვილების ქონა, საერთო გამოცდილების მიღება, მეგობრების ყოლა მნიშვნელოვანი ფაქტორებია მოზარდის სოციალური კომპეტენციის განვითარებისათვის.[850]

კრიმინოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ მოზარდების მიერ დანაშაულის ჩადენაზე მნიშვნელოვან გავლენას მისი მეგობრების წრე ახდენს.[851] მოზარდის ისეთ პირებთან კონტაქტი, რომელთაც დანაშაული აქვთ ჩადენილი, დიდი ალბათობით გამოიწვევს მოზარდის მხრიდან დანაშაულის ჩადენას.[852]

ის, ვინც ხშირად ჩადის დანაშაულს ისეთი სამეგობრო ჰყავს (სუბკულტურა, ბანდა), რომ მათთვის კანონის დარღვევა (კრიმინალური ქმედება) ნორმალურ საქციელად არის მიღებული.

მოზარდს მეგობრების წრე, მშობლებისა და დედმამიშვილებისაგან განსხვავებით თვითონ შეუძლია ამოირჩიოს. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ოჯახის წევრებთან კონფლიქტური სიტუაციები ხშირად ხელს უწყობს მოზარდის ისეთ სამეგობარო წრეში ჩართვას, რომლებიც დანაშაულებრივ საქმიანობას მისდევენ.[853]

მეგობრების შერჩევის თვალსაზრისით მოზარდზე დიდ გავლენას ახდენს მისი მანამდელი სოციალიზაცია. მოზარდები ისეთი სახის მეგობრებს ირჩევენ, რომელთ ძალადობრივი ქმედებები შეესაბამება მშობლების წარმოდგენებს ძალადობაზე.[854]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოზარდების ისეთ სამეგობრო წრესთან კონტაქტი, რომლებიც დანაშაულს ჩადიან, შესაძლებელს ხდის მოზარდების მხრიდან დანაშაულის ჩადენას.[855]

15.1.2.4. თავისუფალი დროის გატარება

თავისუფალი დროის ოპტიმალურად გატარებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დანაშაულის ჩადენის პრევენციის თვალსაზრისით. მოზარდების (და არა მარტო მათ)

---

[849]Göppinger, H., 1983. S. 60.
[850]Meier, B.-D., 2007. S. 159.
[851]Wetzels, P. /Enzmann, D., 1999. S. 129.
[852]Dessecker, A. (Hrsg.), 2006. S. 69.
[853]Wetzels, P., u.a., 2001. S. 274.
[854]Wetzels, P. /Enzmann, D., 1999. S. 129.
[855]Meier, B.-D., 2007. S. 160.

მიერ დანაშაულებრივი ქმედებები ხორციელდება თავისუფალ დროს, ე.ი. იმ დროის მონაკვეთში, როდესაც ადამიანს არც ბიოლოგიური აუცილებლობა (ძილი, ავადმყოფობა) და არც მესამე პირისაგან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება არ უწევს (სკოლის მასწავლებელი, ოჯახის წევრი). ზემოაღნიშნულის გამო კრიმინოლოგიური კვლევა მიმართულია თავისუფალი დროის პერიოდში დანაშაულის ჩადენაზე.[856]

დამნაშავეების მიერ თავისუფალი დროის გატარება, სხვა პირებისაგან განსხვავებით, გამოირჩევა სპონტანურობით, დაუგეგმავობით და სიტუაციიდან გამომდინარი მოქმედებით.[857]

კრიმინოლოგიური თვალთახედვით თავისუფალი დროის მნიშვნელობა განსხვავდება ოჯახური, სასკოლო და სამეგობრო გარემოსაგან, ვინაიდან იგი პირის განათლების და სოციალური განვითარების ინსტიტუციებს არ მიეკუთვნება.[858] პიროვნებას (მათ შორის დამნაშავესაც) უფლება აქვს ინდივიდუალურად, საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს თავისუფალი დრო. თავისუფალი დროის კრიმინოლოგიურ კვლევას მხოლოდ ინფორმაციის მიღების ფუნქცია გააჩნია, რათა გამოიყენოს ზომები დანაშაულის განმეორებითი ჩადენის აღსაკვეთად (სპეციალური პრევენცია): თავისუფალი დროის როგორ გატარებას შეიძლება მოჰყვეს დანაშაულებრივი ქმედება?

15.1.2.5. ალკოჰოლი და ნარკოტიკული ნივთიერებები

ალკოჰოლურ სასმელებს და ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოხმარებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პირის მიერ დანაშაულის ჩადენაში. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ის პირები, რომლებიც სისტემატიურად იღებენ ალკოჰოლს უფრო ხშირად ჩადიან დანაშაულს, ვიდრე ის პირები, რომლებიც ნაკლებად იღებენ ალკოჰოლს.[859] დანაშაულის ჩადენის ალბათობა იზრდება, თუ პირმა ჯგუფთან ერთად მიიღო ალკოჰოლური სასმელი ან მის მიერ არასტრუქტურირებულ დროის გატარებას აქვს ადგილი (გზის პირას ქეიფის გამართვა, რომელმაც შესაძლებელია გამვლელთა უკმაყოფილება გამოიწვიოს, რაც ურთიერთ დაპირისპირებაში გადაიზრდება).[860]

გამაბრუებელი საშუალებები (ალკოჰოლი, ნარკოტიკული ნივთიერებები) ათამამებენ დამნაშავეს, აძლევენ სტიმულს დანაშაულის ჩასადენად, დამნაშავეს ხდიან იმპულსურს და აგრესიულს. გამაბრუებელი საშუალებების მიღების შედეგია ხელსაყრელ სიტუაციაში შესაფერისი მხნეობის ქონა, რომლის ძალისხმევითაც პირი დანაშაულს ჩადის.

გარდა ალკოჰოლური საშუალებების პიროვნებაზე პირდაპირი სახის ზემოქმედებისა, რაც მის მიერ დანაშაულის ჩადენას აადვილებს, არაპირდაპირ ზემოქმედებად ითვლება მათი სისტემატიური მიღების შედეგად წარმოშობილი ფსიქიკური და ფიზიკური შედეგები (დამოკიდებულება), რომელიც ხელს უწყობს

---

[856]იქვე.
[857]Göppinger, H., 1983. S. 89.
[858]Meier, B.-D., 2007. S. 161.
[859]Kreuzer, A., u.a. (Hrsg.), 1999. S. 153ff.
[860]Meier, B.-D., 2007. S. 162.

კონფლიქტური სიტუაციების წარმოქმნას, როგორც ოჯახურ, ასევე სამსახურებრივ გარემოში.[861]

ნარკოტიკული საშუალებები, ალკოჰოლთან შედარებით, პიროვნებაში ნაკლებად იწვევს დანაშაულის ჩადენას, თუმცა მაინც მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება.

15.1.2.6. სამსახური და ეკონომიური მდგომარეობა

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, რამდენად არის უმუშევრობა და ეკონომიური სიდუხჭირე დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული.

სერიული დამნაშავეების უმრავლესობა დისკრიმინაციას განიცდის სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების მხრიდან მათი ნასამართლობის გამო, რაც იწვევს მათ დაუსაქმებლობას. ამას ემატება ქვეყნის ეკონომიკური არასტაბილურობა და უმუშევართა სოციალური დახმარების არარსებობა, რაც პიროვნებას „აიძულებს" დანაშაული ჩაიდინოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული 2000 - 2007 წლების სტატისტიკის მიხედვით, მსჯავრდებულთა 75%, ხოლო 2015 წელს – 90% დანაშაულის ჩადენის მომენტში იყო უმუშევარი.[862] შესაბამისად, ყველაზე მეტად გავრცელებულ დანაშაულთა რიცხვს მიეკუთვნება ეკონომიური ხასიათის დანაშაული და ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვა, რაც ასევე დიდი ეკონომიური სარგებლის მიღებასთან არის დაკავშირებული. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნაში არსებული უმუშევრობა ეკონომიური დანაშაულის ჩადენის ერთგვარ კატალიზატორად გვევლინება. სიღარიბის ზღვარზე მყოფი ბევრი ადამიანისათვის ეკონომიური (და ნარკოტიკული) დანაშაულის ჩადენა ეკონომიური სიდუხჭირის საშუალებად არის ქცეული.

ხაზგასასმელია აგრეთვე ის გარემოება, რომ არასაკმარისი განათლების გამო, თითქმის შეუძლებელია დასაქმება. სკოლის პერიოდში პირის მიერ განათლების მიუღებლობამ არ უნდა გამოიწვიოს მისი მთელი ცხოვრების განმავლობაში უმუშევრად დარჩენა და კრიმინალური კარიერის დაწყება. სახელმწიფო ვალდებულია საკუთარი ქვეყნის თითოეული (მოზარდი) მოქალაქე უზრუნველყოს პროფესიული განათლებით, რაც მას შესაძლებლობას მისცემს კონკურენტუნარიანი გახდეს სამსახურის მოძიების დროს.

15.2. დამნაშავე პირის ტიპოლოგია

დანაშაულის ჩადენა, როგორც მოვლენა ბევრ ფაქტორებზეა დამოკიდებული: დამნაშავე, მისი მოტივი, მსხვერპლი, მისი ურთიერთობა დამნაშავესთან, დანაშაულის ჩადენის დროს არსებული გარემოპირობები და ა.შ. შესაბამისად, მხოლოდ დამნაშავეზე ან/და მის ტიპოლოგიაზე საუბრით შეუძლებელია დანაშაულის ახსნაგანმარტება. თუმცა, კრიმინოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქიატრები, რომელთაც დამნაშავეებთან სისტემატური შეხება ჰქონიათ საუბრობენ დამნაშავე პირების ხასიათის, საქციელის განსხვავებულობაზე

---

[861]იქვე.

[862]იხ.: უზენაესი სასამართლოს სტატისტიკა: www.supremecourt.ge

(არადამნაშავეებისაგან), სპეციფიურობაზე.[863] სწორედ, ამ სპეციფიურობის ცოდნა უნდა იყოს დანაშაულის პრევენციისთვის მნიშვნელოვანი.

მეტად რთულია დამნაშავის პიროვნების კვლევა. არსებული კრიმინოლოგიური კვლევების უმრავლესობა ჩატარებულია ციხეში მსჯავრდებულებზე და კვლევებში არ ჩანს ჩადენილი დანაშაულის სრული აღწერა და ანტისოციალური ქმედების სპეციფიურობა.[864]

- **დამნაშავის ტიპოლოგია ექსნერის (Exner) მიხედვით**

ექსნერი გამოყოფს ზოგადი პერსპექტივის მიხდვით დამნაშავის ექვს ძირითად კატეგორიას:[865]

1) დანაშაულებრივი ქმედებისადმი დამოკიდებულების მიხედვით. იგი გამოყოფს ოთხ ქვეკატეგორიას: აქტიური დამნაშავის ტიპი (დანმაშავეები, რომლებიც დანაშაულებრივი ქმედებებით თავს ირჩენენ), პასიური დამნაშავის ტიპი (სუსტი ნებისყოფის ადამიანები, მაწანწალები, მათხოვრები), აქტიური შემთხვევითი დამნაშავე (Gelegenheitsverbrecher); პირი, რომელიც კონკრეტული შემთხვევის გამო იდენს დანაშაულს: აფექტში ჩადენილი დანაშაული და პასიური შემთხვევითი დამნაშავეები (დამნაშავეები, რომლებსაც არ შეუძლიათ თანამონაწილეობის დროს სხვისთვის უარის თქმა);

2) კრიმინალური ცხოვრების მიხედვით (ე.წ. დამნაშავეების კრიმინალ-სოციოლოგიური კატეგორია). ექსნერის მიერ მათი დაყოფა ხდება დანაშაულებრივი ცხოვრების სტილის და ასაკის მიხედვით. იგი გამოყოფს ოთხ ქვეკატეგორიას: პოტენციალის მქონე დამნაშავე (Betätigungstypen); საშიში ანტისოციალური დამნაშავე; ადრეული და გვიანი დამნაშავე და პროფესიონალი დამნაშავე;

3) დანაშაულის მოტივის მიხედვით (ე.წ. კრიმინალ-ფსიქოლოგიური ტიპი);

4) დამნაშავეობის საწყისის მიხედვთ (ე.წ. ბიოლოგიური ტიპი). დამნაშავედ გახდომა დიდწილად გარემო პირობების ზემოქმედების შედეგია ან დამნაშავედ გახდომა ბიოლოგიურია, მემკვიდრეობითია.

5) გამოსწორების მეთოდის მიხედვით (ე.წ. კრიმინალპოლიტიკური ტიპი). ყველა დამნაშავე კრიმინალპოლიტიკური მნიშვნელობისაა, შესაბამისად, ხდება მათი ტიპოლოგიაც: ასაკის მიხედვით, პროგნოზირებადი დამნაშავის მიხედვით და ა.შ.

6) კანონის მიერ აღიარებული ტიპის მიხედვით. კანონი დამნაშავეების ტიპს ხშირად აღიარებს გარკვეული კატეგორიების მიხედვით, მაგ. დამნაშავის ასაკის, სქესის, საშიში ან ნაკლებად საშიში დამნაშავის მიხედვით და ა.შ. (იხ. დამნაშავეების დაყოფა კატეგორიების მიხედვით პენიტენციურ დაწესებულებებში).[866]

---

[863]Grossmann, H.P., 1972. S. 37.
[864]Mergen, A., 1995. S. 162.
[865]Exner, F., 1949. S. 203.
[866]Mergen, A., 1995. S. 164.

- **დამნაშავის ტიპოლოგია მეცგერის (Mezger) მიხედვით**

მეცგერი გამოყოფს ორ ძირითად კატეგორიას: სიტუაციურ დამნაშავეებს და ხასიათის დამნაშავეებს.[867]

1) სიტუაციური დამნაშავეებისათვის დამახასიათებელია დანაშაულის ჩადენის დროს გარეგანი თუ შინაგანი ზეგავლენა. სიტუაციური დამნაშავეები, თავის მხრივ, სამ ქვეკატეგორიად შეიძლება დაიყოს:

ა) *კონფლიქტის დამნაშავეები* - მათ არა აქვთ დანაშაულის ჩადენის მზადყოფნა. დანაშაულის ჩადენა წინა პლანზე იწევს შინაგანი კონფლიქტის, დაძაბულობის შემდეგ. დანაშაული არის იმ რეალობიდან გაქცევაზე რეაქცია, პრობლემის მოგვარების ის საშუალება, რომელიც მისთვის გაუსაძლისი გახდა. ამგვარ დამნაშავეებს განეკუთვნებიან ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ჩამდენი პირები, ან პირები, რომლებმაც დანაშაული აფექტში ჩაიდინეს.

ბ) *ასაკობრივი განვითარების დამნაშავეები* (Entwicklungsverbrecher) - მეცგერისთვის ამ კატეგორიაში ხვდებიან მოზარდები მათი ბიოლოგიური განვითარების (გარდატეხის პერიოდი) და დანაშაულის ურთიერთკავშირის გამო;

გ)*სიტუაციური დამნაშავეები* (Gelegenheitsverbrecher) - პირი, რომელიც გარკვეული სიტუაციის გამო იდენს დანაშაულს. ასეთი ტიპის დამნაშავეებისათვის გადამწყვეტია დანაშაულის ჩადენის მომენტის ქონა (მაგ. ავტომობილში, რომელშიც ხელჩანთა დევს მინა არის ბოლომდე ჩაწეული და დამნაშავეს შეუძლია ხელის ერთი მოძრაობით ხელჩანთის აღება);

2) *ხასიათით, ბუნებით* დამნაშავეები (Charakterverbrecher). მეცგერის აზრით მათი პიროვნებაა წინაპლანზე წამოწეული და არა დანაშაულის ჩადენის მომენტი, სიტუაცია. ხასიათით, ბუნებით დამნაშავეები სამ კატეგორიად არიან დაყოფილი:

ა) მიდრეკილებით დამნაშავეები (Neigungsverbrecher), ადამიანები რომლებიც აქტიურად ან პასიურად მიდრეკილნი არიან დანაშაულის ჩადენისკენ [უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც სჭირდება გარემო-სიტუაციიდან ბიძგი. მაგ. იგი ავტომობილიდან ხელჩანთის დაუფლებას ეცდებოდა ავტომობილის მინა ცოტათი ჩაწეული თუ იქნებოდა და მას გარკვეული საგნის გამოყენება დასჭირდებოდა მანქანის კარების გასაღებად];

ბ) კრიმინალობისკენ მიდრეკილი დამნაშავე (Hangverbrecher), ადამიანები, რომლებშიც დანაშაულის ჩადენის სურვილი იმდენად არის გამჯდარი, რომ გარეგანი ფაქტორებისგან ზეგავლენა მნიშვნელობას კარგავს [მაგ. იგი ავტომობილიდან ხელჩანთის დაუფლებას იმის მიუხედავად ეცდებოდა ავტომობილის მინა ჩაწეული იქნებოდა თუ არა];

გ) პროფესიონალი დამნაშავე (Zustandsverbrecher), ადამიანები, რომლებიც ყველაზე საშიშები არიან. ისინი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე ყოველთვის

[867]Metzger, E., 1934. S. 150.

მზად არიან დანაშაულის ჩასადენად [მაგ.: იგი ავტომობილიდან ხელჩანთის მოპარვას კი არ ეცდებოდა, პირდაპირ ავტომობილს დაეუფლებოდა].[868]

- **დამნაშავის ტიპოლოგია სელიგის (Seelig) მიხედვით**

სელიგი დამნაშავეების ტიპოლოგიას აფუძნებს დანაშაულის სიტუაციას და გამოყოფს დამნაშავეების რვა სახეს:[869]

1) უსაქმური, ზარმაცი პროფესიონალი დამნაშავე (Arbeitsscheue Berufsverbrecher). ამ კატეგორიაში ხვდებიან ისეთი დამნაშავეები, ვისთვისაც დანაშაულის ჩადენა პროფესიაა. მაგ. ჯიბის, ბინის ქურდები, გამომძალველები, ადამიანით, ნარკოტიკით მოვაჭრეები და ა.შ.

2) ქონებრივი დანაშაულის ჩამდენები წინააღმდეგობის გაწევის გარეშე. ამ კატეგორიაში ხვდებიან ქურდები, თაღლითები და ა.შ.;

3) თავდასხმის მოყვარული დამნაშავეები – დამნაშავეები, რომლებიც ძალის გამოყენებით, სხვა პირზე თავდასხმით ჩადიან ძალადობრივი ხასიათის დანაშაულს;

4) დამნაშავეები, რომლებიც ვერ აკონტროლებენ სექსუალურ სურვილებს. ასეთი ადამიანები ჩადიან სექსუალური ხასიათის დანაშაულს;

5) დამნაშავეები, რომლებიც ცხოვრების კრიზისს განიცდიან და დანაშაულს ჩადიან. მაგ. ადამიანი, რომელიც დანაშაულს ჩადის პირადი ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად;

6) პრიმიტიული რეაგირების მქონე დამნაშავეები. პირები, ვისთვისაც დანაშაულის ჩადენის მიზეზი პრიმიტიულია. მაგ. პირები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან შურისძიების ნიადაგზე;

7) მსოფლმხედველობითი დამნაშავეები. ამ კატეგორიაში მოიაზრებიან ადამიანები, რომლებიც იდეისთვის, რწმენისთვის ჩადიან დანაშაულს. მაგ. ეროვნული წინააღმდეგობის მოქმედებები, ტერორისტული აქტები და ა.შ.

8) დამნაშავეები, რომლებსაც საზოგადოებრივი დისციპლინა აკლიათ. ასეთი დამნაშავეები ჩადიან გაუფრთხილებლობით დანაშაულს.

- **დამნაშავის ტიპოლოგია საფრთხის შემცველობის ხარისხის მიხედვით**

დამნაშავის ტიპოლოგია საფრთხის შემცველობის ხარისხის მიხედვით ძირითად აქცენტს აკეთებს საზოგადოებაში დამნაშავის ინტეგრაციაზე და გამოყოფს ოთხ ტიპს:[870]

1) ძლიერი კრიმინალური შესაძლებლობების და საზოგადოებაში კარგი ინტეგრაციის მქონე დამნაშავეები. ამგვარი კომბინაცია არის ყველაზე საშიში სახე დამნაშავის, ვინაიდან მას ერთი მხრივ დანაშაულის ჩადენის დიდი სურვილი ამოძრავებს და მეორე მხრივ, შეუძლია ინტეგრირებულ იყოს იმ საზოგადოებაში, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია მისი დანაშაულებრივი საქმიანობა. ამგვარი დამნაშავეების ჯგუფს მიეკუთვნებიან სახელმწიფო თანამდებობის პირები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები;

---

[868]Mergen, A., 1995. S. 165, 166.
[869]იგივე, გვ. 166, 167.
[870]Mergen, A., 1995. S. 170.

2) ძლიერი კრიმინალური შესაძლებლობების და საზოგადოებაში სუსტი ინტეგრაციის მქონე დამნაშავეები. დამნაშავეთა ეს კატეგორია არ არის დიდი საფრთხის შემცველი, ვინაიდან საზოგადოებაში სუსტი ინტეგრაციის გამო ხშირად გამოირჩევიან თვალშისაცემი საქციელით, რაც საზოგადოების ყურადღებას იქცევს და გარკვეულ კონტროლს წარმოქმნის. დამნაშავეთა ამ კატეგორიას განეკუთვნებიან „საზოგადოებისათვის" (სამართალდამცავი ორგანოებისათვის) ცნობილი პროფესიონალი დამნაშავეები, კრიმინალური ავტორიტეტები და სხვა;

3) სუსტი კრიმინალური შესაძლებლობების და საზოგადოებაში სუსტი ინტეგრაციის მქონე დამნაშავეები. დამნაშავეთა ეს კატეგორია ნაკლები საფრთხის შემცველია. ისინი საზოგადოებაში თავიანთი ასოციალური თუ სუსტი სოციალური მდგომარეობის და სუსტი კრიმინალური ძალისხმევის გამო არ გამოირჩევიან განსაკუთრებული კრიმინალური კარიერით და ძირითადად ეკონომიური სახის დანაშაულებს ჩადიან (ქურდობა, თაღლითობა);

4) სუსტი კრიმინალური შესაძლებლობების და საზოგადოებაში კარგი ინტეგრაციის მქონე დამნაშავეები. დამნაშავეების ეს სახე საერთოდ არ არის საფრთხის შემცველი. ისინი ძირითადად შემთხვევითი დამნაშავეები არიან და მძიმე სახის დანაშაულს (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება და ა.შ.) ერთხელ, აფექტის მდგომარეობაში ჩადიან.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშვის პიროვნების მიმართ ინტერესი, რომელიც XIX საუკუნეში გაჩნდა, დღემდე ძალიან დიდია. დამნაშავის ტიპოლოგია ხშირად ხდება კრიტიკის საგანი, ვინაიდან იგი დამნაშავის ერთ კონკრეტულ ასპექტს, ხასიათს ითვალისწინებს და ყურადღებას არ აქცევს სხვა პირობებს, რომლებიც ასევე დანაშაულის ჩადენას განაპირობებენ. დამნაშავის კრიმინოლოგიური დახასიათება სხვადასხვა კუთხით არის შესაძლებელი (სოციალური, ბიოლოგიური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური, სისხლისსამართლებრივი),[871] თუმცა ერთი რამე ყველა დამნაშავისათვის ერთია, მისი დამნაშავის სტატუსი, რომელიც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გამო სახელმწიფოს და საზოგადოების მიერ არის მისთვის „გამოწერილი", ეტიკეტირება, ზიანს აყენებს, როგორც დამნაშავეს, ასევე მის გარშემომყოფ პირებს, რაც აფერხებს (ხელს უშლის) მის რესოციალიზაციას.

[871]ღლონტი, გ. (რედ.), 2008, გვ. 99.

თავი მეთექვსმეტე
მასმედიის საშუალებები და დანაშაული

საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თავისუფლება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე (სიტყვის თავისუფლების ხელყოფა) და 154-ე (ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა) მუხლები იცავენ მასობრივი საშუალებების საქმიანობას.

ტერმინი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები („მასმედია“) განმარტებულია, როგორც:

1. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (ბეჭდვითი მედია, რადიო, ტელევიზია, კინო, რეკლამა, ინტერნეტი, CD, DVD, კომპიუტერული თამაშები და ა.შ.);[872]

2. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ინფორმაციის სისტემატური გავრცელების პროცესი (ანუ მასობრივი კომუნიკაცია) მრავალრიცხოვან და გაშორიშორებულ აუდიტორიაში.[873] „ინფორმაცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა (Informatio) და „გაცნობას“, „გადაცემას“ ნიშნავს.[874]

მასმედიისადმი განსაკუთრებული დაინტერესება გამოწვეულია მისი შესაძლებლობით საზოგადოებას, ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს მიაწოდოს მრავალფეროვანი ინფორმაცია და მოსაზრებები. მასმედია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების წარმართვის უძლიერესი და უმთავრესი საშუალებაა.[875] მასმედიის საშუალებით ხდება ადამიანთა აზროვნებაზე, ფსიქოლოგიაზე, შეხედულებებსა და ჩვევებზე ზეგავლენის მოხდენა.[876] ის მთელი საზოგადოების, პოლიტიკური პარტიების და მოქალაქეების განსაკუთრებული დაინტერესებისა და ყურადღების საგანია.[877] გარდა ამისა, „ხალხი სწორედ მედიის მეშვეობით ახორციელებს კონტროლს საჯარო ხელისუფლებაზე“.[878] ამიტომ, საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლი და დანიშნულების საკითხი საკმაოდ მაღალია. ასევე, საკმაოდ მაღალია მედიაში გაშუქებული მოვლენების უარყოფითი ზეგავლენა საზოგადოებაზე.[879]

16.1. მასმედიის კრიმინოლოგიური მნიშვნელობა

მასმედია დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა შეხედულებებზე, სწორედ ამიტომ მასმედიას კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი როლი შეაქვს დანაშაულის პრევენციის, ანუ ახალი დანაშაულის თავიდან აცილების საკითხში.

დანაშაულის პრევენცია მასმედიის საშუალებით შეიძლება განხორციელდეს თვითონ დამნაშავის, დანაშაულის პოტენციური მსხვერპლის და მათი საკონტაქტო პირების მიმართ და ამა თუ იმ რეგიონზე (მაგ. ტელევიზიის საშუალებით

---

[872]Schwind, H-D., 2008. S. 285.
[873]კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი). 2004. გვ. 157.
[874]ქაბაშვილი, მ., 1964. გვ. 175.
[875]ღუჭაშვილი, ზ., 1998. გვ. 104.
[876]ლილუაშვილი, გ., 1997. გვ. 109.
[877]ალფაიძე, თ., 2008. გვ. 52.
[878]გამყრელიძე, ო. (რედ.), 2008. გვ. 309.
[879]ჯორბენაძე, ს./ბახტაძე, უ./მაჭარაძე, ზ., 2014. გვ. 164.

გავრცელებულმა ინფორმაციამ, იმის თაობაზე, რომ ქალაქის ამა თუ იმ კონკრეტულ უბანში გახშირდა ღამის საათებში ავტომანქანების ქურდობა, შეიძლება გავლენა იქონიოს: დამნაშავეზე, რომელიც სავარაუდოდ იფიქრებს, რომ თუ ტელევიზიით გამოაცხადეს ავტოსანტრანსპორტო საშუალების ქურდობის თაობაზე, გამკაცრდება საპოლიციო კონტროლი და გარკვეული პერიოდი თავს შეიკავებს დანაშაულის ჩადენისაგან; დანაშაულის პოტენციურ მსხვერპლზე, რომელიც საკუთარ ავტომობილს უყურადღებოდ აღარ დატოვებს; სატელევიზიო საშუალებით გამოცხადებულ ქალაქის ამა თუ იმ უბანს ავტომობილების ქურდები გარკვეული დროით გაეცლებიან და აღარ ჩაიდენენ დანაშაულს).

მოსახლეობის 95% ძალადობის შესახებ პირველ „გამოცდილებას“ მედიის საშუალებით იღებს.[880] მასმედიაში დანაშაულის ყოველდღიური გაშუქება მოსახლეობის (ხშირ შემთხვევაში არასწორ) ინფორმირებულობას იწვევს ქვეყანაში არსებულ კრიმინოგენულ სიტუაციაზე. მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის დანაშაული ცხოვრების წესად იქცევა, რომელიც ხშირ შემთხვევაში დანაშაულად აღარ აღიქმება. როდესაც დამნაშავე პირი კანონს არღვევს, მნიშვნელოვანია იმ პირთა რეაქცია, რომლებიც თვითმხილველები ხდებიან. თუ დანაშაულის თვითმხილველისათვის დანახული უკანონო ქმედება ნორმალურ საქციელს წარმოადგენს, რომელსაც იგი მასმედიის საშუალებით ხშირად ეცნობა, მაშინ იგი არავითარ ღონისძიებებს აღარ მიმართავს დანაშაულის აღსაკვეთად, ანუ იგი (თვითმხილველი) არ ატყობინებს პოლიციას მომხდარი დანაშაულის შესახებ და/ან არ ეხმარება დაზარალებულს.[881] უფრო მეტიც, საქართველოში საკმაოდ ხშირია გახმაურებული პროცესების ტელევიზიით გაშუქება. ქართველი ტელემაყურებელი იმდენად არის შეჩვეული სისხლის სამართლის პროცესის გაშუქებას, რომ იგი ამას ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს[882] და ვერც კი გრძნობს, რომ საქმე ხშირად მძიმე და განსაკუთრებით მძიმე ხასიათის დანაშაულს ეხება, რომლის მსხვერპლი უმძიმეს მდგომარეობაშია ჩავარდნილი და ჩამდენ პირს კი 10 წლიდან უვადო თავისუფლების აღკვეთამდე სასჯელი ელოდება.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ის ადამიანები, რომლებიც ტელევიზორით ნაჩვენებ ძალადობას ძალიან ხშირად უყურებენ, კარგავენ რეალობის გრძნობას, ანუ მოვლენების სწორად აღქმის და შეფასების უნარს. მათ ერთი მხრივ საკუთარი სოციალური გარემო საშიშად მიაჩნიათ და დაუცველად გრძნობენ თავს. ისინი დანაშაულის წინაშე შიშის გრძნობით ცხოვრობენ და უჭირთ სხვა (უცხო) ადამიანებთან კონტაქტი. მათ შიშით აღსავსე მდგომარეობას ხშირად მათი დანაშაულის მსხვერპლად გახდომა მოჰყვება. მეორე მხრივ, ისინი არარეალურ სამყაროს ქმნიან, სადაც ყველა (დამნაშავეც და დაზარალებულიც) „მიიღებს“ იმას რასაც იმსახურებს. ადამიანებში ამგვარი გრძნობის გაჩენა, იწვევს მათ უმოქმედობას, რაც, თავის მხრივ, დამნაშავე პირს მეტ შემართებას აძლევს, ხოლო დაზარალებულს საზოგადოებისაგან გარიყავს. ასეთი წარმოდგენის ადამიანებისათვის დაზარალებული იქცევა პიროვნებად, რომელმაც „დაიმსახურა“ დამნაშავის დანაშაულებრივი მოპყრობა.[883]

---

[880]Schneider, H. J., 2001. S. 131.

[881]Mattern, U., 1982. S. 303; Schneider, H. J., 2001. S. 136.

[882]მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სისხლის სამართლის პროცესის გაშუქებასთან დაკავშირებით, იხ. რატიანი, ც., 2006. გვ. 169 – 181.

[883]Schneider, H. J., 2001. S. 137.

კრიმინოლოგ შნაიდერის და ფსიქოლოგ ბანდურას აზრით, მასმედიის მიერ ხდება პირველ რიგში ძალადობრივი დანაშაულების გაშუქება, რათა „ფართო მაყურებლის ყურადღება მიიპყროს“.[884] ძალადობრივი ხასიათის დანაშაული მხოლოდ ერთი ნაწილია მთელი დანაშაულებრივი სისტემის.[885] „ქუჩის“ ძალადობრივი ხასიათის დანაშაული უფრო მეტად შუქდება, ვიდრე მაგალითად, კორპორაციული დანაშაული.[886] კორპორაციული დანაშაული მაშინ ხდება მედიის ყურადღების ქვეშ, თუ იგი „დიდი აფეთქების“ ელემენტების მატარებელია“.[887]

ჟურნალისტებს ხშირად მომხდარი დანაშაულის შესახებ სინამდვილის ასახვა კი არ აინტერესებთ, არამედ:

1. მასმედია ცდილობს ადამიანთა (ტელემაყურებელთა) „გართობას“ ძალადობრივი დანაშაულის გაუგონარი, შემაძრწუნებელი, განსხვავებული, გაუგებარი და გამოუცნობი სიუჟეტებით. ძალადობრივი დანაშაულის მასმედიით გაშუქების ერთადერთ მიზანს წარმოადგენს მისი **სენსაციურად** მაყურებლამდე მიტანა;

2. ძალადობრივი დანაშაულის გაშუქებით ხდება საზოგადოების ყურადღების გადატანა სოციალური პრობლემებიდან (უმუშევრობა, ეკონომიური კრიზისი, ლტოლვილთა პრობლემები) სხვა არარელევანტურ პრობლემებზე.[888]

პოლიტიკოსები და მასმედია გვერდს უვლიან ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების გაშუქებას. ისინი ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენ პირთა ქმედების მასმედიით გაშუქებით და დასჯით („განტევების ვაცის თეორია“) ცდილობენ, სოციალური პრობლემებისაგან მოსახლეობის ყურადღების გადატანას.[889]

ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მასმედია. იგი არის როგორც დანაშაულის პრევენციის (თავიდან აცილების), მოსახლეობის ინფორმირების, ღირებულებათა ორიენტაციის წყარო, ასევე სახელმწიფო ორგანოების (კრიმინალურ-პოლიტიკური) საქმიანობის გაშუქება-კონტროლის ძირითადი საშუალება.

16.2. ტელევიზია და აგრესია

ოცდამეერთე საუკენეში მოსახლეობის თითქმის 99 პროცენტი სარგებლობს ტელევიზორით. იგი ადამიანის განუყოფელი საინფორმაციო, გასართობი, შემეცნებითი საშუალება გახდა. ტელეკომუნიკაციის ახალმა საშუალებებმა (საკაბელო ტელევიზია, ინტერნეტ ტელევიზია) შესაძლებელი გახადა იმ გადაცემათა (მათ შორის განმეორებით) ნახვა, რომლებიც ხშირ შემთხვევაში აგრესიის შემცველი და ამორალურია.

კულტურული კრიმინოლოგია იკვლევს იმ საშუალებებს, რომლითაც კრიმინალური ქმედებები, მართლმსაჯულება და მედია ერთმანეთს უკავშირდება.[890] მას აინტერესებს გაიგოს, თუ რატომ არის ადამიანი ძალადობით ასე მოხიბლული.[891]

---

[884]Niesing, J., 1996. S. 179.
[885]Schneider, H. J., 2001. S. 137.
[886]ჯორბენაძე, ს./ბახტაძე, უ./მაჭარაძე, ზ., 2014. გვ. 170.
[887]იქვე.
[888]Schneider, H. J., 2001. S. 131.
[889]იქვე.
[890]Schneider, H. J. (Hrsg.), 2007. S. 161.
[891]ჯორბენაძე, ს./ბახტაძე, უ./მაჭარაძე, ზ., 2014. გვ. 178.

კულტურულ კრიმინოლოგიაში დანაშაული წარმოადგენს სანახაობას, „კარნავალს“, ხოლო ქუჩა – „თეატრს“, სადაც „წარმოდგენა“ უნდა გაიმართოს.[892] სწორედ, აღიშნული „წარმოდგენის“ მედიაში გადაცემა ხდება მათთვის, ვინც ვერ შეძლო უშუალოდ დასწრებოდა ამ „წარმოდგენას“.

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ტელევიზორში ძალადობრივი პროგრამების ყურების შედეგებთან დაკავშირებით ოთხი სხვადასხვა სახის მოსაზრება არსებობს. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

16.2.1. სატელევიზიო აგრესიის თეორიული საფუძველი

კათარზისის თეორია: კათარზისის მოსაზრების თანახმად, სატელევიზიო აგრესია ხელს უწყობს ადამიანში აგრესიული ემოციების განმუხტვას. პირი, რომელიც აგრესიას ტელევიზორში უყურებს, იდენტიფიკაციას ახდენს ეკრანზე გამოსახულ მოძალადესთან და სიუჟეტის შედეგად თავისუფლდება საკუთარი აგრესიისაგან.

კათარზისის მოსაზრება 1969 წელს ჩამოაყალიბა ფეშბახმა (Feschbach).[893] იგი ფროიდისეულ მოთხოვნილებათა შესახებ მოსაზრებას უდებს საფუძვლად კათარზისის თეორიის ჩამოყალიბებას და ამბობს, რომ ფანტაზიური ქცევა უკურიაქციის ერთგვარი მექანიზმია, რომელიც ნანახი აგრესიის საფუძველზე საკუთარ აგრესიასთან იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა (ფანტაზიის დონეზე).[894]

ფეშბახმა კვლევების საფუძველზე დაადგინა, რომ 1. დიდი ხნის განმავლობაში (6 თვე) აგრესიული სატელევიზიო გადაცემების ყურება, საკუთარი აგრესიული ქმედებების მომატებას არ იწვევს, და 2. დიდი ხნის განმავლობაში აგრესიული სატელევიზიო გადაცემების ყურება, საკუთარი აგრესიული ქმედებების კლებას და კონტროლს უწყობს ხელს.[895]

შეკავების თეორია: შეკავების თეორიის თანახმად, სატელევიზიო ძალადობა აკავებს საკუთარ აგრესიულ ემოციებს. მოცემული თეორია ეკუთვნის ავტორთა ჯგუფს, რომლის წარმომადგენელია ბერკოვიცის მიერ (Berkowitz).[896] მისი 1963 წელს გამოქვეყნებული შეკავების თეორია ფეშბახის კვლევის შედეგების სხვაგვარად ინტერპრეტაციის და საკუთარი ექსპერიმენტების შედეგია. ბერკოვიცის აზრით, აგრესიის შეკავება ხდება აგრესიისადმი შიშის გამო. ეს ძალადობისადმი შიში ადამიანში წარმოიშვება აგრესიული ფილმების ყურებით.

სტიმულირების თეორია: სტიმულირების თეორიის თანახმად, სატელევიზიო სივრცეში ნანახი ძალადობა, სტიმულირების მომცემია მისი მნახველისათვის და ხდება აგრესიული ქცევის შესწავლა. სტიმულირების თეორია ჩამოაყალიბეს ე.წ. Berkowitz-ის ჯგუფის წევრებმა 1966 წელს.[897] აღნიშნულ თეორიას მხარი დაუჭირა

---

[892]იგივე, გვ. 179.
[893]Feshbach, S., 1969.
[894]Mattern, U., 1982. S. 308.
[895]იქვე.
[896]Berkowitz, L., et al., 1963. S. 217-229.
[897]Geen, R., et al., 1966. S. 456-465.

ალბერტ ბანდურამ, რომელმაც ამ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ექსპერიმენტი ჩაატარა.[898] ბანდურამ ექსპერიმენტები ჩაატარა სკოლამდელი ასაკის ბავშვებზე და დაადგინა, რომ ბავშვები დაკვირვებით (თუნდაც სატელევიზიო გადაცემებით) აგრესულობას სწავლობენ. ნასწავლი აგრესიულობა დიდი პერიოდის განმავლობაში არის მათი ქცევის შემადგენელი ნაწილი.

ფსიქოლოგმა ბანდურამ თავის თანამშრომლებთან ერთად ჩაატარა შემდეგი სახის ლაბორატორიული ექსპერიმენტი: 3-დან 6 წლამდე 96 ბავშვი უყურებდა (აკვირდებოდა) ზრდასრული ადამიანის აგრესიულ ქმედებას. ბავშვების ერთი ჯგუფი ზრდასრული ადამიანის აგრესიულ საქციელს აკვირდებოდა ბუნებრივ პირობებში, ბავშვების მეორე ჯგუფი იგივე საქციელს უყურებდა ფილმის სახით, მესამე ჯგუფი იგივე საქციელს უყურებდა ანიმაციური ფილმის სახით, ხოლო ბავშვების მეოთხე (საკონტროლო) ჯგუფს არაფერი აჩვენს. ზრდასრული ადამიანის აგრესიული ქმედება, რომელიც ბავშვების სამმა ჯგუფმა ნახა, მდგომარეობდა შემდეგში: პლასტიკის სათამაშო ფიგურას, სახელად „ბობოს“, ადამიანი უყვიროდა და ხელს და ჩაქუჩს ურტყამდა.

ამის შემდეგ, თითოეულ ბავშვს უფლება ჰქონდა 20 წუთის განმავლობაში სათამაშო ოთახში, რომელშიც სხვა სათამაშოებთან ერთად „ბობოც“ იდო, ეთამაშა.

ექსპერიმენტის შედეგი იყო ის, რომ საკონტროლო (მეოთხე) ჯგუფის ბავშვებმა, რომლებმაც არაფერი არ ნახეს „ბობოსთვის“ ხელი არ დაუდიათ, როცა დანარჩენი სამივე ჯგუფის ბავშვები (რომელთაც ნახეს „ბობოს“ ცემა) „ბობოს“ ურტყავდნენ და უყვიროდნენ, ისე, როგორც მათ ეს ნანახი ჰქონდათ.[899]

მიჩვევის (Habitual) თეორია: მოცემული თეორიის თანახმად, სატელევიზიო ეკრანზე ნანახი ძალადობა, ადამიანში ემოციების ნელ-ნელა, უწყვეტად შენელებას და ბოლოს საერთოდ გაქრობას იწვევს. თეორიის ძირითადი მიმდევრები არიან ბერგერი (Berger)[900] და ლაზარუსი (Lazarus).[901] აღნიშნული თეორიისათვის ჩატარდა ექსპერიმენტი. ექსპერიმენტში მონაწილე პირებმა, რომლებმაც ფილმში სხვა პიროვნების ტანჯვა ნახეს, თავდაპირველად ძლიერი ემოციური დარტყმა განიცადეს, ექსპერიმენტის მსვლელობისას მათმა ემოციურმა განცდებმა ნელ-ნელა იკლო და ბოლოს საერთოდ გაქრა.[902]

მიჩვევის თეორიის თანახმად, ადამიანი სატელევიზიო ძალადობის ყურებისას ძალადობას იმდენად შეჩვეულია, რომ ძალადობრივი ქმედებებისადმი მას (ბოლოს) რეაქცია უკვე აღარ გააჩნია. ყოველივე ადამიანში იწვევს დანაშაულის სამართალდამცავი ორგანოებისადმი შეუტყობინებლობას და დამნაშავისა და მსხვერპლისადმი არასათანადო მოპყრობას.[903]

---

[898]Mattern, U., 1982. S. 309.
[899]Schwind, H-D., 2008. S. 294.
[900]Berger, S.M., 1962. S. 105-456.
[901] Lazarus, R.S., et al., 1965. S. 622-635
[902]Mattern, U., 1982. S. 309.
[903]Schwind, H-D., 2008. S. 295.

16.2.2. სატელევიზიო ძალადობასთან დაკავშირებული კვლევები

სატელევიზიო ძალადობასთან დაკავშირებით მეცნიერები გამოყოფენ, სატელევიზიო ძალადობის შედეგად წარმოშობილ პირველად და ხანგრძლივ (მომავლის) შედეგებს.

პირველადი შედეგი სატელევიზიო ძალადობის არის ის რომ, ადამიანები მიბაძავენ ტელევიზიით გადმოცემულ ძალადობრივ ქცევას, ხოლო ხანგრძლივი (მომავლის) თვალსაზრისით, ადამიანის მიერ ნანახი სატელევიზიო ძალადობრივი ქცევა, შეიძლება მასში აგრესიულ ქცევად განვითარდეს და ჩამოყალიბდეს, რომლის შედეგი იქნება პრობლემების ძალისმიერი მეთოდებით მოგვარების სურვილი და მცდელობები.[904]

ბავშვობაში ძალადობრივი სატელევიზიო გადაცემების ყურების და მათი მომავალში გამოხატვის მხრივ აღსანიშნავია შემდეგი კვლევა. 8 წლის ბიჭები, რომლებიც ხშირად უყურებდნენ ძალადობრივი სიუჟეტების შემცველ ფილმებს, 30 წლის ასაკში სწორედ ისინი აღმოჩნდნენ, რომლებიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ.[905]

მეორე შედარებითმა კვლევამ, რომელიც სამი წლის განმავლობაში მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში (ავსტრალია, ფინეთი, ისრაელი, პოლონეთი და აშშ) 9-დან 11 წლამდე ბავშვებში მიმდინარეობდა, აჩვენა, რომ ამ ქვეყნებში აგრესიულები იყვნენ ის ბავშვები, რომლებიც:

1. ზოგადად ბევრ დროს ატარებდნენ ტელევიზორთან,
2. უყვარდათ (უპირატესობას ანიჭებდნენ) ძალადობრივი სიუჟეტები,
3. საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ახდენდნენ სატელევიზიო გადაცემების გმირებთან,
4. სჯეროდათ, რომ სატელევიზიო სიუჟეტებში ნანახი ძალადობა, ცხოვრებისეულ სინამდვილეს შეეფერებოდა, და ბოლოს, ყველა ხუთ ქვეყანაში აგრესიულ ბავშვებს დედ-მამაც აგრესიული ჰყავდა, რომლებიც მათი (ბავშვების) საქმიანობით და ემოციურობით ნაკლებად ინტერესდებოდნენ.[906]

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ბელსონის (Belson) მიერ გამოკვლეული იქნა 1 565 12-13 წლის ბიჭი. იგი კვლევის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ძალადობრივი სატელევიზიო გადაცემათა გადაჭარბებული ყურება, მეტი ალბათობით იწვევს მოზარდების მონაწილეობას ძალადობრივ ქმედებებში.[907]

16.2.3. ძალადობის შემცველი კომპიუტერული თამაშები და მათი ზეგავლენა

კომპიუტერი ინგლისური [Computer] წარმოშობის სიტყვაა და გამომთვლელს ნიშნავს. თუმცა უკვე დიდი ხანია, მან მათემატიკურ გამოთვლებთან ერთად სხვა ფუნქციებიც შეითავსა.

ბოლო ათწლეულში დაიწყო საზოგადოების მასიური კომპიუტერიზაცია. კომპიუტერის საშუალებით ხდება არა მხოლოდ ინფორმაციის მიღება-გაგზავნა, საბანკო ოპერაციების ჩატარება, კომპიუტერი გადაიქცა გართობის, თავისუფალი

---

[904]Schneider, H. J., 2001. S. 135.
[905]იქვე.
[906]Eron, L.D./Huesmann, R.L., 1989. S. 151-167.
[907]Belson, W.A., 1978.

დროის გატარების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად. ინტერნეტი, როგორც მსოფლიო ინფორმაციული „აბლაბუდა“[908] შეიცავს მრავალი სახის ბაზებს, საიდანაც ინფორმაცია მიიღება და/ან ვრცელდება.[909] World Wide Web (www) არის მსოფლიო ინფორმაციული ქსელი, რომელიც „დაფუძნებულია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების კომპიუტერზე, საპროგრამო ინფორმაციულ რესურსზე, კავშირისა და ტელეკომუნიკაციების საშუალებებზე, რომელთა მეშვეობით ხდება ინფორმაციის გადამუშავება და მიღება“.[910] სწორედ ამ ინფორმაციის მიღებისათვის ბევრი ინტერნეტ მომხმარებელი საკუთარი თავისუფალი დროის დიდ ნაწილს ატარებს ინტერნეტში „ცურვით“. პრობლემის შემცველია არა ზოგადად ინტერნეტი, ან მისი როგორც საინფორმაციო საშუალების გამოყენება, არამედ ადამიანების მიერ მისი მომსახურების გამოყენება კანონით აკრძალული საქმიანობებისათვის (მათ შორის ყველაზე გახშირებულია ბავშვთა პორნოგრაფიული სურათების და ვიდეომასალის გავრცელება). შემაშფოთებელია, ასევე მოზარდების მიერ მშობლების და პედაგოგების კონტროლის გარეშე ინტერნეტ ქსელში „ცურვა“.

გარდა სისხლისსამართლებრივი პრობლემებისა,[911] რომლებიც ინტერნეტის საშუალებით კომპიუტერული დანაშაულების სახით გვხვდება, დიდია კრიმინოლოგიური ინტერესი ისეთი კომპიუტერული თამაშებისადმი, რომლებიც აგრესიის და ძალადობის შემცველია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. Killer-თამაშები, რომლებიც ნეგატიურად მოქმედებენ ადამინების (მით უფრო მოზარდების) ფსიქოლოგიაზე. ძალადობის შემცველი კომპიუტერული თამაშების ზეგავლენა გამოიხატება მოზარდების მხრიდან თამაშის დროს ნანახის გამეორების სურვილში (სტიმულირების თეორია), საკუთარი ფანტაზიური სამყაროს ჩამოყალიბებაში (კათარზისის თეორია).[912]

კრიმინოლოგთა აზრით,[913] რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებულ კვლევებს ეფუძნება, კომპიუტერულ თამაშებს გააჩნიათ შემდეგი სახის უარყოფითი ზეგავლენა მოზარდის ცხოვრებაზე:

1. რაც უფრო მეტ დროს უთმობენ ბავშვები კომპიუტერულ თამაშებს, მით უფრო ცუდია მათი სასკოლო მოსწრება;
2. კომპიუტერული თამაშები იწვევენ მოზარდების ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას. მოზარდებს უკვე ვეღარ წარმოუდგენიათ საკუთარი თავისუფალი დრო კომპიუტერული თამაშების გარეშე;
3. დიდია იმის ალბათობა, რომ ის მოზარდები, რომლებიც ხშირად თამაშობენ ძალადობის ამსახველ კომპიუტერულ თამაშებს, თვითონაც გახდნენ ძალადობრივი ქმედების მონაწილენი.

ძალადობის შემცველი კომპიუტერული თამაშების პრობლემატიკა უფრო მწვავედ არის საქართველოს პირობებში შესაფასებელი, ვინაიდან სხვა ქვეყნებთან შედარებით აქ არ არსებობს რაიმე სახის კონტროლი, რომელიც გააკონტროლებდა უცხოეთში წარმოებულ და ქართულ ბაზარზე გასაყიდად გამოტანილ კომპიუტერულ

---

[908]ალფაიძე, თ., 2008. გვ. 150.
[909]ცაცანაშვილი, მ., 1999. გვ. 87.
[910]ალფაიძე, თ., 2008. გვ. 150.
[911]კომპიუტერულ დანაშაულებთან დაკავშირებით, იხ. ჯოგლიძე, თ., 2003. გვ. 104-108; ლანჩავა, გ., 2008. გვ. 63-73.
[912]Schwind, H-D., 2008. S. 269.
[913]იხ.:www.kfn.de

თამაშებს. ყოველივეს ისიც ართულებს, რომ ინტერნეტის საშუალებით რუსულენოვანი საიტებიდან სისტემატიურად ხდება აკრძალული, აშკარა და გადაჭარბებული ძალადობის შემცველიკომპიუტერული ფილმების „გადმოქაჩვა“ და სამომხმარებლო ბაზარზე გაყიდვა. გარდა ამისა, ინტერნეტის საშუალებით შესაძლებელია რამდენიმე პირის ძალადობის შემცველი კომპიუტერული თამაშების თამაშში პირდაპირი შეჯიბრი, რაც თითოეულ მოთამაშეს მეტ სტიმულს აძლევს და ზრდის ამგვარი თამაშებისადმი ფსიქოლოგიურ დამოკიდებულების რისკს.

ძალადობის შემცველი კომპიუტერული თამაშების პრობლემის გადაჭრის პირველ ეტაპზე საჭიროა მოხდეს, მშობლების და სკოლის პედაგოგების ინფორმირება, კონტროლზე აიყვანონ ის მოსწავლეები, რომლებიც სხვებთან შედარებით ბევრ დროს ატარებენ ძალადობის შემცველი კომპიუტერული თამაშების თამაშით.

ზოგიერთი კომპიუტერული (არაძალადობრივი) თამაში ხელს უწყობს ყურადღების, ვიზუალური აღქმადობის და წარმოსახვითი უნარის განვითარებას.[914]

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ჟურნალისტები, რომლებიც საგაზეთო კრიმინალურ სტატიას ან დანაშაულის შესახებ სატელევიზიო გადაცემას ამზადებენ, იმის მიუხედავად, რომ მათ მიერ მოძიებული და გასაშუქებელი მასალა უნდა იყოს დროული, ადგილობრივი და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე, კონფლიქტის შემცველი და განსხვავებული ნიშნის,საჭიროა, რომ მათ იფიქრონ თუ რა უარყოფით გავლენას (დაუცველობის გრძნობის ჩამოყალიბება, უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა)მოახდენს მათი გადაცემა ან სტატია მაყურებელსა ან მკითხველზე. ამ მხრივ საჭიროა ჩატარდეს ემპირიული კვლევები კრიმინოლოგიური კუთხით.

[914]Kiehn, L., 2015. S. 28.

თავი მეჩვიდმეტე
ძალადობის კრიმინოლოგიური ასპექტები

„ძალადობა არის მონობა; იგი იძულებულს ხდის ადამიანს როგორც ღმერთზე ასევე ყველაფერზე, რაც მის გარშემო არსებობს მცდარი სურათი [წარმოდგენა] იქონიოს. ამიტომ იგი [ძალადობა] ჩაკეტილი რაიხია [სამფლობელოა]. ძალადობისაგან გათავისუფლება ნიშნავს გამოიქცე ამ რაიხიდან რათა შეაღწიო სხვა რაიხში, რომლის არსებობის შესახებ ადამიანთა დიდ უმრავლესობას წარმოდგენაც კი არა აქვს. ეს არის სიყვარულის სამფლობელო“. ეს სიტყვები ფრანგული წარმოშობის ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე კულტუროლოგს რენე ჟირარს ეკუთვნის და ნათლად გამოხატავს ძალადობის, როგორც სიყვარულთან, სათნოებასთან და ადამიანობასთან დაპირისპირებული ფენომენის უარყოფით მხარეს.[915]

დღე არ გავა, რომ ძალადობრივი ქმედების შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია არ გახდეს ადამიანისათვის ცნობილი. ძალადობა იქცა ადამიანთა შორის ურთიერთობის ფორმად. იგი ისე ღრმად შემოიჭრა ადამიანის აზროვნებაში და აისახება მის ყოველდღიურ ქმედებაში, რომ ბევრი ჩვენგანი ვერც კი ამჩნევს, რომ იგი ძალადობრივი, აგრესიული ხასიათის ურთიერთობებშია.

ძალადობის ლიტერატურული ფორმით წარმოჩენა საჭიროდ ჩავთვალეთ, რათა მკითხველისათვის მისი (ძალადობის) ჩვენ შორის არსებობა უკვეთ წარმოგვეჩინა. ძალადობა საზოგადოებრივი პრობლემაა, რომლის მხოლოდ რომელიმე სახის მეცნიერული კვლევა (მაგ. სოციოლოგიური ან კრიმინოლოგიური) სათანადო შედეგებს ვერ მოგვცემდა. ძალადობრივი დანაშაულის კრიმინოლოგიური კვლევა ვერ იქნება სრულყოფილი საზოგადოებაში ძალადობის კულტურის კვლევის გარეშე. შესაბამისად, ძნელია ძალადობის სრულყოფილი გაანალიზება და სცილდება მოცემული ნაშრომის ფორმატს. ძალადობა განხილული იქნება კრიმინოლოგიური კუთხით, რათა ნათელი გახდეს მისი წარმოშობის მიზეზები, რათა უკეთ იქნას განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები.

პირველ რიგში, აუცილებელია აგრესიის და ძალადობის ცნებების განხილვა. ეს ორი ცნება ძალიან ხშირად სინონიმებად გამოიყენება. მაგრამ განსხვავება მათ შორის მაინც არსებობს, თუ ძალადობაში მხოლოდ უარყოფითი მოვლენა არის ნაგულისხმები, აგრესია მოიცავს როგორც უარყოფით, ასევე დადებით ქმედებას.[916]

ფსიქოლოგიაში ძირითადად გამოიყენება სიტყვა აგრესია. ძალადობა გამოიყენება აგრესიის ექსტრემალურ ფორმებზე.[917]

აგრესიასა და ძალადობას შორის განსხავება არის ასევე ქმედების მოტივაციაში. თუ აგრესია იმპულსური ქმედებაა, ძალადობა - ორიენტირებულია მოგების, უპირატესობის მიღებაზე, მოპოვებაზე.[918] იმპულსური აგრესიის მაგალითია

---

[915]ძალადობის, მისი ცალკეული დანაშაულებრივი ქმედებების გამომწვევი მიზეზების, ძალადობის პრევენციის შესახებ ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ., 2012.
[916]Meier, U., 2004. S. 18.
[917]Bierhoff, H. W./ Wagner, U. (Hrsg.), 1998. S. 6.
[918]იქვე.

მოზარდების გაუაზრებელი თავდასხმები მოხუცებზე, უცხოელებზე ან უსახლკაროებზე. ამგვარი ქმედებების პირდაპირი მოტივი არის სხვა ადამიანების დასახიჩრება.[919]

აგრესიის ცნება უფრო საერთაშორისო სისხლის სამართალში გამოიყენება და ხშირად გულისხმობს ერთი ქვეყნის შეიარაღებულ აგრესიას მეორის წინააღმდეგ.[920] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, აგრესია არის „ერთი ან რამდენიმე იმპერიალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა სახელმწიფოზე მისი ტერიტორიის დაპყრობისა და დამონების მიზნით.“[921] სიტყვა ძალადობა შიდასახელმწიფოებრი გამოყენების სფეროა, მაგალითად ეთნიკური უმცირესობების ან ჰომოსექსუალების მიმართ მიმართული უკანონო ძალისმიერი ქმედებები.[922]

17.1. აგრესიის ცნება

ეტიმოლოგიურად აგრესია ლათინური წარმოშობის სიტყვაა (Aggredi) და ნიშნავს მიახლოებას, ვინმესთვის მიმართვას, ვინმეზე თავდასხმას.

ჰაკერის (Hacker) თანახმად, აგრესია არის ადამიანში მყოფი დისპოზიცია, კომპეტენცია ან მზადყოფნა, დაბადებით გადმოცემული (ნასწავლი) შესაძლებლობა, განახორციელოს ქმედება, რომელიც აქტივობაში, „ურთიერთობის სურვილში“ გამოიხატება, არის დასწავლილი ან სოციალური, ინდივიდუალური ან კოლექტიური გამოვლინების ფორმით და მოიცავს თვითდამკვიდრებიდან შემზარავობამდე ნებისმიერი სახის ქმედებას.[923]

ბახის და გოლდბერგის (Bach & Goldberg) მიერ აგრესია განიმარტება, როგორც პოზიტიურობის და თავშეკავებულობის საწინააღმდეგო ქმედება.[924]

ზემოაღნიშნული ცნებების მიხედვით, აგრესია შეიძლება ადამიანის ბუნებრივ მოთხოვნილებადაც კი ჩაითვალოს, რომელიც მას ცხოვრებასთან გამკლავებაში ეხმარება.[925] შესაბამისად, შესაძლებელია გამოიყოს აგრესიის ფორმები, რომლებიც საზოგადოების მიერ მიღებული და აღიარებულიც კი არის,[926] მაგ.:

- თავდაცვითი, დეფენზიური აგრესია (აუცილებელი მოგერიების დროს);
- აუცილებელი, გამართლებული აგრესია სპორტში;
- ინსტრუმენტული (მეთოდური, მიზნისათვის აუცილებელი) აგრესია, რომელიც საჭიროა კონკურენტებთან ბრძოლაში.

ბანდურას აზრით, აგრესია არის დესტრუქციული და ზიანის მომტანი ქმედება, რომელიც სოციალურ სფეროში არსებული მრავალი ფაქტორის გამო აგრესიად განისაზღვრება.[927] აგრესიად განსაზღვრა ამა თუ იმ ქმედების დამოკიდებულია არა თვითონ აგრესორზე, არამედ შემფასებელზე. ბანდურას აგრესიის ცნება მიუთითებს,

---

[919]იქვე.
[920]ხუციშვილი, ქ., 2010. გვ. 123.
[921]ჩიქობავა, არ. (მთ. რედ.), 1986. გვ. 16.
[922]Bierhoff, H. W./ Wagner, U. (Hrsg.), 1998. S. 7.
[923]Hacker, F., 1988. S. 32.
[924]Bach, G.R. /Goldberg, H., 1974. p. 14.
[925]Meier, U., 2004. S. 18.
[926]იქვე.
[927]Bandura, A., 1979. S. 22.

რომ ხშირად ქმედების აგრესიად კლასიფიცირება დამოკიდებულია სხვადასხვა კონტექსტსა და პირობებზე, ანუ შემფასებელმა შესაძლებელია ერთი და იგივე ქმედება ერთ შემთხვევაში აგრესიად, ხოლო მეორე შემთხვევაში ჩვეულებრივ ქმედებად მიიჩნიოს.[928]

17.2. ძალადობის ცნება

ძალადობა არის ძალაუფლების და/ან ბატონობის, მბრძანებლობის მანიფესტირება, რომლის მიზანია ადამიანების ან ადამიანთა ჯგუფებისათვის ზიანის მიყენება.[929]

ძალადობის გამოყენების დროს ზიანის მიყენება არ არის სავალდებულო. გარდა ამისა, შესაძლებელია ზიანის მიყენება სულაც არ ყოფილიყო ძალადობრივი ქმედების მიზანი, მაგრამ თუ შედეგი (ზიანი) დამდგარია, მიზნის არსებობას მნიშვნელობა ეკარგება.[930]

ძალადობის ცნება ძალაუფლებასთან ან მბრძანებლობასთან მჭირდო კავშირში განიხილება.

მაქს ვებერის თანახმად, ძალაუფლება (Macht) არის ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის ან ინსტიტუციის შესაძლებლობა, საკუთარი ინტერესები გაატარონ სხვა ადამიანების, ადამიანთა ჯგუფის ან ინსტიტუციების ინტერესების გაუთვალისწინებლად და წინააღმდეგობის მიუხედავად.[931] ადამიანთა შესაძლებლობა გაატარონ საკუთარი ინტერესები, მჭირდოდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ძალაუფლებასთან, რაც ადამიანთა ასეთი ჯგუფის უპირატესობას უზრუნველყოფს.[932] ხოლო რაც შეეხება ბატონობას ან მბრძანებლობას, იგი განიმარტება როგორც ინსტიტუციონალიზირებული ძალაუფლების გამოყენება, რომელიც საზოგადოებას ორ კატეგორიად ყოფს: მმართველებად და მართულებად.[933]

17.3. ძალადობის ფორმები

ორი სახის ძალადობას განასხვავებენ სოციოლოგიურ (კრიმინოლოგიურ) ლიტერატურაში: პერსონალური და სტრუქტურული.

პერსონალურ ძალადობაში იგულისხმება ისეთი ძალადობა, რომლის სუბიექტი და ობიექტი (უმრავლეს შემთხვევაში) ადამიანია. პერსონალური ძალადობა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური. სტრუქტურულ ძალადობაში კი იგულისხმება საზოგადოებრივი მდგომარეობა, რომელიც ადამიანებისათვის ზიანის მომტანია.

17.3.1. ფიზიკური ძალადობა

ფიზიკურია ისეთი ძალადობის ფორმა, რომელიც იწვევს ადამიანის სხეულის განადგურებას, დაზიანებას ან დასახიჩრებას, ანუ ფიზიკური ძალადობის დროს

---

[928]Bierhoff, H. W./Wagner, U. (Hrsg.), 1998. S. 5.
[929]Schorb, B./Theunert, H., 1982. S. 323.
[930]Theunert, H., 1996. S. 60.
[931]Weber, M., 1964.
[932]Theunert, H., 1996. S. 62.
[933]König, R. (Hrsg.), 1968. S. 119.

ადამიანები სხვა ადამიანებს აყენებენ სხეულის დაზიანებას.[934] აქვე იგულისხმება ცხოველების გამოყენება ძალადობის განსახორციელებლად (ძაღლის მიქსევა სხვა ადამიანზე) და ადამიანების მიერ საგნების მიმართ განხორციელებული ძალადობა.[935]

გარდა ამისა, საინტერესოა, ცხოველების მიმართ გამოყენებული ძალადობა. ასეთმა ძალადობამ შესაძლებელია ადამიანიც დააზარალოს, მაგ. თუ ადამიანი მოკლავს ან დაასახიჩრებს ცხოველს, რომელიც მეორე ადამიანს ძალიან უყვარს.

ძალადობა ასევე შესაძლებელია განხორციელდეს საგნების მიმართ. თუმცა ძალადობის ასეთ სახესხვაობას ცოტა ავტორი თუ აღიარებს და მასაც მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა საგნის მიმართ გამოყენებული ძალადობით იგი (საგანი) განადგურდება, რითაც ზიანი მიადგება მფლობელს ან მსარგებელს.[936] საგნების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა, თუ მას ადამიანის ეკონომიკური ზარალი არ მოჰყოლია არ იგულისხმება ძალადობად. საგნების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა შესაძლებელია ადმიანებისათვის ფსიქოლოგიური ზიანის მომტანი იყოს. მაგ. ფაშისტების მიერ 1933 წელს ბერლინში და 21 სხვა ქალაქში განადგურებულ იქნა მილიონობით წიგნი, რომლის ძირითადი მიზანი იყო არა უბრალოდ წიგნების, როგორც საგნების განადგურება, არამედ წიგნის ავტორების იდეების (კარლ მარქსი, თომას მანი, ზიგმუნდ ფროიდი) განადგურება და ამით ადამიანის განადგურება. ფაშისტების ამგვარი საქციელი მიმართული იყო ადამიანის ფსიქიკის განადგურებისაკენ და ფსიქოლოგიურ ზიანად უნდა ჩაითვალოს.[937]

საგნების მიმართ განხორციელებულმა ძალადობამ, რასაც საგნის განადგურება მოჰყვა, რომელთანაც საგნის ავტორის იდენტიფიკაცია იყო შესაძლებელი, შეიძლება არა მხოლოდ ადამიანის ფსიქიკური ტრამვა, არამედ მისი ფიზიკური განადგურებაც გამოიწვიოს.[938]

17.3.2. ფსიქოლოგიური ძალადობა

ფსიქოლოგიური ძალადობა არის ისეთი ქმედება, რომელსაც შეუძლია ადამიანის ფსიქიკის მოშლა, ანუ მისი გონებრივი და სულიერი მდგომარეობისათვის ზიანის მიყენება.[939] ფსიქოლოგიური ძალადობა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანებს შორის, ანუ როგორც დაზარალებული, ასევე მოძალადე ადამიანები არიან.

ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმებად ითვლება ვერბალური ძალადობა, აგრესიული სახის ან სხეულის ჟესტიკულაცია, თაღლითობა, დაშინება, შანტაჟი და ა.შ.[940]

ქართული კრიმინოლოგიის პრობლემას წარმოადგენს ფსიქოლოგიური ძალადობის ვერბალური ფორმა – ***გინება,*** რომელიც უნდა ჩაითვალოს როგორც ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ფსიქოლოგიური ძალადობის განსაკუთრებულ მწვავე ფორმად, ასევე კონფლიქტის წარმოშობის ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად (ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის ან მისი ოჯახის წევრების, ნათესავების

---

[934]Theunert, H., 1996. S. 86.
[935]იგივე, გვ. 87.
[936]Galtung, J., 1971. S. 61.
[937] Theunert, H., 1996. S. 87.
[938]იქვე.
[939]იგივე, გვ. 89.
[940]Galtung, J., 1971. S. 60; Theunert, H., 1996. S. 89.

წინააღმდეგ გამოთქმული გინება ხშირად ხდება დანაშაულებრივი კონფლიქტის საფუძველი).

ქართულ ენაში გინება განმარტებულია შემდეგნაირად: გინება (გინებისა) სახელი აგინებს, იგინება ზმნათა მოქმედებისა, - უპატიური, შეურაცხმყოფელი, აუგი, უშვერი სიტყვებით მოხსენიება ან მიმართვა, - ლანძღვა. კუდა კამეჩი გავყიდე, ქებითა და დიდებითა. შევხედე, უკან მოყავდათ ლანძღვითა და გინებითა (ხალხური).[941]

გინება – ბილწად ხსენება, გინა (გინდა) შეურაცხყოფა, გინა (გინდა) წაბილწვა.[942]

გინება შეიძლება დაიყოს ორ სახედ: დაგინება და შეგინება.

დაგინება ნიშნავს ადამიანის მიერ საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად საკუთარი თავის ან ოჯახის წევრების შეურაცხყოფას (ჩემი ..., თუ მართალს არ გეუბნებოდე და ა.შ.).

შეგინება გულისხმობს ერთი ადამიანის მიერ მეორის პირად ან მისი ოჯახის წევრების შეურაცხყოფას.

ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის შეურაცყოფის ფორმები სხვა ქვეყნებშიც არის ცნობილი, მაგრამ გინების ასეთი სიმწვავით აღქმა მხოლოდ იმ ხალხებშია, სადაც პირადი ღირსება მაღალია და წინა პლანზეა წამოწეული ვიდრე სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი აზროვნება, ანუ ბევრ ქვეყანაში სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის შესაძლებელია დაზარალებულმა პოლიციას გამოუძახოს და თავიდან იქნას აცილებული კონფლიქტის შემდგომი ესკალაცია (სახელმწიფოებრივი, საზაოგადოებრივი აზროვნება), ხოლო ისეთ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში), სადაც პირადი ღირსების დაცვის გრძნობა მაღალია, გინების შემთხვევაში თვითონ ცდილობენ ღირსების აღდგენას და ამწვავებენ კონფლიქტს, რაც ხშირად მძიმე შედეგებით მთავდრება.

საქართველოში გინების ასე მწვავედ აღქმას შესაძლებელია ისტორიული საფუძველი ედოს. გინება, როგორც შეურაცხყოფის ფორმა, გულისხმობს შემგინებლის „სურვილს“, სექსუალური ურთიერთობის ქონაზე შეურაცხმყოფელთან ან მის ოჯახის წევრებთან. სწორედ სექსუალური ურთიერთობის გინებაში გამოხატვა და ამით პირადი ღირსების დაკნინება უნდა იქნას მიჩნეული შეურაცხყოფის ძირითად მიზეზად, რასაც ისტორიული წანამძღვრები გააჩნია:

ა) მე-11 საუკუნის საეკლესიო სამართლის ძეგლი „მცირე სჯულისკანონი“ მიუთითებს, რომ მებრძოლნი მივლენ „ტყუენვად და მოსრვად“. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ისტორიის პროფესორი დავით ბოსტოღანაშვილი გამოთქვამს ვარაუდს, რომ მოცემულ კონტექსტში სიტყვა „ტყუენვად“ გულისხმობს უცხო ქვეყნის დამპყრობლის მიერ ქალების გაუპატიურებას. შესაძლებელია გინებაში სიტყვა „ტყვნა“ მამაკაცისათვის სწორედ იმ შეურაცხყოფის მატარებელი იყოს, რაც უცხო ქვეყნის დამპყრობლების მიერ მისი დედის, მეუღლის, დის, შვილის ან ახლობელი ქალის (საცოლის) გაუპატიურებას გულისხმობდა. სიტყვა „ტყვნიდან“ წარმოშობილი შეურაცხყოფის გრძობა მას საუკუნეების განმავლობაში გენეტიკურად ჩამოუყალიბდა და მისი ღირსების ყველაზე მტკივნეულ შელახვად ითვლება დღესაც;

---

[941]ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. მეორე ტომი. 1951. გვ. 1454

[942]ორბელიანი, ს-ს., 1991. გვ. 159.

ბ) საუკუნეების განმავლობაში გინება ითვლებოდა ისეთი სახის შეურაცხყოფად, რაც მკაცრად ისჯებოდა. მაგალითად, ბაგრატ კურაპალატის (XI საუკუნე) სამართლის მიხედვით, თუ დიდებული ეპისკოპოსს აგინებდა უნდა გადაეხადა ორმოცი ათასი თეთრი; ივანე ჯავახიშვილის თანახმად, თამარ მეფის დროს მეფის პირადად და საჯაროდ შეურაცხყოფისათვის დამნაშავეს სასჯელად დაედებოდა პირველად ენის აღმოკვეთა, ხოლო მერე თავის მოკვეთა;[943] ვახტანგ VI სამართლის მიხედვით (მუხლი 226), თუ გინებამ კაცთა შორის დიდი მტრობა გამოიწვიოს, შემგინებელს მომხდარი სისხლის ნახევარი დაედება გადასახდელად, ხოლო სხვების უსამართლოდ გინებისათვის მოსამართლემ იგი შეიძლება ცემით ან დატუქსვით დასაჯოს.

როგორც ჩანს, ისტორიულად გინების ასე მკაცრად დასჯა გამოწვეული უნდა იყოს პირადი ღირსების დაცვის მაღალი ხარისხით, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს გააჩნდათ საუკუნეების მანძილზე და შემორჩათ დღესაც და რაც, როგორც უკვე აღინიშნა, კონფლიქტის წარმოშობის ერთ-ერთ წინაპირობად არის ქცეული.

ფსიქოლოგიურ ძალადობას შესაძლებელია მოჰყვეს შემდეგი სახის შედეგები: კონცენტრაციის დაქვეითება, საკუთარი აზრის გამოთქმის და არგუმენტირებულობის შეუძლებლობა, სხვის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებულება, დეპრესია, უნდობლობა, შიში, საკუთარი თავის (შესაძლებლობებისადმი) იმედის დაკარგვა, კონტაქტების დამყარების უნარის დაკარგვა, აპათია და სხვა.[944] ხანგრძლივმა ფსიქოლოგიურმა პრობლემებმა შესაძლებელია პიროვნების ფსიქოსომატური ავადმყოფობა და ფსიქიკის განადგურება და თვითმკვლელობაც კი გამოიწვიოს.[945]

17.3.3. სტრუქტურული ძალადობა

სტრუქტურულ ძალადობას (Strukturelle Gewalt) არავითარი კავშირი არა აქვს ადამიანის მიერ ძალადობის გამოვლინებასთან. იგი უფრო არის საზოგადოებრივ სისტემაში არსებული სტრუქტურა, რომელიც არათანაბარ ძალაუფლების გადანაწილებას გულისხმობს, ანუ სტრუქტურული ძალადობა არის საზოგადოებრივი მდგომარება, რომლის დროსაც ადამიანები არათანაბარ პირობებში არიან ჩაყენებულნი და ადამიანთა ერთი ჯგუფისათვის [ასეთი მდგომარეობა] ზიანის ან ტანჯვის გამომწვევია.[946] ამგვარი მდგომარეობა შესაძლებელია სახეზე იყოს პოლიტიკური ძალაუფლების და ეკონომიკური რესურსების არათანაბარი გადანაწილების დროს, რასაც თავისთავად მოსდევს არათანაბარი შანსების ქონა მოსახლეობის (ერთი დიდი) ნაწილისათვის.

გალტუნგის აზრით, სტრუქტურული ძალადობა სახეზეა, როცა საზოგადოებრივი სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ადამიანის გონებრივი და ფიზიკური განვითარება მის (ამ ადამიანის) პოტენციურ შესაძლებლობებს არ შეესაბამება და საგრძნობლად ჩამოუვარდება, ანუ ადამიანს არ შეუძლია განვითარდეს.[947] მისივე აზრით, მე-18 საუკუნეში თუ ვინმე ტუბერკულოზით ან სიცხით გარდაიცვლებოდა სტრუქტურული ძალადობა არ იქნებოდა, რადგან საზოგადოებრივი (მეცნიერული, სამედიცინო) განვითარება არ იყო იმ დონის, რომ ტუბერკულოზი ან სიცხე განეკურნა, ხოლო თუ

---

[943]ჯავახიშვილი, ივ., თხზულებანი 12 ტომად. ტომი VII. გვ. 217.
[944]Theunert, H., 1996. S. 90.
[945]იქვე.
[946]იგივე, გვ. 92.
[947]Galtung, J., 1971. S. 57.

დღეს, მედიცინის განვითარების ასეთ ეტაპზე, თუ კიდევ ვინმე ასეთი განკურნებადი დაავადებით, ავადმყოფობით გარდაიცვლება საქმე გვექნება სტრუქტურულ ძალადობასთან.[948]

სტრუქტურული ძალადობა პოლიტიკურად გაჯერებული ცნებაა, ვინაიდან ქვეყნის სოციალურ უთანასწორობას ეხება, რაც მოსახლეობის ერთი ნაწილის ტანჯვას, დამცირებას, დაზარალებას იწვევს. სტრუქტურული ძალადობის ცნების ანტონიმია სოციალური სახელმწიფო, რომელიც მოსახლეობის სამართლიანობისა და სოციალურად დაცულობის აუცილებელი პირობების მატარებელია.

სტრუქტურული ძალადობით გამოწვეული შედეგების არეალი მოიცავს დეპრესიულობიდან თვითმკვლელობამდე, როგორც ფსიქიკურ პრობლემებს, ასევე ფიზიკურ ტრამვებს.[949]

17.4. ძალადობის ახსნა-განმარტება კრიმინოლოგიური თეორიებით

17.4.1. აგრესია, როგორც დაბადებითი ინსტინქტი

ფროიდის თანახმად, ეროსის ინსტინქტის გარდა, რომელიც სიცოცხლის შენარჩუნებისათვის იბრძვის, ადამიანში უნდა არსებობდეს სრულიად საწინააღმდეგო სიკვდილის თანდაყოლილი ინსტინქტი,[950] ანუ ინსტინქტი, რომელიც სიცოცხლის გადარჩენისათვის იბრძვის (Eros) და ინსტინქტი, რომელიც სიცოცხლეს სპობს (Thanatos). აგრესია არის სწორედ სიკვდილის ინსტინქტის შემადგენელი ნაწილი, რომელიც თავს იჩენს, თუ არ მოხდა მისი (აგრესიის) ფსიქოლოგიურად „დამუშავება“ [განეიტრალება].[951]

ფროიდის თეორიის კრიტიკა მდგომარეობს აღნიშნულ საკითხზე ემპირიული კვლევების შეუძლებლობასა და არარსებობაში.

17.4.2. ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია

ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია ორიენტირებულია ფროიდის ფსიქო-ანალიტიკურ თეორიაზე და აგრესიას მიიჩნევს როგორც რეაქციის საშუალებას გარკვეული მდგომარეობის არსებობის დროს. ფროიდი თავის ძველ ნაშრომებში საუბრობს ფრუსტრაცია-აგრესიის მექანიზმზე, რომლის მიხედვით, როცა ადამიანში სურვილის მაძიებელ (lustsuchende) ან ტკივილის გამქარწყლებელ (schmerzmeidende) ქმედებას ეშლება ხელი, ადამიანში ჩნდება ფრუსტრაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოშობს აგრესიას იმ პირების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ქმედების ხელის შეშლაში.[952]

დოლარდმა (Dollard)1939 წელს სწორედ ზემოაღნიშნული ფსიქოანალიტიკური ასპექტიდან შეიმუშავა ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიის ოთხი ძირითადი თეზისი:[953]

- ფრუსტრაციას ადამიანი მიჰყავს აგრესიულ ქმედებებამდე და აგრესია არის ფრუსტრაციის შედეგი;

---

[948]იგივე, გვ. 58.
[949]Theunert, H., 1996. S. 98.
[950]Meier, U., 2004. S. 42.
[951]Schneider, H.J., 1994. S. 17.
[952]Schwind, H-D., 2010. S. 134.
[953]Weidner, J., 1997. S. 20.

- აგრესიულობის სიძლიერე პროპორციულია ადამიანში მანამდე განვითარებული ფრუსტრაციის სიძლიერისა;
- კათარზისის თეორიის მიხედვით, აგრესიული ქმედების გამოვლენით ადამიანში არსებული აგრესიული ენერგია ნელდება და ადამიანი სხვა აგრესიულ ქმედებებს ნაკლებად ჩადის;
- თუ მოხდება აგრესიის გამოვლენის ბლოკირება, აგრესია გადავა სხვა ადამიანებსა ან ობიექტზე (იხ. „განტევების ვაცის თეორია“).

ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიის მიხედვით, დამნაშავე მოზარდები უფრო ფრუსტრირებული არიან, ვიდრე არადამნაშავეები. არადამნაშავე მოზარდები ფრუსტრაციას სხვა რეაქციებით ავლენენ, ხოლო დამნაშავეები ძალადობრივ დანაშაულს (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება, ნივთის დაზიანება) ჩადიან. ფრუსტრაციის მომტანია მოზარდის უმუშევრობა ან დაუსაქმებლობა, რაც შეიძლება აგრესიაში, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებაში გამოიხატოს (იხ. ანომიის თეორია).

მოცემული თეორიის კრიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ ფრუსტრაციის აგრესიად გადაქცევა დამოკიდებულია ადამიანის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე. ფრუსტრაციისაგან წარმოშობილი აგრესია შესაძლებელია „გამართლებულიც“ იყოს, თუ იგი სამართლიანია. მაგალითად, მძღოლი ავტობუსს არ აჩერებს გაჩერებაზე, სადაც ხალხი ელოდება, იმ მოტივით, რომ მას ეჩქარება. ეს მგზავრებში იწვევს ფრუსტრაციას, რომელიც შეიძლება გამოიხატოს მძღოლის მიმართ აგრესიით, სიტყვიერი შეურაცხყოფით, რაც სამართლიანი იქნება და მძღოლს უფლება არ ექნება, უჩივლოს მის შეურაცხმყოფელს.[954]

ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიის მნიშვნელობა მდგომარეობს მოზარდისათვის ოჯახსა და სკოლაში ფრუსტრაციისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და საკუთარი თავის კონტროლის მექანიზმის სწავლაში.

17.4.3. სოციალურ-სტრუქტურული თეორიები

სოციალურ სტრუქტურებზე ორიენტირებული კრიმინოლოგიური თეორიები აგრესიის გამოვლინების საფუძვლად მიუთითებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობას და მის ღირებულებებს. საზოგადოებრივი ფორმაციის დროს პროგრესული ღირებულებების და არსებული ქცევის წესების ერთმანეთთან კონფლიქტმა (კულტურის კონფლიქტის თეორია) შესაძლებელია საზოგადოების დიდი ნაწილის ორიენტაციადაკარგულობა (ანომიის თეორია) და სოციალური ურთიერთობების დარღვევა გამოიწვიოს (სოციალური დეზორგანიზაციის თეორია). საზოგადოების წევრების ორიენტაციადაკარგულობა და სოციალური ურთიერთობების დარღვევა, თავის მხრივ, იწვევს ადამიანების მიერ შეგნებულად თუ შეუგნებლად ძალადობის გამოყენებას (მაგ. ძალადობა, როგორც ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა).[955]

17.4.4. ანომიის თეორია

ანომიის თეორია ძალადობის ახსნა-განმარტებას ცდილობს შემდეგი არგუმენტების მეშვეობით. თუ ადამიანი მიხვდება, რომ საზოგადოებაში თავის

[954]Schwind, H-D., 2010. S. 134.
[955] Schneider, H.J., 1994. S. 18.

დამკვიდრებისათვის პრესტიჟი, ფული და (პირადი) წარმატება აუცილებელია, მაგრამ ამავდროულად მან იცის, რომ ლეგალური საშუალებებით იგი ამას ვერ მიაღწევს (ფულს, პრესტიჟს ვერ მოიპოვებს) რითაც საზოგადოებისაგან გარიყვა შეიძლება დაემუქროს, დიდია იმის ალბათობა, რომ ასეთმა ადამიანმა აგრესიულ და ძალადობრივ ქმედებებს მიმართოს.[956] აგრესიულ ქმედებამდე შესაძლებელია ადამიანი მივიდეს, თუ იგი დაადგენს, რომ სხვა საშუალებებით საზოგადეობრივ მიზნებს ვერ მიაღწევს.[957]

17.4.5. დასწავლის სოციალური თეორია

დასწავლის სოციალური თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელია ალბერტ ბანდურა. მის მიერ ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ნათლად აჩვენა ბავშვებში დაკვირვებით დასწავლის ეფექტი. ბავშვებს ძალადობრივი სატელევიზიო გადაცემების ნახვა სტიმულს აძლევს, თვითონაც მიმართონ ძალადობრივ საქციელს (იხ. ქვეთავი 16.2.1.).

საინტერესოა ოჯახში ბავშვებისადმი მოპყრობის და ბავშვების მიერ აგრესიულობის ან ძალადობრივი ქმედების პროპორციულობის (ურთიერთმიმართების) საკითხის დადგენა. ამ საკითხზე ხშირია დავა, თუ რამდენად არის საჭირო ბავშვის აღზრდისთვის ფიზიკური დასჯა. ფსიქოლოგიურმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ბავშვების ფიზიკური დასჯა არ იძლევა რაიმე სახის დადებით შედეგს.

ამერიკის შეერთებული შტატების ინდიანასა და ტენესის 273 საბავშო ბაღის მოზარდების მშობლებს სთხოვეს შეევსოთ კითხვარი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად იყენებდნენ ისინი საკუთარი ბავშვების წინააღმდეგ ფიზიკური დასჯის მეთოდებს. გამოკითხულ იქნენ ბავშვების დედები. გამოკითხვამ აჩვენა, რომ დედების 6% არასოდეს იყენებდა ფიზიკურ დასჯას, 68% ბავშვებისა დედების მიერ ხანდახან იტყიპებოდნენ, ხოლო დანარჩენი 26% კი დედების მიერ ინტენსიურად ისჯებოდნენ ფიზიკურად; დედები მათ ან მუშტებით ურტყამდნენ ან მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ. დედების გამოკითხვიდან 6 თვის შემდეგ მეცნიერები დააკვირდნენ ბავშვების ურთიერთობას თანატოლებთან. მკვლევარებმა დააფიქსირეს, რომ ის ბავშვები რომლებიც მშობლების მიერ ინტენსიურად ისჯებოდნენ უფრო აგრესიულები იყვნენ სხვა ბავშვებთან ურთიერთობაში. ეს მონაცემები გვარწმუნებს, რომ ბავშვები აგრესიულ ქცევას საკუთარი მშობლებისაგან დაისწავლიან.[958]

მოზარდობის ასაკში, გარდატეხის პერიოდში შვილების დასჯას ასევე მავნე შედეგები მოაქვს. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში მეცნიერებმა შეისწავლეს 6002 ამერიკულ ოჯახში არსებული ძალადობრივი პრობლემები. შედეგები საკმაოდ დრამატული გამოდგა. 50% აღიარებდა, რომ მათ ფიზიკურად სჯიდნენ თინეიჯერობისას (58% ბიჭი და 44% გოგო). მათ ვისაც გარდატეხის პერიოდში სჯიდნენ მოგვიანებით ჰქონდათ შემდეგი პრობლემები: დეპრესია, სუიციდისადმი მიდრეკილება,

---

[956]Meier, U., 2004. S. 57.
[957]იქვე.
[958]იხ.: გერიგი, რ./ზიმბარდო, ფ., 2009. გვ. 248.

ალკოჰოლიზმი, საკუთარი ბავშვების ფიზიკური შეურაცხყოფა, კაცების მიერ ცოლების ცემა.[959]

ბავშვების დასჯის დროს მეცნიერები მშობლებს სთავაზობენ, რომ:[960]

- დასჯა იყოს სწრაფი და ხანმოკლე;
- დასჯა გამოყენებულ იქნას იმწამსვე;
- დასჯა უნდა იყოს პასუხი ბავშვის ქცევაზე და არა მის პიროვნულ მახასიათებელზე;
- დასჯა არ უნდა გულისხმობდეს ფიზიკური ტკივილის მიყენებას.

17.4.6. ფსიქოანალიტიკური თეორია

ფსიქოანალიტიკური თეორიის თანახმად, ადამიანის აგრესიული საქციელი არის სიგნალი შიშის, დაუცველობის და იმედგაცრუების. ფროიდის თანახმად, ადრეული ბავშვობის პერიოდში დედის და ბავშვის ურთიერთობა არის საფუძველი მისი სტაბილური პიროვნულობის. ბავშვისათვის უარყოფითი გამოცდილება: ავადმყოფობა, ძალადობა, სოციალური ურთიერთობის დაკარგვა და სხვა მასში იწვევს საკუთარი პიროვნების უარყოფით შეფასებას და საკუთარი პიროვნებისადმი ზიზღს. აგრესიულობა და ძალადობა არის ნიშანი ადამიანში დაშინებული, არასტაბილური პიროვნების, რომელსაც სურს მიღებული უარყოფითი გამოცდილება და იმედგაცრუება ძალადობაში გამოავლინოს.[961] ამ მხრივ საინტერესოა 18 წლის სერიული მკვლელის იურგენ ბაჩის შემთხვევა.[962] იურგენ ბაჩი ბავშვობაში ხდებოდა მშობლების მხრიდან სისტემატურად ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი, რამაც მოზრდილობაში საკუთარი პიროვნებისადმი ზიზღი გამოიწვია. იგი ცდილობდა სხვა ბავშვების მიმართ განხორციელებული ძალადობით საკუთარ ბავშვობაზე შური ეძია.

17.4.7. რენე ჟირარის მიმეტური თეორია

სიტყვა მიმეტური წარმოშობილია ძველი ბერძნული სიტყვისგან მიმეზის (*mīmēsis)* და ნიშნავს მიბაძვას.

რენე ჟირარის თეორიის მიხედვით,[963] ბიოლოგიური მოთხოვნილებები შიმშილი, სექსი, ძილი და ა.შ. ბუნებრივი მოვლენებია. ადამიანის სურვილი, რომელიც სცილდება ბუნებრივ მოთხოვნილებებს, მაგ. ძალაუფლება, სიმდიდრე, ქონების დაგროვება, საზოგადოებრივი აღიარება, ადამიანური ურთიერთობები არის მიმეტური ანუ მიმბაძველობითი მოთხოვნილებები, რომლებიც ადამიანს წარმოეშვება სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად. ადამიანი მისთვის მისაღები (სამაგალითო) ადამიანისადმი მიბაძვით სწავლობს, თუ რა შეიძლება მისთვის მოსათხოვნი, სათაყვანებელი (begehrenswert) იყოს.

---

[959]იგივე. გვ. 249.
[960]იქვე.
[961]Meier, U., 2004. S. 53.
[962]იხ.: შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 57-58.
[963]Girard, R., 2002. S. 437–454. იხ.:http://www.uibk.ac.at/forschung/weltordnung/gewalt_girard.pdf

ჟირარის მიხედვით, ძალადობა და კონფლიქტები მას შემდეგ ხდება, რაც ორ დაპირისპირებულ მხარეს ერთი და იგივე სათაყვანებელი ობიექტი აქვს ამორჩეული. ადამიანისათვის ასეთი სათაყვანებელი კლასიკური ობიექტებია ძალაუფლება, პარტნიორი (სექსში) და ქონება. დაპირისპირებული მხარეები, ისე რომ მათ ეს გააზრებულიც კი არა აქვთ ბაძავენ მეორე მოქიშპე მხარეს, რითაც ძლიერდება მოქიშპე მხარისადმი პატივისცემის და თაყვანისცემის გრძნობა. მოქიშპე მხარეებისათვის ერთმანეთისადმი მიმბაძველობით ის სათაყვანებელი ობიექტი, რის გამოც მათი დავა წარმოიშვა, მეორე პლანზე გადადის და წინა პლანზე სიძულვილი, ძალადობა და დაპირისპირება წამოიწევა, რომელიც (როგორც აღინიშნა) ერთმანეთისადმი მიმბაძველობის შედეგია.[964] ძალადობის მიბაძვის ამ პროცესში მოქიშპე მხარეები არა საკუთარ თავს არამედ დაპირისპირებულ მხარეს მიიჩნევენ „ჩხუბისთავად“ და მიმბაძველად. სინამდვილეში კი ორივე მხარე ერთმანეთს ბაძავს ძალადობრივი გზით კონფლიქტის მოგვარებაში.[965]

ჟირარის აზრით, თუ ვიღაცა რაიმე ობიექტს ეთაყვანება, ჩვენ ვცდილობთ, რომ მას ეს ობიექტი წავართვათ. ამიტომ მასსა და ჩვენ შორის იწყება კონფლიქტი. მას შემდეგ, რაც ვიღაცა ჩვენ მიერ სათაყვანებელი ობიექტის წართმევას დაგვიპირებს, ბუნებრივად ვეწინააღმდეგებით და ამ ობიექტისადმი ჩვენი და მისი თაყვანისცემაც იზრდება. ეს არის მიმეტური (მიმბაძველობითი) დაპირისპირება, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანებს შორის ძალადობრივი კონფლიქტებისა.[966]

17.5. ძალადობის პრევენცია - „პირველი ქვის სროლის“ პრინციპი

იოანეს სახარების ტექსტში ერთ მნიშვნელოვან ამბავს ვაწყდებით. კერძოდ, მრუში ქალის ჩაქოლვის იესოს მიერ შეჩერების ფაქტს: მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მოიყვანეს ქალი, რომლისთვისაც მრუშობაზე წაესწროთ, და შუაში ჩააყენეს და უთხრეს იესოს: „მოძღვარო, ეს ქალი მრუშობაზეა წასწრებული. მოსემ კი რჯულში მცნებად დაგვიდო, ასეთების ჩაქოლვა. შენ რას იტყვი?“ იესო დაიხარა და მიწაზე თი-თით წერდა. რომ არ მოეშვნენ შემკითხველნი, გასწორდა და უთხრა მათ: „ვინც თქვენს შორის უცოდველია, პირველად მან დაჰკრას ქვა!“

იესომ იცის, რომ პირველი ქვის სროლა ყოველთის ძნელია, რადგან არ არსებობს მისაბაძი მოდელი. რენე ჟირარისათვის „ქმედების უმრავლესობა, მექანიკური გაგებით მიმეტურია. ისინი იმის მეტ-ნაკლებად ავტომატურად და არაცნობიერად კეთებისაგან შედგება, რასაც ჩვენს გარშემო სხვებიც აკეთებენ... ადამიანებისათვის ძალადობა იმიტაციური და მიმეტურია (მიმბაძველობითი).“[967]

„პირველი ქვის სროლა“, როგორც ძალადობის გამოყენებამდე უკანასკნელი დაბრკოლება ყოველთვის უნდა ახსოვდეს საზოგადოებას. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ერთი წამით თუ დაფიქრდება ძალიან ჰგავს იმ მსხვერპლს, რომლის მიმართ ძალადობის გამოყენებასაც იგი აპირბეს, და რაც მთავარია, საზოგადოების თითოეულ წევრს (მით უფრო საზოგადოებაში მისაღებს) უნდა ესმოდეს, რომ მის

---

[964]Girard, R., 2009. S. 349.
[965]იგივე, გვ. 357.
[966]Girard, R., 2002. S. 437–454. იხ.:http://www.uibk.ac.at/forschung/weltordnung/gewalt_girard.pdf
[967]ზედანია, გ. (რედ.), 2010. გვ. 156.

მიერ განხორციელებული ძალადობა მიმბაძველობითი შეიძლება გახდეს და მას ან მის ახლობელს ბუმერანგივით დაუბრუნდეს უკან.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში (ევროპის ქვეყნებთან შედარებით) საგრძნობლად აგრესიული გარემოა. ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად მიმართავენ ადამიანური ურთიერთობის უხეშ, აგრესიულ, მიუღებელ ფორმებს, მაგ. უსიამოვნო მზერა, სიტყვა-პასუხი, ჟესტიკულაცია და ა.შ.

მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, განათლების (აღზრდის) დაბალი დონის, ცხოვრებისადმი ფრუსტრაციის და საზოგადოების მიერ აგრესიის აღიარების და მოწონების გარდა, ქართული აგრესიის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება დასახელდეს ბოლო წლების სამხედრო, საომარი დაპირისპირებები და მათი მძიმე შედეგები.[968]

[968]საქართველოში აგრესიულ გარემოსთან დაკავშირებით ვრცლად იხ.: შალიკაშვილი, მ., 2012. გვ. 34-44.

თავი მეთვრამეტე
ქალაქის არქიტექტურული მოწყობა და დანაშაული

დანაშაული არის კომპლექსური მოვლენა. მას ძირითადად ოთხი კომპონენტის თანხვედრა განაპირობებს: 1) სისხლის სამართლის ნორმა, რომლის დარღვევის გარეშეც არ არსებობს დანაშაული; 2) დამნაშავე, რომელიც ჩადის ამ დანაშაულს; 3) დანაშაულის ობიექტი (მსხვერპლი), რომლის არსებობის გარეშეც ასევე არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ბევრი დანაშაული; და 4) დანაშაულის ადგილი, ადგილი სადაც მოხდა დანაშაულის ჩადენა.[969]

დანაშაულის ადგილს მეტად მნიშვნელოვანი როლი აქვს კრიმინოლოგიური და კრიმინალისტიკური თვალსაზრისით. დანაშაულის ჩადენის ადგილის შესწავლა ეხმარება სამართალდამცავ ორგანოებს საქმის გახსნის, ხოლო კრიმინოლოგებს დამნაშავის და მსხვერპლის პიროვნების შესწავლის, კრიმინოგენური საფრთხეების განსაზღვრისა და დანაშაულის პრევენციის დროს. დანაშაულის ადგილის მნიშვნელობის ყველაზე ცნობილი მაგალითია ფილიპე ზიმბარდოს ავტომობილების შესახებ ჩატარებული ექსპერიმენტი ბრონქსის ქუჩაზე და პალო ალტოში (იხ. 3.4.4. ქვეთავი – Broken Windows თეორია).

დანაშაულის გეოგრაფია (Kriminalgeographie) ან დანაშაულის ეკოლოგია (Kriminalökologie) ცდილობს დანაშაულის გეოგრაფიული გადანაწილების შესწავლას და აინტერესებს თუ რატომ ხდება კონკრეტულ ადგილას ესა თუ ის კონკრეტული დანაშაული?[970]

დანაშაულის გეოგრაფია არის კრიმინოლოგიური და კრიმინალისტიკური კვლევის ნაწილი, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას მისი ჩადენის ადგილის სპეციფიურობის მიხედვით შეისწავლის დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით.[971]

დანაშაულის ადგილი კრიმინოლოგიური თვალსაზრისით საინტერსოა შემდეგი ასპექტით:

1. ადგილი, სადაც მოხდა დანაშაული (რატომ ხდება ამ ადგილას ეს კონკრეტული დანაშაული?);
2. ადგილი, სადაც ცხოვრობს დამნაშავე;
3. ადგილი, სადაც ცხოვრობს დანაშაულის მსხვერპლი (რატომ ცხოვრობს ამ კონკრეტულ ადგილას დამნაშავე, მსხვერპლი? ხომ არ განაპირობებს მათი საცხოვრებელი ადგილი (უბანი, რაიონი, ქალაქი) მათ დამნაშავეობას, მსხვერპლობას?).

ქალაქის არქიტექტურული მოწყობის (ქვეყნაში დანაშაულის გეოგრაფიული განაწილების) შესწავლა დანაშაულის გეოგრაფიის ერთ-ერთი ნაწილია. დანაშაულის გეოგრაფია იკვლევს დანაშაულს რეგიონების, ქალაქების, თემების მიხედვით. მისი კვლევის ძირითად წყაროს ოფიციალური სტატისტიკა წარმოადგენს, რომელიც ხშირად არ შეიცავს იმ კორელაციებს, რომლებიც კრიმინოლოგებისთვის არის საინტერესო და მნიშვნელოვანი,[972] თუმცა გამოკითხვის მეშვეობით შესაძლებელია სტატისტიკური მონაცემების გადამოწმება და კორელაციების დალაგება.

---

[969]Müller, N., 2015. S. 5.
[970]Kaiser, G./Kerner, H-J./Sack, F./Schellhoss, H., 1993. S. 226.
[971]Schwind, H-D., 2016. S. 337.
[972]Kaiser, G./ Kerner, H-J./ Sack, F./Schellhoss, H., 1993. S. 226.

ადამიანთა უმრავლესობისთვის რთულია იმის დაჯერება, რომ ქალაქის არქიტექტურული მოწყობა კავშირში იყოს დანაშაულის ჩადენასთან. თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანის ქცევას გარემო პირობები განაპირობებს, ხოლო არქიტექტურული მოწყობა ამ გარემო პირობებთაგან ერთ-ერთია, ნათელი გახდება თუ რატომ შეიძლება ქალაქის არქიტექტურული მოწყობა კავშირში იყოს დანაშაულის ჩადენასთან. ქალაქის განაშენიანება ისეთი უნდა იქნას მოწყობილი, რომ ხელი შეუწყოს მოქალაქეების მხრიდან ადამიანურ (ჰუმანურ) საქციელს.[973]

18.1. კვლევები ქალაქის არქიტექტურული მოწყობისა და დანაშაულის შესახებ

18.1.1. არჩერის და გერტნერის კვლევა

არჩერის და გერტნერის (Archer/Gartner) კვლევამ[974] დაადგინა კორელაცია ქალაქის სიდიდესა და დანაშაულს შორის. მათ მიერ შემუშავებულ იქნა დანაშაულის გაზომვის შედარებითი სისტემა (Comparative Crime Date File), რომლის საშუალებითაც მათ ერთმანეთს შეადარეს 110 ქვეყნის და 44 დიდი ქალაქის 1900-1970 წლების მონაცემები. კვლევის საფუძველზე მათ დაასკვნეს, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში დიდ ქალაქებში აღინიშნებოდა მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, თუმცა მაღალი არ იყო დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. მათ კვლევის შედეგად ასევე დაასკვნეს, რომ დიდ ქალაქებში უფრო მაღალი იყო დანაშაულის მაჩვენებელი, ვიდრე მომიჯნავე, მეზობელ სოფლის ტიპის დასახლებებში. კვლევის ავტორების აზრით დანაშაულის გამომწვევი მიზეზი იყო არა ის, რომ ქალაქი იზრდებოდა, არამედ ის, რომ ქალაქს ცენტრის ფუნქცია გააჩნდა, სადაც ადამიანები ყოველდღიურად სამუშაოს საძებნად, გასართობად, სავაჭროდ მოდიოდნენ. დანაშაულის ჩადენის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა არა თავად ქალაქის სიდიდე, არამედ მისი მნიშვნელობა (ადამიანთა შორის ურთიერთობის ცენტრი) და დაშორება შემდეგ დიდ ქალაქამდე.[975]

18.1.2. ჩიკაგოს სკოლის კვლევები

გასული საუკუნის 20-იან წლებში შექმნილმა ჩიკაგოს სკოლამ დიდი როლი ითამაშა დანაშაულის გეოგრაფიის ჩამოყალიბებაში. ეკოლოგიური ანუ სოციალური დეზორგანისაციის თეორია ეფუძნება დანაშაულის აღრიცხვით ქალაქის ზონებად დაყოფას (იხ. 3.4.8. ქვეთავი).

1929 წელს შავი და მაქკეი (Shaw & McKay) აქვეყნებენ კვლევას. მათ ქ.ჩიკაგოში შეისწავლეს 60 000 ვაჟი მოზარდი, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ პოლიციასა და სასამართლოში, როგორც სკოლის გამცდენები და დამნაშავეები. ამ კვლევის შედეგედ მათ დაადგინეს, რომ ქალაქის იმ რაიონებში, სადაც ნაკლებშემოსავლიანი მოსახლეობა ცხოვრობდა დიდი იყო დანაშაულის ჩამდენი პირების მაჩვენებელი, ხოლო ნორმალურ-, კარგშემოსავლიან ადგილებში დამნაშავეების რაოდენობა უფრო ნაკლები იყო. გამოკვლეული ქალაქის ადგილებში დანაშაულის ჩადენა დამოკიდებული არ იყო აქ მცხოვრებთა ეთნიკურ მდგომარეობაზე, შესაბამისად, თავად ადგილები იყო ისეთი, რომ თავს უყრიდა, იზიდავდა დამნაშავეებს.[976]

---

[973]Kube, E.,1982. S. 7.
[974]Archer, D./Gartner, D., 1984.
[975]Killias, M., 2002. S. 131.
[976]Müller, N., 2015. S. 43.

18.1.3. ოსკარ ნიუმანის კვლევა

ოსკარ ნიუმანმა ჩაატარა კვლევა,[977] რითაც სურდა არქიტექტორებისთვის დაენახებინა თუ რა მნიშვნელოვანი იყო შენობის დაგეგმარების დროს დანაშაულთან ბრძოლის საკითხის, კრიმინოგენური მდგომარეობის გათვალისწინება. ნიუმანმა კვლევის დროს ერთმანეთს შეადარა მსხვერპლად გახდომის მაჩვენებელი 150 000 საცხოვრებელ სახლში, სადაც მთლიანობაში 528 000 ადამიანი ცხოვრობდა. კვლევამ აჩვენა მსხვერპლად გახდომის საგრძნობლად დიდი განსხვავება მაღალსართულიანი სახლების (ხუთ სართულზე მეტი) მაცხოვრებლებში, ვიდრე სამსართულიან სახლებში, სადაც რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. ნიუმანის თანახმად, დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი იზრდება სახლების სართულების მაჩვენებლის მიხედვით, თუმცა, ამავე დროს გასათვალისწინებელია მცხოვრებლების სოციალური სტრუქტურა, მდგომარეობა.

ნიუმანის მიხედვით, მსხვერპლად გახდომის რისკი იზრდება მაღალსართულიანი სახლების შემთხვევაში, რადგან:

1. ასეთ სახლებს ერთზე მეტი შესასვლელი (გასასვლელი) აქვს და რთულია დამნაშავის კონტროლი;

2. მცხოვრებლებს შორის არასაკმარისი კომუნიკაცია. აქ მაცხოვრებლების დიდი ნაწილი ანონიმურად ცხოვრობს და მეზობლებს არ იცნობს;

3. საერთო სარგებლობის ლიფტები, კორიდორები და შესასვლელები, სადაც დანაშაულის დიდი ნაწილი ხდება (მაგ. ნიუმანის კვლევამ აჩვენა, რომ ამ ადგილებში ყაჩაღური თავდასხმების 84% ხდებოდა, ხოლო მარტო ლიფტში მათი ნახევარი).[978]

18.1.4. კვლევა „სტალინური“ და „ტოტალიტარული“ არქიტექტურის შესახებ

გასული საუკუნის ბოლოს ფსიქოლოგიის პროფესორის ლალი სურმანიძის მიერ ქ.თბილისის არქიტექტურული სიმბოლოების აღქმადობის შესახებ ჩატარდა ექსპერიმენტი.[979] ექსპერიმენტში მონაწილეობდა უმაღლესი განათლების მქონე 268 ცდისპირი, 25-დან 45 წლამდე 140 მამაკაცი, 128 ქალი, მათგან 61 არქიტექტორი. ცდისპირებს აჩვენეს გასული საუკუნის 30-50-იან წლებში აშენებული ე.წ. „სტალინური“ და 60-80-იან წლებში აშენებული „ტოტალიტარული“ არქიტექტურული ნაგებობის ფოტოსურათები.[980] ცდაში მონაწილე პირს ევალებოდა შენობის ფოტოსურათის ნახვისთანავე დაუფიქრებლად ამოერჩია ექსპერიმენტატორის მიერ ფურცელზე დახატული ფიგურებიდან ერთ-ერთი: წრე ან ტეხილი.

იუნგის კონცეფციის თანახმად, წრე მიჩნეულ იქნა ისეთ არქიტექტურულ ფიგურად, ხელოვნურად შექმნილ ობიქტად, „არაცნობიერ ხატად“, რომელიც ამთლიანებს და უკონფლიქტოს ხდის ადამიანის ფსიქიკას („ადამიანის სასიცოცხლო ველში პოზიტიურად არის ჩართული“), ხოლო ტეხილი, „შიშველი ბოლოებითა და ასიმეტრიული წახნაგებით, გაუმთლიანებლობის, დაუსრულებლობის, და შესაბამისად,

---

[977]Newman, O., 1976.

[978]Schwind, H-D., 2016. S. 370.

[979]სურმანიძე, ლ./ლომინეიშვილი, ლ., 2000. გვ. 9-28.

[980]ცდისპირებმა „სტალინური“ არქიტექტურის ნიმუშად ნახეს თბილისში რუსთაველის გამზირზე „იმელის“ და ყოფილი საქართველოს ფოსტის, მარჯანიშვილზე თბს-ბანკის და სხვა შენობის სურათი, ხოლო „ტოტალიტარული“ არქიტექტურის ნიმუშად კი ნახეს მრავალსართულიანი (რვასართულიანი) კორპუსის სურათები.

ფსიქიკური დისკომფორტის, ადამიანის ფსიქიკური მთლიანობის დარღვევის არაცნობიერ ასახვად“.[981]

აღნიშნული ექსპერიმენტით შესაძლებელი გახდა დადგენილიყო ექსპერიმენტში მონაწილე პირების ასოციაციები და შესაბამისად, მათ მიმართ არაცნობიერში მიმდინარე (არსებული) დადებითი თუ უარყოფითი პროცესები მოცემული ნაგებობების მიმართ.

ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ გასული საუკუნის 30-50-იან წლებში აშენებული ე.წ. „სტალინური“ შენობები ცდისპირებში აღძრავს პოზიტიურ ემოციებს, „ადამიანის სასიცოცხლო ველში პოზიტიურად არის ჩართული“, ხოლო 60-80-იან წლებში აშენებული „ტოტალიტარული“ არქიტექტორული ნაგებობები – უარყოფით ემოციებს. ისინი „ადამიანის სასიცოცხლო ველში ნეგატიურად არის ჩართული“.[982]

18.2. აგრესია-ფრუსტრაცია

კვლევების თანახმად, ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის ჩამდენი მოზარდების უმეტესობა მაღალსართულიან სახლშია გაზრდილი.[983] შესაძლებელია მაღალსართულიან საცხოვრებელ სახლში ცხოვრება პირდაპირ აგრესიას არ უწყობდეს ხელს, თუმცა იგი ხელს უწყობს ფრუსტრაციას, იმედგაცრუებას, რაც თავისთავად აგრესიაში გადადის. მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქმნის უფანტაზიო სამყაროს, რომელიც ცივი, ბოროტი და მტრულია, და საშიშად გამოიყურება.[984]

აღმოსავლეთ გერმანიის ერთ-ერთ მიწაზე (მეკლენბურგ-ფორპომენი) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მაღალსართულიანი ბეტონის საცხოვრებელი სახლები (Platenbau) გამოკითხულებში უიმედობას, უპასუხისმგებლობას, ანონიმურობას და შიშს აღძრავდა, რაც დაუხმარებლობის გრძნობას უჩენდა მათ.[985]

18.3. მაღალსართულიანი სახლები და სოციალური კონტროლი

სოციალური კონტროლი საზოგადოებრივი წესრიგის ნაწილია. იგი შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური. ფორმალურ სოციალურ კონტროლს ახორციელებენ სამართალდამცავი ორგანოები, ხოლო არაფორმალურ სოციალურ კონტროლს მოქალაქეები.[986] მოქალაქე, რომელიც დაინახავს დანაშაულებრივ ქმედებას ატყობინებს სამართალდამცავ ორგანოებს და ამით ცდილობს დანაშაულის კონტროლში თავისი წვლილი შეიტანოს. თუ მაღალსართულიან სახლებში მცხოვრებლები ცდილობენ ანონიმურად იცხოვრონ, როგორც ამას კვლევები ადასტურებენ, მაშინ მათი მხრიდან დანაშაულის შეტყობინება ნაკლები იქნება. სამართალდამცავი ორგანოებისთვისაც რთულია ისეთ ადგილებში მუშაობა, სადაც მოსახლეობა ანონიმურად ცხოვრობს და არ თანამშრომლობს გამოძიებასთან.

ქართული რეალობიდან გამომდინარე კი ასეთ მაღალსართულიან საცხოვრებელ სახლებში ხშირია სიახლოვე თავად დამნაშავესთან, რაც ასევე ხელს უშლის დანაშაულის მოწმეს ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

---

[981]სურმანიძე, ლ./ლომინეიშვილი, ლ., 2000. გვ. 19.
[982]იგივე, გვ. 24.
[983]Schwind, H-D., 2016. S. 361.
[984]Lorenzer, A., 1969. S. 71.
[985]Schmidt, K., 2016. S. 281-290.
[986]Müller, N., 2015. S. 35,36.

18.4. საცხოვრებელი გარემო და დანაშაული

კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია საცხოვრებელი გარემოს კავშირი დანაშაულთან. ადამიანის სოციალიზაცია მიმდინარეობს ოჯახში. ბავშვის სოციალიზაციის, ღირებულებების და ნორმების ჩამოყალიბების პროცესის დროს მეტად მნიშვნელოვანია ოჯახის საცხოვრებელი გარემო.[987] სოციალიზაციის თვალსაზრისით, საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელოვანი ფაქტორებია: მისი ადგილმდებარეობა, ინფრასტრუქტურა და სოციალური გარემო, მაცხოვრებლების რაოდენობა, საცხოვრებლის მოწყობა (ოთახების განაწილება).[988]

პირველ რიგში, საინტერესოა იმის გარკვევა თუ როგორ არის საცხოვრებელ ადგილას მაცხოვრებლების (ოჯახების) რაოდენობა განაწილებული.[989] თუ მაცხოვრებლების (ოჯახების) რაოდენობა მაღალია, ხოლო საერთო სარგებლობაში არსებული ფართის მოცულობა მცირე, გამოიწვევს მშობლების მუდმივ დაძაბულობას და უკმაყოფილებას, რაც უარყოფითად აისახება ბავშვების აღზრდაზე, მშობელი იქნება მუდმივად გაღიზიანებული და აგრესიული (მათ შორის საკუთარი ოჯახის წევრების მიმართ). ამ მხრივ მეტად საინტერესოა ქ.თბილისის სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიის დასახლება, სადაც ოჯახების რაოდენობა მაღალია, ხოლო მათ მიერ გამოსაყენებელი ფართის (სასეირნო ადგილის, ავტოსადგომის, სპორტული აქტივობის) ძალიან ცოტა, რაც ხშირად ხდება კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობის მიზეზი.

ასევე მნიშვნელოვანია, თავად საცხოვრებელ ბინებში მცხოვრები პირების რაოდენობა. კაუფმანის კვლევამ დაადგინა, რომ რაც უფრო პატარაა საცხოვრებელი ბინა მით უფრო ნაკლებია მშობლების (დედების) მხრიდან შვილებზე მზრუნველობა. პატარა საცხოვრებელ ბინაში, სადაც ოჯახის თითოეულ წევრს არა აქვს საკუთარი ოთახი, კუთხე და არ არის საკმარისი სივრცე, მშობლები უფრო მეტი დისციპლინისა და კონტროლის დამყარებას ცდილობენ, შესაბამისად, აღზრდის დროს ნელდება მათი გრძნობები შვილების მიმართ და წინ იწევს მკაცრი (მათ შორის აგრესიული) აღზრდის სტილი.[990]

საცხოვრებელი ფართის არასაკმარისობა აფერხებს პიროვნების ჩამოყალიბების პროცესს, სასკოლო და ინტელექტუალურ შედეგებს ამცირებს და იწვევს ფსიქოლოგიურ პრობლემებს. პატარა ზომის საცხოვრებელი ადგილი ხელს უშლის ბავშვებში მოტორიკის განვითარებას.[991] გარდა ამისა, ბავშვები, რომლებიც მაღალ სართულებზე ცხოვრობენ ხშირად არ ჩამოდიან ეზოში სათამაშოდ და ხელი ეშლებათ სოციალური კომპეტენციის სწავლაში.[992] ბავშვის სოციალიზაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს ითამაშოს თანატოლებთან და მათ შეხვდეს მშობლების კონტროლის, თანდასწრების გარეშე.[993]

ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვანია, რომ საცხოვრებელი გარემო, პირველ რიგში, ჯანსაღი ცხოვრების წესზე იყოს მორგებული,

---

[987]Kube, E. 1982. S. 66.
[988]იქვე.
[989]Flade, A., 1984. S. 88.
[990]Flade, A., 1986. S. 50.
[991]Kube, E. 1982. S. 66.
[992]Flade, A., 1986. S. 51.
[993]Müller, N., 2015. S. 54.

ანუ სპორტული აქტივობის განხორციელება იყოს შესაძლებელი, როგორც სპორ-ტულ მოედნებზე, ასევე მწვანე საფარიან თავისუფალ ადგილებში. ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია მესამე სექტორის თანამონაწილეობა. ჯანმრთელობის დაცვის (მათ შორის სადაზღვევო) ორგანიზაციების მიერ ქალაქის მერიასთან შეთანხმებით გამა-ჯანსაღებელი სპორტული მოედნების მოწყობა.

18.5. დანაშაულის თავიდან აცილება და ქალაქის დაგეგმარება

არქიტექტორებისა და ქალაქის მშენებლობების დაგეგმარების სამსახურის თანამშრომლებისათვის ნიუმანის მიერ შემოთავაზებულ იქნა წინადადებები, რომელთა განხორციელებამაც დანაშაულის ჩადენა უნდა შეამციროს. ეს წინადადებებია:[994]

- უარი ეთქვას მაღალსართულიანი შენობების მშენებლობას და აშენებული იქნეს მხოლოდ დაბალსართულიანი შენობები, სადაც 6-9 ოჯახი განთავსდება;
- სახლებში იყოს მხოლოდ მოკლე კარიდორები 2-4 სახლის კარებით;
- სახლის ეზოები იქნეს შემოღობილი;
- ეზოებში მოხდეს საერთო სარგებლობის ადგილების გამოყოფა. ადგილები, სადაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობას შეძლებენ და ერთმანეთს უკეთესად გაიცნობენ (სათამაშო ადგილი, სკამები და ა.შ.);
- კერძო (სახლის მაცხოვრებელთა) საკუთრების და საერთო (ყველას) სარგებლობაში მყოფი ადგილების მკაფიო გამიჯვნა;
- ისეთი ადგილების მუდმივი ვიდეო კონტროლი, რომლებიც მაცხოვრებლების მიერ ხშირად არ გამოიყენება (მიწისქვეშა ავტოფარეხი და ა.შ.).

ნიუმანის აზრით, საცხოვრებელი ადგილები, რომლებიც გარეშე პირებისათვის (მათ შორის დამნაშავეებისათვისაც) დაკეტილი და კონტროლირებული გამოი-ყურება, ნაკლებად ხდება დანაშაულის ჩადენის ადგილი.[995] ერთ საცხოვრებელ ადგი-ლას რამდენიმე ოჯახის ცხოვრება ამაღლებს აქ მცხოვრებლების სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას. ნიუმანი ფიქრობს, რომ რამდენიმე სართულიანი სახლები, სადაც 6-9 ოჯახი ცხოვრობს, ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს საცხ-ოვრებელ ადგილთან საკუთარი პიროვნების იდენტიფიკაცია მოახდინონ და პასუხ-ისმგებლობა იგრძნონ აქ არსებულ მდგომარეობაზე.[996]

ნიუმანის მიერ შემოთავაზებული წინადადებები საიტერესო ხდება თავად დამ-ნაშავეების მიერ დანახული დანაშაულის ადგილის ამორჩევის კუთხით. ერთ-ერთი ექსპერიმენტის დროს 40 მსჯავრდებულს, რომლებიც სასჯელს ბინის ქურდო-ბისთვის იხდიდნენ აჩვენეს ვიდეო, რომელზეც გადაღებული იყო 36 სახლი.[997] ვიდეო გადაღებული იყო ავტომობილიდან ისე, რომ შესაძლებელს ხდიდა სახლების მთლიანი ადგილმდებარეობა დაფიქსირებულიყო (მისასვლელი გზა, შესასვლელი კარი და ა.შ.). მსჯავრდებულებს სთხოვეს „ხმამაღლა ემსჯელათ“ და გამოეყოთ ის სახლები, რომლებიც დანაშაულის ჩადენისთვის მათთვის მიმზიდველი იქნებოდა.

---

[994]Newman, O., 1971. p. 188; Schwind, H-D., 2016. S. 371.
[995]იქვე.
[996]Schmidt, K., 2016. S. 87.
[997]Schwind, H-D./Steinhilper, G., 1984, S. 317-319.

მსჯავრდბულები გამოყოფდნენ რამდენიმე ასპექტს, რომელზეც ისინი ყურადღებას გაამახვილებდნენ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. ეს ასპექტებია:[998]

- დანაშაულის ადგილიდან გაქცევის ან დანაშაულის ადგილას დამალვის შესაძლებლობა (რამდენიმე გამოსასვლელი);
- მეზობლების მხრიდან მათი დანახვის ალბათობა;
- სახლის მთავარი ქუჩიდან დაშორება;
- ეზოში (სამეზობლოში) ადამიანების ყოფნა (მაგ. ეზოში მანქანით შემოსვლა, მეზობელთან ანთებული ნათურა და ა.შ.);
- სახლში არსებული სავარაუდო ქონება (მსჯავრდებულები სახლებს ირჩევდნენ იმის მიხედვით თუ როგორ მდგომარეობაში იყო იგი ან როგორ იყო ბაღი მოვლილი. თუ სახლი ან/და ბაღი კარგ მდგომარეობაში იყო, ფიქრობდნენ, რომ იქიდან უფრო მეტი ქონების წამოღებას შეძლებდნენ. ექსპერიმენტში მონაწილე 84,2% ძირითად აქცენტს აკეთებდა დიდი, მდიდრული სახლის გაქურდვაზე, რომელშიც არავინ იქნებოდა);
- ნაქურდალის სამშვიდობოზე გატანა უმნიშვნელო წინაღობა იყო პროფესიონალი ბინის ქურდებისთვის, როცა სპონტანურად ბინის ქურდობის ჩამდენებისთვის ეს მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა;
- ორივე ჯგუფი გაურბოდა ისეთი სახლების გაქურდვას, სადაც ვიდეოკამერა ან ძაღლი იყო.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის არქიტექტურულ მოწყობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია, როგორც დანაშაულის გამომწვევი მიზეზების, ასევე დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით. მაღალსართულიანი სახლები (კორპუსები), სადაც ადამიანების დიდი რაოდენობა არის ერთად თავმოყრილი არის როგორც კონფლიქტის (მათ შორის დანაშაულის) გამომწვევი, ასევე რთულია ასეთი სახლების სოციალური კონტროლი.

[998]იგივე, გვ. 317.

თავი მეცხრამეტე
ინტერნეტდანაშაული

Technology changes evrithing – crime included – ტექნოლოგია (ტექნოლოგიური განვითარება) ცვლის ყველაფერს – დანაშაულის ჩათვლით.[999] კლარკის ეს სიტყვები ნათლად გამოხატავს კრიმინოლოგიური ხასიათის იმ გამოწვევებს რაც ტექნოლოგიის განვითარებას მოჰყვა. ტექნოლოგიის განვითარებამ ხელი შეუწყო დანაშაულის ახალი ფორმების წარმოქმნას. დანაშაულებრივი ჯგუფების მიერ ხშირად გამოიყენება ინტერნეტი, როგორც დანაშაულის ჩადენის საშუალება. საბანკო მონაცემების ელექტრონულმა გავრცელებამ ხელი შეუწყო ციფრულ (ვირტუალურ) ქურდობებს, თაღლითობებს. ფულის გათეთრება წარმოუდგენელია მრავალჯერადი (საერთაშორისო ხასიათის) გადარიცხვებით, რომლებიც სწორედ ინტერნეტის საშუალებით ხორციელდება. დანაშაულების ჩამონათვალი, რომლებიც ამ ვირტუალური სამყაროს მეშვეობით ხორციელდება დიდია: ფულის გათეთრება, ქურდობა, გამოძალვა, თაღლითობა (ევროპაში ხშირია ქორწინების მიზნით თაღლითობის შემთხვევებიც[1000]), პირადი მონაცემების გამოყენება, ბულინგი (მობინგი) და სხვა.[1001] გარდა ამისა, ხშირია ინტერნეტის საშუალებით ტერორისტული აქტებისკენ, სუიციდისკენ ან სხეულის დაზიანებისკენ მოწოდება, სექსუალური დამნაშავეებისთვის კონტაქტის დაამყარების შესაძლებლობა მსხვერპლთან და ა.შ.[1002] დანაშაულის ახალი ფორმების წარმოქმნამ დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის კონტროლის ახალ საშუალებებზე ფიქრი და მათი დანერგვა.

19.1. Cyber Crime –კიბერდანაშაული, ინტერნეტდანაშაული

ინტერნეტი არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული დამოუკიდებელი კომპიუტერების (ელექტრონული საშუალებების) კავშირი.

ინტერნეტის ისტორია 1970 წელს დაიწყო, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების სამი (სტენფორდის, კალიფორნიის და იუტას) უნივერსიტეტის კომპიუტერები ერთმანეთთან დააკავშირეს.[1003] პარალელურად, იმავე პერიოდში, აშშ-ის ჯარმა საკუთარი კომპიუტერები დააკავშირა ერთმანეთს, რათა ომის შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებებით შეუძლებელი იქნებოდა კავშირი, ინტერნეტი გამოეყენებინათ.[1004]

ფართო საზოგადოებისთვის ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდა გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან. 2001 წლის მონაცემებით მსოფლიოში ინტერნეტს (World Wide Web) იყენებდა 330 მილიონი ადამიანი.[1005]

დღეის მდგომარეობით დედამიწა დაქსელილია მილსადენებით (კაბელებით), განთავსებულია სატელიტური ანტენები, რომელთა საშუალებითაც ადამიანები ინტერნეტში არიან ჩართულები და შეუძლიათ ერთმანეთთან კომუნიკაციის დამყარება.[1006]

---

[999]Clarke, R., 2004. 10, p. 55.
[1000]Heubrock, D./Böttcher, M-H., 2011. S. 75-81.
[1001]Neubacher, F., 2014. S. 195.
[1002]იქვე.
[1003]Wiedemann, P., 4/2000. S. 229.
[1004]იქვე.
[1005]Schwind, H-D., 2016. S. 326.
[1006]იქვე.

ინტერნეტი ასევე ფართოდ გამოიყენება კერძო ფირმების, ბანკების და თავად პოლიტიკოსების, სახელმწიფოების მიერ. ინტერნეტზე დაფუძნებული კომუნიკაციის საშუალებებზე ხდება ინფორმაციის განთავსება, რომელსაც სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაცია იყენებს საკუთარი მიზნებისათვის (მაგ. ორგანიზებულ დანაშაულთან საბრძოლველად).[1007]

2015 წელს გერმანიის პოლიციამ კიბერდანაშაულის 45 000 შემთხვევა დააფიქსირა, რომლის საერთო მატერიალურმა ზარალმა 40 მილიონი ევრო შეადგინა.[1008]

გერმანულ კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში საუბარია კიბერკრიმინლოგიის (Cyberkriminologie) დანერგვის აუცილებლობის შესახებ.[1009] კრიმინოლოგიის ამ კონკრეტული მიმართულების შემოღება და გაძლიერება განაპირობა ინტერნეტის და კომუნიკაციის სხვა საშუალებების საზოგადოების მიერ სისტემატიურმა გამოყენებამ და მათი საშუალებით დანაშაულის ჩადენამ. ინტერნეტის საშუალებით ჩადენილი დანაშაულის ახალი ფორმების და სტრუქტურის უკეთესად შესასწავლად კრიმინოლოგიური კვლევების ჩატარება და ანალიზი უნდა გახდეს კიბერკრიმინლოგიის შესწავლის ძირითადი საგანი.[1010]

19.2. ყველაზე გავრცელებული უკანონო ქმედებები

სამეცნიერო ლიტერატურაში[1011] ინტერნეტის საშუალებით განხორციელებულ ყველაზე ხშირ პრობლემად სახელდება ფიშინგი, ჰაკინგი, ტროიას ცხენი და ვურმი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

19.2.1. ფიშინგი

ფიშინგის დროს ხდება ინტერნეტ მომხმარებლების ინფორმაციის „დაჭერა“ ყალბი მეილების, ინტერნეტ მისამართების საშუალებით.[1012] ტერმინი ფიშინგი (Phishing) მომდინარეობს ინგლისური ენიდან და ნიშნავს თევზის დაჭერას. ინტერნეტ ფიშინგის დროს დამნაშავეები „იჭერენ“ ინტერნეტ მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს (მაგალითად საბანკო), მათი ანგარიშიდან თანხის მოხსნის მიზნით.[1013] „მეთევზეები“ ცდილობენ ინტერნეტ მომხმარებლების ნდობის მოპოვებას, ხშირად სთვაზობენ გარკვეული ხასიათის სერვისებს, რათა მოიპოვონ მათი (ინტერნეტ მომხმარებლების) საბანკო ბარათის ან ინტერნეტბანკის გადარიცხვის კოდები და შემდეგ მათი გამოყენებით ინტერნეტმომხმარებლების საბანკო ანგარიშიდან უნებართვოდ მოხსნან ფული. ფიშინგს პერსონალური (ძირითადად საბანკო) მონაცემების ქურდობას უწოდებენ.[1014]

[1007]Meier, B-D., 2016. S. 231.
[1008]www.bka.de
[1009]Meier, B-D., 2015. S. 118; Mischkowitz, R., 2013. S. 218.
[1010]Meier, B-D., 2015. S. 118.
[1011]Neubacher, F., 2014. S. 195-197; Siller, H., 2011. S. 712-717.
[1012]Neubacher, F., 2014. S. 195.
[1013]Siller, H., 2011. S. 713.
[1014]Artkömpfer, H./Clages, H., 2013. S. 41.

ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც ინტერნეტში გაშვებული ვირუსის მეშვეობით „მეთევზეები“ მათთვის საჭირო ინფორმაციას „იჭერენ“ ინტერნეტმომხმარებლებისა და ბანკებს შორის ურთიერთობის დროს.[1015] ფიშინგით ინტერნეტმომხმარებლებს ადგებათ მატერიალური ზიანი.

2011 წელს გერმანიაში ფიშინგის 6 422 შემთხვევა დაფიქსირდა, რომლის ზარალმა დაახლოებით 25,7 მილიონი ევრო შეადგინა, თითოეულ შემთხვევაზე დაახლოებით 4000 ევრო.[1016]

2013 წლის მონაცემებით მსოფლიოში დაახლოებით 160 მილიონი საბანკო ბარათის მონაცემები მოხვდა „მეთევზეების“ ხელში. „მეთევზეები“ შავ ბაზარზე ამ მონაცემებით ვაჭრობენ და ერთ ასეთ საბანკო ბარათის მონაცემს 3-5 ევროდ ყიდიან.[1017]

2010 წელს ევროპის ტერიტორიაზე გარემოს საკითხებზე მომუშავე 2000-მა კომპანიამ მიიღო ყალბი მეილი საბანკო ანგარიშების კოდების ერთ-ერთ ვებ-გვერდზე ატვირთვის (გადაგზავნის) თაობაზე. 2000 კომპანიიდან შვიდმა მართლაც გააგზავნა მონაცემები გაყალბებულ ვებ-გვერდზე, რითაც ინტერნეტ თაღლითებს მიეცათ შესაძლებლობა ანგარიშებიდან მოეხსნათ დაახლოებით 3 მილიონი ევრო.[1018]

19.2.2. ჰაკინგი/ჰაკერები

ჰაკინგი მომდინარეობს ინგლისურიდან – to hack – და შეღწევას ნიშნავს. ჰაკინგს კომპიუტერული მონაცემების მეკობრეობასაც უწოდებენ. ჰაკერი არის ის პიროვნება, რომელიც ცდილობს ჰაკინგი განახორციელოს, უკანონოდ შეაღწიოს კომპიუტერში ან კომპიუტერულ ქსელში მის მიერ შექმნილი ვირუსის მეშვეობით და დააზიანოს, მწყობრიდან გამოიყვანოს იგი ან მიიღოს ინფორმაცია და გამოიყენოს დანაშაულებრივად (მაგ. გაყიდოს იგი).[1019] ჰაკერი (ჰაკერთა ჯგუფი) უცხო კომპიუტერში შეღწევას ახერხებს არასაკმარისი უსაფრთხოების არსებობის შემთხვევაში ან ამ უსაფრთხოების ზომების მოტყუებით.[1020]

ჰაკერების მიერ მომხმარებლისთვის მიყენებულ ზიანს ემატება იმ ფირმის იმიჯის პრობლემა, რომლის კომპიუტერული სისტემაც ჰაკერების მიერ იქნა გატეხილი. მომხმარებლებს ეკარგებათ ასეთი კომპანიების, ფირმების მიმართ ნდობა, რაც დაზარალებულს უფრო მეტ ზიანს აყენებს.[1021]

19.2.3. ტროიას ცხენი

ტროიას ცხენს უწოდებენ პროგრამას, რომელიც მიზანმიმართულად ჩამოიტვირთება უცხო კომპიუტერზე და ერთი შეხედვით ამ კომპიუტერს ან მის პროგრამას მუშაობაში ეხმარება.[1022] „ტროიას ცხენის მეშვებით შესაძლებელია უცხო კომპიტერულ სისტემაზე სრული კონტროლის მოპოვება“.[1023]

[1015]Siller, H., 2011. S. 713.
[1016]Kirchhoff, M., 2013. S. 491.
[1017]Fuchs, B., 2013. S. 190
[1018]Neubacher, F., 2014. S. 195.
[1019]Siller, H., 2011. S. 713.
[1020]იქვე.
[1021]ზაქაშვილი, უ., 2013. გვ. 61.
[1022]Siller, H., 2011. S. 713.
[1023]ზაქაშვილი, უ., 2013. გვ. 40.

ტროიას ცხენის პროგრამის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. განვიხიოთ ზოგიერთი მათგანი:[1024]

1) ტროიას ცხენის ბევრი პროგრამა კომპიუტერზე ფარულად იტვირთება და დამაზიანებელი ეფექტი აქვს. ასეთი პროგრამა მუდმივად ჩართულია კომპიუტერზე და არ ქრება, მისი გათიშვა შეუძლებელია;

2) ტროიას ცხენის პროგრამა, რომელსაც უკანა კარის პროგრამას (Backdoor program) უწოდებენ კომპიუტერზე ფარულად იტვირთება. აღნიშნული ოპერაციის შემდეგ ამ კომპიუტერის შეუმჩნევლად მართვა/მოხმარება შეიძლება ინტერნეტის მეშვეობით სხვა კომპიუტერიდან;

3) ტროიას ცხენის ზოგიერთი პროგრამა ფარულად იტვირთება კომპიუტერზე და კომპიუტერში უკვე არსებულ მსგავსი პროგრამის პარალელურად მუშაობს;

4) ტროიას ცხენის ზოგიერთი პროგრამის ფარულად ჩამოტვირთვის დროს ხდება კომპიუტერულ სისტემაში ვირუსების გავრცელება (ჩამოტვირთვა);

5) ტროიას ცხენის ზოგიერთ პროგრამას შეუძლია კომპიუტერის ინტერნეტში არააქტიურ მდგომარეობაში ყოფნის პერიოდში ფარულად გახსნას შეუმჩნეველი ფანჯარა, ჩაერთოს ინტერნეტში და მონაცემები გაუგზავნოს ჰაკერს.

სამეცნიერო ლიტერატურაში გერმანიის ფედერალური კრიმინალური სამსახურის ტროიანის ცხენად (BKA-Trojaner) წოდებული შემთხვევა 2013 წლის დასაწყისში მოხდა.[1025] ესპანურმა პოლიციამ ათი ადამიანი დაიჭირა კიბერდანაშაულის ჩადენის ბრალდებით. დამნაშავეთა ჯგუფმა ევროპის მასშტაბით გაავრცელა ტროიას ცხენის პროგრამა და მომხმარებლები დაარწმუნა, რომ ისინი, იყვნენ საგამოძიებო სამსახურიდან და არალეგალურ ინტერნეტდანაშაულს (ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელება, საავტორო უფლებების დარღვევა) იძიებდნენ. დამნაშავეთა ეს ჯგუფი იყენებდა საგამოძიებო სამსახურის სახელს და ლოგოებს. გერმანიაში მათ გამოიყენეს გერმანიის ფედერალური პოლიციის და ფედერალური კრიმინალური სამსახურის ლოგოები. მოსახლეობას ამ ინფორმაციის გახსნისთანავე ებლოკებოდა პერსონალური კომპიუტერები. თაღლითები ბლოკის მოსახსნელად მომხმარებლებს 50-დან 100 ევროს ფარგლებში თანხას სთხოვდა. ეს ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელებიც რუსები იყვნენ, ყოველწლიურად ერთი მილიონი ევროს შემოსავალს იღებდა ამ კონკრეტული თაღლითური სქემის მეშვეობით.

19.3. ინტერნეტ (კიბერ-) ბულინგი/მობინგი

კიბერმობინგი ან კიბერბულინგი[1026] არის ქმედება, რომელიც ხშირად ანონიმურად ხორციელდება და გულისხმობს მობიგნშეტევებს ინტერნეტის ან მობილური ტელეფონის საშუალებით. მობინგშეტევა ხშირად ხორციელდება ინტერნეტით სოციალურ ქსელებში და გამოიხატება შეურაცხყოფაში, შანტაჟში, დაცივნაში, აბუჩად აგდებაში, დაშინებაში, პორნოგრაფიული ხასიათის სურათების გავრცელებაში და სხვა.[1027] ინტერნეტ მობინგი ყველაზე იოლი ფორმაა,[1028] რადგან მობინგის ჩამდენს

[1024]Siller, H., 2011. S. 713-714.

[1025]Neubacher, F., 2014. S. 196.

[1026]ბულინგი მომდინარეობს ინგლისური bully-დან (დამნაშავე), ხოლო მობინგი სკანდინავიური mobbing-იდან. ეს ორი ტერმინი კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად სინონიმებად გამოიყენება. Schwind, H-D., 2016. S. 327; Bock, M., 2013. S. 366.

[1027]Schwind, H-D., 2016. S. 327.

[1028]Meier, B-D., 2015. S. 100.

მსხვერპლთან მხოლოდ ვირტუალური ურთიერთობა აკავშირებს, რაც უადვილებს მობინგის განხორციელებას.

მობინგის ჩამდენები ძირითადად ახალგაზრდები არიან. სოციალურ ქსელში შესაძლებელია ისეთ ჯგუფებში გაწევრიანება, რომლებიც ადამიანებს მობინგის მსხვერპლად აქცევენ. მობინგის ჩამდენი პირი (Bully) ხშირად ამას უსაქმურობის გამო აკეთებს და ფიქრობს საკუთარი თავის გართობას, ასევე ხშირია სოციალურ ჯგუფებში იმიჯის, სტატუსის მოპოვების სურვილით მობინგაგრესიის გამოხატვა.

მობინგი (ინტერნეტმობინგი) სახეზე გვაქვს, თუ მობინგის მსხვერპლი იძულებულია მის მიმართ გამოთქმული უარყოფითი შეხედულებების გამო თავი დაიცვას, დაუცველ, უსუსურ მდგომარეობაში იგრძნობს თავს,[1029] რაც სულიერ ტკივილს აყენებს მას. (ინტერნეტ)მობინგს ახასიათებს არა მხოლოდ ფსიქოლოგიური არამედ ჯანმრთელობის პრობლემები: თავისა და მუცლის ტკივილი, პირღებინება, უმადობა, უძილობა, კოშმარი და თვითმკვლელობაზე ფიქრი.[1030]

ინტერნეტმობინგი ძირითადად ერთი კლასის, ერთი სკოლის ან ერთი უბნის, თემის მოზარდებს შორის ხდება და შესაბამისად, დიდია ამ ქმედების ლატენტური ხასიათი.[1031]

19.4. ინტერნეტდამოკიდებულება

ინტერნეტდამოკიდებულება არის დამოკიდებულების ერთ-ერთი ახალი სახე, რომლის დროსაც ადამიანი დიდ დროს ატარებს ინტერნეტში. გერმანიის მთავრობის მონაცემებით 2011 წელს გერმანიაში დაფიქსირდა 560 000 14-დან 64 წლამდე ინტერნეტდამოკიდებული ადამიანი.[1032]

ცნობილი გერმანელი ფსიქიატრის ვერნერ პლატცის (Werner Platz) თანახმად, ინტერნეტდამოკიდებული არის პირი, რომელიც ექვსი თვის განმავლობაში ყოველდღე ხუთ საათზე მეტ დროს ატარებს ინტერნეტში.[1033]

ინტერნეტდამოკიებულება გულისმობს ინტერნეტის გამოყენებით თავგადასავლის, სიამოვნების ძიებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. ძირითადად, ინტერნეტ (ონლაინ) დამოკიდებულების შემდეგ ფორმებს განასხვავებენ:[1034]

1. სოციალურ კომუნიკაციებზე დამოკიდებულება

სოციალურ კომუნიკაციებზე დამოკიდებულება სახეზეა, თუ ადამიანს დაუოკებელი სურვილი აქვს საკუთარი შენიშვნებით და კომენტარებით მონაწილეობა მიიღოს სოციალურ ქსელებში. ინტერნეტში პიროვნების ანონიმურობა უფრო თამამი ქმედების საშუალებას იძლევა. ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე პირებისთვის ანონიმურობა სოციალური ურთიერთობების ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) კარგი საშუალებაა;[1035]

[1029]Bock, M., 2013. S. 366.
[1030]Schwind, H-D., 2016. S. 327; ბულინგის შესახებ იხ.: შალიკაშვილი, მ., 2012. გვ. 162-178.
[1031]Kirchhoff, M., 2013. S. 492.
[1032]Schwind, H-D., 2016. S. 295.
[1033]Schwind, H-D., 2016. S. 295.
[1034]Kiehn, L., 2015. S. 25; Kramer, K./Obmascher, T./Rudig, R., 2011. S. 9.
[1035]Kramer, K./Obmascher, T./Rudig, R., 2011. S. 16.

2. ონლაინთამაშებზე დამოკიდებულება

ონლაინთამაშებზე დამოკიდებულება ინტერნეტდამოკიდებულების ყველაზე გავრცელებული ფორმაა ახალგაზრდებში. ონლაინთამაშებში იგულისხება როგორც აზარტული (ტოტალიზატორი, ლატარია და ა.შ.), ასევე გასართობი თამაშები. ონლაინ გასართობი თამაშების დროს მოთამაშეები მარტონი თუ ჯგუფთან ერთად ცდილობენ თამაშში მოცემული ვირტუალური დავალებების, წინაღობების შესრულებას, გადალახვას;

3. ონლაინსექსისადმი დამოკიდებულება

ონლაინსექსისადმი დამოკიდებულებას მაშინ აქვს ადგილი, როცა ინტერნეტმომ-ხმარებელი ინტერნეტის მეშვეობით, ცდილობს საკუთარი სექსუალური მოთხ-ოვნილებები, ფანტაზია დაიკმაყოფილოს. ონლაინსექსის ძირითადი მასალებია პორ-ნოგრაფიული სურათები და ვიდეოები. ყოველდღიურად მსოფლიოში 200 ახალი პორ-ნოგრაფიული ვებ-გვერდი იქმნება;

4. ონლაინინფორმაციის მოძიებაზე დამოკიდებულება

ონლაინინფორმაციის მოძიებაზე დამოკიდებულება არის დამოკიდებულების ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც ადამიანები ინტერნეტით ნებისმიერი სახის ინ-ფორმაციას ეძებენ. ხშირად ერთი ინფორმაციის მოძიება იწვევს მეორე ახალი ინ-ფორმაციით დაინეტრესებას და ახალი ინტერესის დასაკმაყოფილებლად ახალი ინ-ფორმაციის ძიებას და ა.შ. დაუსრულებლად.

ინტერნეტდამოკიდების ძირითად მიზეზებად მიჩნეულია სასკოლო და საოჯახო პრობლემები და უმუშევრობა.[1036] ინტერნეტდამოკიდების უარყოფითი შედეგია სწავლისა და სამსახურისადმი არასერიოზული დამოკიდებულება, რეალური სო-ციალური ურთიერთობების ნაკლებობა, დაკარგვა, შინაგანი დაძაბულობა და ნერვოზი.[1037]

ინტერნეტდამოკიდებული პირების 5% ჩადის ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ (Beschaffungskriminalität) და ნარკოტიკების მოხმარების თანმხლებ (Begleitkriminalität) დანაშაულს.[1038]

19.5. კიბერდანაშაული საქართველოში და მასთან დაკავშირებული რეგულაციები

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2014 წელს საქართველოში პოლიციის მიერ დაფიქსირდა კომპიუტერული დანაშაულის (სსკ მუხლი 282-286) 168 შემთხვევა, რომელთა 41,7% იქნა გახსნილი, ხოლო 2015 წელს კი დაფიქსირდა 273 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილ იქნა მხოლოდ 19,4%, ანუ 53 შემთხვევა.[1039]

[1036]Artkömpfer, H./Clages, H., 2013. S. 42.

[1037]Kramer, K./Obmascher, T./Rudig, R., 2011. S. 21.

[1038]Artkömpfer, H./Clages, H., 2013. S. 42.

[1039]www.police.ge

გერმანიაში ონლაინ ჩადენილი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის დანაშაულის 74% იქნა გახსნილი. Meier, B-D., 2015. S. 101.

მოცემული ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ნათლად მიუთითებენ კიბერდანაშაულის ორ მეტად რთულ კრიმინოლოგიურ-კრიმინალისტიკურ პრობლემაზე:

1. ყოველწლიურად იზრდება კომპიუტერული დანაშაულის რაოდენობა. კომპიუტერული დანაშაულის ზრდა შეიძლება გამოწვეული იყოს კომპიუტერის, ინტერნეტის მომხმარებელთა მაჩვენებლის ზრდით, მათ შორის ისეთი ინტერნეტმომხმარებელთა მაჩვენებლის ზრდით, რომელიც ინტერნეტის საშუალებით ფინანსური ხასიათის გარკვეულ ოპერაციებს ახორციელებს;

2. მეორე პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ძალიან დაბალია დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი. კომპიუტერული დანაშაულის გახსნა მაღალი დონის კადრების, პროფესიონალების ყოლას მოითხოვს. მაღალი დონის კომპიუტერის სპეციალისტის თვიური ანაზღაურება კერძო სექტორში გაცილებით უფრო მაღალია ვიდრე სახელმწიფო სექტორში, რაც, თავისმხრივ, კადრების გადინებას უწყობს ხელს;

3. გარდა ამისა, ხშირად კომპიუტერული დანაშაული ხორციელდება უცხო ქვეყნებიდან, რაც დანაშაულის გახსნას ართულებს, შეუძლებელსაც კი ხდის.[1040]

საქართველოსთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტის და სოციალური ქსელის მოხმარება გადაიქცა „ნაციონალურ სპორტად". ახალგაზრდა თაობის უდიდესი ნაწილი მოიხმარს ინტერნეტს და გაწევრიანებულია სოციალურ ქსელ ფეისბუქში. სოციალური ქსელების მეშვეობით ადამიანები ამჟღავნებენ ისეთი პირადი ხასიათის ინფორმაციას, რამაც შესაძლებელია მათ მსხვერპლად გახდომას შეუწყოს ხელი. მაგ. თუ 20 წლის წინ დამნაშავეს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა იმის დასადგენად თუ სად იყო ამა თუ იმ სახლის, ბინის მესაკუთრე, დღეს ფეისბუქში ატვირთული სურათით ეს სრულიად მარტივი დასადგენია. დამნაშავეს ფეისბუქის საერთო ნაცნობის მეშვეობით შეუძლია დაადგინოს, ხომ არ იმყოფება პოტენციური მსხვერპლი საზღვარგარეთ და ხომ არ არის მისი სახლი, ბინა ცარიელი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია ინტერნეტის საშუალებით გარკვეული ფინანსური ოპერაციების განხორციელება, ან პლასტიკური ბარათებით მომსახურების საფასურის გადახდა. ორივე შემთხვევაში არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ საბანკო პირადი მონაცემები მოხვდეს ისეთ კომპიუტერულ სერვერზე, რომელიც არ არის საკმარისად დაცული, რაც ზრდის ამ მონაცემების ჰაკერების მიერ მოპარვის, გამოყენების და მომხმარებლების კიბერდანაშაულის მსხვერპლად გახდომის ალბათობას.

2001 წელს ევროპის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კონვენცია კიბერდანაშაულის შესახებ. აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება საქართველომ 2012 წელს მოახდინა. 2001 წელს ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენცია განსაზღვრავს ინტერნეტსივრცეში ჩადენილ იმ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებს, რომლის დასჯადად გამოცხადება ევალება კონვენციის ყველა წევრ სახელმწიფოს. ამასთანავე, კონვენცია წევრ ქვეყნებს ავალდებულებს შექმნან კიბერდანაშაულთან ბრძოლის შიდა ეროვნული სპეციალიზირებული დანაყოფები, რომლებიც ასევე შეასრულებენ 24/7 საერთაშორისო საკონტაქტო პუნქტის უფლებამოსილებებს.[1041]

[1040]Wiedemann, P., 2000. S. 236.

[1041]www.police.ge

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) XXXV თავი აწესებს პასუხისმგებლობას ინტერნეტში ჩადენილი შემდეგი ქმედებებისთვის: კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის უკანონოდ გამოყენება, კომპიუტერული მონაცემის ან/და კომპიუტერული სისტემის ხელყოფა. გარდა ამისა, დანაშაულს წარმოადგენს ბავშვთა პორნოგრაფიის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ნებისმიერი ფორმით (მათ შორის ონლაინ), ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევა და კიბერ საშუალებებით ჩადენილი ტერორიზმი. (სსკ. მუხ. 324[1]).[1042]

საქართველოს პარლამენტმა 2012 წლის 5 ივნისს მიიღო კანონი ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ, რომლის მიზანია კიბერსივრცის დაცვა კიბერშეტევებისგან.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია კიბერდანაშაულთან მებრძოლი სპეციალური სამმართველო,[1043] ხოლო ევროპის მასშტაბით ინტერპოლის ევროპის ოფისში 2013 წელს შეიქმნა ასევე კიბერდანაშაულთან მებრძოლი ევროპული ცენტრი.[1044]

19.6. კიბერდანაშაულის პრევენცია

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ხდება ინტერნეტმომხმარებელი. შესაბამისად, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს მოსახლეობის ამ (დიდი) ნაწილის დაცვა კიბერდანაშაულისაგან. კიბერდანაშაულისაგან დაცვისათვის აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების დაგეგმა და გატარება. კიბერდანაშაულის პრევენცია უნდა განხორციელდეს პრვენციის სამივე დონეზე.

კიბერდანაშაულის პრევენციის ზოგიერთი ღონისძიება შეიძლება ასე განხორციელდეს:

1. მოსახლეობის სისტემატიური ინფორმირებულობა ინტერნეტში ფინანსური ოპერაციების (საბანკო ბარათებით მომსახურების გადახდის დროს) რისკების თაობაზე;

2. პოლიციის ფეისბუქში გააქტიურება და საინფორმაციო კამპანიის წარმართვა.[1045] კიბერდანაშაულის პოტენციური მსხვერპლის ინფორმირების ყველაზე კარგი საშუალება არის სწორედ იმ ინფორმაციის საშუალებით (ფეისბუქით) მასთან ურთიერთობა, რომელსაც იგი ხშირად იყენებს. გარდა ამისა, პოლიციის ინტერნეტში (სოციალურ ქსელში) გააქტიურება პოტენციურ დამნაშავეს შეაჩერებს ინტერნეტის გამოყენებით დანაშაულის ჩადენაში (მობინგის, ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების და სხვა);[1046]

3. ჩადენილი კიბერდანაშაულის გამოვლენა და გახსნა. ამისათვის აუცილებელია პოლიციის სფეროში მომუშავე პირების სისტემატიური გადამზადება კიბერდანაშაულის ახალ გამოწვევებზე; ასევე მნიშვნელოვანია ასეთი პოლიციელები ფლობდნენ უცხო ენებს (ინგლისური, რუსული). კიბერდანაშაულის ჩამდენი პირები

[1042] კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი პრობლემების შესახებ ვრცლად იხ.: ზაქაშვილი, უ., 2013.

[1043] www.police.ge

[1044] Schwind, H-D., 2016. S. 331

[1045] მანჩესტერის პოლიციის ფეისბუქს ჰყავს 100 000 მომხმარებელი. Fuchs, B., 2013. S. 189.

[1046] Wiedemann, P., 2000. S. 236.

ხშირად სწორედ სხვა ქვეყნებიდან ანხორციელებენ დანაშაულებრივ ქმედებას[1047] და დანაშაულზე სწრაფი რეაგირებისათვის საჭიროა უცხო ენის ცოდნა სხვა ქვეყნის პოლიციელებთან კავშირის დამყარების მიზნით;

4. სახელმწიფოს მხრიდან ხელი უნდა შეეწყოს კიბერდანაშაულის კვლევას. კვლევის შედეგების განზოგადება ხელს შეუწყობს მოქალაქეების ინფორმირებულობას და ასეთი სახის დანაშაულთან ბრძოლისათვის კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმას;

5. იმ კერძო კომპანიების კომპიუტერული სერვერების უსაფრთხოების სისტემატიური შემოწმება, რომლებიც მომხმარებლებს საბანკო ბარათით მომსახურებას სთავაზობენ. აუცილებელია დადგინდეს რამდენად არის დაცული ჰაკერული თავდასხმებისაგან ის სერვერები, რომლებიც მომხმარებლის შესახებ მნიშვნელოვან საბანკო მონაცემებს ინახავენ;[1048]

6. კერძო კომპანიები ვალდებულნი არიან კიბერდანაშაულის ეჭვის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინონ სპეციალურ სახელმწიფო სტრუქტურებს. ხშირად, კერძო კომპანიები იმიჯის და მომხმარებელთა ნდობის დაკარგვის საბაბით უარს ამბობენ ასეთი კიბერდანაშაულის გამჟღავნებაზე. თუმცა ასეთი კომპანიის იმიჯი იმ შემთხვევაში უფრო დაზიანდება, თუ განმეორებითი კიბერდანაშაულის შემთხვევაში გაირკვევა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა;

7. ისეთი მეილების გაუხსნელად წაშლა (მაგ. სპამების), რომელსაც მომხმარებელი არ ელოდება და საეჭვოდ მიიჩნევს. ხშირად, სწორედ ასეთი მეილები შეიცავენ ვირუსებს, რომლებიც აზიანებენ კომპიუტერულ სისტემას, ბლოკავენ მას ან იპარავენ მასში განთავსებულ ინფორმაციას;[1049]

8. კომპიუტერის და ინტერნეტის მომხმარებელთა დიდი ნაწილი მოზარდია. მშობლების და მასწავლებლების მიერ უნდა მოხდეს ბავშვების ინფორმირებულობა იმ საფრთხეების შესახებ, რომელთაც შეიძლება ინტერნეტში ყოფნის დროს ჰქონდეს ადგილი (მობინგის მსხვერპლობა ან მობინგობა, პორნოგრაფიული მასალის მომზადება-გავრცელებაში ან სხვა სახის უკანონო ქმედებაში თანამონაწილეობა და ა.შ.);

9. მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა შეძლონ ბავშვების მიერ ინტერნეტმოხმარების კონტროლი (რომელ საიტებზე შედიან ისინი, რითი ინტერესდებიან ინტერნეტში, ვინ არიან მათი ვირტუალური მეგობრები და ა.შ.);

10. კიბერდანაშაულის მსხვერპლი თუ შეამჩნევს თავდასხმას მის კომპიუტერზე, ვალდებულია დაუყოვნებლივ მიმართოს სამართალდამცავ უწყებას და აღარ მოახდინოს კომპიუტერის მოხმარება, კომპიუტერი დატოვოს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც მან თავდასხმა აღმოაჩინა.[1050] კომპიუტერის და ვირუსების ადგილზე შესწავლა და ანალიზი არის გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი.[1051]

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ინტერნეტი ადამიანებისათვის დამნაშავედ და მსხვერპლად გახდომის საშუალებად იქცა. ყოველდღიურად, ანონიმურად და არასწორი პიროვნული მონაცემებით,

---

[1047]იქვე.
[1048]Kirchhoff, M., 2013. S. 494.
[1049]Wiedemann, P., 2000. S. 234.
[1050]Kirchhoff, M., 2013. S. 493.
[1051]იქვე.

მილიონობით ინტერნეტდამნაშავე ყოველგვარი გადასახადების გადახდის გარეშე და სამართალდამცავების მიერ ამოცნობის, დაჭერის ძალიან ნაკლები ალბათობით „დაიარება“ ინტერნეტში და ცდილობს მისთვის სასურველი მსხვერპლის პოვნას პიროვნული თუ ფინანსური სარგებლის მისაღებად (შეადარე ყოველდრიური აქტიურობის თეორიას, 13.5.2. ქვეთავი). შესაბამისად, აუცილებელია როგორც ინტერნეტმომხმარებლების დიდი ყურადღება, ინფორმირებულობა, რათა ისინი დამნაშავეები ან მსხვერპლნი არ გახდნენ, ასევე სახელმწიფოს დიდი ძალისხმევა რათა შესაბამისი მეთოდებით ებრძოლოს ინტერნეტდანაშაულს, რომელიც ყოველდღე ვითარდება და დამნაშავეები თაღლითობის ახალ-ახალ სქემებს იგონებენ.

თავი მეოცე

ტერორიზმი

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკული ავიახაზების ორი თვითმფრინავი, რომლებიც ტერორისტების მიერ იმართებოდა ნიუ-იორკის ტყუპებად წოდებულ სავაჭრო ცენტრის მრავალსართულიან, 450 მეტრის შენობებს დაეჯახა და სამი ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. პარალელურად ტერორისტების მიერ ასევე ორი სამგზავრო თვითმფრინავი იქნა გატაცებული. ყველაფერზე წამსვლელი 19 ტერორისტი არის პასუხისმგებელი აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბერს მომხდარი ტერორისტული აქტებისა, რომლის მსგავსი მანადე და შემდგომაც კაცობრიობას არ უნახავს.[1052] 11 სექტემბრის მოვლენებით ტერორიზმის ახალი ერა (რელიგიური ტერორიზმი) იწყება.[1053]

რატომ ნიუ-იორკი, ან ტყუპებად წოდებული სავაჭრო ცენტრი? ისლამური ტერორისტული ჯგუფისთვის (ალ-ქაიდა), რომელმაც ეს ტერორისტული აქტი მოაწყო, ნიუ-იორკი იყო სატანური კავშირის (აშშ და ისრაელი) მეტროპოლი/ დედაქალაქი, ხოლო ტყუპებად წოდებული სავაჭრო ცენტრი აშშ-ის და ისრაელის ერთიანობის სიმბოლო.[1054]

2001 წლის 11 სექტემბერი დასაწყისი უნდა ყოფილიყო იმ რელიგიურად მოტივირებული ტერორისტული აქტებისა (2004 წელს მადრიდში, 2005 წელს ლონდონში, 2015 წელს პარიზში, 2016 წელს ბრიუსელში), რომლებიც დღემდე გრძელდება და შიშსა და დაუცველობას ნერგავს მსოფლიოში.

ტერორიზმი განიმარტება, როგორც წინასწარ დაგეგმილი შოკისმომგვრელი ძალადობრივი აქტი პოლიტიკური წესრიგის წინააღმდეგ, რომლის მიზანია როგორც მოსახლეობაში შიშის და დაუცველობის დანერგვა, ასევე მომხრეებში სიმპათიის და მხარდაჭერის მოპოვება.[1055] ტერორიზმის განმარტება არ არის მყარი და იგი პოლიტიზირებულია. ტერორიზმის ცნების პოლიტიზირებულობა მდგომარეობის ცნებაში მსხვერპლის მდგომარეობის განსაკუთრებულად გაზიარებაში, რომლის (ტერორზმის ცნების) ძირითადი მიზანია ტერორისტული აქტების მიმართ მოსახლეობის ზოგადი ცნობიერების უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.[1056] ტერორიზმის პოლიტიზირებული განმარტება არ არის სინამდვილის ამსახველი და ხელს უშლის ეფექტურ ბრძოლას.

20.1. ტერორიზმის ფორმები

სიტყვა ტერორიზმი ან ტერორი მომდინარეობს საფრანგეთის რევოლუციიდან და გულისხმობდა სახლმწიფოს მხრიდან მოქალაქეების მიმართ ძალის გამოყენებას, მათ ტერორს.[1057] ტერორსა და ტერორიზმს შორის განსხვავება არის ის, რომ ტერორის ცნების ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ტერორი საკუთარი მოქალაქეების

[1052]Zöller, M.A., 2009. S. 1.
[1053]Waldmann, P., 2003. S. 28; Waldmann, P., 2004. S. 745
[1054]Schwind, H-D., 2016. S. 691.
[1055]Schwind, H-D., 2016. S. 679; Waldmann, P., 2004. S. 744.
[1056]Zöller, M. A., 2009. S. 103.
[1057]Middel, S., 2007. S. 44, 45.

მიმართ, ხოლო ტერორიზმი არის სახელმწიფოებრივ წესრიგზე თავდასხმის ერთ-ერთი ფორმა.[1058]

კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში ტერორიზმის სხვადასხვა ფორმას განასხვავებენ. ზოგადად, სამი სახის ტერორისტული ჯგუფის გამოყოფა შეიძლება:[1059]

- სახელმწიფო ტერორიზმი (ტერორი). სახელმწიფო ტერორიზმი ხორციელდება პოლიტიკური წესრიგის (რეჟიმის) დასაცავად და გასამყარებლად. სახელმწიფო ტერორი არის დიქტატორული მმართველობისთვის დამახასიათებელი მოვლენა.
- რევოლუციური ტერორიზმი. რევოლუციური ტერორიზმისთვის დამახასიათებელია არსებული პოლიტიკური წესწყობილების წინააღმდეგ ბროლა. ასეთი რევოლუციური ტერორიზმის მაგალითებია - სეპარატისტულ-ავტონომიური მოძრაობა ეტა (ETA) ესპანეთში ან იერა (IRA) ჩრდილოეთ ირლანდიაში;
- რელიგიურად მოტივირებული ტერორიზმი. ისლამისტური ტერორიზმია რელიგიურად მოტივირებული ტერორიზმის მაგალითი, რომელიც გასცდა ერთი კონკრეტული ქვეყნის საზღვრებს და საერთაშორისო ტერორიზმად გვევლინება ალ-ქაიდას სახით.

მოტივაციის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი სახის ტერორიზმს: პოლიტიკური, რელიგიური, ნაციონალისტური და ეკონომიკური.[1060]

20.2. ისლამური (რელიგიური) ტერორიზმი

ისლამზე ორიენტირებული ტერორიზმი არის ტერორიზმის კვლევის ძირითადი და ყველაზე აქტუალური საკითხი და ასეთად დარჩება იგი მომავალშიც.[1061] ბოლო 15-20 წელია ისლამური ტერორიზმი გასცდა ერთი კონკრეტული ქვეყნის, რეგიონის ფარგლებს და მსოფლიოს ბევრი ქვეყნისთვის სერიოზული საფრთხის შემცველად იქცა.

ისლამურ ტერორიზმთან ერთად ხშირად იხმარება სიტყვა ფუნდამენტალისტური. ფუნდამენტალისტური რელიგიისთვის და მათი მიმდევრებისთვის (მათ შორის ისლამურისთვის) ტიპიურია მსოფლიოს ორად გაყოფა – კეთილებად და ბოროტებად.[1062]

ისლამი, როგორც რელიგია ქრისტიანობის შემდეგ ყველაზე დიდი რელიგიური კავშირია მსოფლიოში, 1,2 მილიადი ადამიანით. ისლამი იყოფა ორ ძირითად მიმართულებად: სუნიტებად და შიიტებად.[1063] სუნიტური ისლამის ყველაზე მკაცრი მიმდევრობაა ვაჰაბიზმი.[1064] ვაჰაბიზმი მაგ. ქალებს უკრძალავს მანქანის მართვას, სიმღერას, პარფიუმს და ყვავილების ქონას. ვაჰაბიზმის მიმდევრები იყვნენ ავღანეთის მთავრობაში 2001 წლამდე მყოფი ტალიბანი ან ტერორისტული ორგანიზაცია ალ-ქაიდა. ვაჰაბიზმის ყველაზე კონსერვატორული/მკაცრი

[1058]Middel, S., 2007. S. 45; Pfahl-Traughber, A., 2004. S. 366.
[1059]Schwind, H-D., 2016. S. 678; Middel, S., 2007. S. 45.
[1060]ღლონტი, გ. (რედ.), 2008, გვ. 244.
[1061]Groop, W./Sinn, A. (Hrsg.), 2006. S. 629.
[1062]Middel, S., 2007. S. 50.
[1063]Zöller, M. A., 2009. S. 47.
[1064]იქვე.

რელიგიური მიმდევრობაა სალაფიზმი. სალაფიზმი გასული საუკუნის 70-იან, 80-იან წლებში ჩამოყალიბდა საუდის-არაბული ვაჰაბიზმის გავლენით და მისი მიზანია პირველი მუსლიმის, მუჰამედის ცხოვრებით ცხოვრება, მისი მიბაძვა და მისი ცხოვრების პროპაგანდა.[1065]

ისლამის მეორე დიდი მიმართულება არიან შიიტები. შიიტების დიდი ნაწილი ცხოვრობს ირანში, ერაყში და მათი რაოდენობა დაახლოებით 110 მილიონი ადამიანია.

ბოლო წლების ისლამური ტერორიზმის ცენრალური ფიგურა იყო ოსამა ბინ ლადენი, რომელიც არა მხოლოდ იდეოლოგიურად არამედ ფინანსურადაც ხელს უწყობდა ჯიჰადის წარმოებას. ოსამა ბინ ლადენის ქონება ნახევარ მილიარდ აშშ დოლარად არის შეფასებული და სიაეის (CIA) მიერ ტერორიზმის ბანკირად არის წოდებული, ხოლო თავად ალ-ქაიდას ქონებრივი მდგომარეობა კი - ოთხ მილიარდ აშშ დოლარად.[1066]

ოსამა ბინ ლადენი აქტიურად მონაწილეობდა ავღანეთში 1979-89 წლებში საბჭოთა კავშირის ჯარის წინააღმდეგ და მხარში ედგა ადგილობრივ მუჯაჰედებს. ბინ ლადენის ავღანეთში საქმიანობას (პარტიზანული ომის - Guerillakrieg - სწავლება და წარმოება) ხელს უწყობდა აშშ, რომელსაც კომუნიზმის გავრცელების შიში ჰქონდა.[1067] ამერიკულ სამხედრო სწავლების გამოცდილებას ტერორისტები დღემდე იყენებენ ახალი მებრძოლების მოსამზადებლად.[1068] საბჭოთა დამპყრობლების წინააღმდეგ წარმოებულმა ავღანეთის ომმა დიდი როლი შეასრულა, როგორც ოსამა ბინ ლადენის პოპულარიზაციაში, ასევე ისლამური ტერორის ინტერნაციონალიზაციაში. ავღანეთში მებრძოლი მუსლიმები ბრუნდებიან საკუთარ ქვეყნებში და ხელს უწყობენ ოსამა ბინ ლადენს ტერორისტული აქტების მომზადებაში; ამავე დროს, ავღანეთში მუჯაჰედების გამარჯვებამ სტიმული მისცა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულ ავღანეთში მებრძოლ მუსლიმებს ეფიქრათ საერთო ისლამურ სახელმწიფოზე.[1069] ოსამა ბინ ლადენს მიაწერენ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მომხდარ ტერორისტულ აქტებს, მათ შორის ყველაზე ცნობილია: 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი, 1985 წლის თავდასხმა რომის პაპზე, 2004 წლის მადრიდის და 2005 წლის ლონდონის ტერაქტი, 1998 წელს ამერიკის საელჩოზე მომხდარი თავდასხმა ნაირობიში (კენია) და სხვა.[1070]

ისლამური ტერორიზმის მიმდევრებს სწამთ ღვთიური მისიის და წმინდა ომის - ჯიჰადის, რომლის მიზანია ისლამური რელიგიის დაცვა. თავად ყურანი არ მოუწოდებს ისლამის მიმდევრებს თავდასხმისკენ, იგი თავდაცვას ქადაგებს.[1071] ტერორისტების ღვთიური მისია გულისხმობს ისლამური რელიგიის დაცვას და-

---

[1065]de Koning, M., 2012. S. 221; Malthaner, S./Hummel, K., 2012. S. 247.
[1066]Schwind, H-D., 2016. S. 688; Zöller, M. A., 2009. S. 68, 69.
[1067]Middel, S., 2007. S. 51.
[1068]იქვე.
[1069]Zöller, M.A., 2009. S. 66.
[1070]Schwind, H-D., 2016. S. 688.
[1071]Middel, S., 2007. S. 51.

სავლური საფრთხისგან და მის დასაცავად ტერორისტული აქტების განხორციელებას.[1072] ტერორისტულ აქტებს ისინი უყურებენ როგორც რელიგიის და რელიგიური კულტურის დაცვის/გადარჩენის საშუალებას.[1073]

ისლამური ტერორიზმის მიმდევრების ნაწილი მზად არის თვითმკვლელობით დაიცვას რელიგია და ტერორისტული აქტი მოაწყოს. 2001 წლის 11 სექტემბრის ერთ-ერთი თვითმკვლელი ტერორისტის მუჰამედ ატას ჩანთაში ნაპოვნი იქნა ტექსტი: „როდესაც შენ ტერორისტულ აქტს ახორციელებ დაარტყი როგორც გმირმა, რადგან ღმერთს არ უყვარს ისეთი ადამიანები, რომლებიც დაწყებულ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანენ. მოკალი და იცოდე, რომ ანგელოზები გიხმობენ და ზეციური სამყარო გელოდება უკეთესი ცხოვრებისათვის“.[1074]

ერაყიდან აშშ-ის საჯარისო ქვედანაყოფების გამოსვლის შემდეგ ერაყში გამძაფრდა მუსლიმური რელიგიის ორ ძირითად, სუნიტურ და შიიტურ მიმდევერებს შორის ბრძოლა. სუნიტებმა ალ-ქაიდას მიზნების გათვალისწინებით ჩამოაყალიბეს ისლამური სახელმწიფო. თავდაპირველად ისლამური სახელმწიფოს მიზანი იყო დიპლომატიური და პოლიტიკური მშვიდობის დამყარება და მუსლიმების წმინდა ქალაქის – იერუსალიმის - დაბრუნება.[1075] ისინი ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ საბჭოთა ჯარის ავღანეთიდან გამოყვანის საკითხებში. დღეს ისლამური სახელმწიფოს იდეის მიმდევრების სურვილია შეიქმნას მაჰმადიანურ რწმენაზე დამყარებული ისლამური სახელმწიფო, „დიდი ხალიფატი“, რომლის შემადგენლობაში მოიაზრებენ სირიის, ერაყის, ლიბიის, საუდის არაბეთის, პალესტინის და ისრაელის ტერიტორიებს. ისლამური სახელმწიფოს რიგებში, წმინდა ომში მონაწილეობენ მოხალისეები მთელი მსოფლიოდან.[1076] სავარაუდოდ მათი რაოდენობა 30-40 ათასი კაცია.[1077] ისლამური სახელმწიფო (ტერორისტული ორგანიზაციები) ფინანსდება: ერაყში წარმოებული გაზის და ნავთობის შუამავლების მეშვეობით გაყიდვით, ფულის გათეთრებით, დაკავებული ქალაქების ნაძარცვი საქონლის (ისტორიული ნაკეთობები და სხვა) გაყიდვით, გამოსასყიდი თანხებით, რომელსაც ისინი იღებენ ტყვეების გასათავისუფლებად.[1078] ისინი (ისლამური სახელმწიფო) ანადგურებენ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებს და სურთ საკუთარი ისტორია დაწერონ.

ტერორისტული ორგანიზაციები მათ ხელთ არსებული ფინანსებით ახდენენ ახალი წევრების გადმობირებას, მათ სამხედრო წვრთნას, ყიდულობენ იარაღს, ეხმარებიან ტერორისტულ დაჯგუფებებს, ქრთამს აძლევენ მთავრობის წევრებს, რათა არ შეეშალოთ ხელი საკუთარი გეგმების განხორციელებაში და ა.შ.[1079] ბევრი რიგითი მაჰმადიანი ეხმარება ტერორისტულ ჯგუფებს ფინანსურად. ამის კარგი მაგალითია ბავშვთა საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომელი ისრაელში, რომელმაც ფონდის კუთვნილი 45 მილიონი ევრო ტერორისტებს (ჰამასს) გადასცა.[1080]

[1072]Middel, S., 2007. S. 51; Schwind, H-D., 2016. S. 689; Waldmann, P., 2004. S. 741.
[1073]Middel, S., 2007. S. 51
[1074]იგივე, გვ. 52.
[1075]Heine, P., 2004. S. 14.
[1076]Schwind, H-D., 2016. S. 704.
[1077]Der Spiegel 7/2015. S. 42.
[1078]Schwind, H-D., 2016. S. 705.
[1079]Zöller, M.A., 2009. S. 602.
[1080]http://www.zeit.de (2016 წლის 9 აგვისტოს მდგომარეობით).

20.3. ინტერნეტი, როგორც ტერორიზმის პროპაგანდის იარაღი

ტერორიზმთან ბრძოლას ართულებს კომუნიკაციის საშუალებების გამოყენება/ხელმისაწვდომობა და უკონტროლობა. ინტერნეტი (სოციალური ქსელი) გახდა საინფორმაციო ხასიათის იარაღი ტერორისტების ხელში, რომელსაც ისინი იყენებენ როგორც ტერორიზმის პროპაგანდისათვის, ასევე ტერორისტული ქმედებების გასავრცელებლად, რაც მოსახლეობაში შიშის დანერგვას და მომხრეების მობილიზებას უწყობს ხელს.[1081]

ხშირად ინტერნეტის საშუალებით მუსლიმური რელიგიის მიმდევრები რადიკალურად განწყობილი ადამიანების პროპაგანდას უსმენენ და თავადაც რადიკალური იდეების მომხრეები ხდებიან.[1082]

ლონდონში 2005 წელს მომხდარი ტერორისტული აქტის ერთ-ერთი მონაწილე ჰუსეინ ოსმანი აცხადებდა, რომ მასზედ დიდი ზეგავლენა მოახდინა ინტერნეტში ერაყის კონფლიქტის შესახებ ნანახმა ფილმებმა და ჯიჰადის შესახებ (ინტერნეტში) წაკითხულმა ტექსტებმა; 2011 წელს ფრანქფურტის აეროპორტში 21 წლის არიდ უკამ ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ორი ამერიკელი ჯარისკაცი. არიდ უკას ქმედებაზე და მის რადიკალურ მუსლიმობაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ინტერნეტში ნანახმა ვიდეომ, რომელზეც ასახული იყო თითქოს ამერიკელი ჯარისკაცები ერაყში მუსლიმ გოგონას აუპატიურებდნენ, სინამდვილეში ეს სცენა იყო დადგმული და ანტიამერიკული პროპაგანდის ნაწილი; 2010 წელს ბრიტანელი მუსლიმი სტუდენტი როშონარა ჩოუდრი გასამართლებულ იქნა პარლამენტის წევრის მკვლელობის მცდელობისათვის. სასამართლო სხდომაზე ჩოუდრი ამტკიცებდა, რომ იგი რადიკალიზირებულ იქნა ანვარ ალ-ავლაკის ვიდეოების მეშვეობით.[1083]

2001 წლის 11 სექტემბრის მონაწილე მუჰამედ ატა სისტემატიურად იყენებდა ინტერნეტს, როგორც თვითმფრინავის ბილეთების დასაჯავშნად, ყალბი მართვის მოწმობების დასამზადებლად, ასევე სხვა ტერორისტებთან საკონტაქტოდ.[1084]

ფეისბუქი 2004 წლიდან შემოვიდა ინტერნეტ სივრცეში და 2012 წლისთვის 800 მილიონი მომხმარებელი ჰყავდა, მათგან 350 მილიონი მობილური ტელეფონის მეშვეობით შედიოდა ფეისბუქში.[1085] 2016 წლის სექტემბერისთვის ფეისბუქს 1,79 მილიარდი მომხმარებელი ჰყავდა. იუტუბი 2005 წელს შეიქმნა, 2010 წლისთვის 13 მილიონი საათი ვიდეო იყო ატვირთული და დღიურად დაახლოებით 3 მილიარდი ვიდეო ნახვა აქვს. როგორც ფეისბუქის, ასევე იუტუბის ძირითადი მომხმარებელი ახალგაზრდობა, მოზარდები არიან. ტერორისტულმა ორგანიზაცია ალ-ქაიდამ კარგად იცის, რომ ინტერნეტის მომხმარებლების უდიდესი ნაწილი ახალგაზრდობაა. 2004 წლიდან ისინი ხშირად მიმართავენ ინტერნეტის საშუალებით მათ რელიგიურ რადიკალიზაციას და ჯიჰადის ომისთვის გადაბირებას.[1086] ასევე ხშირია ვიდეოები, სადაც ისინი მოსახლეობის დაშინებას უწყობენ ხელს ან აღვივებენ სიძულვილს თანამოქალაქეებს შორის.[1087]

[1081]Zöller, M.A., 2009. S. 327.
[1082]Neubacher, F., 2014. S. 176.
[1083]Conwey, M., 2012. S. 279, 295.
[1084]Zöller, M.A., 2009. S. 347.
[1085]Conwey, M., 2012. S. 280.
[1086]იგივე, გვ. 285.
[1087]Schwind, H-D., 2016. S. 327

სიძულვილის ან დაშინების ვიდეო მიმართვები კარგი პროპაგანდისტული იარაღია ტერორისტების ხელში, რადგან სამართალდამცავი ორგანეობის მიერ ასეთი ვიდეოს იდენტიფიკაციასა და ადგილმდებარეობის დადგენას დიდი დრო სჭირდება და თითქმის შეუძლებელია დამნაშავის, ტერორისტის დადგენა ან დაკავება.

საინტერესოა, თუ რამდენად შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ინტერნეტით გავრცელებულმა მასალამ ადამიანებზე. ადამიანებზე ზემოქმედება შესაძლებელია პირდაპირი (ე.წ. face-to-face) კონტაქტის მეშვეობით. საკითხავია, შესაძლებელია თუ არა ინტერნეტში ატვირთულმა მიმართვებმა და/ან ინტერნეტფორუმებმა ე.წ. face-to-face ურთიერთობის ეფექტი იქონიოს.[1088]

2008 წლის ანვარ ალ-ავლაკის (Anwar al-Awlaki) ცნობილი ვიდეომიმართვა – „უდრეკად ჯიჰადის გზაზე“ - „Constants on the Path of Jihad“ - ატვირთული იქნა ინტერ-ნეტის ერთ-ერთ ცნობილ პორტალზე, სადაც მარტო აშშ-ში ერთი თვის განმავ-ლობაში 48 300 ადამიანის მიერ იქნა ნანახი. ვიდეოს მნახველებს შორის ბევრი იყო მუსლიმური რელიგიის მიმდევარი, თუმცა მათ არც აშშ-ში და არც მის ფარგლებს გა-რეთ სავარაუდოდ არ მოუწყვიათ ტერორისტული აქტები.[1089]

ერთ-ერთი ანვარ ალ-ავლაკის სიძულვილის ვიდეოების „მსხვერპლი“ არის როშო-ნარა ჩოუდრი. საკითხავია, საკმარისია ჯიჰადისტური ხასიათის სიძულვილის ვიდე-ოების ნახვა? შეიძლება ინგლისის პარლამენტის წევრზე როშონარა ჩოუდრის თავ-დასხმა მხოლოდ ამ ვიდეოების ნახვის შედეგად რადიკალიზმის ჩამოყალიბებით აიხსნას, თუ საჭიროა დამნაშავის/ტერორისტის სოციალური და პიროვნული ასპექტების გათვალისწინება. კრიმინოლოგიური კვლევები ამ მხრივ არ არის საკმარისი. შესაბამისად, შეუძლებელია ტერორიზმის ან ჯიჰადის პროპაგანდის საქ-მეში ინტერნეტის მნიშვნელობის დადასტურება ან უარყოფა. ერთი რამ ფაქტია, როშონარა ჩოუდრი, ჰუსეინ ოსმანი და არიდ უკა მას შემდეგ გახდნენ რადიკალურად განწყობილები და ტერორისტული აქტის ჩადენა გადაწყვიტეს, რაც ინტერნეტის საშ-უალებით სიძულვილის და ჯიჰადის პროპაგანდის ვიდეოები ნახეს და ტექსტები წაი-კითხეს. 2006 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ტერორისტებს შექმნილი ჰქონდათ ან ტერორისტული მიზნებისათვის იყენებდნენ 4800 ინტერნეტ გვერდს, დაწყებული ფორუმებიდან, სადაც დისკუსია მიმდინარეობდა სხვადასხვა ენაზე, დამთავრებული ტერორისტული ჯგუფების ოფიციალური ვებ-გვერდებით.[1090] ინ-ტერნეტმა ხელი შეუწყო ტერორიზმის ტრანსნაციონალურობასაც.

20.4. ტერორიზმის გამომწვევი მიზეზები

ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების დასახელება მეტად რთულია, ვინაიდან ტერორისტული ორგანიზაციები კრიმინოლოგიური თვალთახედვით და სოციოლო-გიური მეთოდების გამოყენებით (გამოკითხვა, დაკვირვება, ექსპერიმენტი, შინაარ-სის ანალიზი) თითქმის არ შესწავლილა. თავად ტერორისტები საკუთარი დანა-შაულებრივი ქმედების ლეგიტიმაციას რელიგიური ან იდეოლოგიური რწმენით ხსნიან და სამართლიანობის დამკვიდრების სურვილით ახორციელებენ

[1088]Conwey, M., 2012. S. 282,283.
[1089]იგივე, გვ. 295.
[1090]Zöller, M. A., 2009. S. 347.

ტერორისტულ აქტებს.[1091] რეალურად საქმე გვაქვს მსოფლმხედველობით დამ-ნაშავეებთან (Überzeugungstäter), რომლებიც სისხლისსამართლებრივი პრე-ვენციისთვის მიუწვდომლები არიან.[1092] ტერორისტს სინდისის ქეჯნა ტერორიზმის მსხვერპლთან მიმართებაში არ გააჩნია.[1093] რელიგიური იდეოლოგია ემპათიის გრძნობას უნეიტრალებს. კრიმინოლოგიური ახსნა-განმარტებები თუ რატომ ხდებიან ადამიანები ტერორისტები ორი მიმართულებით შეიძლება დაჯგუფდეს: საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ინდივიდუალური.

20.4.1. ტერორიზმის ახსნა-განმარტება კულტურის კონფლიქტის თეორიით

ტერორიზმის ახსნა-განმარტება კულტურის კონფლიქტის თეორიით (იხ. ქვეთავი 3.4.11.) გულისხმობს დაძაბულობას და კონფლიქტს ორ (ისლამურ-რელიგიურ და დასავლურ) კულტურას შორის. კულტურული კონფლიქტი გამოიხატება ცხოვრების სტილის და ღირებულებების რადიკალურ განსხვავებაში. ისლამური რადიკალებისათვის მიუღებელია დასავლური ღირებულებები და ქცევის წესები, კერძოდ: ინდივიდუალური პიროვნული განვითარება, პარტნიორის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობა, სექსუალური თავისუფლება და ჰომოსექსუალიზმი, ქალის და მამაკაცის თანასწორობა, გართობა და ა.შ.[1094] რადიკალურად განწყობილი მუსლიმები, როგორც ზემოთ აღინიშნა, ტერორისტული აქტების მეშვეობით თავს იცავენ დასავლური ღირებულებებისგან. სწორედ, ცხოვრებისეული ღირებულებების შეუთავსებლობა ითვლება კულტურის კონფლიქტად და ტერორიზმის გამომწვევ მიზეზად. კულტურის კონფლიქტის კარგი მაგალითია მუჰამედის კარიკატურებით გამოწვეული ტერორისტული აქტები (შარლი ებროზე თავდასხმა 2015 წლის 7 იანვარს). ის რაც დასავლური სამყაროსთვის სიტყვის თავისუფლებაა, მუსლიმური საზოგადოების პროტესტს და ძალადობას იწვევს.

20.4.2. ტერორიზმის ახსნა-განმარტება დეპრივაციის თეორიით

ტერორისტული ძალადობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია მუსლიმების ცუდი, დისკრიმინაციული მდგომარეობა მსოფლიოში. მუსლიმები ქრისტიანებთან და ებრაელებთან შედარებით გაუსაძლის, მძიმე ეკონომიკურ და სამხედრო მდგომარეობაში იმყოფებიან, თუმცა მათ (მუსლიმებს) ყურანი მსოფლიო ბატონობას (Suprematie - Herrschaft) ჰპირდება.[1095] დასავლური სამყაროს ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე შეურაცხყოფად აღიქვება, ხოლო დასავლური ცხოვრების სტილი საშიშროებად.[1096] მუსლიმები დეპრივაციულ მდგომარეობას (ფსიქოლოგიური ზეწოლა: ერთი მხრივ ყურანი შეპირდა უზენაეს ცხოვრებას, მეორე მხრივ დასავლური ეკონომიკა და სამხედრო ძალები უფრო ძლიერია ვიდრე მათი) ტერორისტული აქტებით პასუხობენ.

[1091]Schwind, H-D., 2016. S. 698.
[1092]Neubacher, F., 2010. S. 745.
[1093]Schwind, H-D., 2016. S. 698.
[1094]Eckert, R., 2005. S. 125.
[1095]Schwind, H-D., 2016. S. 699.
[1096]Neubacher, F., 2010. S. 746.

20.4.3. ტერორიზმის ახსნა-განმარტება საზოგადოებრივი ფაქტორებით

ცნობილმა ტერორიზმის ამერიკელმა ექსპერტმა, ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა, ვალტა ლაქუერმა (Walter Laqueur) ჩამოაყალიბა ტერორიზმის გამომწვევი ოთხი მიზეზი:[1097]

ა) სიღარიბე, შიმშილი, ავადმყოფობა;

ბ) რელიგიაზე დაფუძნებული მზადყოფნა ძალადობის გამოყენების;

გ) ებრაელების ბატონობა ისლამისტების წმინდა ქალაქებზე, რომლებიც გათავისუფლებული უნდა იქნეს;[1098]

დ) ტერორისტების განსაკუთრებული პიროვნულობა, ფსიქიკური უნარი საკუთარი სიცოცხლის ფასად ჩაიდინონ ტერორისტული აქტი.

20.5. ტერორიზმის პრევენცია

ტერორიზმის შემთხვევაში საქმე გვაქვს ტერორისტთან, რომელსაც თავისი საქმის სწამს, რომელსაც შეუძლია ინტერნეტის საშუალებით მიიღოს ინფორმაცია და მოამზადოს ტერაქტი და რომელსაც საკმარისი ფინანსური რესურსი უმაგრებს ზურგს. ასეთ დროს ერთი კონკრეტული სახელმწიფოსთვის რთულია პრევენციული ღონისძიებების დაგეგმა და გატარება.

ტერორიზმის სისხლისსამართლებრივი პრევენცია მოცემულია სისხლის სამართლის კოდექსის მუხლში, რომელიც ტერორიზმს დასჯად ქმედებად აცხადებს.

ტერორიზმის კრიმინოლოგიური პრევენცია სამი დონისაა.

საერთაშორისო ტერორიზმის პრევენციის პირველ დონეზე უნდა მოხდეს მათი ფინანსური შემოსავლების აღკვეთა და მკაცრი კონტროლი დაწესდეს ყველა იმ ფირმასა თუ მთავრობაზე, რომლებიც ტერორისტული ჯგუფებისადმი დადებითად არიან განწყობილნი. ადგილობრივ დონეზე ტერორიზმის პრევენციის პირველი დონე შესაძლებელია გამოიხატოს მოსახლეობის ტერორიზმის შესახებ უკეთესად ინფორმირებაში (დუისელი ახალგაზრდა, რომელმაც ფეისბუქში ტერორისტული აქტების მუქარა დაწერა, განაცხადა, რომ იხუმრა). ქვეყნის მუსლიმური რელიგიის მქონე ადამიანების საზოგადოებრივი ინტეგრაცია (ქართული ენის ცოდნა, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ასპარეზზე შანსების მიცემა). მუსლიმანური რელიგიის აღმსარებელ თანამოქალაქეებს უნდა მიეცეთ მშვიდობიანი და პიროვნული განვითარების ყველა შესაძლებლობა.

ტერორისტული საფრთხეების შესახებ მოსახლეობის დაუყოვნებლივი და სწრაფი ინფორმირება. მოსახლეობა მზად უნდა იყოს რამდენიმედღიანი თავდასხმის შემთხვევაში საკუთარი მარაგის ქონით. გერმანიის მთავრობამ მოსახლეობას მოუწოდა

[1097]Laqueur, W., WELT vom 4.12.2001. ციტ.:Schwind, H-D., 2016. S. 700; ტერორიზმის გამომწვევი მიზეზების შესახებ ასევე იხ.: ღლონტი, გ. (რედ.), 2008. გვ. 247-249.

[1098]ისრაელის პოლიტიკა პალესტინის მიმართ ხშირად რასისტულია. ისრაელი დღემდე აშენებს პალესტინის ავტონომიური სახელმწიფოს ტერიტორიაზე დასახლებებს, რაც უფრო მოტივირებულს ხდის მაჰმადიანურ ტერორისტებს. რა თქმა უნდა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ათწლეულების განმავლობაში პალესტინელი თვითმკვლელი ტერორისტები აფეთქებებს აწყობენ ისრაელის სახელმწიფოში, რასაც ისრაელის მხრიდან საპასუხო სამხედრო შურისძიება მოჰყვება. ერთი რამ ფაქტია, ისრაელის და პალესტინის კონფლიქტი გახდა მუსლიმებისთვის დამცირების და შევიწროვების მაგალითი, რომელსაც ტერორით უნდა ებრძოლო.Waldmann, P., 2003. S. 236, 237.

ათი დღის სურსათისა და წყლის მარაგის დაგროვება, განსაკუთრებული, ბუნებრივი კატასტროფებისა და შეიარაღებული კონფლიქტების სიტუაციებისათვის.[1099]

პრევენციის მეორე დონის ფარგლებში აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ რადიკალურად განწყობილი ადამიანების, მათი საქმიანობის და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.

მუსლიმური საზოგადოების არარადიკალური ნაწილის მეტი ჩაბმა რადიკალიზმის წინააღმდეგ.[1100] მუსლიმური საზოგადოების აქტიური ჩაბმა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რითაც თავიდან იქნება აცილებული მათი სტიგმატიზაცია და რელიგიური რადიკალიზმი. მუდმივმა სახელმწიფო კონტროლმა და მუდმივი ეჭვმიტანილის სტატუსში არარადიკალური მუსლიმების ყოფნამ, შესაძლებელია მათი რელიგიური რადიკალიზმისაკენ მიდრეკილება გაზარდოს.[1101]

რელიგიური ხასიათის ნებისმიერი კონფლიქტი უნდა იყოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ სამართლიანად გამოძიებული და დამნაშავეები დასჯილი.

ტერორიზმის ჩამდენი პირების სამართლიანი სასამართლოს ფარგლებში გასამართლება და მათი რესოციალიზაცია არის პრევენციის მესამე საფეხური.

დასკვნის სახით შეიძლება ტერორიზმის ახლო და შორეული მომავლის განვითარების შესახებ ლიტერატურაში გაჟღერებული ორი მოსაზრების მოყვანა:[1102]

- პირველი მოსაზრება ეკუთვნის დევიდ რაპოპორტს (David Rapoport). ამ მოსაზრების მიხედვით, ტერორიზმი ტალღისებური ფენომენია, რომელიც ყოველ 40 წელში თავის უმაღლეს მწვერვალს აღწევს. ერთი თაობა ტერორისტული ძალადობის იდეას აღიარებს და მიჰყვება, მეორე თაობას ტერორისტული ძალადობისადმი დამოკიდებულება უცივდება და რაც მთავარია, აღარ არის მზად მის განსახორციელებლად. ამ შეხედულების შესაბამისად, 10-15 წელში ტერორიზმი თავის აღმავლობას დაკარგავს და მინელდება;
- მეორე, მარკ იუერგენმეიერის (Marc Juergensmeyer) მოსაზრების მიხედვით, რელიგიური ტერორიზმი არის დღევანდელი ცხოვრების არსის კრიზისზე პასუხი (Antwort auf die Sinnkrise), რომელიც გადაუწყვეტელი და ჯერ ისევ აქტუალურია, რადგან ცხოვრების არსის შესახებ კითხვა პასუხგაუცემელია. შესაბამისად, ტერორიზმი უახლოეს პერიოდში ადამიანების ცხოვრების ნაწილი ისევ იქნება.

[1099] https://www.welt.de (2016 წლის 9 აგვისტოს მდგომარეობით).
[1100] Schwind, H-D., 2016. S. 701.
[1101] Waldmann, P., 2004. S. 743.
[1102] იგივე, გვ. 745.

თავი ოცდამეერთე
კაზუსის ამოხსნის მეთოდი კრიმინოლოგიაში

21.1. კაზუსის ამოხსნის სქემა

1. ჩადენილი ქმედება[1103]

1.1. ჩადენილი ქმედების კლასიფიკაცია

ა) სისხლისსამართლებრივი

ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი (ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარება, წვრილმანი ხულიგნობა)

გ) კრიმინოლოგიური (აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, დამნაშავის შეპყრობა, ქმედება, რომელიც მცირე მნიშვნელობის გამო არ არის დანაშაული)

დ) დანაშაულის სახე

> სქესობრივი დანაშაული

> ქურდობა

> ძალადობრივი ხასიათის დანაშაული (მკვლელობა, ყაჩაღობა, ძარცვა, სხეულის დაზიანება)

> თაღლითობა, გაფლანგვა

> ორგანიზებული დანაშაული

> ნარკოტიკული დანაშაული

> პოლიტიკური ხასიათის დანაშაული

> სამოხელეო დანაშაული

> სხვა ქმედება

1.2. ჩადენილი ქმედების კრიმინოლოგიური ხასიათი

> ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკური მაჩვენებელი და ტენდენციები

> ქმედების კრიმინალ-პოლიტიკური შეფასება (ქმედება მაღალი/დაბალი კრიმინალ-პოლიტიკური მნიშვნელობის მატარებელია, რატომ?)

> დამნაშავე პირის პოტენციურობა (მშობლები დამნაშავე, მას ადრეც ჩაუდენია დანაშაული)

> ქმედების ჩადენის ტიპიური ხასიათი (როგორ იქნა დანაშაული ჩადენილი?): დროის ან გეოგრაფიული ადგილმდებარების მიხედვით დანაშაულის ტიპიური ხასიათის დადგენა (ღამის საათებში, ქალაქის დაუსახლებელ ადგილზე)

> სხვადასხვა ტიპიური ფაქტორები: ოჯახური ურთიერთობის ნიადაგზე, ასეთი სახის დანაშაულის მაღალი/დაბალი ლატენტურობა, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი დანაშაული (საჯარო ინტერესი), სოციალური კონტროლის დონე.

2. დანაშაული

2.1. დანაშაულის ჩადენის წინაპერიოდი

> დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობი პირობები (ნასვამი მდგომარეობა)

> მსხვერპლის ან ობიექტის არჩევა

> მსხვერპლთან კონტაქტის დამყარება

[1103] კაზუსის ამოხსნის მოცემული მეთოდი თავისი კაზუსებით იხ.: Clages, H., 1999.

> დანაშაულის ჩადენის ადგილის და დროის ამორჩევის საფუძვლები (რატომ ამოირჩია დამნაშავემ დანაშაულის ჩასადენად ეს ადგილი და დრო?)

2.2. დანაშაულის ჩადენის მომენტი

> დამნაშავის ქმედების აღწერა (სისასტიკე, დამცინავი, პროფესიონალური)

> დამნაშავის ქმედება მესამე პირის გამოჩენის შემთხვევაში (მაგ. თვითმხილველის მიერ დაზარალებულისათვის დახმარების აღმოჩენის დროს)

> დანაშაულებრივი გეგმისაგან გადახვევის მიზეზები (დამნაშავემ ცეცხლსასროლი იარაღის სანაცვლოდ გამოიყენა დანა, ვინაიდან მკვლელობის ადგილას უცაბედად ხალხი გამოჩნდა, რაც არ შეეძლო გაეთვალისწინებინა დამნაშავეს.)

> ქონების დაუფლების ხერხი

> დანაშაულის შედეგის აღწერა (მატერიალური ზარალი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ზიანი და ა.შ.)

2.3. დანაშაულის ჩადენის შემდეგ

> დანაშაულისგან ხელის აღება

> დაუმთავრებელი დანაშაულის მიზეზები

> დანაშაულის ადგილიდან მიმალვა (გაქცევა) (დაგეგმილი, დაუგეგმავი)

> დამნაშავის ან ნაქურდალი ქონების ადგილსამყოფელი

> დამნაშავის მსხვერპლისადმი მოპყრობა (მიტოვება დაუხმარებელ მდგომარეობაში, სიკვდილის საფრთხის შექმნა, მესამე პირის მეშვეობით დაზარალებულის დახმარება).

3. დამნაშავე

3.1. დანაშაულის ჩადენის მოტივი

> გამდიდრების სურვილი/ეკონომიკური ხასიათის მოგების მიღება

> შურისძიება

> ეჭვიანობა

> აფექტური მდგომარეობა

> სექსუალური სურვილის დაკმაყოფილება

> სხვა დანაშაულის დაფარვა

> პიროვნული აღიარების მოპოვება

> პოლიტიკური მიზნების მიღწევა და/ან სხვა

3.2. კრიმინალური კარიერა

> პირველად დანაშაულის ჩადენა

> წარსულში ნასამართლობა

> კრიმინალური ენერგიის მოზღვავება

> ფსიქიკური აშლილობა

> პიროვნული განვითარება

> სოციალური მდგომარეობა

3.3. თანამონაწილეობა

> დანაშაულის ჩადენა ერთი პირის მიერ

> დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობა

> დანაშაულებრივი ჯგუფის/ბანდის წევრობა

> წამქეზებელის არსებობა

3.4. დამნაშავის ტიპოლოგია

4. დანაშაულის მსხვერპლი

4.1. დანაშაულის მსხვერპლის ტიპოლოგია

> ჰანს ჰონ ჰეტინგის მსხვერპლის ტიპოლოგია

> ბენჟამინ მენდელსონის მსხვერპლის ტიპოლოგია

> ეცატ აბდელ ფატაჰის მსხვერპლის ტიპოლოგია

4.2. დამნაშავის და დაზარალებულის ურთიერთობა

> შორეული ნაცნობობა

> ნათესაური კავშირი

> მეგობრობა

> არავითარი ურთიერთობა დანაშაულამდე

4.3. დაზარალებულის საქციელი

> დაზარალებულის საქციელი დანაშაულის დროს

> დაზარალებულის საქციელზე დამნაშავის რეაქცია (დამნაშავის გაღიზიანება თავდაცვის დროს)

4.4. დაზარალებულისადმი მოპყრობა

> (დამნაშავის მიერ) დახმარების გაწევა დანაშაულის დროს (მაგ. ჯგუფური დანაშაულის დროს ერთ-ერთი ჯგუფის წევრი ეხმარება დაზარალებულს გაქცევაში)

> დაზარალებულისადმი მოპყრობა მისი ოჯახის წევრების, მეგობრების მხრიდან

> დაზარალებულისადმი მოპყრობა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან.

5. დანაშაულის ახსნა-განმარტების თეორიული საფუძვლები

მინიმუმ ხუთი კრიმინოლოგიური/ვიქტიმოლოგიური თეორიის საფუძველზე მოცემული კაზუსის ახსნა-განმარტება.

6. დანაშაულის პრევენცია

> პირველი დონის პრევენცია

> მეორე დონის პრევენცია

> მესამე დონის პრევენცია

21.2. პირველი კაზუსი: ყაჩაღობა

16 წლის ეკა და მისი მეგობარი, 17 წლის მაკა, დეკემბრის თვის შაბათ საღამოს ქ.თბილისში ღამის კლუბში მივიდნენ. მათ იქ დახვდათ მათი სამეგობრო წრე, რომელთაც გადაწყვიტეს ღამის კლუბში ერთად ალკოჰოლის მიღება.

იმავე საღამოს ღამის კლუბში მაკამ ხანშიშესული მამაკაცი, ოთარი გაიცნო. ოთარი მაკას თავის მოსაწონებლად ორივესთვის უკვეთავდა ძვირიან სასმელს და ბევრი ფულის ქონაზე საუბრობდა. გოგონა ალკოჰოლზე დაპატიჟების სანაცვლოდ ოთარის ღამის ერთად გატარებას ჰპირდებოდა. ანგარიშის გადახდის დროს ოთარმა დემონსტარციულად დათვალა საკუთარი ფული. მაკასთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა ის გარემოება, რომ ოთარის რამდენიმე ასლარიანი ედო საფულეში. მაკამ ოთარის საფულეში დანახული დიდი ფულის შესახებ უამბო თავის მეგობარ ეკას და სხვა მეგობრებს. მოზარდთა ჯგუფმა გადაწყვიტა ოთარისათვის ფული წაერთმია. ღამის საათებში ნასვამმა ოთარმა წასვლა განიზრახა. კლუბიდან მაკამ და ეკამ ოთარი

სახლში ფეხით გაცილეს. ოთარი კოჭლობდა, რის გამოც ჯოხით დადიოდა. გოგონებმა მას ორივე მხრიდან ხელი გაუყარეს და გზას დაადგნენ. გზაში გოგონებმა ოთარი მიყრუებულ ადგილას მიიყვანეს. ეკა ჩამორჩა ოთარს და ხელჯოხი რამდენიმეჯერ დაარტყა თავში. ოთარი წაიქცა. მაკამ ძირს დავარდნილ ოთარს შამპანურის ცარიელი ბოთლი ჩაარტყა თავში და ფეხებით დაუწყო ცემა. გოგონებმა გაჩხრიკეს ოთარი და ამოაცალეს საფულე, რომელშიც 650 ლარი იდო. მაკამ და ეკამ სიცივეში მიატოვეს უგონოდ მყოფი ოთარი, დაბრუნდნენ ღამის კლუბში, მეგობრებს უამბეს მომხდარის შესახებ და მათთან ერთად დახარჯეს მთელი ფული.

გონებადაკარგული და სისხლში ამოსვრილი ოთარი გამვლელებმა იპოვეს და სასწრაფო დახმარებას და საპატრულო პოლიციას გამოუძახეს. პოლიციის თანამშრომელმა ოთარი მისი საქციელისათვის (სიმთვრალისათვის) გააკრიტიკა და „ურჩია“ მომავალში ან ცოტა ალკოჰოლი დაელია ან თუ დათრობას დააპირებდა, ასეთი ბევრი ფული არ სდებოდა ჯიბეში, ან ტაქსი გამოეძახა და სახლამდე ღამის საათებში მთვრალს ფეხით არ ევლო. პოლიციელის კრიტიკით განაწყენებულმა ოთარმა მომხდარი უარყო და თქვა, რომ ღამის ბარიდან მარტო მოდიოდა ნასვამი, გზაში წაიქცა, გონება დაკარგა და არაფერი არ ახსოვს.

ინფორმაცია პიროვნების შესახებ:

ეკა დანაშაულის ჩადენის დროს იყო 16 წლის. მისი მამა ხელოსანია (სახლის მღებავი), ხოლო დედა დიასახლისი. სკოლის მასწავლებლის აზრით ეკას შეუძლია სწავლა, მაგრამ ძალიან ზარმაცია. მშობლებთან უთანხმოება ხშირად მოსდის. მამა სიმკაცრეს იჩენდა ეკასადმი და რამდენიმეჯერ ფიზიკურადაც კი შეეხო თავის შვილს. დედა ცდილობს მამის სიმკაცრის განეიტრალებას საკუთარი ლოიალობით, მაგრამ ეკაზე ზრუნვა მაინც არ გამოსდის, ვინაიდან მას კიდევ სამი შვილი ჰყავს მოსავლელი.

პოლიციისათვის ეკა ერთი წლის წინ გახდა ცნობილი, მაშინ 15 წლის ეკა სახლიდან გაიპარა და მეგობრებთან ერთად ბათუმში ცხოვრობდა. პოლიციამ იგი ბათუმში ზღვის სანაპიროზე იპოვა და სახლში დააბრუნა. ბათუმში ეკა და მისი მეგობრები ქუჩის მუსიკოსობით და სუპერმარკეტიდან საჭმლის მოპარვით ირჩენდნენ თავს.

მაკა დანაშაულის ჩადენის დროს იყო 17 წლის. მისი მამა ინჟინერია, დედა ერთ-ერთ ფირმაში მდივნად მუშაობს. მშობლები განქორწინდნენ, როცა მაკა 10 წლის იყო. მაკა ხან დედასთან და ხან მამასთან ცხოვრობდა. დედა საკუთარი მონაცემებით, დღეში 8 საათს მუშაობს და დრო აღარ რჩება იზრუნოს მაკას აღზრდაზე. მაკას სკოლა დანაშაულის ჩადენის დროს უკვე დამთავრებული ჰქონდა. იგი სამჯერ გაიქცა სახლიდან და პოლიციის ჩარევა გახდა საჭირო მისი ოჯახში დასაბრუნებლად. 16 წლის მაკა დაორსულდა. დედამ ბავშვს აბორტი გააკეთებინა, რათა მის მომავალს ხელი არ შეშლოდა. მაკას მეგობრებთან ერთად ხშირად ჩაუდენია წვრილმანი დანაშაულები (ხულიგნობა, ქურდობა და ა.შ.), რაც პოლიციისათვის გამხდარა ცნობილი.

ოთარი 55 წლის მარტოხელა მამაკაცია. მას ფეხის პრობლემები აწუხებს და მხოლოდ ხელჯოხის საშუალებით ახერხებს მოძრაობას. მას ძირითადად საკუთარი ძმა ეხმარება, რომელიც ოჯახთან ერთად დიდი ხანია უცხოეთში ცხოვრობს. იგი უგზავნის ოთარს ფულს. ოთარის არც ახლო ნათესავები და არც მეგობრები არა ჰყავს. იგი ხშირად დადის ღამის კლუბებში ქალების გაცნობის მიზნით. ღამის ბარის

პატრონის ჩვენებით, ოთარი ხშირად საუბრობს ახლადგაცნობილ ქალებთან დაზოგილი ბევრი ფულის შესახებ და ალკოჰოლს სვამს.

ოთარი ერთხელ უკვე გამხდარა ავტობუსით მგზავრობის დროს ძარცვის მსხვერ-პლი.

როგორია კაზუსის კრიმინოლოგიური ხასიათი?

კაზუსის ამოხსნა:

1. ჩადენილი ქმედება

1.1. ჩადენილი ქმედების კლასიფიკაცია

მოცემული კაზუსის შინაარსის მიხედვით ჩადენილი არის საქართველოს სს კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ ყაჩაღობა. საქართველოს სს კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად, ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით.

ეკას და მაკას მიერ ოთარისათვის ჯერ ხელჯოხის, ხოლო შემდეგ შამპანურის ბოთლის დარტყმა და მისთვის ფულის ჯიბიდან მართლსაწინააღმდეგო ამოღება ქმედების სისხლისსამართლებრივ ასპექტებზე მიუთითებს, რომელიც ყაჩაღობით კვალიფიცირდება.

1.2. ჩადენილი ქმედების კრიმინოლოგიური ხასიათი

კრიმინოლოგიური თვალთახედვით ყაჩაღობა მიეკუთვნება ძალადობრივი ხასიათის დანაშაულს, ანუ იგი ჩადენილია ძალადობის გამოყენებით. ძალადობა არის მიზანმიმართული, სოციალურად არალეგალური ფიზიკური ზემოქმედება ადამიანზე, რომელიც ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ ზიანს აყენებს მას (ადამიანს); ძალადობად ითვლება ასევე ნივთის განადგურება ან დაზიანება.[1104]

ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში ყაჩაღობა ეკონომიკური დანაშაულის კატეგორიაში გადის, ვინაიდან ყაჩაღობის მიზანს სხვისი ქონების დაუფლება წარმოადგენს. ყაჩაღობის გახსნის პროცენტული მაჩვენებელი მეტად სუსტია. ბოლო წლებში გახსნილია ჩადენილი ყაჩაღური ქმედების დაახლოებით 60%.

ყაჩაღობის, როგორც დანაშაულის მძიმე ხასიათი განაპირობებს მის მაღალ კრიმინალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას. ყაჩაღობის დაფიქსირება და გახსნა ხელს შეუწყობს დანაშაულისადმი ქვეყნის მოსახლეობაში შიშის გაქარწყლებას, ხოლო ყაჩაღობის ლატენტურობამ შეიძლება ამგვარი დანაშაულის განმეორებით ჩადენა გამოიწვიოს, დამნაშავე წახალისდეს.

ყაჩაღობა არის ქალაქის ტიპის დასახლებისათვის დამახასიათებელი დანაშაული, რომელიც ანონიმურობის და სწრაფი გაუჩინარების ძირითადი შედეგია. ქმედების ჩადენის ტიპიურ ხასიათად უნდა იქნეს მიჩნეული დანაშაულის ღამის საათებში და მიყრუებულ ადგილას ჩადენა, ან ღამის კლუბში გაცნობილი პირების ერთად ალკოჰოლის მიღება და ნასვამ მდგომარეობაში დანაშაულის მსხვერპლად გახდომა. ასევე ტიპიურია ძალადობრივი ხასიათის დანაშაულის არასამუშაო დღეებში ჩადენა (როგორც კაზუსშია მითითებული).

არატიპიურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ძალადობრივი დანაშაულის გოგონების მიერ ჩადენა, ვინაიდან ამგვარ დანაშაულს (ყაჩაღობას), სტატისტიკური

[1104]Schneider, H.J., 1994. S. 14.

მონაცემების თანახმად, ძირითადად მამაკაცები ჩადიან და მსხვერპლებიც ძირითადად ისინი ხდებიან.

ყაჩაღობის ლატენტური ხასიათი ძალიან დაბალია, ვინაიდან იგი მძიმე ხასიათის დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. გარდა ამისა, დიდია საზოგადოების ინტერესი ყაჩაღური დანაშაულის გამოვლენის და დამნაშავის დასჯის, რაც მისი უსაფრთხოების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

2. დანაშაული

2.1. დანაშაულის ჩადენის წინაპერიოდი

დანაშაულის ჩადენის წინაპერიოდის ნიშნები მდგომარეობს დამნაშავის მიერ მსხვერპლთან კონტაქტის დამყარებაში. ძირითად შემთხვევებში არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენას სპონტანური ხასიათი აქვს, ასეა ჩვენს შემთხვევაშიც, გოგონების მიერ დანაშაულის ობიექტი შემთხვევით, სპონტანურად იქნა ამორჩეული, იმის გამო რომ მსხვერპლს ბევრი ფული ჰქონდა თავის საფულეში.

მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ხელშემწყობ პირობად უნდა ჩაითვალოს როგორც დამნაშავეების, ასევე დაზარალებულის მთვრალ მდგომარეობაში ყოფნა. დამნაშავეებმა სიმთვრალით გადალახეს ის მორალური ბარიერი, რაც შეიძლება მათ სხვა მდგომარეობაში ვერ გადაელახათ, ანუ მათ სიმთვრალით დანაშაულის ჩადენისათვის საჭირო მხნეობა მიიღეს. რაც შეეხება დაზარალებულს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფ დაზარალებულს შესუსტებული აქვს თავდაცვის უნარიანობა, რაც მის მსხვერპლად გახდომას აადვილებს.

მსხვერპლთან კონტაქტის დამყარება მოხდა ასევე სპონტანურად და თავდაპირველად ეს კონტაქტი მხოლოდ ერთად ალკოჰოლის მიღებას გულისხმობდა. ერთად ალკოჰოლის მიღებით დამნაშავესა და დაზარალებულს შორის წარმოიშვა ნდობა, რამაც ოთარის მსხვერპლად გახდომა გააადვილა. ოთარი ენდო გოგონებს და სახლში გაცილებაზე დათანხმდა. ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც დამნაშავე ათრობს მსხვერპლს, რათა მისი უმწეო მდგომარეობა გამოიყენოს.

დანაშაულის ჩადენის დროის ამორჩევის საფუძვლები სახეზე არ გვაქვს, ვინაიდან ჩადენილი ქმედება სპონტანური იყო. დანაშაულის ჩადენის დროის ამორჩევა იმ შემთხვევაშია სახეზე, თუ ყაჩაღობა დაიგეგმებოდა (მაგ. ვალუტის გადამცვლელი ჯიხურის დაყაჩაღება ღამის საათებში, უკეთესად გაუჩინარების გამო). რაც შეეხება დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩასადენად ადგილის ამორჩევას, ეს მოცემულ კაზუსში სახეზე გვაქვს. გოგონებმა ოთარი დააყაჩაღეს მიყრუებულ ადგილას, სადაც ნაკლები იქნებოდა საზოგადოებრივი ან სახელმწიფო კონტროლი, მსხვერპლის ძახილს შველასთან დაკავშირებით ვერავინ გაიგებდა.

2.2. დანაშაულის ჩადენის მომენტი

დანაშაულის ჩადენა მოხდა ფიზიკური ძალის გამოყენებით, მოულოდნელი დარტყმით უკნიდან, დიდი სისასტიკით. დამნაშავეებმა გამოიყენეს დაზარალებულის სიმთვრალე.

დანაშაულის შედეგად ოთარიმ მიიღო ფიზიკური დაზიანება და განიცადა მატერიალური ზარალი 650 ლარის ოდენობით. ფიზიკური დაზიანება არის დამნაშავის მიერ დაზარალებულისათვის სხეულის დაზიანება, რაც შეიძლება

გამოიხატოს დაჟეჟილობებში, ნაკაწრებში, ჭრილობებში.[1105] ხოლო მატერიალური ზარალი არის ეკონომიკური ხასიათის და გულისხმობს დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესებას, მოცემულ კაზუსში ოთარის ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა 650 ლარით, თუ არ ჩავთვლით სამკურნალო ხარჯებს.

2.3. დანაშაულის ჩადენის შემდეგ

დანაშაულის ადგილიდან დამნაშავე გოგონების მიმალვა იყო დაუგეგმავი, უფრო მეტიც ისინი დაბრუნდნენ ბარში და გააგრძელეს მეგობრებთან ერთად დროს ტარება, რითაც ისინი გააადვილებდნენ პოლიციის მიერ მათ დაკავებას, და რაც მიუთითებს არასრულწლოვანი დამნაშავისათვის დამახასიათებელ ხასიათზე, ცხოვრებისადმი თამაშისებური (არასერიოზული) დამოკიდებულება.

(არასრულწლოვანი) დამნაშავის მსხვერპლისადმი მოპყრობა დანაშაულის ჩადენის შემდეგ ტიპიურია ყაჩაღური თავდასხმის დროს, რაც გულისხმობს მსხვერპლის დანაშაულის შემთხვევის ადგილას მიტოვებას, ხშირად დაუხმარებელ მდგომარეობაში, ხოლო აღებული თანხის ახლომახლო მდებარე ბარში ან რესტორანში, ან მაღაზიაში დახარჯვას.

მოცემულ კაზუსში მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას ხელი შეუშალა მესამე პირის მიერ დაზარალებულის დახმარებამ.

3. დამნაშავე

3.1. დანაშაულის ჩადენის მოტივი

მოცემულ კაზუსში ძალადობის გამოყენება უნდა განვიხილოთ როგორც ოთარისათვის ფულის წართმევის საშუალებად. გოგონების ქმედების ძირითადი მოტივი არ იყო ძალადობა, არამედ ეკონომიკური ხასიათის მოგების მიღება. თუმცა, გოგონების წარმოდგენას და სურვილს სრულიად შეესაბამებოდა ძალადობის გამოყენებით ოთარის ქონების დაუფლება.

გარდა ამისა, არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის მნიშვნელოვან მოტივად უნდა ჩაითვალოს მეგობრების წრეში პიროვნული აღიარების მოპოვება. გოგონების მიერ ჩადენილი ყაჩაღობა ერთი მხრივ, ემსახურებოდა სწორედ მეგობრებში აღიარების მოპოვებას, რაც დანაშაულის ჩადენის შემდეგ მათი საქციელითაც დადასტურდა. ეკა და მაკა დაბრუნდნენ ბარში, უამბეს მეგობრებს მათი „საქმენი საგმირონია“ და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფული მათთან ერთად დახარჯეს.

3.2. კრიმინალური კარიერა

კაზუსის შინაარსის თანახმად, გოგონებს დანაშაული პირველად არ ჩაუდენიათ. მართალია მათ მიერ ჩადენილი ყაჩაღობა პირველი მძიმე ხასიათის დანაშაულია, მაგრამ სახეზე გვაქვს არასრულწლოვანი გოგონების პიროვნულ განვითარებაში (სოციალიზაციაში) ხელის შეშლა, რასაც თან ერთვის ოჯახის მხრიდან მათზე კონტროლის მექანიზმის ნაკლებობა. ყოველივე შეიძლება პირდაპირ არ მიუთითებდეს გოგონების კრიმინალური ენერგიის მოზღვავებაზე, ან კრიმინალურ კარიერაზე, მაგრამ მათი პიროვნების განვითარებაში აუცილებელია ჩარევა, რათა აღარ მოხდეს მათი მხრიდან სხვა დანაშაულის ჩადენა.

[1105]შალიკაშვილი, მ., 2011. გვ. 59.

3.3. თანამონაწილეობა

მოცემული კაზუსის შინაარსის თანახმად სახეზე გვაქვს დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილეობა. არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა ტიპიურია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების თანახმად, არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ნაწილი არის ჯგუფურად ჩადენილი.

3.4. დამნაშავის ტიპოლოგია

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ დამნაშავეები არასრულწლოვნები არიან. არასრულწლოვან მსჯავრდებულ გოგონათა ხვედრითი წილი არის 5-6%.

დამნაშავე გოგონები განეკუთვნებიან სუსტი კრიმინალური შესაძლებლობების და საზოგადოებაში სუსტი ინტეგრაციის მქონე დამნაშავეთა კატეგორიას. დამნაშავეთა ეს კატეგორია ნაკლები საფრთხის შემცველია. ისინი საზოგადოებაში თავიანთი ასოციალური თუ სუსტი სოციალური მდგომარეობის და სუსტი კრიმინალური ძალისხმევის გამო არ გამოირჩევიან განსაკუთრებული კრიმინალური კარიერით და ძირითადად ეკონომიური სახის დანაშაულებს ჩადიან (ქურდობა, თაღლითობა).

4. დანაშაულის მსხვერპლი

4.1. დანაშაულის მსხვერპლის ტიპოლოგია

ვიქტიმოლოგია იცნობს მსხვერპლის მრავალ ტიპოლოგიას. ამ ტიპოლოგიებს შორის უფრო ხშირად გამოიყენება ჰანს ფონ ჰენტიგის, მენდელსონის და ფატაჰის მსხვერპლის ტიპოლოგიები.

კაზუსის შინაარსის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლი განეკუთვნება შემდეგ ტიპოლოგიას:

- ჰანს ფონ ჰენტიგის მსხვერპლის ტიპოლოგიის მიხედვით, ის პირები შეიძლება უფრო ხშირად გახდნენ დანაშაულის მსხვერპლნი, რომელნიც ფიზიკური ნაკლის (შშმპ) ან მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის გამო თავს საკმარისად ვერ დაიცავენ. ასევე მოხუცებულები ფიზიკური პრობლემების გამო. კაზუსის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლს, ოთარს ჰქონდა ფეხის პრობლემები, რის გამოც სიარული უჭირდა და ხელჯოხით დადიოდა და მსხვერპლად გახდომის მომენტში იყო ნასვამ მდგომარეობაში;
- ჰანს ფონ ჰენტიგის მსხვერპლის ტიპოლოგიის მიხედვით, ოთარი არის ასევე მარტოხელობის, მარტოდ ყოფნის მსხვერპლი. ამგვარი ადამიანები ხშირად ეძებენ სოციალურ კონტაქტებს და თავგადასავლებს, რაც ხშირად მათ დანაშაულის მსხვერპლად ხდის;
- მენდელსონის მსხვერპლის ტიპოლოგიის მიხედვით, ოთარი თავისი საქციელიდან გამომდინარე არის დანაშაულის გამომწვევი და პროვოკაციული მსხვერპლი. დანაშაულის გამომწვევი და პროვოკაციულია ისეთი მსხვერპლი, რომელსაც უფრო მეტი „ბრალი“ მიუძღვის მსხვერპლად გახდომაში, ვიდრე დამნაშავეს. კაზუსის თანახმად, ოთარმა ამოიღო საფულე და დაიწყო მისი დამნაშავის წინ დათვლა, რითაც მსხვერპლად გახდომის პროვოცირება გამოიწვია და რის გამოც მენდელსონი ასეთ მსხვერპლს უფრო დიდ ბრალს სდებს, ვიდრე თვით დამნაშავეს;
- ფატაჰის მსხვერპლის ტიპოლოგიის მიხედვით, ოთარი განეკუთვნება ლატენტურ და წინასწარ ამოსაცნობ მსხვერპლთა კატეგორიას. ამ კატეგორიის

მსხვერპლის შესახებ დამნაშავემ იცის, რომ იგი (მსხვერპლი) მას წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ბიოლოგიური მდგომარეობის გამო. მოცემულ კაზუსში ასეთი ბიოლოგიური მდგომარეობის ორი განმაპირობებელი კომპონენტი არსებობდა მსხვერლთან მიმართებაში, სიმთვრალე და ფიზიკური სისუსტე მოხუცებულობის და შშმ-ობის გამო.

4.2. დამნაშავის და დაზარალებულის ურთიერთობა

კაზუსის მიხედვით, დამნაშავეებსა და დაზარალებულს შორის დანაშაულამდე ისეთი სახის ურთიერთობა არ ყოფილა, რაც შეიძლებოდა მათი განხილვის და ანალიზის საფუძველი ყოფილიყოს. ის ურთიერთობა, რომელიც გოგონებს ოთარისთან ბარში გააჩნდათ არის იძულებითი, ზედაპირული და შემთხვევითი, ამიტომ დანაშაულზე, რომელიც შეიძლებოდა დამნაშავის და დაზარალებულის ურთიერთობის ნაყოფი ყოფილიყო საუბარი მიუღებელია.

4.3. დაზარალებულის საქციელი

კაზუსის შინაარსის მიხედვით, დაზარალებულის ქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც წინდაუხედავი, გაუთვალისწინებელი, უყურადღებო და დაუდევარი საქციელი, რომელიც გამოიხატა ბევრი ფულის „საჯაროდ“ დათვლაში, რაც სავარაუდოდ მსხვერპლმა სიმთვრალით გამოწვეული დიდგულობის და სხვაზე (დამნაშავეზე) ზემოქმედების გამო ჩაიდინა.

4.4. დაზარალებულისადმი მოპყრობა

დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაზარალებულისადმი მოპყრობით განისაზღვრება მისი შემდგომი ვიქტიმირების ეტაპი. დანაშაულის ჩადენის მომენტში ან მისი დასრულების შემდეგ დაზარალებულს არ გაეწია დამნაშავის მხრიდან არანაირი დახმარება.

დაზარალებულისადმი მეორადი ვიქტიმირების მოპყრობას მისი ოჯახის წევრების, მეგობრების ან სამედიცინო პერსონალის მხრიდან ადგილი არ ჰქონია. ოთარისადმი მეორადი ვიქტიმირებას ადგილი ჰქონდა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან, რომელმაც გააკრიტიკა ოთარის სიმთვრალე, რამაც მისი მსხვერპლად გახდომა გამოიწვია და რჩევები მისცა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი მომავალში ალკოჰოლის მიღების დროს.

პოლიციელის „რჩევებით“ განაწყენებულმა დაზარალებულმა თავის მხრივ უარი განაცხადა დაესახელებინა დანაშაულის ჩამდენი პირები და არ ისურვა საგამოძიებო ორგანოებთან საქმის გახსნასთან დაკავშირებული თანამშრომლობა.

5. დანაშაულის ახსნა-განმარტების თეორიული საფუძვლები

კრიმინოლოგია იცნობს მრავალ კრიმინოლოგიურ თეორიას, რომელიც ცდილობს სხვადასხვა კუთხიდან მოახდინოს დანაშაულებრივი ქმედების თუ დამნაშავის/მსხვერპლის პიროვნების/საქციელის ახსნა-განმარტება. ვინაიდან დანაშაული თავისი ხასიათით მეტად კომპლექსურია, კრიმინოლოგიური თეორიების დანაშაულებრივი ქმედების ახსნის მოცულობაც მოკლეა.

- სოციალიზაციის და სოციალური კონტროლის დეფიციტი

არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის ძირითად ხელშემწყობ პირობად კრიმინოლოგიაში მიჩნეულია მოზარდის ნაკლები ან არასწორი სოციალიზაცია და სოციალური კონტროლის ნაკლებობა.

მოზარდ გოგონებს შეემჩნევათ სწორედ, როგორც პირველადი სოციალიზაციის (ოჯახი) ნაკლებობა, ასევე მეორადი სოციალიზაციის (სკოლა, სოციალური ჯგუფი)

არასაკმარისობა, რაც გამოიხატება: უარყოფით ოჯახურ ურთიერთობებში, ძალადობრივი ხასიათის აღზრდის მეთოდებში, სკოლის ცუდ მოსწრებაში, დანაშაულებრივ სამეგობროში, თავისუფალი დროის დაუგეგმავად გატარებაში, ახლოსმდგომი ადამიანის ხშირ ცვლაში, არასაკმარის ოჯახურ და სასკოლო კონტროლში.

- ჰირშის კონტროლის თეორია

ჰირშის მიხედვით, დანაშაულის ჩადენა განპირობებულია არასაკმარისი კონტროლით. კონკრეტულად, მოზარდის ემოციური კავშირი სოციალურ „პარტნიორებთან" – მშობლებთან, მეგობრებთან და მასწავლებლებთან - ამცირებს მათ მიერ დანაშაულის ჩადენის და მის კრიმინალად ჩამოყალიბების ალბათობას. პირის ემოციური კავშირი მასში აყალიბებს პასუხისმგებლობის გრძნობას მისი სოციალური „პარტნიორებისადმი", რაც მას ხელს უშლის დანაშაულის ჩადენაში (ემოციური კომპონენტი). ხოლო რაც შეეხება თავისუფალი დროის გატარებას, ჰირშის აზრით, თუ მოზარდი მუშაობს, სწავლობს, სპორტს მისდევს, ეკლესიაში დადის ან სხვადასხვა სახის კავშირებშია გაერთიანებული, დრო აღარც კი ექნება კრიმინალური ქმედებები დაგეგმოს ან ჩაიდინოს (დროის კომპონენტი).

- ვიქტიმოლოგიის თეორიები
  - „ცხოვრების წესის" თეორია

„ცხოვრების წესის" თეორიის თანახმად, დანაშაულის მსხვერპლი შეიძლება გახდეს პიროვნება თავისუფალი დროის გატარებიდან. კაზუსის თანახმად, ოთარი, რომელიც მარტო ცხოვრობდა ხშირად ატარებდა დროს სწორედ ღამის ბარებში, იღებს ალკოჰოლს და საუბრობს ახლადგაცნობილ ადამიანებთან ბევრი ფულის შესახებ, რომელიც მას აქვს.

  - ყოველდღიური აქტიურობის თეორია

ყოველდღიური აქტიურობის თეორიის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლი გახდება პირი, თუ იგი შეხვდება დანაშაულის ჩადენისათვის მზად მყოფ პირს (დამნაშავეს) და იგი (მსხვერპლი) არასაკმარისად არის დანაშაულის ჩადენისაგან დაცული. მოცემული კაზუსის შინაარსის თანახმად, ოთარი მსხვერპლი გახდა სწორედ სიმთვრალიდან გამოწვეული თავდაუცველობის გამო.

21.3. მეორე კაზუსი: მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში

50 წლის გიორგი რესტორნის მფლობელია მცხეთის რაიონში. გიორგი ამავე დროს მზარეულია საკუთარ რესტორანში. მას ხუთი წლის წინ მეუღლე გარდაეცვალა და მარტო უძღვება ოჯახურ ბიზნესს. გიორგიმ რესტორანში გაიცნო მასზედ 10 წლით უმცროსი ვერა, რომელიც პროფესიით ასევე მზარეულია. გიორგის მოსწონს ვერას დედობრივი მზრუნველობა. ვერა და გიორგი გაცნობიდან ახლო პერიოდში დაქორწინდნენ.

გიორგის გვერდით ვერაც ჩვეულებრივად მუშაობს რესტორანში მზარეულად. ვერა ალკოჰოლისადმი დამოკიდებულებაში მეტად სუსტია და შესაძლებლობის შემთხვევაში ალკოჰოლის მიღებაზე უარს არ ამბობს. გიორგი ვერას მხოლოდ ჯიბის ფულს აძლევს, რითაც ვერა უკმაყოფილოა. ვერას ბევრჯერ აუღია რესტორნის საერთო სალაროდან (დიდი) თანხა, რაც არ დარჩენილა გიორგისათვის უცნობი.

გიორგი ოჯახის ერთპიროვნული უფროსია, რომელიც აგრესიული და უკონტროლოა. ვერა მალე მიხვდება, რომ იგი გიორგის უსიტყოდ უნდა დაემორჩილოს და

შეეჩვია თავის მდგომარეობას. ვერა ნუგეშს ალკოჰოლში უფრო პოულობს, ვიდრე საკუთარ მეუღლესთან ურთიერთობაში.

მეუღლეებს შორის ურთიერთობა დაიძაბა. გიორგის ნასვამი ვერასათვის ხშირად მიუყენებია რესტორნის სტუმრების თანდასწრებით სიტყვიერი შეურაცხყოფა: „ზარმაცო“! „ნაბიჭვარო ლოთო“! „მოგისვრი სახლიდან“!

ვერა უკმაყოფილოა საკუთარი ოჯახური მდგომარეობით და ხშირად გონების დაკარგვამდე სვამს. ერთხელ, ნასვამ ვერას სახლში ასევე ნასვამი გიორგი ეჩხუბა იმის გამო, თუ რატომ დალია მან ბევრი ალკოჰოლი. გიორგი ვერას ლოთს და უქნარას უწოდებდა. სიტყვიერი შეურაცხყოფები ჩხუბში გადაიზარდა და გიორგიმ ვერას სამჯერ გაარტყა სახეში. ვერა ვეღარ იგერიებდა გიორგის დარტყმებს. ვერამ პატარა სკამი აიღო და თავში დაარტყა გიორგის. გიორგი ძირს დავარდა და ყვიროდა: „ლოთო! მკვლელო, მკვლელო!“. ვერამ მანამდე ურტყა სკამი გიორგის, სანამ ეს უკანასკნელი არ გარდაიცვალა. ვერამ დატოვა გიორგი სახლში და ახლომდებარე ბარში განაგრძო ალკოჰოლის მიღება. გვიან ღამით დაბრუნდა მთვრალი სახლში და დაიძინა. დილით ნათელი გახდა ვერასთვის ჩადენილი ქმედების შესახებ. გიორგის ცხედარი ვერამ მიყრუებულ ადგილას გადამალა, სისხლიანი სკამი დაწვა და სისხლი ისე მორეცხა, რომ იატაკს არაფერი შეტყობოდა. წავიდა და მეუღლე პოლიციაში დაკარგულად გამოაცხადა. თუმცა, მალე გაერკვა საგამოძიებო ორგანო საქმის ვითარებაში და ვერამ დანაშაული აღიარა. მან განაცხადა, რომ სურდა უბრალოდ თავისი ქმარი, რომელიც მას „მკვლელო, მკვლელოს“ ეძახდა გაეჩუმებინა.

როგორია კაზუსის კრიმინოლოგიური ხასიათი?

კაზუსის ამოხსნა:

1. ჩადენილი ქმედება

1.1. ჩადენილი ქმედების კლასიფიკაცია

მოცემული კაზუსის შინაარსის მიხედვით, ჩადენილი არის საქართველოს სს კოდექსის 111-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, კერძოდ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში. საქართველოს სს კოდექსის 111-ე მუხლის მიხედვით, „განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაშია [ჩადენილი], თუ იგი გამოიწვია დამნაშავის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ მსხვერპლის მიერ მართლსაწინააღმდეგო ძალადობამ, მძიმე შეურაცხყოფამ ან სხვა მძიმე ამორალურმა ქმედებამ, აგრეთვე მსხვერპლის არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულმა ფსიქიკურმა ტრავმამ“.

ვერას მიერ გიორგისათვის თავში სკამის მრავლჯერადმა დარტყმამ გამოიწვია გიორგის სიკვდილი. კაზუსის მიზანი არ არის გაარკვიოს მკვლელობა, რომელიც ჩადენილ იქნა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში რა სისხლისსამართლებრივ ასპექტებს შეიცავს. კრიმინოლოგიური მეთოდით კაზუსის განხილვაში ეს არ შედის.

1.2. ჩადენილი ქმედების კრიმინოლოგიური ხასიათი

კრიმინოლოგიური თვალთახედვით, მკვლელობა მიეკუთვნება ძალადობრივი ხასიათის დანაშაულს. ძალადობა არის მიზანმიმართული, სოციალურად არალეგალური ფიზიკური ზემოქმედება ადამიანზე, რომელიც ფიზიკურ, ფსიქიკურ და სოციალურ ზიანს აყენებს მას (ადამიანს).[1106]

ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებში ადამიანის მკვლელობის 2010 წელს 180 შემთხვევა იქნა რეგისტრირებული, ხოლო 2015 წელს 94 (სსკ 108-ე მუხლი) და 17 (სსკ 109-ე მუხლი). სამწუხაროა, განზრახ მკვლელობის გახსნის პროცენტული მაჩვენებელი. 2009 და 2010 წლებში განზრახ მკვლელობის გახსნის პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით 50-55% იყო, ხოლო 2015 წელს 64% (სსკ 109-ე მუხლის შემთხვევაში), რაც მეტად დაბალია განვითარებული ქვეყნების განზრახ მკვლელობის გახსნის მაჩვენებელთან (95% გერმანიაში).

მკვლელობის დაფიქსირება და გახსნა ხელს შეუწყობს დანაშაულისადმი ქვეყნის მოსახლეობაში შიშის გაქარწყლებას. შსს-ს სტატისტიკური მონაცემებით პიროვნების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ხვედრითი წილი დანაშაულთა საერთო რაოდენობაში შეადგენს 10%-ს, სამწუხაროდ, დიდია განზრახ მკვლელობის და მკვლელობის მცდელობის მაჩვენებელი.

მკვლელობის ტიპიური ხასიათი არის ის, რომ ძირითადად ასეთი დანაშაული ხდება სოციალურად ახლომდგომ პირებს შორის, წარმოშობილი კონფლიქტის ნიადაგზე. ტიპიურია ასევე, რომ მკვლელობის ჩამდენები მამაკაცები არიან, კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთი მხარე ნასვამია და ამ ქმედების მსხვერპლი უფრო ხშირად ქალები არიან.

არატიპიურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს მკვლელობის ჩადენა მანდილოსნის მიერ.

მკვლელობის ლატენტური ხასიათი ძალიან დაბალია, ვინაიდან იგი განსაკუთრებით მძიმე ხასიათის დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება. გარდა ამისა, დიდია საზოგადოების ინტერესი მკვლელის გამოვლენის და დამნაშავის დასჯის კუთხით, რაც მისი უსაფრთხოების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს.

2. დანაშაული

2.1. დანაშაულის ჩადენის წინაპერიოდი

დანაშაულის ჩადენის წინაპერიოდი გიორგის და ვერას ურთიერთობების ანალიზით შეიძლება დადგინდეს, კერძოდ, ვერას მიერ გიორგის მკვლელობას წინ უძღოდა მათ შორის არსებული ოჯახური კონფლიქტები. ოჯახური კონფლიქტის ძირითადი მიზეზი უნდა ვეძებოთ კონფლიქტის მხარეთა პიროვნებაში. კაზუსის შინაარსის მიხედვით, გიორგი იყო დომინანტი, აგრესიული, უკონტროლო, ხოლო ვერა სუსტი და ლაბილური ხასიათის. მეუღლეებს საკუთარი პიროვნებიდან გამომდინარე არ შეეძლოთ ოჯახური კონფლიქტების რაციონალურად მოგვარება, მეუღლეების მოთხოვნილებების სწორი შეფასება, ურთიერთგაგება და ნდობა.

2.2. დანაშაულის ჩადენის მომენტი

დანაშაულის ჩადენის მომენტშიც გიორგის და ვერას კვლავ კონფლიქტი მოუვიდათ. ქმრის ვერბალურ შეურაცხყოფებს მოჰყვა ფიზიკური დაპირისპირება და პროცესის უკონტროლობა, რასაც ასევე ხელი შეუწყო კონფლიქტის მხარეების

[1106]Schneider, H.J., 1994. S. 14.

მთვრალ მდგომარეობაში ყოფნამ. სწორედ, მხარეების ნასვამ მდგომარეობაში ყოფნამ გააორმაგა გიორგის აგრესიულობა, რაც უკვე ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა და გამბედაობა შეაძენინა ვერას, რათა დაპირისპირებოდა გიორგის და მისი აგრესიას აგრესიითვე ეპასუხა.

საინტერესოა ასევე ვერას უკონტროლო ძალადობა საკუთარი მეუღლის მიმართ, რაც სკამის რამდენიმეჯერ დარტყმაში გამოიხატა. სავარაუდოდ, ეს აფექტური ქმედება გამოწვეული იყო ძირს დავარდნილი გიორგის მიერ ვერასათვის „მკვლელო! მკვლელოს!" ძახილით. დამნაშავე მას შემდეგ ეშვება თავის მსხვერპლს, როცა ის გაჩუმდება. ესაც მიუთითებს ქმედების აფექტურ ხასიათზე. აფექტურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, ასევე დამნაშავის შემდეგ ქმედებაშიც, კერძოდ, გიორგის დანაშაულის ადგილას უყურადღებოდ მიტოვება.

2.3. დანაშაულის ჩადენის შემდეგ

ვერას მიერ დანაშაულის ჩადენა დაგეგმილი არ ყოფილა. დანაშაული აფექტურ ნიადაგზე მოხდა. დამნაშავე შეეცადა თავიდან აეცილებინა პასუხისმგებლობა და გადამალა მსხვერპლის გვამი. დამნაშავემ ასევე დაწვა დანაშაულის იარაღი (სკამი) და წაშალა დანაშაულის კვალი. ვერას მიერ პოლიციაში მისვლა უნდა ჩაითვალოს სამართალდამცავი ორგანოებისათვის მკვლელობის გამოძიებაში კვალის არევად, რაც ვერას მიერ წინასწარ იყო დაგეგმილი.

3. დამნაშავე

3.1. დანაშაულის ჩადენის მოტივი

როგორც აღინიშნა, კაზუსის შინაარსის თანახმად, სახეზე გვაქვს მკვლელობა, ჩადენილი უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (აფექტში), რომელსაც წინ უძღოდა მსხვერპლის მხრიდან დამნაშავის პროვოკაცია (მასზედ ძალადობის განხორციელება). დამნაშავის განზრახვა მიმართული იყო იქითკენ, რომ გაეჩუმებინა თავისი მეუღლე.

მართალია, ვერას არ სურდა გიორგის სიკვდილი, მაგრამ მისთვის უსარგებლო არ იყო ქმრის სიკვდილის გამო მიღებული ქონება ანუ ეკონომიკური ხასიათის მოგების მიღება, რაზეც მეტყველებს ვერას ქმედება განხორციელებული დანაშაულის შემდეგ: დანაშაულის კვალის წაშლა, მეუღლის დაკარგულად გამოცხადება, დანაშაულის საგნის დაწვა და ა.შ.

3.2. კრიმინალური კარიერა

კაზუსის შინაარსის მიხედვით, ვერას წარსულში ნასამართლობა არ გააჩნია. მის მიერ ჩადენილი მკვლელობა პირველი დანაშაულია, რაც ტიპიურია კონფლიქტიდან წარმოშობილი მკვლელობის დროს.

ვერას პიროვნების ანალიზისას შეუძლებელია კრიმინალური ენერგიის მოზღვავებაზე საუბარი, პირიქით, საქმე გვაქვს მსხვერპლის მხრიდან პროვოცირებულ დამნაშავეზე, რომელმაც დანაშაული უეცარი ფსიქიკური აშლილობის გამო ჩაიდინა.

3.3. თანამონაწილეობა

დანაშაულის ჩადენა ერთი პირის მიერ წინასწარი დაგეგმის გარეშე.

3.4. დამნაშავის ტიპოლოგია

დამნაშავის ტიპოლოგიის მიხედვით, ვერა განეკუთნება სუსტი კრიმინალური შესაძლებლობების და საზოგადოებაში კარგი ინტეგრაციის მქონე დამნაშავეების კატეგორიას. დამნაშავეების ეს სახე საერთოდ არ არის საფრთხის შემცველი. ისინი ძირითადად შემთხვევითი დამნაშავეები არიან და მძიმე სახის დანაშაულს (მკვლელობა, მკვლელობის მცდელობა, სხეულის დაზიანება და ა.შ.) ერთხელ, აფექტის მდგომარეობაში ჩადიან.

4. დანაშაულის მსხვერპლი

4.1. დანაშაულის მსხვერპლის ტიპოლოგია

ჰანს ჰონ ჰენტიგის მსხვერპლის ტიპოლოგიის მიხედვით, გიორგი, როგორც განეკუთვნება ოჯახური ტირანების რიცხვს, რომელიც მსხვერპლი გახდა საკუთარი მეუღლის დანაშაულებრივი ქმედების, რომელმაც (ვერამ) თვითონ გამოიჩინა აგრესია საკუთარი ტირანი მეუღლის მიმართ და მოკლა იგი.

ბენჟამინ მენდელსონის მსხვერპლის ტიპოლოგიის მიხედვით, გიორგი, როგორც მსხვერპლი განეკუთვნება დანაშაულის გამომწვევ და პროვოკაციულ მსხვერპლს. გიორგიმ საკუთარი პროვოკაციული და აგრესიული საქციელით, ვერასთვის სახეში ხელის გარტყმით, გამოიწვია ვერას დანაშაულებრივი ქმედება.

ეცატ აბდელ ფატაჰის მსხვერპლის ტიპოლოგიის მიხედვით, გიორგი არის მსხვერპლი, რომელმაც აქტიური პროვოკაცია გაუწია დანაშაულის ჩადენამდე დამნაშავეს (ეკონომიკური, ფსიქიკური და ბოლოს ფიზიკური ძალადობა გიორგის მხრიდან).

4.2. დამნაშავის და დაზარალებულის ურთიერთობა

დამნაშავესა და მსხვერპლს შორის არსებობდა ნათესაური კავშირი. ისინი იყვნენ მეუღლეები. სწორედ მათმა ერთმანეთთან მჭიდრო სოციალურმა კავშირმა გამოიწვია გიორგის გაღიზიანება ვერას ალკოჰოლის გამო და ვერას ალკოჰოლისადმი მკვეთრი მიდრეკილება, რათა დაეთრგუნა გიორგისთან არსებული უკმაყოფილება.

4.3. დაზარალებულის საქციელი

დაზარალებულის საქციელი დანაშაულის დროს, როგორც უკვე აღინიშნა, იყო პროვოკაციული და გამაღიზიანებელი. სწორედ გიორგის სიტყვებმა „ლოთო! მკვლელო, მკვლელო!“ გამოიწვია დამნაშავის (ვერას) გაღიზიანება და გიორგისადმი სკამის მრავალჯერადი დარტყმა, რამაც საბოლოოდ მისი სიკვდილი გამოიწვია.

4.4. დაზარალებულისადმი მოპყრობა

მოცემული კაზუსის შინაარსის მიხედვით, დამნაშავის მხრიდან დაზარალებულს არავითარი სახის დახმარება არ გაეწია. პირიქით, დაზარალებული დატოვებულ იქნა სახლში, იმის მიუხედავად რომ დამნაშავემ არ იცოდა მოკლა თუ არა მან დაზარალებული და შეიძლებოდა თუ არა სამედიცინო დახმარების გამოძახებით მისი გადარჩენა.

5. დანაშაულის ახსნა-განმარტების თეორიული საფუძვლები

ვერას მხრიდან გიორგის მკვლელობა სოციალური ურთიერთობის ნიადაგზეა წარმოშობილი და ამ მკვლელობის განმარტებისათვის შეიძლება შემდეგი თეორიები გამოვიყენოთ.

- ფრუსტრაცია-აგრესიის თეორია

ვერას მიერ გიორგის მკვლელობა შეიძლება აიხსნას ფრუსტრაცია-აგრესიის თეორიით. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანის ფრუსტრაცია იწვევს აგრესიას. სწორედ ფრუსტრაციასთან გვაქვს საქმე ვერას მდგომარეობაში, რომელიც ცდილობს მეუღლესთან აუტანელი ურთიერთობა ალკოჰოლით გადაფაროს. აღნიშნულმა ფრუსტრაციამ, რომელიც დიდი ხნის შეურაცხყოფების გამო ვერაში დაგროვდა თავი იჩინა აგრესიის სახით, რამაც ვერას მხრიდან გიორგის სიკვდილი გამოიწვია.

- ანომიის თეორია

ვერას ალკოჰოლისადმი დამოკიდებულება, რამაც ხელი შეუწყო მის მიერ გიორგის მკვლელობის ქმედების ჩადენას, შეიძლება განმარტებული იქნეს ანომიის თეორიით, კერძოდ სოციალური ადაპტაციის ფორმით სახელწოდებით უკუქცევა. უკუქცევა (ფართო გაგებით) არის შექმნილი პრობლემებისაგან „უკან დახევა“, რასაც ხშირად მიმართავენ ალკოჰოლის, ნარკოტიკული ნივთიერების მოყვარული პირები, ანუ ისინი საკუთარი პრობლემების გზების მოძიების სანაცვლოდ იკეტებიან საკუთარ თავში და ეწევიან არაპროდუქტიულ სოციალურ ცხოვრებას.

- ვიქტიმოლოგიური თეორიები

გიორგის მსხვერპლად გახდომა შეიძლება აიხსნას „ცხოვრების წესის“ თეორიის საფუძველზე. „ცხოვრების წესის“ თეორიის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლის ქცევა (ცხოვრების წესი) გარკვეულ წილად დაკავშირებულია დამნაშავის ქმედებასთან. გიორგის მიერ ვერას შეურაცხყოფამ, რომელსაც გიორგი სისტემატიურად ეწეოდა და მას ერთგვარად ცხოვრების წესადაც კი ექცა, გამოიწვია ვერას გაღიზიანება და მის მიერ გიორგის მკვლელობა.

ბიბლიოგრაფია

ალფაიძე, თ.
მედია სამართალი. თბილისი 2008.

აქუბარდია, ი.
დაცვის ხელოვნება. თბილისი 2011.

ასათიანი, მ.
კულტურის სოციოლოგია: სალექციო კურსი სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრა-ტურისათვის. თბილისი 2006.

ბალარჯიშვილი, ი.
დანაშაულის და სასჯელის ეკონომიკა. თბილისი 2010.

ბალიაშვილი, მ.
სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი 2010.

ბალიაშვილი, მ.
პიროვნების ფსიქოლოგიის საფუძვლები. თბილისი 2012.

ბაქრაძე, აკ.
სკოლას. დამხმარე სახელმძღვანელო ქართულ ლიტერატურაში საშუალო სკოლებისათვის. გამომცემლობა ინტელექტი. თბილისი 2013.

ბაქრაძე, აკ.
ილია ჭავჭავაძე. გამომცემლობა პეგასი. თბილისი 2006.

ბაძაღუა, მ.
ჯგუფური დანაშაული. თბილისი 1998.

ბაძაღუა, მ.
პედაგოგიური მიდგომები კრიმინოლოგიაში. გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი: კრიმინოლოგი, №1 (2), 2008. გვ. 124-127.

ბახტაძე, უ.
პენოლოგიის არსი და მისი მიმდინარეობები. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კრიმინოლოგიის ჟურნალი, №1, 2016.

ბახტაძე, უ.
ზიანის პრინციპი, როგორც კრიმინალიზაციის ერთ-ერთი საფუძველი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი №2. 2016.

ბაწაშვილი, ი.
ქვეითი პატრული და დანაშაულის პრევენცია. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კრიმინოლოგიის ჟურნალი, №1, 2016.

ბებერაშვილი, ზ. და სხვა
ოჯახში ძალადობა. მოკლე პრაქტიკული სახელმძღვანელო. კავშირი „საფარი". თბილისი 2007.

ბრეგვაძე, ლ.
ანომიის თეორია კრიმინოლოგიასა და სამართლის სოციოლოგიაში: სოციალური ინტეგრაციისა და ნორმატიული რეგულირების პრობლემები. სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები. რედ. გამყრელიძე, ო., (პროფ. თ. შავგულიძის დაბადების 75-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სტატიათა კრებული). თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოა და სამართლის ინსტიტუტი. თბილისი 2006.

ბრეგაძე, ლ.
ქართული ჟარგონის ლექსიკონი. თბილისი 2005.

გაბიანი, ა.
დანაშაულობის მიზეზების შესახებ. თბილისი 1969.

გაბიანი, ა/ღვინეფაძე, ლ.
მოზარდთა შორის მავნე ჩვევების გავრცელების სამედიცინო-სოციალური საკითხები. ჟურნალი: სამართალი №2, 2000ა. გვ. 43-48.

გაბიანი, ა./ღვინეფაძე, ლ.
მოსწავლე ვაჟებსა და გოგონებს შორის მავნე ჩვევების გავრცელების მაჩვენებლების შედარებითი ანალიზი. ჟურნალი: სამართალი №4-5, 2000ბ. გვ. 76-81.

გაბიძაშვილი, ბ.
სტატისტიკა ყველასათვის. პოპულარული სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში. მეოთხე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. თბილისი 2008.

გაბრიჩიძე, ნ.
ოჯახში ჩადენილი ძალადობითი დანაშაული. (სისხლისსამართლებრივი საკითხები). თ. წერეთლის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის ჟურნალი: მაცნე. 1, 2006, გვ. 159-168; იგივე ნაშრომი იხილე სათაურით: ოჯახში ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული, ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 2005, გვ. 109-116.

გამყრელიძე, ო.
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. პირველი წიგნი. მეორე შევსებული გამოცემა. თბილისი 2008ა.

გამყრელიძე, ო.
მოსყიდვა ზემოდან თუ მოსყიდვა ქვემოდან. ჟურნალი: ცხოვრება და კანონი, №3, 2008ბ. გვ. 2-12.

გამყრელიძე, ო. (რედ.)
სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბილისი 2008.

გამყრელიძე, ო.
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. თბილისი 2005.

გეთიაშვილი, გ.
საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის არსი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი №2. 2016.

გერიგი, რ./ზიმბარდო, ფ.
ფსიქოლოგია და ცხოვრება. თბილისი 2009.

გიორგიძე, ალ.
შეზღუდული შერაცხადობა. სისხლისსამართლებრივ - კრიმინოლოგიური და ფსიქიატრიული ასპექტები). თბილისი 2014.

გორაშვილი, გ.
ქართული ანტირეკეტული კანონმდებლობის ზოგიერთი პრობლემური საკითხის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი. ჟურნალი: მართლმსაჯულება, 2007. №3. გვ. 21-35.

გოძიაშვილი, ი.
კრიმინოლოგია. თბილისი 1998.

გოძიაშვილი, ი.
დანაშაულობის ცნების განმარტების საკითხისათვის. თ. წერეთლის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის ჟურნალი: მაცნე, №1, 2005. გვ. 160-171.

გოძიაშვილი, ი.
არასრულწლოვანთა დანაშაულობის ფორმირების მექანიზმისა და მასზე საკანონმდებლო კონტროლის დაწესების შესახებ. პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს ჟურნალი: უწყებანი, №1, 1997. გვ. 37-39.

გუგავა, დ.
ფულის გათეთრების საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი კვლევის ზოგიერთი საკითხი. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია. №1, 2001. გვ. 150-153.

გუროვი, ა./რიაბინინი, ვ.
კანონიერი ქურდის აღსარება. თბილისი 1997.

ებრალიძე, თ.
ყაჩაღობა თუ ძარცვა ძალადობით. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია. №1, 2005ა. გვ. 78-83.

ებრალიძე, თ.
ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება. თ. წერეთლის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის ჟურნალი: მაცნე, №1, 2005ბ. გვ. 138-146.

ემბერი, ქ./ემბერი, მ./პერეგრინი, პ.
ანთროპოლოგია. თბილისი 2009.

ვარძელაშვილი, ი.
სასჯელის მიზნები. თბილისი 2016.

ზაქაშვილი, უ.
კიბერდანაშაულის სისხლისსამართლებრივი რეგულირების პრობლემები საქართველოში. თბილისი 2013.

ზედანია, გ. (რედ.)
მოდერნულობის თეორიები. თბილისი 2010

ზოიძე, ბ.
საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში. თბილისი 2007.

ივანიძე, მ.
სისხლის სამართლის პოლიტიკის არსი. ჟურნალი: მართლმსაჯულება №2, 2008. გვ. 54-62

ინწკირველი, ზ.
არასრულწლოვანი ბრალდებულის ხასიათის თავისებურების, მოთხოვნილების და ინტერესის გათვალისწინება დაკითხვის პროცესში. ჟურნალი: სამართალი №4-5, 2000. გვ. 88–90.

კალჰუნი, ქ./ლაითი, დ./კელერი, ს.
სოციოლოგია. ნაწილი I. თავები 2, 3, 4. თბილისი 2007.

კაპანაძე, ნ./კვაჭაძე, მ.
ლათინურ-ქართული იურიდიული ლექსიკონი. თბილისი 2008.

კოდუა, ე. და სხვ. (სარედ. ჯგუფი)
სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი - ცნობარი. თბილისი 2004.

კური, ჰ./კაპანაძე, ხ.
სასჯელაღსრულება და სანქციები საქართველოში – მიმოხილვა დასავლური თვალსაზრისით. ჟურნალი: ქართული სამართლის მიმოხილვა №2-3, 2004. გვ. 280-306.

ლანჩავა, გ.
კომპიუტერული დანაშაული. ჟურნალი: მართლმსაჯულება. №2, 2008. გვ. 63-73.

ლეკვეიშვილი, მ./მამულაშვილი, გ.
პასუხისმგებლობა ეკონომიური დანაშაულისათვის (კომენტარი). თბილისი 1999.

ლეკვეიშვილი, მ., და ავტ. კოლ.
სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I. მესამე გამოცემა. თბილისი 2008.

ლეკვეიშვილი, მ./შალიკაშვილი, მ. (რედ.)
არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები. თბილისი 2011.

ლილუაშვილი, გ.
პრესის თავისუფლების შესახებ საქართველოში. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია, №4, 1997. გვ. 109-114.

მარშავა, ქ./მინდორაშვილი, მ.
იურიდიული სტატისტიკა. თეორია, პრაქტიკა, ანალიზი. სახელმძღვანელო. თბილისი 2011.

მაცაბერიძე, ზ.
კვლევითი ორიენტაციები და კრიმინოლოგიის საგნის ფორმირება. ჟურნალი: მართლმსაჯულება №3, 2008. გვ. 46-51.

მეფარიშვილი, გ.
ცხოვრება და კანონი. თბილისი 2007.

მოსულიშვილი, მ.
არასრულწლოვანთა დანაშაულისა და უზედამხედველობის პროფილაქტიკის ზოგიერთი საკითხები. ჟურნალი: სამართალი, №4-5. 2000. გვ. 82-87.

მჟავანაძე, ზ.
სისხლის სამართალი. კერძო ნაწილი. კომენტარები. ქსუ გამომცემლობა 2000.

მჯედლიშვილი-ჰედრიხი, ქ.
სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილი I. დანაშაული. ძირითადი საკითხები სიტყვა-პასუხებით. თბილისი 2014.

ნადარეიშვილი, ვ.
დევიაცია, დაძაბულობის თეორიები და წონასწორობის განწყობისეული მოდელი. ჟურნალი: საქართველოს ფსიქოლოგიის მაცნე, 2008. №1.

ნადარეიშვილი, გ.
სახელმწიფოა და სამართლის ისტორია. თბილისი 2002.

ნადარეიშვილი, გ./ფურცელაძე, დ.
იოანე ბატონიშვილის ერთი წინადადების თაობაზე. ჟურნალი მაცნე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, №1, 1981. გვ. 107-115.

ნანობაშვილი, ზ.
უვადო თავისუფლების აღკვეთა – წინ გადადგმული ნაბიჯი სასჯელთან ჰუმანიზაციის გზაზე. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია. №2, 1999. გვ. 73-75.

ნაჭყებია, გ.
სახელმწიფოსთან პირის სისხლისსამართლებრივი კავშირის საკითხისათვის. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია. №4, 2004. გვ. 115-119.

ნაჭყებია, გ./ დვალიძე, ი. (რედ.)
სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. სახელმძღვანელო. თბილისი 2007.

ნაჭყებია, გ./ გორაშვილი, გ. და სხვა
ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში. თბილისი 2012.

ობოლაძე, რ.
ანგარებით ჩადენილი განზრახ მკვლელობის კვალიფიკაციისათვის. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია. №2, 1999ა. გვ. 59-64.

ობოლაძე, რ.
განზრახ მკვლელობის სუბიექტი. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია. №4, 1999ბ. გვ. 74-78.

პოდლესკიხ, გ. /ტერეშონოკ, ა.
კანონიერი ქურდები: ნახტომი ხელისუფლებისაკენ. ქუთაისი 1995.

რაზინკინი, ვ./ტარაბრინი, ა.
დამნაშავეთა სამყაროს ელიტა. თბილისი 2002.

რატიანი, ც.
მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თავისუფლება, როგორც საქვეყნოობის პრინციპის რეალიზაციის საშუალება. თ. წერეთლის სახელმწიფო და სამართლის ინ-სტიტუტის ჟურნალი: მაცნე 2006. გვ. 169 – 181

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. გამოცემაზე პასუხისმგებელი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია). თბილისი 2011.

საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქე-ობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი. თბილისი 2013.

სურგულაძე, ლ.
სისხლის სამართალი: დანაშაული (ლექციები). თბილისი 1997.

სურმანიძე, ლ./ლომინეიშვილი, ლ.
ადამიანის აღქმაში არქიტექტურული არტეფაქტისადმი მიმართების შესახებ. „ქართული ფსიქოლოგიური ჟურნალი“ №3, 2000, გვ. 9-28.

ტურავა, მ.
სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი 2013.

უზნაძე, დ.
ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი 2006.

ფაფიაშვილი, შ.
მკვლელობის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და კრიმინალისტიკური დახასიათება. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია. №4, 2003. გვ. 77-88.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტომი 6. თბილისი 1983.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. მეორე ტომი. თბილისი 1951

ქურხული, ლ.
ბავშვთა აგრესია. თბილისი 2006.

ღლონტი, გ.
კანონიერი ქურდები საქართველოში. თბილისი 2009.

ღლონტი, გ. (რედ.)
კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში. თბილისი 2008.

ღუჭაშვილი, ზ.
ინფორმაცია და დეზინფორმაცია, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალება. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია, №2,1998, გვ. 104 – 110.

შალიკაშვილი, მ.
კრიმინალური კარიერის ხელშეწყობის კრიმინოლოგიური ანალიზი (საზოგადოების როლი ადამიანის კრიმინალად ჩამოყალიბების პროცესში). თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი №1-2. 2010.

შალიკაშვილი, მ.
ვიქტიმოლოგია – მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. თბილისი 2011.

შალიკაშვილი, მ.
ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012.

შალიკაშვილი, მ.
არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები. თბილისი 2013.

შალიკაშვილი, მ./ჩიხლაძე, დ.
პირობით ვადამდე გასათავისუფლებელი მსჯავრდებულებისათვის რისკ-ფაქტორების შეფასების კრიმინოლოგიური ანალიზი. თბილისი 2013.

შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ./ხასია, მ.
სასჯელაღსრულების სამართალი. თბილისი 2014.

შალიკაშვილი, მ./ ნემსწვერიძე, თ.
ყარაჩოღელებიდან „კანონიერ ქურდებამდე" – ევოლუციის სავარაუდო ვერსია. სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. წიგნი III. სტატიათა კრებული. ფერაძე, გ. (რედ.). თბილისი 2015. გვ. 499-556.

შალიკაშვილი, მ./მიქანაძე, გ.
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. თბილისი 2016.

შალიკაშვილი, მ.
შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კრიმინოლოგიის ჟურნალი, №1, 2016.

შეყილაძე, ხ.
არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის არსი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის ჟურნალი №2. 2016.

შვაბე იურ.
გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 2011.

შუშანაშვილი, ა.
იურიდიული ლექსიკონი. თბილისი 2000.

ჩიქობავა, არ. (მთ. რედ.)
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ერთტომეული. თბილისი 1986.

ჩიხლაძე, დ.
დანაშაულის პრევენციის სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კრიმინოლოგიის ჟურნალი, №1, 2016.

ჩხარტიშვილი, შ.
სოციალური აღზრდის ფსიქოლოგია. თბილისი 1954.

ცაცანაშვილი, მ.
კომპიუტერული ინფორმაცია და ინტერნეტის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია. №4, 1999. გვ. 85-93.

ცერცვაძე, ც.
თეთრსაყელოიანთა დანაშაულის კრიმინლოგიური ანალიზი. თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კრიმინოლოგიის ჟურნალი, №1, 2016.

ცქიტიშვილი, თ.
ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი 2015.

წერეთელი, კ. /ხუბულური, თ/შალამბერიძე, ა.
სახელმძღვანელო ადვოკატებისთვის. ფულის გათეთრების პრევენციული ზომების თაობაზე. თბილისი 2015.

წულაია, ზ.
კრიმინოლოგია. ზოგადი და კერძო ნაწილი. თბილისი 2005.

ჭაბაშვილი, ა. (რედ.)
ადამინის უფლებათა ლექსიკონი. თბილისი 1999.

ჭაბაშვილი, მ.
უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი 1964.

ხუბუა, გ.
სამართლის თეორია. თბილისი 2004.

ხუციშვილი, ქ.
გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის დისერტაცია 2010.

ჯავახიშვილი, ივ.
თხზულებანი 12 ტომად. ტომი VII.

ჯალაღონია, ი.
დევიანტური ქცევა, როგორც სოციალური ნორმებიდან გადახრა. ჟურნალი: ცხოვრება და კანონი №2, 2007. გვ. 16-19.

ჯოგლიძე, თ.
საყოველთაო კომპიუტერიზაცია როგორც დანაშაულებათა ერთ-ერთი წყარო. ჟურნალი: ადამიანი და კონსტიტუცია. №3, 2003. გვ. 104-108

ჯორბენაძე, ს./ბახტაძე, უ./მაჭარაძე, ზ.
მედიასამართალი. (სახელმძღვანელო). თბილისი 2014.

Aden, H.
Problemdefinition und Agendagestaltung in der Kriminalpolitik. In: Lange, H-J. (Hrsg.), Kriminalpolitik. Wiesbaden 2008.

Albrecht, P.-A.
Kriminologie. Eine Grundlegung zum Strafrecht. 3. Auflage. München 2005.

Albrecht, H-J.
Internationale Kriminalität, Gewaltökonomie und Menschenrechtsverbrechen: Antworten des Strafrechts. In: Zeitschrift Internationale Politik und Gesellschaft (IPG) 2/2007, S. 153-169.

Ammon, G.
Kindermisshandlung. München 1979.

Arnold, D. O.
The sociologie of subcultur. Berkeley/Cal 1970

Archer, D./ Gartner, D.
Violence and Crime in Cross-National Perspective, New Haven/London 1984.

Artkömpfer, H./Clages, H.
Internetkriminalität – Das Internet und seine Wirkungen in sozialer, psychologischer und kriminalistischer Sicht. In: Kriminalistik 1/2013.

Bandura, A.
Aggression – eine sozial-lerntheoretische Analyse. Stuttgart 1979.

Baurmann, M./Schädler, W.
Das Opfer nach der Straftat – seine Erwartungen und Perspektiven. Wiesbaden 1991.

Bach, G.R. /Goldberg, H.
Creative Aggression**.** Doubleday 1974.

Belson, W.A.
Television Violence and the Adolescent Boy. Westmead/Farnborough/ Hampshire 1978.

Becker, H.
Outsiders, Studies in the Sociology of Deviance. New York 1963.

Becker, G.
Crime and Punishment. An Economic Approach. In: Journal of Political Economy 76, 1968.

Berger, S.M.
Conditioning through Vicarious Instignation. In: Psychological Review 1962, 69, S. 105-456.

Bereswill, M./Greve, W. (Hrsg.)
Forschungsthema Strafvollzug. Baden-Baden 2001.

Berkowitz, L., et al.
Film Violence and Subsequent Aggressive Tendencies. In: Pablic Opinion Quarterly. 1963, 27, S. 217 -229.

Bierhoff, H. W./ Wagner, U. (Hrsg.)
Aggression und Gewalt: Phänomene, Ursachen und Interventionen. Köln 1998.

Bieniek, R.
Entkriminalisierung von Drogenabhängigen durch Substitutionsbehandlung. Berlin u.a. 1993.

Bock, M.
Abgründe der Drogenpolitik. Ein Beitrag zur Interdisziplinarität des Nichtwissens. In: Festschrift für Kaiser, G., Berlin 1998. S. 699-715.

Bock, M.,
Kriminologie. 4. Auflage. München 2013.

Brosius, H-B./Koschel, F.
Methoden der empirischen Kommunikationsforschung. Wiesbaden 2001.

Bung, J.
Neurokriminologie, Psychopathie und Volkspsychologie. In: Kriminologisches Journal 40/2008, S. 97-109.

Burgess, R. L./Akers, R. L.
A differential association-reinforcement theory of criminal behavior. Social Problems, 1966, 14(2), p. 128-147.

Clarke, J.
Jugendkultur als Widerstand. Milieus, Rituale, Provokationen. Frankfurt am Main 1979.

Clarke, R.,
Technology, Criminology and Crime Science. European Journal on Criminal Policy and Research. 2004. 10.

Cloward, R.
Illegitime Mittel, Anomie und abweichendes Verhalten. In: Sack, F./ Konig, R. (Hrsg.), Kriminalsoziologie. Frankfurt am Main 1968. S. 314 – 338.

Cohen, A. K.
Kriminelle Jugend. Zur Soziologische jugendlichen Bandwesens. Reinbek bei Hamburg 1961

Cohen, A. K. & Short, J. F. Jr.
Research in Delinquent Subcultures. In: Journal of Social Issues 14, 1958. S. 20-37

Conquest, R.
Am Anfang starb der Genosse Kirow. Düsseldorf 1970.

Conwey, M.
Von al-Zarqawi bis al Awlaki: Das Internet als neue Form des radikalen Milieus. In: Radikale Milieus. Das soziale Umfeld terroristischer Gruppen. Malthaner, S./ Waldmann, P. (Hrsg.), Frankfurt am Main 2012.

Cremer, C. G.
Untersuchungen zur Kriminalität der Frau, Kriminalwissenschaftliche Abhandlungen. Band 7. Lübeck 1974.

Dessecker, A. (Hrsg.)
Jugendarbeitslosigkeit und Kriminalität. Wiesbaden 2006.

Diemer, H./ Schoreit, A./ Sonnen, B-R.
Jugendgerichtsgesetz. Kommentar. 3. Auflage, Heidelberg 1999.

Dobrowski, I. (Hrsg.)
Schwarzbuch GULAG: Die sowjetischen Konzentrationslager. Graz 2002.

Dölling, D.
Probleme der Aktenanalyse in der Kriminologie. In: Kury, H. (Hrsg.), Methodologische Probleme in der kriminologischen Forschungspraxis. München u.a. 1984. S. 265-286.

Dukheim, E.
Kriminalität als normales Phänomen. In: Sack, F./ König, R., (Hrsg.), Kriminalsoziologie. Frankfurt a.M. 1968.

Egg, R.
Kriminalpsycholigie: Entwicklung, Problembereiche, Perspektiven. In: Psychologische Rundschau. 1993. S. 162-175.

Eifler, S.
Kriminalsoziologie. Bielefeld 2002.

Eisenberg, U.
Kriminologie. 6. Auflage. München 2005.

Eisenberg, U.
Jugendgerichtsgesetz. Kommentar. 11. Auflage, München 2006.

Eckert, R.
Deprivation, Kultur und Konflikt? Erscheinungsbedingungen von Terrorismus. In: Leviathan Heft 1/2005.

Erhardt, E.
Drogenabhängigkeit und Beschafungskriminalität. Praxisorientierte Auswertung einer kriminologischen Untersuchung. Bundeskriminalamt Wiesbaden 1991.

Eron, L.D./ Huesmann, R.L.
Fernsehen, Familie und Kultur. In: Empirische Medienpsychologie, Groebel, J./Winterhoff-Spurk (Hrsg.), München 1989. S. 151-167.

Eysenck, H.-J.
Kriminalität und Persönlichkeit. Frankfurt am Main 1977.

Exner, F.
Kriminalbiologie. 3. Auflage als „Kriminologie“. Göttingen 1949.

Fattah, E.A.
Vers une typologie criminologique des victimes. In: Revue internationale de police criminelle. 1967. S. 162-169

Felson, M.
„A Routine-Activity“ Analysis of Recent Crime Reguction. In: Criminologist 1997. p. 1-3.

Feshbach, S.
The Carthartic Effect: Research and Another View. In: Barek, R.K. / Balt, S.J., Mass Media and Violence. Vol. IX, Washington 1969.

Flade, A.
Jugendkriminalität in Neubausidlungen. Eine empirische Untersuchung. Belitz Forschungsberichte. Weinheim 1984.

Flade, A.
Prävention von Kriminalität durch Wohnumweltgestaltung. In: Monatsschrift für Kriminologie und Strafrechtsreform. 1986.

Frommel, M.
Frauen. In: Northoff, R., Handbuch der Kriminalprevention. Baden-Baden 1997. S. 1-28.

Funken, Cr.
Frau – Frauen – Kriminelle. Zur aktuellen Diskussion uber Frauenkriminalität. Opladen 1989.

Fuchs, B.
Schutz und Sicherheit im digitalen Raum. In: Kriminalistik 3/2013.

Galtung, J.
Gewalt, Frieden und Friedensforschung. In: Senghaas, D. (Hrsg.), Kritische Friedensforschung. Frankfurt a.M. 1971.

Geen, R., et al.
Name-mediated Aggressive Cue Properties. In: Journal of Personality 1966, 34, S. 456-465.

Gipser, D.,
Frauen und Kriminalität. In: Gipser, D.,/Stein-Hilbers, M (Hrsg.), Wenn Frauen aus der Rolle fallen. Weinheim 1980. S. 169-182.

Girard, R.
Gewalt und Gegenseitigkeit. In: Sinn und Form 54/4 (Juli/August 2002). S. 437–454;: http://www.uibk.ac.at/forschung/weltordnung/gewalt_girard.pdf

Girard, R.
Das Ende der Gewalt. Freiburg i. B. 2009.

Gold, M.
Status Forces in Delinquent Boys. Michigan 1963.

Göppinger, H.
Kriminologie. 6. vollständig neu bearbeitete und erweiterte Auflage. München 2008.

Göppinger, H.
Kriminologie. 5. Auflage. München 1997.

Göppinger, H.
Der Täter in seinen sozialen Bezugen. Ergebnisse aus der Tübinger Jungtäter-Vergleichsuntersuchung. Berlin 1983.

Groop, W./ Sinn, A. (Hrsg.)
Organisierte Kriminalität und kriminelle Organisationen. Präventive und repressive Maßnahmen vor dem Hintergrund des 11. September 2001. Baden-Baden 2006.

Grossmann, H.P.
Die Persönlichkeitsforschung des inhaftirten rechtsbrechers. Stuttgart 1972.

Hafner, W.
Im Schatten der Derivate, das Schmutzige Geld der Finanzelite mit der Geldwäsche. Frankfurt am M. 2002.

Hacker, F.
Aggression. Die Brutalisierung unserer Welt. Berlin 1988.

Heine, P.
Islamismus – Eine ideologiegeschichtlicher Überblick. Bundesministerium des Inneren (Hrsg.), Berlin 2004.

Heinz, W.
Kriminalstatistik – Indikatoren der Kriminalität und ihrer Entwicklung? In: BKA-Vortragsreihe 23, 1977. S. 93-110.

Hellmer, J.
Jugendkriminalität. 4. Auflage. Darmstadt 1978.

Hengesch, G.
Weibliche/männliche Kriminalität. In: Monatsschrift für Kriminologie und Strafrechtsreform (MschrKrim). 1990. S. 331-335.

Herzog, F./Mulhausen, D.
Geladwäschebekämpfung und Gewinnaböschpfung. München 2008.

Hentig, H. von
The criminal and his victim. Studies in the sociobiology of crime. New Haven 1948.

Hentig, H. von
Remarks on the interaction of Perpetrator and Victim. In: Journal of Criminal Law and Criminologie 1941, 31, S. 303-309

Hess, H.
Mafia. Zentrale Herrschaft und lokale Gegenmacht. Tübingen 1970.

Heubrock, D./ Böttcher, M-H.
„Scamming“ – Betrug durch vorgetäuschte Heiratsabsichten in Internet-Partnerschaftsportalen. In: Kriminalistik 2/2011.

Hindelang, M.J. et al.
Victims of Personal Crime: An Empirical Foundation for a Theory of Personal Victimization. Cambridge 1978.

Hirschi, T.
Causes of Delinquency. Berkeley 1969.

Hürlimann, M.
Führer und Einflußfaktoren in der Subkultur des Strafvollzugs. Pfaffenweiler 1993.

Illesch, A.
Die roten Paten. Organisiertes Verbrechen in der Sowjetunion. Berlin 1991.

Irvin, J. & Cressey, D.R.
Thieves, Convicts and the Inmate Culture. Social Problems 10/1964. S. 142-155.

Jakobs, G.
Strafrecht Allgemeiner Teil. 2. Auflage. Berlin u.a. 1993.

Jehle, J.-M. (Hrsg.)
Kriminalprävention und Strafjustiz. Wiesbaden 1996.

Jehle, J.-M.
Ein Problemabriss unter Datenschutzaspekte. In: Jehle, J.-M. (Hrsg.), Datenzugang und Datenschutz in der kriminologischen Forschung. Wiesbaden 1987. S. 3-25.

Jung, L.
„Wir habe begonnen umzudenken...“: Michail Gorbatschows Reformkonzept für die UdSSR; Geschichete – Ideologie - Praxis – Perspektiven. Köln 1987.

Kaiser, G.
Jugendrecht und Jugendkriminalität. Weinheim 1973.

Kaiser, G.
Kriminologie: ein Lehrbuch. 3., völlig neubearb. u. erw. Auflage. Heidelberg 1996.

Kaiser, G.
Kriminologie. Heidelberg/Karlsruhe 1980.

Kaiser, G.
Kriminologie. Eine Einführung in die Grundlagen. 7. neubearb. und ergän. Auflage. Heidelberg 1985.

Kaiser, G.
Kriminologie. Eine Einführung in die Grundlagen. 10. neubearb. und ergän. Auflage. Heidelberg 1997.

Kaiser, G. u.a. (Hrsg.)
Kleines Kriminologisches Wörterbuch. 2. Auflage. Heidelberg 1985.

Kaiser, G./ Schöch, H.
Kriminologie – Jugendstrafrecht – Strafvollzug. 3. Auflage. München 1987.

Kaiser, G./ Kerner, H-J./ Sack, F./ Schellhoss, H.
Kleines Kriminologisches Wörterbuch. 3. Auflage. Heidelberg 1993.

Kerner, H.-J. (Hrsg.)
Kriminologie. Lexikon. 4. völlig neubearbeitete Auflage. Heidelberg 1991.

Keupp, L.
Zur Problematik der weiblichen Delinquenz. In: Monatsschrift fur Kriminologie und Strafrechtsreform (MschrKrim). 1982. S. 219-229.

Kiefl, W./Lamnek, S.
Soziologie des Opfers. Theorie, Methode und Empirie der Viktimologie. München 1986.

Kiehn, L.
Computerspiel- und Internetsucht im Jugendalter. Hamburg 2015.

Killias, M.
Grundriss der Kriminologie. Eine europäische Perspektive. Bern 2002.

Kirchling, M.
Opferinteressen und Strafverfolgung. Freiburg 1995.

Kirchhoff, M.
IuK-Kriminalität (Cyberkriminalität). In: Kriminalistik 7/2013.

Klingemann, H., u.a.
Prüfung der kulturellen Übertragungstheorie und der strukturell- funktionalen Theorie als Erklärungsansätze für die Insassensubkultur im Jugendstrafvollzug. In: Kriminologisches Journal 1978. S. 141-147

Kleining, G.
Qualitative Sozialforschung. Teil II. Der Forschungsprozess. Hagen 1998.

Konrad, K.
Mündliche und schriftliche Befragung. (Forschung, Statistik und Methoden. Band 4). Landau 1999.

Koebler, G.
Juristisches Wörterbuch. Für Studium und Ausbildung. 8. Auflage. München 1997.

Koehler, J.
Die Zeit der Jungs. Zur Organisation von Gewalt und der Austragung von Konflikten in Georgien. Münster 2000.

de Koning, M.
"Kämpfen im Namen Allahs": Transnationale soziale Felder und die Radikalisierung des Hofstand-Netzwerks in den Niederlanden. In: Radikale Milieus. Das soziale Umfeld terroristischer Gruppen. Malthaner, S./ Waldmann, P. (Hrsg.), Frankfurt am Main 2012.

Kramer, K./Obmascher, T./ Rudig, R.
Internetsucht. 2011.

Kreuzer, A. u.a.
Drogenabhängigkeit und Kontrolle. Kriminologische Untersuchung über Phenomenologie des Heroinkonsums polizeiliche Drogenkontrolle. Wiesbaden 1981.

Kreuzer, A., u.a. (Hrsg.)
Fuhlende und denkende Kriminalwissenschaften. Ehrengabe fur Anne-Eva Brauneck. Monchengladbach 1999.

Körner, H. H.
Betaubungsmittelgesetz. Arzneimittelgesetz. Kommentare. 6. Auflage. Munchen 2007.

König, R. (Hrsg.)
Soziologie. Frankfurt a.M. 1968.

Kube, E.
Systematische Kriminalprävention. 2. Auflage. Wiesbaden 1987.

Kube, E.
Städtebau, Wohnarchitektur und Kriminalität. Prävention statt Reaktion. Heidelberg 1982.

Kunz, K.-L.
Kriminologie: Eine Grundlegung. 3. vollst. überarbeitete Auflage. Wien 2001.
Kriminologie: Eine Grundlegung. 2. vollst. überarbeitete Auflage. Wien 1998.

Kunz, H.
Kriminalität. In: Ramb, B./Tietzel, M. (Hrsg.) Ökonomische Verhaltenstheorie. München 1993. S. 181-206.

Kürzinger, J.
Kriminologie: eine Einführung in die Lehre von Verbrechen. 2., vollst. neubearb. Auflage. Stuttgart u.a. 1996.

Laatz, W.
Empirische Methoden. Ein Lehrbuch für Sozialwissenschaftler. Frankfurt am Main 1993.

Lackner, K.,/ Kühl, K.
Strafgesetzbuch. Kommentar. 25. Auflage. München 2004.

Lamnek, S.
Die Bedeutung der Theorien für die empirische Forschung in der Kriminologie. In: Helmut Kury (Hrsg.), Methodologische Probleme in der Kriminologischen Forschungspraxis. Berlin u.a.1984. (S. 27-93).

Lamnek, S.
Wieder den Schulenzwang. München 1985.

Lampe, K. von
Organisierte Kriminalitet unter der Lupe. In Kriminalistik 2001. S. 465-471.

Lamott, F.
Konstruktionen von Weiblichkeit und die „male stream“ Kriminologie. In: Neue Kriminalpolitik 1995. S. 29-32.

Lange, H-J (Hrsg.)
Wörterbuch zur Inneren Sicherheit. Wiesbaden 2006.

Laue, Cr.
Anmerkung zu Broken Windows. In: Monatsschrift fur Kriminologie und Strafrechtsreform (MschrKrim) 1999. S. 277 – 290.

Lazarus, R.S., et al.
The Principle of Shortcircuiting of Threat: Further Evidence. In: Journal of Personality 1965, 33, S. 622-635.

Lemert, E.
Social Pathology. New York 1951.

Lempp, R.
Eine Pathologie der psychischen Entwicklung. 3. Auflage. Bern 1975.

Lenin
Werke. Band II. Berlin (Ost) 1970.

Levada, J.
Die Sowetmenschen. Berlin 1992.

Lorenzer, A.
Städtebau: Funktionalizmus und Sozialmontage? Zur sozialpsychologischen Funktion der Architektur. In: Berndt, H. v./ Lorenzer, A./ Horn, K., Architektur als Ideologie. Frankfurt 1969.

Malthaner, S./ Hummel, K.
Islamistischer Terrorismus und salafistische Milieus: Die „Sauerland-Gruppe“ und ihr soziales Umfeld. In: Radikale Milieus. Das soziale Umfeld terroristischer Gruppen. Malthaner, S./ Waldmann, P. (Hrsg.), Frankfurt am Main 2012.

Mattern, U.
Zwischen Sensationsjournalismus und offentlicher Verantwortung – Kriminalprävention als Aufgabe der Medien. In: Kury, H. (Hrsg.), Ist Straffälligkeit vermeidbar? Möglichkeit der Kriminalprävention. Bochum 1982. S. 296 – 355.

Mehlhorn, S.
Der Verteidiger als Geldwäscher. Baden-Baden 2004.

Meier, B.-D.
Kriminologie. 3. Auflage. München 2007.

Meier, B-D/Rössner, D./Trüg, G./Wulf, R.
Jugendgerichtsgesetz. Handkommentar. 2. Auflage. Baden-Baden 2014.

Meier, B-D.
Kriminologie und Internet: ein ungeklärtes Verhältnis. In: Cybercrime und Cyberinvestigations. Neue Herausforderungen der Digitalisierung für Strafrecht, Strafprozessrecht und Kriminologie. Beck, S./Meier, B-D./Momsen, C. (Hrsg.). Baden-Baden 2015.

Meier, B-D.
Risikofaktoren der Onlinekriminalität. In: Neubacher, F./Bögelein, N. (Hrsg.), Krise – Kriminalität – Kriminologie. Mönchengladbach 2016.

Meier, A.
Subkultur im Jugendstrafvollzug im Kontext von Jugendlichen-biographien. In: ZfStrVo 2002. S. 139-142

Meier, U.
Aggressionen und Gewalt in der Schule. Münster 2004

Meier, J./Bögelein, N.
Illegale Drogenmärkte in Justizvollzugsanstalten - Erkenntnisse von Experimenten in Bezug auf Cannabis. In: Neubacher, F./Bögelein, N. (Hrsg.), Krise – Kriminalität – Kriminologie. Mönchengladbach 2016.

Meili-Lüthy, E.M.
Persönlichkeitsentwicklung als lebenslanger Prozeß (Progressionen und Regressionen im menschlichen Lebenslauf). Bern/Frankfurt a.M. 1982.

Merton, R.
Sozialstruktur und Anomie. In: Sack, F./ König, R. (Hrsg.), Kriminalsoziologie. Frankfurt am Main 1968. S. 283 – 313.

Mergen, A.
Die Kriminologie. Eine systematische Darstellung. 3. Auflage. München 1995.

Meyers Grosses Universal Lexikon: in 15 Bd. Band 4. Zürich u.a. 1981.

Mendelsohn, B.
Une nouvelle branche de la sicence bio-psychosociale – la victimologie. In: Revue internationale de criminologie et de police technique, 1956. S. 95-109.

Metzger, E.
Kriminalpolitik auf kriminologischer Grundlage. Stuttgart 1934.

Middel, S.
Innere Sicherheit und preventive Terrorismusbekämpfung. Baden-Baden 2007.

Miller, W. B.
Die Kultur der Unterschicht als ein Entstehungsmilieu für Bandendelinquenz. In: Sack, F./ König, R. (Hrsg.), Kriminalsoziologie. Frankfurt am Main 1968. S. 339 – 359.

Mischkowitz, R.
Fragen an die Kriminologie ... aus der Sicht der Polizei. In: Monatsschrift fur Kriminologie und Strafrechtsreform (MschrKrim) 2013.

Müller, N.
Kriminalprävention durch Baugestaltung. Berlin 2015.

Neubacher, F.
Terrorismus – Was haben “Rote Armee Fraktion” und “Jihadisten” gemeinsam?
In: JURA 10/2010.

Neubacher, F.
Kriminologie. 2. Auflage. Baden-Baden 2014.

Newman, O.
Architectural Design for Crime Prevention. Washington 1971

Newman, O.
Design Guidelines for Creating Defensible Space. Washington 1976.

Newburn, T.
Criminology, London 2007.

Nedopil, N.
Forensische Psychiatrie. 2. Auflage. Stuttgart 2000.

Nye, F. I.
Family Relationships and Delinquent Behavior. Westport 1958.

Niesing, J.
Die Bedeutung der Lerntheorien fur die Kriminalatiologie, Verbrechensprävention und – sanktionierung. Münster 1996.

Nietzsche, F.
Kritische Studienausgabe. Band 5. München, Deutsche Taschenbuch Verlag 1999.

Opp, K.-D.
Die "Alte" und die "Neue" Kriminalsoziologie. Eine kritische Analyse einige Thesen des labeling approach. In: Krim. J. 1. 1972. S. 32 – 52.

Opp, K.-D.
Abweichendes Verhalten und Gesellschaftsstruktur. Neuwid. 1974.

Oschlies, W.
Alle anderthalb Stunden ein Mord... Die Sowjetunion kapituliert in Raten vor der Kriminalität. In: Bericht des BIOsT, 21/1991.

Otto, H.-J.
Gevaltprävention und externe Verhaltenskontrolle. Freiburg 1982.

Paasch, E.
Jugendkriminalität – ganzheitliche Ursachenanalyse und staatliche Reaktionsmöglichkeiten. In: Kriminalistik 2001. S. 373 – 375.

Paasch, F.R.
Grundprobleme der Viktimologie. Münster 1965.

Pinatel, J.
Criminologie. Paris 1975.

Pfahl-Traughber, A.
Extremismus – Fundamentalismus – Terrorismus. In: Kriminalistik 6/2004.

Pfeiffer, C./Wetzels, P.
Junge Türken als Täter und Opfer von Gewalt. In: Deutsche Vereinigung für Jugendgerichte und Jugendgerichtshilfen e.V. (DVJJ-Journal) 2000. S. 107-113.

Pfeiffer, C./Wetzels, P.
Kriminalentwicklung und Kriminalpolitik: Das Beispiel Jugendgewalt. In: Festschrift für H-D. Schwind. 2006. S. 1095-1127.

Prätorius, R.
Entkriminalisierung und alternative sanktionen. In: Lange, H-J. (Hrsg.), Kriminalpolitik. Wiesbaden 2008.

Quensel, S.
Wie wird man kriminell? In: Kritische Justiz 1970. S. 375-382.

Reiss, A. J.
Delinquency as the Failure of Personal and Social Controls. In: American Sociological Review, (16) 1951. (S. 196 – 207)

Roth, P.E.
Organisierte Kriminalität in Russland. Die Rolle der „Diebe im Gesetz“. In: Kriminalistik 11/2000. S. 725-730

Russi, E.W.
Opiatmissbrauch – Medizinische Komplikationen. Stuttgart 1986.

Rüther, W.
Abweichendes Verhalten und labeling approach. Berlin u.a. 1975.

Seligman, M.
Erlernte Hilfslosigkeit. 4. Auflage. Weinheim 1992.

Sellin, Th.
Die Bedeutung von Kriminalitätsstatistiken. In: Sack, F./ König, R. (Hrsg.), Kriminalsoziologie. Frankfurt am Main 1968. S. 41 – 59.

Siller, H.
Computerkriminalität. In: Kriminalistik 11/2011.

Sielaff, W.
Organisierte Kriminalität. In: Kube, E./Störzer, H.-U./Timm, K.-J.; Kriminalistik Handbuch für Praxis und Wissenschaft. B.2. Stuttgart 1994. S. 501-527.

Solschenizin, A.
Die russische Frage am Ende des 20. Jahrhunderts. München 1994.

Sutherland, E. & Cressey, D.
Criminology, 1978, New York

Springer, W.
Kriminalitätstheorien und ihr Realitätsgehalt. Stuttgart 1973.

Suendorf, U.
Geldwäsche: Eine kriminologische Untersuchung. Neuwied 2001.

Stier, W.
Empirische Forschungsmethoden. 2., verbesserte Auflage. Berlin u.a. 1999.

Schafer, S.
Victimology: The Victim and his Criminal. Reston/Virginia 1977.

Schaffstein, F. /Beulke, W.
Jugendstrafrecht. 14. Auflage. Stuttgart 2002.

Schäfers, B. (Hrsg.)
Grundbegriffe der Soziologie. 7., durchgesehene Auflage. Stuttgart 2001.

Schellhoss, H.
Wie teuer darf Kriminalitätsbekämpfung sein? In: Neue Kriminalpolitik. 1/2004. S. 8-10.

Scheerer, S./Vogt, I. (Hrsg.)
Drogen und Drogenpolitik. Ein Handbuch. New York 1989.

Schmerl, Ch.
Drogenabhängigkeit – Kritische Analyse psychologischer und soziologischer Erklärungsansätze. Opladen 1984.

Schmidt, K.
Städtebau und Kriminalität: Untersuchung des Einflusses von kriminalpräventiven Erkenntnissen im Rahmen städtebaulicher Projekte in Mecklenburg-Vorpommern. Mönchengladbach 2016.

Schneider, H.J.
Viktimologie. Wissenschaft vom Verbrechensopfer. Stuttgart 1975.

Schneider, H.J.
Kriminologie. Berlin/NewYork 1987.

Schneider, H.J.
Kriminologie der Gewalt. Leipzig 1994.

Schneider, H.J.
Kriminologie für das 21. Jahrhundert. Münster 2001.

Schneider, H. J. (Hrsg.)
Internationales Handbuch der Kriminologie. Band I: Grundlagen der Kriminologie. Berlin 2007.

Strüber, D. /Lück, M./ Roth, G.
Tatort Gehirn. In: Gehirn & Geist 9/2006. S. 44-52.

Schönke, A.,/ Schröder, H.
Strafgesetzbuch. Kommentar. 27. Auflage. München 2006.

Schöch, H.
Ist Kriminalität Normal? Probleme und Ergebnisse der Dunkelfeldforschung. In: KrimGegfr 12 (1976). S. 211-228.

Schwendter, R.
Theorie der Subkultur. 4. Auflage. Hamburg 1993

Schwind, H-D.
Kriminologie. Eine praxisorientierte Einführung mit Beispielen. 17. Auflage 2007;
18. Auflage Heidelberg 2008;
23. Auflage Heidelberg 2016.

Schwind, H-D./ Steinhilper, G.
Kann Täterwissen zur Kriminalitätsvorbeugung genutzt werden? In: Kriminalistik 1984.

Schulz, H.
Die Bekämpfung der Rauschgiftkriminalität. Ein Handbuch für die Praxis. Heidelberg 1987.

Schuster, L,/ Seitzer, H.
Organisirte Kriminalität – eine Herausförderung für den Rechtsstaat? In: KrimPäd. 35/1994. S. 7-17.

Schüler-Springorum, H.
Kriminalpolitik für Menschen. Frankfurt am Main 1991.

Schorb, B./ Theunert, H.
Gewalt im Fernsehen. In: medien+erziehung 6/1982. S. 323.

Tannenbaum, F.
Crime and the Community, London 1938, 1. Edition. 1951, 2. Edition.

Tekles, H.
Jugendhilfeplan der Stadt Passau: Teil I Sozialraumanalyse, Unterhaching im Oktober 1998.

Theunert, H.
Gewalt in den Medien – Gewalt in der Realität. München 1996.

Tipke, K.
Innere Sicherheit und Gewaltkriminalität. Die Sicherheitsdefizite unseres Rechtsstaates. Bettendorf 1998.

Waldmann, P.
Terrorismus und Bürgerkrieg. Der Staat in Bedrängnis. München 2003.

Waldmann, P.
Islamistischer Terrorismus. Ideologie. Organisation und Unterstützungspotential. In: Kriminalistik 12/2004.

Walter, M.
Jugendkriminalität. 3. Auflage. Dusseldorf 2005.

Walter, M./Brand, Th./Wolke, A.
Einführung in kriminologisch-empirisches Denken und Arbeiten. Stuttgart u.a. 2009.

Weber, M.
Wirtschaft und Gesellschaft. Grundriss der verstehenden Soziologie, Studienausgabe, (Hrsg.) Winckelmann, J., Berlin 1964.

Weidner, J.
Anti-Aggresivitäts-Trening für Gewalttäter. Bonn 1997.

Wetzels, P., u.a.
Jugend und Gewalt. Baden-Baden 2001.

Wetzels, P. /Enzmann, D.
Die Bedeutung der Zugehörigkeit zu devianten Cliquen und der Normen Gleichaltriger für die Erklärung jugendlichen Gewalthandelns. In: Deutsche Vereinigung für Jugendgerichte und Jugendgerichtshilfen e.V. (DVJJ-Journal) 2/1999. S. 116-129.

Wilson, H.
Parental Supervision Re-Examined? In: The British Journal of Criminology, Vol. 27, Nr. 3 (1987)

Wilson, J. Q./Kelling, G. l.
Polizei und Nachbarschaftssicherheit: Zerbrochene Fenster. KrimJ 1996. S. 121-137.

Wiedemann, P.
Tatwerkzeug INTERNET. In: Kriminalistik 4/2000.

Würtenberger, Th.
Die geitige Situation der deutschen Strafrechtswissenschaft. Karlsruhe 1957.

Ziegler, R.
Soziale Schichten und Kriminalität. Berlin 2009.

Zipf, H.
Die Bedeutung der Viktimologie für die Strafrechtspflege. Monatsschrift fur Kriminologie und Strafrechtsreform (MschrKrim). 1970 (53), S. 1-13.

Zipf, H.
Kriminalpolitik. 2. Auflage. Karlsruhe 1980.

Zöller, M. A.
Terrorismusstrafrecht. Ein Handbuch. Heidelberg u.a. 2009.

Александров, Ю.К.
Очерки криминальной субкультуры. Москва 2001.

Балдаев, Д.
Словарь блатного воровского жаргона: ФЕНЯ, Часть 2, Москва 1997.

Гуров, А.
Красная мафия, Москва 1995.

Гуров, А.
Профессиональная преступность: прошлое и современность, Москва 1990.

Лихачев Д. С.
«Самое страшное — это полукультурный человек». Рабочая трибуна. Москва 1990. № 212.

მორის შალიკაშვილი

კრიმინოლოგია

(სახელმძღვანელო)

მესამე გამოცემა

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2017

ტექ. რედაქტორი
კახაბერ რუსიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დავით კუტუბიძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ., 47, თბილისი
ტელ. 239-15-22 E-mail: meridiani777@gmail.com